ᲗᲝᲛᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚ ᲓᲚᲔᲗᲐ

ᲘᲚᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“ 1987

83.3Гр 1
Ю 431

შემდგენლები: გურამ გვერდწითელი
სარგის ცაიშვილი
რედაქტორი: ცოტნე კიკვიძე

4710000000—74
ᲙᲐ—————————9—87
М604(08)—87

© გამომცემლობა „მერანი"

შემდგენლებისაგან

ზღვასავით ვრცელი და უნაპირო ილია ჭავჭავაძის ღვაწლი. იშვიათია სულიერი მოღვაწეობის სფერო, რომელშიაც მას მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს. ამ თვალსაზრისითაც იგი ტიპიური განმანათლებლური მიდრეკილების მოღვაწეა. ფაქტიურად მის გარშემო იყრის თავს მე-19 საუკუნის მანძილზე ჩატარებული გრანდიოზული მუშაობა, რომელიც აშკარად გამოხატული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით წარიმართა. და მაინც, პირველ რიგში, განუზომელია მისი დამსახურება ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებაში. ილიას მხატვრული ნააზრევი ეროვნული საუნჯის ოქროს ფონდს განეკუთვნება და სამარადჟამოდაა აღბეჭდილი ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

ახლოვდება დიადი თარიღი.სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. მადლიერი შთამომავლობა კიდევ ერთხელ სასოებით გადაავლებს თვალს დიდი წინამორბედის უკვდავ შემოქმედებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება შემწე მერმისისათვის ბრძოლაში.

ჩვენს დროში, განსაკუთრებით კი ახალი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, ბევრი რამ გაკეთდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესასწავლად.

ასეთ ვითარებაში კი, ცოტა არ იყოს; უცნაური ჩანს შემდეგი. მისმა თანამედროვეობამ ასე თუ ისე საკმარისი სისრულით შემოგვინახა ილიას პიროვნული სახე. მოგონებათაგან მეტი წილი დაიბეჭდა კიდეც ცალკეულ კრებულებსა თუ სხვადასხვა ავტორების თხზულებათა გამოცემებში. მაგრამ ცალკე, ერთ წიგნად შეკრებილი მოგონებები, რაც უფრო გამთლიანებულ წარმოდგენას შეუქმნიდა მკითხველს; ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

ერთგვარად ამ ხარვეზის ამოვსებას ისახავს მიზნად წინამდებარე კრებული, რომელიც, როგორც ითქვა, პირველად გამოდის. მაში მოთავსებულია მოგონებები როგორც გამოჩენილ, ისე შედარებით უჩინარ პირთა, რომელთაც რაიმე კუთხით ახლო ურთიერთობა ჰქონიათ დიდებულ თანამედროვესთან. ეს მოგონებები ამოღებულია როგორც ქართველ მწერალთა თხზულებების გამოცემებიდან, ისე პერიოდული პრესისა და სხვადასხვა ტიპის კრებულებიდან, რომელთაგან მეტი წილი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მთლიანად კი ილია ჭავჭავაძეზე არსებულ მოგონებათა კორპუსი (მათ შორის ხელნაწერი მასალებიც) ჩვენი ვარაუდით, რამდენიმე ტომს შეადგენს და სათანადო გადამუშავების შემ-

დგომ სასურველია გამოქვეყნდეს მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის კვალდაკვალ.

აქ კი, როგორც ითქვა, მოგონებები წარმოდგენილია შერჩევით. ვფიქრობთ, იგი ამ სახითაც საკმარისად სრულ წარმოდგენას გვაწვდის წლის ჭავჭავაძეზე, შეიცავს საგულისხმო ცნობებს მის პიროვნულ თვისებებსა და მოღვაწეობის დაბრკოლებებით აღსავსე გზაზე.

აქვე უნდა ითქვას ერთ დამახასიათებელ თვისებაზე, რომელიც თითქმის ბოლომდე გასდევს კრებულში წარმოდგენილ მოგონებებს. მათში იგრძნობა რაღაც განსაკუთრებული მოწიწება ილიას ტიტანური პიროვნების წინაშე, მაგრამ ამასთან ეს დამოკიდებულება სრულიად გამორიცხავს ბრმა თაყვანებასა და კერპად აღიარების რაიმე რეციდივს. ამიტომაც, ერის მამად აღიარებული პიროვნების ღირსებათა წარმოჩენასთან ერთად, მოგონებათა ავტორები ასეთივე სიყვარულითა და კდემით საუბრობენ ილიას ადამიანურ ნაკლოვანებებზე, ამ ქვეყნიურ „წვრილმან“ ცოუნებათაკენ მიდრეკისა და ზოგჯერ მიამიტურ საქციელზე, რაც თბილისა და ადამიანურ შტრიხებს მატებს მის მთლიან პორტრეტს. ასეთ დროს ზოგჯერ გადაჭარბებასაც აქვს ადგილი, მაგრამ დაე შთამომავლობამაც იცოდეს, თუ როგორი პოლარული სიდიდეებით იქმნებოდა თანამედროვეთა წარმოდგენაში სახე უკვდავი პიროვნებისა, მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა, რომლის სახელთანაა უწინარეს შესისხლხორცებული ქართველი ხალხის სულიერი აღორძინების ახალი მონაკვეთი. მართლაც, ტიციან ტაბიძის სიტყვით: „გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შექმნა და თავისი სისხლით დაკირა... ამ დიდი ეპოპეის მთავარი მბრძანებელი ილია ჭავჭავაძე იყო“.

გარდა ჩვენს ხელთ არსებული მასალის შერჩევისა, მკითხველი შეაჩნევს იმასაც, რომ მოგონებათა ზოგი ადგილი აქა-იქ კუპიურებით არის წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემოკლებანი მეტწილ შემთხვევაში ეხება აშკარა განმეორებებს, რომლებიც ახალს არაფერს შესძენდა, ხოლო გაზრდიდა წიგნის ნავარაუდევ მოცულობას.

ახლა თვით წიგნის აღნაგობის შესახებ. მოგონებებს აქ წინ უძღვის რამდენიმე სიტყვა და წერილი, აგრეთვე ბიოგრაფიული ნარკვევი, რომელთა ეპოქალური მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი.

აქვე საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. როგორც მოსალოდნელია, მოგონებებში დაშვებულია რიგი უზუსტობა თუ წინააღმდეგობა. მათი სწორება აქ შორს წაგვიყვანდა და საერთოდ დაარღვევდა ამ ტიპის გამოცემათა სტილს. ასევე წიგნის პოპულარული ხასიათის გამო შენიშვნებში მითითებულია მხოლოდ გამოყენებული წყაროები. პუნქტუაციის გარდა ხელუხლებლად დავტოვეთ აგრეთვე მოგონებათა ენობრივი თავისებურებანი, რაც თავისებურ ელფერს ანიჭებს სხვადასხვა ეპოქაში შესრულებულ, სხვადასხვა ავტორთა მოგონებების კრებულს.

სიტყვები

და

წერილები

გამოსათხოვარი სიტყვა

ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო"? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებული საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივი მიოქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!

როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზი ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!... და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს!

მშვიდობით, ძმაო!... საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..

ვერ მოჰკლეს!

„ილია რო მოჰკლეს!“ — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა მწუხარე და თან გაკვირვების კილოთი.

თავზარი დამცა ამ ამბის გაგონებამ და ათასი კითხვა აღმიძრა: ვინ მოჰკლავდა, ნეტავ, ილიას? განა შეიძლება ამისთანა ადამიანების მოკვლა? ნუთუ ქართველებმა შეახეს ხელი თავის მამას, ქართველთათვის თავდადებულს, თავის ერისათვის მოჭირნახულე ადამიანს? იქნებ უცხოელებს შეჰშურდათ ჩვენთვის ეს მართლაც ერთადერთი ბურჯი ჩვენის ქვეყნისა, ბურჯი ჭკუით, ნიჭით და გამოცდილებით? ათასი ამისთანა კითხვა დამებადა თავში და დღესაც კი, დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, არ ვიცი მიზეზი ილიას სიკვდილისა. ვიცით მე და თქვენ, მკითხველო, მხოლოდ ფაქტი, რომ მოგვიკლეს საუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ილიას ღვაწლთაგანი? ეს ყველამ კარგად უწყის. საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა...

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

აბა კარგად ჩაუკვირდით საქმეს, თუ ასე არ არის, დიაღ, ასეა და ეს არის კიდეც უბედურება, დიდი უბედურება, ჩვენს თავზე მოვლენილი. უგუნურთ ნუთუ არ იციან, რომ საუკეთესო ადამიანების ხოცვა, კვლა, მოკვლაა მთელის ქვეყნისა.

სოფელი ვინ და ერთი კაციო. ნუთუ იქამდის დავკნინდით, დავკარგეთ ადამიანობა, ნამუსი, დავიბრმავეთ გონება, რომ ამისთანა აზრები ღორძინდება საქართველოში? ნუთუ ვისმე ფანატიკოსებს ჰგონიათ, რომ ილიების ხოცვით მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიანთ ემსახურონ და არა უძლურთ, უნიჭოთ, უვიცთ და საზოგადოების ნაძირალებს! ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!

რა ვთქვათ მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის ჰეროსტრატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვექცნეთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთდამი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსაო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ, დავერიენეთ ერთმანეთს, ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბადრუკობით გალაღებული მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი...

ნაღვლით და ბოღმით აღსავსე მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათასსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენ ქართველებისაგან.

სხვა რა ვთქვათ? სხვა რა ვიფიქროთ? სისხლი სისხლისთვის? ცოდვა მივუმატოთ ცოდვას? სირცხვილს — სირცხვილი? განა იმათ ადამიანებისა ერთი ბეწო ნიშანწყალი რომ ჰქონდეთ, იზამდნენ ამას? მოჰკლავდნენ ამისთანა ადამიანს, რაც უნდა მისგან ნაწყენნიც იყვნენ? არა. არ არიან ისინი ადამიანები, უნდა შევრაცხოთ მხეცებად, პირუტყვებად, და პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური, ისე, როგორც ადამიანზე, ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირებაა?

მოჰკლეს ილია!.. მაგრამ ვერ მოჰკლეს, ვერა! მისი ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნება. დიაღ, ვერ მოჰკლეს, რადგან თუ რამდენიმე, თითებზე დასათვლელი ადა-

მიანი ხარობს ილიას სიკვდილით, ასი ათასი მისტირის ამ ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს და რამდენიც ხანი გაივლის, მით უფრო, დაკლების მაგივრად, გრძნობა სიბრალულისა და სიყვარულისა მოიმატებს ერის გულში.

„საწყალი ილია, საწყალი ილია!" მესმის გულსაკლავად წარმოთქმული აქეთ-იქიდან სიტყვები მამათა და დედათა მიერ. საწყალი ილია? არ არის ილია საწყალი, ვინაიდან მან აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა. იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, წყლულები ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამაპაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს და არ აფიქრებინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო იმედო, ჩვენო საყვარელო ილიავ!

სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე

ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებავად და სასახელოდ; მისი საკვებავია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და დაბნელება წყვდიადით სინათლისა. ბნელი ძალები არსებობდენ როგორც დღეს, ისე წინადაც და მომავალშიაც არ მოისპობა მათი არსებობა, ვიდრე ნათელია, ვიდრე სიმართლე ებრძვის უსამართლობას, საზოგადოებრივი ინტერესი — კერძოს. იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, რომ ილიას მოკვლას უპირობდენ ამ 40—50 წლის წინათ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულს ფორმას — ბატონყმობას. მაშინ არ იყო სწავლა-განათლება ისე გავრცელებული,

როგორც დღეს არის, არც მეასედად; სად იყო მაშინ ამდენი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ ბუნებრივი ჭკუა და ნამუსი იმათ მეტი ჰქონიათ. მეტისმეტად ნაწყენმა ბატონებმა თავხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია ადამიანის" ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე იმ მოსაზრებით — იქნება საქართველოსთვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა, და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს მაშინ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი: ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის. და დღეს კი, როცა უფრო ვითომდა გავნათლდით, დავკარგეთ ნამუსი, ადამიანობა, არ დავინდეთ მისი ჭაღარა! განსვენებულს კი დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდობისა და ამიტომ ნანასავით უმღეროდა მის მიერ აღზრდილ საქართველოს, წყლულ გულს ანუგეშებდა: „შვილები წამოგესწრნენ, ვაჟკაცნი, გულმტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო". მაგრამ ეს სრულიად არ გამართლდა, იმათ შორის მახინჯებიც გამოერივნენ. გამოერივნენ ისეთნი, რომელნიც თვით საქართველოს ჰკლავენ: უარყოფენ ენასა, ეროვნებასა და თვით ტერიტორიასაც კი, რა არის, მაშ, თუ არ კვლა საქართველოსი?

ვიმედოვნებთ მხოლოდ იმითი, გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს; საქართველოს ბედ-იღბალს თავს ევლებიან და „საგონებლად" გაჰხდომიათ თავიანთი დაჩაგრული, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი ეროვნება.

დიადო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა,

თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძევ იდეა-ლებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად. ვუწყი, რომ შენი აჩრდილი არ დაი-ვიწყებს საქართველოს და სხვა გმირებთან ერთად დაჰხედავს ათასში ერთხელ მაინც — გაიგოს ჩვენი ყოფაცხოვრება — გავი-ზარდენით, ავმაღლდით, თუ დავეცით უარესად და დავკნინ-დით, და შეგვავედრებს ღმერთს, რათა მოგვცეს მან ძალა გა-უკეთესებისა, ერთობისა, სიყვარულისა, — ჭკუა-გონება ნათე-ლი, რათა არ გაჰქრეს შენი საყვარელი, სათაყვანებელი ერი, ლამაზი გარეგნობით, გალამაზდეს ყოფაცხოვრების სათანადო წყობილებით.

მშვიდობით, საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, დიდებუ-ლო ადამიანო!

ᲨᲣᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ

შეუდარებელი, უებრო შურის ძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები იმ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც აღმოვფხვრით და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ, გააღმერთა იესო თვით ურწმუნოთა შორის, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალესი სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი-კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად, ჯვარცმულის ჯალათნი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე.

სწორედ ესევე აცხადდება (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერესს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარებით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაძირალებისა. უსულ-გულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავდნენ საშინელი სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე. მაგრამ, თავისისავე უგუნური და წყეული თვალებით იხილავენ სრულიად წინააღმდეგს ნაყოფს თავიანთი საზიზღარ მკვლელობისას. ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებული მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომლითაც ყოველი ჭკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისდამი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის

ქმნილებებს ჰქონდა, და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრული გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება, და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესი და სათაყვანო ხატი.

დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის მდიდარს და წმინდა ქართულს ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესულს იდიალებს, მისს დემოკრატიულს მიმართულებას, მისს წმინდა ეთიკას სრული ადამიანობისას. ამისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდით-კიდეთ მისი ქმნილებებისა, გავრცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ვინ უნდა იკისროს ეს დიდი საქმე? სათავად-აზნაურო ბანკმა და საქართველოს თავად-აზნაურობამ. მათ ნახევარი იმ პენსიისა, რომელსაც ილია იღებდა, უნდა წლითი წლობით გადასდონ საგამომცემლო თანხად, იმის თხზულებების დასაბეჭდად, შეუკვეთონ ევროპის საუკეთესო მხატვრებს მათი დასურათება. ყოველი ქმნილება მისი, ჩინებულად დასურათებული, გამოსცენ ცალკე წიგნად, სულ მცირე ფასი დაადონ და მოელს საქართველოში მოჰფინონ.

ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ესლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ. ილია იყო არა მარტო დიდი ნიჭის პატრონი, არამედ დიდად განვითარებული ინტელიგენტი, შემკული იშვიათის მხატვრობითი ნიჭით და ამასთან ნამდვილი ბრძენი. ამიტომ იმის ქმნილებათა მოფენა შექმნის ახალს, დიდებულს ხანას ქართულს აზროვნებასა და სიტყვიერებაში.

როცა ქართველი გლეხობა გაიცნობს ილიას ნაწერებს, გადაიკითხავს იმის „კაცია-ადამიანს“, „გლახის ნაამბობს“, „კაკოს“ თავგადასავალს, იმის „მუშას“ და სხვა დემოკრატიულს ქმნილებას, იგი ცხადად დაინახავს, თუ რა დიდი მოციქული იყო ილია გლეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისა. მაშინ იგლოვს იგი იმის სიკვდილს ბევრად უფრო მეტის მწუხა-

რებით და ცრემლით, ვიდრე ეხლა გლოვობენ შეგნებულნი ნაწილნი ქართველი ერისა...

ეს იქნება საუკეთესო შურის ძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა...

ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შეუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივი სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა დიდებული მგოსანი. ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელნი, თუ კი ჰყავდათ. არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არა რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.

დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი

დავმარხეთ დიდი ილია.

მის სათაყვანო კუბოს გარშემო შემოკრბენ საუკეთესო წარმომადგენელნი მთელის საქართველოისა, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის მთებამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული ოსმალეთის საზღვრამდე. საქართველომ შავს მიწას მიაბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი შვილი ისეთი ღრმა და გულწრფელი საყოველთაო მგლოვიარობით, ისეთის ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვნია და დაუმარხია თავისი დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს სახელოვანნი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე.

ამ გულშემზარავმა უბედურებამ ერთი მეტად სანუგეშო მოვლენა ცხად ჰყო: სრული ერთობა საქართველოსი, ყოველი მისი კუთხისა, ყოველი ქალაქისა, ყოველი დაბისა და სოფლისა, ყოველი წოდებისა, — ის ერთობა, რომელიც აძლევდა ჩვენს ქვეყანას წარსულში დიდს ძალასა, და შემდეგშიაც ფეხზე დააყენებს მას და ძალ-ღონით აღავსებს.

ხოლო ეს სასიქადულო ერთობა, ეს ზღვა გრძნობა ჩვენ უნდა დავაგვირგვინოთ იმისთანა დიადი საქმით, რომელიც

შეეფერება ჩვენს მიცვალებულს უკვდავ მგოსანსა და დიდს მამულიშვილსა.

მაგრამ დიდს საქმეს დიდი სახსარი, დიდი თანხა ესაჭიროება, ამას მოვახერხებთ კი ამ გაჭირვების დროსა? სრული იმედია ამისა. ჭიათურის საბჭომ, თავის სასიქადულოდ, ყოველ წლივ გადასდო ათასი მანეთი ილიას ფონდისათვის. უეჭველია, თუ მეტს არა, ნაკლებს არ გამოიმეტებს ყოველ წლივ თბილისის სათავად-აზნაურო ბანკი, დაარსებული და მართული ილიას მიერ მრავალის წლის განმავლობაში. ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკიც, რასაკვირველია, მონაწილეობას მიიღებს ამ საქვეყნო საქმეში. აგრეთვე სხვა ბანკები და დაწესებულებანი. მთელი საქართველოს ერი, ყოველი მისი წოდება, შეძლებისა დაგვარად, არ დაიშურებს ყოველ წლივ ისადოს ფული ილიას ფონდის გასაძლიერებლად. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ დიდს მონაწილეობას მიიღებენ და უხვს ყოველ წლეურს შეწირულებას გაიღებენ ჩვენნი მდიდარნი და მილიონერნი, რომელნიც გულწრფელი პატივისცემით და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ილიასადმი.

რა საქვეყნო საქმეებს უნდა მოვახმაროთ ეს ფული, ეს ფონდი?

უპირველესად ყოვლისა... ჩვენ უნდა გამოვსცეთ ჩინებულად ქმნილებანი განსვენებულის ილიასი, დასურათებულნი საუკეთესო ევროპის მხატვრების მიერ, დავადოთ სულ მცირე ფასი და მოვფინოთ მთელს ჩვენს ქვეყანაში. ამასთან ყოველი მისი თხზულება, ცალკე გამოცემული, უნდა შემკული იყოს ავტორის პორტრეტით. დაახლოებითი გაცნობა და შესწავლა დიდი ილიას ქმნილებებისა, რომელსაც ეხლა ძლიერ ნაკლებად იცნობენ თვით ჩვენი ინტელიგენტნი და ლიტერატორნი, აღამაღლებს მთელს ჩვენს ერს ენით, აზრით და მისწრაფებით... ამას უნდა ზედ მოჰყვეს ვრცელი აღწერა ავტორის ცხოვრებისა და მოქმედებისა, დაფასება მისი იშვიათი ნიჭისა, მიმართულებისა, იდეალებისა. ეს პირველი...

მეორედ, ილიას სახელზე უნდა გავხსნათ თითო სამაგალითო ქართული სკოლა მაინც: კახეთში, ქართლში, სამეხეთოში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში. ყველა ამ სკოლასთან უნდა დაარსებულ იქმნას უფასო სამკითხველო და ეწოდოს: ილიას სამკითხველო.

მესამედ, დავაარსოთ მაღალ სასწავლებლებში სტიპენდიები უნიჭიერესს და ხელ-მოკლე სტუდენტთათვის, რომელნიც უნდა იყვნენ შვილნი საქართველოს ყოველის კუთხისა...

მეოთხედ, ილიას ქმნილებათა გამოცემის შემდეგ იმ გვარადვე უნდა გამოვსცეთ თხზულებანი აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და სხვა ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და მოვფინოთ კიდითი-კიდეთ.

მეხუთედ, შემწეობა აღმოვუჩინოთ უნიჭიერესს ქართველს მწერლებს გაჭირვების დროსა.

მეექვსედ, წესად დავდოთ: ყოველ წლივ თბილისში ჩამოვიდნენ ხოლმე წარმომადგენელნი საქართველოს ყოველი კუთხისა 30 აგვისტოსათვის, როცა მოკლულ იქმნა ილია, გადიხადონ საერთოდ წლის პანაშვიდი ილიას სულის მოსასსენებლად სიონის ტაძარში, მერმე პროცესიით ავიდნენ მაშა დავითში, თაყვანი სცენ ილიას საფლავს და ბოლოს გამართონ სხდომა, რომელზედაც ბჭობა უნდა იქონიონ საქართველოს ჭირვარამზე, და ამ კრებას დავარქვათ: „ილიას საბჭო“.

მეშვიდედ, ძეგლი აუგოთ ილიას შუაგულს თბილისში...

ვინ უნდა იკისროს ამ დიდი და რთული საქმის გაძღოლა?... ახალი საზოგადოება დავაარსოთ, თუ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წესდება რადიკალურად შევსცვალოთ, მივსცეთ მას ფართო მნიშვნელობა, გადავაქციოთ იგი განათლების ძლიერ და დიდ საზოგადოებად, და მას ჩავაბაროთ ამ დიადი საქმის წარმოება? უკანასკნელი უფრო შეეფერება ჩვენის განსვენებულის ხსოვნას, რადგანაც მან დიდი მონაწილეობა მიიღო „წერა კითხვის საზოგადოების“ დაარსებაში, იყო მისი თავმჯდომარე მრავალის წლის განმავლობაში და თავისი ქონებაც მას დაუტოვა ანდერძით.

ამის გამო, საჭიროა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგეს ახალის წესდების შედგენას, მოიწვიოს თავად-აზნაურობის, პრესის და სხვა-და-სხვა დაწესებულებების წარმომადგენელნი და მათთან ერთად დაამთავროს ეს საქმე.

შეწირულება კი ილიას ფონდის სასარგებლოდ უნდა ვიწყოთ ახლავე, დაუყოვნებლივ მთელს საქართველოში, ვიწყოთ ყოველს ქალაქში და სოფელში, ყოველს დაწესებულებაში, დავუგზავნოთ „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება

გათავდა საქართველოს დედა-ქალაქში — მხცოვანს თბილისში — დიდებული ნახევარ საუკუნის იუბილე სახელოვანის მგოსნის და მხურვალე მამულიშვილის აკაკისა. დასრულდა სამაგალითო კულტურული დღესასწაული მთელის ქართველის ერისა. დაზავდა აბობოქრებული ზღვა ძლიერ ეროვნულთა და კულტურულთა გრძნობათა, და მე ღამის პირველს საათზე თეატრიდან გავემართე ჩემი სადგურისაკენ.

„კარგი, რომ ჩემი წინადადება — მაისისათვის იქმნას გადადებული აკაკის იუბილეი მეთქი, არ იქმნა შეწყნარებული, თორემ თუ ასეთს ყინვაში ამ იუბილეიმ დააყენა გრძნობათა ტროპიკული ატმოსფერა, ცხელს მაისში ცეცხლს წაუკიდებდა თვით ცასა მეთქი“, ვუთხარი ერთს ჩემს თანამოგზაურსა.

აღსავსე მრავალი სანეტარო შთაბეჭდილებით, მე ნელი ნაბიჯით მივდიოდი წინ, თითქოს მეზარებოდა განშორება იმ ადგილისა, სადაც მოხდა სასიქადულო აქტი მთელის ჩემის სამშობლოსათვის.

მე ღრმა სიამოვნებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენმა ერმა, უკიდურესად შევიწროვებულმა ყოველი მხრით, შესძლო ღირსეულად დაეჯილდოვებინა ზნეობრივად მაინც თავისი ღირსეული შვილი. მე აღტაცებაში ვიყავი იმის გამოც, რომ ჩვენი სათაყვანებელის მამულიშვილის გარშემო შემოკრბა თავის წარმომადგენელთა სახით მთელი ქართველობა სრულიად და სავსებით, — ქართველობა საქართველოსი, რუსეთისა, ევროპისა, ოსმალეთისა, სპარსეთისა, ციმბირისა და ყველა სხვა მხრისა, სადაც მოიპოვება მცირედი რიცხვი ქართველთა... დიაღ, შემოკრბა მთელი ქართველობა ერთი ღრმა გრძნობით და ერთი მაღალი მისწრაფებით გამსჭვალული და აღვსილი. ამითი მან, ქართველობამ, ყველასათვის, მთელი დუნიისათვის, ცხად ჰყო, რომ იგი შეადგენს ორგანიულს ერთეულს, ნამდვილ ერსა, ნაციასა, და სავსებით გააცრუა იმათი აზრი, რომელნიც ამბობენ, ვითომც ქართველობა მარტოოდენ უკულტურო თემთა მექანიკური კრებაა და სხვა არაფერიო.

ქართველობის ამ კულტურულს ერთიანობას, ნაციობას კვერი დაჰკრეს, თავისი ბეჭედი დასვეს სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენლებმაც: რუსებმა, სომხებმა, თათრებმა, პოლო-

ნელებმა, ნემეცებმა, ურიებმა, ოსებმა და სხვებმა, რომელ-ნიც კეთილშობილურად ეჯიბრებოდნენ ქართველებს სიყვარულისა და პატივისცემის გამოცხადებაში სახელოვან იუბილიარისადმი და თვით ქართველი ერისადმი.

მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით ჩამჩხაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა. მივედი ჩემს სადგურში და სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ-მწარე ბურანსა.

უცებ ხელ-ახლად გავწნდი თეატრში, და ვიხილე უნეტარესი სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთს წამს კიდევ მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილეი დაუგვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყველანი და სმენად გადაიქცნენ.

ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამ ჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, სთქვა აკაკიმ.

— რა? რა? სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერთად, ერთხმივ.

— ის, რომ ჩვენ ვერ ვეღირსენით იმის იუბილეის, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო.

ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა აკაკისთვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სისწრაფით, ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული სახელი.

აკაკიმ გააგრძელა: დიაღ, ჩვენ ვერ ვეღირსენით ილია ჭავჭავაძის იუბილეის. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენ არამც თუ ვერ შევამკეთ იმისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი ვერ შევუშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარ საუკუნე ილია და მე ტოლნათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე

ილიას უკუნითი უკუნისამდე, გაათავა აკაკიმ და მწუსარე თვალებიდან მდულარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ შეაძახა სამკლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და ფეხზე უმალ წამომდგარმა, თავი მოიხარა, საერთოდ.

ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ელირსნენ მოციქულნი სული წმიდის მოფენის ჟამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეებერთელა აპრიალებული კელაპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელაპტარებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელაპტარი და შუა თეატრში მაღლა ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სხვა კელაპტრები. გარს შემოეხვივნენ და შექმნეს მომხიბლავი სურათი. ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა და კელაპტართა გუნდი წავიდა მაღლა, მაღლა ზეცაში.

„კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა,“ შევძახე ისეთი მაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული,“ ამოვიკვნესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე. ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეის დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის, მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდა მეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახის...

გრიგოლ ყიფშიძე

ილია ჭავჭავაძე

1837—1907

(ბიოგრაფია)

მცირე წინასიტყვაობა. — ჭავჭავაძიანთ გვარის გამოჩენა ისტორიაში. — ერთ-ერთი შტო ჭავჭავაძეთა. — გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძე. — 1832 წლის შეთქმულობა. — ტკბილი პოლიტიკა. — ძალი ინერციისა. — წერა-კითხვის ცოდნა ძველად და სიყვარული მწიგნობრობისა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, მისი სულის ფსიხოლოგიის ცხად-ყოფა, ზედ მიწევნილი დახასიათება და დაფასება ილიასი — და მერე ისიც ასე ადრე, ასე მალე, სულ რაღაც ხუთის წლის შემდეგ მის მოწამებრივის სიკვდილისა, ყოვლად ძნელი ტვირთია, დიაღ მძიმე და პასუხსაგებელი საქმეა. ცხოვლად უნდა გავითვალისწინოთ მისი დიდი ბუნება, მისი ღრმა სულის-კვეთება და გადავშალოთ მიუკერძეველად, თავ-დაჭერით და გულ-დამშვიდებით დიდი სურათი ჩვენის ბედშაობისა და ქონდრის-კაცობისა, ჩვენის შავ-უკუღმა დატრიალებულის ბედის ჩარხის მთელის საუკუნის განმავლობაში, დიდი სურათი იმ ტრაგედიისა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი იყო ჩვენის ხელითვე ისე უღვთოდ, ვერაგულად გულ-განგმირული დიდება საქართველოსი, მისი დიდი მესაიდუმლე, მისი დიდი გულთამხილავი.

აი ეს არის ჩვენთვის ძნელი; ეს არის ძნელი მეტადრე ჩვენისთანა სუსტის ძალ-ღონის პატრონისათვის, იმ დიდის კაცის მცირე თანამემამულესი და თანამოსაგრესათვის. ამიტომ წინ-და-წინვე ბოდიშს ვიხდით, თუ რამ მეტნაკლებობა დაჰყვა თან ამ ჩვენს ნაშრომსა, თუ აღელვება და გატაცება დაგვეტყო სადმე, თუ შესაფერს, მატიანისებურს კილოს უღალატეთ და გადავლახეთ სამზღვრები სიდინჯისა, გულ-დამშვიდებისა.

ჭავჭავაძიანთ გვარი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოვიდა საისტორიო ასპარეზზედ და თვისის მხნეობით, გამრჯელობით მალე მიიქცია ყურადღება კახეთის გვირგვინოსანთა. გერდმოცემა ამბობს, რომ ჭავჭავაძენი ხევსურეთის მკვიდრნი იყვნენ, იქიდან არიან გადმოსულნი და ამ გვარის კაცნი დღესაც არა ერთი და ორი კომლია ხევსურეთშიო. ეს გვარი აქა-იქ გლეხკაცებად სცხოვრობს დღეს ქართლშიაც, მაგალითად, ცერონის-ავლევში.

1726 წელს კახეთის მეფე კონსტანტინემ უბოძა ამ გვარის წარმომადგენელთ თავადობა და ჭავჭავაძენი თავადობის ღირსებით ჩაიწერნენ იმ უმაღლესის წოდების სიაში, რომელიც დაერთო რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულს ხელ-შეკრულობას 1783 წელს.

მეფე ირაკლის დროს ბრწყინავდა თავისს ჭკუითა და დარბაისლობით ერთ-ერთი შტო ჭავჭავაძეთა გარსევანის მეთაურობით. გარსევანს დიდი უნარი ემჩნეოდა დიპლომატობისა და „ბებერმა არწივმა", როგორც მგოსანი უწოდებს ირაკლი II-ეს, იმას მიანდო სხვებთან ერთად ხელ-შეკრულობის დადება იმპერატრიცა ეკატერინეს წარმომადგენელ თავად პატიომკინთან გიორგიევსკში.

გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა საქართველოს მეფის წარმომადგენლად რუსეთის იმპერატორის კარის წინაშე. 1786 წელს 31 დეკემბერს გადასცა რუსეთის მთავრობას ცნობილი ნოტა და გადაჭრით მოსთხოვა, ან ხელი აიღეთ ხელ-შეკრულობაზედ და ან შეასრულეთ დადებული პირობაო.

ბუტკოვი ჰმოწმობს, რომ გარსევან იყო სრულ უფლებით მოსილი მინისტრი ირაკლი მეფისა და რეზიდენტი რუსეთის კარის წინაშეო.

გარსევანის შვილმა ალექსანდრემ სახელი გაითქვა თავისის საზოგადოებრივის მოღვაწეობითა და მგოსნობით წარსულის საუკუნის დამდეგს. მისი ოჯახი ნამდვილი სალონი იყო მაშინდელ მოწინავე ქართველობისათვის. ამ სალონში ძლიერებით ჰღვიოდა ნაკვერჩხალი მგოსნობისა და ჭეშმარიტის პოეზიის მაღალ აღფრთოვანების ნაპერწკლებს ბდღვრიალი გაჰქონდა გარშემო. ალექსანდრეს კეკლუცნი და შვენებით

შემკულნი ასულნი, სასძლონი მაშინდელ მაღალ-ხარისხოვან კაცთა — სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა, სახელოვანის პოეტის გრიბოედოვისა, სტატს-სეკრეტარის ბარონ ნიკოლაისა, — ვითა ფერიები და ფარვანანი, ისე დასტრიალებდნენ თავს ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსე ქურუმს ხელოვნებისასა და მშვენიერებისას, სიყვარულის მოციქულს და მაღმერთებელს — თავიანთ გულ-თბილ და გულ-ტკბილ ევროპიულ გემოზედ განათლებულ ვოლტერისა და საადის თაყვანის-მცემელ მამას.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს დამოუკიდებელმა არსებობამ, ხანგრძლივ მღელვარე ცხოვრების შემდეგ, სული დალია, მაგრამ ქვეყანას მაინც თითქო არა სჯეროდა თავისი პოლიტიკური სიკვდილი, საჭიროდ მიაჩნდა შებრძოლებოდა ასეთს უმადურს ბედს და ჯერ კიდევ თითქო სრულიად არ დაჰკარგოდა იმედი მკვდრეთით აღდგომისა. თვით ალექსანდრეც — ნათლული იმპერატრიცა ეკატერინესი, იზიარებდა ამ იმედსა და პირველად 1812 წელს თვრამეტის წლის ჭაბუკი ჩაერია ბატონიშვილების მეთაურობით დაწყებულს აჯანყებაში რუსთა ბატონობის მოსაშორებლად, ხოლო მეორედ 1832 წელს მაშინდელ შეგნებულ ახალგაზრდობის შეთქმულობაში.

ვიცით, რა შედეგიც მოჰყვა ან კახეთის აჯანყებას 1812 წელს და ან მთიულეთისას — 1804 წელსა. ახალგაზრდობის შეთქმულობასაც მალე ბოლო მოეღო და დასასჯელად აქეთ-იქით დაფანტულნი გმირნი შეთქმულობისა მთავრობამ ისევ მალე შეირიგა, სამსახურში მიიღო, დააწინაურა და ბევრს მათგანს გულ-უშიშრად ჩააბარა დიდნი საქმენი, მაღალი თანამდებობა. გაიხსენეთ მაგალითად ცხოვრება დიმ. ყიფიანისა, გიორგი ერისთავისა, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანისა და სხვ.

ალექსანდრეც მათ შორის იყო. დიდად დაწინაურდა სამსახურში და ვორონცოვის მთავარ-მართებლად მოსვლის დროს უკვე დამსახურებული, გენერალ-მაიორის ჩინით დაჯილდოვებული კაცი იყო, დიდად მიღებული მთავრობის მიერ და ამ გვარად, თითქმის სავსებით გულ-მოგებული, კმაყოფილი. თუ რამ გრძნობა უკმარობისა და უკმაყოფილებისა კიდევ ჰღვიოდა მის გულში, მხოლოდ სევდიან ჰანგებზედ აგებულ

ლექსია ფქმით და თარზედ დამღერებით-ღა იქარვებდა ან და ლოთი-ფოთურ დროს გატარების პოეტურ შემკობით ჭლაშოდა თავდავიწყებასა და სევდის ამშლელ გრძნობათა მიყუჩებას.

ასე ნელ-ნელა და თანდათან მოიკიდა ფეხი და ბოლოს სავსებით გაიმარჯვა ახლად დამკვიდრებულ მთავრობის ძალამ, ახალმა, უჩვევმა წეს-წყობილებამ და ქართველობის საზოგადოებრივი გრძნობა და მწვავე ტკივილებით შეპყრობილი გონება, თითქო ბანგ-დალეულიაო, მეტად მოღლილი და ამოქანცულიაო, მიყუჩდა, მირულდა, თვლემას მიეცა...

ამ მირულებას, ამ ტკივილების დაამებას მცირედ არ შეუწყო ხელი ზემოხსენებულ ვორონცოვის ცნობილმა ტკბილმა პოლიტიკამ, მათრობელა, ბანგ-ნარევმა და თან კაცთ-მოყვარულმა მოღვაწეობამ. ეს დიდად ვანათლებული და ინგლისურს გემოვნებაზედ აღზრდილი სახელმწიფო კაცი სულ იმის ცდაში იყო, რომ ტკბილის მოქცევით, კაცთ-მოყვარულის მოქალაქეობით დაეამებინა მწვავე ტკივილები თვით-არსებობის და დამოუკიდებლობის დაკარგვისა ქართველთა მიერ. ჩვენ მოხელენი ვართ, მოჯამაგირენიო, — ამბობდა ვორონცოვი, — მოვლენილნი ამ ქვეყნისა და ხალხის სამსახურად, ესენი არიან ჩვენი ბატონები, ხოლო ჩვენ მათნი მოსამსახურენიო. ვის შეეძლო იმის დროს აბუჩად აგდება და დაჩაგვრა მაღალის წოდების ქართველისა? ვორონცოვი ცეცხლს გადააყრიდა მაშინვე და სასტიკად დასტუქსავდა იმ მოხელეს, რომელიც დიდის გვარის ქართველის დაბრიყვებას მოინდომებდა, სალსს შეავიწროებდა, თვით იმპერატორი ნიკოლოოზ, როცა მობრძანდა კავკასიაში და გაიგო აქაური ამბები აღვირ-აღსნილ მოხელეებისა, ჩაგვრა და დაბრიყვება მათგან ქართველ ხალხისა, დიდად განრისხდა და გაკვირვებითა სთქვა: „რაოდენ ძლიერი უნდა იყოს ამ ხალხში სიყვარული და ერთგულება მეფეთა, რომ ესოდენი შეწუხება აუტანიათ და მაინც ერთგულება ჩემდა არ მოუშლიათ, გულიდან არ ამოურეცხიათო“.

თ-მა ვორონცოვმა დაიახლოვა დიდის გვარისა და შთამომავლობის ქართველნი, დაუარსა ქვეყანას „პრიკაზი“ და გულუხვად აძლია იქიდან ვალი, დაჰყო მთელი კუკია, მაშინ ცარიელი მინდორი, ნაჭრებად და შეღავათიანის პირობით ურიგებდა ხალხს სახლების ასაშენებლად; თან სესხად აძლევდა ფულს არა მხოლოდ შენობის აგებისათანავე, არამედ მასალის

ბიტანის უმალვე; დაარსა იტალიური ოპერა, ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, მუზეუმი, საჯარო ბიბლიოთეკა, წმ. ნინოს სასწავლებელი, ქალების ინსტიტუტი, დაიახლოვა გ. ერისთავი და თავი მოსწონდა სტუმრებთან ქართველთ მოლიერით; დაიახლოვა აგრედვე პლ. იოსელიანი და იმას მიანდო ოფიციოზ „კავკაზ"-ის რედაქტორობა და სახაზინო ფულით ბეჭდვა ძველ ქართულ ხელნაწერ თხზულებათა.

ყოველმავე ამან უფრო და უფრო მიაყუჩა ტკივილები და მიაძინა ქართველების ფიქრი და გონება. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი სახე ცხოვრებისა, ერთი კერძოობა სურათისა. ქართველობის მაშინდელ ცხოვრებას სხვა სახეც ემჩნეოდა და ვინც დაკვირვებით ჩაიხედავდა მის გულში, დაინახავდა, რომ ერის სულის სიღრმეში ღელვა ზღვისა და „ტალღთა დენანი" არ შემდგარიყო. აუარებელი სულიერი საუნჯე და გონებრივი საზრდო-სალეველი, დატოვებული მამა-პაპათაგან, აგრე მალე ვერ გაჰქრებოდა, ვერ წარიწყმინდებოდა დამოუკიდებელ არსებობის სხვა გარეგან ნიშანთან ერთად.

და, აი, ერის სულში ღრმად ჩამხედველს გონების თვალწინ ჭარმოუდგებოდა საინტერესო სახილველი: დიდი თუ პატარა ცოტად თუ ბევრად შეგნებულთა შორის, თითქო გონება-დაუტანებლივ, მექანიკურად, ინერციით ეტანება წერა-კითხვას, ხელ-ნაწერ წიგნების შეგროვებას, მათს გადაწერასა და გამრავლებას; ეტანება თითქმის იმავე ხალისითა და გულმოდგინებით, როგორც წინად ეტანებოდა, თითქო შიშობს, არ დაგვეღუპოს, არ დაგვეფანტოს ყოველივე, რაც მამა-პაპას გონებრივი სალარო დაუუნჯებიაო. ეს იყო ძალა ინერციისა და იმოდენად ძლიერი, რომ ამ ოცდა ათის წლის წინად დამოწმებულ იქმნა ისეთის სარწმუნო მოხუცის-მიერ, როგორიც იყო დიდი და გულ-მხურვალე პატრიოტი კ. მამაცაშვილი. მამაცაშკილის აზრით, წერა-კითხვის ცოდნა და წყურვილი წიგნის სწავლისა ქართველთა შორის უფრო მეტად იყო გავრცელებული მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ვიდრე ამ ჩვენს დროსაო*.

და, აი, სწორედ ამ პირველ ნახევარში, როცა ერთის მხრივ

---

* კ. მამაცაშვილი ამ ოციოდე წლის წინად გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში.

მიძინებული და მიბინარებული იყო აზრი და გონება ქვეყნისა და ისმოდა მხოლოდ ჩხარა-ჩხური სამხედროთა დეზ-ხმალისა, ქუსილი ზარბაზნისა და ძველებურს წყურვილს ომიანობისასა და მტრის ჯავრის ამოყრისას იკლავდნენ ჩვენი რჩეულნი ქართველნი თუ დაღესტნელთა დევნითა და მუსვრით, თუ ბაიაზეთისა და ახალციხის აღებით, თუ ყარსის ძირს დაცემით, მეორეს მხრივ თავს იჩენდა, ინერციის ძალით, დიდი და მადლიანი საქმე წიგნის სიყვარულისა, წერა-კითხვის ცოდნის ხალისისა, ხელ-ნაწერთა გადაწერ-გაფრთხილებისა და მრავლად მათის შემოკრებისა და დაუნჯებისა. ოჯახი არ იყო თითქმის თავადისა და აზნაურისა ანუ მღვდლისა და მონაზონისა, რომ ნაბეჭდი და ხელ-ნაწერი წიგნები არა ჰქონოდა და, მათის კითხვითა და გადაწერით გართულნი არა ყოფილიყვნენ მამა-კაცნი და, ასე გასინჯეთ, დედაკაცნიც-კი.

II

დედ-მამა ილიასი. — მათი დახასიათება. — დაბადება ილიასი და მისი და-ძმანი. — ბავშვობა ილიასი. — აღზრდა მისი ყმაწვილობაში. — ნაკადული დემოკრატიზმისა. — პირველი ფიალა სიმწარისა.

ასეთი იყო იმ ჭავჭავაძეთა შტოს ოჯახიცა ყვარელში, საცა დაიბადა და გაატარა თვისი ბავშვობა და ყმაწვილობა ილია ჭავჭავაძემ. მისი მამა გრიგოლ პაატის ძე სამხედრო კაცი იყო, ოფიცერი ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისა, რუსულის საკმაოდ კარგად მცოდნე და რამდენადმე განათლებულიცა. მაშინ ხომ ისეთი დრო იყო, რომ თავად-აზნაური უფრო ან სამსედრო სამსახურს ეტანებოდა ან კიდევ მოხელეობას. მაშინდელი მემამულე თვეში ერთ თუმნიან ჯამაგირსა რჩეობდა სოფელში სახლ-კარისა და მამულის მოვლა-პატრონობას. მაგრამ ილიას მამა მალე გამოვიდა სამსახურიდან და თავის მამა-პაპეულ მამულში დასახლდა. მამული დიდი არა ჰქონდა და უფრო ღარიბი, ხელ-მოკლე ოჯახიშვილი იყო, ვიდრე შეძლებული. შეძლებული ოჯახი მაშინ თითო-ოროლა თუ იყო მოელს კახეთში. ასეთი ოჯახი ჰქონდა ალ. ჭავჭავაძეს და მარტო მის ოჯახს ეძახოდნენ „დიდ კნიაზის“ ოჯახს.

ნიშნობლივი თვისება გრიგოლის ხასიათისა, როგორც

გაგვიკონია თვით ილიასაგან, იყო სასტიკი მეტყველება სახისა და სასტიკობისავე გამომხატველი დუმილი. რამდენიმე დღე ხშირად ისე გავიდოდა, რომ მის ხმას ვერ გავიგონებდით, იყო მოღრუბლული და სახე-ჩამობნელებული, კოპებშეკრულიო. უნდა აღვნიშნოთ აქ ერთი მოწმობა, რომელიც ამ გარემოებას თითქო არ ეთანხმება. ბ.-ნი ა. ყ. თავის მცირე ბიოგრაფიულსა და ბიბლიოგრაფიულს შენიშვნაში ამბობს, მამა ილიასი, გრიგოლ პაატის ძე ყოფილა კაცი ოხუნჯი, კვიმატი და მკვირცხლის გონების პატრონიო*, მაგრამ ეს შეუთანხმებლობა ორ-გვარის მოწმობისა მხოლოდ გარეგანის ხასიათისაა და არსებითად ადვილი მოსარიგებელია. შესაძლოა, ოხუნჯი და კვიმატი დრო და დრო, ოჯახ-გარედ, სახლში ხშირად იყო დაფიქრებული და სასტიკის დუმილით მოცული. ეს ორივ თვისება — ნიჭი ოხუნჯობისა და სასტიკი დუმილი, დიდხანს ყოფნა ხმა-ამოუღებლივ — გამოჰყვა მის შესანიშნავ შვილსაც. ილიას სიყრმის მეგობარი, პატარაობიდანვე მასთან შეზრდილი ბ-ნი კოსტა აფხაზი ჰმოწმობს, მაგალითად, რომ ილიას ბავშვური, საოხუნჯო ლექსი „რწყილები“ მაშინ არის დაწერილი, როცა 12-13 წლისა იყო და ერთი ღამე გლეხ-კაცის ოჯახში გავათიეთ, რადგანაც მამითადიდან წამოსულებს გზაში დიდმა წვიმამ მოგვასწროვო. რწყილებმა ისე შეგვაწუხა იმ ღამეს, რომ ილიამ ის ოხუნჯობით სავსე ლექსი დასწერა. ისეთის კომიზმითა ჰქონდა აღწერილი ჩვენი ბრძოლა რწყილებთან, რომ სიცილით დაგვხოცა ტოლ-ამხანაგნი მის წაკითხვითა. იგივე კოსტა აბხაზი ჰმოწმობს, რომ, მართალია, ილია პატარაობიდანვე როგორღაც მიუკარებელი და ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინვე ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდაო. მეტის-მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და ვაი იმას, ვისაც სასაცილოდ აიგდებდაო.

მაგრამ ნუ გაუსწრობთ წინ ფაქტების ქრონოლოგიურს ზედ-მოყოლებას.

დედა ილიასი ქალაქელი იყო, გასათხოვრობისას სარწმუნოებით სომეხ-გრიგორიანი, გვარად ბებურიშვილის ქალი, სახელად მაგდან, ასული ქრისტეფორესი. „მაგდანის მამის ოჯახი ისეთი ოჯახი იყო, რომელშიაც სომხური არავინ იცო-

---

* ილ. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, გვ. 69.

და და მთლად ქართული იყო იქ გამეფებული; ისეთი ოჯახი, რომლისთანაც ამ მხრივ დღესაც არა ერთი და ორია, არამც თუ გორსა და ცხინვალსა, სურამსა, თელავსა და სიღნაღში, არამედ ტფილისშიაც. ხოლო უმთავრესი თვისება ამ ოჯახისა ის იყო, რომ ქართულ ენასთან ერთად, ყოველივე ზნე-ჩვეულება, ყოველი ინტერესი, სარწმუნოებრივს ინტერესს გარდა, წმინდა ქართველი იყო. თვით ილია ამბობს*, რომ დედა-ჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობაო. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლილი ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც-კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელ-ნაწერიო. ცხადია, ეს სიყვარული წიგნებისა და მათი ზეპირად დასწავლა ყმაწვილობიდანვე დასჩემებია მაგდანს და დედ-მამის ოჯახშივე განუვითარებია.

როცა მაგდანი დაუნიშნავს გრიგოლს, სულ 13 წლისა ყოფილა, მაგრამ მაშინვე გადაჭრით გამოუცხადებია შინაურებისათვის, მართლ-მადიდებლობა უნდა მივიღო, რადგან რძლად შევდივარ ისეთს ოჯახში, როგორიც არის ჭავჭავაძიანთ ოჯახიო. შინაურებს ეს არ მოსწონებიათ, მაგრამ ყმაწვილს ქალს თავისი გაუტანია და ეს გარემოებაა მიზეზი, რომ მაგდანი ქმარ-შვილობაში მარიამის სახელს ატარებს.

გრიგოლს და მარიამს სულ ექვსი შვილი მისცემიათ: ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟები: კონსტანტინე, ილია, თემური (თეიმურაზ) და სვიმონი; ქალები: ნინო და ელისაბედ. უფროსი კონსტანტინე უმაღლეს სასწავლებელში ყოფილა. მოუკლავთ ლეკებს, როცა წინანდლიდან გაუტაცნიათ დავით ჭავჭავაძის სახლობა და მდევრად გამოკიდებულთა შორის ისიც ჩარეულა. დარჩა ცოლი რუსის ქალი, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა და ვაჟიშვილი, ჭლექით გადაცვლილი რუსეთშივე. ილია განგებ წავიდა რუსეთში და ინახულა თავისი ძმის-წული, როცა მის ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა. თემური — მეორე ძმა ილიასი — გარდაცვლილა პეტერბურგს, როცა კადეტთა კორპუსში სწავლობდა. დედის სიკვდილს შემდეგ ორის წლისა დარჩენილა. სვიმონი ბავშვობაშივე გარდაცვლილა. უფროსი და ნინო მიუთხოვებიათ თ. ნიკოლოზ აბხაზისათვის, ხოლო უნცროსი ელისაბედ — თ. ჯამბაკურ-ორბელიანი-

* ავტობიოგრაფია. ჟურნ. „განათლება“ 1907 წ. სეკდემბერი.

სათვის. ელისაბედ შემდეგ დაქვრივებულა და მეორედ მისთხოვებია საგინაშვილს, გენერლის ჩინით გარდაცვლილს. ნინოსა და ნიკოლოოზს დარჩათ შვილი კონსტანტინე აბხაზი, რომელიც წელს თავადაზნაურობამ თავის მარშლად აირჩია, ელისაბედს შვილი არ ჰყავს, დღესაც ჯან-მრთელობით სუფევს და სახით ძალიან ჰგავს თავის სახელოვანს ძმას.

ილია დაიბადა 1837 წელს 27 ოკტომბერს. ამ თარიღს ზოგნი ეჭვის თვალით უყურებენ. საეკლესიო საბუთებით ილიას დაბადება აღნიშნულია 20 იანვარს და არა 27 ოკტომბერსაო. ეს საბუთები უფრო სარწმუნოა, ვიდრე თვით ილიას მოწმობა, მისი ავტობიოგრაფიაო. ილიას დაბადებას 27 ოკტომბერს ადასტურებს მისი და ელისაბედიც. ჩვენს სახლში იყო მაგარ ყდაში ჩასმული ძველი სახარება და იქ ეწერა ილიას დაბადება სწორედ მაგ თარიღითაო.

ილიას დედა მარიამი დიდი მოსიყვარულე ყოფილა თავის ქმარ-შვილისა და არავითარ ზრუნვას არ აკლებდა ბავშვებს. ჰზრუნავდა თურმე უფრო მათის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვობაშივე აღუძრა ხალისი წიგნის კითხვისა, ცნობის-მოყვარულობისა. ამ აზრით ხშირად უამბობდა იმ სხვა და სხვა მოთხრობის შინაარსს, რომელიც ძველად ბლომად მოიპოვებოდა ჩვენს მწიგნობრობაში და რომელიც ხელ-ნაწერებად ვრცელდებოდა. თვით ილიაც ჰმოწმობს ამას თავის ავტო-ბიოგრაფიაში და ჩვენც არა ერთხელ გაგვიგონია მისგან, რომ მე, როგორც პატარას და ტანად მრგვალს, დამაგორებდნენ ტახტზედ შუთაქასავით, დასდებდნენ ზედ ჩემზედ წიგნს და კითხულობდნენო. „საღამოობითაო, ამბობს ილია, დაგვსხავდა დედა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებსა. წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღეს საღამოზედვე გვკითხავდა, აბა ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად უამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით.

ბავშვობაში ილია არა ყოფილა ცელქი და მოუსვენარი, როგორც ეს სჩვევია, საზოგადოდ, პატარაობას. მისი უნცროსი და ელისაბედ ჰმოწმობს, რომ ილია ხალისით არ ერეოდა ტოლებში სათამაშოდ. უფრო მარტო ყოფნა უყვარდა და გართობას ერიდებოდაო. ამასვე ადასტურებს, როგორც ზემოდაც

მოვიხსენეთ, მისი მეგობარი კოხტა აფხაზი. აგრედვე გამდელიცა — სალომე ლოლაძე — რომლის მოწმობას თავის დროზე მოვიყვანთ ქვემოდ.

პირველ-დასაწყისი სწავლა ილიას, თავის ოჯახს გარდა, თავიანთ სოფლის მთავრის შინაურს სკოლაში მიუღია. რვა წლისა ყოფილა ილია, როცა ამ მთავრისათვის მიუბარებიათ. მთავარმა ძალიან კარგად თურმე იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა გავარდნილი საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა.

ეს გარემოება თუა, სხვათა შორის, მიზეზი იმისი, რომ ილიას თითქმის მოხუცებამდე შერჩა სიყვარული საღმრთო წერილის კითხვისა, მისის ქართულის ენა-მზიანობისა და სიღრმე-ძალისა, აგრედვე სახარების კარგის, კილოიანის კითხვისა ეკლესიაში. ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმად და ყოველ მხრივ შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა, ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად, ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უკვირდება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს, მის მიმოხვრასა, სინტაქსისსაო. თვითონაც ხშირად კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს, სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მათის წაკითხვისა; ისე აღდგომა არ გათენდებოდა თითქმის, რომ განსაკუთრებული გულის-ძგერა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა, უფრო-კი სახარების კითხვის მოსასმენად.

აქ ცხადად სჩანს ის გავლენა, ის ღრმა შთაბეჭდილება ყმაწვილობისა, რომელიც დაუტოვებია ილიას ნორჩ გულში საეკლესიო წიგნების კარგის კითხვით სახელ-განთქმულს მთავარს.

„იმისი უმთავრესი ღირსება კი ის იყოვო, ჰმოწმომს ილია, რომ მომსიბლველი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვების თვის ადვილად გასაგების ენით უფრო სამღრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებს, ვის რა გმირობა მოექმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნეობის სასარგებლოდ და დასაცველად“.

რა თქმა უნდა, ჩჩვილ ყმაწვილის ბუნებაში ღრმად ჩაი-

მარხებოდა ეს ამბები და წაუშლელს კვალს დასტოვებდა მის სულში. აკი თვითონვე ჰმოწმობს, ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თავდადებული“ თემად გამოვიყენე მრავალ-წლის შემდეგაო (1877 წ.). ერთი კიდევ საშობაო მოთხრობად დავწერეო. „ბლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისაო.

მთავრის სკოლა შინაურული სკოლა ყოფილა, იმისთანა, რომელიც ჩვეულებრივი იყო ძველად და რომელიც, სამწუხაროდ, ასე კვალ-წმინდად განჰქრა ამ ოცისა და ორმოცის წლის განმავლობაში. მაშინ და უფრო კიდევ წინად, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, წესად იყო მიღებული ამისთანა შინაური სკოლა, რომელიც გამართული ჰქონდათ, როგორც სასულიერეროთა, ისე ერისაგანთაცა: სოფლის მღვდელთა, მთავარ-დიაკონთა და ძველთა დედათა.

„Მთავართან ვსწავლობდიო, — განაგრძობს ილია: ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხ-კაცების შვილებთან. Ხუთნი თუ ექვსნი ვიყავით, რამდენადაც მახსოვს. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე. წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ საათს არ ვანდომებდით ხოლმე; დანარჩენი დრო იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედა-მხედველობით და ხელ-მძღვანელობით და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნაამბობს“.

აქ, სხვათა შორის, დიდად საყურადღებოა ის გარემოება, დამახასიათებელი ძველებურის ჩვენი ბატონ-ყმობისა, რომ თავადის ყმაწვილი იზრდება და იწურთნება სწავლაში ყმების შვილებთან ერთად. ეს თავის-თავად საყურადღებო გარემოება იმითია საინტერესო, რომ შესაძლოა ყმაწვილობიდანვე საფუძვლად დაედო ილიას სიყვარულს გლეხ-კაცობისადმი, ილიას სიყვარულს გლეხ-კაცის ენა-მეტყველებისა და ზნე-ჩვეულებისადმი, საფუძვლად დაედო მის დემოკრატიზმს სიჭაბუკეშივე და ბოლოს ყოველმავე ამან ისეთის ძლიერებით იჩინა თავი მის ნაწერებსა და ცხოვრებაში. ეგ დემოკრატიზმი, ეგ სიყვარული მდაბიოთა ლაპარაკის კილოსი და გამოთქმისა ჩაექსოვა მის ბუნების მეორე კერძოობას, არისტოკრატიზმს ჭკუისას, ძლიერებასა და მედიდურობას სულისას,

გავითვალისწინოთ მსვლელობა მთელის ჩვენის ისტორიისა, ხასიათი ჩვენებურის ბატონ-ყმობისა ძველად, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, აგრედვე ყოვლად საყურადღებო ინსტიტუტი ძიძაობისა, დღემდე დაცული მთელს დასავლეთს საქართველოში. მაგ ინსტიტუტის ძალით, ბატონის შვილი ყმის სახლში იზრდებოდა ნორჩობისას და შემდეგაც, თითქმის სასკოლო ჰასაკამდე და ამის გამო მყარდებოდა ყმასა და ბატონს შორის სულიერი და ხორციელი ნათესაობა. გავითვალისწინოთ ყოველივე ესე და მაშინ ისე აღარ გაგვიკვირდება ჩვენთა თავად-აზნაურთაგან გამოსულ მწერალთა დემოკრატიზმი და დიდი სიყვარული გლეხ-კაცობისა.

აქ საჭიროა ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ ილიას გამდელი სალომე ლოლაძეცა, რომელიც ქართლიდან გადაუყვანია ილიას ნათლიას გრიგოლ ჭავჭავაძისათვის. ილიას გამდელი თითქმის ილიას ტოლივე იყო. დღესაც ცოცხალია, ჯანსაღი და სრულის მეხსიერების პატრონი. გარეგნობით ტიპიური ძველი ქართველი ადამიანია. სალომე ლოლაძისას კარგად ახსოვს თურმე ილიას ყმაწვილობა და დიდის სიყვარულით იგონებს იმის ბავშვობას. ანგელოზი იყო, ანგელოზიო, — ამბობს თურმე: ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა, წიგნის კითხვას ეტანებოდა ძრიელაო. მეტისმეტი სრული იყო, ხორცით სავსე. მშობლებს ეფიქრებოდათ კიდეც იმის გადაჭარბებულის სისრულისა და სისუქნისაო. ამ მხრივ ილია დედა'ა ჰგავდა: ისიც სრული იყო და ტან-დაბალი. ილიას პატარაობისასვე უყვარდა ლექსები, გლეხის ბიჭებს გააჯიბრებდა ხოლმე ლექსების თქმაში. ერთხელ ერთმა ბიჭმა რაღაცა უწმაწური ლექსი სთქვა, ილიას არ ეჭაშნიკა და უთხრა, კარგი ლექსები არა გცოდნიაო. ილია ძალიან ხათრიანი იყო, ხმამაღალს სიტყვას არავის ეტყოდა, გაჯავრებულიც რომ ყოფილიყო. და-ძმებთან კარგად თავსდებოდა, გარდა უფროსი ძმისა, კოტესი. იმასთან როგორღაც ვერა რიგდებოდა. ილიამ მაჩუქა დუქნის ალაგი და სხვაფრივაც დიდად მწყალობდაო.

ცხადია ყოველ ამის შემდეგ, რა დიდი და მრავალ-გვარი ნაკადი დემოკრატიზმისა უვლიდა გარს ილიას ყმაწვილობას და რა ვითარებაში ინასკვებოდა ხასიათი მომავალის დიდის

მებრძოლისა, დემოკრატულ იდეისა და თავისუფლების ყოვ-
ლად-ქებულის მოციქულისა და ან სად არის სათავე და დასა-
ბამი დედა-ენის უტყუარ ალღოს აღებისა, ქართულის იმ ღრმა
ცოდნისა, რომელმაც ისეთის ძლიერებით იჩინა თავი ჯერ
ისევ „მგზავრის წერილებსა“ და „ელასხის ნაამბობში“, გინა
„კაცია-ადამიანში“.

დედა ილიას თერთმეტის წლისას მოუკვდა და ალბათ პირ-
ველად მაშინ შეიძრა ღრმად მისი ყმაწვილური სული. უნდა
ვიფიქროთ, დედით დაობლებამ დიდი იარა სევდისა გაუჩინა
გულში პატარა ყმაწვილს. დედა-შვილურს გრძნობას ილია
დიდის მოწიწებით იგონებდა ხოლმე შემდეგ, დიდობისას. მის
ნაწერებშიაც მკაფიოდ სჩანს, რა წმინდა გრძნობად მიაჩნდა
ილიას გრძნობა დედა-შვილურისა, დედა-შვილობის სიყვა-
რულისა. ამიტომ დედით დაობლებას ღრმა კვალი უნდა დაე-
ტოვებინა მის გულში. მალე ხომ ილიას მამაც მოუკვდა, ჯერ
ისე ყმაწვილს, 15—16 წლისას და ამან კიდევ უფრო გაუძლი-
ერა სევდა, მწვავე ტკივილი გულისა. უფროსი ძმაც ლეკებმა
მოუკლეს. ილიამ მთელი თავისი ჯიგარი დანარჩენ და-ძმასა
და ქვრივ მამიდაზედ დაჰყარა. ეს მამიდა, სახელად მაკრინე,
ქვრივი ივანე არაგვის ერისთავისა, დაიბარა გრიგოლ ჭავჭა-
ვაძემ თავის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ობლების სა-
პატრონებლად. მაკრინემ იტვირთა ეს მოვალეობა და ნამ-
დვილი დედობა გაუწია თავის ობოლ ძმისწულებს. ილიას
კერძო მიწერ-მოწერა ცხადად ამტკიცებს, რა მწვავე გრძნობას
განიცდიდა სულის მარტოობისას და თან რა დიდის მხნეობით
ითმენდა თავზედ დატეხილ უბედურებას. ეს მოთმენა, ეს გულ-
ში ჩაკვლა დარდისა და მწუხარებისა, გარეგნობით შეუმჩნევ-
ლობა დიდის შინაგანის ცეცხლისა მეორე ბუნებად გადაექცა
ილიას შემდეგში. გარეგნობით დამშვიდებულს, დიდხანს დუ-
მილით ყოფნის მტვირთველს, ადვილად ვერავინ მიუხვდებო-
და, რა მწარე გრძნობა სდუღდა მის გულში. ამიტომ ამბობდნენ
ხოლმე ხშირად ილიაზედ მისი ხასიათის უცოდინარნი, უგუ-
ლოა, ულმობელიაო. მთელი მისი ნაწერები სულ სხვასა ჰმოწ-
მობს. სულ სხვასა ჰმოწმობს ის წერილიცა, რომელიც მამი-
დას მოსწერა ილიამ რუსეთიდან 1860 წელს, როცა სიკვდილ-
მა ერთხელ კიდევ ძლიერად დასჩაგრა მისი გული და ხელი-

გამოსტაცა საყვარელი და უკანასკნელი პატარა ძმა თე-

მური, რომელიც პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავ-ლობდა.

აი ის წერილი, სავსე გრძნობითა და მწუხარებითა:

„საყვარელო მამიდავ!

„თქვენი წიგნი მომივიდა ფულით და, როგორცა სჩანს, მა-შინ არა გცოდნია ჩემი უბედურება. მამიდაჯან, რა დაუშავეთ ასეთი ღმერთს, რომ ეგრე უწყალოდ და შეუბრალებლად გვი-წამლავს დღეებს ამთვენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემური სად-ღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოდ პირველი და უკა-ნასკნელი ძმა, მერე რა ძმა?! ვეღარ გნახავთ ის საწყალი და უბედური. ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათე-სავებით, მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურ, რაზედ დამაობლე და დამაგ-დე?! შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუ-გეშად ცრემლი და წუხილი.

„მაგრამ რაღას უშველით, მამიდაჯან! ღვთის ნება და ღვთის რისხვა აღსრულდა ჩვენზედ! რა ვქნათ? რაც გამოვზ-დილვარ, სიკვდილის მეტი ბედი არ დაგვყოლია ჩვენ. მად-ლობა ღმერთს ამ გვარ ბედისათვის. ნუ იწუხებთ, მამიდაჯან! ამ ცხოვრების ღელვისაგან ბევრი მოგითმენიათ და ესეც მო-ითმინეთ.

„მე ვერა ვარ კარგად. ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლი-ლია. თუ ღმერთმა ბოლო არ მომიღო, კულავ ამ დროს დავ-ბრუნდები შინ კურს-გათავებული. მაგრამ მარტო მე მოვალ შინ, მამიდაჯან. თქვენი პატარა თემურ საუკუნოდ დარჩა აქ.“

თავში წერილს წარწერილი აქვს:

„ვაიმე, საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიე-რებაზედ არც ძმა შენი უბედური, ვეღარც მამიდა და ვეღარც დები შენი. სად წახველ, ჩემო საყვარელო ძმაო? შემომხედე მე და შემიბრალე, რომ უშენოდ ასე ვიტანჯები.

თქვენი უბედური ილია.“

რათა უფრო კარგად შევიგნოთ მიზეზი ასეთის დიდის მწუ-ხარებისა, უნდა ვიცოდეთ, რა ძრიელ უყვარდა ილიას ეს ერ-

თად-ერთი თავისი ძმა და რა დიდი იმედი ჰქონდა მისი, როგორც ფრიად ჭკვიანისა და ნიჭიერის ყმაწვილისა. ერთის წლის წინად მის გარდაცვალებისა ილია სწერს თავის უფროს დას ნინოს:

„თემურ ძალიან კარგად არის. გაიხარე, ნინუცი: კარგი, ჭკვიანი ძმა გვყავს, ღმერთმა აცოცხლოს! მარტო ერთი არ მომწონს ამისი, ძალიან ფიქრიანია.“

აქ ილიას ავიწყდება, რომ თვითონაც ფიქრიანი იყო და, ვეჭვობთ, უფრო მეტად, ვიდრე თემური.

III

ილია ტფილისში. — პანსიონში ჰაკკესი. — ილია გიმნაზიაში. — დუღილი ხასიათისა ანუ კრიტიკული ხანა.

მეთერთმეტე წელში გადამდგარი ილია მამამ ქალაქში ჩამოიყვანა და მიაბარა იანიშევსკისა* და ჰაკკეს პანსიონში. ეს პანსიონი ყველა მაშინდელ კერძო სასწავლებელზედ უკეთესი იყო, როგორც თვით ილია ჰმოწმობს ამასა და იქ აბარებდნენ თავიანთ შვილებს უფრო შეძლებულნი მოხელენი და ზოგიერთნი თავად-აზნაურნიცა.

პირველ გიმნაზიის არქივში შემდეგნი ცნობანი აღმოჩნდა ამ პანსიონის შესახებ. სასწავლებელი თვისის კურსით ეთანასწორება გიმნაზიის დაბალ კლასებს (ალბად პროგიმნაზიულს) და მოთავსებულია ტფილისში, სახლი პეპინოვისა, 2 ნაწილი, 1 კვარტალი. საზოგადო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ძველ ენებში — ლათინურს, ახალში — ფრანგულს, გერმანულს, აგრედვე ქართულსა და სომხურს. სუფთა წერასა და ხატვას გარდა, ევროპიულ ცეკვასაცა ჰქონდა დათმობილი რამდენიმე გაკვეთილი.

1852 წელს დაახლოებით ორმოცამდე ყოფილა მოწაფეთა რიცხვი. ამათ შორის $^3/_4$ — პანსიონერები და $^1/_4$ — ნახევარ-პანსიონერები. თავადისშვილნი — 5, რუს-მოხელეთა შვილნი — 25, უცხოელნი — 2. სომეხთა შვილების რიცხვი არა სჩანს,

---

* ილიას გადაჰვიწყებია ეს გვარი და მის მაგიერ თავის ავტობიოგრაფიაში მოხსენებულნ აქვს რაევსკი.

არა სჩანს აგრედვე მოქალაქე ქართველთა შვილნი იყვნენ თუ არა.

შესატანი ფასი პანსიონერთათვის ყოფილა დაწესებული 250 მან., ნახევარ-პანსიონერთათვის -- 200 მან.

ილია პანსიონში კარგა ხანს დარჩენილა — თითქმის შვიდს წელიწადს. ხუთს წელს იმდენად მომზადებულა, რომ გიმნაზიის მეოთხე კლასში მიუღიათ და ორს წელიწადს ამ კლასის კურსის გათავებას მონდომებია. ბინა ისევ პანსიონში ჰქონია და იქიდან უვლია გიმნაზიაში მთელის ორის წლის განმავლობაში. ამ დროს ილიას გიმნაზიის მთავრობა თავისუფალ-მოსიარულედ სთვლიდა...

ილია თვითონაც იგონებს ავტობიოგრაფიაში პანსიონსა და გიმნაზიაში თავის ყოფნის, მაგრამ ძალიან მცირე ცნობას იძლევა მაშინდელ სწავლა-აღზრდის შესახებ; პანსიონის შესახებნი ცნობანი კიდევ საკმაოა და გიმნაზიისა-კი სულ მცირეა.

„15 წლისა ვიყავიო, — გვიამბობს ილია,—როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი. მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით-კი ისევ პანსიონში ვიყავი. პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო, ყოველ მხრივ განათლებული კაცი. გერმანიიდან დაიპარა მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიდგარტმა თავის შვილების აღსაზრდელად; ხოლო ნეიდგარტის შემდეგაც ტფილისში დარჩა და პედაგოგ რაევსკისთან(?) ერთად პანსიონი დააარსა. ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმდენ მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმდენს სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივს განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალს დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა: ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკითა და ჰმართავდა ჩეღდა-ხელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა“.

აეე ახასიათებს ილია იმ პანსიონს, საცა ბედმა მიიყვანა ყმაწვილობაში და საცა ისეთი სასტიკი და თან მამობრივ მზრუნველი უფროსი დაჰხვდა პანსიონისა. ჩვენც არავითარი საბუთი არა გვაქვს, არ დაუჯეროთ ილიას და არ ვირწმუნოთ, რომ ამ პანსიონს მხოლოდ საკეთილოდ უნდა ემოქმედნა ილიას

ზედ იმ კრიტიკულს დროს, როცა ბავშვი ჰასაკში მოდის, რო-
ცა იწყება საშიში დრო ჭაბუკის ბუნების მღელვარებისა, ხა-
სიათის დუღილისა და ზნეობრივის მერყეობისა.

ამ კრიტიკულმა ხანამ, უნდა ვიფიქროთ, მშვიდობით განვ-
ლო, თავდაჭერით ჩაიარა ჯერ პანსიონში და მერე გიმნაზი-
აში. ილიას ხასიათი, ასე თუ ისე, დადუღდა და გამოიკვანძა
მაშინ, როცა უკვე უფროს კლასებში იყო და როცა ილიას აეშა-
ლა სხვადასხვა, ეროი-ერთმანერთის საწინააღმდეგო, სურვი-
ლი და გატაცება: ყმაწვილურის სიყვარულისა, ბერობისა, ვო-
ლონტერობისა გარიბალდის რაზმში და სხვ.

ყმაწვილურის სიყვარულის ამბავს კოხტა აბხაზი გვიამბობს.
ეგ გრძნობა პირველად ყმაწვილობაშივე ეწვია, როცა 13—14
წლის ილიამ დაუწყო ტრფიალი ვინმე ტერ-ასატუროვის ქალ-
საო. „მე და ილია ხშირად მიუახლოვდებოდით ხოლმე მის
„ღვთაების“ სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედავ-
და ხოლმე პატარა ქალი“. „ეს სიყვარულიო, — განაგრძობს
კოხტა აბხაზი თავის ნაამბობს: — თუ კი სიყვარულად ჩაით-
ვლება ბავშვური გატაცება, იყო წმინდა პლატონიური. საზო-
გადოდ ილია მეტად ადვილად „აენთებოდა“ ხოლმე, მაგრამ
გულის ცეცხლი არც ისე სანგრძლივი იყო ხოლმე. ტერ-ასა-
ტუროვის ქალს მალე მოჰყვა ჩვენის გიმნაზიის დირექტორის
დემენტიევის ასული, მაგრამ ამ გატაცებამაც ისე ჩაიარა, რო-
გორც ტერ-ასატუროვის ქალისა და ილიას სიყვარულმა“.

ილიას პატარა რომანი პეტერბურგშიაცა ჰქონია, მაგრამ
ამ რომანების ამბავი შემდეგ იყოს.

ილიას გატაცებაც გარიბალდის დიდებულ მოღვაწეობით
და თავ-გამოდებულ ბრძოლით ჩაგრულ ერთა განთავისუფლე-
ბისათვის ადვილი წარმოსადგენია. გარიბალდის სახელი და
მამაცობა ისე ჰხიბლავდა მაშინდელ შეგნებულ ახალგაზრდო-
ბას, რომ ილიას სურვილი ვოლონტერად წასვლისა გასაკვირ-
ველი არაფრით არ უნდა იყოს. ბევრად უფრო გასაკვირველია
და საეჭვოდაც ზისაზნევი მისი წადილი ბერ-მონაზნობისა,
თუმცა ამას, თვით ილიას სიტყვითვე, ჰმოწმობს ისეთი სან-
დო ადამიანი, როგორიც არის ავტორი „ბნელო“-სი. ისიც კი
სათქმელია აქ ამბის ღასადასტურებლად, რომ, როგორც ზე-
მოდაც იყო წოდებული, ილიას გარშემო, იქვე ჭაბუკობაში, ბევ-
რი უცნაური და იშვიათი გარემოება შეჯგუფდა, ისეთი გარ-

მოებ», რომელმაც, შესაძლოა, ცოტად თუ ბევრად, გაუღვია გრძნობა წუთისოფლის უმადურობისა, დაუნდობლობისა, სურვილი მარტოობისა, განდეგილობისა, ბერ-მონაზნობისა. ამიტომ არც ამისთანა სურვილის გაჩენა ადრე დაობლებულ ჭაბუკ ილიას გულში არ უნდა იყოს გადაჭრით უარსაყოფელი. ილიას დაობლებას დაუმატეთ მისი ბუნებით და მემკვიდრეობით თან-დაყოლილი მიდრეკილება მარტოობისა, ფიქრიანობისა და უარ-ყოფა ტოლ-ამხანაგთა შორის თამაშობით გართობისა, რასაც ჰმოწმობს მისი და ელისაბედ და გამდელი სალომე ლოლაძე; ივარაუდეთ ახლა სამღვთო წერილის კითხვის სიყვარული, იქვე ბავშობიდანვე ჩანერგილი მის ბუნებაში, აგრედვე გავლენა ქვრივის მამიდისა, დიდის სათნოებითა და ღვთის-მოსავობის გრძნობით შემკულის ადამიანისა და ადვილად მისვდებით, რომ ამ ბერ-მონაზონობის სურვილის გაჩენაც წუთი-სოფლისაგან დიდად გამწარებულ ახალგაზრდის გულში მეტის-მეტად არ უნდა გვეუცხოვოს. რასაკვირველია, გარშემო ცხოვრებაშიაცა და თვით ილიას ბუნებაშიაც აღმოჩნდა არა ერთი და ორი სხვა გვარი, უფრო ცხოველი ძალა და წადილი, რომელმაც დასჩაგრა ეს მიდრეკილება, მაგრამ სამუდამოდ-კი ვერ აღმოჰფხვრა მის გულიდან სიყვარული დუმილისა, მარტოდ-მარტო ყოფნისა, ბერობა-განდეგილობისა, იდეალურის ღვთის-მსახურისა და სამღვთო კაცისა, რაც ბოლოს ისე მკაფიოდ გამოცხადდა ხანში შესვლის დროს. გამოცხადდა ჯერ „გლახის ნაამბობის“ დაწერითა (დაიბეჭდა სრულად 1870 წ.), მერე გეორგ ებერსის იმ ისტორიულ რომანის თარგმანითა, რომელსაც ეწოდება „რამეთუ კაცი ვარ“ და რომლის შინაარსიც პირველ ქრისტეანე ბერ-მონაზონთა ცხოვრების აღწერას შეიცავს და ბოლოს „განდეგილის“ საოცარ სურათისა და ტრაგედიის შექმნითა. ჩვენის ფიქრით, ძნელია, თუ არ სრულიად შეუძლებელი, განდეგილის ისეთი ხელოვნებით დასურათება, როგორც ეს ილიამ მოახერხა, მარტოოდენ შემოქმედობის საიდუმლოებათა შემწეობით, მარტოოდენ პოეტურის ინტუიციით, უიმისოდ, რომ თვითონაც თვისის გულის სიღრმეში არ ეგრძნოს ძლიერი წყურვილი მარტოობისა, დიდი ქარ-ტეხილი სულიერ მღელვარებისა, რელიგიურის ექსტაზით გამოწვეული.

IV

გამზადება უნივერსიტეტში წასასვლელად. — პირველი ლექსები. — პატარა რომანი და მუნდირის ამბავი. — ერთი ეპიზოდი. — დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში წასვლის გადაწყვეტამ, რაიცა ადვილი არ იყო მაშინ, როცა მისვლა-მოსვლას დიდს მანძილზედ ადვილად ვერა ჰბედავდნენ, სულ მიჰფანტ-მოჰფანტა შავი ღრუბლები ილიას ცხოვრებისა, პირველ ხანს მაინც. ილია ახლა მხიარულ და უდარდელ ტოლ-ამხანაგებში გაერთო. ახალ შთაბეჭდილებათა მოლოდინი და სახალისო სახილველ-საცოდნელი მოჯარვით გარს შემოადგა. ილია გამოერკვა, გამოცოცხლდა; მისმა გულმა შეითამაშა, შორს წასვლის აუცილებლობამ სამშობლო ქვეყნის სევდა გაუჩინა, ნამდვილ მგოსნობის საღერღელი ახლა აეშალა და თვისი პირველი ლექსი მშობელ ყვარლის მთებს უძღვნა:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ წინ ვღვრიდი ჩემთ ცრემლთ ნაკადულს...
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთი სოფლის...

ილიას სტუდენტობისა და პეტერბურგში ცხოვრებისა მაინცა და მაინც ბლომად არა გვაქვს ცნობანი. თითონ ილიაც იშვიათად გაიხსენებდა ხოლმე თავის სტუდენტობის დროს და, როცა გაიხსენებდა, არა მცირედის აღფრთოვანებით იგონებდა ზოგიერთს თავის ტოლ-ამხანაგს და აგრედვე იმას, თუ ვის რა სასაცილო საქმე დაემართა ქალების ტრფობადევნაში.

თითონაც ვერ გადაურჩა გაუგმირავი ამურის ისარს. პოეტის გული მოინადირა და გაიტაცა გენერალ ჩაიკოვსკის ასულმა, ცნობილ რუს-კომპოზიტორის დამ. „ამ გენერლის ოჯახში ხშირად დავიარებოდითო, — ამბობს კოხტა აბხაზი: — და კარგადაც გვიღებდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ იმათთან წასვლას სადარბაზოდ, დიდს გაჭირვებაში ჩავვარდით, ერთი მუნდირი გვქონდა სტუდენტური და მარტოკა-კი არც მე მინდოდა წასვლა, არც ილიას.“

ბევრის ფიქრისა და ღელვის შემდეგ, ასეთი ხერხი თურმე მოიგონეს, იქირავეს თავ-დახურული ეტლი და, როცა ეტლი გაჩერდა ნაცნობ ოჯახის კარ-წინ, ჯერ ერთი ავიდა სადარბაზოდ და მერე, როცა ის ჩამოვიდა, მეორემ გადაიცვა იმისი მუნდირი ეტლში და ასლა ის ავიდა.

ილიას კერძო მიწერ-მოწერაშიაც არის მოსსენებული გაკვრით ამ პატარა რომანის ამბავი. ილია სწერს თავის უფროსს დას ნინოს. ქალური ვერცხლის ქამარი გამომიგზავნე ხანჯლიანით, ერთს ქალს დავპირდი საჩუქრადაო. „...მერე უნდა იცოდე, რა ქალია, — სწერს აღტაცებული ილია: — იმათ ოჯახში, როგორც შვილი, ისე ვარ მიღებული; ისეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს."

დედ-მამისა რა მოგახსენოთ და მათი ქალი-კი მართლა შეჰყვარებია ილიას. მხოლოდ ამ რომანსაც მალე მიეცა დასასრული: ჩრდილოეთის მშვენიერმა ასულმა ვერ თანაუგრძნო სამხრეთის მგზნებარე ბუნების შვილს. შეგვრჩა ხელში მხოლოდ ორი საუცხოო სალირიკო ლექსი, — ნაყოფი ამ ტრფობა-გატაცებისა. ერთს სათაურად აქვს: „ჩაიკოვსკისას" და იწყება ასე:

> უცხო თემის ყარიბს მთქმელსა
> რად აღმიგზენ სიყვარული?

ხოლო მეორე — „ს. ჩაიკოვსკისას" და იწყება ასე:

> სატრფოვ, ხშირად ლაღ ფიქრი
> განმიტაცებს სუბუქ ფრთითა...

რაკი სიტყვას მოაქვს, აქვე უნდა გავიხსენოთ ილიას ახალგაზრდობის ერთი ეპიზოდიც, რომელიც, ასე თუ ისე, ჩვენის მგოსნის სიყვარულს შეეხება. ეს ეპიზოდია ილიას ტრფიალი ე. მ-ს მიმართ. ამ სიყვარულს უკავშირებენ ილიას ცნობილ ლექსს:

> გახსოვს; ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
> მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?...

[illegible] ასე ყოფილა: ილიას სურვილი ჰქონია რუსეთში წასვლისა და უმაღლესი სწავლის მიღებისა,

მაგრამ ნივთიერი ხელმოკლეობა და დედ-მამით ობლობა აბრკოლებდა. მამიდა, კნ მაკრინეც რასაკვირველია კარგად იყო ჩახედული თავის ძმის ნატვირთ ოჯახის მდგომარეობაში და ჰხედავდა, რომ საღსარი არ იყო ილიას გამოზრდისა რუსეთში. მაგრამ საგულვებელია, მის გამოცდილს თვალს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ილია გულგრილად არ ექცეოდა ს. ჭ—ის ასულს, და აი, სხვა, ღონე რომ ვერა ჰპოვა-რა, კნ. მაკრინემ მიჰმართა შედარებით შეძლებულ ოჯახის შვილს. მოილაპარაკეს ორივემ და დაასკვნეს, რომ ს. ჭ—ემ უგზავნოს ილიას რუსეთში ფული სწავლის გათავებამდე იმ პირობით, როცა დაბრუნდება, მისი ქალი შეირთოს ცოლად. კოხტა აბხაზიც ამოწმებს ამ გარემოებას, მხოლოდ მამიდას მაგიერ ილიას მამას იხსენიებს. ეს, რასაკვირველია, შეცდომაა. ილიას მამა გარდაიცვალა 1852 წელს, როცა ილია ჯერ ისევ გიმნაზიის მეხუთე კლასში იყო. ჩვენის ფიქრით, შეცდომა უნდა იყოს ისიც, ვითომ ილიამ არა იცოდა-რა ამ მოლაპარაკებისა, არ იცოდა, ვითომ საიდან და ან რა წყაროდან მისდიოდა რუსეთში ფული და რა პირობითა, როგორც ამას გვიმტკიცებს კოხტა აბხაზი თავის მოგონებაში. შესაძლოა ილიას დაუკითხავად მოჰხდა მოლაპარაკება და მაგ უცნაურის პირობის დადება, მაგრამ საეჭვოა, რომ ილიას არა სცოდნოდა, ფული ვისგან მისდიოდა და რა აზრითა. კოხტა აბხაზის ნაამბობიდანვე სჩანს, რომ ილიას მეტად სამძიმოდ მიაჩნდა თავისი უხერხული მდგომარეობა, თავისი ორჭოფი ყოფა ამ საქმეში, თითქმის იტანჯებოდა კიდეც და უკადრისობდა ასეთს ყოფასაო. რუსეთიდან დაბრუნებისას სთხოვა მამიდას, სულ გადაუხადე, რაც ფული აგიღია, ს. ჭ-აო. და მამიდამაც შეასრულა ეს თხოვნა და ამით უზომოდ გახარებულმა ილიამ უთხრა თავის მეგობარ კოხტას: მომილოცე, კოხტა, დიდი და მძიმე ტვირთი მოვიშორე კისრიდან, სულ გადაუხადე ვალი ს. ჭ—ს, ახლა თავისუფალი ვარო. ყოველივე ესე ცხადად გვანიშნებს, რომ ილიამაც იცოდა პირობის დადების ამბავი, მაშასადამე, იცოდა ისიც, თუ საიდან და ვისგან მისდიოდა რუსეთს ფული.

თუ საბუთიანობა არ აკლია ამ ეპიზოდის ასე განმარტებას, მაშინ ისე ძნელი აღარ იქნება გამოცნობა იმისი, თუ ვინ არის ნაგულისხმევი ილიას ცნობილსა და დიდის ხელოვნე-

ბით დაწერილს ზემოხსენებულს სალირიკო ლექსში. ცხადია ის სატრფო არც ტერ-ასატუროვის ასულია, არც ტფილისის გიმნაზის დირექტორის დემენტიევის ქალი და მით უფრო არც დაჲ კომპოზიტორის ჩაიკოვსკისა.

დარჩა ერთად-ერთი მოსაზრება, რომ ის ტურფაა ს. ჭ—ს ასული, რომელმაც გაიტაცა ჭაბუკი ილია, ხოლო ამ გატაცებამ მისცა საბაბიცა და საბუთიც ს. ჭ-სა და ილიას მამიდას ის უცნაური პირობა დაედოთ. რა იცოდა ან ქალის მამამა და ან ილიას მამიდამ, ამ ძველებურ პატრიარქულ წესის სალხმა, რომელიც ოდესმე აკვანშივე ჰნიშნამდა ქალ-ვაჟს, რომ მაგნაირის პირობის დადება სრულიად აღარ შეეფერებოდა ახალს დროს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს, რომ ეგ პირობა საშიში იყო სიყვარულის საქმეში და ადვილად შეიძლებოდა მაგ სიყვარულის სამარედ გადაქცეულიყო. და სწორედ ასეც მოხდა. პირობა დაირღვა, საქმე ჩაიშალა. ნაზმა სფერამ გრძნობისა და პოეზიისამ ვერ აიტანა ულმობელი პროზა ცხოვრებისა.

მგოსანი სწერს სევდიანის კილოთი, თითქო სწუხს და ენანება ის დასამარებული წრფელი გრძნობა სიყვარულისა, კუკურშივე ჩამჭკნარი ყვავილი:

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!..

ცხადია სიყვარულის გრძნობას უფეთქნია, მაგრამ ალი ტრფობისა მალე ჩამქრალა, რაკი შესაფერი გარემოება არ შემოჰხვევია გარს. კოცნა გესლად, ტრფობა გმობად შეცვლილა:

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად,
შენის გმობით შემეცვლოდა.

ასეა, სიყვარული, აღტაცება, პოეზია ვერ იშვნევს პროზას, ანგარიშს, ამიტომ მოსდევს ხშირად დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილიცა.

უნივერსიტეტში. — სამშობლოს ჰაერი. — ცხოველი სურათები. — ნიშნები. — ამხანაგები. — ვითომ ზარმაცობა. — სულმა იგრძნო. — მუსიკა. — სპასოვიჩი. — აღფრთოვანება და რეფორმები. — „ოთხი წელიწადი".

პეტერბურგში ყოფნის დროს (1857—1861) ილია იდგა პირველად ბინად პირველ საადმირალო უბანში, კვარტალი მეორე, ვოზნესენსკი პროსპექტი, სასლი ვაჭრის ცოლის კოლ-ჩინისა, № 122. მერე ბინა გადაინაცვლა და დადგა ბალშაია მარსკაიაზედ, № 39.

თსოვნა უნივერსიტეტის რექტორ ემილ ქრისტიანის ძის ლენცისათვის სტუდენტად ჩარიცხვისა მიურთმევია გამოცდის შემდეგ 20 ივლისს 1857 წ. იმავე წლის 15 ოკდომბერს მაშინდელ სწავლა-განათლების მზრუნველს უცნობებია უნივერსიტეტის საბჭოსათვის, ჩარიცხეთ ილია ჭავჭავაძე სტუდენტად იურიდიულ ფაკულტეტზედ, საკამერალიო მეცნიერებათა განყოფილებაში, თანახმად მისის თხოვნისაო. 1 ნოემბერს შეუტანია ილიას სწავლის ფულად 25 მან. 15 იანვარს 1858 წელს უთხოვნია სიღარიბის მიზეზით სწავლის ფულისაგან განთავისუფლება. სიღარიბის მოწმობა წარუდგენია თელავის მაზრის მარშლისა. უნივერსიტეტი შეჰკითხებია მზრუნველს და ილია სწავლის ფულისაგან სრულიად გაუნთავისუფლებიათ. ამავე 1858 წელს გადასულა მეორე კურსზედ. შემდეგ 1859 წელს 22 ივნისს უთხოვნია ეგზამენის გადადება ავადმყოფობის გამო. თხოვნასთან წარუდგენია ექიმის მოწმობაცა. ექიმი ჰმოწმობს, რომ ილიასთვის უწყენია ჩრდილოეთის ჰავას. მაისის განმავლობაში ვსწამლობდი ავადმყოფს, სისხლს იღებდა გულიდან და, თუმცა სენმა იკლო ასლა, წამლობამ არგო, მაინც საჭიროა ავადმყოფისათვის სამხრეთის ჰაერი, თავის სამშობლო ქვეყნის ჰავაო.

ეს ავადმყოფობა იყო მიზეზი, რომ იმ ზაფხულს ილიამ რამდენიმე თვე თავის სამშობლოში გაატარა. ტფილისშიაც რამდენსამე ხანს დარჩა და სცადა ეს დრო ტყუილ-უბრალოდ არ გაეტარებინა. თუმცა საბუთებიდან არა სჩანს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მისის მეთაურობით მაშინდელ დიდ-კაცობის

ახალგაზდობამ განიზრახა იმ ზაფხულს ცხოველ სურათების გამართვა. სურათები უნდა ყოფილიყო საღმრთო წერილის ძველის აღთქმისა და მეფე ლირის ტრაგედიისა. შემოსავალი უნდა მოეხმარებოდა რაიმე სასარგებლო საქმეს, არა სჩანს-კი, სახელდობრ, რა საქმესა. ნებართვის აღება ძალიან თურმე გაჭირდა და საზოგადოდ ამ საქმის კეთილად წარმართვას მრავალი დაბრკოლება გადაეღობა წინ. თვით ოჯახის უფროსნი და მშობელნი იმათი, მეტადრე ახალგაზრდა ქალებისა რომელნიც მონაწილეობდნენ ცხოველ სურათების წარმოდგენაში, ძალიან ჰღელავდნენ, ჰშფოთავდნენ და წინააღმდეგობდნენ, არ შეიძლება მაგისთანა რამ საქმე იკისროს ქალმაო. ჯერ კიდევ ასე სათაკილოდ მიაჩნდათ მაშინ დიდკაცობის წარმომადგენელთ სცენაზედ გამოსვლა ქალისა და, არა თუ თამაშობა, არამედ ცხოველ სურათად უსიტყვოდ დგომა, თუმცა შვიდი-რვაწლის წინად თ. ვორონცოვის დროს ტფილისში სამუდამო თეატრი არსებობდა და წარმოდგენებიც ხშირად იმართებოდა თითქმის ორი-სამი წლის განმავლობაში...

ილია თვით მეფე ლირი იყო. ეტყობა იქვე ახალგაზდობაში ღრმად ჩასწვდენია გულში დიდებულ გენიოსის მიერ შექმნილი სურათი მოხუცის მეფე ლირისა და მისის ძლიერის სულის ქარტესილისა, რომ 25 წლის შემდეგ მან სთარგმნა კიდეც ქართულად .

ილიას სწავლაში კარგი ნიშნები ჰყავს საზოგადოდ. მხოლოდ მეორე კურსზედ ზოგს საგანში დაუჭერია ეგზამენი და ზოგში არა. მაკრამ მზრუნველის ნებართვით, ეაინც გადაიყვანეს მესამე კურსზედ იმ პირობით, რომ მეოთხე კურსზედ უნდა დაეჭირა ეგზამენი იმ საგნებშიაც, რაშიაც თავის დროზედ არა ჰქონდა დაჭერილი. ფაკულტეტი სანა სწერს, საორთვეოს შემდეგ დავაჭერინოთ ეგზამენებიო, ხან-კი: ნება მივცეთ, წელს ნუ დაიჭერსო. მეოთხე კურსზედ ყოფნის დროს უნივერსიტეტის საქმეში — გვ. 473 და 474 მიწერილია გადაწყვეტილება ფაკულტეტისა: დატოვებულ იქმნას წელს. ეს იყო 1861 წელს, როცა სტუდენტების არეულობა მოჰხდა და ილიაც იძულებული შეიქმნა სულ მიეტოვებინა უნივერსიტეტი [illegible] დაბრუნებულიყო. მხოლოდ 1863 წელს, [illegible] ილიას [illegible]ტორობით [illegible] „საქართველოს

მოამბე", მოუვიდა უნივერსიტეტიდან, თვისის თხოვნის თანახმად, მოწმობა იქ სწავლისა. მოწმობაში იყო აღნიშნული, თუ რა უფლება ჰქონდა მინიჭებული მის პატრონს, ვინიცობაა სამსახურში შესვლას მოინდომებდა. ეს მოწმობა დაწერილია 4 ნოემბერს 1863 წელს და ალბად იმიტომ დასჭირდა ილიას, რომ იმ დროს ჟურნალის ბეჭდვა შესწყვიტა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

ამ უმეტეს ნაწილად მშრალსა და ნაწყვეტ-ნაწყვეტს ცნობას ილიას ცხოვრებისას პეტერბურგში, მართალია, თავისთავადაც ინტერესი არ აკლია, მაგრამ ჩვენი ცნობის მოყვარულობა ვერ დასჯერდება, მეტი გაშუქება და განცხოველება სჭირია... მისი მეგობარი კოხტა აბხაზი ჰმოწმობს, რომ ილია ნიჭიერი და გონება-გახსნილი ახალგაზრდა იყო, მაგრამ თან დიდი ზარმაციაო. ეგზამენები რომ მოახლოვდებოდა, მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა საგნების სწავლას და ორ-სამ საათში იმდენს შეისწავლიდა, რასაც სხვა ორ დღეს მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამ გვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო სუბუქი, არამედ საფუძვლიანი, ზედ-მიწევნილი. ილია არ იყო მოძრავი ახალგაზრდა, აქეთ-იქით სიარულის მოყვარული, როგორც ეს ბევრს ყმაწვილს კაცს სჩვევია. ამხანაგებს აგრე-რიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი-კი იყო ყოველთვისაო.

ილიას ზარმაცობას მეორე მისი მეგობარიც არა ჰფიცავდა, ივ. პოლტორაცკი. ჩვენის ყურით მოგვისმენია, რა სიმკვეთრით ამხელდა ილიას ეს მისი გულითადი მეგობარი ამ ნაკლულევანებას, თუმცა-კი თან ხუმრობაში ატარებდა ამ თავის მხილებას. ღამე, ძილის წინად, წიგნის კითხვა უყვარდა თურმე ილიას, და როცა ძილი მოერეოდა, სანთლის გაქრობა დაეზარებოდა და ბიჭს უძახდა, შემოდი სანთელი გააქრეო. და ილიაც, უკვე ხანში შესული, ხუმრობის დიდი ამტანი, თვითონაც ოხუნჯი და სხვის სასაცილოდ აგდების მოყვარული,საოცრად იტანდა ასეთს დაცინვას, მეგობრის ასეთს მხილებას.

ჩვენის ფიქრით, ილიას სიზარმაცე, ცოტა არ იყოს, საეჭვოა, თუმცა სავსებით უარ-საყოფი არ არის. მის მრავალ-ფეროვან, რთულს ბუნებაში, ეგ ელემენტიც მოიპოვებოდა, ვითა

ნაყოფი მემკვიდრეობისა და ატავიზმისა, ისე როგორც მის ფსიხიკას, მის სულიერს ორგანიზაციას ემჩნეოდა არა სიმარტივე და ლიტონობა, არამედ დიდი, რთული და ღრმა მრავალ-გვარობა. მის რთულ ბუნებაში უცნაურად თავსდებოდა ერთად ღირსებაცა და ნაკლიც, ბეჯითობაცა და ზარმაცობაც, ტეტიურიცა და თავადურიც...

თვით აბხაზივე ამბობს გადაჭრით, რომ ილია მეტად გართული იყო სხვა და სხვა წიგნების კითხვაშიო. კითხულობდა, სხვათა შორის, ბევრს ძველ ქართულ წიგნებსაო. ძრიელ უყვარდა აგრედვე კითხვა პოლიტიკო-ეკონომიურ შინაარსის წიგნებისაო. ეგზამენები რომ მოახლოვდებოდა დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდაო. რამდენჯერ მინახავს, წიგნით ხელში მჯდომს ჩასძინებია და მერე ისევ განუგრძვია წიგნის კითხვაო.

ყოველივე ესე უფრო დიდს ბეჯითობას ჰმოწმობს, ვგონებ, ვიდრე ზარმაცობას.

„ზაფხულსაო, — განაგრძობს იგივე ამხანაგი თავის მოგონებას: — ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც — მე და ილია — ზაფხულობით იქ ვცხოვრობდით ხოლმე. ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედი და იქ ვეწვიე სამეგრელოს მთავრის დადიანის ასულს. ბატონიშვილმა მიბოძა წასაკითხად ორი ნაწარმოები ბარათაშვილისა, რამდენადაც მახსოვს, ერთი ლექსი „ჩემ მერანს“ და მეორე — პოემა „ბედი ქართლისა“. ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირ მოჰხიბლა ილია ამ ორმა მართლა შესანიშნავმა თხზულებამ! თითქმის მთელი ერთი კვირა სულ მოუსვენრად გაატარა და, ცხადლივ თუ სიზმრად, ბარათაშვილი ელანდებოდა. ალბად სულმა სული იცნო!

ბ-ნი აბხაზივე ამბობს, რომ ილია მუსიკას, საზოგადოდ არა სწყალობდა და არც ესმოდაო. მე იმისი მარტოდ-მარტო ერთი სიმღერა მახსოვს; ცხარედ სცემდა ოთახში ბოლთას და უცნაურის კილოთი მღეროდა:

Англійскій лордъ свободенъ и гордъ...

მართლაც, ილიას მუსიკის ნიჭი, მუსიკალური სმენა ძალიან ნაკლებად ჰქონდა განვითარებული. ევროპიული მუსი-

კაც ნაკლებად ესმოდა და ალბად ვერცა სტკბებოდა საკმაოდ ამ მუსიკით. არა გვგონია, ბევრჯერ ყოფილიყოს ილია ოპერაში. მაგრამ სიყვარულით-კი ძრიელ უყვარდა საზოგადოდ გალობა-სიმღერა, მეტადრე ქართული. როცა ლხინი იყო სუფრაზედ და მახლობელთა მეტი არავინ იყო, თითონაც აეშლებოდა ხოლმე საღერღელი სიმღერის თქმისა და აჰყვებოდა მომღერლებს, მაგრამ დისონანსის მეტი არა შეჰქონდა-რა საერთო სიმღერაში. ვერც ერთი ხმა, ვერც ერთი ნოტი, ვერც ერთი ნაწყვეტი ამა თუ იმ კილოსი სწორედ ვერ მოუვიდოდა ხოლმე და მომღერალნი რომ ერთს ამბობდნენ, ის სულ სხვას ამბობდა.

იმ англійскій лордъ-საც ალბათ ისე მღეროდა და ამიტომ თუ ამბობს კოსტა აბხაზიცა, უცნაურის კილოთი მღეროდაო.

მით უფრო ერთი ათად საკვირველია და საოცარი ის ძლიერი ალღო ქართულისა, მის ღრმა ცოდნისა, რომელიც გამოიჩინა ილიამ ახალგაზრდობაშივე, რადგან, ენის ცოდნა, ენის ალღოს აღება უეჭველად ჰგულისხმობს, ცოტად თუ ბევრად, მუსიკალურ სმენის განვითარებასაცა. ენა, არა მარტო ლექსში, არამედ პროზაშიაც, საუბარ-მეტყველებაშიაც რიტმისა და მუსიკის კანონებს ექვემდებარება, იგივე მუსიკაა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რა გარემოებაში განვლო ილიას აღზრდამ ყმაწვილობიდანვე და რა განსაკუთრებულმა ვითარებამ შეუწყო ხელი მის ქართულის ცოდნას და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ილიამაც ეგ ცოდნა სავსებით გამოიჩინა თავის დროზედ. ეგეც არ იყოს, ბუნებამ ხშირად იცის ასეთის საიდუმლოების გამოკვანძა, ასეთის უცნაურობის კაცთა თვალწინ დაყენება და ხშირად დიდ მემუსიკეს არ აძლევს ნიჭს, მჭევრ-მეტყველებისას-კი არა, თვით დედა-ენის ალღოს აღებისასა. ასეთი მაგალითიც არა ერთი და ორი მოიპოვება.

ილია სტუდენტობაში ისე, როგორც შემდეგაც, დიდი ლიბერალი ყოფილა. დიდს თაყვანს თურმე სცემდა ინგლისის სახელმწიფო წეს-წყობილებას. მეტად მოსწონდა ბაირონი და გლადსტონი, თაყვანსა სცემდა გარიბალდისაც, ამ დაჩაგრულ ერთა დიდს მოსარჩლესა და მოამაგეს. გარიბალდის დიდი სურათი შემდეგაც სიკვდილამდე განუშორებელი სამკაული იყო მის სამუშაო ოთახსა. გულის-ტკენით თურმე ამბობდა,

როცა ადარებდა თავის სამშობლოს ევროპის ქვეყნების მდგომარეობას: „ჩვენ ჯერ ჭოჭინა გვჭირიაო."

საზოგადოდ ამ დროს — და კიდევ დიდხანს შემდეგაც — როგორც ამას დაგვანახვებს მისი პირველ ხანის მოღვაწეობა სამშობლოში, ილია დიდის უარყოფით ეკიდება თავის ქვეყნის ძალ-ღონესა და ავლა-დიდებას, ეტყობა, რუსეთის ცხოვრების საშინელმა კრიტიკამ, მაშინდელ რუსთა მწერალთა მიერ წარმოებულმა, შეიპყრა ილიას არსებაცა.

არა ერთხელ უამბნია ილიას ერთი ანეგდოტის მზგავსი ამბავი პეტერბურგში ცხოვრებისა ნიმუშად მაშინდელ სტუდენტების განუკითხველის უარყოფითის მიმართულებისა და მათის გაწბილებისა.

ერთხელაო, — დაიწყო ილიამ: ერთს იაფ კუხმისტერსკში ვსადილობთ ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილიევის კუნძულზედ, იქავ უნივერსიტეტის ახლოს და რაღაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვივარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზდა რუსიცა, რომელიც იმავე საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შევეკამათეთ და არა დაუთმეთ-რა, თუმცა მეტად გარკვევითა და სადად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს — შევხედოთ და ის კაცი კათედრაზედ-კია გამოჭიმული უნივერსიტეტში და ლექციასა კითხულობს. აუდიტორია გაჭედილია სტუდენტობითა. ვიკითხეთ მისი ვინაობა და პირ-კატა-კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო.

საზოგადოდ ის დრო, როცა ილია სტუდენტად იყო პეტერბურგში (1857—1861), ღირს შესანიშნავი დრო იყო რუსეთისათვის. ყირიმის ომის შემდეგ, რომელმაც გამოააშკარავა ყოველივე სნეულება და სრული დაძაბუნება რუსეთის სახელმწიფოებრივის წყობილებისა, დიდად განცხოველდა მწერლობა და საზოგადო ცხოვრების მაჯამაც მეტის აჩქარებით დაიწყო ცემა. მთავრობაცა და ქვეყანაც მიჰხვდა, რომ ისე ცხოვრება, როგორც სცხოვრობდა რუსეთი მანამდე, ყოვლად შეუძლებელი-ღაარ. საჭირო იყო რეფორმები და, რაც შეიძლებოდა, ფართო რეფორმები რათა არეულობა არ დაწყებულიყო „ქვემო-

დან“, მთავრობამ არჩია „ზემოდან“ დაეწყო ცვლილებათა შემოღება. თვით იმპერატორმა ალექსანდრე მე-II-მ იკისრა მესვეურობა. გამოსნდნენ შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწენი და მსარში ამოუდგნენ იმპერატორს. როსტოვცევი, კისელიოვი, მილიუტინი, სპერანსკი, სემენოვი, ლანსკოი და ბევრნი სხვანიცა იყვნენ თანა-მოღვაწენი და თანა-მოსაგრენი რეფორმატორობით გატაცებულის ხელმწიფისა. მათი წადილი იყო უმთავრესად მოსპობა ბატონ-ყმობისა და მაისპო კიდეც ეს დიდის ხნის დაობებული, სულის შემსუთველი და ეკონომიურ-განვითარების ხელ-ფეს შემაორკველი, ძველი და ყოვლად უგვანი წესი ბატონ-ყმობისა, ზნეობრივ ერთნაირად გამათახსირებელი, როგორც ბატონისა, ისე ყმისა, სწორედ იმ წელს, როცა ილია გამოემართა თავის სამშობლოში.

საგლეხო რეფორმას მოჰყვა რეფორმა სასამართლოსი და გაისმა დიდებული სიტყვები: „სიმართლე და მოწყალება სუფევდესმცა სასამართლოში“, „სჯობს ათი დამნაშავე იქმნას გამართლებული, ვიდრე ერთი უბრალო და უდანაშაულო — დასჯილიო“.

სამოსამართლო რეფორმის შემდეგ საერობომაც აღარ დაიგვიანა და თვით-მართველობის წეს-რიგი შემოვიდა ქალაქებსა და სოფლებში.

რუსეთის მაშინდელმა მწერლობამ ხომ უაღრეს აღფრთოვანებამდე მიაღწია. პოეზიასა და პოეტურ პროზაში მეფობდნენ: ჯერ გოგოლი და ლერმონტოვი, ლ. ტოლსტოი, ტურგენევი, ნეკრასოვი, და მერე მათ ჩამოდაღმა: გრიგოროვიჩი, გონჩაროვი, დოსტოევსკი — ეს მოციქულნი ახალის წესწყობილებისა; პუბლიცისტიკაში ბრწყინავდნენ: ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი. პეტერბურგის უნივერსიტეტი სავსე იყო პირველ-ხარისხოვან მეცნიერ პროფესორებით: კოსტომაროვი, პიპინი, კაველინი, სტასიულევიჩი, სპასოვიჩი — აი ვინ იყვნენ მოძღვარნი და ხელმძღვანელნი მაშინდელ ახალგაზდობისა და, მაშასადამე, ილიასიც.

საჭირო იყო მხოლოდ გულის ყური და მონდომა, რომ აღამიანს ადვილად შეეთვისებინა ამ დიდებულ მოძღვართა ნადაგება. ახალგაზრდა ილიას, რასაკვირველია, ძალ-ღონე შესწევდა, რათა კარგად ჩაჰკვირებოდა მაშინდელ ჟამთა-ვი-

თარებას, განცხოველებულ საზოგადო ცხოვრებას, ზე-აღმატებულ მწერლობის და საზოგადოებრივის მოღვაწეობის იდეალით გაშუქებულ მეცნიერ პროფესორების კვლევა-ძიებას, ჩაჰკვირებოდა და შეეგნო, თუ ყოველივე არა, ბევრი რამ მაინცა.

და ილიაც ჩაუკვირდა და განიმსჭვალა საზოგადოებრივის იდეალებით. ილიასაც მოედო გულს ცეცხლი მოღვაწეობის სურვილისა, მწერლობის დროშის ზე-აღმართვისა და, აი, ილიას გული აღარ უდგება რუსეთში, გალომებული მოიბრძვის თავის ქვეყანაში მთლად აღელვებული, ჭკუა-გონება გადახალისებული, ახლად დაბადებული, ზღვა-გრძნობა მორეული, ღრმა ფიქრებში წასული...

თუ აქამდე მარტო იმასა სჩიოდა კერძო მიწერ-მოწერაში, მეყო ამდენი გარედ გდება და ხეტიალი, მოვიღალე სხვის კარეიოთად ყოფნითა, მინდა ჩემს სახლს დაუბრუნდეო, ახლა მოუთმენლად მოიბრძვის სამშობლოში მებრძოლთა გუნდის შიგ შუა-გულს ჩასადგომად, აქაურ მოშხამულ, დაობებულ ჰაერის გასაწმენდად, ახალის საპოლიტიკო, სალიტერატურო და საზოგადოებრივ აზრების სამოციქულოდ, საქადაგებლად.

იმ სულიერს მდგომარეობას, იმ ფსიხიკას, რომელსაც მაშინ ილია განიცდიდა, თვითვე საოცრად ჰხატავს თავისებურის სურათიან-ელვარე ენით „მგზავრის წერილებში", იმ ალაგას, საცა ახასიათებს თავის ყოფნას რუსეთში სტუდენტად ოთხის წლის განმავლობაში.

„ოთხი წელიწადი იყოვო, — ამბობს იქ ილია, — რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა* ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?! პირველი რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოჰშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის-კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია,

---

* ილია ალბად სათვალავში არ აგდებს, რომ იმ ოთხ წელიწადში ერთი ზაფხული სამშობლოში გაატარა ავადმყოფობის გამო.

რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გაშოჭკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა, ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხქვეშ არ ჩასტყდომია! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა!"

VI

ილია საქართველოში. — მერყეობა. — პირველი წერილი ოპოზიციონერისა. — ჩვენი „ცისკარი" ჯოჯოხეთის კარია და არა ცისა. თერგ-დალეულები. — „საქართველოს მოამბე". „კაცია-ადამიანი" და „გლახის ნაამბობი".

ილია უკვე საქართველოშია, თავის სამშობლო ქვეყანაში. დადგა ახლა დრო და ხემ ნაყოფი უნდა გამოიღოს, ხე საცნაურ უნდა იქმნას ნაყოფისაგან. ახლა დროა ძალ-ღონის ცდისა, ქვეყნის მსასურებისა, სამაგიერო ამაგის გადახდისა; თქვენი მტერი, თუ კვირტმა ძაღლ-ყურძენა გამოიტანა, მშვენიერ მტევნის მაგივრად, თუ ბეწვის ხიდი ჩატყდა და ზედ გავლის ეცდელი შიგ ჩაიტანა! მაგრამ არა, ეგ შეუძლებელია, იდუმალი ხმა ეუბნება ილიას, რომ მისი ვარსკვლავი იბრწყინებს...

აქედან რუსეთში მიმავალს გუდაურზე შესვდა დიდი მგოსანი გრ. ორბელიანი და, სხვებთან ერთად, მოწიწებით სალამს მიართვა. ეს კარგი ნიშანი იყო. პეტერბურგში გაიცნო სული მეორე დიდის მგოსნისა — ნ. ბარათაშვილისა და ბოროტი სული იძლია, შავი ყორანი არც ისე საშიში აღმოჩნდა. მაგრამ საქმე მესამე მგოსანია, მგოსანი დიდებული, გენიოსი. რუსთაველის ორ-მაგმა მოძღვრებამ, ელინიზმმა და პესსიმიზმმა, გაორა ახალგაზრდა მებრძოლის გული და დიდს მერყეობასა და ორჭოფობაში ჩააგდო.

ეს სოფელი მისანდობელი არ არის, წუთია წამწამისა მსწრობილი, სიზმარია, სიკვდილის ცელს იქნევს წაღმა-უკუღმა, მაგრამ რაო მერე? მაინც

„შიშს ვერ იხსნის სიკვდილსა"...
„ჭირსა შიგან გამაგრება უნდა"...

და, აი, ეს ჰო — არაობა, ეს მერყეობა ისადგურებს ილიას გულში, ისადგურებს და ჰღრღნის მის სულსა და გულსა, ეჭვი და რწმენა, სიყვარული და სიძულვილი, ბნელი და წათელი ებრძვის ერთმანეთს...

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას, — ამბობს ილია იმავ „მგზავრის წერილებში“ რუსეთიდან გადმოსვლის უმალვე: — და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც სხვა ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა?! იქნებ მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინცა და მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ ჰამიყოლოს და მიამბოს თავისი ამბავი და მე-კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ — კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა უთხრა და იმ სიტყვით უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გაუადვილო და ის თვითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველ კაცში არ ჟოლავდეს, ერთად შევიგროვო? შევიძლებ — კი? შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა? გადავსწვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულს შვილი ყურს უგდებს ვანა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია. ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის“...

და გააგებინა კედეც...

ნახევარმა საუკუნემ განვლო და მაგალითი არ ყოფილა, რომ მშობელს შვილის სიტყვა არ გაეგონოს და შვილს მშობლისათვის ყური არ დაეგდოს, მის დუმილსაც-კი გულით არ მიხვედრილიყოს.

დიაღ, მშობელმა გაიგონა შვილის ოხვრა და კვნესა, ჩიგილი და ვედრება, ნატვრა და იმედი...

ნახევარ საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობს ილია და ემსახურება თავის მშობელ ქვეყანას, როგორც მგოსანი და ბელეტრისტი, როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი, რო-

გორც საზოგადო მოღვაწე და მეცევრ-მეტყველი-ორატორი, როგორც ხელ-მძღვანელი ჟურნალ-გაზეთისა და სხვა და სხვა საზოგადოებრივის დაწესებულებისა.

მივყვეთ ფეხ-და-ფეხ ამ მოღვაწეობას, აღვნიშნოთ მისი უმთავრესი სტადიონები და, თუ ვრცლად არა, მოკლედ მაინც გადავშალოთ საზოგადო სურათი ამ მოღვაწეობისა. თან ნუ უგულებელ-ვყოფთ მის კერძო ცხოვრების ზოგიერთს შესამჩნევს გარემოებასაც.

ილია თავის ლექსებს „ციხეკრში" ჰბეჭდავდა პირველად. თავისი პირველი კრიტიკული წერილიც იქ დაბეჭდა 1861 წელს. ეგ პირველი საფეიუტო წერილი სამდვილი ყუმბარა იყო. მისმა ძალა-აფეთქებამ თავ-ზარი დასცა მთელ მაშინდელ მწერალთა კრებულს, ძირამდე შეარყია დაგუბებული, სავს-მოკიდებული სალიტერატურო ჭაობი და დიდი მითქმა-მოთქმა, დიდი ალიაქოთიც გამოიწვია. ბევრი აესია მაშინ ილიას და ჭლამოდა მის სახელის გატეხას, როგორც მგოსნისა და მწერლისას, მაგრამ მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. პირველს წერილს მოჰყვა მეორე, არა ნაკლებ ძლიერი, არა ნაკლებ გაბედული. ილიამ მიიტანა ახლა იერიში მაშინდელ ჩვენის სუსტის, ახლად ფეხ-აღგმულის მწერლობის ძველებურ ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა მრავალ უნიჭო ლექსების მჯღაბნელს, ძველებურს ორთოგრაფიას, მაღალსა და ბუნდოვანს სამწიგნობრო კილოს წერისას, რეტორიკას და პიიტიკას.

ოპოზიციონერობამ, ბრძოლის წყურვილმა მეტად წაიტყუა ახალგაზდა მწერალი და იქამდე მივიდა, რომ ჩასრუსაძე და შავთელიც-კი ერთმანეთს აფარა, იმათი ნაწერი ცარიელ სიტყვების ბრასა-ბრუხია და სხვა არაფერია, ან — კი რა აზრი უნდა იყოს ნაწარმოებში, როდესაც ზედ-შესრულის სიტყვით იწყება და ზედ-შესრული

უწუნებს ილიას აგრედვე ქართულს ლექსებშიაცა და პროზაშიაც. არ შეიძლება თქმა: „სუბუქ ფრთითა". „ფრთაო" მხოლოობითი რიცხვია და ფრენა-კი შეიძლება ფრთებითაო, უწუნებს აგრედვე მოკვეცილს ფორმას: „სუბუქ" და ვულგარიზმს უწოდებს ილიას სიტყვებს: წირპლიანი, აგანგალა, მიჭრიჭინებს ლექსები უხეირო ურემივითაო.

რევ. ერისთავი სცდილობს აამაღლოს ღირსება კაზლოვის პოემისა, რომელიც მთლად შემუსრა ილიას უწყალო კრიტიკამ და ბოლოს ეკითხება, ერთი ეს მიბრძანეთ, სიტყვა „შიგნიტიკური", თქვენს წერილში ნახმარი, სადაური ლექსიაო.

გრ. ბარათაშვილმა გაარჩია ილიას ლექსი „გაზაფხული" და, სხვათა შორის ის წუნიც დასდო, რომ ილია ჰნატრობს მამულის აღყვავებას. აბა, ეგ რა სანატრელია, შეჰხედოს და დაინახავს, რა ნაირ ამწვანებულია მინდორ-ველი ჩვენს ქვეყანაში ამ გაზაფხულის პირზეო.

ასე დაიწყო ილიას დებიუტი მწერლობის ასპარეზზედ. პოლემიკა გამწვავდა. ილიამ პასუხი დაუმზადა თავის ოპონენტებს, მაგრამ ფიქრობდა, ვაი თუ არ დამიბეჭდოს „ცისკარმა" ეს წერილიო და თავის ვინაობის დამალვა გადასწყვიტა. უგზავნის წერილს, ალბად ყვარლიდან, თავის მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს და ეხვეწება, შენ ნუ მიიტან ამ წერილს, შენ მსოლოდ დააჯერე ცენზორი და რედაქტორიც, რაკი კანონით იმათ უნდა იცოდნენ ვინაობა ავტორისა, რომ ეგ ფსევდონიმი — ზუმბერიძე — ნამდვილი გვარია-თქო. თუ მაინც უარზედ დადგეს ივ. კერესელიძე, რადგან ძრიელ ეშინიან რევ. ერისთავისა, დაემუქრე, ზუმბერიძე რუსულს ჟურნალში ან გაზეთში გიჩივლებს ქართველებთანა და გაარჩევს შენს საკუთარ ლექსებსა-თქო.

ამის შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რომ ილია ჯერ ისევ რუსეთიდანა სწერს თავის დას ნინოს, „ჩვენი „ცისკარი" ჯოჯოხეთის კარია და არა ცისაო".

არც ის არის გასაკვირველი, რომ მეორე წელსვე, თვის დაბრუნების შემდეგ რუსეთიდან, ილიამ დააარსა საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე" და გარს შემოიკრიბა თვისნი ტოლნი და ამხანაგნი, თვისნი თანამოაზრენი და თანა-

მგრძნობელნი. ახლა ბრძოლა დატრიალდა ორ ორგანოს შორის — ერთის მხრივ იყვნენ უფრო ძველნი მწერალნი, უმეტესად ძველის ტრადიციისა და აღთქმის მიმდევარნი მწერლობაში, ხოლო მეორეს — ახალგაზდანი, რუსეთში ნასწავლნი, ესრედ-წოდებულნი თერგ-დალეულნი. აქ ჩაისახა პირველად ბრძოლა მამათა და შვილთა შორის, რომელსაც სიკეთესთან სიავეც მოჰყვა და რომელიც თვით ილიამაც უარ-ჰყო ბოლოს.

„საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა პირველად ილიას ბევრ წვრილ ლექსებს გარდა, „კაცია ადამიანი“ ფსევდონიმით „ჯიმშერიძე“, დაიბეჭდა სრულად, „გლახის ნაამბობი“, რომელსაც იგივე ფსევდონიმი ეწერა და დაიბეჭდა არა სრულად, არამედ პირველი ხუთი თავი. ორივე მოთხრობაში ილია დაურიდებლად ჰხსნის პირს იმ იარას, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდება და ცხადად გვიყენებს თვალ-წინ საზარელს სურათს იმისას, თუ რაოდენ ჰრყვნის და ათახსირებს ეგ ბატონ-ყმობა, როგორც ყმას, ისე ბატონს, რადგან სათაკილოა და შემზარავი, როცა ადამიანი უფლობს ადამიანსა. ორივე მოთხრობა ჩაფიქრებულია ახალგაზდობაშივე, როცა ილია ჯერ ისევ რუსეთში იყო და სწავლობდა. ასევე ადრე იყო მოფიქრებული და დაწერილი „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, რომელიც საკმაოდ გვიან იყო გამოქვეყნებული და რომლის შინაარსიც იგივე დაგმობაა ბატონ-ყმობის არსებისა. ილიასვე ეკუთვნის ამ ჟურნალში წერილები, „ჩიტორელიძის“ ფსევდონიმით ხელ-მოწერილი და რამდენიმე ხელ-მოუწერელი თარგმანიცა. მკითხველი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ახალს ჟურნალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა არსებობამ დიდხანს ვერ გასტანა. ილიას შეუყვარდა გურამიანთ ქალი ოლღა და, თავის საკუთარ საქმეებითა და სამსახურში შესვლის ფიქრით გართულმა, შესწყვიტა მისი ბეჭდვა იმავ წელს, რომელშიაც დაიწყო, ესე იგი 1863 წელს.

ჯვარის წერა. — მეუღლე ილიასი. — ილია სახელმწიფო სამსახურში. — გონორარი. — ლამპარი დღისით. — ბარონ ნიკოლაის სიტყვები. — მოხევე. — დასაბამი შემოქმედობისა. — ორიგინალობის საფუძველი.

ილიას გული ეძებდა თანამგრძნობს, ცხოვრების მეგობარს, მეუღლეს. ტფილისში სცხოვრობდა ამ ხანად თავის ნათესავებთან ინსტიტუტიდან ახლად გამოსული, დედით ობოლი, ასული თადეოზ გურამიშვილისა, ოლღა. მისი უფროსი და ეკატერინე შეირთო ცნობილმა დიმ. სტაროსელსკიმ, რომელიც მაშინ ხელმწიფის მოადგილის კანცელარიაში მსახურებდა. ხოლო ოლღა, მისი მომდევნო მოეწონა ილიას და შეირთო კიდეც ცოლად.

საეკლესიო საბუთებში ასეთი ცნობა აღმოჩნდა:

1863 წ., № 10, 21 აპრილს.

სასიძო თ. ილია გრიგორისძე ჭავჭავაძე, მართლმადიდებელ სარწმუნოების მქონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებითა, 25 წლისა.

სასძლო თ. თადეოზ გურამოვის ქალი ოლღა მართლმადიდებელ სარწმუნოების მქონებელმა იქორწინა პირველ ქორწინებითა, 20 წლისა.

თავსმდებნი (პორუჩიტლები): 1. ვაჟის მხრივ დავით ქაიხოსროს-ძე ყიფიანი და ნიკოლოზ დიმიტრისძე ჭავჭავაძე; 2. ქალის მხრივ ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ილია ზაალისძე ჩოლაყაევი და კოლეჟსკი ასესორი თ. სულხან ნიკოლოზისძე თუმანოვი.

ჯვარი დასწერა ნიკოლოზ არდაზიანოვმა.

ჯვარის წერის წესი შეუსრულებიათ სამების ეკლესიაში ყოვლის ცერემონიის გარეშე. სულ ორის ეტლით მოსულან მეფე-დედოფალი და მეჯვარენი. ნათესაობა თითქმის სულ არავინ ყოფილა, არც ქალისა და არც ვაჟის მხრივ. ეტყობა თადეოზ გურამიშვილს, ღიდ და გორზ მემამულეს, სასიამოვნოდ არ დაჩნენია, რომ მისი ქალი შეირთო მცირე მა-

მულ-დედულის პატრონმა ჭავჭავაძემ. დრომ მოალბო გული ამაყის თადეოზისა და დაანახვა, რა სასიქადულო სიძე იშოვნა.

თვით მეუღლე ილიასი აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველის-მომქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანის ქმრისა და მაღმერთებელი მისის ნიჭისა. სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა ოლღა ილიას და თავისნი დღენი იმას სცდილობდა, მისი საწყენი და უსიამოვნო არა მოექმედნარა. როცა ილია სწერდა და თავის ოთახში მუშაობდა, სახლში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, სასტიკი მდუმარება იყო გამეფებული, ოლღას წყალობით, და არავის შეეძლო ხმაურობა რამ აეტეხნა, თვითონაც სულ ფეხ-აკრეფით დადიოდა ოთახებში, რომ მცირედმა ხმაურობამაც კი არ დაუშალოს ილიას წერა, გონებრივი მუშაობაო.

ერთხელ ილია ისე გაერთო თურმე მუშაობით, რომ თავს დაათესდა და კინაღამ შუა დღე მოვიდა. ილიას კაბინეტში კი ლამპარი ისევ ანთია. კ-ნა ოლღა ძალიან შეფიქრიანდა, ვაი თუ დაემართა რამეო და შიშით ვერც თვითონ ჰბედავდა შესვლას, ვერც მოსამსახურე შეეგზავნა. ამ დროს „ივერიის“ რედაქციაში თავი უკვე მოეყარნათ თანამშრომელთ და კნეინამ ერთს-ერთს მათგანს, განსვენებულს ალ. ნანეიშვილს მიჰმართა, მიშველე რამე, ასეა საქმე და ლამის შიშით დავილიოვო. რედაქცია და ილიას ბინა მაშინ ერთად იყო. ნანია, როგორც ვუძახოდით განსვენებულს, მაშინვე დაფაცურდა, შეაღო კაბინეტი და ასეთი სურათი დაუხვდა: ილიას ზურგი შეექცია საწერ მაგიდისთვის და ღრმა ფიქრში წასულიყო.

— ბატონო, — მიჰმართა თურმე ნანიამ: შუა-დღეა მოტანებული, რაღა-დროს ლამპარია?!

ასე იცოდა ილიამ. ბევრჯერ დასთენებია თავს გონებრივის მუშაობით გართულს.

კნეინას სათნო ხასიათს ილიაც სამაგიეროდ დიდად აფასებდა და სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა თავის ოლღას, რომელსაც უძღვნა თავის ხელით გადაწერილი კრებული თავის ლექსებისა და უკეთესი ნაწარმოები, სახელდობრ „განდეგილი“ — ეს ზვირგვინი მისის პოეტურის შემოქმედობისა.

მაგრამ მწერლობა და შემოქმედობა, რაც უნდა ნიჭითა ყოფილიყო შემკული და გასხივოსნებული, რაც უნდა ინტენსიური ყოფილიყო, ვერც დღეს და ვერც უმეტესად მაშინ, ვერ უზრუნველჰყოფდა მწერალს ნივთიერად. თავის დღეში არც-არა აუღია-რა ილიას მწერლობისათვის. სალიტერატურო სასყიდელი მისთვის არ არსებობდა, გონორარი არ აუღია ილიას არც მაშინ, როცა „ქართ. გამომ. ამხანაგობამ" იკისრა მის თხზულებათა პატარა ტომებად დაბეჭდვა 1892 წელს. ილია ცოტა სხვა ნაირის აზრისა იყო ამ მხრივ. სალიტერატურო გონორარი ორ-პირი მახვილიაო: ერთით დიდად საჭიროა, როგორც წყარო, ნივთიერად უზრუნველ-მყოფელი მწერლისა და, მაშასადამე, მისის დამოუკიდებლობისა, შეძლებას აძლევს მწერალს მთელი თავისი დრო და მოცალეობა გონებრივს მუშაობას შესწიროს. მეორეთი — სასყიდლის მიღება თითქო სავაჭრო საგნად ჰქმნის მწერლის ნაწარმოებს, მის ჭკუა გონების ნაშრომს, რომელიც წმინდა გულითა და ზრახვით უნდა იყოს ჩაფიქრებული, შექმნილი და არარა გრძნობა ანგარებისა არ უნდა იყოს შიგ ჩარეული. გონორარის გამოკიდებამ შესაძლოა გაიტაცოს მწერალი და ის, რაც მოკლედ ითქმის, სხარტულად და, მაშასადამე ძლიერებითა და მსატვრულის ზომიერებით, გააჭიანუროს და მით ნაწარმოებმა დაკარგოს მხატვრული ღირსებაო.

ასე იყო, თუ ისე, ილიამ გადასწყვიტა ნივთიერ საღსრის მოსაპოვებლად სამსახურში შესულიყო. 1864 წლის დამდეგს, როცა მთავროპამ განიზრახა გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან საქართველოშიც, ილია მიიღეს სამსახურში და გაჰგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოსელედ. ილიას დაავალეს გამოერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხთა შორის, ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

იმავე წლის მიწურულებში, სახელდობრ 28 ოკდომბერს, ბატონ-ყმობა გადავარდა ამერეთში და ილია დანიშნულ იქმნა პირველ მოწოდების მომრიგებელ შუაკაცად დუშეთს. ბარონ ნიკოლაიმ, მაშინდელმა უფროსმა ხელმწიფის მოადგილის საბჭოსამ, შემდეგ სწავლა-განათლების მინისტრმა და კარგმა მცოდნემ საზოგადოდ კავკასიის ცხოვრებისამ, მიუ-

ლოცა, სხვათაშორის, ილიასაც ახალი, ფრიად გულ-მისავალი თანამდებობა მომრიგებელის შუაკაცობისა და უთხრა: იმედი მაქვს დაამტკიცებთ, რომ ახალგაზდობა ნაკლულევანება კი არ არის, არამედ ღირსებაა.

ილიას თხოვნა აღარ უნდოდა. თითონაც მოწადინებული იყო, კარგად ჩაჰკვირვებოდა ახლად გაჩენილ ურთიერთობას ნაყმევთა და ნაბატონართა შორის და, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ხელი შეეწყო მათის მშვიდობიანის ცხოვრებისათვის. ახლა მიეცა ილიას შემთხვევა შეესწავლა ყოფა გლეხ-კაცობისა, მათი ზნე-ჩვეულება, ენა-საუბარი. ილია ახლა ხშირად არის გლეხ-კაცობაში, ხშირად ებაასება ახლა ავტორი „გლახის ნაამბობი"-სა თავის „ჭკვიან პეტრეს", კეთილს გაბროს, გამოყეყეჩებულს გლახა ჭრიაშვილს, თავის ნაცნობ მოხევეს, რადგან ხევ-გუდამაყარიც მის რაიონში იყო, იმ მოხევეს, რომელმაც ისე ჩააფიქრა, ისე დაანაღვლიანა თავის ლაპარაკით მაშინ, როცა პირველად შეჰხვდა დარიალის ხეობაში რუსეთიდან ახლად დაბრუნებული. ჩააფიქრა და დაანაღვლიანა ისე, რომ გულის სიღრმიდან დიდის კვნესით აღმოხდა ეს შესანიშნავი, ყოველ ქართველის გულში ღრმად ჩასაბეჭდი სიტყვები:

„მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა. იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დარჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი".

დიაღ, ილიას საკმაოდ ხანგრძლივს ყოფნას ხალხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შემოქმედებისათვის. ხალხში, სოფლად ცხოვრება, დაკვირვება და შესწავლა მის ავ-კარგისა, შთაბეჭდილებანი ბუნებისა, არაგვისა და თერგის ხეობისა უმნიშვნელოდ არ დარჩა ილიას შემოქმედებისათვის. მწერალი, მწერლის შემოქმედობა მუდამ რეალურს ცხოვრებაზეა დამყარებული. ამ რეალურს ცხოვრებაში აქვს მწერალს ფესვები გადგმული და ღრმად გაბოძიძგებული. და ეს აუცილებლად საჭიროა, რათა საკვები, უხვი საზრდო არ მოაკლდეს მის შემოქმედებას. მარტოოდენ გულიდან, მწერალი, თუნდ

ნიჭიერიც იყოს, ვერას გამოსწურავს, თუ თავის სამუშაო კაბინეტში ჰაზის და ნამდვილ, რეალურ ცხოვრებისადმი ზურგი შეუქცევია.

ამ აზრს იზიარებდა ილიაც, რასაც ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაცა, რომ ილია ხშირად ამბობდა: ძმაია რაზიკაშვილთა საუცხო პოეზია ნაყოფია მათის მთაში ცხოვრებისა, იმ შთაბეჭდილებათა, რომელიც მათს გულში ჩაუნერგია მთას, მთიელთა ცხოვრებასაო.

ილია უკიდურესობამდეც კი მიდიოდა ამ მხრივ. მისის აზრით, საკმაო არ იყო, რომ ეს ახალის ფორმაციის მგოსნები მთაში იყვნენ დაბადებულნი და იქ აღზრდილნი სასკოლო ჰასაკამდე. სკოლის შემდეგაც იქ უნდა იყვნენ, საშიშია იქაურობისაგან მათი მოშორება, ვაი თუ დაიშრიტოს მადლიანი წყარო მათის ფრიად ორიგინალურის შემოქმედობისაო.

VIII

ფსიხიკა გლეხ-კაცობისა. — სამშობლო ნაწერისა. — მზიან-ჩრდილიანები. — „შეღავათი და მოსვენება". — მამაშვილობა. — გამოცანები. — შეუტყვეს. — რა სთქვა გრიგოლმა? — დიდი საზრუნავი.

დუშეთში ყოფნისა და ხშირად სოფლი-სოფლად სიარულის დროს, ილია სავსებით იკმაყოფილებდა დიდის ხნის სურვილს: ჰკრებდა ზღაპრებსა და ლეგენდებს, აგროვებდა გლეხურს ლექსებს, ანდაზებსა და გამოცანებს, ერთის სიტყვით ყოველსავე იმას, რაც ამჟღავნებს გლეხკაცობის გულისნადებს და თვალ-წინ გვიშლის მის დარდსა და ნაღველს, მთელს მის სადა და მარტივს, მაგრამ საინტერესო ფსიხიკას.

პროვინციაში ცხოვრებისა და სამსახურის დროს დამთავრდა სტუდენტობაშივე მოაზრებული „გლახის ნაამბობი", იქ ჩაისახა ილიას გულში გეგმა „აზრდილისა" და მოთავდა, თუ სულ არა, პირველი მისი ნახევარი მაინც, იქ გაიგონა ილიამ ლეგენდა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო „განდეგილს", იქ შეითხზა ნაღველში ამოვლებულ კალმით დაწერილი სატირა: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით" ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა, იქ გამოითქვა მწვავე „ეამოცანები" და დაიწერა „ბასუხის ბასუხი".

ასე ნაყოფიერი იყო ლიტერატურულის შემოქმედობის მხრივ ცხოვრება ილიასი პროვინციაში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიცა, რომ საპირეს სარჩულიც უდევს, მზის გულს ჩრდილი უკანა სდევს და სინათლეს სიბნელე ახლავს. ილიას დუშეთში სამსახური ჰქონდა ახლა არა მომრიგებელის შუაკაცისა, არამედ მომრიგებელის მოსამართლისა, სამსახური, შედარებით, არა ისეთი თავისუფალი და ეს სამსახური იმდენს დროს ითხოვდა, რომ ილიას ნაკლებად-ღა ჰქონდა მოცალეობა წერისა და შემოქმედობისათვის. ეს მოუცლელობა დიდად უშლიდა ხელს მის შემოქმედობას და უწუხებდა სულს. ილია უჩივის ამ გარემოებას, ეძებს „შეღავათსა და მოსვენებას", ესე იგი თავისუფალ დროს, მოიბრძვის ტფილისში, უნდა სამსახურს დაანებოს თავი, ჰნატრობს კვლავ ჟურნალის დაარსებას, მაგრამ გარემოება, ნივთიერი ხელმოკლეობა ნებას არ აძლევს და ირთვის ჩვეულებრივი ძაფი წუთი-სოფლისა, ქვეყანა ბრუნავს ისევ თავისებურად და ყურადღებას არ აქცევს ადამიანის სულის წუხილს, მის ტრაგედიას.

და, აი, სწორედ ასეთს სულის წუხილს, ასეთს ტრაგედიას განიცდის ილია მაშინაც, როცა დუშეთშია და მაშინაც, როცა ტფილისშია ბანკის გამგებლად და ვერ იქმნა და ვერა, ხელთ ვერ იგდო ილიამ, იმ ზღაპრულის ჩიტისა არ იყოს, ეგ თავისი სატრფიალო „დიდი შეღავათი და მოსვენება", რომელიც, იმის აზრით, აუცილებლად საჭიროა მწერლისათვის საზოგადოდ და მისთვის კერძოდ. თვითონვე ამბობს ერთს თავის კერძო წერილში: მე ისეთის აგებულებისა ვარ, რომ წერისათვის დიდი მოსვენება და შეღავათი მეჭირვებაო.

1872 წელს ილია სწერს დუშეთიდან ცნობილს პ. უმიკაშვილს: გიგზავნი „კრებულის" მომავალის ნომრისათვის „აჩრდილის" პირველ სამ ხანას. მეტი არა მაქვს-რაო.

„დიდს შემწეობას კრებულისათვის მე ვერა გპირდები. მწერალს დამოუკიდებლობა უნდა. მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ასეთის აგებულებისა ვარ."

მეორე წერილში თითქმის ესევეა:

„მთხოვ ახალის რისამე მოწოდებას, მაგრამ ახალი მე გათავებული, ანუ უკეთ ვსთქვათ, შესრულებული არა მაქვს-

რა. გაეიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მომდის. მე სწორედ გითხრა, ცუდის აგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე. და მანამ მე „ჩინოვნიკობას" თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყებულს მალე შევასრულებ და, თუ დაწყებული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა. მე იმ დაწყებულს ვეღარ მოუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვსწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არის. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო!"

ფრიად საინტერესო და დამახასიათებელი წერილია!

ზემოთ ვახსენეთ გამოცანები. მათი ამბავი კარგად იცოდა ძველმა თაობამაცა, ილიასამაც და მისმა მომდევნომაც, ხოლო დღევანდელმა თაობამ აღარა იცის-რა თითქმის იმათი. საქმე ის არის, რომ სამოციან წელთა შორის ჩამოვარდა უგემურობა ჩვენ მოწინავე საზოგადოებაში და ორი ბანაკი გაჩნდა: ბანაკი ძველთა და ახალთა, მამათა და შვილთა, რუსეთში ნასწავლთა ანუ თერგ-დალეულთა და შინ გაზრდილთა შორის. უგემურობა და მოპირდაპირობა უსიამოვნებად გადაიქცა, ყრუ ბრძოლა დაიწყო და მერე და მერე ეგ ბრძოლა თან-და-თან გაძლიერდა, გამწვავდა. ძველი თაობა, როგორც ვიცით, სხვა გზით მესვეურობდა ჩვენს ქვეყანას, ვიდრე თაობა ილიასი. მართალია, ეგ თაობა პირველში დიდს და მსურვალე პატრიოტობას იჩენდა, შეთქმულობის მოწყობაც გაჰბედა და ტანჯულთა შარავანდედითაც შეიმოსნენ მისნი რჩეულნი წარმომადგენელნი, მაგრამ შემდეგ მებრძოლ პატრიოტების სული გაჰქრა ძველ თაობაში. როგორც თავშიაცა გვქონდა მოხსენებული, თ. ვორონცოვის ტკბილმა პოლიტიკამ დაამშვიდა ტკივილები გულისა და მებრძოლნი შეარიგა მთავრობასა. მეამბოხე მამებმა დაიჯერეს, რომ მთავრობა სიკეთესა სცდილობს საქართველოსთვის და ჩვენ მხოლოდ ხელი უნდა შეუწყოთ მის მამობრივს ზრუნვასაო. თერგ-

დალეულებმა კი ასეთი მიმართულება, ასეთი „მრწამსი" არ შეიწყნარეს. ძველებმა დაიწყეს კულტურული მუშაობა: თეატრი, მწერლობა, ბეჭდვა ძველის წიგნებისა და სხვა ამგვარები. ყოველ ამ საქმეში მთავრობის იმედით იყვნენ. ის აღგვიპყრობს ხელს, მოგვცემს შემწეობას, არ მოგვაკლებს თავის უხვებასაო. და მართლა ასეც იყო ერთს ხანს. მთავრობა სცდილობდა სწავლა-განათლებისათვის, ქართულის ენის სწავლებისათვის სკოლებში, საცა რუსებისათვისაც კი სავალდებულო იყო ჩვენი დედა-ენა, თეატრისათვისაც, მწერლობის აღორძინებისათვისაც, ძველ წიგნების ბეჭდვისათვისაც და სხვ. მაგრამ ეს ზრუნვა მთავრობისა მალე გაჰქრა. ძველი თაობა კი ისევ ძველებურად აზროვნობდა და თავის იმედიაწობას არ იშლიდა. ამ პოზიციას მესამოციანები ვერ შეურიგდნენ. მათი აზროვნება სულ სხვა ჩარჩოებში იყო ჩამოყალიბებული, სხვა შუქით იყო განათებული. ძველთა შორის თითო-ოროლა ისეთიც ერია, რომ გული სტკიოდა, მთავრობამ რად განიზრახა ბატონყმობის მოსპობაო. თერგ-დალეულებმა კი, სხვაფრივ მთავრობის საწინააღმდეგო ფსიქოლოგიით გაჟღენთილებმა, ამ საქმეში მხარი მთავრობას მისცეს და, თითქოს ძველების ჯიბრზედ, მიიტანეს ძლიერი იერიში ბატონების წინააღმდეგ.

ძლიერი იერიში მიიტანეს ამასთანავე თითქმის ყოველსავე ძველებურზედ, რათა ძველებური ტრადიციები ძირიანფესვიანად აღმოეფხვრათ.

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...

გაისმოდა თერგ-დალეულების მედროშეს ძახილი. ამათმა ასეთმა პოზიციამ ძალიან გაამწარა ძველები, იმიტომ რომ იმათი პატრიოტობა, სხვათა შორის, ძველ ტრადიციების პატივისცემაზედაც იყო დამყარებული. ბატონყმობაც, ასე თუ ისე, ბურჯად ედგა იმ პატრიოტობას, აგრედვე ძველებური კილო წერისა, ძველებური ორთოგრაფია და სხვა ამ გვარები. და, აი, თერგ-დალეულების მედროშე ილიამ, ამ „ბურ-

თივით მრგვალმა ლიბერალმა“ აღარ დაინდო ძველები, ძველი აზროვნობა, ძველი ტრადიცია, მამა-პაპური კოტრიალი ტახტზედ, დარეჯან-თათქარიძეობა, აღარ დასჯერდა ბრძოლას ლექსებითა და მოთხრობებით, სალიტერატურო კრიტიკითა და პოლემიკით და მიჰყო ხელი ეპიგრამებს, გამოცანებს.

პირველად 1871 წელს 7 დეკემბერს დასწერა ცხრა გამოცანა და, ორს გარდა, სასტიკად დაჰგმო საგამოცანო გმირნი. მეცხრე გამოცანა თვით ავტორს შევხებოდა:

მეცხრე გამოცანად ითქმის,
ეს ვის დაუწერიაო, და სხვ.

შემდეგ იმავე წელსა და იმავე დღეს დასწერა სხვა შვიდი გამოცანა და დაჰგმო სხვათა შორის: მიხ. ლორის-მელიქოვი, რომელსაც ათის წლის წინად მიუხვდა მის იდუმალ გულის-ზრახვას, გრაფად გახდომის სურვილს.

„...მარჯვედ მოდის კოპის ყრაში,
ჰსურს ალჩუა, ჰსურს თაფია;
ბეურჯერ გაძვრა და გამოძვრა,
მაგრამ ვერ გაჰხდა გრაფია. და სხვ...

ლორის-მელიქოვი მაშინ თერგის ოლქის უფროსი იყო და კავკავში სცხოვრობდა. იქვე სცხოვრობდა მიხ. ზ. ყიფიანი, გამგე გამიჯვნის საქმისა თერგის ოლქში. ლორის-მელიქოვი, ისე როგორც ბევრი მაშინდელი მაღალხარისხოვანი სომეხი, ქართველებში არ გამოირჩეოდა. მოსე არღუთაშვილს, ვ. ო. ბებუთაშვილს, ლორ.-მელიქოვს, მიხ. თუმანიშვილს, შანშიევს ყოველივე ქართული საინტერესოდ მიაჩნდათ, ენა და ფსიქოლოგია ქართული ჰქონდათ. ასეთივე ფსიქოლოგიისა იყო ავთანდილოვიცა, ტფილისის მოქალაქე, მამა ექიმის ავთანდილოვისა. აი ეს ავთანდილოვი აწვდიდა ტფილისიდან ახალ-ახალ ამბებს მ. ყიფიანს კავკავში და ატყობინებდა ქალაქის ყოველ გარემოებას. პირველი ცხრა გამოცანაც მაშინვე თურმე აფრინა კავკავში. ცხადია, რა სენსაციასაც გამოიწვევდა ასეთი გამოცანა-ეპიგრამები კავკავის ქართველთა შორის. მერე, დანარჩენი შვიდი გამოცანაც რომ მიუვიდა მ. ყიფიანს და წაუკითხა ლორ.-მელიქოვს, მომავალ

ჭავმჯდომარეს უზენაესის კომისიისას, ვერაფრად ეჭაშნიკა თავის-თავის გამოჭიმვა გამოცანაში და ერთს წამს სახე მოეღრუბლა, მაგრამ ისევ მალე გამხიარულდა და სთქვა: მაინც ბავხდები გრაფიო*. და ხომ გახდა კიდეც ცხრა წლის შემდეგ!

საინტერესოა, როგორ დაუხვდა გრ. ორბელიანი გამოცანებს. გრიგოლი მაშინ ტფილისის გენერალ-გუბერნატორი იყო. „არა, არა მწყინს, — სთქვა თურმე გრიგოლმა. — მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოდ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის ზრახვანი“**.

არ გასულა რამდენიმე დღე, რომ გრიგოლმა მისცა ილიას თავისი შესანიშნავი პასუხი. პასუხს მოჰყვა არა ნაკლებ შესანიშნავი პასუხის-პასუხი ილიასი, ექვს თავად დაწერილი, სულ რამდენისამე დღის შემდეგ გრ. ორბელიანის პასუხის წაკითხვისა, სახელდობრ 26 ივნისს 1872 წ.

და მოეფინა თითქმის მთელს საქართველოს ეს ხელ-ნაწერი საეპიგრამო ლიტერატურა, რომელსაც ბევრნი და ძლიერ ბევრნი გატაცებით კითხულობდნენ, სულ ზეპირად სწავლობდნენ, ისე ღრმად სწვდებოდათ გულში როგორც გამოცანები, ისე პასუხი და პასუხის-პასუხი — ეს სრული გამოხატვა ორის სხვა-და-სხვა მსოფლ-მხედველობისა, ორის ბანაკის განსხვავებულ ფსიხოლოგიისა, მამათა და შვილთა შორის ატეხილ დავისა.

სწორედ ამ ხანებში გაუჩნდა ჩვენს ქვეყანას დიდი საზრუნავი პრაქტიკულის ხასიათისა და დიდად საიმედო იმ ეკონომიურ შედეგით, რომელსაც მოელოდნენ მისგან მეთაურნი და საქმის დამწყებნი. ეს დიდი საზრუნავი იყო ბანკი, რომლის დაარსების აზრი პირველად მოუვიდა ფიქრად ჩვენს დიდს მამულიშვილს დიმ. ყიფიანს, და აი ამ საზრუნავმა, მისმა ჯერ განხორციელების საქმემ და მერე მის წარმართვისა და მკვიდრ ნიადაგზედ დაყენებისამ მოინდომა თითქმის მთელი ძალ-ღონე იმისთანა ძლიერის კაცისა, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე.

---

* ნაამბობი ვ. ყიფიანისა.

** ნაამბობი ალ. საკანელისა.

IX

ილია ტფილისში. — მცირე მოსვენება. — ახალი კვირეული ჟურნალი. — დიდი იმედები. — რენანი. — დიმიტრი თავ-დადებული. — სინედრიონი. — მტკიცე პოზიცია. — დუელი. — შეგვინდე და მოგვიტევე. — შობასაც და ნათლობასაც.

ბანკის ამბავი შემდეგ იყოს. ახლა კი ისევ ილიას სალიტერატურო მოღვაწეობას გავადევნოთ თვალ-ყური. 1875 წელს ბანკის გამგედ არჩეული ილია ახლა ტფილისში ცხოვრობს იმათ სასიხარულოდ, ვინც წინადვე ნდომობდნენ მის გადმოსვლას ქალაქში და დაჟინებით იწვევდნენ, ტფილისში გადმოდი, რათა უფრო ინტესიურად იმუშაო მწერლობის ასპარეზზედაო. თვითონაც გულით იყო მოწადინებული ტფილისში ცხოვრებას, უფრო იმიტომ, რომ მთლად ჩაბმულიყო სალიტერატურო შრომაში, კვლავ დაეარსებინა ჟურნალი.

ჯერ ისევ 1872 წელს, იქვე დუშეთში, არ ასვენებდა ილიას ეს აზრი, ჟურნალის გამოცემისა. იმავ პ. უმიკაშვილს სწერდა დუშეთიდან: „ჩემი გადმოსვლა ქალაქში ადვილია, თუ ადგილი რამ განთავისუფლდა. დაპირებულნიც არიან, რომ ადგილს მომცემენ მანდა, მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურს გარედ ვიყო. სამსახურის თავის დანებება ჩემთვის ამ ჟამად დიდი არაფერია. და თუ სამსახურიდან გამოვალ, მარტო იმისთვის, რომ ჟურნალი გამოვსცე. ვფიქრობ, ვფიქრობ და ეგ გამოცემა ვერ მომიხერხებია. აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს. თუ ორიოდ და სამიოდ რიგიანს (სად არიან?) მწერალზე იმედი მექნება, ანუ უკედ — მომეცემა, მაშინვე დავკრავ ფეხს, გადავარდები ბახტრიონ-გალავანზედა“.

როცა ბანკი მოეწყო და საქმე მისი, ასე თუ ისე, გაიჩარხა, ილიამ იგრძნო ცოტაოდენი მოსვენება და შეღავათიცა და ალბად დაინახა გარშემო ის ორიოდ-სამიოდეცა, ვისი იმედიც უნდა ჰქონოდა და შეუდგა თავის დიდის ხნის სურვილის განხორციელებას — ჟურნალის დაარსებას.

ეს ჟურნალი იყო ყოველ-კვირეული, სახელად „ივერია“ და პირველი ნომერი მისი გამოვიდა მარტში 1877 წელს.

„ივერიის“ დაარსებასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს ილიას ხელში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ლიტერატურისა და გონებრივის ზრდის განვითარებაში, ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჟურნალს და იმ ამაგს, რომელიც დასდო მისმა ხელმძღვანელმა თვისის ჟურნალის ბეჭდვით სრულის ოცის წლის განმავლობაში, თავის ქვეყანასა, ქართულს ენასა და მწიგნობრობას.

პირველშივე თანამშრომელთა მრავლად შემოკრებას ეცადა. ვას. მაჩაბელსა სწერს პეტერბურგს: „ჩვენი დავით იესესძე ჩუბინაშვილი ჰნახე, გაზეთი მივართვი, როგორც ჩვენს უხუცესს მწიგნობარს. სთხოვე ჩემს მაგიერ, ლაზისტანზედ რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამოგვიგზავნოს. მე თვითონ ვთარგმნი და ისე დავბეჭდავ...

მერე კიდევ: „ჩვენი ალექსანდრე ცაგარელი შეაფუცხუნე — გვიშველოს რამე“. ასე დაფაცურდა „დინჯი და მძიმე“ ილია თავის ჟურნალის უკეთ საწარმოებლად და მიიზიდა თანამშრომლად მცოდნე და გამოცდილნი მწერალნი.

ლაზისტანის ინტერესი კი მაშინ ამტყდარმა რუს-ოსმალოს ომმა გამოიწვია. ამ ომმა სხვა იმედებიც აღძრა, მაგრამ ბოლოს იმ „იმედისა დიდისა“ ძირს დიდი აღარა დარჩა-რა.

საინტერესო იყო ჟურნალში წერილები თვით ილიასი. ერთს მათ შორის თვითონაც გაიხსენებდა ხოლმე ათასში ერთხელ. იქ გამოთქმულია, სხვათა შორის, ის აზრი, რომელიც შემდეგ, სამი-ოთხის წლის უკან რენანმა განმარტა თავის წიგნაკში: რა არის ერი. წერილი გულ-თბილად არის დაწერილი, გახსენებულია წარსული, როცა მესხნი და ტაოკლარჯნი ჩვენთან იყვნენ ძმურად ერთს ფერხულში ჩაბმულნი და მესვეურობდნენ, პირველობდნენ კიდეც საქართველოს კულტურის აღორძინებაში.

აი ერთი პატარა ნაჭერი იმ წერილისა:

„ყოველი ერი თვისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თვისის სულის ღონეს, თვისის გულის ბგერას, თვისის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვითებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანთ ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთის ღვაწლის დამ-

დები, ერთს ისტორიულს უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია“...

რენანის წიგნაკის დედა-აზრიც ეს იყო. ერის დამახასიათებელი თვისება არც ერთ-ტომობაა, არც ერთ სარწმუნოება, არც ერთ ენიანობაო. ერთის ერის ერად შემქმნელი, ერთ ერად გარდამქცევი საერთო წარსულია, იმ წარსულში გამოვლილი ჭირი და ლხინიაო.

„ივერიამ“ კვირეულის ჟურნალის სახით ორ წელს გასძლო (1877—1878), ხოლო მესამე წელს გადაკვთდა თვიურ ჟურნალად. 1878 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა პირველი თორმეტი ხანა „დიმიტრი თავ-დადებულისა“, ხოლო დანარჩენი, ყოველ თვიურ ჟურნალის პირველ ნომერში და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინდელ მწერალთა და ახალგაზრდათა პატარა წრეში. ილიას დააბრალეს შეცვლა პოზიციისა, წარსულისკენ ცქერა, ცარიზმის პრინციპების მომხრეობა და იდეალიზაცია. ერთმა ჯგუფმა, რომელიც გაზეთ „ობზორის“ გარშემო იყო შემოკრებილი, ხომ მიზანში ამოიღო არა მარტო ჟურნალი „ივერია“, არამედ მთლად ის ჯგუფი, რომელიც ქართულ კულტურულ მუშაობას ადგა. მისი ერთ-ერთი თანამშრომელი, აწ განსვენებული გ. უთურგაური გაბედულად ებრძოდა ამ ჯგუფს და მასთან ერთად „ივერიელებს“. ძველ დროს შესტრფიან, საფლავებისაკენ მიუბრუნებიათ პირი, რაღაც „სექტა“ შეუქმნიათ, საკუთარი სინედრიონი ჰყავთ, მოძულე სინათლისა, ლიბერალიზმისაო. ენა მათი ხომ ანტონ კათალიკოზის ენაა, ძველის-ძველი, დაობებული, გაუგებარიო.

ერთის სიტყვით, თერგ-დალეულებს თითქმის იგივე გადახდათ და იგივე დაადგათ, რაც თვითონ დააყენეს მამებს, ძველებს და რაც შემდეგ დასელების წარმოშობვის დროს, ისე გაღრმავდა, გაძლიერდა და გამწვავდა.

ამ სახით, თუმცა დიდი იერიში მიიტანეს ეროვნულ ნიადაგზედ ახლა მკვიდრად დამყარებულ ჯგუფის წინააღმდეგ „ობზორელებმაცა“ და „იმედელებმაც“, საცა ტეტიათა მოტრფიალენი იყვნენ მოკალათებულნი, მაინც ძვრა ვერ უყვეს ამ პოზიციას, რომელზედაც იდგა იგი ჯგუფი და ილია თვისის ჟურნალითა და თანამშრომლებით.

დამახასიათებელია, რომ ამათ შორის ერთს მუდმივს და ჯამაგირიანს თანამშრომელს, რაც იშვიათი იყო იმ დროს, ძალიან ნაკლებად ჰქონდა ცოდნა ქართულისა, მაგრამ სულ რამდენსამე თვეში ისე შეათვისებინა ილიამ დედა-ენა, რომ მის ნაწერებს კაცი ძნელად გამოარჩევდა თვით ილიას ნაწერებისაგან. ეს თანამშრომელი იყო ნ. დ. ქანანოვი (ნ. დავითიშვილი), დღეს ბაქოს სახელმწიფო ბანკის გამგე.

ამ დროს ეკუთვნის ილიას გალაშკრება ჯერ თავის ქართულის დასაცველად, მერე ბ-ნ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ და ზემდეგ მზრუნველის იანოვსკისა და „М.-Въд-ის იერიშის მოსაგერებლად.

თავისიანებს ილია გაუმკლავდა სხარტულათი, ერთი-ერთმანეთს აფარა „დროებაცა", გ. თუმანიშვილიც ოვისის ალმაცახით და ნ. ნიკოლაძეც, რომლის შესახებაც რუსთველისებური პაროდია ასე იწყებოდა სხარტულის ბოლოში:

> იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს
> ნიკოლაძეი სვიანი*... და სხვ.

პოლემიკა თან და თან გაცხარდა. 1880 წელს „დროება" და „ივერია" შეერთდნენ. „დროება" ყოველ-დღიურად გადიქცა, ხოლო „ივერია" — კრებულად და სულ ოთხი წიგნი გამოვიდა იმ წელს. ახლა პოლემიკა ილიამ გადაიტანა გაზეთის ფურცლებზედ. 29 თებერვალს „დროების" 46 ნომერში დაიბეჭდა მეტად მწვავე მეთაური „ობზორის" წინააღმდეგ. კილოზედ ცხადად ეტყობა, რომ ეს ხელ-მოუწერელი მეთაური ილიასია. იმავე დღეს ილია დუელში იქმნა გაწვეული. დუელი მოჰხდა მეორე დღეს, 1 მარტს. ნ. ნიკოლაძის სეკუნდანტები იყვნენ: პოეტი სიმბორსკი და დ. გურამიშვილი, ხოლო ილიასი: ი. შალიკაშვილი და ნ. ერისთავი. სიმბორსკიმ, როგორც გულ-ჩვილმა კაცმა, სცადა შერიგება მოწინააღმდეგეთა და, რაკი ვერა გააწყო-რა, ქვითინი დაიწყო, არც ერთი არ ემეტებოდა ალბად სასიკვდილოდ და იმიტომ. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ გარემოებაც დაერთო, საბედნიეროდ, საქმე შერიგებით გათავდა. შედგენილ იქმნა ოქმი, საცა სწერია, რომ

---

* „ივერია" 1879 წ. № 4.

ილია უარ-ჰყოფს თავის წერილს „დროებაში“, ხოლო ნ. ნიკოლაძე აღარ შეეხება ილიას პირადობას „ობზორში“.

1879 წელს გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე და გამგე ქუთაისის ბანკისა ბეს. ღოღობერიძე. ილიაც დაესწრო დასაფლავებას და თავის ჟურნალში სთქვა სხვათა-შორის:

„...რჩეული კაცი იყავ და გულში გიღვიოდა ნაკვერჩხალი ქვეყნის გულ-შემატკივრობისა... ყველას არ ჩაახედებდი შენს გულში... მე ჩამახედე, ძმაო, ამ უკანასკნელს დროს შენს გულში და ჩემი უტყუარი გამკითხველი იქ ვპოვე. ბევრი დაგვიშავებია შენს წინაშე, დაგვიშავებია არ ცოდნით, მაშასადამე, არ ცოდვით. შეგვინდე და მოგვიტევე“.

ასე მოჰხადა ილიამ ბოდიში თავის თავსაც „გამოცანებში“ ბესარიონის სასაცილოდ აგდებისათვის და ნ. ნიკოლაძესაც, რომელიც აგრედვე ცხარედ ებრძოდა განსვენებულს საბანკო საქმეების გამო.

1880 წელს ამხედრდა ილია წინააღმდეგ იანოვსკისა, როცა მან მოინდომა ერთის კალმის მოსმით განადგურება ჩვენის დედა-ენისა სკოლებში. წერილი ილიასი დაწერილი იყო პედაგოგიის ი'ეთის ღრმა ცოდნით და ერუდიციით, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ასე ზედწევნით როგორ შეუთვისებია დედა-აზრები ჩვენის მეცნიერებისაო.

საზოგადოდ ილია, გაჭირვების ტალკვესს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. როცა საფრთხე რამ იყო მოსალოდნელი ჩვენის ქვეყნის ინტერესებისათვის, იმას შემოეხვევოდნენ ჩვენი მამულიშვილები, აბა, უნდა გვიშველო როგორმე, ხმა ამოიღო, ჩვენს საქმეს ემუქრებიან, დაბალ ღობედ დაგვსახეს, ლამის ზედ შეგვდგნენ და გაგვთელონო. მუდამ დინჯი, აუჩქარებელი, ილიაც ყურადღებით მოუსმენდა ხოლმე ყველას, სათითაოდ აჰკრებდა თითოეულის აზრს, ბოლოს ყველას ერთად თავითავს მოუყრიდა, გააშუქებდა საგანს, რაც უნდა რთული და დახლართული ყოფილიყო და იკისრებდა გამოსვლას საბრძოლველად; გამოვიდოდა, როგორც გამოცდილი ფალავანი წინადვე კარგად მოსაზრებულის საბრძოლველის გეგმით, შეიარაღებული ფერხით თხემამდე; გამოვიდოდა და იცავდა თავის ქვეყანას, თავის ძვირფას სამშობლოს ძნელად გასამეტს, უმაღლესს იწტერესებს.

ასე გაუმკლავდა ილია М. Въд-საც 1882 წელს, როცა ამ

გაზეთმა და მრსმა სულის ჩამდგმელმა კატკოვმა მასხარად აიგდო საქართველოს დროშა და ცხად-ჰყო თვისი კაცია-ჭამიაობა, თვისი დიდი სიძულვილი ქართველ ერისადმი.

საზოგადო და საჟურნალო მოღვაწეობით გართულმა ილიამ უკლო მგოსნობას, პატარ-პატარა ლექსების შექმნას, მაგრამ სამაგიეროდ მის გულის სიღრმეში ჰღვიოდა თურმე ამ დროს თესლი იმ ნაწარმოებისა, რომელიც ილიამ შესძღვნა თავის ქვეყანას ამავე 1882 წელს.

ეგ ნაწარმოებია „განდეგილი", რომლის თითქმის შობასაც უცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივ. მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო. „დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა", გვითხრა ილიამ, საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალ-წინ წარმომიდგა; თითქო თავ-ბრუ დამესსა, გამოვყეყეჩდი და თითქმის ვეღარა გავიგე-რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად.

„განდეგილი" დამთავრდა და წაკითხულ იქმნა განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სახლში. მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო. თუ ხსოვნა არ მღალატობს, წამოდგა ი. მ—ა, ცნობილი მოყვარული ქართულის მწერლობისა და სთქვა აღტაცებით: მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო.

გაიმართა საუბარი, კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა „ივერიაში" 1883 წელს, თებერვლის ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდეგილის სურათისა:

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს,
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა;
ზედ ეტყობოდა. რომ სული მისი

სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა...
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა
და მაღალს შუბლსა, ნოუბად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა... და სხვ.

X

ოლიმპიელი. — პუბლიცისტიკა. — დაცემული ვინაობა. — მთლიანი ეროვნული მსოფლ-მხედველობა. — ყოველ-დღიური გაზეთი. — მღვდელ-მოქმედება. — მოწოდება. — გათენებამდე. — რა უფრო ძნელია? — ცენზორი. — ენა-მზეობა.

„განდეგილის" შექმნის შემდეგ, სახელი ილიასი, როგორც პირველხარისხოვანისა და ღრმად მოაზრე მგოსნისა, უფრო გაითქვა და განდიდდა. სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოებისა ოლიმპის მწვერვალამდე ამაღლებს ილიას და ჰქმნის მის გარშემო საერთო თაყვანისცემის ატმოსფერას. ილიამაც თითქოს მოისვენა. მის ბუნებას მწვავედ აღარა სწვდება გულის სიღრმემდე და აღარ ამღელვარებს, მის ენას აღარ ამუსიკებს პოეტური სუჟეტები, პოეტურ სურათად გარდასაქმნელი მასალა ცხოვრებისა. ისე გადის მთელი ოცი და ოცდა ხუთი წელიწადი (1882—1907), რომ მსოლოდ ერთმა, ისიც ძველადვე შეტკბობილმა იდეამ შეჯაჭვა მისი გონება, დაატყვევა მისი სული. ეს იდეაა იდეა ქართველ ეროვნების ხსნისა, ქართველ ერის მკვდრეთით აღდგენისა. ამ იდეამ შეისხა ხორცი „ბაზალეთის ტბაში" და კიდევ ერთი ძვირფასი ალმასი შეჰმატა დიდებულ მგოსნის გვირგვინს.

სამაგიეროდ, ილია ახლა სცდილობს სხვა ღონითა და გზითაც მოჰფინოს მთელს საქართველოში ეგ დიდებული იდეა ქვეყნის ხსნისა. ეგ გზა და ღონე წინადაც ნაცადი ჰქონდა, ახლაც მის ხელთ არის და უნდა კვლავ ამ გზით იაროს. ეგ გზაა ჟურნალისტიკა და საზოგადო მოღვაწეობა.

საზოგადო მოღვაწეობა ცოტა ქვემოდ იყოს და ახლა ისევ ილიას ჟურნალისტობას გავაყოლოთ თვალი და ვნახოთ, როგორ სცდილობს ამ ღონით ჩვენის დაცემულის ვინაობის აღ-

დგენას. დიაღ, დაცემულის ვინაობის აღდგენას. იმიტომ რომ ჩვენი დაცემული ვინაობაა უმთავრესი ღერძი ილიას მოღვაწეობისა ჟურნალისტიკაში, ისე როგორც ეგევე დაცემული ვინაობა იყო სული და გული მისის პოეზიისა თავიდან ბოლომდე.

ამ მხრივ ილიას გულის ნადებს, მის ფსიხოლოგიას და სულის კვეთებას უფრო ცხადად გვიშუქებს ის „შინაური მიმოხილვა", რომელიც შეეხება ესრედწოდებულ უარ-მყოფელობას, მამა-შვილობის გაჩენას რუსეთსა და ჩვენში*. ჩვენშიაც აჰყვნენ, რუსეთის ბაძით, უარ-მყოფელ მიმართულებას, მამა-შვილობაში ბრძოლის გაღვიებასაო, ამბობს ილია იმ წერილში, — მაგრამ თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნაო. მაგ თითო-ოროლაში ილიაც ერია და, რასაკვირველია, თუ არ პირველმა, უკანასკნელმა არ მიატოვა ბანაკი უარმყოფელთა, ბანაკი, მამა შვილობაში ბრძოლის ჩამომგდები. ილიამ და იმ თითო-ოროლამ სცნა, რომ გადამეტებული კიცხვა და კილვა მამებისა ჩვენს საერთო ძალას ჰქსაქსავდა, საჭირო ერთობას არღვევდა, რომ დიდი შეცდომაა იმის თქმა, ვითომ მარტო გლეხია ადამიანი, როგორც ამტკიცებდნენ, სხვათა-შორის, უარ-მყოფელნი, რომ სხვანიც ადამიანები არიან, რომ ისტორია ზღაპარი არ არის, სცნა რომ — ვალაპარაკოთ თვით ილია:

„ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს; სცნა, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალ-ღონითა. და თუ აქაც ბედის წერას ისე ვერ გადავრჩებოდით, რომ მამა-შვილობა არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე" უნდა ყოფილიყო და მამებსა და შვილებს შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე" იყო ჩვენის დაცემულის ვინაობის** აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოულოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცილებია, ეგ ცხადზედ ცხადია ყველასათვის".

---

* ეურნ. „ივერია" 1881 წლ. № 5.

** დედანშიც განსხვავებულის ასოებით არის.

შემდეგ ილია თითქო ჰნანობს, რომ სასურველ მიმართულებას ადრევე ვერ მივაგენითო, და, თუ მაგ მხრივ ბევრი რამ არა გაგვიკეთებია-რა, რადგან მეცნიერება და ცოდნა გვაკლდა, ის მაინც მოვახერხეთ, რომ მაგ მიმართულებას მივაგენით და ჩვენს ცხოვრებაში ფეხი მოვაკიდებინეთ. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა (მესამოცელებმა) ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და, რაც ძალი და ღონეა, სულ მაგ საქმეზედ მოახვია, შესჭიდაო.

„ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაციო, — განაგრძობს ილია თავის ჟურნალის პროგრამის განვითარებას — დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდის ხნისაა, იმიტომ ძველია და, რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის“.

ეგ მიმართულება იმ სახით, როგორც ილიას ესმოდა, არც ისე დიდის ხნისაა. პირმშო შვილი იყო მე-XIX საუკუნისა; ნაპოლეონის ომებმა დაჰბადა პირველად, საბერძნეთისა და იტალიის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ აწოვა ძუძუ და სლავიანთა განთავისუფლებით დავაუკაცდა და გაითქვა სახელი.

ილია ამტკიცებს, რომ ეგ მოძღვრება — ეროვნული მიმართულება და მსოფლ-მხედველობა — თუმცა ძველია, მაგრამ მაინც ახალიაო და „ახალი იქმნება იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს საქართველოს ეხლანდელს შვილს*. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში, თავისით, თუ სხვისით, აღმოჩნდება, სულ ყოველის-ფერი ჩვენის ვინაობის საქმეს უნდა შეურჩიოთ, ქვეშ დაუყენოთ; სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი — ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მოვუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამ-

---

* განსხვავებულ ასოებით ჩვენ ავაწყობინეთ. ავტ.

გებლად, თუ მასწავლებლად, თუ სადმე სხვად, მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ“.

ამ დროშის გამოფენას ილიას მიერ უმრავლესობა საზოგადოებისა სიამოვნებითა და სიხარულით მიეგება. ილიას დიდ-ხანს ეპყრა ხელთ ეს დროშა, ეპყრა თავ-გამოდებით, სრულის შეგნებით, ბრწყინვალედ: ეპყრა იმ დრომდე, ვიდრე თავზე ლაფს დავისხამდით და ჩვენვე ძირს დავსცემდით ჩვენს წინამძღოლს, ჩვენს ძლიერსა და სახელოვანს მედროშეს...

ეს დროშა ეჭირა ხელში ილიას მაშინაც, როცა ყოველთვიური „ივერია“ ყოველ-დღიურად გადააკეთა.

საინტერესო და საგულისხმიერო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო ყოველ-დღიურ გაზეთის რედაქტორობისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მხნეობამ, სალიტერატურო შრომისათვის დიდმა გონებრივმა მოქმედებამ. დაღალვა არ ემჩნეოდა, თითქო რკინის კაცია და არა ხორც-შესხმული ადამიანიო. არავის არ ეგონა, რომ ილია ასე შეუფერებდა თავის დინჯს ხასიათს ასეთს ცოცხალს, ასეთს სასწრაფოსა და „წერვებით“ საკეთებელს საქმეს, როცა თითოეულს საათს და წუთსაც-კი დიდი მნიშვნელობა აქვს. ილიას ხალისს, პირველ ორ-სამ წელიწადს მაინც, სამზღვარი არა ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში (1886—1887) თითქმის ნომერი არ გამოსულა, რომ მისი მეთაური ან სხვა რამ წერილი არ ყოფილიყოს დაბეჭდილი. და მერე როგორი წერილი! ზოგიერთი მაინც პირდაპირ სახელმძღვანელო ქრისტომატიაში დასაბეჭდი, ისე იყო ხოლმე შემუშავებული გარეგნობით და შემკული შინაარსით.

ამ წერასაც არა სჯერდებოდა და, გარდა საადმინისტრაციო საქმისა, წვრილმან, იწა-ბაწა, სამურეხო მუშაობასაც ბევრს დროს ანდომებდა: საგაზეთო მასალის მოსმენასა და მის შესწორებას ენისა და შინაარსის მხრივ. თანამშრომელი კითხულობდა დასაბეჭდს წერილს და ილია უკარნახებდა, როგორ უნდა გაესწორებინა ესა თუ ის უხერხული სიტყვა, გამოთქმა. დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას და დასურათებით, ცოცხლად აზრის გამოთქმას. თვითონ ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოვლის ღონის-ძიებით სცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი — წმინდა ქართულით ყოფილიყო

დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ჩაგვიყოლია უნცროსები. მთელი რედაქცია სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებასა და გადასინჯვაში იმის მეთაურობითა და ხელ-მძღვანელობით.

ეს იყო ღამ-ღამობით. ამ დროს რომ გარეშეს ვისმე შემოეხედნა რედაქციაში, ეგონებოდა, აქ რედაქცია-კი არა, ტაძარია და რაღაც მღვდელ-მოქმედება სწარმოებსო. ღამე გატყდებოდა, მამლები ყივილს დაიწყებდნენ და არა-იშვიათად თავს დაგვათენდებოდა ხოლმე. ისე დავიქანცებოდით, რომ სავატობა აღარა გვქონდა. ილიას-კი, არ მახსოვს, ან დაღლილობა შემჩნეოდეს, ან ძილი მოჰრეოდეს.

შესანიშნავი იყო პირველივე საპროგრამო მეთაური და საახალწლო ფელეტონი ილიასი, დამზადებული პირველ ნომრისათვის. ფელეტონს სათაურად ჰქონდა „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“! და ილიასებურის მარგალიტებით იყო სავსე. ახალწლის წინა ღამეს მთლად თანამშრომელნი, ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი სულ ერთად იყვნენ თავ-მოყრილნი ილიასთან და შუაღამემდე ელოდნენ პირველ ნომრის დაბეჭდვას. ოთხი თთვე იყო თითქმის გაზეთი თვალით არ გვენახა, რადგან „დროება“ სამუდამოდ იქმნა აღკრძალული 16 სეკდემბერს 1885 წელს და, რასაკვირველია, ეს მგოსანთა და ხელოვანთა, მწიგნობართა და ლიტერატორთა კრებული მოუთმენლად მოელოდა ახალის გაზეთის პირველ ნომერს „დროებაზედ“ უფრო დიდის ფორმატისა. კარგი ახალწელიწადი გაუთენდა მეორე დღეს ჩვენს ქვეყანას. შეკრებილთაც კარგად ისიამოვნეს: ზმასა და ნაკვეს-ექსპრომტებს დასასრული არა ჰქონდა ვახშამზედ. ამ მხრივ თავი ისახელა უფრო დავ. ერისთავმა, სამშობლოს ავტორმა და რაფ. ერისთავმა, — ამ ჩვენის მწერლობის პატრიარქმა და გლეხთა მგოსანმა.

გაიარა დრომა და ხანმა. ილია თან და თან გაუგულგრილდა გაზეთს. ასეც უნდა ყოფილიყო: ისეთის ბუნებისა და ხასიათის კაცი, როგორიც იყო ილია, დიდ ხანს ვერ გაუძლებდა საგაზეთო მუშაობას. ყოველი საგანი, თუნდა მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, უთუოდ მტკიცედ უნდა ჩაებღუჯნა ილიას ანალიტიკურს გონებას და მის ულმობელ ლოგიკის დარჯაკში უნდა გამოტარებულიყო. უამისოდ მზეს ვერ იხილავდა და საგაზეთო ფურცელზედ ვერ მოექცეოდა. ამას-კი დრო უნ-

დოდა, „დიდი მოცალება და შეღავათი“. ეს დრო და მოცალება-კი ილიას, მრავალ სხვა საზოგადო საქმით დატვირთულს, არა ჰქონდა. რამდენჯერ გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ, რომელიც მწვავე რამ საზოგადო საგნის შესახები ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა, ჰხევდა შეუწყალებლად და იწყებდა ხელახლა წერას, მერე კიდევ, მერე კიდევ და ასე განაგრძობდა, ვიდრე ყოველ-მხრივ, შინაარსითაც, კილოთიც სრულიად არ დააკმაყოფილებდა. ეს დრო-კი მაშინ დგებოდა, როცა გათენებული იყო და ხან მზეც უკვე ამოსული.

თუ ასე ექცეოდა საგაზეთო წერილს, ადვილი წარმოსადგენია, რა უაღრესის სასტიკობით ეკიდებოდა თვისის შემოქმედობის ნაყოფს. „აჩრდილი“, მაგალითად, დაწყებული 1872 წელს, სრულად დაიბეჭდა მხოლოდ 1881 წელს. „გლახის ნაამბობი“ დაწერილია 1860 წლამდე, ისევ სტუდენტობაში, მაგრამ 1863 წელს დაიბეჭდა მხოლოდ პირველი ხუთი თავი და სრულად-კი ათის წლის შემდეგ „კრებულში“; „დიმიტრი თავდადებული“-ს 12 ხანა დაიბეჭდა 1878 წლის დამდეგს კვირეულ „ივერიაში“, სრულიად-კი — 1879 წელს თვიურ „ივერიის“ პირველ ნომერში; „ოთარაანთ ქვრივი“ სამჯერ თუ ოთხჯერ გადასწერა, თან უკითხავდა თავის თანამშრომლებს, ყურადღებით ისმენდა მათს შენიშვნებს და ასწორებდა, აკეთებდა, აშალაშინებდა.

ასე ფრთხილი იყო ილია, ასე სასტიკად ეკიდებოდა თავის მოვალეობას მწერლისასა და პუბლიცისტისას!

ცხადია, ასე წარმოება გაზეთისა ადვილი არ არის. ყოველ სხვა სიძნელეს ისიც ემატებოდა, რომ სათარგმნი იყო მრავალი საგაზეთო მასალა. ხოლო თარგმნა სხვის ნაწერისა კარგის ქართულით უფრო ძნელია, ვიდრე წერა თავისით. ამიტომ იტყოდა ხოლმე ბშირად ილია: რუსულის გაზეთის წარმოება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ქართულისაო. იქ მაკრატელი მუშაობს უმეტესად და აქ-კი თითქმის ყოველივე სათარგმნელიაო.

სხვათა შორის გული იმანაც გაუტეხა გაზეთზედ, რომ ცენზურა მაშინ ყოვლად სასტიკი იყო: არა თუ ცოცხალს სიტყვას, სურათიანს, ელვარე გამოთქმასაც გზა არ ეძლეოდა. სიტყვა „საქართველოც“-კი აღკრძალული იყო.

1888 წელს, სელმწიფის მობრძანების ხანს, უკრიფა მიზეზი მაშინდელს ცენზორს, რომლის გადამეტებულს ერთგულებას აბრალებდა ილია ასეთს სისასტიკეს და დაათხოვნინა სამსახურიდან. მასუკან ჩვენმა მწერლობამ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

23 წელიწადი აწარმოვა ილიამ თავისი „ივერია" (1877—1900), დაჰბეჭდა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, თავისი თუ სხვისა, მტკიცედ ადგა ერთხელვე არჩეულს გზასა, და სასურველს ეროვნულს მიმართულებას და მით დიდი და დაუვიწყარი სამსახური გაუწია თავის მშობელ ქვეყანას: თუ „ივერია" მეექვსე დიდი სახელმწიფო არ იყო, როგორც იტყვიან ხოლმე კარგად წარმოებულ გაზეთისასა, ერთ-ერთი ბურჯი მაინც იყო, ეროვნულ არსებობის გამამაგრებელი...

გაიხსენეთ თუნდა მისნი უმთავრესნი ნაწერნი ამ ხნის განმავლობაში და დაგვეთანხმებით, რომ ეს ასე იყო. ქვეყანას აკვირვებდა და ჰხიბლავდა მეტადრე ილიას ქართული, მისი საოცარი ენა-მზეობა. ჰკითხულობ მის ნაწერს, არა თუ ბელეტრისტულს, სიტყვა-კაზმულს, არამედ პუბლიცისტურს და, ასე გასინჯეთ, მეცნიერულსაც-კი („ქვათა ღაღადი", „აი ისტორია") და პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას დიდის ძლიერებით იზიდავს ბრწყინვა და ელვარება ქართულისა, სიუხვე ფერადებისა, ნამდვილ ქართულ მიმოხვრა-გამოთქმისა. ასე გვონია, გამოსულა კაცი თესვად და აბნევს თვალსა და მარგალიტსაო. ქართული ილიას ხელში, მეტადრე ბოლოსა და ბოლოს, თავის თავს აჭარბებს, განვითარების უმაღლეს ხარისხამდე ადის და ოქროს სხივებივითა ბრწყინავს. თითქო „სილბო აქვს ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა", ხან ციალობს და ნარნარებს, ხან გრგვინავს, თითქო ცას მოუქურუშნია და ისა რუხრუხებსო.

ასეთი შეგნება და შეთვისება ენისა და მის ბუნებისა დედის მუცლიდან არ დაჰყოლია ილიას. ბეჯითობაც საჭირო იყო, რათა თან-დაყოლილი ნიჭი განვითარებულიყო და გადაფურჩქნილიყო. ილიას ქაღალდებში არა ერთი და ორი სია მოიპოვება სიტყვებისა და სხვა და სხვა გვარ გამოთქმათა, რომელიც გულ-მოდგინებით ამოუწერია თუ საღმრთო წერილის წიგნებიდანა და თუ სხვა საერო და სასულიერო თხზულებიდან. ამიტომ, თუ პირველი ნაწერები ილიასი ცხადად

ბმოწმობს, რამდენად ძლიერი იყო გავლენა რუსულის სკოლისა და არა ეროვნულ აღზრდისა, ილიაზედაც-კი, სამაგიეროდ, შემდეგ, როცა ილია დაუკვირდა დედა-ენას და ბეჯითად დაუწყო შესწავლა, სისუსტე ქართულისა ნელ-ნელა განჰქრა და მისი ადგილი დაიჭირა ნამდვილმა ენა-მზეობამ, დიდად აფერადებულმა ენა-მეტყველებამ.

გადავავლოთ ახლა თვალი ილიას საზოგადოებრივ მოღვაწეობასა და ნათელ-ვყოთ მისი დამსახურება ამ მხრივაცა.

XI

მიწით თუ უმიწოთ. — ბანკის დაარსების აზრი. — მეთაური. თუ არ გვეყოლება. — დეენილი სიღარიბე. — წესდება და მზადება.

მართალია, სიტყვა მგოსნისა საქმეა მისი, მაგრამ ილიამ სხვა ბევრი და დიდი საქმეც გააკეთა და არც მარტო ოდენ მგოსნობას, არც მარტო ოდენ მწერლობას არ დასჯერებია თავის ხანგრძლივს ცხოვრებაში. მწერალსა და მგოსანს ილიას გვერდში უდგას ილია-მოღვაწეცა. ილია იღწვის საზოგადოებრივს სარბიელზედაც იმავ ორმოცდაათის წლის განმავლობაში და იღწვის აქაც ისევე ბეჯითად, ისევე დაუღალავად და თან სახელოვანად, როგორც იღვწოდა მგოსნობისა და მწერლობის ასპარეზზედ.

იქვე რუსეთიდან გადმოსვლის უმალ ილია ჩაერია იმ მებრძოლთა მცირე ჯგუფში, რომელიც იყო მომხრე გლეხის განთავისუფლებისა მამულის დათმობით და არა უმამულოდ. დიდი უმრავლესობა თავად-აზნაურობისა უარზედ იდგა, დეე, ბატონ-ყმობა ნულარ იქმნება, მოისპოს, მაგრამ მიწას, მამულს-კი ვერ დაუიმობთ ჩვენს ეხლანდელს ყმებსაო. თვით დ. ყიფიანიც კი წინააღმდეგი იყო მამულის უსასყიდლოდ დათმობისა და, აი, თავად-აზნაურთა კრებაზედ, რომელსაც თავსმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი დიმ. ყიფიანი და რომელსაც სწორედ ეგ საჭირ-ბოროტო საგანი უნდა განეხილნა, ილია პირველი წამოდგა და თამამად, გაბედვით გამოაცხადა, გლეხს მიწა უნდა მიეცეს და ისე უნდა განთავისუფლდესო. ეს იყო მიზეზი, რომ კინაღამ იქვე .არ გამოჰხანჯლეს ილია და მას უკან შორი ახლო დასდევდა გუნდი ახალგაზ-

დობისა, მუდამ მზად მყოფი დაეცვა ილია გაბოროტებულ თა-ვად-აზნაურთა თავდასხმისაგან*.

მეორე კრებაზედაც არ ასცდა უსიამოვნება ილიას. ორა-ტორმა ივანე მუხრან-ბატონმა სთქვა, უმამულოდ გლეხთა განთავისუფლებას ყველა დაუჭერს მხარსა, ხოლო მამულის მიცემაზედ-კი თანახმა არავინ გახდება, თითო-ოროლა კაცუ-ნას მეტიო. ეს იწყინა ილიამ, ტანით დაბალმა ახალგაზდამ, მიჰვარდა ივანეს, სწვდა მკლავში, მოატრიალა თავისკენ ხან-ში შესული და განდიდებული ფეოდალი, თან გენერალ-მაი-ორი და მკვახედ შეუტია: დაასახელეთ, ვინ არიან ეგ კაცუნე-ბიო. ივანე იძულებული იყო ბოდიში მოეხადა გააფთრებულ ახალგაზდას წინაშე, როგორც ჰმოწმობს ამას იგივე ქრ. მა-მაცაშვილი.

ასეთი გახლდათ პირველი დებიუტი ილიას მოღვაწეობისა საზოგადო ასპარეზზედ. პირველადვე ხმალმა იელვა. მერეც არა ერთხელ დაიწყო კრიალი დამბაჩის ლულამ ბარიერთან. მდგომ ილიას წინაშე. ამ ბარიერს მიჰმართავდა ხოლმე ილია მაშინ, როცა მისნი საზოგადო მტერნი, რაკი იდეამოსილ ბრძოლით ვერას აკლებდნენ, მის ადამიანურს ღირსებას შე-ეხებოდნენ ხოლმე ვაგლახად, იქნება როგორმე დავამციროთ, სახელი გაუტეხოთ, ძალა და გავლენა მოვაკლოთ, თავი და-ვანებებინოთ საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვისაო. მაგრამ ამაო იყო მათი იერიში და ქადილი, მათი კბილთა ღრჭენა. მოვიდა სიტყვა და დახვდა ქვაო. როგორც კლდე, ისე მტკი-ცე იყო ილია და დრეკა ვერ უყვეს მის რწმენას, მის პოზი-ციას.

დიდი ბრძოლა და ომი გამოიარა ილიამ უფრო ბანკის საქ-მეში. ამ ბანკს შეალია ილიამ თავისი ჯანი და ღონე. მარტო აზრი მის დაარსებისა არ ეკუთვნოდა ილიას, სხვა ყოველივე დანარჩენი — შედგენა საბოლოვო წესდებისა, დაარსება ბან-კისა და წარმოება მისი მთელის ოცდა ათის წლის განმავლო-ბაში (1875—1905) სულ მისი საქმე იყო, მისი კითხული და მისი განხორციელებული. ამიტომ, საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ ილიას მოღვაწეობას ბანკში.

---

* იხ. „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 66 და სხ. ქრ. მამაცაშვილისა.

აზრი ბანკის დაარსებისა ბატონ-ყმობის გადავარდნასთან ერთად დაიბადა (1864 წლის გასულს), როცა გადაწყდა ჩამორთმეულ ყმების საბადლოდ 2 მილიონი ფული მისცემოდა თავ.-აზნაურობას ხაზინიდან. დატრიალდნენ შეგნებულნი მამულიშვილნი და ამ ფულიდან, თუ ყველას არა, უმეტესობას ნაწილი გადაადებინეს ბანკის დასაარსებლად. მთავრობისაგან გადადებულ ფულიდან თავად-აზნაურობას ერგო 1.800.000-ზედ ცოტა მეტი. მთავრობამ უკან აღარ წაიღო გადარჩენილი 160,000 მან. და უწყალობა თავად-აზნაურობას ბანკის დასაარსებლად.

ბანკის დაარსების სურვილი თავ.-აზნაურობის კრებამ გამოსთქვა ჯერ ისევ 1867 წელს და ჯეროვანი განაჩენიც დაადგინა. ცალკე კომიტეტიც იქმნა დაარსებული ამ საქმის განსახორციელებლად. ილია ამ დროს, როგორც ვიცით, დუშეთში მსახურობდა. და აი იქითკენ მიიმართა თვალი შეგნებულ ქართველთა. ჯერ წინადაც იწვევდნენ ილიას, ტფილისში გადმოდი, ჩვენს მწერლობას აქ უფრო გამოადგებიო და ახლა ხომ, როცა ბანკის დაარსების საჭიროებაც გაჩნდა, უფრო მოუხშირეს წერილების წერას, ამ დიდს საქმეს ფიქრი და ზრუნვა უნდაო და ილიაც ჰზრუნავდა, ჰშრომობდა ბანკისათვისაც და ტფილისში გადმოსვლასაც სცდილობდა, როგორც ზემორეცა ვნახეთ.

დ. ერისთავი სწერს ილიას ოძისიდან 1872 წლის 1 ნოემბრის თარიღით: „რადგანაც ფინანსიის (?) მეტყველებაში ცოტა სუსტად გასლავარ, ამიტომ მინდოდა შენთან მოლაპარაკება, რადგან მაზრის მარშალმა მიმიწვია ტფილისს იმ კრებაზედ, რომელმაც უნდა წინასწარი ბჭობა იქონიოს ბანკის დაარსების შესახებ. მე ქალაქს მივდივარ, მოგელი შენც 14-მდე“.

ეტყობა — ილიას უარი შეუთვლია და ამიტომ სწერს კიდევ: „შენმა წერილმა ძალიან შემაწუხა. წარმოიდგინე, **ამ-დენმა შენმა შრომამ** ნუ თუ უნაყოფოდ უნდა ჩაიაროს? რას ამბობ, კაცო, ხომ დავიღუპეთ?! კომიტეტში მიწვეულნი ვართ და რას ვიტყვით, რომ არა ვიცით-რა. თუ შენ არ ჩამოხვედი, არც მე წავალ. **თუ-კი მეთაური არავინ** გვეყოლება, რას გავარიგებთ?!. ერთის სიტყვით, უშენობა ამ მოძრაობის დროს არ შეიძლება. თუ შენ არ წამოხვალ, შენი „რეჩი“ შაინც გა-

მოგვიგზავნე წასაკითხავად. უარარაობას წაკითხვა ემჯობინება".

ამ წერილებიდან ცხადად სჩანს, რომ ილიას საკმაოდ უმუშავნია ბანკისათვის ჯერ ისევ მაშინ, როცა დაუსრულებელი კამათი იყო დასაარსებელ ბანკის ტიპისა და მის წესდების შედგენის შესახებ. ამ დროს ილიას უკვე მეთაურის როლს აკუთვნებენ, ფინანსთა საქმის მცოდნედ სთვლიან, უიმისოდ საქმის დაჭერა ეძნელებათ.

„დროების" რედაქცია ჰბეჭდავს ილიას მიერ წარმოთქმულ სიტყვას თავად-აზნაურთა არა-ჩვეულებრივს კრებაზედ და ასეთს შენიშვნას უძღვნის: „მოგვყავს ის მშვენიერი სიტყვა, რომელიც წასულ შაბათს თ. ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა თავად-აზნაურობის კრებაში და რომელიც გონიერათა და გულმხურვალეთ შეეხება ჩვენი ბანკის საქმის ზნეობითს მხარესა და მნიშვნელობასა*. იმ სიტყვაში ილიამ გადაჰკრა მათრახი იბ ბობოლებს, რომლებმაც არ მოინდომეს ფულის გამოღება ბანკის ძირის თანხის შესადგენად და სთქვა, სხვათა შორის, ყოველთაგან დევნილმა სიღარიბემ აქაც გვაჩვენა, რომ იგი უფრო სულ-გრძელია ძლევა-მოსილს სიმდიდრეზედაო. მოუწოდა შეკრებილ თავად-აზნაურობას ერთგულობისა და ერთ-სულობისადმი, „არა იმიტომ, რომ ერთგულად და ერთ-სულად მივცვივდეთ და გავინაწილოთ ის 160.000 მან., რომელიც გვებოძა უმაღლესად, არამედ ერთგულობითა და ერთსულობით მოვექცეთ იმ აზრს, რომელიც უდევს საფუძვლად ბანკის დაარსებასა. გთხოვთ, შევერთდეთ ერთის შვენიერის, ჩვენდა ღირსეულის სურვილით, რათა ერთმანეთს შევეწიოთ სხვერპლის მიტანითა ჩვენის საყოველთაო კეთილ-დღეობისათვის... ვიქმნეთ ერთგულ და ერთსულ ჩვენის მრავალ-ტანჯულის სამშობლოსათვის, რომელიც აღყვავდება მაგ ერთგულობითა ჩვენთა მიწად-მოქმედთათვის... იმათ კეთილ-დღეობაზეა დამყარებული ყოველ ქვეყნის კეთილ-მდგომარეობა საზოგადოდ და ჩვენის ქვეყნისა საკუთრად... ეს ისეთი საგანია, რომელიც არა თუ ქისას ასსნევინებს კაცს საზოგადო სიკეთისათვის, არამედ უფრო დიდსა და სახელოვანს საქმესაც აქმნევინებს კაცს... თუ ეგ

* „დროება", № 47, 1872 წ. ნოემბერი.

შევძელით, ამ კრების საქმე გაადვილდება, იმიტომ რომ მარ-
ტო ზნეობრივის აზრით სავსე გულმოდგინებას შეუძლიან შე-
სწყვიტოს უწმინდური წყარო ყოვლის ჩვენის სიბნელისა,
უთანხმოებისა, შეცილებისა".

თავად-აზნაურობის მორიგს კრებაზედ 1873 წელს საბო-
ლოოდ გადაწყდა ბანკის ტიპი და საბანკო ოპერაციების
წვლილთა შესასწავლად გაგზავნილ იქმნა რუსეთში ილია,
რომელმაც სამსახურს დაანება თავი. იმავე წლის ზაფხულს
ილია უკვე მოსკოვშია და იქ სცდილობს რომელსამე საად-
გილ-მამულო ბანკში შესდგას ფეხი და გაიცნოს მისი მექა-
ნიზმი. მაგრამ ეს საქმე ადვილი არ აღმოჩნდა. არც ერთმა
ბანკმა ამის ნებართვა არ მისცა. დიდხანს, დიდხანს ეცადა
ილია ამ საქმეს, ბევრ დიდს კაცსაც მიჰმართა შემწეობისა და
რეკომენდაციისათვის, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ხანგრძლივი-
სა და დაუდგრომელის მეცადინეობის შემდეგ მიიღო ეგ ნე-
ბართვა.

ილიას იმ დროინდელ მიწერ-მოწერაში თვალ-წინ იშ-
ლება მკაფიოდ მოხატული სურათი იმ ათას გვარ დაბრკო-
ლებისა, რომელიც გადაეღობა საქმის გაკეთების გულ-მხურ-
ვალედ მოწადინებულს ილიას, ეფინება შუქი ჩვენის ბანკის
დაარსების სათავეს და იმ წყვდიადს, რომლის გაფანტვა იყო
საჭირო, რომ სიტყვა საქმედ ქცეულიყო, აზრს ხორცი შეს-
ხმოდა. ასე ძნელია დასაწყისი საქმისა. სხვა სხვის ომში ბრძე-
ნიაო, ტყუილად არ არის ნათქვამი.

ბოლოს, როგორც იყო, მოხერხდა საქმე. ვინმე მედიცი-
ნის დოქტორს ზახაროვს ემადრიელება ილია, იმის შემწეო-
ბით გამეღო ბანკის კარი, ჩემის ქვისლის სტაროსელსკის მე-
გობარიაო. ილიამ შემდეგ მოსკოვიდან პეტერბურგს გადაი-
ნაცვლა ბანკის წესდების დამტკიცების დასაჩქარებლად და
კიდევ იმიტომ, რომ იქ „შეათავოს" ბანკის საქმეთა შესწავლა,
როგორც თითონ ამბობს ერთ-ერთ თავის კერძო წერილში.
ამასობაში 1874 წელიც გავიდა და ბანკი დაარსდა მხოლოდ
1875 წელს.

XII

პირველი გამგეობა. — კუსავით მიღოღავს. — დასაწყისი ბრძოლისა. — პირღია მცონარეობა. — ჩვენი მხსნელი. — სხვანი რას ამბობდნენ. — ფარიც შენ იყავ და დროშაც შენ გეჭიროს.

დაარსდა ბანკი და დაიწყო მისი ოპერაციები. როგორც ყოველს საქმეს, მეტადრე ჩვენში, ამასაც მტრები და მოჯიბრენი ცოტანი არა ჰყავდა. ვნახავთ, რა ხეირს დაგაყრით ეგ ბანკიო. ბანკში დაგირავებული მამულები სულ დაიყიდება და პატრონები ცარიელ-ტარიელები დარჩებიან, ლუკმა-პურის ნატრულნიო. ეგ რაღაც ზაკლადნოი ლისტებია, რომელსაც იძლევა ბანკი ფულის მაგიერ, მყიდველს ვერ იშოვის და ფანჯრების დამტვრეულ შუშებს თუ გააკრავთო. ასე დაჰყრანტალებდნენ სვავ-ყორნებივით ბანკს მისნი მტერ-მოყვარენი.

ბანკი დინჯად, აუჩქარებლად მიდიოდა წინ, რადგან მრავალი ტეხნიკური დაბრკოლება ეღობებოდა. საქმეთა დაწყობა-დალაგებასაც, მიჩვევას, დახელოვნებით წარმოებას დრო უნდოდა, გამოცდილების დაუნჯება იყო საჭირო. თითონ ილია ამბობს ერთ-ერთ თავის კერძო წერილში, ჩვენი ბანკი კუსავით მიღოღავს ჯერ-ჯერობითაო.

გავიდა დრო. ბანკი უკვე გაძლიერებულ საკრედიტო დაწესებულებად გადაიქცა და ურწმუნოთაც-კი დაიჯერეს, რომ მაგ დიდ საქმეს უგულებელყოფით არ უნდა მოჰქცეოდნენ. ამ დროსვე იჩინა თავი იმ უსიამოვნებამ, იმ გამწვავებამა, რომელიც შემდეგ თანდათან იზარდა და ბოლოს ერთი დაუსრულებელი, დაუნდობელი მტრობა და ფიცხელი მძულვარება ატყდა ბანკის გარშემო. წლითი-წლობით უფრო გამწვავდა დავი-დარაბა და ბრძოლა. ბრძოლამ ჩაითრია ისინიც-კი, ვინც ბანკის საქმეთა გარეშე იდგა და არც დამფუძნებელი იყო მისი, არც მსესხებელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფიცხელმა ომმა გადაამტერა ერთმანეთს მეზობელნი და მოკეთენი, დანი და ძმანი, შვილნი და მშობელნი. ერთი ძმა რომ ილიას მომხრე იყო, მეორე ვანოს ემხრობოდა, შვილი რომ ილიასკენ იყო, მამა ვანოს უჭერდა მხარსა და ასე ამ რიგად. ერთის სიტყვით, გაჩნდა ესრედ-წოდებული ჭავჭავაძიზმი და მაჩაბელიზმი.

რა მოჰხდა, რა იყო მიზეზი? რამ დაპბადა ასეთი ხანგრძლივი და გამწვავებული ბრძოლა? აზრი აზრს წაუდგა პირში, პრინციპი პრინციპსა და სისტემა სისტემასა, თუ ბრძოლა წვრილმანებზედ აშენდა, იყო შედეგი კერძოობა-პირადობისა, შეურაცხყოფილის თავ-მოყვარეობისა? ჩვენის ფიქრით, ერთიც და მეორეცა. მაგრამ ვიდრე ამას გამოვარკვევდეთ, უნდა განვმარტოთ, რა ზოგადის პრინციპებით ჰხელმძღვანელობდა ილია თავის საბანკო მოღვაწეობაში, რა გზას ადგა, რა საბანკო პოლიტიკას აწარმოებდა.

ილიას აზრი ამ მხრივ არაფრით არ განირჩეოდა ყოველ სხვა საბანკო და საკრედიტო საქმის შეგნებულ მოღვაწის აზრისაგან. ბანკს და კრედიტს თავისი ბუნება აქვს, თავისი წესი და რიგი, თავისი ძირითადი საფუძველი, რომელზედაც უნდა იყოს უთუოდ დამყარებული, თუ სიცოცხლე უნდა თავადაც და სარგებლობის მოტანაც სურს ქვეყნისათვის. ბანკი, კრედიტი თავის ბუნებას ვერ შესცვლის, ვერ გარდაჰქმნის, თავის გზას ვერ უღალატებს. ბანკი არსებობს გამრჯელის მოჭირნახულესათვის და არა პირდაღებულ მცონარეობისათვის. ტყუილი იმედია, ვითომ, ვინც მშიერნი ვართ, ბანკმა უნდა გაგვაძღოსო, ვინც მწყურვალნი ვართ, ბანკმა უნდა გვასვასო, ამბობდა ილია. ჩვენს ბანკს რომ ეგ ეკისრნა, ჯერ ქვეყანას სასაცილოდ არ ვეყოფოდით, მერე მაგ კისრულს თვით ბანკი თან გადაჰყვებოდაო. ეს წუთისოფელი ისეთია, ვინც თვითონ არ მხნეობს, არ იბრძვის დღიურ ლუკმისათვის, იმისი ბედი გადაწყვეტილია. იმას შეიძლება ერთს დღეს ან რამდენსამე ხანს კაცთ-მოყვარეობით უშველოს ვინმე, მაგრამ შემდეგ მაინც ისევ მშიერი იქნება, ისევ გასაძღომიო. რაც ბანკში ფულია, სულ რომ ერთს დღეს დაურიგოთ მცონარე მშივრებს, მეორე დღეს უფრო ბევრი მშიერი მიადგება და მაშინ რით-ღა გასცეს პასუხი? რამდენი შესძინა თავად-აზნაურობას ყმების განთავისუფლებამ, მაგრამ განა მაგან მოსპო შიმშილი და გაჭირვება მათ შორისაო? ვინც თითონ არ ჭირნახულობს, ვინც თვითონ თავის მარჯვენით არ სცდილობს თავის სტომაქის ავსებას, ის ცხრილია, რომელიც მაინც არ აივსება, თუნდა მთელი მტკვარი განუწყვეტლივ ზედ მიუშვათ. განა რა თანხა გაუძლებს მშიერს მცონარეობას? მარტო იმისთანა თანხა, რომელმაც იმდენი უნდა იმატოს, რამდენსაც და-

აკლებთ. თუ ვინმე ჩვენგანი ამისთანა გრძნეულს თანხას შეადგენს, დღესვე დაუცლით იმისთანას გზას დიდის სიხარულითაო.

ამისთანა მცონარესათვის ზრუნვა და წუხილი ილიას დანაშაულად მიაჩნდა. მუდამ კოპებ-შეკრული და პირ-გამეხებული დაუხვდებოდა ხოლმე ამისთანებს, სულ ერთია, კაცი იყო თუ ქალი, თავადი თუ აზნაური, მოქალაქე-ვაჭარი თუ ინტელიგენტი. მცონარეობას რომ საზრდო მივცეთ, ეგ მცონარეობის წაქეზებასა და გათამამებას ემგვანება. წაქეზება და ხელის გამართვა გაჭირებულს ბეჯითობას უნდა, იმიტომ რომ მარტო ბეჯითობაა ჩვენი მხსნელი და ქვეყნისათვის ნაყოფიერი და არა მშიერს მცონარეობას, რომელიც იმდენად დიდს პირს დააღებს, რამდენსაც დიდს ლუკმას აწვდით და რომელიც, რამდენადაც ძლიერია, იმდენად აღარიბებს ქვეყანასა. ჩვენის ქვეყნის იარა მცონარეობაა. რაც ადრე მოვიშორებთ მაგ იარას, მით უფრო მალე მოვიპოვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და კეთილ-დღეობასაო.

უეჭველი ჭეშმარიტება ჰღაღადებს ამ შემთხვევაში ილიას პირითა და ყოველ შეგნებულს ადამიანს ღრმად უნდა ჩასწვდეს გულში ასე გასაგებად და თან მხატვრულის, პოეტურის ენით გამოთქმული და დასურათებული აზრები საზოგადოდ კრედიტისა და კერძოდ საიპოტეკო კრედიტის ბუნების შესახებ. მართალია, იპოტეკას თავისი განსაკუთრებული ბუნებაცა აქვს, იქ კრედიტი ხანგრძლივია და უძრავის ქონებით უზრუნველ-ყოფილი, მაგრამ თავი და თავი საქმე იქაც ის არის, რომ კრედიტი გონივრულად მოიხმაროს კაცმა, კრედიტი გამრჯელ კაცის ხელში ჩავარდეს და არა მცონარისა და უმოქმედოს ხელში. ამიტომ ამბობდა ილია, ბანკის ვალია ფული ასესხოს მხოლოდ კაცს და ისიც დიდის სიფრთხილით, რათა ბანკს თავისი არ დაეკარგოს. სამწუხაროა, მაგრამ ასე კია. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ შეუძლებელია, ასე არ იყოს. ამ ფულის გასესხებასაც კეთილი შედეგიც მოსდევს და ავიცა. ამ მხრივ ეგ სესხი კაცის ამშენებელიც არის და დამღუპველიცა. ვინც ბეჯითია და მხნე, ვისაც გონება აქვს, გულ-მოდგინე შრომის სურვილი და მხოლოდ ფული აკლია, რათა თავისი საქმე წარმართოს, ღვთის წყალობა გქონდეთ, იმისთვის ბანკი ყოვლად-მხსნელი სახსარი იყოს. ამისთანა კაცს არა-

ვითარი სასტიკი კანონი, ბანკის სიმკვიდრის ქვაკუთხედად დადებული, ვერ დააბრკოლებს, ვერ დააფრთხობს, იმიტომ რომ მსნე და ბეჯითიაო.

აი ის დედა-აზრები, რომელიცა ჰქონდა შესისხლ-ხორცებული და ღრმა რწმენად გადაქცეული ილიას და რომელზედაც იყო დამყარებული მისი საბანკო მოღვაწეობა, მისი სისტემა და პოლიტიკა ბანკის მართვისა, გამგეობისა. ამ გზას ადგა ილია საბანკო მოღვაწეობაში თვისის ხასიათის მთელის სიმედგრითა და ულმობელობით. ბეჯითობა და გამრჯელობა, თორემ კრედიტი ორ-პირი მახვილიაო. ამას ამბობდა ილია გამუდმებით, ყველგან; ამას ღაღადებდა ბანკშიაცა და მწერლობაშიაც. ამ აზრის დასურათებას უძღვნა „ოთარაანთ ქვრივიცა". ტყუილად-კი არ ამბობდნენ, „ოთარაანთ ქვრივი" თვითონ ილიაა, მხოლოდ იმის კაბა გადაუცვამსო. და აკი ისიც ამას ამბობდა, აკი ისიც ამას ჰღაღადებდა: ქვეყანა შეჰხარის მარტო მსნესა და გამრჯელსა. მცონარენი უნდა ამოსწყდნენ და გადაშენდნენ. მცონარეს, რაც უნდა ბევრი მისცე, მით ვერას უშველი. ვინც თავისის ხელით წყლულს ხელახლად იწყლულებს, იმას ვერა მოარჩენს-რა სიკვდილის მეტიო.

სამწუხაროდ, ბევრი გულჩვილი და შემბრალებელის გულის პატრონი ვერ ახერხებდა ილიასავით გრძნობა გონებისათვის დაემორჩილებინა, გული გაეკაჟებინა და ამიტომ სავსებით არ იზიარებდა ილიას დედა-აზრებს. ამისთანები ბანკსაც, თავად-აზნაურობასაც და მთლად ჩვენის ქვეყნის მცონარეობასაც, ცოტა არ იყოს, სხვა თვალით უცქეროდნენ. ბანკი თავად-აზნაურობის დაარსებულია და მოვალეა იზრუნოს მისთვის, მის ნივთიერ მდგომარეობის განკარგებისათვისო. თუ დროზედ შემოსატანი ვერ შემოიტანა, შეღავათი უნდა მისცეს ხელმოკლე თავად-აზნაურს: თუ გაჭირდა, მამული ჩამოართვას დროებით და თვითონ განაგოს, ვიდრე თავისას აინაზღაურებდეს და მერე ისევ პატრონს გადასცესო. იყვნენ ისეთებიცა, რომლებსაც ბანკისათვის სიფრთხილე საჭიროდ არ-კი მიაჩნდათ სესხის გაცემაში. ჩვენი მამულები ხომ მაინც ბოლოს ბანკს დარჩება, ბანკი კიდევ გაჰყიდის და იყიდიან არა ქართველნივე, არამედ უცხონი და ბარემ სესხი მაინც ბლომად გაეცით, მოჭარბებით, იქნება ცოტა რამ წამალი დას-

დონ მემამულეებმა ასე სესხად აღებულის ფულით თავიანთ უმწეო მდგომარეობასაო. ზოგნი კიდევ იმას გაიძახოდნენ, ბანკმა მამული არას გზით არ უნდა გაუყიდოს თავაღს და აზნაურსაო. თუ მამული გაეყიდება მემამულეს და ბანკი ვერას უშველის, მაშინ რიღასთვის ვაარსებდით მაგ ბანკსაო.

აი ამ უმართლო და უჯერო ღაღადს ებრძოდა ილია მთელის თავის ძალ-ღონითა და სწორედ ამ უმართლო და უჯერო ღაღადს აჰყვა ის ნაწილი თავად-აზნაურობისა ქართლსა თუ კახეთში, რომელმაც შემდეგ ფარად ივ. მაჩაბელი აიფარა და დროშაც იმას მისცა ხელში და შესძახა: გაგვიძეღ წინ, გვიწინამძღვრე, ილია მტერია ჩვენი, ილიას სძულს თავად-აზნაურობა, მაგის ხელში ბანკი ჩვენ არას გვიშველის, ერთს სკოლას ინახავს ბანკი თავის მოგებითა და ილია იმასაც ეწინააღმდეგებაო.

XIII

საკუთარი ფიზიონომია. — ჩამოგვეცალეო. — პირველი უგემურობა. — შავმა კატამ გაირბინა. — მწერლობიდან დაიწყო. — ივ. მაჩაბელი. — წვრილმანები და მთავარი ხელმძღვანელობა. — ჯერ ერთი, მერე მეორე. — ათი წელიწადი კიდევ. — ბედის საწერელი.

ილია, როგორც ვნახეთ, პირველ ხანშიაც უმტერო არ იყო. ასეც უნდა ყოფილიყო; უმტერო ვერ იქნება ის, ვისაც თავისებურობა არ აკლია, ვინც თავის საკუთარს გზასა და კვალს მისდევს, ვის ფიზიონომიაც ცხოვლად არის გამოხატული და ჩამოყალიბებული. ილია, როგორც საზოგადო მოღვაწე, სწორედ ასეთი იყო და მტერიც ბევრი აესია, ზოგი ძველი და ზოგი ახალი, ზოგი გულ-წრფელი და კეთილ-შობილ ნიადაგზედ მდგარი, ზოგი კიდევ პირადობით, შურით დაბრმავებული. ბევრჯელ გაგვიგონია ასეთი სასაცილო დასაბუთება ილიას წინააღმდეგ ამხედრებულ ახალგაზდობისა: ილია ჩრდილში გვაყენებს, გვჩაგრავს თავის ჭკუით, დიალექტიკით, მაგასთან მუშაობა შეუძლებელია, ჩვენ სულ აღარა ვჩანვართ-რა. ყველა საზოგადო საქმეშიაც ეგ არის ფესვ-გადგმული და ყველაფერზედ გადაფაფრებულიო. ეგ ჩამოდგეს, ჩამოგვეცალოს, ახლა ჩვენ გაუძღვებით საქმესაო. ილია არ ჩამოდგა, არ ჩამო-

ეცალა. გიჟი ვინ იქნება, თავისი ადგილი სხვას დაუთმოს გაუჭირვებლად, უბრძოლველადაო, — ამბობდა ილია თითქო ხუმრობით და თითქო დაბეჯითებითაც: თუ თავი გაქვთ, მოდით, მძლიეთ და ისე დაიჭირეთ ჩემი ადგილიო. ხუმრობით ნათქვამი, ხუმრობაში გატარებული ფიქრი ნელ-ნელა ხორცს ისხამდა, მართლდებოდა. მალე მართალი ბრძოლა დაიწყო, ბრძოლა თავგამოდებული, საზოგადო სარგებლობის ქლამიდით მოსილი. ასეა, ხშირად დიდს ომს და სამწუხარო ბრძოლას მცირე რამ გარემოება ჰბადავს, თუ ნიადაგია შესაფერი, როგორც დიდს ცეცხლს აჩენს მცირე ნაპერწკალი, თუ ჩალა-ბულა არის გარშემო მოგროვილი.

უგემურობა ილიასა და ვანოს შორის თავ-და-პირველად მწერლობის ნიადაგზედ გაჩნდა, იმ ნიადაგზე, საცა ერთს ხანს, თითქმის ათის წლის განმავლობაში (1874—1884), მათ შორის გულ-თბილი ერთმანერთობა და ტკბილი თანამშრომლობა არსებობდა. „ვანო ჭკვიანი ბიჭია, — სწერს ილია ერთს თავის კერძო წერილში: — ამასთანავე კარგის კალმის პატრონი. ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება“...

მართლაც, ვანო საიმედო ახალგაზდა იყო, კარგად მომზადებული, გონება განვითარებული, მცოდნე ევროპის ყველა უმთავრეს ენისა, ხალისიანი მუშაკი, მარჯვე, ცქვიტი. იმის ხელში საქმე სწრაფად კეთდებოდა. დახანება, ხანგრძლივი ფიქრი და მერყეობა იმის დავთარში არ ეწერა. გადასაწყვეტი მალე უნდა გადაწყვეტილიყო, გასაკეთებელი — მალევე გადაწყვეტილიყო. დღეისა ხვალისად არ გადამდებელიო, სწორედ იმაზედ იყო ზედგამოჭრილი.

ამ გვარად, სიდინჯე, სიწყნარე, რაიცა ბევრს სიზანტის სინონიმად მიაჩნია, მუდამ გმობილი ჰგონია, არ შეეფერებოდა ვანოს ბუნებას. ილია ამ მხრივ ვანოს ანტიპოდი იყო: მუდამ დინჯი, მუდამ აუჩქარებელი, საქმის ბეგრჯელ ამწონ-დამწონი, მოთმინებით აღჭურვილი. ხშირია, რომ ასეთის სხვა და სხვა გვარის ბუნებისანი ერთმანერთს ეთვისებიან, ერთ-ურთის ნაკლულევანებას თითქო ავსებენ: რაც ერთს აკლია, იმ მეორეს უხვად მიჰმადლებია, რაც მეორეს აკლია, ის პირველს „გადამეტი“ აქვს და მათ შორის თანამშრომლობა, ერთმანერთობა, მეგობრობა გაჩაღებულია სამარის კარამდე. მაგრამ არც ის არის იშვიათი, რომ ასეთის წასიათის

კაცნი ერთსანს თანამშრომლობენ თანხმობით, ხოლო შემდეგ უთანხმოება ჩნდება, უთანხმოება მით უფრო ძლიერი და გამწვავებული, რაც უფრო ძლიერი იყო თანხმობა.

ასე მოჰხდა ილიასა და ვანოს შორისაც. პირველი სამდურავი 1881 წელს დაიბადა ვანოს გულში: ყოველ-თვიურს ჟურნალს ვაწარმოებ და ილია ნაკლებად მშველისო. ბანკის დამფასებელი ვანო 1883 წელს დირექტორობაზედ იდგამს ყუთს დ. ავალიშვილთან ერთად და გამარჯვებული რჩება. ეს კიდევ ილიას არ ესიამოვნაო, ამბობდნენ მაშინ საზოგადოებაში და ჩვენც გაგვიგონია ილიასაგან: დ. ავალიშვილს მცირე ღვაწლი არ მიეძღოდა ჩვენის ბანკის წინაშე, მისი გაწბილება არ იყო კარგი საქმეო. იმავე 1883 წელს ავად გახდა ს. მესხი. გაზეთს „დროებას" პატრონი უნდოდა და ფულსაც — შოვნა ავადმყოფ რედაქტორის სამკურნალოდაც, გაზეთის ვალების გადასახდელადაც. ილიამ იკისრა ფულის მოგროვება შეძლებულ ქართველთა შორის და რედაქტორადაც დაასახელა, არა ვანო, როგორც იმედი ჰქონდა თვითონ, არამედ ნ. ქანანოვი, რომელმაც უკვე დაბეჭდა შესაფერი განცხადება და ახალ რედაქციის შედგენასაც შეუდგა. ვანომ ეს იწყინა, მისი თავმოყვარეობა მწერლისა და „ივერიის" მეორე რედაქტორისა თითქო შეილახა. ვანომ მიატოვა „ივერია", ჰაიარად იშოვნა ფული და დაიმტკიცა რედაქტორობა გაზეთისა.

ის იყო და ის. შავმა კატამ აშკარად გაირბინა ილიასა და ვანოს შორის. ერთმანერთისადმი გაგულ-გრილებამ ბანკშიაც ნელ-ნელა წამოჰყო თავი, უფრო მას შემდეგ, როცა ვანოს მიერ წარმოებულმა „დროებამ" თავი ვერ დაიჭირა, მთავრობამ აღკრძალა იგი სამუდამოდ 1885 წ. სეკდ. 16, ვანო ვალში ჩავარდა და ილიამ-კი „ივერიის" ნივთიერი ხელ-მოკლეობა, ცოტად თუ ბევრად, იმით გამოასწორა, რომ მეორე თვეს დაჰბეჭდა თავის ჟურნალში „დროება"-ში დასაბეჭდი საკმაოდ ხელ-საყრელი ფულიანი განცხადებანი ორივ ბანკისა, ტფილისისაცა და ქუთაისისაცა დეკემბრის საჯარო ვაჭრობისათვის. ეს კიდევ ჰო, ჰო, მაგრამ ახლა თვითონვე მოინდომა ყოველდღიურ გაზეთის წარმოება, ჟურნალის გაზეთად გადაკეთება, თითქო ვანოს ჯიბრითაო. ვანო ღრმად იყო დარწმუნებული, გაზეთი ილიას საქმე არ არისო და იმის გამოცნობას სცდილობდა, ნეტავ რა აიძულებს, რომ ასეთს საქმეს ჰკიდებს

ხელსაო. დიდს წინასწარ კრებაზედ, რომელიც სოსიკო მელი-ქიშვილის სახლში იყო დანიშნული ამ საჭირ-ბოროტო საქმის მოსაგვარებლად — მთელი ქვეყანა უგაზეთოდ დარჩა — ვანომ პირ და პირ უთხრა ილიას: შენ ხომ არ იმუშავებ გაზეთში და ტყუილად რადა ჰკიდებ ხელსაო. ვიმუშავებ კიდეცა და გა-უძღვები კიდეცაო, — უპასუხა ილიამ თავ-გამოდებითა, დაქა-დებითა და დაამტკიცა კიდეც, რომ ძალა შესწევდა ქადილსა.

ვანომ მას უკან მწერლობა და ლიტერატურა თითქმის სულ მიატოვა და მთლად მიეცა ბანკში სამსახურს. ჯერ კასი-რად ნამყოფი, მერე დამფასებლად, ახლა დირექტორი იყო. ნიჭმა და ბეჯითობამაც თავისი ჰქმნა და ვანო ერთი საუკე-თესო, დიდი მცოდნე და მარჯვე მუშაკი დადგა ბანკისა. ყო-ველი წვლილი იცოდა მისი, ყოველივე ასავალ-დასავალი, ყურე და კუნჭული ბანკის საქმისა გათვალის-წინებული ჰქონ-და და დაწვრილებით ახსოვდა მთელი ისტორია თითქმის თი-თოეულის სესხისა, გარემოება გირაოდ მიღებულის მამული-სა სოფლად თუ დაბა-ქალაქად. ილია-კი უკვე ხანში შესული კაცი იყო, ბანკს გარდა, სხვა ბევრ გვარ საზოგადო საქმითა და მოვალეობით დატვირთული და ამიტომ ბანკის ყოველ წვრილმანს ისე ვერ ადევნებდა თვალს, როგორც ვანო. ილიას ფიქრი და გონება იმით იყო უფრო შეპყრობილი, რომ მთა-ვარი ძარღვი საქმისა ბანკში ღონივრად ყოფილიყო დაჭიმუ-ლი, ძირითადნი ბურჯნი — ხელ-შეუხებელნი, მთავარი მისი მიმართულება — შეუცვლელი. ილიას აწვა კისრად ის, რაც უმთავრესია ყოველ ბანკის საქმეში: წარმოება მისის პოლი-ტიკისა დრო-ჟამის ვითარებასთან შეწონითა და შეფარდებით, თუ რამ დიდ ცვლილებას მოითხოვდა გარემოება ბანკისათ-ვის და წესდების შესაბამი შეცვლა იქნებოდა საჭირო, ილია უნდა ღრმად ჩაჰკვირვებოდა საგანს, მოესაზრა ყოველივე და დასაბუთებული მოხსენება შეედგინა ჯერ საზოგადო კრებისა და შემდეგ საკრედიტო საქმეთა განსაკუთრებულ კანცელა-რიისათვის ფინანსთა სამინისტროში გასაგზავნად. ამიტომ, წესდების შეცვლა, ინსტრუქციის შედგენა და, საზოგადოდ, მთავარი ხელ-მძღვანელობა დაწესებულებისა, ყოველივე ესე მისი კითხული იყო.

ვანო უნდებოდა ანგარიშებს, სესხის გაცემის წვრილმა-ნებს, ათას იწა-ბაწა საქმეს კანცელარიასა და ბუხგალტერი-

აში, ხოლო ილია — მთლად დაწესებულების ზედა-მხედველობას, მთავარს ხელმძღვანელობას.

ასე მიდიოდა პირველში საქმე და გარეგანი ნიშნები უთანხმოებისა ორ მოღვაწეს შორის არა სჩანდა, ან ნაკლებად სჩანდა. მაგრამ მერე და მერე, ნელ-ნელა, უსიამოვნება, გაჩენილი სალიტერატურო ნიადაგზედ, ბანკის წიაღშიც ჩაეთესლა. ილიას და ვანოს ერთმანერთისა აღარა მოსწონდათ-რა საბანკო საქმიანობაში. დაიწყო ერთმანერთის კვალში ჩადგომა, განაპირება, ჯიბრი, მოპოვება მომხრე-მეგობრებისა და თანამგრძნობლებისა ბანკშიაცა და მის გარეშეც და მონასტერიც აირია...

ალ. ჩოლაყაშვილს დაჰბრალდა ორ სკამზედ ჯდომის სიყვარული, აქეთაც ყოფნა და იქითაც, ილიას მომხრეობა უმეტეს შემთხვევაში და ამიტომ იგი საკენჭოსნო კომპანიით გაშავებულ იქმნა, ხოლო მის მაგიერ 1889 წ. აირჩიეს წარმომადგენელი მაშინდელის ოპოზიციისა ილიას წინააღმდეგ — გ. თარხნიშვილი, ვითომ დიდი მომხრე ვანოსი. მაგრამ ვანოსაც და მის დასსაც პირ-კატა ეცათ, როცა გ. თარხნიშვილმა ზურგი ადრიკა ვანოს და სავსებით მიემხრო ილიას. ახლა საჭიროდ იქმნა დანახული თარხნიშვილის გაძევება ბანკიდან, მერე თვით ვანოსიცა, მაგრამ ამ სტადიაში ისეთი გამწვავებული სახე მიიღო ბრძოლამ, ისეთს უმწვერვალესობამდე მივიდა კენჭოსანთა ომი, რომ კინაღამ თვით ბანკიც-კი დაღუპვის კარამდე არ მიიყვანა. ბევრს დაებადა მაშინ შიში, უბედურება არა დატრიალდეს-რა და ბანკი სულ ხელიდან არ გამოგვეცალოსო! ამ შიშმა მაშინ უფრო იმატა, როცა მებრძოლთ საქმეში ჩაჰრიეს პეტერბურგი, ფინანსთა სამინისტრო და რევიზია რევიზიაზედ ინიშნებოდა...

ღვთით, ქვეყანა გადურჩა დიდს უბედურებას. ძველებური, ისტორიული სენი ერთმანეთის ასევისა და ყეენ-ხონთქართან სირბილისა მოვიხადეთ, მაგრამ ამ საშინელმა სენმა, ამ ხანგრძლივმა ბრძოლამ ცოტა მსხვერპლი არ მოითხოვა, დიდი და აუარებელი ძალ-ღონე, მხნეობა და გამრჯელობა შეიწირა და ბოლოს ხომ თვით ვანოც დაჰღუპა, წუთი-სოფელს გამოასალმა, ხოლო ილია, რომელიც, როგორც რომაელი სტოიკი, ისე ითმენდა თავის მოწინააღმდეგეთა ასევას, გარეგნობით იყო სრულიად დამშვიდებული, გულში-კი ჯოჯოხე-

თის ცეცხლი უტრიალებდა, ისე დაბაბუნდა, ისე გატყდა, რომ თითქმის არც გული, არც ღვიძლი და ფილტვები მრთელი და საღი აღარა ჰქონდა.

ვანოს შემდეგ ილია კიდევ განაგებდა ბანკს თითქმის ათის წლის განმავლობაში (1895—1905 წ.). წინანდელ ბრძოლის ნაპერწკლები ათასში ერთხელ კიდევ იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ მალე ისევ ჰქრებოდა. ბანკი, მტკიცედ დამყარებული წინადაც, თანდათან უფრო განმტკიცდა ამ ბოლო ათ წელიწადში. დაუბრუნა დამფუძნებლებს თავიანთი შეტანილი ფული, სათადარიგო თანხა გაიზარდა მილიონამდე, ხოლო გირავნობის ფურცლები გაბათილებული აქვს ნახევარ-მილიონამდე და ეს ფულიც ნაღდად უძევს, თუ ვინიცობაა სათადარიგო თანხას მიშველება დასჭირდა.

სრული 30 წელიწადი დაჰყო ილიამ ბანკში და თავისი დიდი ძალ-ღონე ზედ შეალია. მისმა ამაგმა ამ მხრივაც ამაოდ არ ჩაიარა. ამ ბანკის ყოველ-წლიურ მოგებით უდგია სული ყოველს ჩვენს კულტურულს დაწესებულებას. წელს მისი წმინდა მოგება ნახევარ-მილიონამდეა მიღწევნილი.

ილიამ ბანკს თავი დაანება 1905 წელს და, დიდის პენსიით უზრუნველ ყოფილს, უნდოდა თვისნი დანარჩენი დღენი თავის საყვარელ საგურამოში გაეტარებინა დამშვიდებითა, მაგრამ ეს მისი დიდის ხნის ნატვრა და სურვილი არც ახლა ასრულდა: განგებამ სხვაფრივ განაგო მისი ბედის-საწერელი.

რა ინება განგებამ, ეგ შემდეგ იყოს, ხოლო ახლა თვალი გადავავლოთ ილიას სხვა გვარ საზოგადო მოღვაწეობასაც.

XIV

ილია და წერა-კითხვის საზოგადოება. — თეატრი და სათეატრო ამხანაგობა. — ფართო პროგრამა. — სწავლა, ლოცვა და წამლობა. — სულიერი მამა. — სლავიანებმა რა ჰქმნეს. — იურიდიული ფორმა.

ბანკისა და მწერლობის გარეშეც მოღვაწეობდა ილია საზოგადო სიკეთისათვის და ამიტომ საჭიროა მოკლედ მაინც განვიხილოთ, რა ამაგი მიუძღვის ილიას ქვეყნის წინაშე ამ მხრივაც.

დიდს ყურადღებას აქცევდა ილია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". თუმცა ილიას ამ „საზოგადოების" წესდების შედგენაში თითქმის წილი არ უდევს, სამაგიეროდ, დღიდგან მის დაარსებისა (1879 წ.), გამგეობის წევრად ირიცხებოდა და მუშაობდა, ჯერ როგორც თავსმჯდომარის ამხანაგი და მერე, დღემდე გარდაცვალებისა, როგორც თავსმჯდომარე. წესდების დამტკიცებასაც ილიამ შეუწყო ხელი სხვათა შორის თვისის ქვისლის სტაროსელსკის შემწეობით, რომელიც მაშინ უკვე ხელმწიფის მოადგილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის საბჭოს უფროსად იყო. სულიც „საზოგადოებას" ილიამ და მის მიერ წარმოებულმა ბანკმა ჩაუდგა. დაარსების წელსვე ბანკის კრებამ, ილიას თაოსნობითა და მეოხებით, შესწირა ამ საზოგადოებას 11.000 მან. თავსმჯდომარედ არჩეულ იქნა 1882 წ.; როცა დიმიტრი ყიფიანი, პირველი თავსმჯდომარე საზოგადოებისა, გუბერნიის მარშლობასა სწევდა ქუთაისში. ილია, მეტადრე პირველში, მხნედ ეკიდებოდა თავის მოვალეობას. ექვსი-შვიდის წლის განმავლობაში თითქმის ყოველ კრებას ესწრებოდა გამგეობისას და თვისის ხელით სწერდა მის გარდაწყვეტილებას ოქმებში.

ილია თავ-გამოდებული იყო უფრო წესდების მე-3 მუხლისათვის და დიდის სიმედგრით იცავდა ამ მუხლს სამოსწავლო მთავრობის ზედ-მოსევისაგან. იქ სწერია: „სწავლა საზოგადოების სკოლებში უნდა სწარმოებდეს ბავშვებისათვის გასაგებ ენაზედაო". ილია მზად იყო სხვა ყოველივე დაეთმო და ამ მუხლის გაბათილებასა და უმოქმედოდ დატოვებას-კი არას გზით არა სთანხმდებოდა.

ილიასა და მის თანამოსაგრეთავე წყალობით ჩაეყარა საძირკველი ძველ ხელ-ნაწერების შემოგროვებისა და მათის დაუნჯების საქმეს, „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნთ-საცავის სახით, მერე საზოგადოდ ბიბლიოთეკას საქართველოს შესასების წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისას. ჩაეყარა საძირკველი აგრედვე მუზეუმსაც. როცა 1885 წელს მოვიდა ამბავი, სამეგრელოს მთავარმა უგანათლებულესმა ნიკოლოოზმა თვისი ძველ-ხელნაწერების ბიბლიოთეკა შემოსწირა „საზოგადოებასაო", ილია მეტად გახარებული იყო და თვითონ იკისრა წასვლა სამეგრელოში, სოფელ გორდს, საცა

სამეგრელოს მთავართა საზაფხულო სასახლეა და საცა იყო დაცული ის ბიბლიოთეკა*). მასთან ერთად წავიდნენ: ვას. მაჩაბელი, ამ საქმის მოთავე და მომხერხებელი, ი. მეუნარგია, იქაური მკვიდრი, დავ. ერისთავი და სხვ. წიგნები და ხელნაწერები ანუსხეს, ჩაალაგეს ყუთებში, აჰკიდეს ჯორებსა და ქუთაისამდე ისე ჩამოიტანეს რკინის გზით ტფილისში გასაგზავნად.

არ გასულა რამდენიმე წალიწადი, რომ „საზოგადოების“ ბიბლიოთეკა კვლავ გამდიდრდა უხვის შეწირულებით: „საზოგადოებას“ შესწირეს თავისი ძვირფასი კოლექციები ხელთნაწერისა და ნაბეჭდის წიგნებისა ჯერ რ. ერისთავმა და მესხიშვილმა და შემდეგ დიმ. ბაქრაძემაც.

ილიასა და მის ამხანაგთა მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ნელ-ნელა გაძლიერდა სიყვარული ამ „საზოგადოებისადმი“ ქართველთა შორის. უხვი შეწირულება დ. სარაჯიშვილისა, ნ. ღოღობერიძისა, ი. გოგებაშვილისა, ალ. ხახანაშვილისა ნაყოფია ამ სიყვარულისა და ცხადად ჰმოწმობს, რა ძრიელი თანაგრძნობა მოუპოვეს ამ საზოგადოებას მისმა პირველმა მოამაგეებმა და სულის ჩამდგმელებმა. თვით ილიამაც ყოველი თვისი ქონება, სახლები თუ მამული ტფილისში, საგურამოსა და ყვარელში და, — რაც უფრო საყურადღებოა, — თვისის გონების აუარებელი ნაწარმოები ამავე საზოგადოებას დაუტოვა ანდერძით.

ამაგი დასდო ილიამ მეორე ჩვენს, არა ნაკლებ დიდ-მნიშვნელოვანს საკულტურო დაწესებულებას — ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაც. ეს საზოგადოება 1880 წელს დაარსდა იმ დროს, როცა ქართულმა თეატრმა ის იყო ფეხი აიდგა და პირველად დაარსდა მუდმივი სცენა. ვიდრე დრო და მოცალება ნებას აძლევდა, ილია თავის მზრუნველობას არ აკლებდა, გ. ერისთავის შემდეგ, ხელმეორედ აღორძინებულს ნორჩს საქმეს, მით უმეტეს, რომ „მეფე ლირის“ მთარგმნელს, „დედა და შვილისა“ და „გლახა-ჭრიაშვილის“ ავტორს მუდამ გულში უღვიოდა თანაგრძნობა და სიყვარული ეროვნულის სცენისა. ამ სცენასა, ქართულს თეატრსა და „დრამატიულ საზოგადოების“ საქმეებს უძღვნა ილიამ არა ერთი და

---

* ავტობიოგრაფიაში შეცდომით აქვს მოხსენებული ილიას ეს თარიღი.

ორი თანაგრძნობით გამთბარი წერილი, ჯერ ისევ 1880 წლამდეკე. მერე კიდევ ჰბეჭდავდა ილია ხანდაზმით შესანიშნავს წერილებს სადრამო კრიტიკის შესახებ და აგრედვე რეცენზიებს და მით აძლიერებდა საზოგადოების ინტერესსა და თანაგრძნობას ქართულის თეატრისადმი. მისი კერძო მიწერ-მოწერაც ცხადად ჰმოწმობს, რა დიდ საქმედ მიაჩნდა ილიას საქმე ქართულის სცენისა და თეატრისა. ილია ოქრომჭედლიშვილი სწერს ილიას, სხვათა შორის, რომ თეატრის საქმე კარგად წავა, თუ ახლა, ამ ნორჩობის დროს ხელი შეუწყეთო. „ახლა 700 მან. გიგზავნი და მერე, თუ ერთი საქმე გამიკეთდა, რომლის იმედიცა მაქვს, შენს პროგრამას თეატრის სუბსიდიისას და ფულით შემწეობისას სავსებით ავასრულებ“*.

ცხადია, ილია თითონაც ჰზრუნავდა თეატრისათვის და თავის მეგობრებსაც იწვევდა მის შემწეობად, დასახმარებლად. კ. ყიფიანთან მიწერილი წერილი ამტკიცებს, რომ ილია სათავეში სდგომია თეატრის საქმეს მაშინ (1880 წ.), როცა „დრამატიული საზოგადოება“ ჯერ არ არსებობდა და იყო მხოლოდ ამხანაგობა და ესრედ-წოდებული სათეატრო კომიტეტი, როცა ის-ის იყო ერთ-ერთი ჯგუფი ჩვენის ინტელიგენციისა ამ „საზოგადოების“ წესდებას ადგენდა, ნ. ნიკოლაძის მეთაურობით.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ილიას თაოსნობა შექსპირის პიესების თარგმანისა. მართალია, შექსპირის ზოგიერთი პიესა მანამდისინაც იყო გადათარგმნილი დიმ. ყიფიანის მიერ, მაგრამ ლექსით, წყობილ-სიტყვაობით თარგმნა შექსპირისა პირველად ილიამ იკისრა ივ. მაჩაბელთან ერთად. ილიამა და ვანომ ერთად გადათარგმნეს გალექსვით „მეფე ლირი“ პეტერბურგში 1874 წელს. გადათარგმნეს ისე საუცხოვოდ, რომ ყველას მოსწონდა, ა—ს გარდა, როგორც ამბობს ილია ერთ-ერთს თავის კერძო წერილში. დიმ. ყიფიანს ხომ ისე მოეწონა, რომ, როგორც თვით დიმიტრი ამბობს, ამ თარგმანმა სახელოვნად გადივლო თავს „კრიტიკა ულმო-

---

* სამწუხაროდ, იმ მასალებში, რომელიც ხელთა გვქონდა, ეგ პროგრამა ილიასი არ შეგვხვედრია.

ბელი, მიუდგომელი. შრომა გაგიწევიათ დიდი; ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავიო".

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გარემოებამ გაუღვიძა დიდი ხალისი შექსპირის შესწავლისა და თარგმნისა ვანო მაჩაბელს, რომელმაც შემდეგ გაამდიდრა ჩვენი თარგმნილი ლიტერატურა ამ დიდებულ დრამატურგის საუკეთესო პიესების მშვენიერ თარგმანებითა.

ილია ჰზრუნავდა „მეფე ლირის" წარმოდგენისათვისაც ქართულ სცენაზედ. უნდოდა თვით მეფის როლი დიმიტრი ყიფიანს ეკისრა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. სცენის მოყვარულთ წარმოადგინეს „მეფე ლირი", ბანკის დაარსების პირველ ხანს და, როგორც გაგვიგონია, კენტის როლი ილიამ ითამაშაო.

ამ სახით, თეატრის საქმის პატრონობამა და ზრუნვამ ფუჭად არ ჩაიარა. დრო დიდის გაჭირვებისა და დაბრკოლებისა მისთვის წავიდა და თითქმის სულ განჰქრა. დღეს თეატრის საქმე ისეა წელ-მომაგრებული ტფილისსა და პროვინციაში, რომ, თუ სულ არა, სანახევროდ მაინც აცხადებულია პროფ. ოქრომჭედლიშვილის ნაწინასწარ-მეტყველევი.

მცირე ამაგი არ დასდო ილიამ ჩვენს სასკოლო კომიტეტსა და სათავადაზნაურო სკოლასაც. მაგ სკოლას ხომ თვით ქართველობა ინახავდა თავის ფულით, ესე იგი იმ ფულით, რომელსაც ბანკი იძლეოდა თავის წმინდა მოგებიდან. მაშასადამე, დღეს არა, ხვალ, შეიძლებოდა, ისე გვეწარმოებინა იქ სწავლა, როგორც უფრო შესაფერი იქნებოდა და სასარგებლოდ დანახული ჩვენის ქვეყნისათვის. ეს ფიქრი იყო მიზეზი, რომ, სხვებთან ერთად, ილიაც თანაგრძნობით ეკიდებოდა სათავად-აზნაურო სკოლასაც და წინამძღვრიანთ სამეურნეო სასწავლებელსაც. ან კი რა ჭკუაში მოსასვლელია, რომ ვითომ ილია არ თანაუგრძნობდა სათავად-აზნაურო სკოლას. იმის ფიქრით, საჭირო იყო მხოლოდ სიფრთხილე და მომჭირნეობა ხარჯის გაწევაში: მარტო ბანკზედ ნუ დავამყარებთ სკოლის ბედსა და უბედობას, ბანკს დღეს აქვს მოგება, ხვალ შეიძლება არა ჰქონდესო. ამიტომ დაიბადა ერთხანად აზრი ფული გამოეღო თავად-აზნაურობას შეძლებისა და კვალად და დაედო თანხად სათავად-აზნაურო სკოლის არსებობის უზრუნველ საყოფელად.

ილია არ თანაუგრძნობდა მხოლოდ წოდებრივს მიმართუ-

ლებას სკოლაში და ჯერ ისევ 1879 წელს ამბობდა, სწავლა აქამდე წოდებრივი იყო, თავად-აზნაურობისა და მოქალაქობისათვის ჰზრუნავდა მთავრობა, სხვა დანარჩენი, ფრიად დიდ-ძალი ხალხი-კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყოვო*.

ილიას აზრით, სწავლა უწოდებრივო და საყოველთაო უნდა ყოფილიყო. შესანიშნავია იმისი ფორმულა, ტრიადის სახით, გამოთქმული: ლოცვა, სწავლა და წამლობა უსასყიდლო უნდა იყოსო.

როცა ერთს ხანს მწვავე მერყეობა დაეტყო ჩვენს საზოგადოებას და ტიპი სკოლისა შეიქმნა დაუსრულებელ კამათის საგნად, ილია გადიხარა სამეურნეო ხასიათისა და რეალურ სკოლის ტიპისაკენ.

ჩვენის აზრით, ილიავეა სულიერი მამა იმ ახალის საზოგადოების დაარსებისაცა, რომელმაც ასე მალე მოიპოვა თანაგრძნობა ჩვენის ქვეყნისა და რომელსაც ეწოდება „საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება“ .

ჯერ ისევ 1882 წელს შეადგინა ილიამ პროგრამა ზღაპრებისა, ანდაზა-გამოცანებისა და ხალხურ ზეპირ-სიტყვაობის შეგროვებისათვის. ეს პროგრამა დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ სახელით და მრავლად დარიგდა პროვინციაში. სხვებთან ერთად ილიავე ჰბეჭდავს 1883 წელს „ვისრამიანს“ სხვა და სხვა ვარიანტის შედარებით. თან სწერს შემდეგს საგულისხმო სიტყვებს წარსულის შესწავლის საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ ჯერ ისევ 1881 წელს:

„სლავიანებმა თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად თავისი წარსული ხელ-ახლად ააყენეს საფლავიდან, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველის-ფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავ-დადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებულნი სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დე-

* „ივერია“ 1879 წ. № 1. შინ. მიმოხ.

და-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო, რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს; შეიტყო და ფეხზედ დადგა, ფრთა შეისხა*.

ამავე საგანს, ესე იგი წარსულის შესწავლასა და გამომზევებას, დასტრიალებს მისი და მის მეგობრების კერძო მიწერ-მოწერაცა. აი, მაგალითად, რასა სწერს ილიას იგივე ზემოხსენებული მეგობარი ი. ოქრომჭედლიშვილი ერთს თავის უთარიღო წერილში:

„... — ამ ჩემგან გადადებულ ფულის თაობაზედ ერთი დაწყობილება რამ უნდა მოვაგვაროთ, რომ საუკუნოდ დარჩეს. „წ. კ. საზოგადოებას“ მეტად პატიოსანი განწესება აქვს, რომელსაც ყველა უნდა შეეწიოს, მაგრამ მე არ მინდა, რომ ჩემი დანაპირი — ძველ სალიტერატურო და ისტორიულ წიგნების დაბეჭდვა** — იმის საქმეში აირიოს. მე მინდა, რომ ეს საქმე მიჰყვეს თავის ვიწრო გზას და დარჩეს საკუთარ მიჯნებში“... შენ მხოლოდ ის იფიქრე, იურიდიულად როგორ მოეწყოს ეს საქმეო, იფიქრე, როგორ მოუარონ ამ საქმეს იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ იქმნებიან და შენი ნაფიქრი შემატყობინეო.

ცხადია, ჯერ ისა, რომ ეს წერილი პასუხია ილიას წერილისა და მერე ისა, რომ აქ პირდაპირ ცალკე საისტორიო საზოგადოების დაარსებაზეა ლაპარაკი. ეს აზრი უკვე დაბადებულია მოწინავე კაცთა გონებაში, ნელ-ნელა მუშაობს და სცდილობს განხორციელებას, ჰსცდილობს ქვეყნად არსებობისათვის შესაბამი იურიდიული ფორმა მიიღოს, კანონიერად დამკვიდრდეს.

მართალია, გვიან, მაგრამ აკი მიიღო კიდეც ეგ იურიდიული ფორმა, დამკვიდრდა კანონიერად „საზოგადოება“, რომელსაც აზრად აქვს ჰბეჭდოს კიდეც ძველი სალიტერატურო და საისტორიო წიგნებიცა, შეჰქმნას ქართველთა მუზეუმიცა

---

* „ივერია“ 1881 წ. № 5, შინ. მიმ.

** „ვისრამიანიც“ იმის ხარჯით დაიბეჭდა, როგორც დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონიც — „საუნჯე ქართულის ენისა“.

და საზოგადოდ ემსახუროს წარსულის კვლევისა და ძიების საქმესაც. სამწუხაროდ, ილია ვეღარ მოესწრო ამ საზოგადოების დაარსებას.

XV

საგურამო. — კაკალი. — მეურნეობა. — მოსვენება. — ტკივილების დაშუშება. — სტუმრიანობა. — ლეისტი. — ვარდროპის ქალი. — მუხა და ია. — უბედური, მაგრამ მშვენიერი. — აღვიჭურნეთ.

ბანკიდან გამოსულმა ილიამ მიაშურა თავის საგურამოს. იქ ფიქრობდა დამსახურებული მგოსანი და მხცოვანი მწერალი მოსვენებას, მოხუცების დანარჩენ დღეთა გატარებას. მერე რა რიგ უყვარდა ეგ საგურამო, რა მშვენიერს ადგილსა ჰქონდა აშენებული თავისი დიდი სამ-სართულიანი სასახლე! მარტო ის დიდი თავ-კარავიანი კაკალი რად ღირდა, რომლის ქვეშაც გადმოჩუხჩუხებდა მშენიერი წყარო, მილებით წამოყვანილი ზედაზნის მთიდან. აკი ამიტომ ყოველთვის იქ ეპატიჟებოდა თავის სტუმრებს, ვაჩვენებ იქაურს ჩემს არე-მარეს, ვასიამოვნებო. როცა-კი ორი-სამი დღე თავისუფალი ჰქონდა და რაიმე საქმე არ აბრკოლებდა, ილია უთუოდ წავიდოდა სოლმე საგურამოს და თან სხვებსაც წაიყვანდა. ისე უყვარდა ილიას ეს ქვეყანა, რომ ხშირად დადიოდა, არა თუ ახალ ვაზაფხულის პირზედ, ზამთარშიაც-კი. ზაფხულსა და შემოდგომაზედ ხომ რაღა თქმა უნდა. ამაგი საკმაოდა ჰქონდა იქ გაწეული და, რასაკვირველია, ეს გარემოება უფრო აცხოველებდა მის სიყვარულს. თუ პირველში ხის კოხტა პატარა სახლი ედგა ოთხ-თვლიანი, შემდეგ იმის ალაგას დიდი შენობა დადგა, სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი მშვენიერის ფართო აივნებითა. მესამე სართულში იყო მოწყობილი მისი კაბინეტი, საიდანაც სჩანდა თითქმის მთელი ხეობა არაგვისა. სახლს გარდა, მეურნეობაცა ჰქონდა გამართული და ხარჯს არა ჰზოგავდა მის წარმართვისა და აღყვავებისათვის, მაგრამ ეს საქმე როგორღაც ხერხად ვერ მოსდიოდა. სახლ-წინ გაშენებული ბაღი და ვენახი არ იყო სასურველად მოვლილი, მეტადრე ყვავილ-ნარი და წალკოტი. საქონელი და ცხენები ბლომად ჰყავდა, მაგრამ მოჯამაგირე-

ების ხელში ხეირი არ ეყარათ. სამეურნეო მანქანებიც ბლომადა ჰქონდა და ბევრი მათ შორის წამხდარი იყო და მოშლილი. ბოლოს ფუტკარიც გაიჩინა, წვრილ-ფესის გაჩენასაც მიჰყო ხელი სამრეწველო აზრითა, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა ამ სამეურნეო დაწყებულებისამ შესამჩნევი სარგებლობა ვერ მისცა ილიას. და, ვგონებ, არც ძრიელ სწუხდა ამისათვის. ჰქონდა ხალისი — გაეჩინა ყოველივე, რაც-კი კარგად მოწყობილ მეურნეობაშია ხოლმე გაჩენილი და, თუ სარგებლობაც იქნებოდა — ხომ კარგი, თუ არა და — არც მაგას დარდობდა. ერთ ხანად ოცამდე მეწველ ძროხას მოუყარა თავი, შეჰხარობდა და მთელის საათობით სიამოვნებდა იმათის ყურებით საღამოობით, როცა წველას დაიწყებდნენ ბიჭები.

აი ამ საგურამოს მიაშურებდა ხოლმე ილია, როცა-კი თავისუფალი დრო ჰქონდა და აქ ეძლეოდა დიდს მოსვენებასა და შეღავათს. აქ მისი შემაწუხებელი აღარავინ იყო და ილიაც სიამოვნებით ეძლეოდა განდეგილივით თავის საყვარელს გულის-თქმას — ფიქრსა და დუმილს. ამ ფიქრსა და დუმილში ისვენებდა ილიას სული და გული. აქ იშუშებოდა დიდი ტკივილები, დაჩნეული წუთისოფლის მსახვრელ ხელით დიდსა და თავ-გამოდებულ საარსებო ბრძოლაში. მის მარტოობას და განდეგილობას არღვევდნენ მხოლოდ საუკეთესო ნაცნობნი და მეგობარნი, რომელნიც ეწვეოდნენ ხოლმე ზაფხულობით, მაგრამ ეს გარემოება სასიამოვნოდაც ჰქონდა. მეტადრე ბლომად იკრიბებოდნენ ასეთნი სტუმარნი ელიაობას, 20 ივლისს, ილიას სახელწოდების დღეს.

პირველში უფრო მახლობელნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი ულოცავდნენ ილიას ამ დღეს. მხოლოდ თითოოროლა სახელოვანი ჩვენი მწერალი და მოღვაწე თუ არა ყოფილა როდისმე ამ დროს საგურამოში, თორემ დანარჩენთა შორის ბევრს არ მოისაკლისებდით. არა ერთხელ გვინახავს იქ ისეთნიც-კი, რომელთაც წინად ოდესმე უსიამოვნება ჰქონიათ ილიასთან, მაგრამ შემდეგ, დროსა და ხნის განმავლობაში, უსიამოვნება გამქრალა და ძველნი ნაცნობნი კვლავ მეგობრულად შეჰხვედრიან ერთმანერთს ილიაობას და არა ერთი და ორი დღე გაუტარებიათ საგურამოს საოცნებო მიდამოთა შორის ილიას მახლობლად მხიარულადა, სასიამოვნო მუსაიფსა და მსჯელობაში. მერე და მერე ეს პატარა გუნ-

დი მახლობელ ნაცნობ-მეგობართა, ილიას გაზეთის მახლობელ და შორეულ თანამშრომელთა, თან და თან გადიდდა, უფრო-კი ბანკის გარშემო ატეხილ დავი-დარაბის გამო და ამ დროს ილიას კარ-მიდამო და არე-მარე მრავალ-ნაირის ხალხით ივსებოდა, ისე რომ ზემოხსენებულ დიდ კაკალ-ქვეშ ვეღარა თავსდებოდნენ სტუმრები.

უცხოთა შორის ხშირად იყო ილიასთან სტუმრად საგურამოში არ. ლეისტი. ლეისტი საზოგადოდ მახლობელი მეგობარი იყო ილიასი, დაწყებული 1883 წლიდან, როცა ეს ჩვენის მწერლობისა და ენის მოყვარული კაცი გადმოვიდა საქართველოში და სამუდამოდ დაბინავდა ტფილისს. ილიამ დიდის ამბით მიიღო ლეისტი პირველ გადმოსვლისასვე, გაუმართა ნადიმი, მიუწვია თითქმის ყველა წარმომადგენელი ჩვენის მწერლობისა და ხელოვნებისა და გააცნო სათითაოდ მომავალ მთარგმნელს გერმანულად „ვეფხის-ტყაოსნისას“.

ასეთისავე დიდის ამბით დაუხვდა ილია საგურამოში ინგლისელს ქალს უორდროპის დას მარჯორის, „განდეგილისა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელს.

ილიას ჰქონდა მიწერ-მოწერა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ მორფილთან და გრაცის უნივერსიტეტის პროფესორ შუხარდტთან, რომელნიც სწავლობდნენ და იკვლევდნენ ქართულ ენასა და მწერლობას.

აქ არ შემიძლიან არ გავიხსენო ერთი შორეული ამბავი, რომელიც მოჰხდა 1884 წელს „დროების“ რედაქციაში ივ. მაჩაბლის დროს: ქართულმა სათეატრო დასმა წარმოდგენა გაჰმართა ფრანგთა ტფილისის კალონიის სასარგებლოდ. წარმოდგენას დაესწრო საფრანგეთის კონსული და დიდი მადლობა გადუხადა დასსაცა და დრამ. საზოგადოების გამგეობასაც. კონსული მიიწვიეს იქვე რედაქციაში, რომელიც მაშინ სასახლის ქუჩაზედ იყო დ. სარაჯიშვილის სახლეში და ხილი და ტკბილეულობა მიართვეს.

გაიმართა სიტყვების თქმა. ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, დ. ერისთავი, ი. მეუნარგია ფრანგულად ამბობდნენ თავ-თავიანთ სიტყვას და უთარგმნიდნენ ქართულად წარმოთქმულებს. ბოლოს ილიამაც სთქვა პატარა, მაგრამ გულის-სიღრმემდე ჩასაწვდომი სიტყვა. ილიამ შეაქო საფრანგეთი, მისი ძლიერება, ჭკუა და ხელოვნება მისთა შვილთა, თავ-გამოდება მის

სამშობლოსი ჩაგრულ ერთათვის და მერე ასე დააბოლოვა: ძლიერია და მტკიცე მუხა, ფართოდ ფოთოლ-გაშლილი, თავ-კარავიანი, ამტანი ყოველ-გვარის ქარ-ტეხილისა, მაგრამ განა რას დაუშლის მის ძლიერებას, რომ მის მახლობლად პატარა იაცა ჰყვაოდეს. ჩვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ ტურფაა, როგორც ია, როგორც გაზაფხულის ყვავილი და ჩვენი ნატვრა მხოლოდ ის არის, რომ იცოცხლოს დიდის მუხის მახლობლად უვნებლად, თავისუფლადაო. მსმენელნი აღტაცებაში მოვიდნენ. ზოგს, მეტადრე ქალებს, ცრემლები მოადგათ თვალებზედ. ნიკოლაძემ უთარგმნა კონსულს და იმასაც ნელ-ნელა გაეხსნა ნაოჭად შეკრული შუბლი, ღიმილი შეუთამაშდა ტუჩებზედ და ბოლოს ისე გაუბრწყინდა სახე, რომ სულ ნათელი გადასდიოდა. კონსული დიდად მადლობელი და კმაყოფილი წავიდა ამ პატარა პოლიტიკურ ბანკეტიდან.

მარჯორი ვარდროპსაც ასე სწერს ილია ერთ-ერთს თავის კერძო წერილში: „გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხვდებით... იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა, თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა“.

დიაღ, უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა! ეს უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა იყო საგანი ილიას ყურადღებისა და სიყვარულისა, ისეთის ძლიერისა და გულში ღრმად ფესვებ-გადგმულის სიყვარულისა, რომ მთელ საქართველოში ბევრი არ იყო ასე ღრმა, დაყურსულის, მრჩობლედის გრძნობით მოყვარული თვისის ქვეყნისა და მამულისა. ეგ სიყვარული მიდიოდა თავის თავის უარ-ყოფამდე, თავის თავის დავიწყებამდე, თავ-განწირულებამდე. მის ცხოვრებასა და მწერლობაში მრავალია იმის მაგალითი და დამამტკიცებელი საბუთი, თუ რა ძლიერის გრძნობით უყვარდა ილიას თავისი „უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა“ და რაოდენად მზადმყოფი იყო, თუ-კი გარემოება მოითხოვდა, თავიც გაეწირა მის საბედნიეროდ.

და აკი გასწირა კიდეც!

მაგრამ ნუ ავჩქარდებით. აღვიჭურნეთ ილიასებურის მოთმინებითა და ცოტა რამ კიდევ მოვისმინოთ, რადგან ჩვენც ვათავებთ და ილიასაც უკვე დიდი დღე აღარა აქვს ამ ქვეყნად;

ცხოვრებაში „შეღავათისა და მოსვენების“ მძებნელს საუკუნო განსვენებას უმზადებენ ბოროტნი ძალნი და იქვდნეთა ნაშობნი ნაძირალნი...

XVI

ნიშანი სულგრძელობისა და ქვეყნის სიყვარულისა. — ანგარიში უნდა გაუწიოთ. — არ მოერიდა. — ზნეობრივი ძალა. — თავგანწირვა. — მაგისათვის პასუხს გამცემთ. — გულის-ტკივილი ქართულ საქმისათვის. — გაშლილი გული. — კანონი ზნეობისა და სიყვარული მდაბიოსი. — შავი ყორანი.

როცა სამწერლო ასპარეზზედ გამოვიდა ჯერ ბაჩანა და მერე ვაჟა-ფშაველა, ილიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. იქამდე მივიდა კაცი, რომ სულ უარ-ჰყო თითქმის თავისი სამგოსნო მოღვაწეობა. მრცხვენიან, რომ ოდესმე კალამი ხელში ამიღია და ლექსები მიწერიაო, გადაჭრითა სთქვა ილიამ და ამის მოწმენი დღესაც ცოცხალნი არიან. შესაძლოა სცდებოდა ილია ამ შემთხვევაში და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ასეა. მაგრამ საქმე ეს კი არ არის, საქმე ის დიდ-ბუნებოვანებაა ადამიანისა, რომელიც არ უშინდება უკიდურეს დასკვნას, თავის-თავისათვის ასეთს საშინელს მსჯავრსა და ვანაჩენს. არ უშინდება, ალბად, იმიტომ რომ სხვაფრივაც საკმაო ძალასა ჰგრძნობს, სხვაფრივაც მიუძღვის დამსახურება ქვეყნის წინაშე და ერთი ღვაწლი რომ კიდეც თავის ხელით წარხოცოს, მაინც ბევრი სხვა დარჩება. ასეა თუ ისე, ეს ისეთი გარემოებაა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვინც-კი ილიას შესწავლას თავს დაუდებს შემდეგა.

ჩვენ უკვე ვიცით, რა მედგრად, რა თავ-გამეტებით ეკვეთა ილია თავისის ეპიგრამებით 1871 წელს ძლიერთა ამა ქვეყნისათა ქართველთა შორის, როგორ დაჰგმო მათი ფარისევლობა, მათი საოცნებო და უკულმართი მამულის სიყვარული, მათი ღმერთი არმობისა, მათი სიმბოლო სარწმუნოებისა. ესეც კიდევ საბუთი იმისი, რომ ილია, ღრმად მოყვარული თავის ქვეყნისა, არ შეუშინდა ძლიერთა რისხვასა, მათს მტრობასა და ისეთს უკიდურეს ღონეს მიჰმართა, როგორიც არის ეპიგრამა-გამოცანები.

ილია შეებრძოლა თავად-აზნაურობის უმრავლესობას და მის წარმომდგენელს ივანე მუხრან-ბატონს გლეხ-კაცთა საკეთილდღეოდ, როცა ჯერ სულ ახალგაზრდა და გამოუცდელი ყმაწვილი კაცი იყო, შეებრძოლა იმიტომ რომ გრძნობდა თავის ზნეობრივს ძალას, თავის დიდს სიმართლეს და მის ძლევა-მოსილებასა და აკი დაამარცხა კიდეც მხოლოდ ნივთიერად ღონიერი და გოროზს, ქედ-მაღალს ფეოდალს ქედი მოადრეკინა, ბოდიში მოახდევინა.

ილიას რვა-ცხრა დუელი ჰქონდა, ხან მწერლობის ნიადაგზედ გამოწვეული და ხან საბანკო მოღვაწეობის გამო გაჩენილი. ილიას სწამდა თავისი სიმართლე მწერლობაში და საბანკო საქმეში და ებრძოდა იმათ, ვინც უჯერო და უმართლო გზაზედ დამდგარი ეგონა. ებრძოდა სიტყვით, კალმით და, როცა მტერი იქამდე გათამამდებოდა, რომ მის პირად ღირსების შეურაცყოფას აღარ დაერიდებოდა, დუელში იწვევდა კადნიერს მოწინააღმდეგეს. შეუძლებელია, ვიფიქროთ, რომ დუელში გასული კაცი მუდამ მშვიდობით გადარჩენის იმედით იყოს. მაშასადამე, ილიას მუდამ თავი ჰქონდა გაწირული იმ საქმისათვის, რომელიც მართალი ეგონა და საკეთილო ქვეყნისათვის.

— თქვენ, ბატონო, — მიუბრუნდა ერთხელ ილიას თავსმჯდომარე საბანკო კრებისა დიმ. მუსხელაშვილი, არტილერიის გენერალი და დიდი მომხრე ივ. მაჩაბელისა. — თქვენ ძალას ატანთ კრებას, აიძულებთ თქვენს მომხრეობას.

— რა ძალას ვატან, ბატონო, ან რა იძულობასა ბრძანებთ, — მიუგო ილიამ თავსმჯდომარეს თავისებურის გაბედვითა და სიტყვა-მოსწრებითა: — თუ ეგ ძალის დატანება ის ძალის დატანებაა, რომელსაც აზრი ატანს უაზრობას და ჭკუა უჭკუობას, მაგ იძულების წინააღმდეგ ვერავინ ვერას გააწყობს, თუნდ მთელის ქვეყნის არტილერია ზედ მიუსიოს!

კრება შეშფოთდა, მაგრამ მალე ისევ დამშვიდდა და განაგრძო თავისი საქმე.

კიდევ კრებაა ბანკისა. მოსასმენია ბრალდებანი საგანგებო სარევიზიო კომისიისა. ილიას უჭირავს მოხსენება კომისიისა და კითხულობს.

— თქვენ ნუ კითხულობთ. სხვამ წაიკითხოსო, — ისმის ხმები კრებიდან.

— მაშ, არ მენდობით? — ჰკითხა ერთს ოპოზიციონერს ილიამ, როცა იმან დაჟინებით მოითხოვა, სხვამ წაიკითხოს კომისიის მოხსენება, ილიას წინააღმდეგ მიმართულიო.

— კარგი, აი, გადამიცია, სხვამ წაიკითხოს, ხოლო თქვენ მე მომცემთ პასუხს მაგისათვის, — იყო პასუხი ილიასი.

მეორე დღეს ოპოზიციონერს და წევრს კომისიისას ეწვივნენ ილიას სეკუნდანტები. საქმე ბოდიშის მოხდით გათავდა. ოპოზიციონერი დიდი პატივისმცემელი იყო ილიასი და მისის ღვაწლისა და გულის-ტკივილით ამბობდა შემდეგ, სხვათა-შორის: მე მოვეკალი — ჯანაბას კიდევ ჩემი თავი, მაგრამ მე რომ მომეკლა ის დიდებული კაცი, ხომ მოსვენებას ველარ-სად ვიპოვიდი ამ ქვეყნადაო.

ეს ამბავი მოჰხდა სულ უკანასკნელს დროს, 1905 წელს, ილიას მოხუცებაში, როცა უკვე სამოცდა ათს წელს ბევრი აღარა უკლდა-რა. მას-უკან ხომ თავიც დაანება ბანკსა.

ახლა ვნახოთ, რა სიყვარულით უყვარდა ილიას თავისი „უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა“, რა სიყვარულით უყვარდა გლეხ-კაცი, მუშა კაცი და, რასაც მწერლობაში თბილს გრძნობას იჩენდა ტანჯულისადმი, ცხოვრებაშიც იგივე გრძნობა უფლობდა თუ არა მის გულში.

ილია ოქრომჭედლიშვილი სწერს ერთს უთარიღო წერილში:

„ვიცი შენ დიდის მოცალეების კაცი არა ხარ და მეც ჩემის სხვა და სხვა თხოვნით უფრო გიმძიმებ ტვირთს, მაგრამ რასა იქ. აბა, ერთი სხვა კაცი მიჩვენე, რომელსაც შენსავით სტკიოდეს გული ქართულ საქმეზედ... შენ იმ ქართველ დედაკაცსა ჰგავხარ, რომელიც თავის ქმრის უხეირობას სჩიოდა და სულ იმასა ნატრობდა, ნეტავ შეიძლებოდეს, რომ“... აღარ მოგვყავს საბოდიშო დასასრული ფრაზისა.

მაგრამ სჯობიან — თვით ილიას კერძო მიწერ-მოწერას მივმართოთ, იმ მიწერ-მოწერას, საცა ადამიანი თავის თავს არა ჰმალავს და გული მისი სავსებით არის გადაშლილი და მისი იდუმალი ზრახვა — ადვილად დასანახავი.

ჯერ ისევ 1875 წელსა სწერს ილია თავის ნათესავსა და მოურავს ყვარელში:

„ძალიან მეწყინა შენი უკანასკნელი წიგნი. მაგ შენს მეზვრესთან მორიგებას და ბათილამის ჩამორთმევას ფინთი სუ-

ნი უდის და საძაგელი ფერი აქვს. თუ ღმერთი გწამს, ეს ანდერძად გქონდეს ჩემგან: არა საქმეში უზნეობა, უპატიოსნობა არ გაურიო. გახსოვდეს ყოველთვის, რომ ქვეყანაზედ, ქაღალდის გარდა, არის კიდევ სვინიდისი, რომელზედაც იწერება პირობა იმ სიმკვიდრით და სიმტკიცით, რომ არავითარი ძალა არ ამოშლის და არ გააუქმებს. ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარება უზნეობაზედ შეუძლებელია. ზნეობრივ პრინციპების დარღვევით გაკეთებული საქმე სასეირო არას დროს არ იქნება არავისთვის. მუდამ გახსოვდეს, არ არსებობს უფლება უმოვალეობოდ, ხოლო მოვალეობა სწორედ ის არის, პატივი ვცეთ და დავიცვათ კიდეც სხვის უფლება, არამც თუ დავარღვიოთ. ისე გათავება კი საქმისა მებაღეებთან, როგორც შენ გაგითავებია, არას დროს ზნეობითა და სინიდისით მოწონებული ვერ იქნება. მაშასადამე, ვერც მე მოვიწონებ. საქმე ის-კი არ არის, რომ ხელ-წერილი ჩამოართვი და კანონისაგან ხელშეუხებელი გამხადე და თან კი დაგავიწყდა, რომ არის კიდევ სვინიდისი, რომლის ბრძანება მაღლა სდგას სამოქალაქო კანონების ბრძანებაზედ. მაშ, ასე. ვიდრე ბიჭია და მისნი ამხანაგნი პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მე სვინიდისი ნებას არ მომცემს დავარღვიო იმათი უფლება. ამას ყოველსავე იმიტომ გწერ, რომ მე ჩემს მოქმედებაში კანონის ნებართვას-კი არ ვიმძღვანებ წინ, სვინიდისის ბრძანებას ვასრულებ ხოლმე. ამის გამო ვენახის ჩამორთმევაზედ მე თანახმა არა ვარ, ვიდრე არ დამაჯერებ, რომ ბიჭია და მისი კამპანია პირობას არ ასრულებენ. ბიჭიამ თვითონ გამომიცხადა, გალავნის ვენახის კეთება ჩვენ ხელს არ გვაძლევსო. რადგანაც მაგ ვენახის კეთება ბიჭიას არ უნდა, უნდა ეკითხოს ტერენტისაც და, თუ ისიც არ ინდომებს, მაშინ შენ გააკეთე. დიდი ზვარი-კი, მინამ სურვილი აქვთ ბიჭიას და ტერენტის (უსათუოდ ორივეს) და მინამ თავისას ასრულებენ, იმ დრომდე მაგათს უფლებას მე ვერ შევეხები".

ეს საინტერსო კერძო წერილი თვალ-წინ გვიშლის ილიას ღრმად ზნეობრივს ბუნებას, გვახედებს მის გულში და გვამცნევს, რა ნამუსითა და სიყვარულით ეკიდება მდაბიოს და რა ძლიერია მისი დემოკრატობა. აქაო და ბიჭია და ტერენტი მდაბიონი არიან, მუშა გლეხ-კაცნი და ადვილად შეიძლება

მათი დაბრიყვება კანონის მიერ დაუსჯელად, რა ნება გვაქვს და ან რა სვინიდისით უნდა დავჩაგროთ, შევლახოთ მაგათი კანონიერი უფლებაო. ბიჭია და ტერენტი ილიასთვის ისეთივე სრულ-უფლებიანები არიან, ისეთივე კაცური კაცები, როგორც სხვანი და ისე სცემს პატივს მათს უფლებას, როგორც დიდ-კაცისა და გვარის შვილების უფლებასა სცემდა პატივსა.

რაოდენად პატივსა სცემდა და უყვარდა კიდეც ილიას გლეხ-კაცი, ეს კარგად იცის ყველამ, ვინც-კი საგურამოში ყოფილა და დაჰკვირვებია ილიასა და იქაურ გლეხთა ურთიერთობას. ვერავითარ ბატონ-კაცობას, უკმეხობასა და უკადრისობას ამ ურთიერთობაში ვერ შეამჩნევდით. პირ-იქით, თავ-მოსაწონებლადა ჰყავდა ზოგიერთი გლეხ-კაცი და, პირველ ყოვლისა, იმათ გააცნობდა ხოლმე თავის ინტელიგენტ სტუმრებს. მოსწონდა იმათი ჭკუა, მოთმინება, ნამუსიანობა, დარბაისლობა, სიტყვა-პასუხი. თვით დიდი ოსტატი ქართულისა, აღტაცებული იყო იმათის ენა-მეტყველებით, ენა-მზეობით და ამის მაგალითად ხშირად მოჰყავდა სხვა და სხვა მარგალიტი ხალხურის პოეზიისა. მოთმინება ჩვენებურის გლეხ-კაცისა, დიდი მისი სულგრძელება ხომ პირდაპირ საარაკოა, დაუჯერებელიო. ერთს შეძლებულს წიწამურელს გლეხ-კაცს ჭირი შეუდგა და ნახევარ-საქონელი გაუწყვიტაო, გვიამბო ილიამ. როცა შევხვდი, მიუსამძიმრე, მეწყინა შენი ასეთი ზარალი მეთქი. კაცმა გაკვირებით შემომხედა: რა ზარალსა ბრძანებ, ბატონოო? — აი, ჭირმა რომ მოგაყენა. — ეჰ, ზე დალოცვილო, ეგ რა ზარალია, ღმერთი ძმად გამიხდა და ზუაზედ გამიყო საქონელიო.

— საგურამოელი მარტია უნდილაშვილი კარგი შეძლებული გლეხკაცია, მამულის პატრონი, საქონლისაო. — გვიამბო კიდევ ილიამ. მოვიდა ჩემთან და ფულსა მთხოვს, მასესხეო.

— მარტია, მაგისთანა გაკეთებული, მდიდარი გლეხი კაცი ჩემგან ფულსა სესხულობ? — გაკვირვებითა ვკითხე.

— რად გიკვირს, შენი ჭირიმე?

— იმიტომ მიკვირს, რომ შენ ჩემზედ მდიდარი ხარ და მე მესესხები ფულს.

— მე შენზედ მდიდარი ვარ, მაგრამ ფულით-კი არა.

— მაშ, რითი?

— აი, ამითი — და მარტიამ თვის ქალამანს დაადო ხელი. — შენ რომ ეგ ბჭყვრიალა ფეხ-საცმელები მოგაკლდეს, ჯავრით აღარ დაგეძინება. მე-კი ამ ქალამანს, როცა მინდა, მაშინ ამოვისხავ. აი, ამითი ვარ შენზედ მდიდარი!

როცა ერთობის ყიჟინას მთავრობა წინ გადაუდგა და ჯარები მიუსია სოფლებს აგრარულ უწესოების მოსასპობად, საგურამოსაც ეწვივნენ ყაზახები. ილია სწერს ამ დროს (მარტი 1905 წ.) თავის მოურავს:

„მოსე, თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და, ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებით-თქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონა ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“.

როცა მეტად გამწვავდა საქმე და გლეხ-კაცობამ ცივი უარი სთქვა, მამულის პატრონს არას მივცემთო, მამული ჩვენიაო, ადმინისტრაცია ახდევინებდა ძალით გლეხებს ღალაკულუხსა და აბარებდა მემამულეებს. ილიასთვისაც ბოქაულს უნდა ჩაებარებინა თავისი კუთვნილი.

ილია ამ დროს სწერს თავის მოურავს:

„მოსე, აცნობე ბოქაულს, რომ მე ნახევარი ვაპატივე და ნახევარი-კი უთუოდ აზღვევინოს და შენის თანადასწრებით და სოფლელების თანადასწრებით ღარიბსა და ობოლ-ქვრივს დაურიგოს. სთხოვე ბოქაულს, ვისაც რას დაურიგებს, იმათი სახელი და გვარი შემატყობინოს“.

ეს წერილი დაწერილია 1906 წელს 2 თებერვლის თარიღით.

ვისაც არ უნდა, რიყეზე ქვასაც არ დაინახავს. ასეთები არც ამ წერილებს მიაქცევენ ყურადღებას და არ დაიჯერებენ, რა ადამიანური ადამიანი იყო ილია, რა შემბრალებელი გლეხ-კაცისა და გაჯიუტებით იტყვიან, რატომ მთელი თავისი ქონება და შეძლება გლეხებსა და ქვრივ-ოხერს არ დაურიგა, მზგავსად ქრისტეს ბრძანებისაო. რა ვქნათ! კაცია და გუნებაო, ნათქვამია. ჩვენ-კი თითო-ოროლა ადგილს კიდევ მოვიყვანთ ამ საინტერესო წერილებისას.

„...მოსე, შენ მხოლოდ ეცადე, მშვიდობიანად მოელაპარაკო

(გლეხ-კაცებს) და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა. დღესა თუ ხვალე დაწყნარდებიან, იმიტომ რომ მაგისთანა ამ-ბავს ბოლო მოეღება, ნებით იქნება თუ ძალით".

ანუ კიდევ:

„...გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გააფუ-ჭებინებ-კი და უბრალოზე ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმე ისე უნდა აუაროთ გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ".

ანუ კიდევ:

„...იწერები, მოეპატრონეთ აქაურობასაო. მე შეუძლოდა ვარ... და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინადაც მოგწერე და ახლაცა გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მო-დებული. მანდ კიდევ, მადლობა ღმერთს, მარტო ტყეს მიესივ-ნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღესა თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიდან პატარამდე დააწიოკებენ. შენ, როგორც გეტყობა, ცო-ტა არ იყოს, შეგშინებია. მაგოდენად ჭკუიდან როგორ შეიშლე-ბიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან. მე ამას იმიტომ-კი არა გწერ, რომ ჩემის გულისათვის თავი ვისმე შეაკალ მეთქი. ღვთის მადლით, მანდამდე საქმე არც მისულა და არც მივა. მანდ საკმაო ხალ-სი გყავს, ვერას შემოგბედენ, ჯერ იმიტომ რომ შემობედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევათ და დიდად დაისჯებიან და მერე იმიტომ, რომ ეგენიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ: ადამიანს საავკაცოდ არ გამოიმეტებენ, რადგანაც იცი-ან, კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს. შენ მანდ დამშვიდე-ბით იყავ, მაგათის მუქარისა ნურა გეფიქრება-რა და, თუ მაინ-ცა და მაინც საქმე გაგიჭირონ, მაშინ შენი ნებაა, რაც გიჯობ-დეს, ისა ჰქენი"...

აქ ალღომ წინ-დანახვისამ უმტყუნა ილიას. ისე დარწმუ-ნებული იყო, ისე სჯეროდა ადამიანობა გლეხ-კაცისა, მისი ჭკუა და გონება, რომ ვერ წარმოიდგინა სავსებით მაშინდე-ლი აურ-ზაურიანობა სოფლისა, ვერ გაითვალისწინა, თუ სა-ურამოელნი, ან ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი ისეთს საშინელს საქმეს გაჰბედავდნენ და სულ მცირე ხნის შემდეგ მოუკლავდნენ ერთგულსა და პატიოსანს კაცს. „ისინიც ადა-

მიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ, ადამიანს საავკაცოდ არ გამოიმეტებენო", სწამდა ილიას. რა იცოდა მაშინ ილიამ, რა შავი ღრუბლები იკრიბებოდა თვით მის თავზედაც, რა შავი ყორანი დაჰყრანტალებდა მის კარ-მიდამოს, მის ჭაღარა თავს! რა იცოდა მაშინ ილიამ, რა საშინელი ტრაგედია უნდა დატრიალებულიყო წიწამურთან, რა საზარელი მეხი უნდა დასცემოდა თავზედ მთელს ჩვენს ქვეყანას!!.

XVII

მესამე დასი. — ორ-გვარი მსოფლ-მხედველობა. — ბურჯი მამულის-შვილობისა. — დამსხვრევა ძველის კერპისა და ფანატიკოსობა. — ბრალდებანი. — დაბეზღება და დემაგოგობა. — განმათავისუფლებელი მოძრაობა. — სოლსკის კომისია. — ილია. — წევრი სახელმწიფო საბჭოსი. — რეაქცია.

რათა უფრო ცხადად გავითვალისწინოთ უკანასკნელი აქტი ილიას ცხოვრების ტრაგედიისა, საჭიროა თვალი გადავავლოთ იმას, რაც მოჰხდა ცოტა წინად, მიმოვიხილოთ ის, რაც წინ უძღოდა ამ ტრაგედიას.

ილია უკვე საკმაოდ მოღლილი იყო საქვეყნო საქმის მსახურებითა და მოღვაწეობით, როცა გაჩნდა ესრედ-წოდებული მესამე დასი და ნელ-ნელა დაიწყო ბრძოლა ორ მიმართულებას შორის. ერთი იყო მიმართულება ეროვნული, დეცენტრალისტური, ხოლო მეორე — კოსმოპოლიტური, ცენტრალისტური. მესამე დასი დაერქვა იმ ახალგაზდობას, რომელიც ჯერ „კვალში" იყო შეჯგუფული და მერე — „მოგზაურში". მესამე დასი სავსებით იზიარებდა მარქსის მოძღვრებას, ისტორიულ მატერიალიზმს. ყოვლისავე სათავედ და საფუძვლად მესამე დასმა დასახა ეკონომიური ინტერესები მშრომელის ხალხისა, უფრო-კი ქალაქის მუშა ხალხისა, პროლეტარიატისა და, ამ მსოფლ-მხედველობით, ამ მრწამსით აღჭურვილმა, დაუწყო ბრძოლა ჩვენს ცხოვრებაში ცოტა-ოდნავ ფეხ-ადგმულს ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ გათვითცნობიერებას...

ილია თავისის „ივერიით", როგორც წარმომადგენელი ეროვნულის იდეისა... რასაკვირველია, ყურს ვერ მოუყრუებდა ასეთს იდეურს მოძრაობას და ჩაერია ბრძოლაში. ბრძოლას ჯერ თეორიული ხასიათი ჰქონდა, მერე-კი თანდა თან

გამწვავდა და ილია იქმნა ამოღებული მიზანში, როგორც უფრო სრული წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთ პატრიოტულისა და ეროვნულის მიმართულებისა, როგორც ბაირახტარი და ბურჯი მამულიშვილობისა. ილიაც იბრძოდა კარგა ხანს, დაწყებული 1890 წლიდან 1900 წლამდე. გაზეთი ხელში ეჭირა, ჰბეჭდავდა წერილებს „ახალ-მოსულის" ფსევდონიმით და მერე, როცა ჯერ ბრძოლა საიმისოდ არ იყო გამწვავებული და მის პირადობას უდიერად არ შეჰხებოდნენ, მოღლილ-მოქანცული, მოხუცებაში შესული, ჩამოეცალა საალიტერატურო ასპარეზს, გაზეთიც სხვას გადასცა და მხოლოდ პანკში-ღა იღვწოდა.

დასელებმა უფრო მოუმატეს ბრძოლას და იერიში იერიშზედ მიჰქონდათ ილიაზედ და ეროვნულს მიმართულებაზედ. ილია თითქმის მიყუჩდა, მიიჩრდილა, მოშორდა სამოქმედო ასპარეზს, მაგრამ დასელები მაინც არა სცხრებოდნენ, რადგან იმ მიმართულების დედა-ბოძად, რომელსაც უარჰყოფდნენ დასელები, ისევ ის ითვლებოდა. იმას ერტყა გარშემო ბრწყინვალე შარავანდედი ქართველთა დიდის პატრიოტისა, ეროვნულის მგოსნისა, ქვეყნის მესვეურისა და მესაიდუმლესი. დასელების აზრით, უსათუოდ საჭირო იყო ამ კერპის დამსხვრევა, ამ ძველის ღმერთის შემუსვრა, ილიას დამდაბლება, მის აბრუს გატეხა. მისი სრული დამარცხება იქნებოდა დამარცხება და გაცამტვერება იმ მსოფლ-მხედველობისა, რომლის ცხოველი გამომხატველი და მოციქული იყო ილია. ამიტომ დასელებმა აღარ დაინდეს კაცი, უკვე მოხუცებაში შესული, მრავალ გვარად ნამსახური და ღვაწლ-მოსილი, ის კაცი, რომელმაც აუარებელი ამაგი დასდო ჩვენს ენას, მწერლობას, კულტურასა და საზოგადოებრიობას, — შეჰქმნა დიდებულნი ნაწარმოებნი, ხანგრძლივ ებრძოლა ქვეყნის მტერსა და ორგულსა, რაოდენ ძალ-ედვა, და ბევრს, ძალიან ბევრს, იქნებ თვით დასელებსაც, არა ერთხელ აღუძრა დიდი და ტკბილი გრძნობა ადამიანობისა, ჩაგრულთადმი სიბრალულისა, კაცთმოყვარებისა, სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა...

პირუთვნელი ისტორია ყველას თავისას მიუწყავს. ჩვენ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებთ, რა საშინელი ბრალდებანი იყო მაშინ ილიას წინააღმდეგ წამოყენებული და რა შეუწყნარებელის სიტყვებით იყო მრავალ-ჯერ მოხსენებული იმისი

სახელი: ილია მოძულეა გლეხისა, მტარვალია და მყვლეფელი მისიო, წყაროს წყალსა ჰყიდდა დიდსა და ცივს ზამთარშიო, ავადმყოფ კაცს კოკები თავზედ გადაამტვრია მისმა მოურავმა, თითონ-კი ოთხას მანეთიანის ქურქით აივანზედ იყო გამოჭიმული და უწონებდა მოურავს ასეთს უდიერს საქციელს: „ყოჩაღ, მემარნიშვილო, ყოჩაღ! ეგრე სუსხი უნდა მისცე, რომ თავზედ არ წარმოგვასხდნენო“*. ის საცოდავი ავადმყოფი კაცი გაცივდა ამ საბაბზედა და განუტევა ტანჯული სულიო. ტყე მენახშირეებს გააკაფვინა და გლეხებს გადააბრალა მისი გაკაფვა, რათა მათთვის გადაეხდევინებინა და მკვდარი ცოცხალში გაეცვალნაო. ახოს გამოსაღებად მიცემულ მამულში რაც ეკალი ამოვიდა, თვითონ წაართვაო. სანადელო ეზოში თავისი გაზრდილი თელა მოსჭრა გლეხმა და გუთანი გააკეთა, ხოლო ილიამ ის გუთანი წაართვაო; ერთს ქათამში 8 მანეთი აზღვეინა თავის მოჯამაგირეს; ნახევარ ცხელ თონის პურში 40 მანეთი დაუჭირა ხაბაზსაო; 4 მანეთში კაცი და მისი კამეჩი ერთს თვეს ამუშავაო, სამ-ოთხ ვედრა დაქცეულ ღვინისთვის ოცი და ოცდა ათი თუმანი დაუჭირა მებაღესაო და სხვა ამისთანები**. მოისმინეთ ახლა, რა სიტყვებით ამკობენ ილიას იმავე გაზეთის მეთაურსა და წერილებში***: ილიას ოინბაზობა, მისი ზნეობრივი სიმახინჯე, ცრუ კერპია და უნდა დაიმსხვრესო, ილია ამბობს, ხალხი აგვიმხედრესო და მით გვაბეზღებს მთავრობასთანაო, ხოლო თვითონ რომ დემაგოგობდნენ და პირში აძლევდნენ ილიას გლეხობას — ეგ, იმათის აზრით, არც დაბეზღება იყო ხალხთან და არც დემაგოგობა... კმარა.

ამ დროს იყო უკვე დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოჰყვა რუსეთ-იაპონიის ომსა. ამ ომმა, როცა ისე სამარცხვინოდ იძლია დიდი რუსეთი პატარა იაპონიისაგან და როცა ისე გამოაშკარავდა რუსეთის სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების უვარგისობა და დაიარავება,

---

* „კაცია ადამიანში“ ლუარსაბიც ასე უწოდებს დარეჯანს ბიჭების დაწოკებას და ეს ბრალდებაც ისეთივე ნაყოფია ფანტაზიისა, როგორც ლუარსაბის სიტყვები.

** „მოგზაური“ 1905 წლისა № 10 აპრილი.

*** იქვე № 18, 15 მაისისა და № 19—22 მაისისა.

ხალხი უფრო ააღელვა და ზღვასავით ააბობოქრა. ასე აღარ შეიძლება ცხოვრებაო, — გამოაცხადა ხალხმა და გადაჭრით მოითხოვა დიდი რეფორმები. მთავრობა იძულებული იყო დათმობის გზას დასდგომოდა. გამოვიდა მანიფესტი 17 ოკტომბრისა. ამას მოჰყვა მიტინგები, აღფრთოვანება და მერე, სულ რამდენისამე დღის შემდეგ, დაიწყო რეაქცია, სისხლის-ღვრა, სროლა ყუმბარებისა...

ილიამ დაანება თავი ბანკს და უნდოდა მოესვენა და დამშვიდებით გაეტარებინა დანარჩენნი დღენი თვისის მღელვარე ცხოვრებისა, ცოტაოდნად მაინც აღედგინა დარღვეული ჯან-მრთელობა და დაემშვიდებინა თვისი დაწყლულებული, მაგრამ გაუტეხავი, ქედ-მოუხრელი სული. მაგრამ ეს ოცნება მოსვენებისა ისევ ოცნებად დარჩა, როგორც ბევრჯელ დარჩენილა ოცნებად წინადაც. ის დრო არ იყო მაშინ, რომ ილიასთანა კაცისათვის მოსვენება მიეცა ვისმე. მართალია, იმავე „მოგზაურმა“* გზა გაუთავაზა საგურამოსაკენ, იქ არის შენი საუნჯე და სამოთხე, ხოლო შენის გლეხებისათვის დღემდე ჯოჯოხეთიაო, მაინც ილია თითქმის სულ ტფილისშია, ესწრება მრავალს სხვა და სხვა კრებას, მუშაობს სამოქმედო პროგრამის შესადგენად, იღებს მონაწილეობას პეტიციების წერაში და ერევა იმ დეპუტაციებში, რომელიც მთავრობასთან შუამდგომლობს — ხან სხვა და სხვა მწვავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ხან დამსჯელ რაზმთა აქა თუ იქ გაგზავნის ასაცილებლად.

„მოგზაურმა“-კი ანდერძიც აუგო ილიას, გამოიგლოვა კიდეც სამოქალაქო გამოგლოვებით და ღაღად-ჰყო: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისიო“**, მაგრამ ილია მაინც არც თითონ აპირობს სამოქალაქო სიკვდილს და არც სხვანი აძლევენ ნებას დაისამაროს თავი. ნოემბერში მეფის მოადგილე ჰგზავნის ილიას პეტერბურგს, რათა იქ მონაწილეობა მიიღოს სოლსკის კომისიაში, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ის საგანი, თუ როგორ უნდა ექმნას შეფარდებული კავკასიას დებულება არჩევნებისა სახელმწიფო სათათბიროში.

---

* № 24, 3 ივლისი.

** იქვე.

1906 წელს 28 მარტს, თუმცა დიდს უარზეა, მაგრამ ილია კვლავ იგზავნება პეტერბურგს, ახლა თავად-აზნაურობის დავალებით, რათა მონაწილეობა მიიღოს, როგორც ამომრჩეველმა, სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. 6—8 აპრილს სწარმოებს არჩევნები და სრულიად რუსეთის თავად-აზნაურობა ილიასაც ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრად, როგორც მთელ საქართველოს თავად-აზნაურობის ერთად-ერთს წარმომადგენელს.

ილია არ უტყდება მოხუცებას, სნეულებას, სცდილობს, ყველგან დაესწროს, ყველას აზრი მოისმინოს. დადის სათათბიროში, საბჭოში, საცა იჭერს ადგილს მემარცხენეთა მცირე ჯგუფში, თვალ-ყურს ადევნებს სინოდის წინასწარ კრებას, ემუსაიფება მიტროპოლიტს ანტონს საქართველოს ეკკლესიის საქმეთა გამო, ამზადებს დიდს მოხსენებას სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის და არ ეთანხმება უმრავლესობას, რომელიც ჰმომხრეობს სიკვდილით დასჯას, ხელს აწერს ოქმს, რომლის ძალითაც მამულები უნდა გადაეცეს გლეხ-კაცობას, თუ სახელმწიფო საჭიროებად იქმნა ეს დანახული და სხვ.

დიდი აღელვებული დრო იყო. პირველი სათათბირო დათხოვნილ იქმნა, როგორც ვითომ მუშაობის უნარის არ მქონებელი და სანახევროდ რევოლიუციონერებისაგან შემდგარი და მეღგრად მთხოვნელი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა, საყოველთაო ამნისტიისა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, მამულების გადაცემისა მხვნელ-მთესველთათვის სამართლიანის დაფასებითა. ზურგგამაგრებულმა რეაქციამ გადაჭრით უარჰყო ყოველივე ესე. სწორედ ამას მოჰყვა დათხოვნა პირველის სათათბიროსი, ვიბორგის მოწოდება, ნულარ მივცემთ მთავრობას ჯარსა და ხარჯსაო და კადეტების ნახევარი ციხეში გამოამწყვდიეს. მეორედ მოწოდებული სათათბირო უფრო წინააღმდეგი გამოდგა მთავრობისა. ესეც დათხოვნილ იქმნა და 19 კაცი სოციალ-დემოკრატების დასისა კატორგაში გაიგზავნა, რადგან შეთქმულობის მოწყობა დაპბრალდათ. რეაქცია უფრო და უფრო გაძლიერდა და საარჩევნო უფლებანიც თითქმის სანახევროდ იქმნა შეკვეცილი.

XVIII

ცეცხლ-მფრქვევი მთა. — თარეში ნაძირალთა. — ძალნი ბნელეთისა და ჯოჯოხეთისანი. — ხელ-ახალი შეფასება. — უფლება და მოვალეობა. — აღსრულდა. — აფეთქება ეროვნულის გრძნობისა. — ბრწყინვალე გვირგვინი.

ილიამ ერთი ზაფხული გაატარა საგურამოში. მცირეოდენის მოსვენებითა, თუ-კი შეიძლება მოსვენება დაერქვას ცეცხლ-მფრქვეველ მთაზედ ცხოვრებასა. საზოგადოდ ქართლში და, რასაკვირველია, საგურამოს მიდამოშიაც ხალხი, გლეხ-კაცობა კვლავ ჰღელავდა, რეაქცია მძვინვარებდა და განმათავისუფლებელ მოძრაობას თან მოჰყვა, საუბედუროდ, ხულიგნობა, ცარცვა-გლეჯა, თოფ-იარაღით თარეშობა, თავ-დაცემა და თავ-დასხმა...

საშინელს დროს მოვესწარით. ყურს აღარავინ უგდებდა თითქმის თავისუფლების მოციქულებს, თავ-განწირულ მებრძოლთაც. სამოქალაქო ომი იყო გამოცხადებული და ძმა-ძმაზედ ამხედრდა, მამა შვილზედ, ნათესავი ნათესავზედ. აღარც მაღალი და დიდებული აზრები ერთობისა, იმობისა, თავისუფლებისა, აღარც დანდობა ამაგისა, ჭირნახულისა, სახლ-კარიანობისა. იწოდა და იბუგებოდა ყოველივე, დიდის შრომითა და ტანჯვით მოწეული, გაკეთებული, იქცეოდა და ინგრეოდა მამა-პაპით აშენებული. ხელ-ახლად უნდა შეფასებულიყო ვითომ ყოველივე ღირებულება და ადამიანის სიცოცხლეც ამ შეფასების საგნად შეიქმნა. ფასი დაედო სულ მცირე, სულ უმნიშვნელო, ჭიან პანტის საღირალი. ლაგამს თავი წაართვა ყოველმა ნაძირალმა, ძირს დალექილი ჭუჭყი ზემოდ მოექცა და დაიწყო თარეშობა. ხან სადა ჰკრავდნენ კაცს თოფსა და „გაგორებდნენ", ხან სადა. ძალნი ქვესკნელისა და ზესკნელისა, ძალნი ჯოჯოხეთ-ბნელეთისანი თითქო ერთად შეერთდნენ, რათა ქვეყანა უდაბნოდ გადაექციათ და ხალხი ეჟლიტ-ესრისათ. ისე თქრიალებდა სისხლი ადამიანისა, თითქო წყალიაო. აღარ იყო განკითხვა, სამართალი...

ამისთანა გარემოებაში რკინის კაციც-კი ვერ მოისვენებდა, არამც თუ ჯან-გატეხილს ილიას მოესვენა.

აგვისტოს მიწურულებია. ილია და ოლღა ტფილისში არი-

ნ ჩამოსულნი და დღე-დღეზე აპირობენ საგურამოში დაბრუნებას. ოლღას დარდი აქვს გულს შემოწოლილი, თითქოს წინდაწინ ჰგრძნობს რაღაც უბედურებას და ეხვეწება ილიას, ნუ წავალთ საგურამოსაო.

წინა საღამოს ილია მარშალთან არის, ალ. ორბელიანთან. იქ მყოფი ახალგაზდანიც ურჩევენ ილიას, ნუ წაბძანდებით სოფლად, ჯერ კიდევ დამშვიდებული დრო არ არისო. ილიას არ ეტყობა, რომ წინად-გრძნობა რამ ჰქონოდა რაიმე მოსალოდნელის ხიფათისა: ისეთი კაცი არ იყო, ასეთს ფიქრს შეჰშინებოდა. თითქმის არას დროს არ დაუბრკოლებია ილია ამისთანა შემთხვევაში არავითარს მოსალოდნელს ხიფათს, არც უამინდობას, არც მოდიდებულს არაგვს. უმთავრესი — მოვალეობა იყო. თავისი მოვალეობა და ვალდებულება ყველამ უნდა შეასრულოს, რათაც უნდა დაუჯდესო. უამისოდ შეუძლებელია კაცთა ცხოვრება. უფლება და მოვალეობა და მათი მტკიცედ აღსრულება — აი, ილიას აზრით, რეგულიატორი კაცთა ცხოვრების ურთიერთობისა. ხშირად იცოდა, ჩემი უფლება თავდება იქ, საცა იწყება ჩემი მოვალეობაო. არ არსებობს უფლება უმოვალეობოდ და მოვალეობა უუფლებოდ. უფლებრივს წეს-წყობილებაში ყველამ უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა და დაიცვას თავისი უფლება. უამისოდ, „ჰაჭიჭს წვერი მოერღვევა“ და ყოველივე ხუხულასავით დაიშლება, დაირღვევაო.

ეს იყო ილიას ღრმა რწმენა და ეს რწმენა იყო მიზეზი, რომ მუდამ გულ-მტკიცედ და თავ-გამოდებით, უშიშრად ასრულებდა თავის მოვალეობას და იცავდა თავის უფლებას, როგორც ზნეობრივს, ისე ქონებრივს და კიდეც შეიქმნა მსხვერპლი ამ მოვალეობის აღსრულებისა.

აღსრულდა! აღსრულდა უღვთო საქმე და შეიღება დიდებულის მამულისშვილის სისხლით წიწამურის მიდამო. ავაზაკნი ჩაუსაფრდნენ ილიას საგურამოს გზაზედ წვრიმალებში, დაახალეს რევოლვერი გულში და შუბლში დასთხლიშეს თოფის კონდახი. იქვე მოჰკლეს მისი ერთგული მსახური იაკობ და შარა გზაზედ დააგდეს ნაცემ-ნაბეგვი კნეინა ოლღა. გადარჩა ცოცხალი მხოლოდ მეეტლე.

მკვლელნი ზოგნი საგურამოელნი აღმოჩნდნენ, ზოგნი ახლო-მახლო სოფლელნი. კნეინა ოლღამ იშუამდგომლა, სიკვდილით არ დაესაჯნათ და ეპატივებინათ მათთვის სიცოცხლე, თანხმად ილიას დიდებულის ლექსისა, რომელსაც ლოცვა ეწოდება, მაგრამ ისინი მაინც დასჯილ იქმნენ სიკვდილითა.

სახელ-განთქმულის მგოსნისა და დიდებულის მოჭირნახულე მოხუცის ასეთმა სიკვდილმა თავ-ზარი დასცა ქვეყანას და დიდი და პატარა ფეხზედ დააყენა. მისმა ასეთმა ულმერთო გამეტებამ თვით მისნი იდეით მოწინააღმდეგენიც-კი შეაშფოთა და შეაძრწუნა. ეგ სამარცხვინო საქმე, ეგ გაწირვა სახელოვანის კაცისა ჩვენისავე ხელით და ისიც მუხანათობით, ღალატით, საუკუნოდ გაგვაპირშავებს, შვილის-შვილამდე გაგვყვება და საფლავშიაც-კი არ მოგვასვენებსო.

თუ ასე შეშფოთდნენ და შეძრწუნდნენ მოწინააღმდეგენი, ადვილად წარმოსადგენია, რა ცეცხლი და ჯოჯოხეთი უნდა ეგრძნოთ იმათ, ვისაც ღრმა სიყვარული და პატივის-ცემა ჰქონდათ ილიასი, ვისაც თავი მოსწონდა ამ დიდ-ბუნებოვანის კაცითა და ვისთვისაც ილია ჭავჭავაძე იყო უმაღლესი განხორციელება ქართველთა ჭკუა-გონებისა, სამშობლოს იდეისა!

და, აი, იფეთქა კიდეც ძლიერმა გრძნობამ მამულიშვილობისამ და ილიამ სამუდამოდ დასთრგუნა სიკვდილითა სიკვდილი ეროვნულის შეგნებისა, ეროვნულის აღმატებისა.

ასე ტანჯვით დასრულდა ცხოვრება და მოღვაწეობა იმ კაცისა, რომელმაც ნახევარ საუკუნე იღვაწა ღვაწლი კეთილი დიდის მხნეობით, დიდის ჭკუით, მხურვალე გრძნობით...

არ ვაკმარეთ სიცოცხლეში დათმენილი ტანჯვა და წამება და, როგორც ჯალათებმა, ისე მოუღეთ ბოლო, ისე გაუმწარეთ სული უკანასკნელს ჟამსაც.

მაგრამ მით უფრო მეტის ბრწყინვალებით იბრწყინებს მისი წამებული სული, მისი მოწამებრივი გვირგვინი!..

კიტა აბაშიძე

ილია ჭავჭავაძე

(კრიტიკული მიმოხილვა)

„მამულო საყვარელო
შენ როსღა აყვავდები?“

ყოველ მუსიკალურ ნაწარმოებში არის ეგრედ წოდებული ლეიტ-მოტივი, მთავარი ჰანგი, რომლის განვითარება და განმარტება აქვს აზრად ამ ნაწარმოებს. რაც უნდა რთული იყოს მუსიკალური თხზულება, მცოდნე სმენა მუსიკალურად განვითარებულის ყურისა სულ ადვილად გამოიცნობს ხოლმე, რომ ნაწარმოების ყოველ მუხლში ეს ლეიტ-მოტივი ისმის. აბა, მოისმინეთ რომელიც გინდათ პიესა შოპენისა, თუ გინდ მისი მაზურკები და ვალსები, თუ ყოველგან არ გაისმის კვნესა დაღუპულის სამშობლოისა? უდიდესს მხატვრისა და მოქანდაკის ნაწარმოებშიაც თქვენ ნახავთ მთავარ ტიპს, მთავარ მანერას, მთავარ კილოს. დახელოვნებულ კაცს ყოველთვის შეუძლია მაგალითად რაფაელის ტიპებში გამონახოს და გამოაშკარავოს ეგ დედა-აზრი. დააკვირდით მის იდეალურ ქალებს, როგორი უცნაურის მელანქოლიურის გამომეტყველებით, რაღაც ბავშვურის მომხიბვლელის გულუბრყვილობითა და კდემა მოსილებით არიან შემკულნი. ოდნავ გაოცებული მათი სახე გაფიქრებინებთ, რომ გაღვიძებული, გაფურჩქვნილი ძალი სიყმაწვილისა და სიცოცხლისა შეუმჩნევლად იშლება მათ სხეულში და მოზღვავებულ სქესობრივ გრძნობათა ტალღების ღელვა იწვევს მათ განცვიფრებასა და გაკვირვებასა. პრაქსიტელის ლუსკუმებში თქვენთვის ყოველთვის ნათელყოფილია უკვდავი სული, ღვთაებრივი ძლიერება ძლევა-მოსილის ხელოვანისა, რომელიც სევდით შეზავებულის ღიმილით ავარაყებს მის ჰერმესთა ქანდაკებას. სიხარულის შარავანდედი აქ იმნაირად გადასლართულია სამგლოვიარო ლეჩაქში, არ

იცი რომელი უფრო ძლიერად გამოსჭვრიტს ცივის მარმარილოდან.

რუსთაველისგან ჰენიოსურად გამოთქმულს კანონს ხელოვნებისას სამარადისო და თითქმის აბსოლიუტური მნიშვნელობა აქვს მისთვის, ვისაც ზერელედ მაინც გაუტარებია თვალის წინ დიდებულ ხელოვანთა შემოქმედება:

„ჰხამს მელექსე ნაჟირვებსა მისსა ცუდად არ აბრკვმობდეს
„ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს.
„ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს;
„მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“.

ასეთი ლეიტ-მოტივი ილია ჭავჭავაძის თხზულებებში, როგორც იტყვიან ხოლმე, წითელის ზოლით არის გატარებული. პირველი მისი პოეტური ამოკვნესა მამულით დაიწყო და უკანასკნელად მისი ლირის სიმები სამშობლოს საგალობელად ააჟღერა. როგორც ნათელის და გამჭრიახის გონების პატრონს, მას არავითარი ბუნდოვანი და მიკიბულ-მოკიბული არ ეჭაშნიკებოდა.

და აი, მან ეს საგანი მთელ პოლიტიკურ-სოციალურ რწმენად გაიხადა, სავსებით გაითვალისწინა, გულის სიღრმემდე ჩასწვდა და მისმა ცხოველმყოფელმა ნიჭმა იგი საგანი თვალის წინ გადაგვიშალა.

მშრალი და თითქმის განყენებული მცნება სამშობლოისა არა იქნებოდა რა, თუ მისთვის ცოცხალი სული არ ჩაედგა მგოსანს, თუ იგი ხორცსხმულად არ ექცია, თუ იგი მთელ მძლავრ ლოზუნგად არ შეექნა.

და ილია ქართველის ერის სოციალურ მდგომარეობას ასწონ-დასწონის. დაინახავს, რომ დღევანდელ ბურჯს ჭია შეჭბარვია, ღრღნის და სულ მალე უნდა დალპეს, დაიმსხვრეს, ამიტომ მომავლის საფუძველსა და საძირკველს იძიებს და გამონახავს. მისი თვალის წინ აღიმართება ერთის მხრით ლუარსაბი, დარეჯანი, დათიკო, არჩილი და კესო; მეორეს მხრით კი გაბრო, კაკო, ზაქრო, გიორგი და ოთარაანთ ქვრივი. ერთი ჯგუფი უფსკრულისაკენ მიექანება, მეორე ერთად ერთი ნუგეშია და იმედი მომავლისა. ერთი ჯგუფი უკვე გახრწნილია, ქვეყანას კისერზედ აწევს როგორც მომწამლავი სენი. მაგრამ უმგზავსი წეს-წყობილება ხელს უწყობს მათ უხეირო ბოგინს. მეორე ჯგუფი ძალ-ღონით სავსეა, ჯანსაღია და მამაცი, ენერ-

გიითა და ძალით შემკული. ხოლო იგივე სულის შემხუთველი რეჟიმი, რომელიც ლეშის მფარველია, სიცოცხლისა და ძლიერების ხელის შემშლელია.

გაბრო და კაკო — ეგენი ცხოვრების სათავეში უნდა იდგნენ, ცხოვრების ბორბალს იგინი უნდა ატრიალებდნენ. მარტო იმ ცხოვრებას შეუძლია გამარჯვებული მსვლელობა, რომელიც გაბროსა და კაკოს ღონიერს ბეჭებზეა დაყრდნობილი. ატმოსფერა პოლიტიკური და სოციალური კი ისეთია, რომ ამ პირველ მოქალაქეებს მარტო ავჯანყებულთა როლი ხვდება ცხოვრებაში.

I

მამული ილიასი ფრიად გარკვეული მცნებაა და არავითარი ბუნდოვანი და მისტიური არ ახლავს თანა. რამდენადაც შესაძლო იყო იმ დროის ცენზურის პირობებში და რამდენადაც ამის ნებას იძლევა პოეზიის თვისება — ამ მცნებაში გამოხატული იყო მთელი პოლიტიკურ-სოციალური მრწამსი სრულიად ნათელი და სავსებით დამთავრებული.

„ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“, პირველად „ჩამოსძახეს ცით“ ყრმა მგოსანს. და ეს სმა მოესმა მისი ოცნებისაგან შექმნილის მშვენიერის მთის შვილისაგან. იგი იყო ის მთავარი საგანი, ის პირველი მიზანი, რომელიც დაუსახა გაღვიძებულმა ჭაბუკის გონებამ. მაშინვე შეიშვნო, შეითვისა და მთელს თავის ცხოვრებაში გზის მანათობელ ლამპარად იგი ეპყრო უკვდავ მარჯვენეში. „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩსვლეტი“, ამბობს ჩვენი ავტორი იმ თავითვე: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უცნაურმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როღემდის? ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!!“ ამთავრებს გულ მოწყვეტილი მწერალი და მთელ თავისს დიად ნიჭს, თავისს ღვთაებრივ არსებას მსხვერპლად და მტლად მიიტანს ამ სარწმუნოების წმინდა საკურთხეველზედ. ამით დაიწყო ილიამ და მისი კალმის უკანასკნელი გენიოსური კვნესაც ამას დასტ-

რიალებდა თავსა და ყმაწვილებურის აღტაცებულის ნეტარებით შესტრფოდა იმ „ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“, რომელიც თამარ დედოფალს უცხო წალკოტში ჩაუდგამს.

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს...“

რომელშიაც

„ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი.“

ამ პოლიტიკურ რწმენას თავისი მკვიდრი საფუძველი აქვს. ეს საფუძველი ქართველი ერის მუდმივი მძლავრი საძირკველი იყო. წარსული მან გამოიტანა. მომავალის სასოება და იმედი იგია. გაბრო და კაკო მხოლოდ აქ ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო, ოთარაანთ ქვრივს მხოლოდ ეს წრე ჰქმნის. აქვე უნდა დაიბადოს „ის დედა სახელდებული“, რომელიც აღგვიზრდის თავისის მადლით ცხებულის ძუძუთი იმ „ვაჟკაცსა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა“. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ აკვანში ასვენია ქართველის ერის მრავალ საუკუნოების ისტორიისაგან შექმნილი იდეალი და საგანი ცხოვრებისა.

ამ თვალსაზრისით, ამ იმედითა და სასოებით უყურებს ილია იმ ჯგუფს, იმ წრეს, რომლის წარმომადგენელიც გაბროა და კაკო, ეს თავისებურნი „აჯანყებულნი“, ერთგვარი „ბუნტოვშჩიკები“, ესა სჩანს არა მარტო იმ ღრმა სიმპატიაში, რომელითაც ავტორი გამსჭვალულია გაბროსა და კაკოსადმი. ამის უეჭველი და ფრიად შესანიშნავი საბუთები დღეს ხელთა გვაქვს. ამ გამოცემაში მოიპოვება ერთი პატარა ლექსი, რომელიც, მიუხედავად მისი გარეგანი დაუმთავრებლობის, შედევრად უნდა ჩაითვალოს. ფანქრითაა დაწერილი ეს ლექსი და წინ მიუძღვის ერთ ვარიანტს მოთხრობა „გლახის ნაამბობისას“, რომელსაც „კაკო“ ჰქვიან. საუცხოოა ეს ლექსი არა თუ გარეგანის მოხაზულობით, ფრიად საინტერესოა, როგორც

იშვიათი გამოხატულება ავტორის ღრმა სიყვარულისა მისი გმირებისადმი. ეს პატარა ლექსი გვიჩვენებს და გვიმტკიცებს ზემო გამოთქმულ აზრს, რომ ილია თავის კაკოს, ამ უფრო ტიპიურ გამოხატულებას „ბუნტოვშჩიკისას“ გულწრფელის სიყვარულით ექცევა, სასოებით უყურებს. ამიტომაც არის, რომ სუმბულსაც აბარებს თავის კაკოს, ქარსა და ნიავს ემუდარება ობოლი შეიბრალოს, ბულბულს ეხვეწება ეულს დარდები გაუქროს:

„ნიავო, ჩემო ნიავო!
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
მსტვინავო, ჩიტო მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!
სუმბულო, ჩემო სუმბულო,
უჩემოდ შორსა ნუ ჭკნები,
ბულბულო, ჩემო ბულბულო;
მოაკლე ეულს დარდები.
ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,
ნუ ემუქრები კაკოსა.
ღრუბელო, შავო მცურველო;
უსახლო გებრალებოდეს;
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდეს“.

ქართულის ლიტერატურის ერთ ერთ ფრიად საინტერესო პრობლემად უნდა ჩაითვალოს იმის გამორკვევა, რატომ არ გამოაქვეყნა ეს ლექსი ილიამ. ჩვენის აზრით სამგვარი ახსნა შეიძლება ამ ფაქტისა. ილია წარმომადგენელია რეალისტურის მიმართულებისა, რომლის მთავარი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რამდენადაც შეიძლება მწერალმა თავისი პირადი გრძნობები დამალოს და არ გამოაჩინოს თავისი პირადი განწყობილება მოქმედ პირთადმი. შესაძლოა ამის მრსაზრებით ილიამ უხერხულად მიიჩნია ამ ლექსის ჩართვა პოემის სათაურში და მით უფრო მოთხრობის შესავალში.

მაშინდელ ლიტერატურულ მოთხოვნილებას არ შეესაბამებოდა ეს და ამისთვის არც კი მოინდომა, ასე ვსთქვათ, ის გენიალური დარღვევა ლიტერატურულის მოდისა, რომელიც კიდევ მეტ ფასს დასდებდა მის მომჯადოებელ პოემას და სახელ-განთქმულ მოთხრობას.

შესაძლოა ისიც, რომ პირდაპირ ტეხნიკურად ადგილი ვერ მოეძებნა ამ ლექსსა, იმიტომ რომ „კაკო“ ილიასი მრავალ გვარად იცვლება მის ხელში, როგორც შემდეგში ვნახავთ და სად მიეცა ადგილი ამ ლექსისათვის პოემაში, თუ მოთხრობაში ვერ გადაეწყვიტა. ამ ორივე ახსნას ჩვენის აზრით აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი. ხოლო მისი სუსტი მხარე ის არის, რომ ილიასთანა დიდი მწერალი არც ლიტერატურულ მოთხოვნილების გადალახვას შეუშინდებოდა, მერე კიდევ იმისთანა შემთხვევაში, როცა თავის გულის ნადების გამომჟღავნება სურდა. მას ვერც ტეხნიკური უხერხულება შეაჩერებდა, რადგან ასეთი დიდის ნიჭისათვის, როგორიც ილია იყო, ტეხნიკური დაბრკოლება ყოველთვის ადვილი დასაძლევია.

მესამე ჩვენი მოსაზრება ამ ფაქტის ასახსნელად იმალება იმ დროის ცენზურის პირობებში და ჩვენა გვგონია ეს ახსნა ყველაზედ უფრო საფუძვლიანია. ეს ლექსი ცენზურას შეეძლო „ყაჩაღობის“ ხოტბის შესხმად მიეღო, მის გამართლებად. და ამას კი, რასაკვირველია, მაშინდელი ცენზურა ვერ დასთანხმდებოდა. ასეთი ალერსითა და სიყვარულით თუ გინდ კაკოსთანა „ყაჩაღის“ მოქცევაც ყოვლად მოუთმენელი იქმნებოდა იმ დროში, მით უმეტეს, რომ ილია უკანასკნელ სტრიქონებში სრულიადაც არ მალავს თავისს თანაგრძნობას კაკოს მიმართ:

„მე კისრად ვიღებ. ღრუბელო*,
რაც იმას ემართლებოდეს“.

აქ ავტორი დაუფიქრებლად მზად არის კაკოს ცოდვები მთლად ერთიანად კისრად იღოს, იმდენად უცოდველად მიაჩნია იგი.

II

ამავე გამოცემაში თქვენ ნახავთ რამდენიმე ვარიანტს მოთხრობისას, რომელიც ჩვენთვის ცნობილია „გლახის ნაამბობის“ სახელით: ერთსა ჰქვია „კოლა“, მეორეს „კაკო“. მარ-

* ეს ადგილი ერთგან ასე იკითხება: „მე კისრად ვიღებ, დამხსნელო!“ (ე. ი. ღმერთო).

ტო ეს ვარიანტთა სიმრავლე ამტკიცებს, რამდენად ფრიად სერიოზულ საგნად მიაჩნდა ამ მოთხრობის თემა ილიას. თავდაპირველად „კაკო“-შია მოთავსებული ორი მისი განთქმულის მოთხრობის შინაარსი: „კაცია ადამიანისა“ და „გლახის ნაამბობისა“. საკმარისია მარტო სტილს დაუკვირდეთ ამ ვარიანტისას, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი სულყველა მოთხრობებზედ ბევრად უფრო ადრეა დაწერილი და უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე თვით „კაკო ყაჩაღიც“.

ლიტერატურის ისტორიისათვის ამ ვარიანტებს ფას დაუდებელი მნიშვნელობა აქვს. უეჭველია იგი უნდა იყოს დაწერილი 1858—1859 წელში. ამგვარად, თვით კონცეპცია მოთხრობისა, მისი მთავარი გამოხაზულება შექმნილია თუ არ ადრე, თვით იმავე დროში და მაშასადამე სრულიად დამოუკიდებლად დ. ჭონქაძის „სურამის ციხისაგან“ და ლ. არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილისაგან“. აქ ორგვარი ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საგანი ირკვევა. ერთის მხრით წმინდა ლიტერატურული: ნამდვილი რეალიზმის შემომღებელი ქართულ რომანში იყო ილია ჭავჭავაძე — (ეს, რასაკვირველია, მარტო არდაზიანს შეეხება) — არა თუ ფაქტიურად, ისტორიულადაცა თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რაკი მტკიცდება, რომ არც ჭონქაძესა და არც არდაზიანს მასზე ადრე არ დაუწერიათ თავიანთი მოთხრობები. მეორეს მხრით ნათელი ეფინება ლიტერატურულ პუბლიცისტურ საკითხს. ჩვენს ლიტერატურაში არის გამოთქმული ისეთი სრულიად უსაფუძვლო აზრი, თითქო ილია არ იყოს ნამდვილის დემოკრატიულის ლტოლვილებით გამსჭვალული, რომ მან მარტო მაშინ აღიმაღლა ხმა ბატონყმობის უსამართლობის წინააღმდეგ, როცა დ. ჭონქაძემ „სურამის ციხე“ გამოაქვეყნაო. თავის თავად ცხადია, რომ ეს განცხადება ჰკარგავს ყოველივე სიცოცხლეს, რაკი ზემოხსენებული ვარიანტი გვიმტკიცებს, რომ იგი თუ არ ადრე, თითქმის იმავე დროშივეა დაწერილი, როდესაც „სურამის ციხე“.

ეს უკანასკნელი დაისტამბა 1859—60 წ-ის „ცისკარში“, სოლო ვარიანტი „კაკო“, როგორც აღვნიშნეთ, 1858—1859 წ-ს ეკუთვნის. ე. ი. იმ დროს, როცა ილია ისევ სტუდენტად იყო და მაშასადამე ჭონქაძის მოთხრობა ხელნაწერად არც კი ეცოდინებოდა. სოლო ბატონ-ყმობის ინსტიტუტის მთელი უსა-

მართლოება ისე ღრმადა აქვს შეგნებული ილიას, რომ მსგავსი რამ დ. ჭონქაძეს ვერც კი მოელანდებოდა. ავიღოთ, თუ გნებავთ, ეს პასსაჟი ვარიანტისა: „მაშინ, სწორედ მაშინ (როცა გაბრომ „ვეფხვის ტყაოსანში“ ავთანდილის და შერმადინის ამბავი წაიკითხა) კაკომ შეიდგინა თავისი გლეხური ჭკვით თავისი იდეალი ბატონ-ყმობისა... მაშინ დააპირა კაკომ, რომ თვითონ შეიქნება შერმადინი და ავთანდილად კოლა ეყოლება. ბევრი მაგისთანა პლანებს დააწყობს ხოლმე ხალისიანი გონება ჭაბუკისა, მაგრამ დროს შეუბრალებელი კვერთხი მათ დაუკითხავადა სცემს და ანგრევს ჭაბუკის სიზმრებს. ანა და კოლას ნაადრევად გაღვიძებულის გონების მსჯელობა: „ძალა, ძალა“, ამბობდა ხოლმე კოლა „მე ბატონი ვარ და ის ყმა არი! ჩემი სურვილი კანონია იმისთვის... დღეს, მინამ ძალა გაქვს, სრესე, სრესე უძლური, თუ ეგ საამო არის, თორე ხვალ რო იმათაც მიეცეს ძალა, ისინიც გაგვსრესენ ჩვენა, ესეა ქვეყანაზედ“. აქ ხომ მთელი კლასსთა ბრძოლის ფილოსოფიაა სხარტულად და მარტივად გამოთქმული.

როგორც ერთის ვარიანტიდანა სჩანს ილიას სურდა თათქარიძეებისა და დათიკოს ცხოვრება და აგრეთვე კაკო ყაჩაღის ამბავი შეეკავშირებია ერთად და ლიტერატურული ერთეული შეექნა იმგვარად, რომ ლუარსაბი და ქეთევანი (დარეჯანს ქეთევანი ერქვა) უნდა ყოფილიყვნენ კოლას (დათიკოს) დედ-მამა.

კაკო უნდა ყოფილიყო გაბროს მაგიერი და კაკოს გაყაჩაღებაც კოლას მოქმედების შედეგი უნდა ყოფილიყო. ფრიად საინტერესო მომენტი ამ ვარიანტისა ის არის, რომ კოლას (დათიკოს) ოჯახებრივი აღზრდა არის მშვენივრად დასურათებული, ნათელ-ყოფილია ის ატმოსფერა, რომელშიაც უნდა გაზრდილიყო ეს თვალთათვის საუცხოო, ხოლო თავისის თვისებებით კი შმორისა და შსამის გამავრცელებელი არსება.

„კოლა და მისი ერთგული ამყოლი კაკო ეყარნენ დილიდან საღამომდინ საგამდლოში, ან სამზარეულოში, ან ძიძებში, რომელთ შორის პირველ დასაწყის სწავლას მიიღებს ხოლმე ქართველის შვილი და რა სწავლასა!.. მურტალ სიტყვებს, რომელზედაც უხვნი არიან მოსამსახურენი, საძაგელს ლანძღვას, რომელიც ბოლოს თითონვე მსახურებს მოხვდებათ ხოლმე, შაირებს, გასარყვნელ ლექსებს და სხვ.“

როცა ზევით ამობრძანდებოდა, მამა ასეთის ბრძნულის რჩევითა და დარიგებით დაუხვდებოდა:

„ცემი კოლა“ ყმაწვილს გამოაჯავრებდა ლუარსაბი:

„ცემი კოლა რო გაიზრდება, ღიმნაზიაში წავა; იქიდამ დიდი, დიდი კაცი გამოვა, დიამბეგობას მისცემენ; ალა, ცემო პატარა დიამბეგო?“ და თითონ კი ნერწყვი მოუვიდოდა დიამბეგის ხსენებაზედ.

საინტერესოა ვარიანტი იმ მხრითაც, რომ უეჭველსა ჰყოფს განუწყვეტელსა ნათესაობას, რომელიც არსებობს ილიას გმირებს შორის, მის ლუარსაბსა, დარეჯანსა და დათიკოს შუა, და სულ ბოლოს შტო ამ ნათესაობისა არჩილსა და კესომდისაც კი მიდის.

ეს აზრი ჩვენს ლიტერატურაში ბ. სტ. ჭრელაშვილის მიერ გამოთქმულია და აგრეთვე ჩვენს წერილებში ილიას შესახებ. ამ აზრის დაურღვეველი საბუთი ეს ვარიანტია. კოლა (დათიკო) თათქარიძეების ღირსეული მემკვიდრე იყო. არა ნაკლებ საინტერსო საკითხია, რატომ შესცვალა ილიამ თავდაპირველი პლანი, რომელიც, უნდა აღვიაროთ, ბევრში უფრო მაღლადა სდგას გამოქვეყნებულზედ. ეს საუკუნოდ გადაუწყვეტელ საკითხად უნდა დარჩეს. შესაძლოა რაკი მის მთავარ მიზანს — სოციალურ უსამართლოებას — ყოველის მხრივ ეჭირვებოდა გაშუქება, მან კაკო ორ ტიპად აქცია: ერთად კაკო „ყაჩაღი“, მეორედ გაყაჩაღებული გაბრო. ორივეს გაუუბედურებას სათავე სოციალურ წყობილების უკულმართობაში აქვს. ერთს — გაბროს — სიცოცხლის ბედნიერების სიყვარული და სიხარულის წყარო ეხშობა ამის მიზეზით. მეორეს — კაკოს, (ზაქროს და სხვა) სხვაგვარი ყოველნაირი შევიწროება აწევს კისერზედ (ღირსებისა და პატივის დამცირება, როგორც ზაქროს მამის „გაროზგვა“ და სხვა).:

„მასში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...,
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას,
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —

მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექმნება?
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად.
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან;
გახდიან ყვავილს ფეხ ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს;
ნამუსს წართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ იქცევ და შეძრწუნდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება,
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი“.
(აჩრდილი, XII თავი).

კაკოსი და გაბროს ამბავი მარტო მხატვრული ილუსტრ
ციაა ამ ცოტა არ იყოს რიტორიკულის ლირიკისა.

ერთ ერთი ღირსება ჩვენის ვარიანტისა ის არის, რ
სრულიად გამოტოვებულია გაჭიანურებული ეპიზოდი „გლ
ხის ნაამბობის“ მღვდლისა. ეს კი უფრო ბუნებრივ ხასია
აძლევს მოთხრობას. აქაც ავტორს უსათუოდ სურდა სავსებ
თი დასაბუთება წარმოედგინა გაბროს „რომანტიკოსობის
მაგრამ ეგ თვისება არც თუ იმდენზედ უცნაური და უხილა
რამ იყო რუსთველის შემქნელის ხალხისთვის, რომ რაი
არა ჩვეულებრივი დამტკიცება ყოფილიყოს საჭირო. მაგრ
რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ აქ მხოლოდ
რომ ილიას ხანდისხან თავის გულის ნადებისათვის, თავში
ცემი საგნისათვის მხატვრული მოთხოვნილება შეუწირავს
ვერც იმას ვიტყვით ამით ბევრი რამ წაეგოს ჩვენს ლიტერ
ტურას. თუ „გლახის ნაამბობი“ ცოტა არ იყოს კოჭლობს
ბევრია შიგ რიტორიკული ელემენტი, სამაგიეროდ ამ მოთ
რობის დანაწილებამ მოგვცა „კაცია-ადამიანი?!.“, ეს შედ
რი ქართულის ლიტერატურის და „კაკო-ყაჩაღი“, ეს ერთი
უკეთესო პოემა მეცხრამეტე საუკუნის ქართულის ლიტერ
ტურისა.

ტყვილა ვინმე წარმოიდგენს „კაკო-ყაჩაღი“ ჩვეულებრივი რომანტიულის მანერის იდეალიზაცია იყოს ყაჩაღობისა. სრულიადაც არა; აქ ძარღვი მოთხრობისა კაკოსა (და გინდ ზაქროს) გაპატიოსნებაში კი არ არის, იმ პირობათა ანალიზშია, რომელიც „ბედისაგან მწარედ განაწირალსა“ კაკოსა და ზაქროს ყაჩაღათა ჰქმნის:

„უსახლ-კარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
ყურდღელსავითა ფხიზელი ძილი,
და ბარალი დღე და ღამ ხელში, —

მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

არა მგონი ასეთის ცხოვრების მოტრფიალე გაჭირვებულის, თავზე ხელ აღებულის კაცის მეტი ვინმე შეიქმნეს. მაგრამ ყოველგვარ შევიწროებას ამგვარ თავისუფლებას, ამგვარ თავის თავის ბატონობასაც კი არჩევს გამწარებული კაკო და ზაქრო.

ეპოსური დრამატიზმი ამ პოემისა შეუდარებელია და მომხიბლველი. აბა თვალ-ყური ადევნეთ, რანაირად იშლება ზაქროს ბედის ტრაგიზმი მის მარტივ მოთხრობაში? რა რიგ ძლიერის ფინალით დაგვირგვინდება?

„და რა თქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული,
დიდხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლ მოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა,
ამ ორ გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

მართლაც, რა გადაუწყვეტელი, რა შეურიგებელი წინააღმდეგობაა ზაქროს ცხოვრებაში: მამას „როზგი“ დაუკრეს,

მთელი მისი ადამიანობა შეურაცხყვეს, მთელ მის არსებას თავზარი დაეცა, მწარე განსაცდელში ჩავარდა. „მოჰკალ, რაღაცა ხმა აძალებდა“ და ბატონის „დაჰკარ, დაჰკარის“ აკომპანიმენტის ქვეშე

„მის თოფმაც გამოიტეტა
და შეუნგრია გულის ფიცარი
იმ მის ბატონსა, მის დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის წამწყმედელსა“

მაგრამ რაკი აღშფოთებულმა მისმა ბუნებამ თავისი „სისხლი აიღო“, მის სულიერ არსებაში რეაქცია დადგა. „გაყაჩაღება“ არც თუ ასე სანეტარო რამ გახლდათ, „წაწყმედის“ შესახებაც რომ არ ეფიქრა, და ამის შედეგი ის „გულში ადუღებული ბალღამი“ არის, რომლითაც იტანჯებოდა ზაქრო და კაკო მთელს თავისს სიცოცხლეში.

მათი ცხოვრება არა თუ სახარბიელო, დასაწყევარი და საუბედურო შეიქმნა. და თუ კიდევ ზაქროსთანა ბიჭები ასეთს ცხოვრებას ეტანებოდნენ, რაგვარი უნდა ყოფილიყო მათი ყოფა და მდგომარეობა? ყაჩაღის ცხოვრებას მარტო უმწვერვალესი გაჭირვება მოაძებნინებდა კაკოებს, თორემ ასე ვიდრე მოთმინების ფიალა არ აივსებოდა, ითმენდნენ და ჭაპანსა სწყვეტდნენ. და მთლად მთელი გლეხობის ცხოვრება რაღაც ეულის მომწყვლელის სევდითა და ვარამით იყო აღსავსე, ტანჯვითა და ვაებით შეზავებული. ამას პოემის ოთხი სტრიქონი გენიოსურის მოსაზულობით თვალ-წინ ცოცხლად გვიხატავს; ზაქრო მეურმეს კაკოსკენ მიმავალ გზას დაეკითხება და მეურმეც მიასწავლის, ზაქრო ცხენს მოხდენით გააქროლებს.

„თითქო შენატრდა ემას მეურმე,
„— ახ, ნეტავი შენ!“ — წაიდუდუნა,
და გაიქნიეა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა
და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თავის სიმღერა დაიღუღუნა“.

ხოლო როგორია მეურმის ღუღუნი, ჩვენ უკვე ვიცით:

„მწუხარე არის ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი“.

განმარტება აღარ ეჭირვება იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ცხოვრება იმ გლეხობისა, რომლისთვის ყაჩაღის ბედიც კი სანატრელ რამედ გადაქცეულიყო. რასაკვირველია, შემცდარი აზრი იქნებოდა იმისი წარმოდგენა, რომ კაკო, ზაქრო და გინდ გაბრო „რევოლიუციონერები“ იყვნენ და ვინც ამას მოინდომებს, მტკნარ შეცდომას ჩაიდენს. კაკოსა და გაბროს არც თავიანთი უბედურების მიზეზი აქვთ ღრმად შეგნებული და გამორკვეული, არც არავითარი შემუშავებული პლანი საზოგადოების იარების განსაკურნებლად. დღეს დღეობით იგინი აჯანყებულნი არიან, „ბუნტოვშჩიკები“, პირად მიზეზთა გამო „ყაჩაღად“ ქცეულნი. იგინი თავის კერძო უბედურობის გამო არიან აღშფოთებულნი და გაბრაზებულნი და ამის გამო იძულებულნი ხდებიან საზოგადოებასაც გაექცნენ და ზურგი შეაქციონ. თვით გაბრო არ ამბობს: „მე რომ ის (დათიკო) არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ ეხარ-ბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა... მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა. არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასანიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლაც მურტალს კაცი როგორ არ გამოუჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაესწორებინა“.

და დათიკოს სიყვარული მაშინ დაივიწყა და გადალახა, როცა მისი პირადი გრძნობა ჩავარდა განსაცდელში. „შენ რაღას აკეთებდიო, იქნება იფიქროთ ჩემზედ. რას ვაკეთებდი? ეგა მკითხე და გამკიცხე კიდეც. გული მეც მემღვრეოდა, მაგრამ ჩემი გაუბედავობა, თუ იმისი სიყვარული ჩემს გულს იმორჩილებდა იმ დრომდინ, მინამ მე და ის ერთ გზაზედ ერთმანეთს არ გადავეხარიხენით, ის მე არ ჩამომეცალა და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე“.

და აი აქა სჩანს ცხადად, რომ ვერც კაკოს, ვერც ზაქროს, ვერც გაბროს „რევოლიუციონერებად“ ვერ მოვნათლავთ. იგინი ეაურბიან წყობილებას, რომელიც მათ სულს უხუთავს. იგი-

ნი პირად გაძაღლებულის ცხოვრების შერჩენას ფიქრობენ, იგინი პირად უსიამოვნებას მარტო მოუყვანია იმ განწყობილებამდის (და არა მტკიცე შეგნებამდის), რომ ამ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია და ამას ტყედ და ველად გაჭრა სჯობიან. მათის ძლიერის ბუნების განვითარებას წინ ეღობება სოციალური უწესრიგობა და ამ უწესრიგობის დამცველი წოდება. ამგვარად ასეთი სოციალური წრე საერო უბედურობად ხდება, ვინაიდან ერის სხეულის ჯანსაღ ნაწილს ღუპავს. ილიას საყვარელი გმირები ამ პირობებში სხვა გვარად ვერ ახერხებენ გამოხატონ თავიანთი პროტესტი გაბატონებულის რეჟიმის წინააღმდეგ, თუ არ „ყაჩაღობითა“ და „აჯანყებით“. ყაჩაღობა კი რევოლიუციის ან გადაგვარებაა, ანა და მისი წინამორბედი მოვლენა. თავდაპირველად უკმაყოფილება უკვე დამპალის წესწყობილების გამო გამოიხატება პროტესტის ისეთ უშნო, ულაზათო, ისეთ მხეცურ ფორმაში, როგორიც ყაჩაღობაა. ეს ინდივიდუალური „ბუნტია“, აჯანყებაა პირადობისა, რომელიც ვეღარ ეტევა საზოგადოების დავიწროებულ ქერქში და დაპატარავებულ კალაპოტში. ყაჩაღობა ხანდისხან მასსიურ ხასიათსაც ღებულობს. შემდეგში კი, როცა გამოდის რაზმი საზოგადოების გარდაქმნის გარკვეულის აზრით შეიარაღებული, რევოლიუცია იკავებს „ბუნტის“ ადგილს, თუმცა რევოლიუციის პირველ ხანებში და გინდ მის დამარცხებისა და დასუსტების ხანაში „ყაჩაღობა“ მაინც არ ისპობა, რევოლიუციის პირველ ხანებში იგი ვითომ ხელსაც კი უწყობს. რევოლიუციის დაცემის დროს კი „ყაჩაღობა“ მისი დასუსტების მომასწავებელია და ცუდ სამსახურს უწევს, ვინაიდან საზოგადოებას ერევა მცნება და დავთრები რევოლიუციის შესახებ.

კაკო, გაბრო და ზაქრო პირველი უკმაყოფილონი იყვნენ ბატონ-ყმობის წესწყობილებისა. მთავრობამ ადრე აიღო ალღო და რევოლიუცია თვით მოახდინა: ბატონ-ყმობა, როგორც იურიდიული ინსტიტუტი მოისპო და ამ ნიადაგზე ყაჩაღობასაც ყოველივე თავისი გასამართლებელი საბუთი დაეკარგა. შემდეგში, როცა გაბრო და კაკო შეგნებულად ჩაუკვირდებიან თავის ქვეყნის ბედ-იღბალს, იგინი თვით შეჰქმნიან მთელ სისტემას ბრძოლისას და მოქმედებისას. მათ წრეში მარტო მოიპოება იმ არმიის კადრი, რომელიც სამშობლოისა და ქვეყნის მომავლისათვის თავდადებას ცხოვრების მიზნად დაასახავს.

IV

იმ დროის გამგეთა, იმ ხანის უფალთა სურათი „კაცია-ადამიანია?!“ პირუტყვად ქცეულ კაცს იმდენზედ დაუკარგავს ყოველივე თვისება ადამიანობისა, რომ მათი ადამიანობა საკითხავ საგნადაც კი გადაქცეულა. მათი ღმერთი მარტო მათი მუცელია, მათი იდეალი — არტალა და ბოზბაშია, მათი საქმიანობა და გონების ვარჯიშობა ბუზების თვლაში გამოიხატება.

თუ „დონ-კიხოტი“ რაინდობის სატირული ეპოპეიაა, „კაცია-ადამიანი?!“ ბატონ-ყმობის ნიადაგზე აღმოცენებულის ფეოდალიზმის იგივე სატირიული ეპოპეიაა, იმ განსხვავებით კი რომ „დონ-კიხოტი“ რაიმე თავბრუ დამხვევ იდეალს მაინც მისდევდა და ამაში ადამიანი იყო, ლუარსაბი და დარეჯანი კი თავის დღეში მათი ტახტისა და სუფრის იქით არას ხედვიდნენ და ამით პირუტყვზედ არავითარი უპირატესობა არა ჰქონდათ. ინგრეოდა ის წყობილება, ბოძები ეშლებოდა და საძირკველი ერღვეოდა მათ ბატონობას, და იგინი კი „ქეიფისა და ნებიერების“ მეტს არას აკეთებდნენ. მაგრამ შესაძლოა კი ქეიფი ან ნებიერობა დაუძახოთ იმას, რაგვარადაც შეიქცევდნენ თავს და რანაირად გაატარებდნენ დროს თათქარიძეები ე. ი. „ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორებას“? რა ესმოდა ქეიფისა ან ნებიერობისა, რომელშიაც ესთეტიური გარითობის ნასახი მაინც უნდა იყოს, იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ნაქები ქართული სტუმართმოყვარეობაც კი ჩაეკლათ თავისს გულში და სტუმარიც კი ეჯავრებოდათ იმიტომ, რომ „უნდა ამდგარიყვნენ და ტანთ ჩაეცვათ“. საკმარისია ოთხიოდე სიტყვით გაგვაცნოს ავტორმა თავად თათქარიძეების სახლკარი და მიდამო, რომ თქვენ თვალწინ წარმოგიდგესთ, რა სულიერი უნდა ყოფილიყო იქ დაბუდებული. „ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეხწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბორების სურნელება თან არ აგეყოლიათ“...

„ახლა ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძეს. ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვეწვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა და შიგ ამოცვივნულან, ამათი ალა-

გი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა, თვალების ძალიან გა-
ფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს
მტერს... იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი
ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშა-
ლა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა ყოველ მის ბრწყინვა-
ლების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლა-
მაზად აბოლდება ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა.
ამ ორ ტახტშუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა კბილებ
ჩაცვინულ ბებერ დედა-კაცის დაღებულ პირსავით ერთი ამო-
ჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღ-
რეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვა და
სხვა ნაირი ნივთები, მაგალითად: ტალახიანი ყარაბაღული
თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი
შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი,
ზურგიელის ნაჭერი და სხვანი". კარგად მოგეხსენებათ, ასეთ
საბრძანებელში მარტო ისეთი ბრწყინვალე გვამი თუ განის-
ვენებდა, როგორიც თათქარიძეები ბრძანდებოდნენ. ასეთ სამ-
ფლობელოში რა უნდა გაეკეთებინათ, თუ არ ჭერზედ ბუზების
თვლა, თუ არ ისა, რომ „შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარე-
ბულნი და გაჭარხალებულნი" იმისთანა ღრმა აზრების შესა-
ხებ ბაასობდნენ, ორაგულია თევზების მეფე, თუ თართი, ჩი-
ხირთმა სჯობია, თუ ბოზბაში. დილიდან საღამომდი ერთი
საფიქრალი რამე ჰქონდათ: „დღეს რა ვჭამოთ", იტყოდნენ დი-
ლით, „ხვალ რა ვჭამოთ", იტყოდნენ საღამოს. გაძღომის მერე
ტახტზედ გადაგორ-გადმოგორდებოდნენ.

დილას თვალს გააჭყეტდა თუ არა ოჯახის მოამაგე დია-
სახლისი „შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გა-
დიკრავდა შუბსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიც-
ვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკულმაცა —
შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და — ჰერი ბიჭო — დაეშ-
ვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ ე. ი.
ვაი ნაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბ-
რუნებდნენ... უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს
წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აკ
თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან
ბიჭსა, რომელიც მოქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღა-
მოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას

გაუწყრებოდა — რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა — რაზედ დაატანა თუ ქეიფზედ იყო, — და ეგრე ქანც გაწყვეტილი კნეინამა, დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა — ერთის სიტყვით, მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, — და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა, თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მოითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა"-საც ზედ დაატანდა თუ ქეიფზედ იყო, — და ეგრე ქანც გაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში"... მაგრამ მისი ოჯახიანობის ფილოსოფია თხოვილობდა ამასა: „ხანდისხან ტყუილა უბრალოდაც უნდა დასტუქსო, რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება... იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!.."

უთუოთ ამავე სიბრძნით აღსავსე მცნების შესასრულებლად გლეხებსაც „ააწიოკებდნენ" ხოლმე ხანდისხან, ამ „შიშისა და კრძალვის" განსამტკიცებლად, თორემ „გლეხი თუ გაქირ ვირსავით ერთხელ შედგაო", ბრძანებდნენ ღვთით კურთხეული ბატონები, „მერე თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს"...

ამგვარი ცხოვრება, მოკლებული ყოველივე პოეზიას, ყოველივე მომხიბვლელობას, ყოველივე ოცნებას, აღსავსე უშინაარსო სიბოროტით და უნიადაგო მძულვარებით, რომელიც მარტო ჭამის მოყვარეობას მისდევდა, სულხაობასა და სიბინძურეს ებღაუჭებოდა, ღირსეულად დამთავრდა: „წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა: რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუ თუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზე წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თ. ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?!" სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო შენდობა გვიბძანეო", ამბობს იმათი ქვის ზედ წარწერილი. ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა" ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე?" დაამთავრებს მწარე კითხვით ავტორი და ამ კითხვაში გამოიხატება მთელი სასტიკი მსჯავრი თათქარიძეებისა და მათის შემქმნელის

წყობილებისა... მეოთხედი საუკუნის შემდეგ კიდევ გამოიყვანს ავტორი თათქარიძეების ნათესაობას სცენაზედ და დაგვანახვებს, თუ შეცვლილ გარემოებამ რამდენად ღრმა ცვლილება შეიტანა მათ მემკვიდრეებში, მათ სულის განწყობილებაში. ღრმა სოციოლოგი ერთი ბეწოთიც არ შეცვლილა და ილია არჩილისა და კესოს სახეში („ოთარაანთ ქვრივი") იმავე „ჩატეხილი ხიდის" მკვეთრი მხატვარია, თათქარიძეების მოდგმის არარაობის შორსმხედველი და წინასწარმეტყველური ეპიკოსია.

V

რაც უნდა ტეხნიკური ნაკლულევანება ჰქონდეს „გლასის ნაამბობს", არის შიგ ადგილები, რომელნიც ილიას კალმის დამამშვენებელნი არიან, პირველად ყოვლისა თვით ტიპი დათიკოსი. სხვა რომ არა ვსთქვათ რა და სხვა საბუთს არ მივუთითოთ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ ტიპის მომხიბვლელობა დღემდისაც ვალად აწევს ჩვენს ლიტერატურას. გიორგი წერეთლის იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი"), ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი ქვეყნის რაინდი") და ტიტიკო დავით დროიძის შვილი („სიმონა") დათიკოს ყალიბზედ არიან ჩამოსხმულნი, სხვა და სხვა გარემოებაში იმავე თვისებათა გამომჩენელნი. ხოლო მელანიას „ბნელოში" კნიაზი შაქრო, მისგან ილოს ცოლის გაუპატიურება და ილოს ცოლის გარისკიპება — ამ ეპიზოდებში სიტყვა სიტყვით გამეორებულია დათიკოსაგან თამროსა და გაბროს დალუპვის ამბავი. გაბროსა და თამროს სიყვარული კლასსიკურის სიმარტივითა და მოხდენილობითაა აღწერილი. ტრფობისა და ვნების ამ საუცხოვო სურათმა ახალ ლიტერატურაში პირველად ილიას ნაწარმოებებში დასტულმა თავისი წარუხოცელი კვალი დაამჩნია ქართულ რომანს ალ. ყაზბეგიდან დაწყებული ე. ნინოშვილამდე*.

---

* ჩვენ საგანგებით განვმარტეთ ილიას დიდი გავლენა ჩვენ მთელთა მწერლობაზედ: ყაზბეგსა და ვაჟა-ფშაველაზედ; მათი ნაწარმოების სული და გული ილიას „მგზავრის წერილებიდანაა" ამოღებული (იხ. ჩვენი ეტიუდ. ტ. I).

დათიკო, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული სილამაზით, ხასიათის სიმტკიცით, გრძნობიერებით და გონიერებით, იმავე წყეული წესწყობილების მიერ გარყვნილია და დაღუპული. ამ შემთხვევაში კიდევ მეტად ძვირფასი მასალა მოიპოვება ვარიანტ „კაკოში". ზემოდ უკვე მოვიყვანეთ ის აღგილი, რომელიც დათიკოს აღზრდას შეეხება და რომლიდანაც ვხედავთ, რომ დათიკო ასეთს მოშხამულ ჰაერში სწორედ ასეთი უნდა შექმნილიყო: თავისნება, ჟინიანი, ხორცის ამყოლი. თუ ლუარსაბი და დარეჯანი, ეს დათიკოს კანონიერი მშობლები, მუცლის ამოყორვით ემსახურებოდნენ ხორცს, დათიკო თავისს ხორცს სქესობრივ გრძნობათა წარა-მარა განებივრებითა და დაკმაყოფილებით ანაზებდა და ამახვილებდა. თუ იგინი თავისს მუცელს გადაყვნენ, ეს თავისის ხორცის ჟინიანობას გადაჰყვა, იმ ხორცისას, რომელიც მის ხელში მარტოოდენ სქესობრივ ვნებათა ღელვის თავშესაფარებელ ნავთსადგურად გადაქცეულიყო. ხოლო სისტემატურმა ექსპლოატაციამ ხორცისა, სქესებრივის ენერგიის თავაშვებულმა უსაზღვრო გაფლანგვამ მთელი წოდება მოადუნა, სისხლი გაუშრო, ძარღვები დაუსუსტა და შემდეგი თაობა არჩილისა და კესოს სახით მოგვევლინა. კესო და არჩილი გამოფიტული აჩრდილნი არიან: მათ არც ავის ეაკეთება შეუძლიათ, არც კარგის წახდენა. მათ ხორცის გრძნობებიც კი დაჩლუნგებული აქვთ იმდენზედ, რომ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას სჯობნის თავში იშრალ-მშრალად ჩალაგებული უსისხლხორცო ათასგვარი ტრადიცია. კესო გიორგის სიყვარულს ვერ გაუგებს, და არათუ მარტო იმიტომ, რომ წარმოდგენაც კი არ შეუძლიან გლეხსა და „ბატონს" შორის სიყვარულის ხიდის გადება შეიძლებოდეს, იმიტომაც, რომ მას სქესებრივი ენერგია ძალიან დაჩლუნგებული აქვს. მის სიცოცხლეს ამოძრავებს, სისხლს სითბოს მიანიჭებს მარტო და მხოლოდ თავი და იქ ჩაჩრილი პრტყელ-პრტყელი აზრები, შეუგნებელი და შეგნებული, განყენებული მცნებანი ტრადიციონალურად თავში გაჭედილი. გიორგის, ამ სიცოცხლითა და ჯანსაღობით აღსავსე მამაკაცის, ვნებიანი სუნთქვა, მისი ეშხით დამთვრალის ხორცის მიახლოვება ვერ იგრძნო კესოში დედაკაცმა. მას ნიადაგ, ვითა ტიკინას, ციბრუტივით ერთი აზრი ატრიალებდა, ერთი ჭახრაკი ამუშავებდა მის ტვინს — ეს ის, რომ გიორგი გლეხია და მაშასადამე მისთვის

ხეა, ქვა და სხვა არაფერი. კესო რომ ფიზიკურად სუსტი, ხორციელად გადაგვარებული არ ყოფილიყო, მის არსებაში ჯანსაღი ადამიანური გრძნობები გაიღვიძებდა, თუ გინდ ეს გაღვიძება კატასტროფითაც გათავებულიყო. ადვილი წარმოსადგენია, რომ კესო ტრადიციებს დაუთმობდა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ის რომ საღი არსება ყოფილიყო, თავდაპირველად გრძნობა გაიტაცებდა, ბრმა ინსტინკტები აეშლებოდა. და ეს მომენტი დიდის ხელოვნებითა აქვს ხაზ-გასმული ჩვენს ავტორს. ის სრულიადაც არ ედავება კესოს, რატომ არ შეიყვარე გიორგი მიუხედავად სოციალურ მდგომარეობის სხვა და სხვაობისა. არა, ის არჩილის პირით აღნიშნავს მას, რომ ამ განსხვავებამ ისეთი ჯურღმული გასთხარა შენსა და გიორგის შორის, რომ ვერც კი გაუგე გრძნობა სიყვარულისაო...

— „სიყვარული ბრძანებით არ მოდის," უპასუხებს კესო.

— „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავის თავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულსა ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს რა, თუნდ ნაასალი მადლიც გიორგისა არა სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაულო. წმინდა შუქი მშვენიერისა სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.."

და ამაში ბრალი უდევს „გვარიშვილობას" არა მარტო როგორც თეორიასა, არამედ იმავე „გვარიშვილობას" როგორც ერთგვარ ფიზიოლოგიურ სნებასა, როდესაც ვარდი მზის სხივებს ვეღარ შეითვისებს და შეიშნობს იმიტომ, რომ მისი ფესვები გამხმარია და დამპალი.

გაბროს მეომარი რომანტიკოსობა გიორგის წყნარ და მშვიდ რომანტიკოსობად შეიცვალა. გაბროს უბედური, მაგრამ ღრმა და ძლიერი გრძნობა მეგობრობა დათიკოსადმი, გიორგის კესოსადმი აღტაცებულ სიყვარულად და ტრფობად გადიქცა. როგორც გაბრომ დათიკოსა და მის მეგობრობას გადაატანა თავი, ისე გიორგიმ კესოს სიყვარულის საკურთხეველზედ მიიტანა მსხვერპლად თავისი მშვენიერი და ლამაზი სიცოცხლე. და როგორც გაბრომ მარტო კატასტროფის საშუალებით შეიგნო, „რომ უმცროს უფროსობაში" სიყვარული სიზ-

მარია, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდებ-ბა (უკვე აქ არის ხიდი მოხსენებული), ისე გიორგიმ ნათლად იგრძნო თავისის განაწამების სიცოცხლის საშუალებით, რომ გლეხსა და ბატონს შორის სიყვარულისა და ტრფობის „ხიდი ჩატეხილია". ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გაბრომ ამ შეგ-ნების გამო შური იძია სიყვარულსა და მეგობრობაზედაც, ხო-ლო გიორგი კი ლოცვა-კურთხევით შეზავებულ უკანასკნელ სალამს უძღვნის თავისს „ანგელოზს — თავისს ბედისწერას".

რადიკალური განსხვავება გაბროსა და გიორგის შორის სოციალურ პირობათა შეცვლაში უნდა ვეძიოთ. ბატონყმობა, როგორც ინსტიტუტი, როგორც წეს-წყობილება მოისპო. მას შემდეგ თითქმის მეოთხედმა საუკუნემ გაიარა („ოთარაანთ ქვრივი" დაწერილია 1887 წ.) გიორგი თავისუფლების ატმოს-ფერაში გაიზარდა. მას აღარა ჰქონდა რა წარსულთან შედა-რებით გასაბრაზებელი და გასაჯავრებელი. იგი შედარებით უფრო მშვიდობიან ცხოვრებაში გაიფურჩქნა. იგი უფრო წმინ-და ჰაერს სუნთქავდა აღზრდის დროს. ამიტომაც იგიც თუმცა რომანტიკოსია, მისი რომანტიზმი ინდივიდუალურ ფარგალს არ გასცილებია, მისი რომანტიზმი ასე ვსთქვათ მოშინაურე-ბულია. მაშინ როდესაც გაბროს რომანტიზმი აღშფოთებუ-ლია, მისი „გაყაჩაღებით" ამ ვიწრო საზღვარს გასცილდება და მის გამაუბედურებელთ ებრძვის და ეომება შეძლებისა და გვარად.

სულ სხვა ჯურის ტიპია ოთარაანთ ქვრივი. იგი ერთის მხრით შვილია „ბუნტოვშჩიკებისა", მეორეს მხრით მოწამეა „ბუნტის" დაწყნარებისა და ახალის ცხოვრების შემოქმედე-ბის უღლის გამწეველია. ამიტომაც არის, იგი ერთის შეხედ-ვით სასტიკია და უკმეხი, რადგან ცხოვრების გაჭედას სჭირია ერთგვარი სისასტიკე, ერთგვარი შეუდრეკელობა, მეორეს მხრით კი გულკეთილია, გულ-ლმობიერი, თვისთა შემწყნა-რე, უსამართლოების მდევნელი და უსამართლოდ დაჩაგრულ-თა მოჭირნახულე.

„ნაცვალი თუ იასაული — რაც გინდ დიდი საქმე ჰქონო-დათ, — ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა". „მე მარტო ისა ვარო", იტ-ყოდა ხოლმე ქვრივი, „რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ,

ტყუილ უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები, თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო“, და თანაც მისი მოწყალეებით, მისი გულ-კეთილობით ქვრივის გამკითხველი იყო, ობლის შემწყნარე: „გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა“, მაგრამ მადლს კი უსათუოდ პილპილს მოაყრიდა. „ტკბილი სიტყვა რა არისო“, იტყოდა ხოლმე: „ამ გამწარებულს წუთი სოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთ მაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოფხანსო. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება... სიტყვა სამურველი ხომ არ არის — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქედ მოსწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება“.

გარეგანი სიმკაცრე და სიმკვახე ამ დედაკაცისა ჰფარვიდა თავგანწირულს სიყვარულს თავისის შვილისას და თავისის ქმრის „ანდერძის“ თავდავიწყებულ და ენერგიულ შემასრულებელს. შვილის სიკვდილის წამებს ასეთისავე მედიდურებით, გარეგნად წარბშეუხრელადა და გულ გაკაჟებულად დაუხვდა ოთარაანთ ქვრივი, მაგრამ მისმა არსებითად ნაზმა და გულჩვილმა არსებამ ისეთი უბედურება ვეღარ გადაიტანა და თვით გადააკვდა თავისს პირმშოს, იდეალსა და საგანს ცხოვრებისას. განა შეიძლება, რაც უნდა გულ-ქვა მკითხველი იყოს, გული არ აუჩვილდეს და თვალებზედ ცრემლები არ მოერიოს, როცა იმ ადგილს წაიკითხავს, სადაც აღწერილია სულის მდგომარეობა სიცოცხლე გამწარებულის ქვრივისა, რომელმაც დაჰკარგა თავისი ერთად ერთი „ანძი“, იმედი და ნუგეში შვილი.

თუ ოდესმე ავტორს თავის გამოხატულ ტიპში თავისი თავი წამოსცდენია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ტიპში მისი თვისებები მისდა უნებურადაც შეჰპარვია, ეს ოთარაანთ ქვრივის შესახებ უნდა ითქვას. ილია ყველასაგან ცნობილია ვითა გარეგნად მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანი. არასოდეს ტკბილი სიტყვა და ქალაწუნი არა ჰყვარებია. მაგრამ სასტიკად შემგნები იყო თავისი მოვალეობისა, თავდავიწყებულად დამცველი თავისის „ანძისა“ და „ანდერძისა“. ტყვილ

უბრალო არავის დააჩაგვრინებდა მისი ცხოვრების სატრფიალო საგანს, არც მის ჯავრს არავის შეარჩენდა. და იგიც ვით ოთარაანთ ქვრივი ზედ დააკვდა თავისს აზრს, მისგან აღზრდილს და განვითარებულს ისეთისავე მტკიცედ და ქედ-მოუხრელად, როგორც ოთარაანთ ქვრივი და ისევე გაუგებელი, როგორც გიორგი თავისს ღრმა გრძნობებში. სწორედ ამგვარი, როგორც იტყვიან, შედუღება ავტორის არსებისა გარეგანის ცხოვრებისაგან ამოღებულ ტიპთან, ჰქმნიან ოთარაანთ ქვრივს უნივერსალურ ტიპად, არა კერძო, ნაციონალურ-ქართულ, ანა და ადგილობრივ, გინდ წოდებრივ სახედ, არამედ საზოგადო არსებად, რომელსაც კაცობრიობის სურათთა პანთეონში შეაფერისი ადგილი უნდა მიენიჭოს. ამით ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ ოთარაანთ ქვრივი ნამდვილი ქართველი გლეხის ქალი არ იყოს, ქართულ ცხოვრებაში დაბადებული და აღზრდილი. ეს თავის თავად ცხადია და რათა უფრო ნათელყოფილი იყოს შეადარეთ თუ გსებავთ, ლეონ ტოლსტოის გლეხებს: მაშინ როდესაც პლატონ კარატაევი, ტოლსტოის სათაყვანებელი გმირი, ყმაა და მონა, მომთმენი, უაზროდ თავდავიწყებული და თავზედ ხელ-აღებული, მაშინ როდესაც მთელი ფილოსოფია კარატაევის არსებობისა გამოიხატება სრულს ინდიფერეტიზმში, პასსივობასა და აპატიაში, მაშინ როდესაც კარატაევი უსაზღვრო გულგრილობით ემორჩილება ყოველივე მოვლენას, ყოველივე ძალასა და ხვედრს, ოთარაანთ ქვრივი, როგორც კიდევაც ვნახეთ, მამაცი და მხნე ადამიანია, რომელიც თავისს „ჯავრს არავის შეარჩენდა და ტყუილა უბრალოდ არავის დაეჩაგვრინებოდა". ოთარაანთ ქვრივს აქვს იდეალი და ამ იდეალს დაუძინებლად ემსახურება, ოთარაანთ ქვრივი შვილია ბრძოლაში გამოცდილის ხალხისა, ჭირსა და ვარამში, უბედურებაში გაკაჟებული, რომლის ზურგზედაც მელეთის ხალხმა გადაიარა და რომელსაც საუკუნოების განმავლობაში თავისს დაცვის საჭიროებამ ცხოვრებისთვის ბრძოლისა და არსებობისათვის მეტოქეობის მიუცილებლობა შეაგნებინა. ოთარაანთ ქვრივი შვილია „ცაფირუზ ხმელეთ ზურმუხტი" მხარისა, მის სამშობლოს დღე-მუდამ მზე დაკაშკაშებს, აქ ორი დღის თოვლის შემდეგ ია იშლება, ზამთარი უდღეოა, ზაფხული და გაზაფხული კი დაუსრულებელი. ოთარაანთ ქვრივებს ბუნების სიცოცხლისა და ცხოვ-

რებისა, ბუნების სიხარულისა და ბედნიერების ნანინა აკვანშივე ესმისთ, ხოლო ბუნების ფერხულში თვით ღებულობენ მონაწილეობას. მათთვის ბუნება კეთილის მყოფელი მეგობარია, ხელის შემწყობი და მფარველი. მათ სამშობლოში თავის დღეში აბსოლიუტიზმს ფეხი ვერ მოუდგამს. იქ ყოველთვინ პროვინციალურ სეპარატიზმსა ჰქონდა ღრმად გამდგარი ფესვები და თუ, შეიძლება, ამან პოლიტიკურად დაამხო საქართველო, პირადობა მაინც უმაღლესად განავითარა, ღრმა ინდივიდუალიზმს სამარადისო საფუძველი გაუჩინა ქართველ ერის თვისებაში. მხოლოდ ამისთანა პირობებში იზრდება ოთარაანთ ქვრივი და მხოლოდ ოთარაანთ ქვრივისთანა სრულ და მთლიან ბუნებიან ადამიანს შეუძლია აღასრულოს ნამდვილი დედა-შვილობა, ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, ჭეშმარიტი მამულიშვილობა და მოქალაქეობა. ყოველსავე რასაც ხელს მოჰკიდებს მისი ძლიერი ბუნება, სავსებით შესწირავს თავისს ძალსა და ღონეს და ყოველსავე რასაც კი იკისრებს სინიდისიერადა და წმინდად აღასრულებს.

სულ სხვაა კარატაევის მდგომარეობა. საუკუნოების პოლიტიკურმა დესპოტიზმმა სრულიად მოუსპო ყოველივე ნებისა და სურვილის ნასახიც კი და იგი იოანე მრისხანეთა მუნჯ და ყრუ მანქანად აქცია. ბუნებამ ნიადაგ მოღუშულმა, ნიადაგ სამგლოვიარო ჩადრით მობურვილმა ვაებისა და კვნესის მეტი არა ასწავლა რა. მუდმივმა ზამთარმა და ყოველდღიურმა ყინვამ სულის ძალღონე მოუდუნა, მოაუძლურა, ენერგია მოუკლა და ქვეყანა ერთ სატანჯავ, საუბედურო ქუროდ წარმოადგენინა, რომელშიაც კაცს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორიც აგურს ქურაში. ამიტომაც არის, რომ კარატაევის მთელი ცხოვრების მრწამსი ერთით განისაზღვრება: „რა ჩვენი საქმეა, რომ ვმსჯელობთ: ეს არ ვარგა, ის ცუდია, — ყოველიფერი იღბლის საქმეა“. ამიტომაც არის, პლატონ კარატაევი რომ „გაროზგეს“, ამაში მან მარტო სიამოვნება და კმაყოფილება იგრძნო და მისი ადამიანური ბუნება ერთი ბეწოთიც არ აღშფოთდა: „ვინაიდან ცოდვილი ვარ“ გაიძახოდა „და ჩემის ცოდვებისათვის დავისაჯეო“. ზაქრომ კი („კაკო ყაჩაღი“) „გაროზგვაში“ მხოლოდ პირადობის გაქელვა, პირადობის გაბიაბრუება და გაუპატიურება დაინახა, აღშფოთდა,

შური იძია მის შეურაცხმყოფელისაგან და ბოლოს გაყაჩაღდა და საზოგადოებაზედაც კი გადაიტანა ეს შურისძიება.

რაკი რუსულ მწერლობის შესახებ ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, მეტი არ იქნება ერთს ჩვენში არსებულ ცრუმორწმუნოებას შევეხოთ. გაგიგონიათ უთუოდ, რომ „კაცია-ადამიანი?!“ თითქო მიბაძვა იყოს გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკების“-ა. ის ვინც ამას ამბობს, შეუძლია ისიცა სთქვას, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ მიბაძვაა პლატონ კარატაევისა. მსგავსება ამ ორ მოთხრობაში მხოლოდ ის არის, რომ ორივე მწერალს ორი მოხუცი ცოლ-ქმრის უფერული ცხოვრება აქვს აღწერილი. ამნაირი ნაწარმოები, სხვა რომ არ ვახსენოთ, ძველ რომაელ მწერალ ოვიდიუსსაც აქვს: ფილიმონ და ბავკიდა. და თუ კი არაკის იგივეობას რაიმე მნიშვნელობა აქვს მიბაძვის განსაზღვრაში და თხზულების ღირსების დაფასებაში, მაშინ შექსპირის ტრაგედიებიც მიბაძვით დაწერილი არიან, „ვეფხვის-ტყაოსანიც“ მიბაძვაა და სხვ... ვინც ცოტათი არის იცის საზოგადო ხელოვნების ისტორია, კარგად იცის რომ მთელი ღირსება ნაწარმოებისა იმაზედ არის დამოკიდებული, როგორ არის შემუშავებული ეს თუ ის თემა, გინდ არაკი. ელლინთა სკულპტურაში საუკუნოების განმავლობაში საუკეთესო მოქანდაკენი მარტო ჰერმესისა, აპოლონისა და ვენერას ქანდაკებას ჰქმნიდნენ და იმგვარად, რომ მათი პოზაც კი თითქმის ერთი და იგივე იყო. ხოლო ყოველივე დიდ ხელოვანს შეჰქონდა თავისი ღვთაებრივი ნიჭის ნიშანი სახის გამოხატულებაში, სხეულის გამოხატვაში, ტანისამოსის ნაოჭებში და სხვ. მთელი იტალიელი განახლების მხატვრობის სიუჟეტი იესოს ცხოვრებიდან იყო, ანა და პირველ ცოდვის ამბებიდან, მაგრამ ვერავინ იტყვის, დიდებული რაფაელი თუ გინდ პერუჯინოს მიმბაძველი იყოს, თუმც მისი მოწაფეც კი იყო, ანა და მიქელ ანჯელოსი, რადგან მისი და რაფაელის ფრესკები ერთსა და იმავე ადგილს არის მოქცეული რომში ვატიკანის სასახლეში და ერთისა და იმავე შინაარსისა.

გოგოლის ორ მოხუცთა ამბავი ნაგლეჯია ცხოვრებისა, ერთი მომენტია ცხოვრებისა აღებული. გოგოლი თავისს გმირებს გულ-მოწყალებითა და გულლმობიერებით ეპყრობა. გოგოლის გმირები მართლაც არც დიდი რამ ხეირიანი ბრძანდებიან, ხოლო არც ნამეტნავად ცუდნი. ილიას მოთხრობა

მთელი ეპოპეიაა, ბატონ-ყმობის წეს-წყობილების ერთგვარი სოციოლოგიური ეტიუდი. ილიას გმირები საზიზღრები არიან, სახით, ქცევით, თვისებებით. ერთი მათი ის რათა ღირს, რომ წარამარა „სტუქსავენ“ მოსამსახურეებს და ბრალზედა და უბრალოზედა „აწიოკებენ“ გლეხებს, რათა მათი „ბატონობა“ არ დაავიწყონ და მათი „შიში და კრძალვა ჰქონდეთ“, რაღა პრინციპისათვის სიცოცხლეს უმწარებენ შინა და გარეთ თავიანთ „ყმებსა“. გინებისა და ლანძღვის მიდრეკილება ესოდენ დიდია მათ ბუნებაში, რომ ერთმანეთსაც კი ხშირად გაუმასპინძლდებიან ხოლმე წყევა-კრულვით. ავტორს ბრაზსა ჰგვრიან იგინი, გულს ურევენ და მთელი მისი განწყობილება მათდამი უსაზღვრო ზიზღით გამოიხატება. გოგოლის იუმორი ცრემლ ნარევია, ცოტა არ იყოს სენტიმენტალური, სიბრალულით გამსჭვალული. ილიას დაცინვა ულმობელი და შეუბრალებელი სატირაა. აქ სიცილს კბილთა ღრჭენის ელფერი დაჰკრავს და სასტიკი მსჯავრის ხასიათი აქვს. ავტორს ვერც კი გაუგია, როგორ უნდა დაიმციროს კაცმა, ადამიანმა თავისი თავი ისე, რომ „შენდობა“ მოითხოვოს და თავისი ცხოვრების გასამართლებელი საბუთები არ წარმოადგინოს.

აქაც იგივე განსხვავებაა რაც პლატონ კარატაევსა და ოთარაანთ ქვრივის შორის, რაც საქართველოს კეკლუც, ღიმილით მორთულ ბუნებასა და რუსეთის მოღუშულ, მარად ჟამს საცრემლავად მომზადებულ ბუნების შორის. ილიას ვერც კი მოუთმენია, რომ ლუარსაბისთანა კაცმა, რომელიც ადამიანობას ლაფში სვრის, შენდობის შესახებ კრინტი დასძრას: რად გაუხდია კაცს-ადამიანს საბოდიშოდ საქმე, აი რა აღელვებს მას!

გოგოლს კი ფატალურად მიუცილებლად მიაჩნია ადამიანის დაგლახავება დაბეჩავება და ცრემლებს ღვრის ჩვენი უცნაურის ბედისწერის გამო. მას აზრადაც არ გაუვლის გაცუდებულის ადამიანის უსაზღვრო დატუქსვა იმიტომ, რომ კარატაევის არ იყოს „ყოველიფერი იღბლის საქმედ“ მიაჩნია. მაგრამ სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ, ვინც წაკითხვა იცის და წაკითხულის შეგნება, მისთვის მეტად ნათელია, რა დიდი საზღვარია ორ მწერალთა და მათ ნაწარმოებთა შორის.

VI

ილია, როგორც ღრმა სოციოლოგი და ცხოვრების დაკვირვებული მხატვარი ორ წოდების წარმომადგენელთა შორის ძალას იქ ჰპოებდა სადაც მეტი იყო შეეუბებული და დაუხარჯავი ენერგია. ეს რომ ასეა, ამის უეჭველი დამამტკიცებელი მისი „ოთარაანთ ქვრივია". ამ შემთხვევაში ილია სრულიად არა ხდებოდა ბრმა ტენდენციის მონა, წინააღმდეგ მისი სურათები ცხოვრების სავსებით შესწავლის, ცხოვრების იდუმალ ძალთა წინასწარმეტყველურად წარმოდგენის შედეგია. იგი, როგორც მხატვარი, ისე ექცეოდა თავის შექმნილთ, როგორც ყოველივე შემოქმედი. თავის ოცნების ნაშობთ ერთნაირად ეპყრობოდა, თუმცა შეუძლებელი იყო, როგორც შემოქმედს ყოველივე მათი ღირსება-ნაკლულევანება თვალწინ არ ჰქონოდა დაყენებული. იგი ცხოვრების წარმოდგენების ძალით თვალ-წინ გადაგვიშლიდა და ხელოვანის კალმით მოგვიხაზავდა ამა თუ იმ მოვლენას ერთნაირის ყურადღებით. როცა ეს აქტი შემოქმედებისა დამთავრდებოდა, რასაკვირველია შემდეგ მწერალში ხორცშესხმული შემოქმედი წამოჰყოფდა თავს და ძალაუნებურად გრძნობდით ვისკენ უჭირავს მას თვალი. თავისდღეში მას განგებ ხაზი არ გაუსვამს, ფერადი მუქად ძალდატანებით არ შეუღებავს, რათა მაყურებლის კისერი იქით მიექცია საითკენაც მგოსნის გული იწევდა. დათიკო მრავალის კარგის თვისებებით არის აღჭურვილი, მაგრამ გადაგვარების დაღი ასვია. კაკო, ზაქრო და გაბრო მრავალის ნაკლულევანებით არიან აღსავსე, მაგრამ სიმაბუკისა და სიყრმის ენერგიული შარავანდედით არიან მოსილნი. ეს უტყუარი სურათი იყო, ერისა დიდის შემოქმედისაგან ნათელ ყოფილი. განა თუ დათიკოს მოსიყვარულე, ლმობიერი გული არა აქვს? ნახეთ, როგორ უყვარს გაბრო, ნახეთ მისი შენანიება, როცა თავისს ჟინს აღისრულებს და გაბედულობის ხანას გადასცილდება. მამაცი, რაინდულის მედიდურობით შემკული, იგი ხდება მხეცად მხოლოდ ერთს მდგომარეობაში: მისი სქესებრივი ჟინის აშლის დროს. მაშინ იგი გიჟია, ჭკუაზედ შემცდარი, მისი ნერვების ცენტრი დაშლილია, იგი პათოლოგიური არსებაა, მონაა, ყურ-მოჭრილი ყმა ერთის გრძნობისა, ერთის ინსტიქტისა. უკეთ რომ ვსთქვათ, ამ დროს

იგი კაცი აღარ არის, იგი ბედისწერის ბრმა იარაღია, სამარადისო ფატალიზმისგან გასროლილი მეხის ნატეხია. და ნუ თუ შეიძლება კაცმა რაიმე მოსაზრებით გაამართლოს ცარცვა-გლეჯა, კაცის კვლა ყაჩაღისა? და განა კაკო, ზაქრო, გაბრო ეგრეთ გზას არ დაადგებიან პირად უკმაყოფილების გამო, მაშინ როდესაც თითქმის გულგრილად და სრულის მოთმენით უყურებდნენ სხვის გაუბედურებასა და გაუპატიურება'ს მათი ოდესმე მფარველი ბატონისაგან (გაბრო და დათიკო)? მაგრამ ესენი საზოგადოების უწესრიგობის მუხრუჭისაგან არიან დამსხვრეულნი. თუ ბუნების იდუმალი ძალები ჰქმნიან დათიკოს მხეცად, საზოგადოების სტრუკტურის არა ნაკლებ უძლეველი პირობები, არა ნაკლებად ფატალური ზედგავლენა „გააყაჩაღებს" ზაქროსა და გაბროს.

არჩილსა და კესოს, როგორც, მანეკენებს, როგორც მტვრიან ეტრატზედ დაწერილ წიგნს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს და თავისებური ღირსება. მაგრამ ნაკლი მათი სწორედ ის არის, რომ ცხოვრების ძარღვი მოდუნებული აქვთ.

და განა გიორგი, რომელიც არც თუ შორეული ნათესავი გახლდათ კაკოსი და გაბროსი, რომელსაც ჩვენი „ვარიანტი" „რომანტიკული კაცის" სახელით მონათლავს, განა ეს გიორგი ყოველიფრის ღირსებით შემკულია? გიორგისაგან მეჯინიბის ცემა და სხვა ამგვარი მოქმედება არც თუ დიდი ქველობაა, მით უმეტეს, რომ ცოტა არ იყოს მოხელეობრივი „დამსახურების" სუნი უდის, სხვის ტყავზედ კარიერის გაკეთების ფერი აქვს, თუმც ჩინის ადგილი აქ კესოს გულს უჭირავს და კარიერის მაგიერობას მგრძნობელობით გაშუქებული სიყვარული გაუწევს.

განა, გიორგიც ერთგვარი დათიკო არ არის, ოღონდ სპეტაკი, წმიდა, სულითა და ხორცით მშვენიერი? განა, იგიც თავის პირადობას თავისს „მე"-ს, თავისებურ, რასაკვირველია, მაღალ და ფაქიზ სქესობრივ გრძნობას არა სწირავს თავისს თავს, თავისს სიტურფითა და სილამაზით აღსავსე სიცოცხლეს და ამ გრძნობის წინაშე უარს არა ჰყოფს ყოველივეს მამის „ანდერძსაც", დედის ამაგსა და ერთგულებასაცა? ნუ თუ გიორგისთანა პირადობა საზოგადოების განძი არ არის, რომლის ეგრე გაფლანგვა, ეგრე ცალმხრივად დახურდავება არც თუ დიდი მოსაწონი საქმეა?

საოცარი გონიერი ხელოვნება გამოიჩინა ილიამ სწორედ იმ ხერხში, რომელსაც მიჰმართა ორ წოდებათა დაპირდაპირებაში. კოლიზია ხვდება ცხოვრების თვით უსაშინელესს, თვით უძლიერესს, თვით უმაღლესს და უსაიდუმლოესს ფატალურ ვნებათა სფეროში. და აქ სცენაზედ გამოდის ერთის მხრით დათიკო, რომელსაც ცხოველმყოფელი და ძლევა მოსილი სქესობრივი ინსტიქტი ჟინიანობათა და თვისნება თავგასული „ბატონის“ კაპრიზებათ გადაუქცევია. დათიკოს ამ გრძნობათა წყარო ჯოჯოხეთსა და უფსკრულში გამოუძებნია ისე, რომ ლაჟვარდი მზით გაბრწყინვებულ ცაზედ ერთხელაც არ აუხედავს, სამსალითა და შხამ-გესლით გაუჟღენთია მისი ფიზიოლოგიური ლტოლვილება, ხოლო მეორის მხრით კი გაბრო, რომელსაც ამ გრძნობის უმწვერვალესს საფეხურამდის მიუღწევია, და თუ უფსკრულშიაც ჩაუხედავს თავბრუ როდი დასხმია, არამედ უფრო გაძლიერებული და გაღონიერებული მისულა წმიდა საკურთხევლის წინაშე; ერთის მხრით კესო, რომელსაც სისხლი ისე გაჰყინებია, რომ დიადის ვნებათ-ღელვის დამწველ ცეცხლის სიმხურვალესაც კი ვერ ტყობილობს, უძლეველის ელექტრონის დენასაც კი ჩლუნგად უხვდება, — მეორეს მხრით კი გიორგი, რომელსაც წმინდა ალი ღვთაებრივი ტრფიალისა გულში გაჩადებული აქვს და სიცოცხლე მისი გაკაშკაშებულია ზეაღმტაცის მგრძნობელობის სხივებით, იგი ამ მგრძნობელობით წმინდა ნექტარით დამთვრალი თრთის საყვარელი არსების ყოველი მიახლოვების დროს. გაბრო და გიორგი გრძნობათა სამეუფოში შედიან ვაჟკაცობითა და სულისა და ხორცის ღონიერებით შემკულნი, ჰერმესსა და აპოლონივით ოლიმპიურის განწყობილებით მორთულნი, კესო და დათიკო კი სილაჩრითა, სიძაბუნითა და უძლურებით აღსავსენი, იგინი თვალს ვერ უმართვენ ღვთაებრივ მნათობს და მარტო და მხოლოდ მისი ბრმა და დაჩლუნგებულ მონათა შორის დაფუსფუსებენ. გაბროს და გიორგის მომავალი აქვს — დათიკოსა და კესოს კი წარსული. გიორგისათვის „განთიადი“ ის „განთიადი“, რომლის შესახებაც ბჭობენ კესო და არჩილი გიორგის გაცივებულ გვამის გვერდით, პოეტური ოცნება კი არაა, ხორც-შესხმული სინამდვილეა, რომელსაც მისი და ძმათა მისთა ძლევა-მოსილი მარჯვენა მოავლენს ცხოვრებაში. და მაშინ როდესაც კესომა და

არჩილმა ამ განთიადის წინაშე თავისს სუსტ თვალებზედ ხელები უნდა ჩამოიფარონ, თვით გიორგი და მისი ჯურის ადამიანები იქნებიან ამ „განთიადის“ განმამტკიცებელნი და მამაცად, ყოჩაღად შეაცქერდებიან მასა, როგორც ღვთაებრივ იდეალს ცხოვრების გამაშუქებელსა. არჩილი და კესო ცრემლის ფრქვევით ჰფიქრობენ „განთიადის“ მოპოებას. გიორგი და გაბრო კი სიცილითა და მებრძოლის მხნე ყიჟინით გვამცნებენ მის მოახლოვებასა.

VII

საეროვნო გრძნობათა აღძვრასა და განმტკიცებაში ილიას უპირველესი ადგილი უჭირავს და ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველის ერის წინაშე. მთელი მისი სიცოცხლეც კი ამ აზრის მსხვერპლი შეიქმნა. ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის გამორკვევასა და დამტკიცებას, რამდენად მიუცილებელი, რამდენადაც საჭირო არის და იყო ჩვენის ერისათვის იმის შეგნება, რომ მასა აქვს უფლება ცხოვრებისა, მასა აქვს ნება ადამიანურის ყოფისა, რომ მისი სიცოცხლე შესაძლებელია მარტო და მხოლოდ განსაზღვრულ ეროვნულ კალაპოტში, ისტორიიდან ნაკარნახევში და ბუნების კანონების მიერ დაკისრებულში. ეს უნდა იგრძნო ადამიანმა მთელის შენის არსებით, ამის დამამტკიცებელი საბუთი მოიპოება არა მარტო ჩვენს ისტორიაში, არამედ ყოველის ერის ისტორიაში. მაგრამ მარტო მეცნიერული მცნება არა კმარა, აქ სარწმუნოებრივი ექსტაზიცაა საჭირო, როგორც ყოველივე პოლიტიკურ-სოციალურ დიად რწმენისათვის. ის, ვინც ამ აზრის სიდიადეს ვერ იგრძნობს და ვერ განიცდის, ავადმყოფსა ჰგავს, რომელსაც გემო დაკარგული აქვს, იმ ბრმას, რომელიც ფერავითარის აღწერილობით ვერ იგრძნობს ცხოველ-მყოფელ კავშირს ბუნებასთან, იმ ყრუს, რომელიც ვერ შეისმენს ზეაღმტაცს მუსიკალურ ჰარმონიას ამ ბუნებისას. მუსიკა, მხატვრობა, პოეზია ერთგვარ კანონიერებას ექვემდებარებიან, მაგრამ მარტო მეცნიერული შესწავლა ამ კანონიერებისა ვერას გიშველის თუ მოსპობილი გაქვს ორგანო მიუცილებელ ზეაღმაფრენით აღსავსე შთაბეჭდილებათა განსაცდელად. თუმც ამგვარ გრძნობათა აღძვრაში ილია პიონერი იყო, მაგ-

რამ მას თავისდღეში ამ შემთხვევაში ერთი ცრუ ნაბიჯი არ გადაუდგამს ხელოვნების მხრივ. მას თავის დღეში არ წამოსცდენია უნიადაგო, ყალბი წრიპინი, არ შეუთხზავს უაზრო ჰიპერბოლები, უმნიშვნელო და უშინაარსო ოპტიმიზმს არ დაბღაუჭებია, სასოება მიხდილის პესსიმიზმით თავის ნაწარმოები არ დაუმლაშებია. აქ ყველაფერი ელლინურის, მაღალ-მხატვრულის ზომიერებითაა აღსავსე. თავდაჭერილობა, რომელიც ზე-კაცს, დიდბუნებოვან ადამიანს შეჰფერის, ღრმა გრძნობა, რომელსაც ერთგვარი თავშეკავება კიდევ უფრო აძლიერებს, რაღაც დიდებულ შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველში. ბევრს რომ არ გამოუდგეთ, ავიღოთ მისი ორი პატარა ლექსი.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჰყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო,
აყვაყვებული მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ნახეთ, რვა სულ პატარა სტრიქონში, რომელშიაც სულ ოცდა ერთი სიტყვაა, რამდენი სურათია, რამდენი აზრი და რამდენი გრძნობა: იმედიც არის, უსასოებაც, ეჭვიც, ნუგეშიც, აღტაცებაც, სასოწარკვეთილებაც. აქ ერთი სიტყვაც არ ურევია, რომელსაც სურათი თან არ ახლდეს, ანა და მხატვრულ პოზას არ განსაზღვრავდეს. ბუნების განახლება, მისი სიხარულით მკვდრეთით აღდგომა სავსებით, ერთი ორიოდე კალმის მოსმით თვალ-წინ გადაგვიშალა. აგერ მდელოა და მთები აყვავებული, აგერ ტყე განახლებული და გამოცოცხლებული ბაღი, რომელშიაც „ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“, აგერ ცა მოხარული და მოკისკისე, რომლის ჰარმონიული, მთელ სამყაროსთან შეთანხმებული მხიარული ჰანგები მერცხლის ჭყივილში გვესმის... და ამ ბედნიერებისა და აღტაცების სურათის წინ გულში ისარ განაწონი მგოსანი, რომლისთვისაც ყველა ეს წარმოადგენს გარეგან ჩარჩოს, თვალხილულ სიმბოლოს მისი დიდის სათაყვანებელის საგნისას, მისი სამშობლოისას, „მამულო, საყვარელო შენ როსღა აყვავ-

დები?“ გაისმის მის ბაგეთაგან, არა როგორც კვნესა ვაებისა, არა როგორც მოთქმა უბედურებისა, არამედ როგორც სევდით მოვარაყებული სასოება, რომელიც ერთის სიტყვით არის გადმოცემული: „როსღა?“ დიაღ, „როსღა?“ ეს ნიშნავს, რომ ჯერ არ არის „მამული საყვარელი აყვავებული“. დიაღ, „როსღა“ არ ნიშნავს, რომ არასოდეს არ აყვავდება. დიაღაც, აყვავდება! დიაღაც, გაცოცხლდება, დიაღაც განახლდება. მაგრამ „როსღა“? როდის? თუ რამენაირი სევდიანი განწყობილება იბადება ამ ლექსიდან ამ ერთ სიტყვაშია მოქცეული. მგოსანმა და მასთან მკითხველმა არ იცის როდის მოხდება ეს მკვდრეთით აღდგომა, ეს „აყვავება“. რომ ეს „აყვავება“ მოხდება ამაში კი ვითომ უეჭველად დარწმუნებულია? არც ეს ვიცით, ისე როგორც არც იმისი თქმა შეგვიძლიან, რომ სამშობლოს „აყვავების“ სასოება წაწყმედილი ჰქონდეს მწერალს. და აი ამ პოეტურ განურკვეველობაშია მთელი სიმდიდრე და მომხიბვლელობა ამ ლექსისა. ერთი გამოსჭვივს შიგ ნათლად და შეურყეველად, ერთია უეჭველი — სურვილი უსაზღვრო, უდიდესი, უძირო და უკიდო, რომ ეს „აყვავება“ მოხდეს. მაგრამ, როდის, „როსღა“? აქვს ამ „როსღას“ ვადა რაიმე, თუ არა — ეს ჩვენ არ ვიცით და თუ ერთგვარად სევდას მოგვაფენს ეს კითხვა, რომლის გადაჭრილი პასუხის მიცემა ძნელია, მეორეს მხრით ამ სევდას უკუ გადაგვყრის ის სანეტარო სურათი განცხოველებულის ბუნებისა, რომელიც წინ მიუძღვის წყეულ საკითხს და ის კილო მწერლისა, რომელიც უსასოებას არავითარ მტკიცე საფუძველს არ უდებს. და აი აქ ისახება მთელი ტრაგედია მგოსნისა და არა თუ მგოსნის, ყოველი შეგნებულის ქართველის სულისა და გონებისა. რწმენა, რომ ეს „როსღა“ — ადრე იქნება, თუ გვიან — უნდა მოხდეს, ვინაიდან უამისოდ ხსნა არ არის, მაგრამ „როსღა“, „როსღა“? ეს არის გულის მომწყვლელი, სიცოცხლის მომშხამველი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა.

ესდენ მარტივის, ესდენ სადა სტილით დიადის საგნის გამოხატვა მარტო ცით კურთხეულს, ცით რჩეულს, განსაკუთრებულის ნიჭით დაჯილდოებულს ადამიანს შეუძლიან. მარტო შეუდარებელის, უბადლო მწერლის ხვედრია, ასეთის უბრალო საშუალებით ესდენ დიადის შთაბეჭდილების შექმნა და გამოწვევა.

ვის ჩვენგანს დედის ნანინასავით არ შესმენია ეს სიტყვები? რომელ ჩვენგანის პირველი მოქალაქობრივი გრძნობა არ გაუღვიძებია ამ ლექსს? რომელი ჩვენგანისათვის არ აღუძრავს პირველი მწარე ფიქრები და თანავე პირველი სასოებისა და იმედის ძლევა მოსილი სხივები არ მიუფენია მისი სულისა და გულისათვის?!

ახლა ავიღოთ მისი ერთი უკანასკნელი ლექსი: „ბაზალეთის ტბა"* ამ ლექსში ალლეგორია სიმბოლოს სახეს ღებულობს, ხალხის თქმულებას მითის მნიშვნელობა ეძლევა და ყველა ეს გადმოცემულია ეპიკურის სიდინჯითა და სიმშვიდით, რომელსაც მაშინაც კი არა ჰკარგავს მგოსანი, როცა წმინდა ლირიზმის, წმინდა ინდივიდუალურ აზრთა და გრძნობათა გადმოცემას შეუდგება.

„ბაზალეთისა ტბის ძირას" თამარ მეფეს აკვანი ჩაუდგამს

„და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს".

ვინ ჩააწვინა ამ აკვანში თამარმა, რისთვის დაადინა თვისი ცრემლი ერმა? ამის გამოკვლევა სათითაოდ მკითხველის გამჭრიახობასა და შეგნებულებასა აქვს მინდობილი. ამნაირად ალლეგორია სიმბოლად იქცევა. ხოლო რაკი ეს მთელი ერის სანეტარო, იდუმალად გამომუშავებული აზრია, რომელიც იმოდენად ძვირფასია მისთვის, რომ ცრემლის ტბაში დაუმალავს, რათა უწმინდურმა ხელმა არ შეაგინოს — იგი რაღაც მითოლოგიურ და რელიგიურ საგნად ხდება.

და აი აქაც მგოსანს შეეძლო ერის ცრემლისათვის, თავისი ცრემლებიც მიემატებინა, გოდება დაეწყო, რომ ან აკვანი დაკარგულა, ან ტბა დამშრალა და სხვა ამგვარი, ანა და როგორც ბევრ ჩვენ პოეტს აქვს ჩვეულებად, ფიცითა და მტკიცით დავეჯერებიეთ, რომ უკვე მზად არის გმირი, რომელიც ამ აკვანს ტბიდან ამოიღებს და დღეს თუ არა ხვალ ქართველ ერს ჩააბარებს და სხვა. მაგრამ, არა! ავტორის თავდაჭერი-

---

* რამდენიმე (ხუთი) ვარიანტი ამ ლექსისა, რომელიც ამ გამოცემის ზეთაურს ხელში აქვს, უეჭველსა ჰყოფს, რომ ილია ფრიად მაღლად აყენებდა ამ ლექსსა და დიდ მნიშვნელობას აძლევდა მას.

ლობა სიბრძნით აღსავსეა, მისი იმედი ნატვრას იქით არსად მიდის და ნატვრა ხომ ნახევრად მაინც უიმედობაც არის.

„ნეტა მას — ამბობს იგი — ვაუკაცსა სახელოვანსა
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!“

დიაღ, ეს ვაჟკაცი უსათუოდ იქნება, ისე, როგორც „მამული“ აყვავდება ერთ დროს. დიაღ მან უნდა შეუშროს ცრემლი ქართველ ხალხს, მან უნდა დაუბრუნოს ეს აკვანი, რომელიც მფარველობს მას, „ვისიც არ ითქმის სახელი“ და რომელიც საუკუნოების ტანჯვა-ვაებაში გაუჭედია ერს. ეს უეჭველად უნდა მოხდეს, თორემ ასე ალა-ალად ჩვენი მგოსანი ნატვრასაც არ იკისრებდა. მაგრამ აქაც ჩვენ წინ აღიმართება ტრაგედიული პრობლემა, „როდის, როსღა?“

ამაზედ პასუხის გებას არც ითავებდა და არც იკადრებდა ესდენ ღრმა და ფხიზელი გონების პატრონი მგოსანი. და აქაც რა უბრალო, რა ჩვეულებრივის კილოთია გამოთქმული თვით უღრმესი საგანი, ჭირი და ვარამი ქართველის ცხოვრებისა და რა ძლიერად, რა დიდებულად მოხაზული. ცრემლმა, ვით სიმბოლომ დაუსრულებელის შრომისა, ტანჯვისა და ბრძოლისა, შეინახა იგი აკვანი მისი განძით საუკუნეთა მიმდინარეობაში და იგივე ბრძოლა, ცდა, შრომა, სისხლი და ცრემლი იმედითა და სასოებით გაბრწყინვებული მოუპოებს და ჩაბარებს ერს ამ განძსა, იმ სამარადისო სანეტარო საგანსა, „რომლის არ ითქმის სახელი“.

სრულიად საკმარისია ამ ორი ლექსის გადათვალიერება, რომ ილიას ჩვენ პირველ ლირიკოსთა შორის მიუჩინოთ ადგილი. ამ ლექსებში ფორმა და აზრი, განწყობილება და მხატვრობა, გრძნობა და კილო ერთნაირად ხელოვნურად შედუღებულია, ერთი მეორეზედ მაღლა სდგას, ერთი მეორეზე უკეთესია. თუმცა ისიც არ უნდა დავმალოთ, რომ ილიას ლირიკაში უმეტესობა ლექსისა არ არის ამგვარი დიდის ღირსებისა. არც კი თუ დიდად ეტანებოდა იგი პატარა ლექსებს. თითქო მისი პოეტური სულთქმა ესდენ ვიწრო ფარგალში თავისუფლად ვერა გრძნობდა თავს, თითქო არწივისებრივი თვისება მისი ოცნებისა უფრო დიდ, უფრო ფართო, უფრო

მაღალ-მაღალ ადგილებს ეძებდა სანავარდოდ. რა თქმა უნდა, მისი „აღარც ნატვრა და აღარც იმედია“, ანა და „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“ ჩვენის ლიტერატურის არც სალირიკო ლექსს არ ჩამოუვარდება არც გრძნობათა სიღრმითა და სიმწვავით, არც ფორმათა სიმშვენიერით. მის სატირიულ „საქართველოს ისტორია XIX საუკუნისას“ ხომ ბადალი არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში. აქაც რამდენიმე სტრიქონში „გაროზგვილია“ საქართველო XIX საუკუნისა, ჩვენს თვალის წინ და ჩვენს სამსჯავროის ქვეშ გატარებულია მთელი „მოღვაწეობა“ იმ წოდებისა, რომელსაც ხელში ეპყრა სადავე მაშინდელის ცხოვრებისა. აქაც თქვენ ხედავთ ილიას სოციოლოგს, წესის ამგებს ერთის ჯგუფისას, ახალის სულის მახარობელს, „პაპა“ თავისი „პოჟოლუსტა დამეხსენი“-თ მრავლის სიმბოლოა და მრავლის ფიქრის აღმძვრელი. საზოგადოებრივი სატირა ჩვენში არა თუ ამაზედ უმაღლესს საფეხურზედ არ ასულა, აქამდისაც ვერ მიუღწევია. ეს ლექსი თავისი მკვეთრი და სასტიკი დაცინვით, თავისი გამჭრიახობითა და სიბრძნით სამარადისოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა გვიჩვენებს, რომ ეს სფერა მისთვის სულის შემხუთველი გალიაა. ის თავის თავს კარგადა გრძნობს პოემებში. მისი ძალა პოეტური აქ თან და თანობით იშლება, მისი ლექსის სიმშვენიერე თან და თან ჩამოყალიბდება ხოლმე. იქ სადაც ზოგიერთ პატარა ლექსში უცნაურ სიტყვის და ფრაზის ფორმებს ხმარობს („ყვარლის მთებს“, „გავსწორდეთ ბედო“, „სიზმარი“) „დიმიტრი თავდადებული“, ეს საკმაოდ მოზრდილი პოემა, სამაგალითო კლასსიკური ნაწარმოებია. საკმარისია მარტოოდენ სტილი აიღოთ მისი, მუსიკალური ფორმა, სიტყვათა შეხამება, სადა და უბრალო კონსტრუქცია ფრაზისა და თანაც აზრი დიდებული თავგანწირულება სამშობლოისა და ერისათვის, რათა დარწმუნდეთ ამ თხზულების სიმშვენიერესა და მომხიბლველობაში, ეგრეთია „კაკო ყაჩაღიც“. ხოლო ყველაზედ უფრო დიდებული და შეუდარებელი მაგალითი ილიას მწერლობისა, ქართულის პოეზიის ობოლი მარგალიტი, მისი „განდეგილია“,

თუ ოთარაანთ ქვრივის ტიპში ილია უნივერსალიზმს დაუახლოვდა, „განდეგილით“ მან შეჰქმნა მსოფლიო პოემა, რომლის შინაარსი და აზრი ერთგვარად ძვირფასია ხელოვნების ყველა თაყვანისმცემელისათვის. ამ უკანასკნელ მის პოემაში ილიამ თავისი თავი კაცობრიობის მოციქულთა კვარცხლბეკზე დასვა და იქიდან წინასწარმეტყველურის მჭერმეტყველებით გვამცნო დიადი საგანი, რომელიც ეხლანდელ ევროპიულ ლიტერატურის მთავარ თემას შეადგენს. ტყვილა ვისიმე ხათრითა და პატივისცემით, ან და სხვა და სხვა ლიტერატურის გარეშე მოსაზრებით კი არ უხელმძღვანელებია სამაგალითო ჩვენთვის საუკუნოდ დაუვიწყარ ინგლისელ ქალს მარჯორი უორდროპს, როცა პირველად ეს პოემა გადათარგმნა და მერმე „ვეფხვის ტყაოსანი“. „განდეგილს“ დღეინდელ ქართულ ლიტერატურაში ევროპიულ ლიტერატურის თვალსაზრისით შესაჩნევი მიმზიდველი ღირსებები აქვს, ისე როგორც „ვეფხვის ტყაოსანსა“ აქვს სამარადისო, მსოფლიო, ფასდაუდებელი მნიშვნელობა იმავე მხრით. ყოველნაირი ღირსება ილიასი, როგორც მწერლისა, აქ, ამ პოემაში სჩანს: მისი ძლიერი ნიჭი, რომელსაც შეუძლია გარემოება გადალახოს და შეჰქმნას ნაწარმოები არა პირობათა ზეგავლენის ქვეშე, არამედ მიუხედავად ამ გავლენისა. მისი გამჭრიახე, შორს მხედველი გონება, რომელიც საზოგადოებრივ ჯანყსა და ბურუსში არჩევს ნათელს ცასა და მოკაშკაშე ვარსკვლავს. ოთხმოციან წლებში, როცა ჩვენ ცხოვრებაში, რომელიც ასი წელია რუსეთის ცხოვრებითა სცხოვრობს, იგივე გულის მომშხამველი რეაქციის ატმოსფერა იყო, რაც რუსეთში, იგი რეაქცია ტბორის ჭენჭყოს, სიდამპლის მომასწავებელი იყო, მას შმორის სუნი უდიოდა. თითქო რომელიღაც ბაყბაყ-მდევს ლასტი მოექნიოს, ას მილიონ მცხოვრებიან სახელმწიფოსათვის თავში დაეკრას და მისი მაჯის ცემა შეეჩერებინოს, ეს არ იყო მომქმედი ან მებრძოლი რეაქცია, რომელიც თავის და უნებურად მეორე მხარესაც ამოძრავებს, მეორე მხარესაც რაზმავს, რომლის მსგავსი დღეს ჩვენ თვალწინაა. ეს იყო რეაქცია ცალმხრივი. ერთი მხარე სდუმდა, თავი მიწაში ჩაყოფილი ჰქონდა, კუპრის წინაშე განართხული იყო და მეორეს

მხრით კი კიდევ თავში ურისა სცემდნენ, რათა სულ ჩაეძ-ვრინათ მიწაში. არავინ არავის არ ებრძოლებოდა, ყველა ჩა-ჩუმებული იყო და ერთი ვიღაც კი გალომებული საომარ იარაღში ჩამსხდარი ხმალს ატრიალებდა ვიდრე ნაცარ-ტუტი ქვეყნად არ დააყენა და სულის თქმა არ შესწყვიტა. ამ გან-საცდელში იყო ქვეყანა და ჩვენი სამშობლო კიდევ უარესში. დონდუკოვ-კორსაკოვის რეჟიმი უკანასკნელი ეპილოგი იყო ქართველის ერის ასის წლის ტრაგედიისა. სწორედ ამ უცნაურ ხანაში დაიბადა ეს საოცარი ნაწარმოები რომელმაც ცხად-ჰყო, რომ ავტორს სავსებით, მთელის თავისის დიადის ნიჭით წარმოდგენილი ჰქონდა ცხოვრების უკუღმა ტრიალი, რომ-ლის თავზარ-დამცემი სურათი თვალწინ დაგვიყენა. ეს ის ცხოვრებაა, რომელსაც განდეგილი

„განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სადაც ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმიდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთი-სოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა!“

ეს ყოველივე კარგად შეუგნია მგოსანს, ხოლო წყევა-კრულვის მაგიერ იგი გვიწვევს ჩვენ ამ ცხოვრების საკურ-თხევლად, მის საღაღადებლად, ვინაიდან იგი ამავე ცხოვრე-ბის სიხარულს გვიხატავს და სიცოცხლის ძლევამოსილ, მიმ-ზიდველ, მომჯადოებელ სიმბოლიურ ხატებას გვაჩვენებს.

„გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალ-წინ წარმოედგინა.
ყმაწვილი ქალი სავსე სიცოცხლით,

საკვე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლა პირს იჯდა,
ვით მინდვრის მშველი ყელ-მოღერებით;
ეშხით მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი
ვითა ძლეული, უკუ ჰკრთებოდა.
თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორც-სხმულად ელენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოველის გამომსახველად."

„თვით შურს, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერ ნაკლსა;
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით,
გულ-მკერდის რხევით, ვინ არ ათრთოლდეს!
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გაოფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულ-მშრალი
და უცოდველმა გულის ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვე-ქმნილი თვალი".

ცხოვრების უარყოფა განდეგილის სახით და ცხოვრების უკვდავი ძალა „ყმაწვილი ქალის" სახით ერთმანეთს დაუპირდაპირა, ერთმანეთს შეაბრძოლა და ბრძოლის ველზედ გამარჯვებულად ცხოვრება გამოიყვანა. მან დაჰგმო „განდეგილობა", შეაგინა ასკეტიზმი, ცხოვრების მშვენიერების წყაროს დაგვაწაფა და ცხოვრების ჯადოსნურის იდუმალის ძალით საუკუნოდ მოგვხიბლა.

ასკეტიზმი ოცნებაა უნიადაგო და უნაყოფო, სამარადისოდ მიუღწეველი ისეთის მტკიცე ხასიათის ადამიანისთვისაც კი, როგორც „განდეგილი" იყო. ცხოვრებასთან პირველივე შეტაკების დროს იგი ძლეული რჩება, ფეხ ქვეშ გათელილი. ცხოვრების განდგომა სიკვდილია, მისი მიღება კი სიცოცხლე, ცხოვრების უარყოფა, ასკეტიზმი — ჭირია, ცხოვრების სიყვა-

რული კი ლხინი, როგორც ამბობს მწყემსის უცოდველი ქალი, მგოსნის ცხოვრების ფილოსოფიის გამომხატველი. ილია არა თუ ასეთ „განდეგილს“ მოსპობს, იგი გაანადგურებს თვით ბუდესაც კი ასკეტიზმისა:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების,
აწ, შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარი ჰქრის, დადის და ქშუის,
და გამომფთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ მოხვეწილი ნადირი ღმუის...“

ილიასთვის ცხოვრების განდგომა და უარყოფა, ცხოვრების „არ მიღება“ როგორც ეხლა ამბობენ, სრულიად გაუგებარი რამ არის. ცხოვრება უნდა მიღებულ იქმნეს და აღსარებულ. თვით ცხოვრებაში უნდა გამოიძებნოს სახსარი ხსნისა და ბედნიერებისა. ეს იყო მისი უკანასკნელი ჰიმნი ცხოვრებისა, ცხოვრების, საზოგადოებრივის იდეალების უკანასკნელი ღაღადისი. იგი პოემა ელლინურის სულითაა გაჟღენთილი, არა მარტო იმით, რომ ცხოვრება და მისი ძალები, სიცოცხლის შეხარულებაა შიგ გაღმერთებული, არამედ ელლინურთა სიბრძნით, ელლინურთა ფორმით, ვინაიდან სრული სიმეტრიაა დაცული, სრული შეთანხმებაა ფორმისა და შინაარსისა, განსახულისა და გამოსახულებისა. ცხოვრების უკვდავება სრულ ქმნილია, სადა, მარტივ ფორმაშია იგი ჩამოსხმული, იგი ქანდაკურად გამოკვეთილია, და სრულიად ჩვეულებრივ კილოთი შექმნილია მწყობრი, ხმა-ტკბილი, მელოდიით აღსავსე სიმფონია, რომელშიაც მრისხანება და ძალი შექსოვილია ხინაზესა და სიმშვენიერესთან.

ეს პოემა ახალის ეპოქის დამწყებია არა მარტო ჩვენს ლიტერატურაში. მისი მხნე, გონიერი პესსიმიზმი ესდენ ლამაზადა და მოხდენილად არის ჩაქარგული აქა-იქ იმ სასიხარულო, ცხოვრების სადიდებელ საგალობელში, რომ იგი მარტო აღრმავებს და ალაღებს გრძნობას ჭკუა-დამჯდარის, დინჯის ბედნიერებისას და კმაყოფილებისას, რომელიც გადმოსჩქეფს ამ დიადი ბრძოლის სურათიდან.

და... ხშირად წარმომიდგენია ხოლმე ასეთი სურათი: „განდეგილისა“ და ილიას აჩრდილნი შეყრილან სიკვდილ სიცოცხლის იდუმალობით მოცულ საზღვარზედ. „განდეგილი“ საყვედურის კილოთი ეუბნება მის შემოქმედ მგოსანს: „ახლაც კიდევ, მას შემდეგ, რაც შენ გამოგიცდია, რაც შენ დაგატყდა თავზედ, ახლაც იტყვი, რომ მაინც ცხოვრება ტკბილია, ცხოვრებაშია მარტო სიხარულის წყარო და ბედნიერების ნიადაგი, რომ მარტო ცხოვრებაა სანატრელი?“ ამის საპასუხოდ აღიმართება სიმშვიდით აღბეჭდილი ლანდი დიადის მოძღვრისა და იტყვის: „დიაღ, დღესაც და მარადის ჟამს მე ცხოვრების თაყვანისმცემელი ვარ. იშრომეთ, იტანჯეთ, იბრძოლეთ ცხოვრებისათვის, თუ იქ არის დამარხული სამსალა, შარბათიც მარტო იქ მოიპოვება, თუ იქ არის დამალული ჭირი და ვიში, იქვე და მარტო იქ მოიძებნება სიხარული და სიცილ-კისკისი. ვაშა ცხოვრებას! გაუმარჯოს მის დიდებულებასა!

„აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია, და იქ კი — ლხინია!“

თუ ჩვენის მგოსნის სიცოცხლე დაუშრეტელი ნაკადულია, ქართველ ერის კეთილის მყოფელი ხელ-უხლებელი განძია, რომელიც საუკუნეთა მიმდინარეობაში იქნება ჩვენის ერის გზის მაჩვენებელ მნათობად, მისი სიკვდილი სავსე ტრაგიზმით დიადი მოვლენაა. მისი წმიდა სისხლის ღვარი უნდა შეიქმნეს ქართველ ერის ემბაზად, რომელშიაც გაბანილი და ნათელღებული იგი, სულით ამაღლებული და გონებით გამოფხიზლებული ზე-აღდგება და „დასწვდება იმა აკვანსა“, რომლის შესახებ ფიქრსა და ვარამში, ზრუნვასა და ოცნებაში დალია სული ცით დაგვირგვინებულმა მგოსანმა.

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მისი ნაშრომის მიხედვითაც განეხილა. მე მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგოსნის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქ. ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული. ამიტომაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხად-საყოფელად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამომიყენებია. უამისოდაც ეხლა საკმაო და მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება, რომ ზემოდასახული ამოცანის განხორციელება შევძლოთ. სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილია ჭავჭავაძის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ უკვე მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ.

ილიას არა ერთხელ, მაგ. თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა“, რომელსაც, „აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სასსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ასსოვს“-ო.

1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოსი“-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგოსანი კვლავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა

ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არ ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ“ მაგრამ, ილია ჭავჭავაძის აზრით, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამოურჩება“. ჩვენი მგოსნის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ესლანდელს დროში“-ო. „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; აღარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ“-ო.

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცვა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო.

ამგვარად ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

მაგრამ ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმომწონეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა. ილია ჭავჭავაძე მაგ. 1888 წ. წერდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალ-წინა გვაქვს: რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა

ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა, რალაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?"-ო.

რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც, ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას აბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვ-

რების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა, ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის ბიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა"-ო.

სწორედ ასეთი უსისტემო და უმეთოდო ისტორიის საწინააღმდეგოდ 1889 წ. „Северный Вестник" („ჩრდილოეთის მოამბე")-ში ნ. დ.-ს ფსევდონიმით ივ. ჯაბადარის წერილები გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ („Письма о Грузии"). ავტორი იქ, მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დინჯი კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუმზადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმაღლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბრძნს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მიუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართ. სა-

ზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელთაც სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. ფრიად საგულისხმოა, თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა.

ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგიერ საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი. სწორედ ეს მიზანი გვაქვს ჩვენ ამ ჩვენს მოხსენებაში დასახული.

ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამამყლავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გავრცელებულს აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადარს ეროს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართალია, თუ არა, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავის ძალღონე მერმისისათვის შეუნახავსო? და თითონვე პასუხს აძლევდა მკითხველს: არა, ჯერ ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო. ილ. ჭავჭავაძე ამ მცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეებრძოლა. იგი ირონიულად ამბობდა: „ავტორი (ე. ი. ჯაბადარი) მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვისაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის“-ო. ასეთი რამის

თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ „სრული ინ-ტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ე. ი. ასუსტებს, აუძლურებს, ხოლო „არა-ინტენსიური ცხოვრება კი ანახვი-ნებს ღონეს მერმისისათვის“-ო. ამაზე ილ. ჭავჭავაძე სა-მართლიანად წერდა: „დღეს აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ ირტყვით, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვ-რება ყოფილა“-ო. აქეთგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინ-ტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის“-ო.

ილია ჭავჭავაძეს ეს მოძღვრება სლავიანოფილების მსოფლ-მხედველობის ანარეკლად მიაჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავია-ნოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღ-ვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგ-დებულია“-ო.

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემ-დეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა: ინტენსიური ცხოვრება ერთსადაიმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღო-ნისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონი-ერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებო-ბისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყო-ფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმ-კვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია“-ო. „ღონე შეინახება მერ-მისისაოვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პუ-რი აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისი-სათვის შეინახოს. რა ოხრობისთვის-ღაა საჭირო, რიღას მაქ-ნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრე-ბისთვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლუ-რებს“-ო.

ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილ. ჭავჭავა-ძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილია ჭავჭავაძე ასეთ აკვიატებულ აზრს რომ წინააღუდგა, ეს იმას

არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატრებოდა. მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც, ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე. ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურულ პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა.

ილ. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრიობის პროგრესის სათავე შემოქმედების წყურვილი და ნიჭია, რომელიც წინათ ზოგჯერ ისეთს დარგში და იმ სახითაც იჩენდა ხოლმე თავს, რომელიც თანამედროვე შეხედულებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ, ისტორიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მაშინ „დრო იყო ამისთანა". აი თუნდაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტაძრებისა და მონასტრების ნაგებობანი რომ ავიღოთო, რომელსაც ყურადღების ღირსად არ სთვლიდა და საძრახისადაც კი მიაჩნდა მათ ამგებელთათვის ივ. ჯაბადარს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეკლესიები და ტაძრებია. ილია ასეთ მსჯელობის საწინააღმდეგოდ ამბობდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ"-ო, „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით, — წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა რა"-ო.

ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა", ამიტომაც „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა"-ო. აქვე ჩვენი ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა"-ო.

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და, მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება.

თუ რა გარემოებას აქცევდა ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის გამორკვევა მიაჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგებინებს.

1880 წელს დაბეჭდილს წერილში ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია". ყველამ იცის, „რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად". თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარაღით ხელში იდგა", რადგან „მტერი თითქმის ყოველ-მხრიდან მოწოლილი იყო". ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ .ჭავჭავაძე-კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა"-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს, უმთავრესად „საკვირველი ეს არის, — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?-ო, კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი და პირველი ქართველი პუბლიცისტი.

როგორც ხედავთ, საქართველოს ისტორიის ასეთს გაშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური

საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა. საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამცთუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო. ილ. ჭავჭავაძემ ეს გარემოება, ეს უმწეობა თითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეეგვიწყოს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვისმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“-ო.

ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: „აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“-ო.

მაგრამ ილ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი რომ მაშინ საქართველოში არვინ იყო, ეს მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმოსა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა. თუმცა „ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით, ამისთვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო“-ო, ამბობდა იგი, და მხოლოდ „ფიქრად მოგვდის ორიოდე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ვგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდე აზრი მკითხველსაც გაუზიაროთ“-ო.

იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარ-

მოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს" წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო, თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა. აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს"-ო, ამბობს ილია, „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად"-აო. თანაც „ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო"-ო.

შემდეგ საუკუნეებში, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც"-ო და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

რაკი ეხლა უკვე ვიცით ილ. ჭავჭავაძის ზოგადი შეხედულება ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველეს მოვალეობაზე,

საინტერესოა გაგვეგო, თუ კერძოდ კიდევ საქართველოს ის-ტორიის რომელი საკითხები იპყრობდა მის ყურადღებას.

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა და შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს"-აო.

ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დავიწყება საქართველოს არ შეეშვენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელიც მიაჩნდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსაზრებით. მისი სიტყვით, „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა", საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა", იმავე დროს „დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა". ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა", როდესაც ის უკვე „სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას"-აო. ამასთანავე განმაცვიფრებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ დავით აღმაშენებელი „სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იყო იმ დროში". დავით აღმაშენებლის ამ თვისებას ხომ მარტო ჩვენი ქართველი მატიანეები არ მოგვითხრობენ, სომეხთა ავტორებიც ამასვე ადასტურებენ. ხოლო, თუ სომეხთადმი დავით აღმაშენებლის ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სომხები ქრისტიანები იყვნენ, „დიდბუნებოვანი კაცთმოყვარეობა დავით მეფისა" ხომ „მაჰმადიანებსაც მიეფინათ". ჩვენთვის ეს გარემოება და თვისება მით უფრო საგულისხმოა, „მით უფრო ბრწყინვალეა ეს ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მის ერის სარწმუნოებას ერჩოდნენ აღმოსაფხვრელად" და, მაშასადამე, მოსალოდნელ გულისწყრომასაც იგი არ წაუტყუებიაო. აქვე თავის დებულების დასამტკიცებლად ილ. ჭავჭავაძეს ალ-აინის ცნობა აქვს

დამოწმებული, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა“-ო, და საერთოდაც „დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთ, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“-ო.

როგორც ზემომოყვანილითგან დარწმუნდებოდით, ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე-კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა.

საუცხოვოდ აქვს მას მათი პოლიტიკის მთავარი ამოცანა XII ს. განმარტებული. როდესაც ივ. ჯაბადარმა თამარის საქართველოს წინაშე ღვაწლის დამცირება სცადა და საბუთად ის მოსაზრება მოიყვანა, ვითომც თამარს ყარსზე გაელაშქრებინოს „მარტო იმისთვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილუბრალოდაო“, ილ. ჭავჭავაძე ამ საკითხის განხილვასაც ზოგადი თვალსაზრისით შეუდგა. ჯერ იმ წყაროს შეეხო, რომლითგანაც ეს ცნობა მომდინარეობდა, მერმე-კი ბეცი ადამიანისაგან თვით ამ ამბის ნამდვილ მიზეზად მიჩნევაზე დაიწყო მსჯელობა. ილია ამბობდა: „იქნება გვითხრან — „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერია,“ როგორც ჯაბადარს აქვს ნათქვამიო. „თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერია?!-ო .სწორედ უცნაურია, „ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა ამ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომდა უკრიტიკოდ!-ო. „ქართლის ცხოვრებაში“ რაც სწერია, განა ყველაფრის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? „ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს“-ო, ამბობდა ილია, „რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთით ჩვენი კარი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზე შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა

შემოებედნა-რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება"-ო.

დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მიზნების შესახებ, როგორც ცნობილია, იოს. გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წ. საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არსებითად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილ. ჭავჭავაძეს ჰკუთვნებია.

საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებული"-ს დედააზრი და სულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უდანაშაულო ხალხის მონღოლთა ყაენისაგან განადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილ. ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის მშვენებად მას ქვეყნისათვის იგივე თავგანწირულება მიაჩნდა: უნდა გავიხსენოთ საქართველოს ის გმირი, რომელმაც „სთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, — წავიდა" და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო.

მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყეზე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიითგან გიორგი სააკაძის პიროვნებაც. ის ჩივის, რომ მისი „მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან" და იმისდა მიუხედავად, რომ ის იყო „უხვად შემკული ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებითა", მაინც „დღესა აქამომდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგადა. მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი

დიდნი საქმენი, ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა“-ო.

გ. საკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესვე ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ ადამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაეწყვიტათ მხოლოდ ქართ. ისტორიკოსებს. ილიას-კი მაინც თავისი მოსაზრება გაკვრით გამოთქმული აქვს. ლუარსაბ მეფის „აზნაურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად აზნაურიშვილის ქალის გადედოფლებამ გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს აზნაურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. „დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნიანობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა“-ო.

ეხლა რომ ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შევუდგეთ, რომელიც მას ამ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის, ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბადარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დანიშნულება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია. რაკი ილ. ჭავჭავაძემ თითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულის შემსაწვლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი მართლაც არავინ ჩანდა, ივ. ჯაბადართან კამათის დროსაც ილ. ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე. ი. ივ. ჯაბადარი) ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“, მაგრამ ილია ამაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით

ყიჟინის დამცემიც სრულებით უვიცი გამოდგა. რაკი ამნაირად თვით ჯაბადარსაც არც ამისი ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა.

უპირველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების" ყოველივე ცნობა სჯეროდათ და აქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას" კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა არამედ არა ერთწელ მას იქ ჩართული ზოგი ცნობების მცდარობა აღუნიშნავს. მაგ. ის მბობდა: „ქართლის ცხოვრების" ცნობა დარუბანდის ფრიდონისაგან აგების შესახებ ზღაპარია, რათგან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებაო. უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას" „აურევია სახელები"-ო.

ივ. ჯაბადარს ფარნავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების" თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი. ილია კი ამბობდა, „არა გვგონია „ქართლის ცხოვრების" გარეთ, ჩვენმა ავტორმა გვიპოვნოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში"-ო. ხოლო შემდეგ უკვე პირდაპირ ნათქვამიცა აქვს, „ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე" ის, რაც „ქართლის ცხოვრებას" ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, „ტყუილიც იყოს"-ო.

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ" შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს გვარი კვლევა შედარება კი არ არის"-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე

შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენია“-ო.

მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შრადერის ნაშრომზე დაყრდნობით პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა. მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით... მერმე ილ. ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: „განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე „განა არ გვეუბნება, რომ კირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია“. შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ „მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“-ო, კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მინიჭებოდა „წყალობა“-ს ასეთი მნიშვნელობაო. საუცხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!

ან ავიღოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე, „სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარავებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა. რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან? ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხო-

ვებას“ რაღაც ადგილი ჰქონია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლ-ქმრობის შესახებ“-აო, კითხულობდა ილია...

თავისი ზემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: „ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენის ავტორსავით ყოვლად უვიცი არ შესვდა“-ო. ლუბბოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენაც-კი შესძლოო და განა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყოო, ფიქრობდა ილ. ჭავჭავაძე.

ივ. ჯაბადარის მცდარ დებულებათა კვალდაკვალ განხილვისას ილ. ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ზნეჩვეულებებსა, კაციმჭამლობასა, წარმართული რწმენის წინაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავების წესების შესახებაც. მანვე სცადა გაეაზრებინა მემატიანის ზოგიერთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მიზეზიც განმარტა.

ყველა ზემომოყვანილი, იმედია დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითი და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდე-

ბის გამოყენება შესძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედურად, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადობერივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა. საბედნიეროდ, იმ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და... ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და ადწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს.

მოგონებები

კოსტა აბხაზი

ილია და მე ერთად შევიზარდენით. რაც ჩემი თავი მახსოვს, იმ დღიდან მახსოვს ილიაც. ილია ერთის წლით (ცოტა ნაკლებით) ჩემზედ უფროსი იყო. ის დაიბადა 1837 წ. მე კი 1838 წ. გემნაზიაშიც ერთად ვიყავით და სტუდენტობის დროს ერთს ოთახში ვცხოვრობდით.

როგორც მახსოვს, ილია პატარაობიდანვე ლექსებსა სწერდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა. ილია იქნებოდა ესე 11 წლისა. ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით (ორივენი გემნაზიელები). კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რომ ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდს კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილები" (47—48 წ.). საუბედუროთ ეს ლექსი არ შენახულა, და არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს მარტო, რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა, და ლექსი ბევრი გვაცინა. უნდა მოგახსენოთ, რომ ილია პატარაობიდანვე მართალია როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო, მაგრამ ამასთანავე მაშინადვე ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა. მეტის მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა.

ვემნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდად ითვლებოდა, მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით. მოძრაობა ისე რიგათ არ უყვარდა ილიას და. პატარაობიდანვე დაბალი ტანისა და ჩასხმული აგებულობისა იყო. ამხანაგებს აგრერიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი კი ყოველთვის იყო.

უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა. აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა, მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18—20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია. მართალია ილია არ გარეულა და მონაწილეობა არ მიუღია იმდროინდელ სტუდენტების არეულობაში, მაგრამ მეც და ილიაც იძულებულნი ვიყავით უნივერსიტეტიდან მეოთხე კურსიდან გამოვსულიყავით და სამშობლოში დავბრუნებულიყავით. ეს მოხდა აგრეთწოდებულ „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოღებულ იქნა პეტერბურღის გენ.-ღუბერნ. იგნატიევის წყალობით და მეცადინეობით. ჩვენ თითქმის ყველა სტუდენტებმა ამის შესახებ პროტესტი გამოვაცხადეთ, და მართალია არც მე, არც ილია სტუდენტების კრებას არ დავსწრებივართ (მე ვერ მიუსწარი კრებას, როდესაც მივედით, კრებისთვის უკვე პოლიციას და ჯარს ალყა შემოერტყა), მაგრამ მაინც გამოგვიცხადეს, რომ ვინც მატრიკულებს არ დაემორჩილება, პეტერბურღიდან ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა წავიდეს თავის სამშობლოშიო. ჩვენც წამოვედით. პეტერბურღში ვცხოვრობდით მომეტებულ ნაწილად ვასილევის კუნძულზედ (Средний проспект, дом Калгина). ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუ-

დენტობა პ ა ვ ლ ო ვ ს კ შ ი ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დ ა დ ი ა ნ ი ს ა მ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქ ა რ თ ლ ი ს ბ ე დ ი“ და „მ ე რ ა ნ ი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით.

ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულს წიგნებს. ყველა ჩვენზედ დიდი გავლენა ჰქონდა ბ ე ს ა რ ი ო ნ ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ს, რომელსაც „პატრიარქს“ ვეძახდით.

მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეპყვა ილიას, მეტის ძეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს. საზოგადოთ კი მუსიკას არა სწყალობდა, და არც ესმოდა. მე იმისი მარტოდ მარტო ერთი სიმღერა მახსოვს. ხშირად ოთახში ბოლთასა სცემდა და უცნაურის კილოთი ღუღუნებდა:

Английский лорд,
Свободен и горд...

დიდი თაყვანისმცემელი იყო ილია ინგლისის სახელმწიფო წესწყობილებისა, აღმერთებდა გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს და პატივსა სცემდა გ ლ ა დ ს ტ ო ნ ს. ქართველების შესახებ ილია ხშირად ამბობდა: „ჩვენ ჯერ ჭოჭინა გვჭირიაო“.

არ ვიცი, იყო ვინმე ისეთი პირი, რომელსაც გავლენა ჰქონდა პატარა ილიაზედ, რომელმაც შთაჰბერა მას გულში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ხალხური ხელოვნებისადმი სიყვარული. მე მგონია, რომ ეს შემდეგში შეიგნო ილიამ, მეტადრე როდესაც მომრიგებელ შუამავლად და მო-

სამართლედ იყო, სადაც ხშირად ხედებოდა და ახლოს ეცნობოდა ჩვენს ხალხს.

რაც შეეხება მის შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლამთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი.

ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მიდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხამ ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამ: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო.

ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს, ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით ნომრებზე. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასთვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ან ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასაკენ, დაუწყე ჯავრობა: „კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?“— „უხ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდიო!!!“

ილიას პირველი სატრფო გახლდათ ვინმე ტერ-ასატუროვისა. ილია იქნებოდა ესე 13—14 წლისა. მისი სატრფოს მშობლები სცხოვრობდნენ თამამშვილის ქარვასლის მეორე სართულში. ხშირად მიუახლოვდებოდით ხოლმე მე და ილია მის ღვთაების სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედამდა ხოლმე პატარა ქალი.

ეს სიყვარული, თუ კი სიყვარულად ჩაითვლება, იყო ნამდვილად პლატონიური. საზოგადოდ ილია მეტად ადვილად „აინთებოდა" ხოლმე, მაგრამ გულის ცეცხლი არც ისე ხანგრძლივი იყო ხოლმე. ტერ-ასატუროვისას მოჰყვა ჩვენი გემნაზიის დირექტორის დემენტიევის ქალიშვილი.

პეტერბურღში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის (ცნობილი რუს კომპოზიტორის და) ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ. მახსოვს, როდესაც პირველად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა, და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა, არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა, ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შევიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოუცადოს. როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადასცემს მუნდირს ამხანაგს. ასლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას.

ბევრსა ჰგონია, რომ ილიას უყვარდა ქ. მარჯანოვისა—სოლომონ ჭავჭავაძის ასული, მაგრამ საქმე ნამდვილად ასე გახლდათ. ილიამ გემნაზია რომ გაათავა, დააპირა რუსეთში, უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ შეძლება არა ჰქონდა, მის მამას გრიგოლსაც ძლიერ ჰსურდა, რომ შვილი უნივერსიტეტში წასულიყო. და აი სწორედ ამ გაჭირვებით ისარგებლა შედარებით შეძლებულმა სოლომონ ჭავჭავაძემ და გრიგოლთან პირობა შეჰკრა, რომ ის გაუგზავნის ილიას თვეში ოთხს თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, მხოლოდ სამაგიეროდ, ილია რომ დაბრუნდება, უნდა შეირთოს მისი შვილი. ეს უილიოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილა. ჯერ სტუდენტობის დროს მეტად ემძიმებოდა ილიას ეს დამოკიდებულება და მეტადრე

დადებული პირობა. უნივერსიტეტიდამ რომ დავბრუნდით (1859 წ. 27 ენკ.) ერთ დღეს ალავერდში მივდიოდით სატობაში და აი, აქ გზაში ილიამ სიხარულით მითხრა: „კოსტა, მომილოცე, გავათავეო, სოლომონმა აი ამტენი ფული გამომიგზავნა პეტერბურღში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე, სულ მთლად დაუბრუნე მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ“. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა.

ოლღა აგლაძე

ვმსახურობდი ქ. თბილისის სადგურში ტელეგრაფისტის თანამდებობაზე. უჩემოდ არც ერთი დეპეშა არ გაიგზავნებოდა და არც მიიღებოდა. საყურადღებო ამბებს, რის გამხელაც შეიძლებოდა, ჩემს მეგობრებს ვუზიარებდი. ხანდახან გროვდებოდა ისეთი საინტერესო მასალები, რომელთა გამოქვეყნება სასარგებლოდ მიმაჩნდა, მაგრამ არ ვიცოდი ვისთვის მიმემართნა. ბოლოს, დიდი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე ის მასალები მიმეტანა „ივერიის" რედაქციაში...

ერთ დღეს ჩემი გადაწყვეტილება შევასრულე და მორიდებით შევაღე რედაქციის კარები. იქ იყვნენ: გიგო ყიფშიძე, საშა ნიკიტინი და გრძელიშვილი. გ. ყიფშიძე გამომელაპარაკა:

— რა გნებავთ ახალგაზრდავ?

მე მივაწოდე ჩემი ახალი ამბები, სხვადასხვა ცნობები და ვთხოვე: თუ შეიძლება ესენი დაბეჭდეთ და, როცა კიდევ მოვაგროვებ ასეთ ცნობებს და ამბებს, მოვიტან-მეთქი. მან გადაათვალიერა ჩემი მასალა, მოიწონა და მითხრა:

— ძალიან კარგი, დაგიბეჭდავთ, ყოველთვის მოიტანეთო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ჩემი მასალაც დაიბეჭდებოდა გაზეთში.

გავიდა დრო. ახალი ამბები და სხვადასხვა ცნობები კვლავ დაგროვდა. წავიღე რედაქციაში.

მაგრამ ეხლა სულ სხვა სანახაობა დამიხვდა. გარდა იმ თანამშრომლებისა, რომლებიც პირველად ვნახე და გავიცანი, იქა ბრძანდებოდა თვით ილია ჭავჭავაძე. მე გაოცებით შევხედე მის განიერ თვალებსა და შუბლს. ჩემი საქმე სულ დამავიწყდა, მაგრამ გ. ყიფშიძემ მიმიყვანა ილიასთან და უთხრა:

— აი, ამ ახალგაზრდა ქალს ჩვენთან თანამშრომლობა უნდა, მასალებიც მოაქვს და საზოგადოდ სურვილი აქვს გაეცნოს რედაქციის მუშაობასო.

მე ილიას წინ ვიდექი. ილიამ ხელი გამომიწოდა და წარმოთქვა:

— კეთილი, კეთილი!

გრიგოლ ყიფშიძე მეტად კეთილი, სათნო და ლმობიერი ადამიანი იყო, მეტადრე ახალგაზრდობას უწყობდა ხელს.

ამის შემდეგ ხშირი სტუმარი გავხდი რედაქციისა... ერთხელ როცა ჩვეულებრივად ცნობები მოვიტანე, რედაქციაში ილია და გ. ყიფშიძე იყვნენ. უცბად კარები გაიღო და ნიკო ხიზანიშვილი შემოვიდა. ილიამ შეხედა და შესძახა:

— დიდ გლეხს გაუმარჯოსო! — ნიკომ უპასუხა:

— დიდ თავადს გაუმარჯოსო! — ამას მოჰყვა სიცილი და მხიარული ბაასი. მე გამაკვირვა ნიკო ხიზანიშვილის სითამამემ ილიასთან, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ისინი ერთმანეთთან შესუმრებულნი იყვნენ.

ნ. ხიზანიშვილს (ურბნელს) რედაქციაში დიდი მხიარულება და სიცოცხლე შეჰქონდა.

იმ ხანებში „ივერიაში“ იბეჭდებოდა შიო არაგვისპირელისა და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები. მახსოვს, ილია ჩაფიქრებით კითხულობდა. ამ დროს ნ. ხიზანიშვილი ქაქანით შემოვიდა და, ილიამ არ დამასწროსო, კარებიდანვე დაუძახა:

— დიდ ბატონს გაუმარჯოსო! — ილიამ წყნარად გაუღიმა — უპასუხა:

— ამას თავი დავანებოთ... ნიკო, როგორ მოგწონს ამ ახალგაზრდა მწერლების ნაწერები? როგორც გინდა გასინჯე, ნიჭი ეტყობათ, ნიჭი — დაიწყეს ამაზე სჯა-ბაასი. ბოლოს გ. ყიფშიძემ, ახალგაზრდობის მუდამ მოსარჩლემ თქვა:

— ნიჭი კი აქვთ, მაგრამ ორივენი ძალიან გაჭირვებულნი არიან, შველაა საჭირო.

ამ დროს ილიასთან მისი მეუღლე ოლღა შემოვიდა. გ. ყიფშიძემ ოლღასთანაც წარმადგინა:

— აი, ახალგაზრდა ქალიშვილი, კარგი მომუშავე და მოსაქმეაო. ოლღამ დამიმეგობრა. ხშირად მიბარებდა თავისთან. მეც, რაკი თავისუფალი დრო მქონდა, მუდამ ვსარგებლობდი მათი კეთილ-მასპინძლობით. იქვე გავიცანი ალ. ყიფშიძის ცოლი და ნადია ჭყონია („მოამბის“ რედაქტორის ცოლი). ჩვენ სამნი ოლღას ხშირი სტუმრები ვიყავით ხან საუზმეზე, ხან ვახშამზე, ხან ისე სასაუბროდ ვიკრიბებოდით. თვითონ

ოლღა საქველმოქმედო, საზოგადო საქმეებში იყო ჩაბმული და ჩვენც ვავამუშავებდა, რამაც უფრო მეტად დამაახლოვა მასთან. ოლღა ჩვენს ოჯახშიც დადიოდა. დედაჩემს გაცნობისთანავე დაუახლოვდა და შეიყვარა.

დედაჩემი ბევრის მნახველი და გამგონი იყო. კარგი მოსაქმე და ხელოვანი. მშვენიერი ენით საუბრობდა, ოლღას მოსწონდა მისი ნაამბობი. ერთხელ ოლღამ სთხოვა: აბა, მარიამ, შენი პირადი ცხოვრებიდან გაიხსენე რამე, მინდა ილიას გადავცეო. დედაჩემმაც დიდის ხალისით აუსრულა თხოვნა...

რედაქციის თანამშრომლები თითქმის ყველა გავიცანი...

1892 წელს, თუ არ ვცდები, ხოლერობა იყო. ხოლერა რუსეთშიაც მძვინვარებდა. რუსეთის გაზეთებში მთელი სვეტები იბეჭდებოდა: რამდენი გახდა ავად, რამდენი გარდაიცვალა, რამდენი განიკურნა და სხვა...

ამ სამუშაოს სათარგმნელად მე მაძლევდნენ. რედაქციაში მივიდოდი თუ არა, მაგიდაზე რუსული გაზეთები ეწყო მთარგმნელთა გვარების აღნიშვნით.

ჩემს სამუშაოს ვიპოვიდი, რადგანაც ზედ „ოლგა“ ეწერა ხოლმე, ძალიან მიხაროდა, რომ ეს შეუწყვეტელი სამუშაო მქონდა.

ერთხელ დილით ადრე მივედი რედაქციაში, ილია შემობრძანდა. მე მაშინვე ფეხზე წამოვიჭერი.

— რა ადრე მოსულხარ, ქალო? — შემეკითხა.

ჩემი ადრე მისვლის მიზეზი მოვახსენე:

— წუხელის მორიგე გახლდით ტელეგრაფში, ცოტა ახალი ამბები მოვიტანე, რომ პავლოვმა არ დამასწროს-მეთქი. პავლოვი ძველი გამოცდილი რეპორტიორი იყო, ფრაკსა და ცილინდრში გამოწყობილი დადიოდა ლორდივით. იმას როგორ ვაჯობებდი, მაგრამ ამ ახალი ამბის მიტანა კი მივასწარი.

ილიამ გაიცინა:

— კარგია, რომ ყველაზე ადრე ჩვენ ჩაგვივარდეს ხელში ახალი ამბები. მერე მითხრა:

— განა თქვენ მსახურობთ?

— დიახ, ვმსახურობ, ვუპასუხე...

რედაქციაში უკვე შინაურად მთვლიდნენ და, როცა რამე შეკრება იქნებოდა, არ წვეულება, ან ვახშამი თანამშრომლებთან ერთად, მეც არ მივიწყებდნენ.

მახსოვს, ვახშამი გამართა სოლომონ დოდაშვილმა. მასპინძელი, ვის სახლშიც იმ ღამეს ვახშმად ვიყავით, ცნობილი სოლომონ დოდაშვილის შთამომავალი, დიდი პატივისმცემელი და მოსიყვარულე იყო ილია ჭავჭავაძისა, განსაკუთრებით, და, საერთოდ, მწერლობისა, რადგანაც თვითონაც წერდა. ამასთან მსახურობდა რკინიგზაზე მეექვსე უბნის ლიანდაგის ტექნიკოსად. საუცხოო ვახშამი გააწყო. ესწრებოდნენ: ილია ჭავჭავაძე, გ. ყიფშიძე, ნიკო ხიზანიშვილი, გრძელიშვილი და სხვები. მე გიგო ყიფშიძესა და ვაჟა-ფშაველას შუა ვიჯექი; დიდი ქეიფი და მოლხენა იყო.

იმ ხანად ასეთ ვახშმებს ბევრნი მართავდნენ — ანტონ ფურცელაძე, ს. ჭრელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ხიზანიშვილი და სხვანი. მხიარულებასა და სმასთან ერთად ყველგაწ საინტერესო ბაასი იმართებოდა.

მეტად საყურადღებო იყო ნ. ხიზანიშვილთან მოწყობილი საღამო. ხიზანიშვილს ცოლად ჰყავდა ჩვენი სასიქადულო მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ნიკო და ლიზა მეტად მხიარული მასპინძლები იყვნენ. მათ ენამახვილობას, ქილიკსა და ხუმრობას საზღვარი არ ჰქონდა. მათ ხუმრობაზე ილია თავისებურად დინჯად იცინოდა. მორიგ სადღეგრძელოებში ილია ჭავჭავაძემ შესვა ლიზას სადღეგრძელო და სხვათა შორის უთხრა:

— გისურვებ ნიჭის გაშლას და გაფურჩქვნასო — ილიამ იცოდა, რომ ლიზა მეტად ხელოვნურად და მოხერხებულად უკრავდა გარმონზე, თანაც მღეროდა, და გადასცა საკრავი შემდეგი მიმართვით:

— აბა, შენ იცი, როგორ ჩაჭიკჭიკებო — ელისაბედმა გარმონი გამოართვა, ჯერ ქება-დიდება შეასხა ილიას თავისი მახვილი ენით, რაც ყველას ესიამოვნა, მერე მიუჯდა აკვანს, ატირებულ ბავშვს ძუძუ ჩაუდო პირში. თან აწოვებდა, თანაც სხვადასხვა ჰანგს უკრავდა და ზედ საამურად დამღეროდა. სიმღერა დამთავრდა. ამას „ვაშა“ და ლიზას სადღეგრძელოს გამეორება მოჰყვა.

ილიასაც ჩვეულებად ჰქონდა გამასპინძლებოდა თავისი რედაქციის თანამშრომლებს შაბათობით.

შაბათი დღე იყო. მე იმ დღეს თავისუფალი ვიყავი, ჩვე-

ულებრივად ახალი ამბები მივიტანე. გიგოს ჩავაბარე. გიგომ გადმომცა:

— ოლღა გიბარებს, ნახე, რაღაც საქმე აქვსო.

ის იყო რედაქციიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ ილია შემობრძანდა. მაშინვე სალამი მივეცი. იქვე იყო ნიკო ხიზანიშვილი. ილია ყველას მიესალმა, მერე ნიკოს მიმართა:

— ხომ იცი, ნიკო, დღეს შაბათია, რედაქციის თანამშრომლები ვახშმად ჩემთან მოვლენ. ის მეკატლეტეც წამოიყვანე. — წაიხუმრა ილიამ. ნიკოს გაეცინა:

— შენისთანა მეკატლეტე ვიღაა? ჯერზე 10—12 კატლეტი არა გყოფნის — ატყდა სიცილი.

მე ოლღასთან შევედი. მივესალმე. დედაზე შემეკითხა, როგორ არის, მინდა მისი ნახვაო. იქნება კიდევ რამე ძველი მიამბოსო. მე ძალიან მესიამოვნა და მოვახსენე:

— ბატონი ბრძანდებით, როცა გნებავთ, მოვიყვანმეთქი.

გავიდა დრო და მსახურმა ვახშმისთვის მიგვიწვია. სასადილო ოთახში რომ შევედით, იქ დაგვხვდა რედაქციის მთელი შემადგენლობა. მაგიდას მივუსხედით. მშვენიერი, უხვი ვახშამი იცოდა ილიამ. გარდა კარგი გამასპინძლებისა, იმართებოდა მეტად სასიამოვნო სჯა-ბაასი, სიმღერა და მხიარულება, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, მოსწრებული სიტყვები, ენამახვილობა.

ერთ დილას ოლღამ შემომითვალა: შენ და დედა მეწვიეთ საუზმეზეო. ჩვენც წავედით. საუზმის დროს ილია მიუბრუნდა დედას: ქალბატონო მარიამ, იქნებ რამ გახსოვთ კიდევ ძველი ამბებიდანო. დედამ უამბო თბილისის დიდი „ბუნტისა“ და პატარა „ბუნტის“ შესახებ. ამ „ბუნტის“ მიზეზი იყო ბაჟის გადასახადის გადიდება თბილისელ მოქალაქეებზე, ილიამ დიდი გულისყურით მოისმინა.

„ივერიის“ რედაქციის შემადგენლობა იცვლება. მიდის გ. ყიფშიძე. მის მაგივრად დავით მიქელაძე მუშაობს. რედაქტორად, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძე რჩება. გაზეთს მატერიალურად ცოტა უჭირს.

1893 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში დიდი არე-

ულობა მოხდა. ამ არეულობას ვითომ ეკონომიური, მაგრამ უფრო პოლიტიკური სარჩული ედო.

სემინარიელები, ვინც-კი არეულობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, ყველანი დაითხოვეს. მთავარი ის იყო, რომ დათხოვნილების უმრავლესობას ე. წ. „მგლის ბილეთი" მისცეს, მათ არც სამსახური შეეძლოთ და არც სწავლის გაგრძელების უფლება ჰქონდათ. მათ რიცხვს ეკუთვნოდნენ ივანე ახალშენიშვილი, ილია აგლაძე, კობა ცინცაძე. რაკი მათ სხვაგან სამსახური არ შეეძლოთ, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყეს მუშაობა. ახალშენიშვილი და აგლაძე რედაქციაში მოეწყვნენ, ცინცაძე კი გარედან თანამშრომლობდა...

საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ილიასთან მრავალი მახლობელი და ნაცნობი მოდიოდა სანახავად და მის შთაბეჭდილებათა გასაგებად. ერთხელ ილიასთან იყვნენ მისი ძალიან მახლობელნი. ილიამ მათ უთხრა:

— კარგად იცით, თვრამეტი წელიწადია ეკლესიაში არ შევსულვარ, მაგრამ როცა საზღვარგარეთიდან წამოვედი და ჩემს სამშობლოს მოვუახლოვდი, კავკასიონის მთები რომ დავინახე, ცრემლები მომერია, უნებურად მუხლი მოვიყარე და სასოებით ჯირჯვარი გადავისახე!... აი, ასეთი ძლიერი ყოფილა სამშობლოს სიყვარულიო.

ილია ძალიან მოყვარული იყო მყუდრო ოჯახური ცხოვრებისა და თავისი საცხოვრებელი ბინის კულტურულად მოწყობას დიდ ყურადღებას აქცევდა. როდესაც ანდრეევის ქუჩაზე (20 №-ში) სახლი იყიდა, გულმოდგინედ შეუდგა მის გარეგან და შინაგან მოწყობასა და მორთულობას. ოთხი წყვილი ძველებური სკამ-სავარძლები გააახლებინა და გააკეთებინა სქელი სხვადასხვა ფერი ატლასით: მოყვითალო, ყავისფერი, ბორდოსფერი და მუქი ყვითელი. დიდ მისაღებ ოთახში ოთხივე კუთხე დაკავებული იყო ამ რბილი მორთულობით, შუაზე იდგა მრგვალი მაგიდა (ლომბერი მაგიდა). მაგიდაზე ელაგა აუარებელი სურათები და გამადიდებელი „პონორამა".

მაგიდის გარშემო შემოწყობილი იყო ჩალის სკამები.

კედლებზე ეკიდა დიდი სურათები, ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებში: ერთ-ერთ მათგანზე გამოხატული იყო გაჭენებული მერანი, რომელზედაც დაკრული იყო მშვენიერი შეხედულების ჭაბუკი, მეორეზე — რაღაც ნადირი და სხვა („მაზეპა").

ამ დიდი სურათების გარდა კედლები სავსე იყო წვრილ-წვრილი სურათებით. მე მახსოვს, ილიამ ამ სურათებისათვის დაუკვეთა ასზე მეტი ოქროსფერი ჩარჩო და სულ იმათში ჩასვა ეს წვრილი სურათები.

ილიამ სურათების ნაწილი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, მეტი წილი კი აქაური ჟურნალებიდან ჰქონდა ამოღებული. ამ სურათების კედლებზე განლაგებისთვის ილიამ ცოტა ენერგია არ დახარჯა, თითონაც აქტიურად იღებდა მონაწილეობას ჩვენს საქმიანობაში მე და ოლღამ დაახლოვებით ერთ თვეზე მეტი ვიმუშავეთ და ისე მოვაწყეთ, როგორც ილიას უნდოდა. როცა ამის შემდეგ ერთ საღამოს მათთან მივედი, დიდის ამბით შემხვდნენ ოლღაცა და ილიაც. ილია ღიმილით შემეგება და მხიარულად მომაძახა:

— მოდი, მოდი, რა გაჩვენოთ! როგორი სურათი გადავიღეთ მე და ოლღამ.

შემიყვანეს საწოლ ოთახში და ოლღას საწოლთან კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე მიმითითეს. მოხუცი ქალი წინდას ქსოვდა, იქვე იდგა მოხუცივე მამაკაცი, რომელსაც ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში.

— აი, — მითხრა ილიამ, — ეს მე და ოლღა ვართ!

საერთოდ, ილიას ძალიან უყვარდა სურათები და გატაცებით ლაპარაკობდა მათზე. თუ სურათი რომელიმე გამოჩენილი მხატვრის იყო, ილია დაწვრილებით განმარტებას იძლეოდა მის შესახებ, თუ რა დროისაა, სად ინახება მისი დედანი და რითია შესანიშნავი. ამ დიდი სიყვარულით აიხსნება ისიც, რომ მრგვალი მაგიდა სავსე იყო სურათებით.

ილიას კაბინეტში საპატიო ადგილი ეჭირა საწერ მაგიდას, რომელზედაც კარგი ქარვის ასე თხუთმეტიოდე მარცვლიანი კრიალოსანი და საწერი კალამი იდო. ეს მშვენიერი კრიალოსანი ილიას ძალიან უყვარდა, რადგანაც ნაჩუქარი ჰქონდა მახლობელი მეგობრისაგან — „პრელესტ ბაბალესაგან" (ბარათაშვილი). კაბინეტის კუთხეში იდგა დგამი, რომელზედაც ამართული იყო ქალის ქანდაკება (მე მგონი ემბლემა თავისუფლებისა). კაბინეტი კარგი რბილი ავეჯით იყო მორთული, იქვე იდგა მშვენიერი კოხტა ტახტი და წიგნების კარადა. კედლებზე სურათები ეკიდა. ერთი მათგანი გამოხატავდა მშვენიერ მწყემსს სალამურით ხელში.

სასადილო ოთახში იდგა უბრალო ბუფეტი, შუაზე კი სასადილო მაგიდა. კედელთან ფიზგარმონია. ერთ-ერთ კედელზე ეკიდა ძველებური საათი თვით ილიას მიერ გაკეთებული კალენდრით.

საწოლი ოთახი ძალიან უბრალო ჰქონდათ: ძველი საწოლები ვერ მოიშორეს, თუმცა ყოველთვის ფიქრობდნენ მათ გამოცვლას. საუცხოვო იყო სამზარეულო, სულ თეთრი კაფელით იყო მორთული. ჰქონდათ სარდაფიც ჩასაცივებლებით. მართალია, ილია დიდ მზრუნველობას იჩენდა თავის სახლებზე და ბინის მოწყობაზე, მაგრამ მაინც თავის ინჟინერს — სიმონ კლდიაშვილს სულ იმას ჩასციებოდა, რომ რაც შეიძლება შეემოკლებინა ხარჯები. სიმონი სასტიკ უარზე იყო ხოლმე.

— ბატონო, არ არის ისეთი ხარჯები, რისი შემოკლებაც შეიძლება. ბუხრებსა და ღუმელებს უნდა ჰქონდეს ღრმა სასაბირკველი — არაფრით უიმისობა არ იქნებაო. მიუხედავად ინჟინრის ასეთი მტკიცებისა, ილია მაინც თავისზე იდგა და აკი დაინგრა კიდევაც ორჯერ ეს კაფელის ბუხრები და ხელმეორედ დასჭირდათ მათი ამოშენება.

თავისი სახლი ანდრეევის ქუჩაზე ილიამ იყიდა ღვინიაშვილისაგან. ამ ქალმა ილიას კუთვნილი ეზო პირდაპირი ხაზით გადაჭრა. აზომვის შემდეგ ილიამ დაინახა, რომ მისი ეზო იმდენი ფართობის არ გამოდგა, რაც ხელშეკრულებაში იყო ჩაწერილი. ილიამ ამის გამო თავისი ეზოს ხაზი გარედ გასწია და, რაც აკლდა, შემოიმატა. ბაბალე ღვინიაშვილმა ძლიერ იწყინა ეს და მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა ილიას — ნუ მიზამ მაგ საქმეს, ეზოს ნუ დამიმახინჯებო. ბაბალემ მეც მთხოვა, უარი ვეღარ ვუთხარი და მივედი ილიასთან ასეთივე თხოვნით, რომ დაეწია უკან თავისი საზღვარი. ილიამ დინჯად მომისმინა და შემდეგ ისეთივე დიჯნი ტონით მითხრა:

— იცი, რომ შენზე უფროსი ხალხიც მომივიდა მაგეთივე თხოვნით, მაგრამ ყველას უარი ვუთხარი. მე სოფელთან მაქვს კავშირი და ამ კავშირს ვერ გავწყვეტ. იქიდან ხშირად ურმები მოდიან. ჩამომყვანს ბინა უნდა. კამეჩსა და ცხენს სადგომი. ყველა ამისათვის მჭირდება შესაფერი შენობის აგება, ვერა ხარ კარგი მოციქულიო, — სიცილით დააბოლოვა თავისი

სიტყვა. მართლაც, ილიამ მალე ააგო ეზოში თავლაც და პატარა ბინაც სოფლიდან ჩამოსულ გლეხებისათვის...

„პრელესტ ბაბალეს“ სახელით თბილისში ცნობილი იყო ბაბალე ბარათაშვილი, ქალი მეტად დარბაისელი, ლამაზი, მომხიბლავი, მხიარული. ბაბალე ძალიან დაახლოვებული იყო ილიას ოჯახთან და ხშირად იყო ხოლმე ილიას მეუღლე — ოლღასთან და ილიას დასთან — ლიზასთან. ბაბალემ სადღაც გაღმა აიშენა სახლები — ყოფ. ვორონცოვის ხიდის მიდამოებში, მგონია, ილიაც დაეხმარა ამ საქმეში.

ბაბალეს მეტი სახელი „პრელესტ ბაბალე“ საქართველოში ალექსანდრე მესამის ჩამოსვლის შემდეგ შეერქვა. როცა მეფე ჩამოვიდა, ჯარის მანევრებისათვის გაემგზავრა თიანეთში. ბაბალე იმავე მაზრის მემამულე იყო. მეფის წვეულებაზე ისიც დაესწრო. მაგიდაზე ბაბალე ალექსანდრეს პირდაპირ მჯდარა. როდესაც საჭმელი მოურთმევიათ, ბაბალეს ჩვენებურად ჩაუმტვრევია პური და თითებით გემრიელად უჭამია. მეფეს შეუნიშნავს და ისე მოსწონებია, რომ აუღია ჭიქა და განსაკუთრებით უდღეგრძელებია ბაბალე. უთქვამს:

Прелесть Бабале, ваше здоровье! აი, მას აქეთ ბაბალეს მტკიცედ შეერქვა ეს ზედმეტი სახელი.

ბაბალეს დიდი მოწონება ჰქონდა თბილისის მაღალ წრეებში. მახსოვს, ერთხელ მასთან მოვხვდი ოჯახში, ვიქნებოდი 24—26 წლის, ოთახში რომ შევედი, ტახტიდან წამოდგა „ველიკი კნიაზის“ შვილი (არ ვიცი რა ერქვა). ბაბალემ ქართულად გამაფრთხილა, რევერანსი გაუკეთეო, მეც ავასრულე.

*

მახსენდება ერთი შემთხვევა. ვოსტორგოვმა, ცნობილმა რუსმა შავრაზმელმა მღვდელმა, დეპეშები გაგზავნა პეტერბურგს. ამ დეპეშებით ის აბეზღებდა სინოდთან ქართველ სამღვდელოებას და სამრევლო სკოლებს. იმ ხანებში ფოსტაში ვმუშაობდი, სატელეგრაფო განყოფილებაში, თუმცა დეპეშები სიფრთხილისთვის გაგზავნილი იყო საიდუმლოდ რკინიგზის სადგურიდან, მაგრამ ისინი მაინც მოხვდნენ სამმართვე-

ლოში და ხელში-ჩამივარდა. ეს საიდუმლო მე ილიას შევატყობინე. ილიამ ძალიან მომიწონა ჩემი ასეთი სიფრთხილე, მაშინვე დაუძახა სამრევლო სკოლების უფროსს მამინაიშვილს და მასთან ერთად საჩქაროდ ინახულა ეპისკ. კირიონი. თუ არ ვცდები, იმ ხანებში სწორედ კირიონი უნდა ყოფილიყო. აღარ ვიცი, რა შედეგები მოჰყვა ილიას ასეთ გამოხმაურებას.

ჩემი სამსახური ტელეგრაფში მაინცდამაინც არაფრად მომწონდა. ვცდილობდი იქიდან წამოსვლას. ილიას მეუღლეს — ოლღას ვთხოვე, შუამდგომლობა გაეწია ილიასთან. გადავეყვანე თავისთან — ბანკში. ილიამ დინჯად მოისმინა ჩემი თხოვნა. შემდეგ შემეკითხა — განა კარგი იქნება, რომ ამ ადგილიდან გადახვიდეო? ჩემი აზრით, — დაუმატა ილიამ, — უთუოდ საჭიროა, რომ ასეთ ადგილზე თქვენისთანა ფხიზელი ხალხი გვყავდეს და ამიტომ მე გთხოვთ, ისევ მანდვე განაგრძოთ მუშაობაო.

ილია დიდი პატივისცემით ექცეოდა ნიკო ნიკოლაძეს და გაბრიელ ეპისკოპოსს. ნიკო ნიკოლაძე ხშირად მინახავს ილიას ოჯახში. მახსოვს დილით, საათის თერთმეტზე მოვიდა, კვირა დღე იყო. ილია ცხოვრობდა ნიკოლოზის (ახ. კალინინის) ქუჩაზე. ნიკოს მოსვლა ილიას ძალიან ესიამოვნა, სტუმარი შინ შეიწვია და მაშინვე გასძახა ოლღას:

— აბა, საუზმე! ჩურჩხელებიც არ დაივიწყო!

ნიკო დერეფანშივე გავიდა და მალე შემოაღო კარი, შემოვიდა ხელში იმერული ჩურჩხელებით და კრიალა წაბლით. ნიკომ თავისი ხილი ილიას წინ სიცილით დაუწყო და უთხრა:

— რა ვქნა, ეგ თქვენი ჩურჩხელები ძალიან ლამაზია, ძალიან გემრიელი, მაგრამ ამ ჯანჯუხებს მაინც ვერ გავცვლი მაგაშიო; თხილზე შემოკრული ეს გამხმარი კანი ყველაფერს მირჩევნია! — ამის გამო ბევრი იცინეს. მისი ქალი რუსუდანიც ადასტურებს, რომ ნიკოს ბავშვივით უყვარდა ეს იმერული თხილის ჩურჩხელები თხელი, ტკბილი კანით. ყოველგვარი გონებრივი მუშაობის დროს მამას საწერ მაგიდაზე ელაგა იმერული „ტკბილი კვერის“ თხელი, სუფთა ფურცლები და წამდაუწუმ წუწნიდა და ასე ირთობდა თავს წიგნის კითხვისა და წერის დროსაც.

ილიას მეტად სათუთად უყვარდა ახალწლის დღეები. მახ-

სოვს, რა სიამოვნებით დასტრიალებდა ხოლმე მეუღლის ან ახალწლო სამზადისს და როგორ მხურვალე მონაწილეობას იღებდა გოზინაყის შესაფერისად მოდუღებაში, როგორ ცდილობდა, რომ ზედმეტად არ დამწვარიყო.

ამ დღეებში ილიას უყვარდა თავისი ახლობელი მეგობრების გახსენება და მათთვის ახალი წლის მილოცვა. მეგობრებს ოჯახებში აუცილებლად გაუგზავნიდა ოლღას ხელით დამზადებულ გოზინაყს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს მეგობრები შეიძლება მასთანაც კი ხვდებოდნენ ახალწელს.

ჩვეულებრივად, ოლღა თვითონ საკუთარი ხელით დაასხამდა მოწითალო გოზინაყს მშვენიერი ფაიფურის თეფშებზე, რაშიც ილია აუცილებლად უშუალო მონაწილეობას იღებდა, დასტრიალებდა თავზე ამ თეფშებს და თვითონ სინჯავდა თვითეულ გასაგზავნს.

გაბრიელ ეპისკოპოსიც მახსოვს ილიას ოჯახში, სწორედ იმავე ნიკოლოზის ქუჩაზე. ერთად მოვიდოდნენ ხოლმე გაბრიელი, ნიკო ნიკოლაძე და კირილე ლორთქიფანიძე. იქნებოდა საათის 12, დილით საუზმის შემდეგ მე ვნახე, რა პატივით ჩააცილა ილიამ თავისი სტუმრები კიბის უკანასკნელ საფეხურამდე. ასეთნაირი პატივით კი ილია არავის არ ექცეოდა. მეორეჯერაც მახსოვს გაბრიელი ილიასთან. მაშინ კი მარტო მოვიდა. დიდხანს ისხდნენ სუფრაზე. დიდხანს ბაასობდნენ დინჯად. მაშინაც კარებამდე ჩააცილა ილიამ თავისი სტუმარი.

— „ეგ, დიდი ადამიანიაო". — თქვა ილიამ გაბრიელის გაცილების შემდეგ.

ილიას ოჯახის ახლობელთაგანი, სხვათა შორის, ლევან ჯანდიერის ოჯახი იყო. ლევანის მამა (გმირობისათვის „დროშა გიორგათ" წოდებული) გიორგი ჯანდიერი — ქართული დრუჟინის პოდპოლკოვნიკი იყო. თვით ლევანი მაზრის უფროსად იყო ჯერ თიანეთში და შემდეგ სიღნაღის მაზრაში, ერთხანს სოხუმის ოლქის უფროსადაც იყო, ბოლოს თბილისში მსახურობდა. ჯანდიერს რამდენიმე შვილი ჰყავდა: ოთხი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟებიდან ორნი სამხედრო სამსახურში მსახურობდნენ, ერთი მუსიკოსი იყო, საზღვარგარეთ სწავ-

ლობდა. ამ უკანასკნელს მიხეილი ერქვა. საუბედუროდ, მას თავისი ნიჭის გამოაშკარავება არ დასცალდა, ადრე გარდაიცვალა. მეოთხე — იასონი მცირე წლოვანი მეხისაგან დაიღუპა წინანდალში, ჭავჭავაძიაანთ მამულში.

ილია ხშირი სტუმარი იყო ჯანდიერების ოჯახისა, როგორც თბილისში, ისე სოფლად. განსაკუთრებით გრძნობიერად უყვარდა ამ ოჯახის ბავშვები. ართობდა და თვითონაც ერთობოდა მათთან. ილიას ჰქონდა ჯიბის საათი, რომელიც უკრავდა მარსელიოზას და, თუ რომელიმე ბავშვი გაიბუტებოდა, ილია მაშინვე ამ უცნაური საათით შეირიგებდა და გუნებაზე მოიყვანდა. ეხლაც ახსოვს ჯანდიერის უმცროს ქალს — ბაბულიას, როგორ მიეპარებოდა ხოლმე ილია ამ საათით, მიადებდა ყურზე და ართობდა მისი მუსიკით.

როცა ეკატერინე ჯანდიერმა (უფროსმა ქალმა) ინსტიტუტი დაამთავრა, ილიას მეუღლემ — ოლღამ პატარა საღამო გაუმართა. მოუწვია ახალგაზრდა ქალები და ყმაწვილები. ახალგაზრდობის გარდა ამ საღამოზე იყვნენ კნეინა ჯანდიერი. „პრელესტ ბაბალე“ — ბარათაშვილი, კოტე აფხაზი, ილია და ლიზა საგინაშვილი. როდესაც საღამოს ბოლოს სუფრა გაიშალა და სადღეგრძელოები სადღეგრძელოებს მოჰყვა — ილიამ აიღო ჭიქა და ადღეგრძელა ეკატერინე, ბევრი კარგი უსურვა. თავის სამადლობელში ეკატერინემ ძია ილიას მადლობა გადაუხადა კეთილ სურვილებზე და სხვათა შორის უთხრა:

— გადაწყვეტილი მაქვს საზღვარგარეთ წასვლა და სამეურნეო განათლების მიღება, რომ დაბრუნების შემდეგ ვიმუშაო ჩვენს მამულშიო. ილია მისმა სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა. მას ისეთნაირად ესიამოვნა ახალგაზრდა ქალის ეს გადაწყვეტილება, რომ ხელმეორედ ადღეგრძელა ეკატერინე და უსურვა, რომ მას სხვა ახალგაზრდა ქალებიც ბევრი გაჰყოლოდა ამ კეთილშობილ გზაზე, რომ ეკატერინე მარტო არ დაბრუნებულიყო. ეგებ ქალებმა მაინც აჯობონ ჩვენს უდარდელ ჩოხოსან ვაჟკაცებსო. ილიამ ბევრი ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ გვეცლება ხელიდან მამაპაპური მამული და რამდენად სერიოზულია ეს საკითხი ქართველი ხალხის ისტორიისათვის. დაათავა თავისი სიტყვა, ადგა, მივიდა კატოსთან და თავზე აკოცა.

კატომ მართლაც დაამთავრა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანში და შემდეგ მუშაობდა თავის სოფელში, მამის მამულში. გვერდში უდგა მეზობელ გლეხობას და იმათთან ერთად ეწეოდა ფიზიკურ მუშაობასაც კი. მან ბევრი სიახლე შეიტანა თავისი სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ბევრი ახალი ვაზი ჩაყარა ვენახში, ააშენა სახალხო სკოლა, სამკითხველო და სხვა.

ილია გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს როგორც კატოს საზოგადოებრივ მუშაობას, ისე იმ შედეგებს, რაც ამ მუშაობას მოსდევდა. ეკატერინე შემდეგ პროფესორ მაჭავარიანის მეუღლე გახდა.

როდესაც ილია ჭავჭავაძე საზღვარგარეთ წავიდა, ლევან ჯანდიერმა მისწერა თავის ერთ-ერთ შვილს — აბა, შვილო, ილია ჭავჭავაძე მოდის მანდ თავისი მეუღლით და დახვდი სადგურშიო, დაეხმარე და სათანადო პატივი ეცი, როგორც შეეფერება ილიასო. მართლაც, ბერლინში ჩასვლისას ილიას პატივსაცემად შეხვედრიან იქაური ქართველები, მათთან ბევრი გერმანელიც. ამ შეხვედრაზე ილიას სიტყვა წარმოუთქვამს, რითაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ილია ჭავჭავაძე ხშირი სტუმარი იყო ჯანდიერების ოჯახისა — სოფელ ვაჩნაძიანში და მათი სახლის ფართე აივანზე ლევანთან და მის მეუღლე სალომესთან ქაღალდს თამაშობდა. თვით ლევან ჯანდიერი ზაფხულში ოჯახით საგურამოში ეწვეოდა ხოლმე.

ამ ორ ოჯახს ისეთი მეგობრობა ჰქონდათ ერთმანეთთან, როგორიც ხშირად ზოგიერთ ნათესავსაც კი არ ექნებათ.

ილია ჭავჭავაძეს ასეთივე დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ილია წინამძღვრიშვილისადმი. სიტყვამ მოიტანა და აქ მინდა დავუმატო, თუ როგორ ულოცავდნენ ერთმანეთს თავისი სახელწოდების დღეს ეს ორი ილია. ილია ჭავჭავაძე ჩვეულებრივად ცხენით ესტუმრებოდა ილია წინამძღვრიშვილს წინამძღვრიაანთ კარში, თავის მხრივ ილია წინამძღვრიშვილი აუცილებლად ინახულებდა ჭავჭავაძეს საგურამოში. ერთხელ მახსოვს: ილია ცხენით წავიდა ასეთ ილიაობა დღეს წინამძღვრიაანთ კარში, მაგრამ მასპინძელი

სახლში არ დახვედროდა — ის, თავის მხრით, საგურამოში ეს-ტუმრა ილიას.

— შენს ცაცხვებს ვესტუმრეო — ეხუმრებოდა ილია ჭავჭავაძე ილია წინამძღვრიშვილს.

— მე შენს კაკალს ვესტუმრეო — უპასუხა წინამძღვრიშ-ვილმა. ჰქონდათ ხუმრობა და მეტოქეობა, რომელი სჯობდა: ილიას კაკალი, თუ ილიას ცაცხვი.

ილია ჭავჭავაძე საცხოვრებლად ანდრეევის ქუჩაზე გადა-ვიდა. ერთ საღამოს, როდესაც სახლის დალაგება მთლიანად დაამთავრეს, ვესტუმრე ოლღას. იქ დამხვდნენ ოლღას დის შვილები: რუსუდან მელიქიშვილი, შალიკაშვილის ცოლი — ნინო, ორი ვაჟი სტაროსელსკისა. იყო დიდი მხიარულება და გართობა.

ილია ეთამაშებოდა შალიკაშვილის ბავშვებს. ილიასთან ცხოვრობდა მისი ნათესავი ზალიკო ჭავჭავაძე — ყოფილი სამხედრო. სამხედრო სამსახურის ვადა გასული ჰქონდა და სახლში იყო, ფორმას მაინც არ იხდიდა. ილიას ახალ სახლს სასადილოში გასასვლელად სამსაფეხურიანი კიბე ჰქონდა. კიბესთან ფარდა იყო ჩამოფარებული, რომელიც ხელით შეხებისას იშლებოდა და იხურებოდა, სტუმრებიდან ზო-გი ლექსებს ამბობდა — ფარდა გაწეული იყო და ჩვენ სა-სადილო ოთახიდან ვუცქეროდით. ამ მხიარულების დროს ილია მივიდა ზალიკოსთან და უთხრა:

— აბა, ერთი, შენ გენაცვალე, მითხარი: როგორ გამოეჭი-მებოდი ხოლმე გუბერნატორსო. ზალიკომ უპასუხა:

— ეჰ, დამანებე თავი, რა საჭიროა!

ილიამ სტაროსელსკის შვილებს თვალით ანიშნა, რომ მა-თაც ეთხოვნათ. ისინიც თან თხოვდნენ და თან ტაშით იწვევ-დნენ. ზალიკომ ამდენ თხოვნას ვეღარ გაუძლო და ერთხელ გაითამაშა. აღარ მოეშვნენ და სამჯერ გაამეორებინეს. ილია ისე ხმამაღლა იცინოდა და ხარხარებდა, რომ ჩემს სიცოცხ-ლეში ეგრე მოცინარი და მხიარული არ მინახავს. ზალიკომ დახურა ფარდა და ბავშვებს უთხრა:

— მე რომ გამომიყვანეთ სცენაზე, ახლა ილიაც გამოიყვანე-

თო. ბავშვებმა კვლავ ასტეხეს ტაშის ცემა და ყვირილი:

— ძია ილიკო! ძია ილია! თქვენც გვითხარით რამეო. ილია ჯერ დიდ უარზე იყო, მაგრამ ოლღაც შეეხვეწა:

— შენ გენაცვალე, ილია, თქვიო.

ზოგი ეძახდა „ტყეი მოისხა ფოთოლიო“, მაგრამ ოლღამ თხოვა „კაცია ადამიანიდან“ „ჩუპრი, ჩუპრი“... წაიკითხეო.

ილიას მაშინვე მოუტანეს მუთაქა თუ ბალიში, რომელიც მან ბავშვივით დაიჭირა. გასწიეს ფარდა, გამოვიდა ილია და შესანიშნავად წაიკითხა „კაცია ადამიანიდან “ის ადგილი, სადაც აღწერილია ლუარსაბის ალერსი მომავალ შვილთან. ისეთი აღტაცება და ჟრიამული გამოიწვია ამ გამოსვლამ, რომ ენით არ აღიწერებოდა. ოლღამ ილიას აკოცა. ილია ისეთი მხიარული, როგორიც მაშინ იყო, არასოდეს არ მინახავს.

საზოგადოდ ყველას ეგონა, რომ ილია დიდი თაყვანისმცემელი იყო ველიჩკოსი, ნამდვილად კი ილია მასთან არ მეგობრობდა. ერიდებოდა, ეძნელებოდა მისი სტუმრობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა აიძულებდა თავაზიანად მიეღო. ერთხელ საგურამოში ველიჩკო ეწვია ილიას. მეც იქ ვიყავი. სხვათა შორის, ოლღა იკითხავდა ხოლმე მის ამა თუ იმ სტუმარს რა საჭმელი ესიამოვნებოდა. ველიჩკოს ცოლმა აიჩემა:

— Я желаю картофель в мундире с маслом и мацони!

ვახშმის ბოლოს მოიტანეს მოხარშული კარტოფილი, მაგრამ გაუფცქვნელი. თან მოაყოლეს სველი ხელსახოცი, თითების გასაწმენდად. როდესაც შევჭამეთ ეს კარტოფილიც „მუნდირით“, ოლღას ხუმრობით ვუთხარი:

— აბა რა იყო? სულ ეს არის „კარტოფილი მუნდირით?“. მე მეგონა ვილაც მუნდირიანი კაცები მოვიდოდნენ მეთქი. ეს ხომ ჩვენებურად გაუფცქვნელად მოხარშული კარტოფილია, რაღად უნდოდა მაგას მუნდირი მეთქი. — ჯერ ოლღამ გაიცინა, გადიკისკისა (კარგი სიცილი იცოდა), მერე, როგორც ჩანს, ილიას უამბო. მეორე დილით, ჩაის დასალევად რომ დავსხედით, ილია წამოდგა და ხელების შლით დაიწყო:

— იცით? თურმე ჩვენი ოლღა ელოდა ერთ ბრწყინვალე სამხედრო პირს მუნდირით, რომელიც რევერანსს გაუკეთებდა და რა გამოვიდა... „კარტოფილი მუნდირით“, ჩვენებური

ახლად მოხარშული ცხელ-ცხელი გაუფცქვნელი კარტოფ
ლი!

ყველამ მე შემომხედა და გაიცინა. მე შემრცხვა და ვუპ
სუხე:

— მე რომ არა ვარ მუნდირების თაყვანისმცემელი?!.

ბევრი ფიქრობდა, რომ ილია ჭავჭავაძე ფუფუნებითა დ
მდიდრულად ცხოვრობდაო, მაგრამ არ არის მართალი. საგუ
რამოში ილიას სახლი უბრალოდ ჰქონდა მოწყობილი. ედ
ტახტები საფენებითა და მუთაქებით. უკანასკნელად ხელმო
ჭირნედ ცხოვრობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თა
დაანება ბანკსაც და „ივერიის" რედაქციასაც. თუმცა უნდა ი
ქვას, რომ გაზეთ „ივერიის" დათმობა ძალიან ეძნელებოდ
სხვებიც ეხვეწებოდენ, რომ გაზეთს ნუ დატოვებო, მაგრ
ილია მთელ თავის ფულებს ამ გაზეთის გამოცემას ანდომებ
და და განაცხადა:

კიდევ რომ მქონდეს შესაძლებლობა და პირობები გაზ
თის წარმოებისათვის — ავიყვანდი ილია აგლაძეს, შაქრო ბ
ლანიშვილს, მათთან ერთად ვიმუშავებდი, გაზეთს მე გავუ
ღვებოდი და დანარჩენ თანამშრომლებსაც გარედან მოვიწ
ვევდი, მაგრამ აღარავითარი საშუალება აღარა მაქვსო...

მასსოვს, 1895 წელს რაფიელ ერისთავს გაუმართეს იუბ
ლე. ეს იყო პირველი დიდი დღესასწაული ქართველი ერის
იუბილე. დიდ საზეიმო ვითარებაში იყო მოწყობილი. ქართ
თეატრში ამ იუბილეზე გამოვიდა გრიგოლ აბაშიძე, რომ
მაც ძალიან კარგი ლექსი უძღვნა რაფიელ ერისთავს. ილ
ჭავჭავაძეს ისე მოეწონა ეს ლექსი, რომ გრიგოლ აბაშ
გადაეხვია და გადაკოცნა. კარგად დავინახე ორივეს თვალებ
როგორ ბრწყინავდა ცრემლი.

არტემ ახნაზაროვი

მეოთხმოცე წლები საქართველოსთვის უჟამური ხანა იყო. ერთადერთ კულტურულ დაწესებულებას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსახსრობის გამო სული კბილით ეჭირა. ქართული თეატრი ძლივს ბოგინობდა და ქართველი მსახიობები მშივრები ისხდნენ, მაშინ, როდესაც მეფის მთავრობა ოპერის თეატრს სუბსიდიას აძლევდა, და ეს თეატრიც ხომ იმიტომ არსებობდა, რომ ხალხის გამარუსებელი საშუალება ყოფილიყო და არა იმიტომ, რომ მეფის მთავრობას ხელოვნების აყვავებისა და ხალხის ესთეტიურ გემოვნების განვითარების ხელის შეწყობა სდომებოდა.

მეფის მთავრობა ქართველებსა და ყოველსავე ქართულს უფრო მეტად სდევნიდა და აჭერდა ქუსლს, რადგან სეპარატიზმის შიში ჰქონდა, უფრო „ლიბერალურათ" მეფის მთავრობა სომეხ მოსახლეობის „ზედაფენებს" ეპყრობოდა, იმიტომ-კი არა, რომ მთავრობა სომხებს სწყალობდა, არამედ იმ მიზეზით, რომ რუსეთში ბურჟუაზია წელს ახლად იმაგრებდა და საქართველოში თუ ბურჟუაზიის ნასახი მოიპოვებოდა, ამ ნასახს სომეხთა შორის უფრო მოსძებნიდით. ქართველობას მესამე წოდება არა ჰყავდა, ვაჭრობას დაბეჩავებული და ყოვლად გაუნათლებელი გლეხი ხელს ვერ მოჰკიდებდა და თავადაზნაურობა-კი თაკილობდა და უკადრისობდა. ამის გამო მთელი ვაჭრობა სომხების ხელში იყო.

ქართულ ენას თითქმის არსად ასწავლიდნენ, საეკლესიო-სამრევლო სკოლებს გარდა. სადაც უსწავლელი და მოუმზადებელი დიაკვნები გაანაგებდნენ ბავშვების სწავლისა და განათლების საქმეს. გიმნაზიებში ქართულს ენას მხოლოდ რამდენიმე საათი ჰქონდა დათმობილი და ისიც უკანასკნელ გაკვეთილების სახით, როდესაც ბავშვები მთლად მოღალულები იყვნენ და ხალისი სწავლისა აღარა ჰქონდათ. ამის გამო ამ გაკ-

ვეთილებს ბავშვები ნაკლებად და უხალისოდ ესწრებოდნენ. ქართულის ენის შესწავლა სავალდებულო არ იყო და ამ ენას ყურადღებას არ აქცევდნენ, მით უმეტეს, რომ მშობელთა შორის, ჩვენდა სამარცხვინოდ, ორიოდე ისეთიც აღმოჩნდა, რომელთაც გიმნაზიის დირექტორს მარკოვს თხოვნა მიართვეს ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლით და ნუ აცდენთ, რადგან ქართული რუსულის ენის შესწავლას ხელს უშლისო. ქართველებსა და ქართულს ცხოვრებას ყოველ მხრიდან უტევდნენ და სჩაგრავდნენ, თვით ქართული ჟურნალ-გაზეთობაც შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებოდა, იმას გარდა, რომ ცენზურა ავიწროვებდა და ყოველ სიტყვას გულ-ღვიძლს უშიგნავდა და უჩხრეკავდა, თვით ქართულ ჟურნალ-გაზეთების რაოდენობაც უფრო მცირე იყო, ვიდრე რუსულისა და სომხურისა. რუსულად მარტო ყოველდღიური გაზეთი სამი გამოდიოდა: მთავრობის „კავკაზი", „Новое обозрение", რომელიც შემდეგ გიორგი მისეილის ძის თუმანოვის ხელში გადავიდა და რომელსაც ძმ. თუმანოვები უძღვებოდნენ გიორგი, ვასილი და კონსტანტინე და „Тиф. листок" ძმათა ხაჩატუროვების გაზეთი.

სომხურადაც-კი თვიურ ჟურნალების გარდა („აღბიური" და „არძაგანკი"), ორი ყოველდღიური გაზეთი გამოდიოდა „მშაკი" გრ. არწრუნისა და „ნორდარი" სპანდარ სპანდარიანის რედაქტორობით. ქართულ ენაზედ მხოლოდ ერთადერთი გაზეთი იბეჭდებოდა, პატარა ტანისა და ზომის „დროებაᲗ ᲯᲔᲠ სერგი მესხისა და შემდეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობით და იმასაც მეტად მცირე ტირაჟი ჰქონდა.

ქართულს გაზეთს იშვიათად თუ ვინმე იწერდა და კითხულობდა. განათლებული თუ იყო ვინმე ქართველი, ისიც რუსულ გაზეთს ეტანებოდა. რადგან ამ გაზეთში ყოველი საგაზეთო ამბავი უფრო მრავლად, ადრე და ვრცლად იბეჭდებოდა. ერთადერთი ქართული გაზეთი „დროებაც" 1885 წლის სექტემბრის თვეში მთავრობამ აკრძალა. უკანასკნელი ნომერი 14 სექტემბერს გამოვიდა. 1885 წელს დროებასთან ერთად გამოდიოდა ყოველთვიური ჟურნალი „ივერია" ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით და ყოველკვირეული გაზეთი „თეატრი", რომლის გამოცემაც ვასილ აბაშიძემ ამ წლის პირველ იანვრიდან დაიწყო. ერთად ერთის ქართულ გაზეთის „დრო

ების“ აკრძალვის გამო ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა თავისი ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“ ყოველ დღიურ გაზეთად გადაეკეთებინა. გაზ. „ივერიამ“ 1886 წ. პირველ იანვრიდან დაიწყო გამოსვლა.

1885 წელს მე ვმუშაობდი ვასილ აბაშიძის ყოველკვირეულ გაზ. „თეატრში“, ვწერდი ლექსებსა და პატარა სცენებს და ვასილ აბაშიძეს სარედაქციო საქმიანობაში ვეხმარებოდი. 1886 წლის დასაწყისში, რამდენადაც მახსოვს თებერვლისა თუ მარტის თვეში ნიკო ხიზანიშვილმა, რომელსაც ქართულ თეატრიდგან ვიცნობდი, როგორც ელისაბედ ჩერქეზიშვილის მეუღლეს, გადმომცა, რომ ილია ჭავჭავაძეს უნდა შენი ნახვაო, მანამდე მე ილია ჭავჭავაძე თვალით არ მენახა. ამ დროს 19 წლის ახალგაზრდა ვიყავი. ილიას სიტყვაკაზმული ნაწერები, რასაკვირველია, წაკითხული მქონდა, მაგრამ „კაცია ადამიანისა“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორი-კი როგორც ვთქვი თვალით არ მენახა, თუმცა უნახავადაც მისი დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი. აქედგან ადვილად წარმოსადგენია, როგორ ამიტოკდა და ამიღელდა გული, როდესაც შევიტყე, რომ „დიდი“ ილია (მაშინაც უკვე იგი „დიდად“ ითვლებოდა) თავისთან მიბარებდა და, მაშასადამე, ჩემისთანა უმნიშვნელო მწერლისათვის ყურადღება მიექცია. ილია ჭავჭავაძე ამ დროს ბინადრობდა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლში, № 9 და იმის ბინაშივე ერთი ოთახი — გაზ. „ივერიის“ რედაქციას ჰქონდა დათმობილი.

რამდენადაც მახსოვს, კვირა დღე იყო, დილის 10-11 საათზე მივადექი ილიას სახლის კარებს და გულ-აჩქარებულმა ზარი ჩამოვკარი. კარები გაიღო და მსახურმა შემიყვანა დერეფანში და შემდეგ, როდესაც ილიას მოახსენა ჩემი ვინაობა — მის კაბინეთში.

ეს იყო პირველი შეხვედრა ილიასთან. შესვლისთანავე ოდნავ გადავავლე თვალი ოთახს და აღელვებისაგან ხმა გაკმენდილი დავდექი. ილია საწერ მაგიდასთან იჯდა, აბრეშუმის ხალათი ეცვა და თავზედ ოსმალური წითელი ფესი ეხურა. ხელში ეჭირა რუსული გაზეთი მოსკოვის „Русские ведомости“ და ათვალიერებდა. მარჯვენა ხელში პაპიროსი ჰქონდა და განუწყვეტლად ეწეოდა, რის გამოც ოთახში ბოლი ჭარბად ტრიალებდა. ჩემ შესვლისთანავე ილიამ თავი დაანება

გაზეთის კითხვას. ოდნავ თავიდან ფეხებამდე თვალი გადამავლო და ხელგამოუწვდენლად მითხრა დაბრძანდითო. არ დავძრულვარ.

— თქვენ გაზეთ „თეატრში“ მუშაობთ. ხომ არ მოისურვებდით „ივერია“-ში თანამშრომლობას, ყოველ დღე საღამოს გაზეთის კორექტურას უნდა გადაავლოთ თვალი და დილაობით-კი სარედაქციო მუშაობა იკისროთ. თქვა ილიამ და პასუხს აღარ მოუცადა, თვითვე განაგრძო: ჯამაგირად თვეში ოთხი თუმანი მოგეცემათო.

მე გარინდებული ვიყავი და ენის მოკიდებით მარტო იმისი თქმაღა შევიძელი: „არ მეყოფა“ მეთქი.

— შენ რომ დიდი მუცელი გქონდეს, ჩემის გაზეთისა რა გადასახდელიაო — მომიჭრა მოკლედ ილიამ და ამ სიტყვებმა ისე დამაბნია, რომ ფეხმოუცვლელი გაქვავებული ვიდექი იმავე ადგილას და ხმა აღარ ამომიღია — ენა მუცელში ჩამივარდა.

წუთიერ სიჩუმის შემდეგ, მე რომ აღარა ვთქვი რა, ისევ ილიამ განაგრძო:

— თუ თანახმა ხართ, ხვალ შედით რედაქციაში, გრიგოლ ყიფშიძე იკითხეთ და თქვენს მოვალეობას ის აგიხსნით. ამ სიტყვებიდან დავრწმუნდი, რომ აუდიენცია გათავებული იყო და თავის დაკვრით ხელჩამოურთმევლად ოთახიდან გამოვედი.

გაბრუებული წამოველი და იმ დღეს ილიას გარეგნობის დათვალიერებაც ვერ მოვასწარი. მეორე დღეს, დილა ადრიანად წარვუდექი რედაქციაში გიგა ყიფშიძეს, რომელმაც განმიმარტა რედაქცია რა საქმეს მავალებდა.

თვით რედაქცია წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილს ოთახს, რომელშიაც ერთი დიდი გრძელი მაგიდა იდგა და ამ მაგიდას გარშემო თანამშრომლები უსხდნენ. ჩემი მისვლის დროს რედაქციაში დამხვდნენ გიგა ყიფშიძის გარდა — იაკობ ალექსანდრეს-ძე მანსვეტაშვილი (დონ-იაგო), ილია ბასტამე (ილია ხონელი) და მოსე ჯანაშვილი (ესომ). სარედაქციო ოთახი ილიას კაბინეთის გვერდით იყო და ამ ორ ოთახს კარები აერთებდა.

ასე დაიწყო ჩემი „ივერია“-ში თანამშრომლობა და მას შემდეგ ჩვიდმეტი წელიწადი ამ გაზეთს აღარ გავშორებივარ.

ილია ხშირად გამოდიოდა რედაქციაში, ბევრჯელ სტუმრა-

დაც მივუწვევივართ თანამშრომლები თავის სახლში და პირველ ოთხ-ხუთ წელიწადს ყოველ დღე რამდენჯერმე შევხვდებოდი ხოლმე.

ილიას გარეგნობას დაწვრილებით არ შევეხები, რადგან ბევრსა აქვს მისი გარეგნობა აწერილი, მხოლოდ გაკვრით და მცირეოდნად აღვნიშნავ ამ გარემოებას და იმის ხასიათის ზოგიერთ თვისებას. ილია შუა ტანისა იყო, უფრო მომცრო, საკმაოდ გასუქებული და ეს სიმსუქნე უფრო დაბლად აჩენდა. რგვალ სახეს დიდად მოხდენილი ცხვირი და გაშლილი შუბლი უმშვენებდა და ადამიანის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა შესანიშნავი დიდრონი თვალები, რომელშიაც მისი დიდი გონიერება და ჭკუა იხატებოდა. ეს თვალები მეტად მიმზიდველი და ალერსიანი იყო, როდესაც მისი პატრონი დამშვიდებული ან ნასიამოვნები ბრძანდებოდა, მაგრამ მრისხანებისა და ცხარე კამათის დროს ცეცხლს აფრქვევდა და ნაპერწკლებს ისროდა. ამ დროს ამ თვალების მოძრაობას ცხვირის გაფართოებული ნესტოების ხშირი სუნთქვა დაერთვოდა ხოლმე. მაშინ როდესაც, მის მსუქან ღაწვებთან შედარებით თხელი ტუჩები მუდამ მოკუმული იყო და კბილებს არ აჩენდა. ეს ტუჩები ადამიანის ყურადღებას იქცევდა მეტადრე მაშინ, როდესაც ილია სწერდა და კალმით ხელში ნაწერს უფიქრდებოდა, ამ დროს ტუჩები მოკუმული კი არა, თუ ასე შეიძლება ვთქვათ, მოკრუნჩხული ჰქონდა. და ამასაც არა კმარობდა საწერ მაგიდაზედ ორივ ხელით დაყრდნობილი ილია, კალმით შეიარაღებულს მარჯვენა ხვლს ამ მეტად მოკუმულ ტუჩებზედ მაგრად მიიდებდა ხოლმე, თითქოს ტუჩების დაკეტვას აპირებს და ეშინიან რომ პირიდგან არც ერთი სიტყვა არ გაეპაროს და მის სიტყვათა მარაგს არაფერი დააკლდეს რაო. წერის დროს ხშირად ათი თხუთმეტი წუთი ამ სახით იჯდა ილია და თავის კალმიან ხელს „დაკეტილს“ ტუჩებს იმ დრომდე არ მოაშორებდა, ვიდრე თავისებურ გამოკვეთილს ფრაზას მარგალიტებრ არ შეაწყობდა და ქაღალდზე არ აღნიშნავდა დამარცვლულის ასოებით, რადგან ილიას წერაში ასოთა გადაბმა და შეერთება არ უყვარდა. მისის ნაწერის ყოველი ასო ლამაზად და ცალცალკე აღნიშნული იყო და ამიტომაც დიდად გარკვეული და წასაკითხავად ადვილი.

საზოგადოდ ბევრი დამახასიათებელი თვისება ჰქონდა

ილიას წერისა და შემოქმედების დროს. იგი თავს გაიმარტოებდა კაბინეთში და თუ წერას მიჰყობდა ხელს იმ დრომდე არ მოეშვებოდა, ვიდრე წერილს არ დაამთავრებდა. წერის დროს ყოველ წინადადებას რამდენჯერმე გადაიკითხავდა, სიტყვებსა და სასვენ ნიშნებს შეასწორებდა, ბევრჯერ თავის ნაწერს გადასწერდა ან დახევდა ხოლმე, დასჭმუჭნიდა, გვერდზე მიაგდებდა და ხელახლად შეუდგებოდა წერას. წერის დროს მან დრო-ჟამის გათვალისწინება არ იცოდა, არც სადილისა არც ვახშმისა და არც ძილისათვის წერას თავს არ დაანებებდა. საკვირველი იყო თითქოს წერის ჟინი ჭამა-სმისა და ძილის მოთხოვნილების საჭიროებას უკლავდა. ძალიან სშირად დილით რედაქციაში რომ მივსულვარ 10—11 საათზე და ილიას ნახვა დამჭირვებია ასეთს სურათს შევსწრებივარ: მზით გაკაშკაშებულს ოთახში ილია საწერ მაგიდასთან ზის ტუჩებმოკუმული და ტუჩებზედ ხელმიბჯენილი, წინ ანთებული ლამპარი უდგა და როცა მიკითხავს: ბატონო ილია, ეს ლამპარი რაღად გინდაო მეთქი, ფანჯრისაკენ მიუხედნია და გაკვირვებით წამოუძახნია — განა გათენდაო?

აქედან დავრწმუნდებოდი ხოლმე, რომ მთელი ღამე ემუშავნა და გათენებისაც-კი ვერა გაეგო რა. იმის ხასიათს მისი მეუღლე ოლღა თადეოზის ასული ისე იყო მიჩვეული, რომ ილიას კაბინეთს, როცა ილია მუშაობდა, არ მიეკარებოდა და თუ შევიდოდა ძალიან ფრთხილად, ფეხ-აკრებით ჭიქა ჩაის ან ყავას დაუდგამდა წინ და ისევ ფრთხილად, ფეხ-აკრებით და ხმა ამოუღებლად გამობრუნდებოდა. მოსამსახურე-კი სულ ვერ მიეკარებოდა სამეცადინეო ოთახს. ასეთი ახირებული და დაჟინებული მუშაობა იცოდა ილიამ, რომ ბევრჯერ ორი და სამი დღე არ გამოვიდოდა ხოლმე სამეცადინო ოთახიდან. ამ დაჟინებულ და ხანგრძლივ შრომასთან ერთად დასვენებაც ხანგრძლივი და ახირებული იცოდა. წამოწვებოდა საწერ მაგიდის პირდაპირ პაწია ტახტზედ და ხშირად დღე და ღამე ტანგაუხდელად ეძინა.

წერაში ილია მეტად ფრთხილი და სიტყვა დაზოგვილი იყო, დიდად აფასებდა ლაკონიზმს და სიტყვის მოკლედ მოჭრას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თავის მიერ დაწერილს რამდენჯერმე მუშტრის თვალით გადაიკითხავდა, შეასწორებდა, შეაკეთებდა, გამოჰკვეთავდა და ამითიც არა კმაყოფილდებოდა,

ხშირად უკვე დაწერილს და დამთავრებულს წერილს შანდ-ლის ქვეშ ამოსდებდა და მე ან გიგა ყიფშიძეს, ვინც შეეხვდებოდით, გვეტყოდა, შემდეგ გადავიკითხავ და თუ მომეწონა, დავბეჭდოთო.

„ივერიის“ გაზეთად გადაკეთების პირველ ორ სამ წელიწადს ილია თითქმის ყოველ დღე მეთაურ წერილებსა სწერდა გაზეთისათვის და ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. თუ სხვა ვინმე დასწერდა მეთაურს მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა წერილის ბოლოში დამწერის ვინაობა, ფსევდონიმი, ან სახელისა და გვარის ინიციალები. იგივე ადგენდა ყოველდღე გაზეთისათვის „დამაკვირდი“-ს, სხვადასხვა მწერალთა აზრსა და ბრძნულ ნათქვამს თვითვე არჩევდა და თუ საჭირო იყო თითონვე სთარგმნიდა. ამ დროს ილია რედაქციაში გამუდმებულ შრომას ეწეოდა. დილით ადრიანად მოგვცემდა წინა ღამეს დაწერილს მეთაურ წერილს, შემდეგ მიდიოდა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში, რომლის თავმჯდომარედაც იყო არჩეული, იქიდან დაბრუნებისას, ნაშუადღევის 3-4 საათზე შემოგვხედავდა რედაქციაში და იკითხავდა, ხომ არაფერი საქმე გაქვთო, მოგველაპარაკებოდა და შევიდოდა სახლში. საღამოს 8, 9 საათზე, როდესაც შემდეგის დღის გაზეთი უკვე აწყობილი იყო, შევიყრებოდით ხოლმე სარედაქციო ოთახში და მივუსხდებოდით დიდ მაგიდას, ილიაც იქ შემოვიდოდა და აქ ყველა ჩვენგანს ვისაც რა ჰქონდა თითონ დაწერილი ან სხვისი განსახილველი რიგრიგად წავუკითხავდით ილიას და იგი ენას გვისწორებდა, ან შინაარსის შესახებ რაიმე შენიშვნას მოგვცემდა და თავის აზრს გაგვიზიარებდა, ჩვენსას მოისმენდა, თავისას გვეტყოდა, დასაბეჭდ ნაწარმოებს გააშალაშინებდა. ასე გვასწავლიდა ქართულს ენას და ყოველს სიტყვას გვისწორებდა იმ დროიდე, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ცოტად თუ ბევრად ქართული ენა შეთვისებული გვქონდა. საკვირველი ის იყო, რომ წერილების გასწორების დროს წერის მანერას ანუ ყაიდას არ შეეხებოდა, რადგან იმ აზრისა იყო, რომ ყოველ მწერალს თავისებური წერის ყაიდა და სტილი უნდა ჰქონდესო. წერაში თითონ მეტის მეტად ფრთხილი იყო და ჩვენც გვეტყოდა ხოლმე:

— ყმაწვილებო, გაზეთის ფურცლებზედ საპოლემიკო წე-

რილით გამოსვლა იგივე ბრძოლა არის, ომია და ვიდრე ასეთს ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი კარგად უნდა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ, თქვენს მოწინააღმდეგეს და მოკამათეს რა პასუხის მოცემა შეუძლიან, და ამ იმის პასუხსაც ამ თავითვე პასუხი მოუმზადოთ. ერთი სიტყვით გარშემო უნდა ზარბაზნები შემოიწყოთ და ბრძოლის ველზედ ისე გახვიდეთ. ამავე კრებებზე ვარჩევდით დასაბეჭდავ გამოგზავნილ ლექსებს: აკაკისა, რაფიელ ერისთავისა, ვახტანგ ორბელიანისა, ვაჟა-ფშაველას და სხვებისას და აგრეთვე ხალხურ ლექსებს, რომლებსაც უხვად გვაწვდიდა პეტრე უმიკაშვილი და დავით ხიზანიშვილი. ილიას ძალიან უყვარდა ხალხური ლექსები და ხალხური პოეზიით აღტაცებაში მოდიოდა. ასეთი მუშაობა ხშირად ღამის ორ საათამდე გასტანდა ხოლმე, მაგრამ ილიამ დაღლილობა და მოქანცვა არ იცოდა და შრომაში რკინასავით გამძლე და მაგარი იყო.

ამ შინაურ, ასე ვთქვათ, დახურულ სარედაქციო სხდომებს გარდა, ილია კვირაში ერთხელ გაზეთის მუდმივ და გარეშე თანამშრომლებს თავს მოუყრიდა თავის სახლში სალიტერატურო და საზოგადო საგნების ჟამთა სიავის შესახებ საბაასოდ და ერთმანეთის აზრის გასაცნობად და გასაზიარებლად. ამისათვის პარასკევი საღამო იყო დანიშნული. ეს პარასკევის კრებები ისეთ ჩვეულებად გადაიქცა, რომ ვინც-კი რედაქციასთან დაახლოვებული იყო, პარასკევს საღამოს მიუწვევლად ესტუმრებოდნენ ხოლმე ილიას. აქავე თავს იყრიდნენ პროვინციიდგან ჩამოსული მწერლები და გაზეთის თანამშრომლები. ამ საღამოებს თითქმის ყველა ქართველი ინტელიგენტი დასწრებია. გაზეთის მუდმივ თანამშრომლებს გარდა, რომელთა რიცხვს შემდეგ მიემატნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი (ა. ნალი), სტეფანე ჭრელაშვილი (სანო), ა. ფირალოვი და ალექსანდრე ყიფშიძე (ა. ფრონელი) გიგა ყიფშიძის ძმა, — ამ საღამოებს უფრო ხშირად ესწრებოდნენ პეტრე უმიკაშვილი (ანჩისხატელი), დავით ერისთავი (დონენი), რაფიელ ერისთავი, ნიკოლოზ ხიზანიშვილი, („ურბნელი“ და „პლებსი“), არტურ ლეისტი, გრიშა ვოლსკი (უმწიფარიძე), გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომაური, იონა მეუნარგია, როდესაც ქალაქში ჩამოდიოდნენ და სხვანი. მეგობრულ ბაასისა და აზრ-

თა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ილია თავის სტუმრებს ვახშმით გაუმასპინძლდებოდა ხოლმე და ღამის ორ სამ საათზე დავიშლებოდით. ამ კრებებზე ილია გაშმაგებით იცავდა ხოლმე ქართულს ენას და მახსოვს ერთხელ როდესაც დავით ერისთავმა უთხრა:

— ილია, ამ ქართულს გაზეთს ტყუილად აკლავ თავს. ქართველ ხალხს, რაკი იგი რუსეთს ჩაუვარდა ხელში, ვერაფერი იხსნის რა, ეს ას მილიონიანი ხალხი შთანთქავს ერთ მუჭა ქართველობას და ქართული ენა მოისპობაო.

ილიამ უპასუხა:

— ეგ არასოდეს არ მოხდება, საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში გარშემორტყმულ და მოზღვავებულს სპარსეთსა და ოსმალოებს დაახწია თავი, დღემდე მოიტანა თავისი ენა და კულტურა და დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც თავს გაიტანს.

ეს მისი დიდებული აზრი ყურში ჩამრჩა და არასოდეს არ დამავიწყდება. განსვენებულ ილიას ეხლა რომ წამოახედა, დარწმუნდებოდა, რომ იმის წინასწარმეტყველება გამართლდა და საქართველო რუსეთის მეფობის დამხობის და ახალ ცხოვრების წყალობით გაიფურჩქნა და კულტურულსა და ბედნიერ ცხოვრებას განიცდის.

როგორც მოგეხსენებათ ილია დიდი მამულიშვილი და პატრიოტი იყო, მაგრამ ის „მუავე“ პატრიოტი კი არა, რომელიც თავის უვარგისს სხვათა კარგს ამჯობინებს, არამედ ისეთი, რომელსაც სხვა ეროვნებათა სიცოცხლესთან ერთად ჰსურდა რომ საქართველოსაც სიკეთე და კეთილდღეობა არ დაჰკლებოდა. იგი დიდი მომხრე იყო მშვიდობიანის ცხოვრებისა, თუმცა ამავე დროს საფრანგეთის რევოლუციას ძალიან თანაუგრძნობდა და სწყინდა, რომ ბურჟუაზიამ გაიმარჯვა და პარიზში რევოლუციონერები დამარცხდნენ. საზოგადოდ ილიას ყოველ საგნის შესახებ თავისი განსაკუთრებული აზრი და შეხედულება ჰქონდა. უფრო ხშირად იგი ყოველ საკითხს უტილიტარიზმის თვალსაზრისით მიუდგებოდა ხოლმე. სხვათა შორის, თუმცა იგი წინააღმდეგი იყო ყოველ გვარის ცენზისა, მაგრამ მახსოვს ერთხელ, როდესაც ბანკის გახურებული კრებები მიმდინარეობდა და ილიას მომხრენი და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს გამწარებით ებრძოდნენ, ამ კრებაზედ

ილიას ერთ საკამათო წინადადებას კენჭი უყარეს და ილიას აზრმა დიდის უმრავლესობით გაიმარჯვა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, რომ კრება გათავდა და ილია და მე არწრუნისეულ თეატრიდგან, სადაც კრება იყო გამართული, ნიკოლოზის (აწ კალინინის) ქუჩაზე, სახლში ფეხით ვბრუნდებოდით. როდესაც ლაპარაკში ჩემი აზრი გამოვთქვი, რომ, როგორც ფარულმა კენჭის ყრამ გამოამჟღავნა, საზოგადო კრების წევრთა უმრავლესობა თქვენი მომხრეა მეთქი, ილიამ მიპასუხა:

— ჩემო არტემ, ეგ ფარული კენჭის ყრა გამარჯვებულის აზრის ჭეშმარიტების უტყუარ მაჩვენებლად ყოველთვის არ ჩაითვლება. კენჭი კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს.

სიტყვიერ კამათისა და თათბირის დროს ილიას ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა, თავის აზრს ამა თუ იმ საგნის შესახებ არასოდეს პირველად, აჩქარებით არ გამოსთქვამდა, პირიქით ყველას აზრს მოისმენდა, ბოლოს ამ აზრებს შეაჯამებდა, ან უარყოფდა და საგანს ისე მშვენივრად გამოარკვევდა და ახსნიდა, რომ ყველანი გაოცებულნი დავრჩებოდით და იმის საბოლოო აზრს მივემხრობოდით. საზოგადოდ, ეს დიდის ლოგიკისა და ერუდიციის ადამიანი ყოველ საგანს ძირიან-ფესვიანად შეისწავლიდა, გულ-ღვიძლს გამოუშიგნავდა, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, და ამიტომ პოლემიკის დროს ყოველთვის ენა მახვილი, გონიერი, ღონიერი და დაუძლეველი იყო.

ილიას სახის გამომეტყველების და თვისების აღწერილობის განსამარტებლად უნდა აღინიშნოს, რომ ილია მაშინაც-კი, როდესაც მეგობრულად და ალერსიანად ექცეოდა ვისმეს, გულს არავის გადაუშლიდა და საერთოდ მიუკარებელი ადამიანი იყო. იგი თავის სახის გამომეტყველებით და ენაწყლიანობით გიზიდავდა, მაგრამ თავის გულთან ახლო არ მიგიშვებდა, არც ძალიან შორს დაგიჭერდა და არც ძალიან დაგიახლოვდებოდა.

ილია მიუკარებელი იყო, მაგრამ იმ დროს საქართველოში არც ერთი საზოგადო და კულტურული საქმე არ გაკეთებულა, რომ ის არა ყოფილიყო თაოსანი, ან მონაწილეობა არ მიეღოს. ქართველი ხალხის ცხოვრებას ის უდგა სათავეში, ის იყო იმ ცხოვრების მესაჭე, და ამიტომ ყოველი განათლე-

ბული ქართველი დიდს პატივს სცემდა და დიდად აფასებდა.

ფულისა და ანგარიშის საქმეში ილია ულმობელი და სასტიკი იყო. ასე ამბობდნენ, რომ ილიას და ივანე მაჩაბლის გადაკიდებასაც ეს ულმობელობა გაუხდა მიზეზადაო. ილია ხშირად იტყოდა ხოლმე: ფულს ანგარიში უყვარს და ანგარიშს ფულიო, თუ ფულსა და ქონებას აბუჩად მოეკიდე, ანგარიშის წრესა და ზღუდეს გადასცდი, მერე თავს ვეღარ შეიმაგრებ და კლდეზედ გადაიჩეხებიო. ამ მხრივ ილიას ძალიან უყვარდა სენტენციები. როდესაც ანგარიშს უსწორებდა ვისმეს, ყოველ წვრილმანს ყურადღებას აქცევდა და ხშირად იცოდა ამის თქმა: — ნურც შენსას გამატან და ნურც ჩემსას გაიტანო.

„ივერიის“ რედაქციის მოლარედ და სამეურნეო ნაწილის გამგედ იყო ვინმე მაქსიმე შარაძე, ილიას სასლის ყოფილი მოსამსახურე და შემდეგ სტამბის პატრონი, რომელშიაც გაზეთი „ივერია“ იბეჭდებოდა. ეს მაქსიმე შარაძე გაუნათლებელი კაცი იყო, მაგრამ სოფლის სკოლა ჰქონდა დამთავრებული და წიგნის კითხვას ეტანებოდა. ერთ დროს ისე გაიტაცა საღმრთო წერილისა და სასულიერო შინაარსის წიგნების კითხვამ, რომ სხვა თავის ამხანაგებთან ერთად სექტასავით რაღაცა ამხანაგობა დაარსა, რომელსაც „უდაბურ წყალწმინდის ძმობა“ ეწოდებოდა. ამ ძმობას ეს მაქსიმე შარაძე მეთაურობდა, ბოლოს მან სტამბაც დაარსა. წმ. მამათა ცხოვრებიდან სასულიერო შინაარსის პაწია წიგნებსა ჰბეჭდავდა და საზოგადოდ ასკეტურს ცხოვრებას ეწეოდა. თვით სტამბა მოთავსებული იყო „ივერიის“ რედაქციის ქვედა სართულში, კალინინის ქ., ილიას დის ელისაბედ საგინაშვილის სახლში. ამ მაქსიმე შარაძის შესახებ ასეთი ხმა იყო გავრცელებული: ილიასთან ორიოდე წლის ნამსახურობის შემდეგ შარაძე ერთ მშვენიერ დღეს შესულიყო მასთან კაბინეთში და განეცხადებინა:

თქვენთვის, თქვენის მონდობილებით, სანოვაგესა, სურსათსა და ათასს სხვა რასმეს რომ ვყიდულობდი, ფულს გადავარჩენდი ხოლმე და ოც თუმანზედ მეტი შევკრიფე. ესლა ვგრძნობ, რომ ასეთი საქციელი დიდი ცოდვაა და ამიტომ გიბრუნებ ამ ფულსაო.

ამოიღო თურმე და ფული მაგიდაზედ დაუწყო. ილიამ ეს ფული ჯიბეში ჩაიდო და უთხრა: ძალიან კარგად მოქცეულხარ, აგრე სჯობსო.

როდესაც ეს ამბავი გაზეთის თანამშრომლებმა გავიგეთ, ავლაპარაკდით და ვამბობდით: რა კრიჟანგია ილია, იმ ფულიდან მაქსიმეს ცოტა რასმეს მაინც აჩუქებდაო. ამის შესახებ ვიღასაც ჩამოეგდო ილიასთან ლაპარაკი და ილიას პასუხად ეთქვა:

— როგორ, მოპარული ფული რომ უკან დამებრუნებინა, თუნდაც ნაწილი ამ ფულისა, განა ამით შეურაცხებას არ მივაყენებდი? სად გაგონილა, რომ ქურდს ნაქურდალში წილი დაუდონ. ის კაცი მართალ გზას დასდგომია და ჩემის ასეთის უმართებულო საქციელით ამ მართალ გზას ხომ გადავაცდენდიო. ამის შემდეგ, როგორც ვთქვი, შარაძე რედაქციის მოლარედ იყო დანიშნული და ილია ისე ენდობოდა, რომ სტამბისათვის სწრაფ-მბეჭდავი მანქანა გამოუწერა და შარაძეს სამასის თუმნის თავდებად დაუდგა. ეს ფული შარაძეს ნაწილ-ნაწილად უნდა გადაეხადნა და გადაიხადა კიდეც.

მეორე მაგალითი:

დეკემბრის თვე იყო, ექვსი თუმანი მქონდა თვიური ჯამაგირი. ახალწლის მიწურულები იდგა და დღესასწაული ახლოვდებოდა. ახალგაზრდა ვიყავი და ჯამაგირი ყოველ თვე ნაადრევად მეხარჯებოდა. ამ თვეშიაც დეკემბრის ჯამაგირის ნარჩენი 25 მანეთი მომცეს და ეს ფული საახალწლო ხარჯად მეცოტავებოდა. რადგან დეკემბერში საზოგადოდ რედაქციის სალარო უფრო მსუქანი და შემძლე იყო, ამ თვეში შემოდიოდა გაზეთის წლიურ და არა წლიურ ხელის მომწერთაგან გაზეთის გამოსაწერი ფული, და მე კი უკვე რედაქციის დამსახურებული თანამშრომელი ვიყავი. გავბედე და მაქსიმე შარაძის პირით ვთხოვე ილიას იანვრის თვის ჯამაგირი ამ თავით მოეცა. ილიამ მტკიცე უარი შემომითვალა.

საერთოდ ახალწლის და აღდგომის დღესასწაულს გაზეთის მუდმივი თანამშრომლები და სხვა მწერლები, რომლებიც გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ, ილიას ოჯახში ვეგებებოდით. უკვე ახალწლის წინა ღამე იყო და ჩვეულებრივ ამ საღამოსაც ილიასთან ვიყავით მიწვეული. თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ სტამბიდან ახალ წლის გაზეთის ნომრები

ამომიტანეს. წავიღე ეს გაზეთები და ილიასთან ავედი. სუფრა უკვე გაშლილი იყო და ზედ სინებით გოზინაყი ეწყო. ილიას კაბინეთში კი, ზოგიერთი სტუმართაგანი და მათ შორის დავით გიორგის ძე და ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავები, თვით ილია და ზოგიერთი სხვანი ბანქოს მაგიდას მისხდომოდნენ და ახალ წლის მოლოდინში „ბაქარას“ თამაშობდნენ. მივუამხანაგდი და ჩემის ოცდახუთი მანეთით თამაშობა დავიწყე. ბედმა გამიღიმა და ილიას სამას მანეთამდე ვალი მივაწერე. როდესაც დიასახლისმა ახალ წლის მისაგებებლად მიგვიწვია, ილიამ ფული ამოიღო და ვალი მთლად გადმომითვალა.

ბატონო ილია, ჩემი თხოვნა რომ შეგეწყნარებინათ და იანვრის ჯამაგირი მოგეცათ, მე აქ ბანქოს მოთამაშე არ ვიყავი, რადგან ის ფული ოჯახში სახარჯოდ დამჭირდებოდა მეთქი — ვუთხარი.

მიპასუხა:

— ის არ გერგებოდა, ეს-კი გერგებაო.

ასევე ულმობელი იყო ფულის საქმეში ილია სათავადაზნაურო ბანკის მსესხებელთა მიმართ. ამბობდნენ, რამდენადაც ივანე მაჩაბელი ლმობიერია და ყველას შეღავათს აძლევს ბანკის ვალის წლიურ გადასახადის შეტანის დროს, იმდენად ილია ულმობელია და თუ ვისმე მამული საჯარო ვაჭრობის წესით გასაყიდად არის დანიშნული, ვაჭრობას არ გადასდებს, ვიდრე მსესხებელი წლიურ გადასახადს სრულად არ შეიტანსო. თვით ილიასაგან-კი ასეთი ამბავი გამიგონია:

— საჯარო ვაჭრობის წინა დღეს კახეთიდან ერთი შედარებით შეძლებული თავადიშვილი ჩამოვიდა ტფილისში, რომელსაც მამული ბანკში ჰქონდა დაგირავებული და წლიურ გადასახადის შეუტანლობის გამო მამული ეყიდებოდა. ოთხმოცი თუმანი ჰქონდა შემოსატანი. გამგეობაში შემოვიდა და მთხოვა:

— წლეულს ცუდი მოსავალი იყო და გთხოვთ ამ ვალის გადახდა მერმისამდე მადროვოთ და მამული არ გამიყიდოთო.

— უარი მოვახსენე. კარებამდე წავიდა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— მაშ კარგი. ნახევარს შემოვიტან, ნახევარი დამაცადეთ.

— კვლავ უარი მოვახსენე, გავიდა გამგეობის ოთახიდან, ათის წუთის შემდეგ უკან შემობრუნდა და გამომიცხადა:

— ორმოცდაათ თუმანს შემოვიტან და დანარჩენი მადროვეთო.

— ისევ უარი მიიღო. წავიდა და ორი საათის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და სთქვა:

— კარგი, ილია, სამოც თუმანს შემოვიტან ოცი თუმანი მაინც დამაცადეთო.

— უარი ეთქვა. მეორე დღეს ის იყო საჯარო ვაჭრობა უნდა დაგვეწყო, რომ კვლავ მოვიდა და შემოგვევედრა:

— სამოცდაათს თუმანს გადავიხდი და ათი ჩემზედ დარჩესო.

— უარი გამოვუცხადე. ძალიან იწყინა. ამოალაგა ჯიბიდან ფული და დაგვიყარა.

— აჰა თქვენი ოთხმოცი თუმანი, ესეც თქვენ და ჩემი ცოდოცაო.

— როდესაც ვუთხარი: „კაცო, თუ ფული გქონდა ამდენ ხანს ან ჩვენ რად გვაწვალებდი, ან შენს თავს რაზედ იმცირებდი, განა შენის მამულის ვალს არ იხდიდი, არ გერჩივნა მთლად გადაგეხადაო...

გვიპასუხა:

— თქვე უღმერთოებო, მინდოდა ქალაქში ერთი მაინც წამექეიფნა და მაგის ნებაც არ მომეციოთ.

— განა ასეთ კაცს შეღავათი უნდა მიეცესო. ამბობდა ილია.

ამავე დროს ილია დიდად ლმობიერი იყო საზოგადოდ გლეხებთან, გლეხობა ძალიან უყვარდა. ის გავრცელებული ხმა, რომ ვითომ ილიამ ვიღაცა საგურამოელ გლეხს თავის ეზოდან წყალი არ დაანება და კოკა თავზედ დაამტვრიაო, სრული სიცრუეა, რადგან ერთს ამგვარ შემთხვევას მეც შევესწარი:

უნდა აღვნიშნო, რომ საგურამოში ის მამული, სადაც ილიას სახლი იდგა, ზედაზნის მთის ძირას არის და მთის ზემო ნაწილიდან წყაროს წყალი თიხის მილებით არის ჩაყვანილი ილიას სახლის ეზოში, სადაც დედამიწის ზედა პირზე თლილის ქვის აუზია გამართული და აბანოსავით სპილენძის

ლულიდან წყალი განუწყვეტლივ ჩადის აუზში, შემდეგ აუზის ქვეშ გადის. სახლს უვლის და ვენახების მოსარწყავად იკარგება.

თვით ილიას სახლი სოფელთან შედარებით დიდს მაღლობზედ და მოშორებით მდებარეობს. ილიას ეზო-კი გაშლილია და შემოღობილი არ არის. ზოგიერთი გლეხი, როდესაც არაგვზე წყლისათვის წასვლა დაზარდებოდა, ილიას ეზოში ამოდიოდა თურმე, აავსებდა კოკას იქვე მილიდან განუწყვეტლად მონადენის წყლით და სოფელში ჩაიტანდა. მაგრამ ზოგ გლეხს ეთაკილებოდა, თუ სცხვენოდა ილიას ეზოში შესვლისა, ადიოდა შუა გორაზედ, იქ კრამიტს ამტვრევდა და იქიდან მიქონდა წყალი. რადგან წყაროს სათავე შორს იყო და იქ ასვლა ეძნელებოდა. ეს ამბავი მაშინვე შეეტყობოდა მილს, რადგან რაკი ვინმე კრამიტს გასტეხავდა, წყალი მილს გარედან დაიწყებდა დენას და მთაზედ გადაიღვრებოდა, ილიას ეზოს წყლის ლულაში-კი წყლის დენა შემცირდებოდა, იკლებდა ან მთლად შესწყდებოდა, ვიდრე გატეხილს კრამიტს არ შეაკეთებდნენ.

აი, სწორედ ასეთს ამბავს მე თითონ დავესწარი, როდესაც ილიასთან საგურამოში სტუმრად ვიყავი. ილია და მე დილით ეზოს მხარეს სახლის აივანზედ ვისხედით და ჩაისა ვსვამდით. ილიამ აუზის ლულას წყლის დენის შემცირება შეამჩნია, მოურავს მოსეს დაუძახა და მიზეზი ჰკითხა. იმან უამბო, რომ ამ დილით ერთი საგურამოელი გლეხი ასულიყო მთაზედ, წყლის მილის კრამიტი გაეტეხნა და კოკის ავსებას აპირებდა, ზედ მივასწარი და კოკა წავართვიო, მილი კი ჯერ არ შემიკეთებიაო.

ილიას ეს ამბავი ეწყინა და უთხრა:

— კაცო, ალბათ უშლით ეზოდან წყლის წაღებას, თორემ გლეხი იქ რად ავიდოდა და კრამიტს რად დაამტვრევდა, და როდესაც მოურავმა ეს უარ-ჰყო, ილიამ განაგრძო: იმ გლეხს თავისი კოკა დაუბრუნეთ და აუხსენით, რომ, თუ მაინც და მაინც აქედან უნდა წყლის წაღება, ამოვიდეს და ეზოდან წაიღოსო. ეს შემთხვევა ამტკიცებს, რამდენად გაზვიადებულია და ტყუილი ის ამბავი, რომ ვითომ წყლის გამო ილიამ რომელიღაც საგურამოელ გლეხს თავზედ კოკა დაამტვრია.

პირიქით, ილია გლეხებს ძალიან თავაზიანად ეკიდებოდა

და ყოველთვის სიამოვნებით ემუსაიფებოდა და გლეხებიც ილიას დიდს პატივსა სცემდნენ. ამ ჩემს ნათქვამს ყველა გაიზიარებს და დამიდასტურებს, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია თუნდ მარტო ილიას დღეობას 20 ივლისს საგურამოში. ამ დღეს საგურამოს და ახლო მახლო სოფლების მთელი გლეხობა მოიყრიდა ხოლმე თავს ილიას სახლის კარმიდამოზე, სახელწოდების დღეს მიულოცავდნენ ილიას და დროს აქ ჭიდაობით და ცეკვა-სიმღერით ატარებდნენ. აქვე მოვიდოდნენ ხოლმე წინამძღვარიანთ კარიდგან სოფლის მასწავლებლები, სკოლის მოწაფეებს ამოიყვანდნენ და გლეხობა და ბავშვები საღამომდე ილიასთან რჩებოდნენ. ხშირად მოვიდოდა ხოლმე ილია გლეხებთან სუფრაზედ, ადღეგრძელებდა ესაუბრებოდა და ალერსიანად ეხუმრებოდა.

ერთი მაგალითიც იმის საბუთად, თუ რა ყურადღებით ეპყრობოდა ილია ყოველთვის გლეხის სიტყვასა და აზრს: როდესაც ილიამ საგურამოში სახლი ააშენა და ცოლის მზითევში მოყოლილი ერთსართულიანის ნაცვლად სამ სართულიანი სახლი ააგო, რომელიც დღესაც არის დარჩენილი, ამ სახლის პირველ სართულში, რომელიც დიდს აუზს დასცქერის, დიდი დარბაზი იყო მოთავსებული, ძველებურად, ტახტითა და ხალიჩა-მუთაქებით მოწყობილი: მეორე სართულში რამდენიმე ოთახი იყო და თვით ილია იქა სცხოვრობდა თავის ცოლითა და დით, მესამე სართული-კი შეიცავდა ერთად ერთს ოთახს, რომელსაც ილია კაბინეთად ხმარობდა, და ამ ოთახთან მიშენებულს პატარა სააბაზანო ოთახსავე, რომელშიაც აბაზანი უკვე იყო გამართული, მაგრამ ჯერ წყალი არ აეყვანათ.

ილიას კაბინეთის პატარა აივანი გადასცქერის არაგვის პირს და იქიდან მშვენიერი სურათი იშლება ადამიანის თვალწინ, ხოლო პირდაპირ-კი ეს აივანი მყინვარს გასცქერის. ილიას ამ ოთახში განმარტოება და მუშაობა ძალიან უყვარდა, ხშირად მთელის საათობით იჯდა ხოლმე ამ ოთახის აივანზედ და იმის წინ გადაშლილს არაგვის ხეობასა და მყინვარს გასცქეროდა. იმ დროს, რომელსაც მე აღვნიშნავ, სახლის შენობა უკვე დამთავრებული იყო, მხოლოდ მესამე სართულის აბაზანს წყლის გაყვანა აკლდა. წყლის გასაყვანად მილებს და სხვა მასალა იქვე სახლის ეზოში კედელთან ეწყო და ხუ-

რითმომძღვრის ნებართვას ელოდნენ, რომ მუშაობას შესდგომოდნენ. ილიამ იმ ზაფხულს ორი ქართველი ხუროთმოძღვარი ა.... შვილი და კ.... შვილი მოიწვია საგურამოში, რომ მუშებისათვის ეჩვენებინათ, როგორ და რა გზით უნდა აეყვანათ წყალი მესამე სართულზე აბაზანისათვის. ხუროთმოძღვრებმა იანგარიშეს ფანქრით და ილიას გამოუცხადეს, რომ წყალი აბაზანამდე მესამე სართულში ვერ ავაო. ილია დაღონდა. როდესაც სტუმრები გაისტუმრა და თავის მოჯამაგირეს, საგურამოელ გლეხს, მოხუცებულ მარტიას უთხრა ეგ მილები სარდაფში ჩაიტანეთ, რადგან აბაზანისათვის წყლის გაყვანა არა ხერხდებაო, მარტიამ უთხრა:

— ბატონო, ე მაგათი ნურა გჯერა რა. ი ქაღალდზედ დაბღაჯნით როგორ გაიგეს წყალი ავა თუ არ ავა მაღლა, თუ იმ მთიდგან ამ სიშორეზედ დაქანებული ჩამოდის, შენი ჭირიმე, ამ პატარა მანძილზედ რატომ აღარ უნდა ავიდეს. დამიჯერეთ, ბატონო,მილები დავუწყოთ და ნახავ თუ არ ავა.

ილიამ დაუჯერა, უბრძანა მუშებს მილები გაეყვანათ და წყალი მიეშოთ და როდესაც მუშებმა ეს ბრძანება აასრულეს, წყალი მესამე სართულში მშვენივრად ავიდა.

მეორე კვირას, ილიამ ისევ ის ხუროთმოძღვრები თავის ეტლით წაიყვანა ტფილისიდგან საგურამოში, აჩვენა ახლად გამართული აბაზანი და იმათ დიდად ეოცათ. ისევ ფანქრით დაიწყეს ქაღალდზედ ანგარიში და განაცხადეს ერთ ალაგას გამოანგარიშებაში შეცდომა შეგვპარვიაო.

ეს უბრალო ამბავი ნათლად ამტკიცებს რა ყურადღებით და გულისყურით ეკიდებოდა ილია გლეხის სიტყვას და მოსაზრებას.

დასასრულ იმის აღსანიშნავად, თუ ილიას შესახებ რა აზრისა ვიყავი პირადად მე და ზოგიერთი ჩემი თანამოაზრე.

ერთი ჩემი ექსპრომტად დაწერილი ლექსი უნდა მოვიყვანო. ეს იყო 1898 წ. 20 ივლისს, საგურამოში ილიას სახლის ეზოში, ზედაზნის მთის ძირას წყაროსთან, კაკლის ხის ქვეშ. აქ გამართულ სამუდამო, უძრავ ქვის მაგიდას წამატებული ჰქონდა ხის მაგიდები და, როდესაც ოდნავ წამოწვიმდა და კაკლის ხე ილიას დღეობაზედ მოსულ სტუმრებს, რომელნიც ამ მაგიდას უსხდნენ, ყველას ვერა ჰფარავდა, ჯოხებზედ თოკით მიბმული ქოლგები მიწაში ჩაამაგრეს კაკლის

ხის გარეშე სტუმართა და მათ შორის მასპინძლის დასაცავად. სტუმრებმა მასპინძლისა და სუფრაზე მყოფთა სადღეგრძელოდ რამდენიმე საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვეს, მე-კი იქვე პატარა ლექსი დავწერე და ამ ლექსით ილია ვადღეგრძელე. ეს ლექსი ვგონებ ნიკო ცხვედაძემ გამომართვა, გადაიკითხა და შემდეგ ვიღაცას გადასცა. ლექსი მე აღარ დამბრუნებია, დამეკარგა და აღარ გამხსენებია. ამის გამო იგი არ იყო მოთავსებული ჩემის ლექსების კრებულში, რომელიც 1912 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნად და არც სხვაგან სადმე ყოფილა გამოქვეყნებული.

ამ რამდენისამე წლის წინად ეს ლექსი ჩემის ხელით დაწერილი და ჩემ მიერ ხელმოწერილი აღმოჩნდა ილიას მეუღლის ოლღა თადეოზის ასულის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქაღალდებში, რომლის გასინჯვა და გადარჩევა მინდობილი ჰქონდათ პატივცემულ პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელს.

ვასილ ბარნოვი

აღტაცებული იყო მოსწავლე თაობა ილიათი. ავყვებოდით სეირნობად გამოსულს, შორიახლო მივსდევდით ჩვენს სიამაყეს. თუ ერთად ვნახავდით ილიას და აკაკის, ჩვენ სიხარულს ნაპირი აღარ უჩანდა. ჩვენთვის ილია იგივე საქართველი იყო, ეშხით მებრძოლი სამშობლო მურაზით სავსე.

რუსეთიდან რომ ჩამოველ, მცირე ხნობით მის რედაქციაში მოვყევ: ვთარგმნიდი ფრანგულით, ხელს ვახმარებდი წვრიმანში რედაქციის მუდმივ მუშაკთ: პირისპირ ვნახავდი ილიას, ვიუბნებდი მასთან. რა კმაყოფილებით მავსებდა იგი სიახლე.

ვათვალიერებდი. მეტადრე ღრმად მოქმედობდა ჩემზედ მისი მსჯელობა. ჰაზრთა წყობა მათემატიკურად თანისთანი, ნაფიქრთ წრეები უნაკლოდ ჭდობილნი მთელ მსჯელობაში, მჭიდროდ ნაკავშირებნი, ფიქრთა ჯინჯილი მკვიდრად ნაკვერი.

ძნელი იყო ილიასთან კამათი. ის უფრო ართულებდა მასთან ჰაზრთა ჭიდილს, რომ მარჯვედ იჭერდა მეტოქისაგან ნატყორცს საბუთს, თავისებურად არკალებდა მას და შეუბრუნებდა მასვე, მისივე ფანდით აჯანჯღარებდა მოპირდაპირეს, მისივ იარაღით არყევ-აქანებდა, მუხლზედ დასცემდა. მაგონდებოდა ხალხური თქმა:

მიდის გმირი უიარაღოდ:

— გამარჯვება, აღსართან!

— გაგიმარჯოს!

— სად მიხვალ?

— საომრად.

— იარაღი?!

— მტერი მოიტანს!

ივანე ბუქურაული

ეს იყო 1893 წ. სამასწავლებლო ინსტიტუტში ვსწავლობ. ვარ მესამე კლასში. ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. დაირეკა ზარი. შემოვიდა დირექტორი დიმიტრი ვიკენტიევიჩ კალლოვიჩი. დინჯად და დარბაისლურად დაჯდა კათედრაზე უკვე ხანში შესული. სიჩუმეა. ჩუმად თვალს გვავლებს მოწაფეებს.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დირექტორი არ იყო ცუდი კაცი. კარგად, მშობლიურად გვეპყრობოდა და კარგადაც გვინახავდა. იყო თავის დროის ლიბერალი.

მეცადინეობენ მოწაფეები. ზოგი გაკვეთილებს ამზადებს, ზოგი კითხულობს წიგნს. ორი თუ სამი მოწაფე განზე დგას და ლაპარაკობენ. „რას იპრანჭებით ვიღაც რუსთაველიო, და უწერია რაღაც ძაღლის ტყავი — დიდი რამეა"! — ხმა მაღლიან წამოიყვირა შავრაზმელმა ბუსლაევმა. ამ ხმაზე წამოვარდა შაქრო კანდელაკი, რომელიც კლასის ერთ კუთხეში იჯდა და წიგნს კითხულობდა, მივარდა გააფთრებული და შეუყვირა: „რა დაუწერია?"

— ძაღლის ტყავი, რა იყო? — იყო პასუხი.

კანდელაკმა არც აცივა, არც აცხელა და ისეთი სილა უთავაზა ბუსლაევს, რომ უკანასკნელი გაიმხლართა იატაკზე.

ბუსლაევი გავარდა დირექტორთან საჩივლელად. კანდელაკი დაჯდა თავის ადგილზე და განაგრძო წიგნის კითხვა.

როცა გამოეძია საქმე, დირექტორს, ეთქვა ბუსლაევისათვის:

„არ უნდა შეურაცყოთ ერის სიამაყე"-ო.

კანდელაკს შერჩა სილა. იმ შავბნელ, უაღრეს რუსიფიკატორობის დროს სხვა დირექტორი ასე არ მოიქცეოდა, ასე არ შეხედავდა საქმეს. ამ საქმეს სულ სხვა ხასიათს მისცემდნენ და ვინ იცის, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჩვენი შაქრო

კანდელაკი გამოეპინტრიშათ ინსტიტუტიდან „მგლის ბილეთით“.

ზის ეს ჩვენი დირექტორი, როგორც ვთქვით, კათედრაზედ და ჩუმად თვალს გვავლებს მოწაფეებს.

— დიაღ... წარმოთქვა კალლოვიჩმა ბოლოს, — ჩვენ, რუსებმა არ ვიცოდით, რომ ქართველებს ჰყავთ ასეთი დიდი ადამიანი, როგორიც არის ილია ჭავჭავაძე. ასეთ კაცს, ჩვენ, რუსებსა ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს შემოგვავლო თვალი ქართველ მოწაფეებს.

— ეხლა მესმის — განაგრძო დირექტორმა, — ამის შემდეგ, თუ ილია ჭავჭავაძის დაწერილ რამეს წარმოადგენენ თეატრში, მითხარით და მე თვითონ გაგგზავნით, მხოლოდ, რომ მოხვალთ, მიამბეთ რა ნახეთ და რა გაიგონეთ (საერთოდ ქართულ თეატრში არ გვიშვებდნენ).

ამის შემდეგ გაიმართებოდა თუ არა რამე წარმოდგენა, მაშინვე ვეტყოდით დირექტორს და ისიც გაგვიშვებდა ხოლმე.

ერთხელ, ქართულ თეატრიდან რომ მივედით, მეორე დღეს გვკითხა დირექტორმა: აბა მიამბეთ, რა ნახეთ და ვისი პიესა იყოო. ჩვენ ვუთხარით, რომ ვნახეთ ილია ჭავჭავაძის პიესა „დედა და შვილი“.

კმაყოფილი დარჩა ჩვენი დირექტორი კალლოვიჩი და თავის ქნევით წარმოთქვა: „დიაღ... მესმის... მესმის!“-ო.

აღმოსავლეთ-საქართველოს თავად-აზნაურობას ბანკის კრება აქვს. ქართული თეატრის დარბაზი, ყოფილი არწრუნის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე, სავსეა ხალხით. თუ არა თავადი, ან აზნაური, სხვას არ შეუძლიან კრებაზე შესვლა. შემსვლელს თავად-აზნაურობის მანდატი (ბილეთი) უნდა ჰქონდეს. მე არა მაქვს, იმიტომ რომ, არც თავადი ვარ და არც აზნაური, მაინც ვიშოვე მანდატი ნაცნობების წყალობით და შევედი კრებაზე.

თეატრი სავსეა ხალხით. აქ არის სერთუკებით და პიჯაკებით შემოსილი ინტელიგენცია, ეპოლეტებით მხარდამშვენებული, ჩინ-ორდენებით სამხედრო პირნი და სოფლიდან

ჩამოსული ჩოხა-ახალუხში, ქულაჯაში გამოწყობილი, იარაღ-
ში ჩამსხდარნი თითქო სალაშქროდ მიდიანო, თავად-აზნა-
ურები.

სცენაზე შიგნით დგას სამი მაგიდა. შუაში, მარჯვნივ და
მარცხნივ. შუა მაგიდასთან სხედან ღენერალი მუსხელიშვი-
ლი, პეტრე გრუზინსკი და ერთი-ორი სხვა. მუსხელიშვილი
თავმჯდომარედ არის. მაგიდასთან მარჯვნივ ზის ილია ჭავ-
ჭავაძე და ერთი-ორი სხვა კაცი. მარცხნივ მაგიდასთან ივანე
მაჩაბელი და ორიც სხვა კაცი.

ქართლ-კახეთის მთელი თავად-აზნაურობა აქ არის.
ხალხს ღელვა ეტყობა. აშკარად სჩანს, რომ ეს მთელი თა-
ვად-აზნაურობა ორ ბანაკად არის გაყოფილი: ჭავჭავაძის მომ-
ხრენი, როგორც მაშინ ეძახოდნენ „ჭავჭავაძისტები“ და მა-
ჩაბლის მომხრენი — „მაჩაბლისტები“. სხდომითაც-კი გან-
ცალკევებით სხედან.

ამ ორ ბანაკს შორის არ იყო კარგი განწყობილება. ატ-
მოსფერა შეკუმშული იყო. ხან და ხან იქამდის გამწვავდებოდა
ეს განწყობილება, რომ იარაღით იწევდნენ ერთი ერთმანეთზე
„ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბლისტები“.

დარბაზიდან კიბე იყო ადგმული სცენაზე ასასვლელად.
ერთი ლელო ანდრონიკაშვილი — ეს სახელგავარდნილი ხუ-
ლიგანი, რომელიც ქეიფში შესული გააჩერებდა კონკას, ჩა-
მოყრიდა ხალხს, ჩაუჯდებოდა თავის დამქაშებით და უბრძა-
ნებდა კონდუქტორს გაერეკა ცხენები — გაექანა კიბისაკენ,
რომ ასულიყო სცენაზე, მაგრამ დაედევნა რამდენიმე კაცი
დარბაზიდან და ჩამოათრია ისევ ძირს.

გამოდიოდნენ ორატორები. გამოვიდოდა რომელიმე ორა-
ტორი თუ არა, უკვე იცოდნენ მსმენელებმა ჭავჭავაძისაკენ
ილაპარაკებდა თუ მაჩაბლისაკენ.

გამოვიდა მიშო მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის მომხრე. ლა-
პარაკობს პათოსით, სხაპა-სხუპით, ილაპარაკა ნახევარ სა-
ათს, მეტი თუ არა, არა ნაკლები. მისი სიტყვა იყო მჩატე,
რახა-რუხით სავსე, როგორც იტყვიან თეატრალური. ბევრ
ისრებს ესროდა მიშო მაჩაბელი ილიას, მაგრამ ილია იჯდა
დინჯად, დარბაისლურად. იჯდა ისე, თითქოს ლაპარაკი მას
არ ეხებოდა. ხელში ფანქარს ათამაშებდა და გულმოდგინედ
ყურს უგდებდა მიშო მაჩაბელს. როგორც იყო გაათავა მაჩა-

ბელმა... ივანე მაჩაბლის მომხრეებმა ტაში დაუკრეს. მძიმედ, ნელი ნაბიჯით, ისევე დარბაისლურად, ხელში ისევე ფანქრით წამოდგა წინ ილია. დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა სმენად გარდაიქცა.

— ბატონებო, — დაიწყო ილიამ, — ჩვენმა მიშო მაჩაბელმა იმდენი აჭენა თავქვე ცხენი, სანამ საკუდური შემოაწყდებოდა, და შემოაწყდა კიდეც!..

იგრიალა ხალხმა. სიცილ-ხარხარი, ტაში, „ვაშა"-ს ძახილი. ვინც ივანე მაჩაბლის მომხრენი იყვნენ, ისინიც კი იცინოდნენ. ივანე მაჩაბელს და თვით მიშო მაჩაბელსაც კი ეცინებოდათ და იქნევდნენ თავებს. ილიამ ამით უკვე გაიმარჯვა, მიშო მაჩაბელი განადგურდა.

ილია კარგა ხანი იდგა, სანამ ხალხი დამშვიდდებოდა. როგორც იქნა დამშვიდდა ხალხი. ილიამ განაგრძო სიტყვა, მაგრამ ძალიან მოკლედ მოსჭრა.

* *

1906—7 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოვებით. საღამოა. შემსვდა მეგობარი.

— არ მოხვალ? მომიბრუნდა მეგობარი, — დღეს 8 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში ქართველ ღვდლებს კრება აქვთ. ღვდლებს უნდათ გამართონ სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება, მთავრობა ამის ნებას არ აძლევს და ამაზე იქნება სჯა-ბაასი. საინტერესოა, წავიდეთ.

— წავიდეთ, — ვუთხარი მე და გავსწიეთ.

სკოლის დარბაზი სავსე იყო ხალხით. ვინ გინდა, რომ აქ არ იყო. იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირნი. კრება უკვე დაწყებული იყო. იდგა გაცხარებული კამათი. თავმჯდომარეობდა კრებას სიონის ტაძრის ბლაღოჩინი ტყემალაძე. დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა. კუთხესთან ვზივარ. დგას ხმაურობა. ხან და ხან სიცილ-ხარხარი. უცბათ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და კარებისაკენ იყურებოდნენ. ავდექი მეც და გავიხედე კარებისკენ. ვინ ვნახე? — ჩვენი დიდი, საყვარელი ილია.

დარბაისლურად, დინჯად მოვიდა ილია და დაჯდა ჩემ-

თან ახლო; იმავე კუთხესთან, ისე რომ ჩემი მუხლი იმის მუხლს ეხებოდა. ბედნიერი ვიყავი. რომ იმასთან ვიჯექი ასე ახლოს. პირის პირ შევცქეროდი ამ დიდებულ კაცს, რომელიც სახელოვანად წინ უძღოდა ხელში ლამპრით თავის ერს ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. შევცქეროდი იმ ილიას, რომელმაც მისცა ხალხს: „აჩრდილი", „განდეგილი", „კაკო ყაჩაღი", „გლახის ნაამბობი", „კაცია ადამიანი?", „ოთარაანთ ქვრივი" და სხვა. ამ ნაწარმოებზე აღვიზარდენით, ამ ნაწარმოებებმა ჩაგვინერგეს დავრდომილისა და სამშობლოსადმი სიყვარული. შევიგენით კლასთა წინააღმდეგობა, ბატონისა და ყმის ურთიერთობა.

— განაგრძეთ, რას გაჩუმებულხართ? — მიუბრუნდა ილია ტყემალაძეს.

დაიწყეს ლაპარაკი. ილია იჯდა დინჯად. თითებში პენსნეს ატრიალებდა და გულმოდგინეთ ყურს უგდებდა ყოველ მოლაპარაკეს. მისი გაშლილი მაღალი შუბლი არც იშლებოდა, არც იკუმშებოდა, მისი დიდრონი ჭკვიანი და გამომეტყველი თვალები უყურებდნენ მოლაპარაკეს ისე, თითქო უნდა ჩაძვრეს მის გულში და ამოიკითხოს იმის გულის ნადებიო.

სიჩუმე ჩამოვარდა. აღარავინ ლაპარაკობს. წამოდგა თავმჯდომარე ტყემალაძე და მიჰმართა ილიას:

— ბატონო ილიავ, მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დაგვარიგეთ, გვითხარით როგორ მოვიცქეთ?

ილიამ დასდო პენსნე მაგიდაზე და სთქვა:

— გული სუსტი მაქვს, ბევრს ვერ ვილაპარაკებ, აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული, ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართეთ თვით მეფეს და, თუ არაფერი გამოვა, არა უშავს-რა, ერთი-ორი მათრახი თქვენ ანაფორებსაც მოხვდესო.

ბევრმა ხანმა არ გაიარა, სულ რამდენიმე დღემ — ღვდლები შეიკრიბნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, მისცვივდნენ ყაზახები და ერთი ორი მათრახი-კი არა, სულ ბურტყლი აადენინეს მათ ანაფორებს.

ეკატერინე გაბაშვილი

საუბედუროთ ერთი ნაწილი ჩემის მოგონებათა ილია ჭავ-ჭავაძის პირად ცნობისა და იმის ოჯახური განწყობილებისა, ჩემი სიბელეშით და უთაურობით, დავკარგე, თუმცა მაინც და მაინც ბევრის თქმა რისამე არ შემეძლო. მე საზოგადოთ ძალიან გაუბედავი და მოკრძალებული ხასიათის ადამიანი ვარ და თვით ილიაც, თავისის მკაცრი თუ ჩემ გვარათვე მოკრძალებული და გაუბედავი თვისებით, არ მაძლევდა ნებას შინაურულად დავაახლოებულვიყავ იმათთან. ოლღა, ილიას მეუღლე, ხშირად მპატიჟობდა მას შემდეგ, როცა მე არჩეული ვიყავ წერა-კითხვის საზოგადოების მართველობაში წევრად და ერთად გვიხდებოდა მე და იმას ამ საზოგადოებისთვის მუშაობა, იმის შეძლების გაძლიერებისთვის საქველმოქმედო ბაზრობა, რომელიც პირველ ხანებში ძლიერ დიდ შემოსავალს იძლეოდა და დიდი შრომა და დიდი დროც სჭირდებოდა იმის მოწყობას, ხელმძღვანელობას.

შემდეგში ხომ უფრო დავახლოვდით მე და ოლღა, როდესაც ჩემ სახლში და ჩემის ზედამხედველობით დაწესდა ქალთა პროფესიანური სკოლა — „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ სახელობით და რომლის თავჯდომარეობაც იყო ოლღა ჭავჭავაძე არჩეული. ეს ნაცნობობა საერთო ინტერესებით და საქმით შეერთებული თითქმის მეგობრობათ იქცა ჩვენ შორის... ხშირად მოხოვდა ოლღა, ვწვეოდი სადურამოში, მაგრამ მე იმოდენა გამბედაობა არა მქონდა, რომ ხშირად შემეწუხებინა ჩემის სტუმრობით და არც თუ მოცალება მქონდა, რადგან საზოგადო საქმის გარდა, ოჯახი და წვრილშვილობა ხელს არ მიწყობდა სეირნობისათვის. ასე რომ, ჩვენი ნაცნობობა, ოფიციალური დამოკიდებულებით სწარმოებდა, ი ლ ი ა ო ბ ა ს კი რამდენჯერმე დავესწარი, რადგან მიღებული იყო, ამ შესანიშნავ დღეს, ყველა ქართველისათვის, მისულიყო და პატივი და თაყვანისცემა მიეძღვნა დიდებულს კაცისათვის.

პირველ ხანებში ილია სცხოვრობდა პატარა ხის ოთხ ოთახიან სადგურში, რომელიც კარგა მაღლობზედ, ზედაძენის ტყის ძირას იდგა. სახლი უკან პირით მიქცეული იყო პატარა ეზოსკენ, რომელიც დაჩრდილული იყო რამდენიმე კაკლის ახოვანი ძირით და იქვე, ტყის ძირას, კაკლებ შუა ეზოში სჩქეფდა პატარა წყარო, ლამაზი ქვათლილის აუზით. და როგორც პატარა იყო სადგური, ისეც სტუმრობა „ილიაობას" არ იყო მრავალრიცხოვანი, ყოველთვის ახლო მეგობრებით და პირად ილიას გაზეთის თანამშრომელთა რაოდენობით. კარგად მახსოვს ჩემი საგურამოს პირველად მისვლა. მე და ტასო თუმანიშვილი, რომელიც გათხოვებამდე ჩემი განუყრელი თანამშრომელი იყო ყოველ საქველმოქმედო საქმეებში და წ. კ. საზ. ალეგრაშიაც, რასაკვირველია ოლღასთანაც მუშაობდა, წავედით 19 ივლისს ილიას დასთან საგინოვის ცოლთან ერთად საგურამოს, ილიას ცნობილი კალიასკით, ჩვენთან თბილისიდგან ერთად ლიზას ორი მეგობარი, ოდესღაც მშვენიერი, დოდაშვილის ცოლი თამარი და მეორე არა ნაკლებ მშვენიერი (ვეღარ მოვიგონე სახელი). მისვლის უმალ, ლიზა თავის დოსტებით და თავის თან მოყოლილი მოახლით, თავის ოთახში შევიდა და აღარ გამოსულა, ჩვენ დავრჩით ბალკონზედ და ჩაი იქ მოგვართვეს. ლაპარაკი როგორღაც არა ხერხდებოდა. ილიას ყოველთვის ამგვარი გავლენა ჰქონდა იმ ქალებზედ, რომელნიც შეკრთებიან ხოლმე წარჩინებულ ადამიანის საზოგადოებაში, ოლღა კი მასპინძლობაში იყო გართული.

ილიას აგარაკი ფრიად სადად და უბრალოდ იყო გაწყობილი. მაღალი, ძრიელ მაღალ ფეხებიანი ტახტი, რაღაც უბრალო მებელის ჩითით გადაფარებული, უბრალო შეუღებავი სტოლი, გრძელი ხის სკამები, უბრალოვე პატარა ლამპა სტოლზედ, უფრო ღარიბ აზნაურის სადგურს ამსგავსებდა, მინამ დიდის თავადის და ბანკის მმართველის ოჯახს. მე ეკიპაჟში ძრიელ ვიწროება განვიცადე (ექვსნი ვისხედით) და ტახტზედ ავიკეცე დახუთული მუხლები და ქართულად მოვიკეცე. ილიამ უთუოდ სიტყვის მასალათ და ლაპარაკის ჩამოსაგდებათ, შემნიშნა და მითხრა: „კარგია განათლებული ქალი მოკეცას კადრულობო? მე სიცილით მიუგე: „თქვენი ტახტი, ბატონო, ისეთი მაღალია, რომ მაზედ ევროპიულად ჩამოჯდომა

შეუძლებელია-მეთქი, თორემ არც მე ვეწყობი აგრე რიგად, მუხლების მოკეცვას-მეთქი!“ და უეჭველია, ამ უზდელი პასუხით, უფრო ჩავაჩუმე და მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია. ლაქიამ, ახმახმა და რიგიანად გამოწყობილმა, ჩაი მოგვართვა. ოლღამ ამ ვაუკაცს მკაცრათ შენიშვნა გაუკეთა: „თვალები არ გასხია, რომ სარძევე ასე ჭუჭყიანი მოგქონდაო? რამაც გამოპრანჭული ლაქია ძრიელ შეარცხვინა და საჩქაროდ დასდგა სტოლზედ ფადნოსი ჩაით და გავიდა. მოსამსახურის გასვლის შემდეგ ილია წამოდგა ზეზე და თითონაც არა ნაკლების სიმკაცრით ცოლს უთხრა: „რა დაგემართა, ოლღა, რომ ამოდენა კაცს, ამ უცხო ქალებთან მაგვარი შენიშვნა გაუკეთეო და გააწითლეო!“ ჩვენ კი არ შეგვინიშნავს ლაქია გაწითლდა, თუ არა, მაგრამ კნეინა კი ძრიელ გაწითლდა და ჩვენი სიჩუმე ამის იქით, სრულ სიმუნჯეთ გადაიქცა. ასე რომ, პირველი სანატრელი და სასიხარულო ნაბიჯი დიდებული კაცის სახლში შესვლისა, სრულის ფიასკოთი გათავდა ჩემთვის და მთლად მოშალა ჩემი სადღესასწაულოდ მომზადებული აღმაფრენა. კარგი, რომ მალე მოვიდნენ სხვა სტუმრები და ჩვენი უგემურობა გააქარწყლეს თავიანთი ახმაურებით...

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ილიამ დიდი და მშვენიერი სახლი აიშენა საგურამოში, სტუმართა რიცხვი დიდათ გაიზარდა, ილიას პატივმცემელთა ინტელიგენტთ და მეგობარ-ნათესავთ გარდა, ბევრი ხეპრე, შეუგნებელი და არა მცოდნე ილიას ნამდვილი ვინაობის ღირსებისა, მარტო „ილიაობა-ჯვარობაზედ“ თავის გამოსაჩენათ, საქეიფოთ მოდიოდა. ერთხელ, მახსოვს სხვათა შორის, ერთი კუდაბზიკა თავადი, რომელიც ჩუსტებით და წელზედ აკვანის თასმით მოჭერილი მინახავს ბანკიდგან ფულის მიღებამდე, ეხლა ბანკის ფულით გამოწყობილი თეთრ ჩერქესკაში და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით შეიარაღებული, ორთხცხენიანი ფაეტონით მოგრიალდა პირდაპირ შუა ეზოში და თავმოწონებით გადმოიღო ეკიპაჟიდან დიდი ბოჩკა „ცოცხალით“ და კარგა მოზდილი ტიკით კახური „კამპანიაში“ საქეიფოთ.

როდესაც საქეიფოთ მოსული დავინახე და ვიცან იმაში ჩემი ნათესავი პინპულაძე, კინაღამ დამბლა დამეცა, სირცხვილის ოფლში გავიწურე, იმან კი ჩემ დანახვაზედ შეჰღრიალა:

„ოჰ, შენც აქა ხარ! კარგი ალაგი ყოფილა მე და ჩემმა ღმერთმა ეს საგურამო, ნამდვილი საქეიფო და სალხინო. და თან თავის ვითომ გასაოცარ საოხუნჯო სიტყვებს ხარხარი დაუმატა.

იმ წელს მრავალი ხალხი მოვიდა თბილისიდან, ქუთაისიდან, თუ არა ვცდები, პროფესორი წუბინაშვილიც იყო, მაშინდელი პეტერბურგის სამხრეთული ენების მასწავლებელი, ილია წინამძღვრიშვილის სკოლა მასწავლებლებით, საგურამოს პატივცემული დარბაისელი გლეხობა. დიდი სამზადისი იყო ამოდენა ხალხის დასახვედრად. ახალი სახლის გასწორივ, რამდენიმე ალეია იყო გაყვანილი და ხალხი, სკოლა იმ განიერ გასუფთავებულ გზებზე ორპირად ჩამომწკრივდა, შუაში ლურჯი სუფრები გაიშალა. პური, ყველი, მწვანილი, კიტრი და სხვა სანოვაგე მრავალი ეწყო და უშველებელი გოზაურებით ახლო-ახლო ღვინო იდგა. ყანწები, სტაქნები, ჯამები. ერთი სიტყვით, ყველაფერი დიდის წესიერებით და გულუხვობით იყო მომზადებული. ილია თანხლებით ინტელიგენციისა და რჩეული სტუმრებით, დადიოდა მოქეიფე გლეხობის გარშემო, ალაგ-ალაგ ჩაჯდებოდა მათ შუა, ელაპარაკებოდა, მათ სადღეგრძელოს სვამდა. საგანგებოთ მოწვეული მომღერალნი მღეროდნენ „მრავალჟამიერს“, „სუფრულს“. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დილით, სანამ გლეხობა შეგროვდებოდა, უცებ სტუმრებ შუა რაღაც ხმაურობა ასტყდა, მოსამსახურეები შემოცვივდნენ ოთახებში და არაგვის მხარეს დიდი ბალკონისკენ გაცვივდნენ. ქალები ეზოს ბალკონზედ ყავას, საუზმეს შევექცეოდით ოლღასთან, ილია ზემოთ ეტაჟაში, თავის კაბინეთში კაცებთან ბაასობდა, თუ საუზმობდა, არ ვიცი. ამ მოულოდნელ ხმაურობაზედ ჩვენც წამოვდექით. ზემოდანაც სიჩქარით ჩამოვიდნენ და გარეთ ბალკონისკენ გავეჩქარენით ყველანი. მშვენიერი სურათი წარმოგვიდგა ყველას თვალწინ: ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილ-წყვილათ, ნელა ნელა მოდიოდნენ და „ეგზავრულს“ მწყობრათ მღეროდნენ. მალე მოუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული და თქარა-თქურით ამოიჭრნენ ზემოთ, წინ მოუძღოდათ გრიშა აბაშიძე

თეთრ ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეჭირა უშველებული ბაირაღი ალისფერი ატლასისა ოქრომკედის ბაფთით მოვლებული და ზედ ამოკერილის ილიას ლექსით, არ მახსოვს რომელი ლექსით.

მალე ყველანი ბალკონზედ შეიკრიბნენ და აბაშიძემ თავის ოქროპირულის ორატორული ნიჭით სიტყვა მოახსენა და მიულოცა ილიას ახალი სახლის აშენება და დღეობა. როგორც ყოველთვის გრიშას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ქალები, მოსამსახურენი სიხარულით თუ სიტყვის შინაარსით ავტირდით. თითქო ილიასაც თვალები აევსო ცრემლებით, გადაეხვია აბაშიძეს, ჩამოართვა ბაირაღი და დიდის მადლობით რამდენიმე სიტყვა უთხრა მოსულებს. ბაირაღი საჩქაროთ ვიღამაც გაიტაცა და მესამე ეტაჟით ამართულ ილიას კაბინეტის თავზე დაარჭო. და დიდებულად აფრიალდა წითელი დროშა მთელი გარემოს დასანახავათ. ამ დროს მთელი საგურამოს რჩეული გლეხკაცობა ოჯახობით შეიკრიბა. საგურამოს ბაღის მებაღეთა კრებული სახლებით, საუკეთესო ხილით სავსე და ვარდის თაიგულებით, გარს შემოერტყა კრებულს და საერთო სიმღერა და მრავალჟამიერი გაისმა. დიდებული სურათი იყო. ილია მთლად გარინდებული, გარდამეტებულის გრძნობით გამსჭვალული, სიტყვას ვერ ახერხებდა ეთქვა, მხოლოდ ნათელი ედგა იმის ძვირფასს სახეს და ნამდვილ კმაყოფილებას გამოსახავდა.

შემდეგ ხალხი დალაგდა, გაიმართა ნადიმი და თითქმის საღამომ მოატანა, როდესაც ხალხი აიშალა. ახლა გაიმართა ჭიდაობა, ლეკური და ბოლოს ჩვეულებრივი აურზაურით დამთვრალი სალხის მომატებულად აღრეული ღვინით გაჟღენთილი ხმაური. როდის, როდის დაწყნარდა ყველაფერი და რჩეულნი სტუმარნი მხოლოდ მაშინ შეუდგნენ ნადიმს კაკლებ ქვეშ, ძვირფასად გაშლილ სუფრას და დაიწყო სიტყვათა შადრევანი. ვინ ვის ასწრობდა მასპინძელთა მადლობას, ქების შესხმას, არა ჰქონდა დასრულება. სადილ შემდეგ ჩაი, ჩაის შემდეგ ვახშამი და ასე თითქმის გათენებამდე გაგრძელდა ნადიმი ილიას „ილიაობის“ დღესასწაულისა...

* * *

როდესაც პოლტარაცკიმ განაახლა ნაცნობობა ილიასთან, სხვათა შორის, ილიას ცოლის შერთვაზედ ერთხელ მიამბო შემდეგი: გასაოცარი რომანტიკოსია, ეს თქვენი ბრწყინვალე ლიტერატორი და პირველი სორტის ქართველი ილიაო. ბევრი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი გადაიარეს ოლღამ და ილიამ, მანამ ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მერე შეუღლდნენო. მე ერთ ფაქტს იმის გადარეულის სიყვარულისას გიამბობთ მხოლოდ და იქიდგან შეგიძლიანთ შეიტყოთ, თუ სადამდის ძლიერი იყო იმისი რომანტიკული სიყვარულიო. ოლღა და ეკატერინე გურამიშვილები, ჩვენი სადგურის მოახლოვებით სცხოვრობდნენ ბებიასთან. სავარსამიძის ცოლი, რომელიც ფრიად შეძლებული და მაღალ საზოგადოებაში მიღებული დედაკაცი იყო და თავის ორ ობოლს, მშვენიერ შვილიშვილს, დიდათ ანებივრებდა, ულოლიაებდა, რთავდა და მაშინდელ საზოგადოებაში გამოჰყავდათ ახლად ინსტიტუტიდან გადმოფრენილნი კნიაჟნებით.

ბებიასთან იმიტომ სცხოვრობდნენ თადეოზ გურამიშვილის ქალები, რომ იმან მეორე ცოლად შეირთო დავით დიასამიძის ქალი მარიამი, რომელთანაც შეეძინა მემკვიდრე ვაჟიშვილი და ქალიც, რამდენი ხნის შემდეგო. ოჯახი თადეოზისა სცხოვრობდა სოფ. ავჭალაში და თვით თადეოზი კი საგურამოს, თავის დიდ და კულტურულად დამუშავებულ მამულში ვარანცოვის განკარგულებით და დახმარებით მოწყობილში, ასევე როგორც ზემო ქართლში დიასამიძის მამულში და შუა ქართლში, მიხეილ მაღალაშვილის მამულშიო. ბებიას კი შეუძლებლად მიაჩნდა ინსტიტუტ დამთავრებული გოგონები ავჭალის ციხე-გალავანში შეემწყვდია და ისიც დედინაცვალთან და იმის ცნობილ იდიოტ შვილებთანაო. გურამიშვილების ქალების დიდ მზითვიანობას ვინ იფიქრებდაო, როცა მემკვიდრე ვაჟი ჰყავს თადეოზს, მაგრამ, როგორც ლამაზებს და მაშინდელ დროების შესაფერად აღზრდილებს, ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავდათ და უკიდურესად გადარეული იყო ჩვენი ილია უმცროსი დის ოლღას მშვენებით, მაგრამ მაშინ ძლიერ ხელმოკლე თავადი ჭავჭავაძე და მასთან მწერალი და

ლიბერალი, სასურველ სიძეთ ვერ ჩაითვლებოდა და თავის ტრფიალს მალამდაო და ამის გამო ორ ახალგაზრდა მიჯნურთა შუა, ჩუმი მიწერ-მოწერა იყო შუამავალიო. ილია მთლად გადარეული იყო თვალჭრელა ოლღასთვის და მთელი დღე და ღამე იმის გზას და კვალს ეძებდაო. და თუ რამდენად ძლიერი იყო ილიას გატაცება თავის სატრფოთი, ერთი მაგალითი გვიამბო: ილიას ჰყავდა ლალა (სახელი დამავიწყდა) შუა ხნის კაცი, ყოფილი ყმა, რომელიც უნივერსიტეტშიაც თან ახლად და წამით არა შორდებოდა თავის საყვარელ აღზრდილ ნებიერსაო და ესლაც ორ მიჯნურთა შუა, ეს ლალა იყო მათი მესაიდუმლეო.

ერთ საღამოს ჩვენთან უნდა შეგროვილიყვნენ საერთო მეგობრები, ილიას მსახურმა სუყველაფერი დაამზადა, ცხელ-ცხელი სამოვარი მოგვართვა და თითონ კი საღაცა მიიმალაო. ილია კი საშინელ მოუსვენრობას იჩენდა, ერთ ალაგას ვერა ჯდებოდა, ლაპარაკს სწყვეტდა, პასუხს შეკითხვებზე რიგიანად ვერ იძლეოდა და მოუთმენლად შედიოდ-გადიოდა. შუა ღამე გადასული იყო, როდესაც ქუჩის კარებში დარბაისელმა მსახურმა თავი შემოყოო და ვერ წარმოიდგენთ, თუ რა მოხდაო. ეს ჩვენი ლიბერალი და თავისუფლების მოტრფიალე პოეტი, სწვდა თავის მოამაგე ლალას საყელოში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე დაუწყო ჯანჯღარი და თან უშვერად ლანძღავდა და აგინებდაო: „მხეცო, ჩერჩეტო, უგუნურო პირუტყვო, სად იყავი აქამდეო? სად ოხრობაში დაეთრეოდი, განა არ იცოდი რომ გელოდიო, რომ სული კბილით მეჭირაო! რომ შემეძლოს კბილით დაგგლეჯამდიო“ და სხვა. „ყმაწვილო, ყმაწვილო, ილიკოჯან, ნუ დამახჩე, დამაცალე, მათქმევინე, რაშიაც იყო საქმეო!“ ღრიალებდა საწყალი მოამაგე ბებერიო. თან ჩვენ წავეშველეთ, შევთათხეთ ილია, ამ გვარის თავხედობისთვის და ხელიდგან ძლივს გამოვგლიჯეთ თავის ერთგული შიკრიკიო, რომელმაც მხოლოდ ესლა მოახერხა უბიდამ გამოეღო ხელის ოდენა საიდუმლო ბარათიო და ბრძოლისაგან მიქანცულმა მოხუცმა, გადასცა მოუთმენელ არშიყს და თან თავის მართლებას შეუდგაო. „ქალი „ვეჩერში“ ბრძანდებოდა ნამესტნიკთან, თორმეტ საათზე მოვიდა, სანამ თავის ოთახში შევიდა, სანამ მოახლემ შენი ბა-

რათი გადასცა სანამ საპასუხო უსტარი დასწერაო, დრო იყო საჭირო თუ არაო?“

— მაპატიე, მაპატიე, ჩემო კარგო მეგობარო! — ლმობიერათ მხარზედ ხელი დაადო ილიამ ლალას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ბარათი გადაიკითხაო.

მერე რო იცოდეთ რა იშვიათი კაცი იყო, რა უზომო ერთგული და მოსამსახურე, როგორის დედა-შვილურის სიყვარულით უყვარდა, უვლიდა და ყოველს იმის სურვილს ასრულებდაო. არც ერთი დედა, არც ერთი აღმზრდელი, ვერ გამოიჩენდა ამოდენა ალერსს, ამდენ სინაზეს, როგორც ის უბრალო გლეხი, თავის აღზრდილისადმი, გახდიდა ტანთ, როგორც ბალღს, ჩააწვენდა გამზადებულ ლოგინში, დაუჯდებოდა ფეხთით და... და თან ზღაპრებს უამბობდაო, მანამ დეეძინებოდა ნებიერს და მერე პირჯვარს გადასწერდა სასოებით და ფეხის აკრეფით გავიდოდა სამზარეულოში.

ამ სიტყვებით დაასრულა პოლტარაცკიმ თავისი ამბავი ილიას მიჯნურობის შესახებ და ეს ლაპარაკი უშუალოდ მოწმობს, რომ ილიას და ოლღას სიყვარული ყოველგვარ ანგარების გარეშე იყო ჩასახული და ორი ახალგაზრდა, სრულნი ყოველგვარი პიროვნების ღირსებით, შეყვარებულნი იყვნენ და დიდხანს, დიდხანს ერთად და ერთგულებით ეწეოდნენ ღარიბი ცხოვრების ჭაპანსო და მამულის კანონიერი მეთოთხმეტედი მიიღეს მხოლოდ, ხანში შესულობის შემდეგ, როცა თადეოზი გარდაიცვალა და მემკვიდრეობა კანონის ძალით გაინაწილეს სუყველა შვილებმა.

ოლღა ფრიად მშვენიერი ქალი იყო, ილიაც არ ჩამოუვარდებოდა სილამაზეშიო და როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ორ ყმაწვილ და ბედნიერ არსებათ შორის, შეუყვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერიალურ ანგარიშს ალაგი არა ჰქონია იმათ შორის და არც შეიძლებოდა რომ ჰქონოდაო. მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიულის გატაცების, რის შედეგიც იყო ბებიის სახლიდან ოლღას გამოპარვა და ჩვენი ამხანაგების დახმარებით იმათი საიდუმლოთ დაქორწინებაო...

მე მრცხვენია, რომ ეს ჩემი წერილები და მოგონებანი ასე ბელეშურად და დაუმუშავებლად მაქვს დატოვებული, მაგრამ ჩემი ცხოვრების გარემოება და ღრმა სიბერის უღონობა,

მაბედვინებს მომავალს მემატიანეს დაუტოვო ის, რაც ვიცოდი ნამდვილათ და რის აღდგენაც ჩემ ხელთ იყო... ვიმედოვნებ მით, რომ სხვანი უფრო ვრცლად, უფრო თავდარიგიანი აღნიშვნებით გააშუქებენ ილიას წარსულს და მომავალს. გააშუქებენ იმ ნათელი შუქით, რომელიც ეკუთვნის იმის მდიდარს ბუნებას.

რევაზ გაბაშვილი

...მეცხრამეტე საუკუნეში მართალი იყო ქართველი საზოგადოება, რომელმაც ფრანგი მოგზაურის შეკითხვაზე: — ვინა გყავთ ყველაზე დიდი პიროვნებაო? — უპასუხა Ilya Ilia (სიტყვათა თამაშია, ფრანგულად ნიშნავს: ეს არის ილია).

...მახსოვს, ილია მოდიოდა ყოველ ახალ წელიწადს სათავადაზნაურო სკოლაში, უკან მოსდევდა მოსამსახურე ორი ვეებერთელა კალათით და თვალდაცეცებულ მოწაფეებს ბღუჯა-ბღუჯად გვირიგებდა კამფეტებს და სხვა ტკბილეულობას. ასე მგონია დღესაც, სიმბოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ილიას ეს გულუხვობა, თუ როგორ ურიგებდა მთელ ქართველ ერს თავის გულისა, გონების და ხელის ნაწარმოებსა.

...ნამდვილი ომი, — უამისოდ ვერც ერთი ქართული საქმე ვერ გასძლებს, — გათამაშდა ჩემს ყმაწვილობაში, როდესაც ილია ჯერ ცოცხალი იყო, — „ბანკობიანას“ სახელით. ხუმარანი თუ პოეტები, ჟურნალისტები თუ პუბლიცისტები, ტლანქი მოენე თუ კარიკატურისტები, მთელი ქართველი საზოგადოება იყო გაყოფილი და აყოლილი თავად-აზნაურობის ამა თუ იმ ბანაკს: „ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბელისტები“ გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ვანო მაჩაბელის მომხრე ქართლელი თავადაზნაურები ტივებით ჩამოდიოდნენ თბილისში და კახელნი ცხენ და ცხენ ან „დილიჟნებითა“.

ყოველი კრება იყო მძაფრი პაექრობა არა მარტო ილიას ენამჭევრობის „მძიმე არტილერიასა“ და ვანო მაჩაბლის მჭერმეტყველების „მსუბუქ ცხენოსნებს“ შორის, არამედ გონებით უფრო ნაკლებ, ვიდრე სატევრითა და რევოლვერით შეიარაღებულთა შორის.

მაგრამ ილიას ძალუმი ლოღიკა, სარკაზმებითა და მჭრელი ირონიით შეზავებული სიტყვა, არა მარტო სჯობნიდა მუდამ, არამედ, რაც მთავარია, — ანელებდა მოწინააღმდეგეთა

სიმძაფრეს და კრება არასოდეს გადასცდენია პარლამენტალურ წესებს.

ერთხელ, მიხეილ მაჩაბელმა, ილიას ყველაზედ მოუსვენარმა მოწინააღმდეგემ, ტაშიც კი დაუკრა ილიას, აღტაცებულ კრებასთან ერთად.

— ბატონებო! — წამოდგა ილია, — სისულელე ხომ არა წამომცდა რა, მიშო მაჩაბელიც კი ტაშს რომ მიკრავსო?

ერთ-ერთ წინა კრებაზედ, მიხეილ მაჩაბელს, აზრის დასასურათებლად უთქვამს: „ერთხელ თიენეთს მივდიოდი, ბურუსი იყო საშინელი, გზა დამებნა და შორიდან ძაღლის ყეფა შემომესმა, ალღოთი ავყევი და გზაც გამოჩნდაო". ამის შემდეგ ვიღაც არტილერიის ღენერალს უსაყვედურებია ილიასთვის: „ბატონო ილია, თქვენ სარგებლობთ თქვენი ცოდნითა და პრესტიჟით და საზოგადოებაზე ახდენთ გავლენას, სინამდვილეში კი მიხეილ მაჩაბელი მართალიაო". ილიას კვლავ დაუსაბუთებია თავისი აზრი და დაუმტკიცებია: „ლოღიკისა და ცოდნის წინააღმდეგ ვერავითარ არტილერიას არაფერი შეუძლიანო, და რაც შეეხება ალღოს, მე ხომ მიშო მაჩაბელი არა ვარ, „ბურუსში ავყვე ძაღლის ყეფასაო". მომხრეთ და მოწინააღმდეგეთ ისეთი სიცილი აუტეხიათ, რომ შემდეგ კრებებზედაც კი მიხ. მაჩაბელს და არტილერიის ღენერალს ხმა აღარ ამოულიათ.

საბოლოოდ ილიამ გაიმარჯვა, მისი პირადი მეგობარი ივანე მაჩაბელი კი მისტერიულად დაიკარგა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ზეთივით გადაესხა „ბანკობიანას" ზღვას... სტიქიონი დაწყნარდა და მას აქეთ, ილიას მესაჭეობით, ბანკის გემს ყოველწლიურად მოჰქონდა საქართველოს სალაროში ერთი მილიონი მოგება. ნახევარი ხმარდებოდა ბანკისავე გაძლიერებას, უძრავ და მოძრავი თანხების სახით და მეორე — გამოუკლებლივ, იყო ნამდვილი ბიუჯეტი ქართული საზოგადოებისა. ილიას შემდეგაც ქართულ სალაროში ყოველწლიურად შედიოდა ნახევარ მილიონი ოქროს მანეთი...

1917 წლის ნოემბერში ხომ ილია ჭავჭავაძის დისწულმა, ნეტარხსენებულმა კოტე აფხაზმა ქართველ ხალხს გადასცა ილიას ბანკის შენაძენი ქონება, 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულებისა...

აი, ვინ იყო კიდევ ილია, და არა მარტო პოეტი და მწვეელი პოლემისტი; და ნუ გაგიკვირდებათ, რომ „ბანკობიანობის“ დროს, კიდევ ერთმა გაბაშვილმა ვერ მოითმინა და ვინმე ბრწყინვალე თავადიშვილს, — ილიას რომ შეეხო უკმეხი სიტყვით, — თავზე ქოლგა დაამტვრია ბრწყინვალე ლოჟაში. ეს იყო ეკატერინე გაბაშვილი!

ლეგენდა უმატებს: როცა ილიამ გაიმარჯვა, ბრწყინვალე თავადიშვილმა ბოდიში მოიხადა, დამსჯელ ხელზე ეამბორა ეკატერინეს და უთხრა: „მართალი ბრძანდებოდით ქალბატონო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებოდაო“!

ეს დიდი ლამპარი იყო.

ლამპარი დანთებული ჩვენი სულის საუკეთესო ეთერისაგან.

უმშვენიერეს ჩვენს გრძნობათაგან აციმციმებული.

და ჩააქრეს იგი ტლანქად, მხეცურად.

მაგრამ ჩააქრეს მხოლოდ ხილული ნათელი.

უხილავი კი მუდამ ჟამს ჩვენს გრძნობას და გონებას უცხო შუქად ჩამდინარებს.

→

სიღარიბე მჭირს ფრიადი ილიას გახსენებისას.

ნაკლებ შევხვედრივარ, ნაკლებ მინახავს.

მაგრამ ბუმბერაზის ცხოვრებისა ნამცეცებიც კარგია და საილიაოდ კალმის აღებას ეს გამაბედვინებს.

ბავშვობიდან ვიცნობ მის სახელს. მარტო ნაწერებით კი არა.

ჩვენს ოჯახში დიდ აკაკისთან ერთად დიდებულ ილიას კულტი იყო გამეფებული.

მამაჩემი პირადი მეგობარი იყო ილიასი და ხშირად გვიამბობდა მის ნათქვამს, მის ნამოქმედარს...

მახსოვს როგორი აღფრთოვანებით ვკითხულობდით 1888 წ. გაზეთ „ივერიაში" ფელეტონებად ჩამომწკრივებულ „ოთარაანთ ქვრივს". და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს.

და ხულ ასე. ილიას მოწინავე, ილიას პოლემიკური წერილები, განსაკუთრებით „აი ისტორია" და „ქვათა ღაღადი" იყო ჩვენს ოჯახში აღტაცებისა და ქება-დიდების საგანი.

აქედან ჩამენერგა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეულ კაცისადმი.

და აი, ილია პირველად ვნახე... სამეგრელოში...

თბილისიდან კომისია იყო ჩამოსული მინგრელსკის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად.

ცნობილია, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, აღსავსე ძველის მანუსკრიპტებით, მინგრელსკიმ შესწირა მაშინდელ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", რომლის თავმჯდომარედაც იყო ილია და რომლის კომისიასაც მეთაურობდა იგი იმჟამად.

ბანძაში ვიყავით სტუმრად ნათესავებში. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფართო ეზოში ცხენი შემოაჭენა ერთმა წერწეტა მეგრელმა და მამას გადასცა „ჭანჭანიძე" მოდის შენთანო.

ჩვენ ვერ გავიგეთ ვინ იყო ეს „ჭანჭანიძე", მაგრამ მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20—25 ცხენოსანი, რომელთა შორის, სხვებზე ცოტა წინ, იონა მეუნარგიას თანხლებით, გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირ-ბუდაღი და თვალებმცინარე ადამიანი.

მამა რომ მიეგება, ვიცანით, რომ ეს ილია იყო.

„გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო და გულმა არ მომითმინა არ მენახეო" — დაახლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

და გაჩაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვს, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, საერთოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთ ძველს შესამჩნევ წიგნზე „ნებროთიანზე", რომელსაც მამა დიდად აქებდა, ბავშვობისას ჰქონდა თურმე წაკითხი და მოელოდა, რომ მინგრელსკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა.

ზოგს ეხლანდელს მკვლევარს ზღაპრად მიაჩნია „ნებროთიანის" არსებობა, შეიძლება იმიტომაც, რომ დღეს აქამომდე არ აღმოჩენილა, ზოგი მას „ადამის წიგნსაც" უწოდებს, მაგრამ მამა ამბობდა, რომ ეს იყო რაღაც შესანიშნავი კრებული, მგონი უფრო აპოკრიფული ხასიათისა და ზოგჯერ იგონებდა კიდეც იქიდან სხვადასხვა სხარტულ ნათქვამს და შაირს.

მამას თვით ჰქონია ეს წიგნი, მაგრამ როდესაც მისი ბიბლიოთეკა ცეცხლს უმსხვერპლია, „ნებროთიანიც“ იქ დაღუპულა.

შემდეგში ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ მამას სიტყვით აღწერა ეს წიგნი თავის „ქრონიკებში“, მაგრამ თვით ხელნაწერი, როგორც ვთქვი, დღემდე მაინც დაკარგულია.

ამ წიგნის გარდა, მახსოვს, საუბარი გადავიდა თანამედროვე საკითხებზე: ბანკი, თეატრი, გაზეთი, ქართული ენა, უმთავრესად კი თვით სამეგრელო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

და აი აქ იყო, რომ პირველად დაირხა ილიას შესამჩნევი ფრაზა: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო“.

მეორეჯერ ვნახე ილია უკვე თბილისში, მის სახლში, მაშინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, საცა „ივერიას“ რედაქციაც იყო მოთავსებული.

რაღაც დღესასწაული იყო, მამა უქეიფოდ იყო და მე გამგზავნა თავის მაგიერ.

უნდა გენახათ ჩემი გახარებაც და ჩემი შეწუხებაც.

შეწუხება იმიტომ, რომ, გამოვტეხილვარ, ჭაბუკობისას მეტისმეტი მორცხვი და უკან დახეული ვიყავი, აბა ილიასთან როგორ უნდა მომება თავი სიტყვებისათვის!

შეველ დიდ დარბაზში. რასაკვირველია, ევროპულად, მაგრამ სადად იყო მორთული, არაფერი გადამჭიჭული, არაფერი ბრჭყვიალა, გარდა იმ მძივებისა, თაღთან რომ იყო სალუქ ფარდასავით ჩამოკიდებული და დარბაზს ორად რომ ჰყოფდა.

ძალზე ცხელოდა და მეც ორმაგ ოფლში ვიწურებოდი: ცალკე სიცხისა და ცალკე მოკრძალებისაგან, თან დიდი უბედურება:

ცხვირსახოცი დამვიწყებოდა.

ამან ის სითამამეც კი წამართვა, რაც გზაში მოვიმარაგე, მაგრამ საქმეს რას უშველიდა.

დარბაზში ილიას მეუღლე დამხვდა და ერთი შუახნის წარმოსადეგი კაცი, როგორც შემდეგში გამოირკვა კონსტანტინე ჩიკვაიძე იყო, მგონი, უნივერსიტეტის ილიას ნაამხანაგარი.

ილიას მეუღლემ ჩვეულებრივის თავაზიანობით მიმიღო და წარმოიდგინეთ, მაშინვე ილიას მოსაყვანად წავიდა, მამიჩემის პატივისცემისათვის თუ.

მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ მძივებმა გაიწკრიალეს და ილიას ჩასკვნილი და ბრგე ფიგურა გამოჩნდა.

გამომკითხა მამის ამბავი, დაინანა, რომ უქეიფოდ იყო, ბოლოს ერთი-ორი სიტყვა ჩიკვაიძეს გაუზიარა და შემდეგ ისევ მე ამხედ-დამხედა.

ოფლმა იწყო წკურაწკური. უთუოდ ვწითლდებოდი, ვყვითლდებოდი, ავიწურე, საქციელი წამიხდა. ოფლსაც ვერ ვიხოცავ.

ილია მეკითხება:

— სადა სწავლობ, ყმაწვილო?

მოგეხსენებათ, რომ მე არსად სკოლაში არასოდეს არ ვყოფილვარ და ესეც მოვახსენე, თან გულს მომეშვა, მივხვდი, იმიტომ ამხედ-დამხედა, რომ ეგონა რაიმე მაშინდლური სასწავლებლის ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი. მე კი 14—15 წლის ვაჟს ცივილიზებული ტანისამოსი მეცვა.

როცა გაიგო ჩემი ვითარება, შემდეგ წარმოსთქვა:

— მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის.

ეს იყო და ეს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი საუბარი ილიასი ჩემთან.

ნახვით კი კიდევ ვნახე ორჯერ.

ერთხელ თბილისის ბანკის კრებაზე, როცა პირველად დაიწყო მაჩაბლის და ილიას შეტაკება...

მერყეობდა ჩემი სიმპატია ამ ორ კაცს შუა, და განა მარტო ჩემი, გამოუცდელის ახლადშეღერებული ჭაბუკისა, არამედ ბევრად ჩემზე გამოცდილებისა და გადანაცდებისაც თან დიდად სწყინდათ, რომ ილიას და მაჩაბლის შორის ესეთი დავა ატყდა და თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა.

დანაღვლიანებულებში ერია მამაჩემიც და მისი ნაღვლიანობა მის შვილებს, მე და ჩემს დასაც, გვასევდიანებდა.

კიდევ შევხვდი დიდ ილიას ქუთაისში. გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ.

მე უკვე 22 წლის ახალგაზრდა ვიყავ და სხვა ბევრთა შორის, მეც მინდობილი მქონდა მოწესრიგედ ვყოფილიყავ და უნდა გენახათ, როგორ ვამაყობდი, რომ მკლავზე საამისო

ნიშანი მქონდა და სადაც გავივლიდი, ხალხი ჩემს განკარგულებას ემორჩილებოდა.

ჰე, რა ხარ ახალგაზრდობავ! რა პატარა რამ გართობს და თავბრუს გახვევს!

ეკლესიაში ვართ, გელათში, უკვე მოთავდა სიტყვები სასულიერო პირებისა: რუსი ეგზარქოსისა, ეპისკოპოსებისა და სხვ. ხალხში გაისმა: „ილია, ილია სად არის?" მამამაც მანიშნა, წადი მოძებნეო, ხალხი გაირღვა და ილია მოვძებნე ეზოში, ვთხოვე რომ წამობრძანებულიყო, ვიცოდით, რომ სიტყვა უნდა ეთქვა, ჯგუფში საუბრობდა ხალისიანად და მე რომ მივადექი ბოქაულივით, უეცრად ეს კაცი შეიცვალა, სახე კუშტი გაუხდა, თითქო წარბებიც შემოუქურუხანდა, მაგრამ სიტყვა-შემოუბრუნებლივ მორჩილად წამომყვა.

ახლა რომ მოვდივარ, როგორ ვამაყობ! იცით, ვინ მომყავს?

გაიწით, მოგვეცალენით!

რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ვამბობ, მაგრამ ან განა საჭიროა გაფრთხილება? უბირმაც კი იცის, ვინ მოდის. ახლა, ირგვლივ ისმის: ილია ჭავჭავაძე! თუ არც გაუგონია, მაინც გრძნობს, რომ ვილაც დიდი კაცია, რადგან ისეთი მოკრძალებით და სიყვარულით არის ნახსენები.

აი შევედით ტაძარში. გზა გავუჭერ და მივიყვანე ამბიონთან, მეც გვერდით ამოვუდექ.

განა ახლა წავალ სადმე? ასე ახლოს და ისიც ვისთან?

ვინა სთქვა, რომ ილია ტემპერამენტიანი არ არისო?

ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგაბუგი.

მკერდი ადის და ჩადის, ეს რა არის? შეკრთა? რა სათქმელია!

ეს ის არის, რომ შინაგან მოზღვავებული სათქმელი ბობოქრობს და ეძებს თავის მხატვრულ გამოსავალსა.

დაიწყო, გარეგან თითქო დამშვიდდა. მაგრამ მკერდი მაინც ადის და ჩადის. ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები.

რა ბედნიერი ვარ ამ წუთას!

და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია ესე ახ-

ლოს და თითქოს შევეჭრილვარ მის ლაბორატორიაში, სადაც ითხზვებოდა ჩემი თანდასწრებით ილიას ნაბეჭდი სიტყვები.

მან დაახლოებით ასე დაიწყო: „დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავიაო“.

მეც ამით გავათავებ, მხოლოდ ამჟამად მისი სიტყვები, დეე თვით მასვე მიუდგეს.

ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე)

1893 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძემ კახეთი (მაშინდელი თელავის მაზრა) ინახულა. რასაკვირველია, თავის სამშობლო ყვარელშიაც შეიარა. ამ მოგზაურობის მიზეზი, როგორც ერთნი ამბობდნენ, იმის გამორკვევა იყო, თუ რამდენად დაიმშა იმ წელიწადს კახეთი. მართლაც, მოუსავლობამ იმ წელს პურის დიდი ნაკლებობა გამოიწვია კახეთში, გლეხებიც-კი სოფლებიდან თელავს მოდიოდნენ ტფილისიდან მოზიდული ფქვილის საყიდლად. სამაგიეროდ, ილიას მოწინააღმდეგე ბანაკი ამ მოგზაურობას ბანკის საარჩევნო კომპანიად სთვლიდა, ძალთა მოკრების სამზადისად — 1894 წლის არჩევნებისათვის.

რაღა თქმა უნდა, თელავის საზოგადოება დიდის გულისხმიერებით შეხვდა ილიას მოსვლას. არც ის არის საკვირველი, რომ ეს გულისხმიერება მან საზოგადო სადილით აღნიშნა თელავის ისტორიულ ჭანდრის ქვეშ. ეს სახელგანთქმული ჭანდარი ერთი იქაური თავადიშვილის ბაღში იდგა. თუ არა ვცდები, ბაღი იჯარით იყო გაცემული და მოიჯარადრე სულ მცირე ფასად უთმობდა, ვისაც სურდა, ამ შვების ადგილს.

ჭანდარი მართლაც საუცხოო რამ იყო. მისი უზარმაზარი ტოტები, ფართოდ გაშლილი, ადვილად დაიტევდა ას-ორას კაცს, სანადიმოდ შეკრებილს. იქვე ცივცივი წყარო და ვაზხეხილნარი. თანაც ისეთ ადგილას, რომ გამვლელ-გამომვლელთა ფეხი ნაკლებად ეკარებოდა.

აი, ამ ადგილსა სალხინობელსა მე პირველად ვიხილე ილია ჭავჭავაძე.

თუმცა ბავშვობისას და ყრმობისას არა ერთი წელი გამეტარებინა ტფილისში, თეატრშიაც სულ პატარამ დავიწყე სიარული, მაგრამ ილია მაინც ჯერ არ მენახა. სამაგიეროდ, აკაკის ბავშვობიდანვე ვიცნობდი, რადგანაც ჩვენს ოჯახში დაიარებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა მღელვარებას განვიცდიდი ამ ნახვის მოლოდინში დანარჩენ ახალგაზრდებთან ერთად, რომელნიც ამ ნადიმს დაესწრნენ.

ხუმრობა საქმე იყო? ილია, დიდი ილია, რომელიც, ისე, როგორც აკაკი, მარტო სახელით იხსენიებოდა, — და გვარს არავინ დააყოლებდა, როცა მას ასახელებდა, — ილია უნდა გვენახა, მასთან უნდა გვენადიმნა. სიტყვა „გვექეიფნა“ იმდენად ვულგარულია, რომ ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა ამის თქმას.

ილიასთან ქეიფი?! ვის ეკადრება? ვინ გაბედავდა ამაზე ფიქრსაც-კი? ილია ისეთ მაღალ კვარცხლბეკზე იდგა ყველას წარმოდგენაში, რომ ჩვენ შეგვეძლო მარტოოდენ გულის კრთომით ცქერა, მოსმენა და აღტაცება...

ასეთი იყო სულისკვეთება თითთეული ჩვენთაგანისა, თვით იმათაც-კი, ვისაც, ჭაბუკობის მიუხედავად, უკვე შეეტოპნა ცხოვრების იმ წიალში, სადაც ქეიფი, სკანდალები და სხვა ამისთანები ჩვეულებრივი ამბავი იყო.

და აი, ვიხილე ილია... არა მის მოთხრობებში, არა მის პოემებში და ლექსებში, არა მის სიტყვებში (გაზეთებით), არამედ ცოცხალი, ხორცასხმული ადამიანი.

ილიას გარეგნობა ძალიან სწორედ და მოხდენილად აქვს აწერილი იაკობ მანსვეტაშვილს. ხოლო ერთ რამეში არ ვეთანხმები. ილია არ იყო ისე უშნო აგებულებისა, როგორც იგი წარმოგვიდგენს, არც ისე მომცრო ტანისა. რასაკვირველია, ილიას საქანდაკო ფიგურა არა ჰქონდა. იგი იყო შუათანაზე ცოტათი დაბალი, ჯმუხი, არა ბურთივით მრგვალი, როგორც გრიგოლ ორბელიანი ოხუნჯობს თავის მკილავ ლექსში. გულმკერდ აღმოზიდულს, ის ნაწილი სხეულისა, რაც ნეტარხსენებულ ლუარსაბს თავის სიამაყედ მიაჩნდა, ე.-ი. ბურჟუაზიული დარბაისლობის აუცილებელი ატრიბუტი, „ღიპი“, ილიას სულ არ ეტყობოდა. მისი აგებულების ნაკლი დაბალი კისერი იყო. სამაგიეროდ, სახე იშვიათი სილამაზისა, იშვიათი ნაკვთიანობისა ჰქონდა. ამ სახეს აცისკროვნებდა მაღალი, სპეტაკი შუბლი და საამურად მეტყველი თვალები, ხოლო ამშვენებდა სწორე სურათოვანი ცხვირი მგზნებარე ნესტოებით, ენერგიის და გრძნობის (არა ვნების) მსახველი ტუჩები. ამის გარდა, ჰქონდა კიდევ ერთი მადლი, რაც ამ ჯმუხ და მაგრად

შეკრულ ადამიანში საიშვიათო იყო. ეს იყო კანის საკვირველი ფერი, სპილოს ძვლის სითეთრე, რომელსაც ოდნავი მოყვითანობა შეჰპარვია, რაც ასე აკეთილშობილებს ამ სითეთრეს.

მე რომ პირველად ილია ვნახე, იგი 55-56 წლის იქნებოდა. მხოლოდ ოდნავ შეჭაღარავებული იყო და შუახნისაზე მეტი არ გეჩვენებოდათ. თმა ილიას (უკანასკნელ დღემდე შერჩა) არა ჰქონდა აკაკისავით პოეტურ ფაფრად აქოჩრილი, რაც ასე ამშვენებდა ამ ბიბლიური გარეგნობის ადამიანს. ჯერ კიდევ შავი, შუაზე გაყოფილი თმა ილიას დინჯად, უუნიანოდ ელაგა ორივე მხრით, თანასწორ დახვეწილი.

მხოლოდ ერთადერთი ფოტოგრაფიული სურათი იძლევა ილიას სახის იერს, ისიც მხოლოდ ანარეკლად. გიგო გაბაშვილის ფერწერიანი სურათი გვიხატავს ილიას, უკვე ხნოვანებით დამძიმებულს, მაგრამ ენერგიით სავსეს.

კახური სუფრა... კახური ნადიმი... ბევრს ამ სიტყვებზე თავაწყვეტილი მადის გახელება, ღრეობა და „დუბე-დუბე" სმა წარმოუდგება, როდესაც კაცს ავიწყდება დრო და სივრცე, ზომა და საწყაული. დასასრულ — „დალიე არ დავლევ", ლაწალუწი, ხანჯლების აპრიალება და დავიდარაბა.

ასეთი არ იყო ილიას საპატიოდ გამართული ნადიმი. ჯერ ერთი, ილიას გარშემო დარბაისელი ხალხი ეხვია; მეორე, მოქეიფე ახალგაზრდობა თავშეკავებული იყო, ერთმანეთს თვალყურს ვადევნებდით, რომ არაფრით არ შეგვებღალა პატივისცემა ილიასადმი. ამ რიგობაზე თითქო ყველას გვასსოვდა ხალხის ბრძნული ნათქვამი: „ჭამით უნდა გაძღე და არ გასქდეო". ასეც გახლდათ. მართალია, ბევრი ჭიქა დაილია, ბევრი საგულისხმიერო სადღეგრძელო ითქვა, მაგრამ ყანწი და სხვა ამგვარი სასმისი არ დატრიალებულა. ამიტომაც ნადიმი წესიერად მიმდინარეობდა.

სიტყვა სიტყვას მისდევდა. სიმღერა სიმღერას. კახური სუფრის მშვენება სიმღერაა. თითქო განგებ შეყრილიყვნენ იმდროინდელი საუკეთესო მომღერალნი — ძმანი კოზმანიშვილები, კიკო ჩოლოყაშვილი, ლევან ჯანდიერი, რეზიკო ყარალაშვილი და სხვანი. ეს იყო ძველი თაობა. ახალგაზრდებშიაც იყვნენ კარგი მომღერალნი.

მე პირადად არასდროს — არც წინად, არც შემდეგ — არ

მომისმენია კახური ძველი სიმღერები — გრძელი მრავალჟამიერი, ნაკრულო და სხვ. — ასეთი მშვენებით და მეტყველებით თქმული. სოსიკო კოზმანიშვილი იმ დროს უკვე კარგად მოჭარმაგებული კაცი იყო, მაგრამ მას მაინც უზადოდ შეენარჩუნებინა თავისი შესანიშნავი ხმა და ნამეტნავად-კი საკვირველი კილო სიმღერისა. როდესაც მისმა ხმამ მრავალჟამიერის ასაკიდებელში საზენიტო წერტილს მიაღწია და სიმივით ჟღერდა, მისი ბიძაშვილის ხმა — გამოძახილი — უსურვაზივით ეხვეოდა მას და საკვირველ გრეხილებს აკეთებდა, თითქო ბგერათა გირლიანდებს სწნავსო. ბანმაც გარდიგარდმო გაიწია და გუგუნი იწყო, მოედანი გაუშალა პირველისა და მოძახილის ნავარდს.

ილიაზე ამბობენ, სმენა არა ჰქონდა, სიმღერა არა ჰხიბლავდაო. თუმცა უნდა აღვნიშნო, მან პირველმა დასწერა საუკეთესო წერილი პირველ ქართულ (ლადო აღნიაშვილის) გუნდზე ისეთი უნარით და ხალხური სიმღერების იერის ისეთი ცოდნით, რომ კარგ სპეციალისტსაც მოუცვდებოდა ასეთი ზედმიწევნილობა. ამის გარდა, მე შემთხვევა მქონდა, უკვე კარგა ხნის შემდეგ, ერთ ილიობა-დღეს საგურამოში, მომესმინა მისი კრიტიკა ზოგიერთი კახური სიმღერის აღსრულებისა, როდესაც ტფილისიდან სტუმრად მოსულმა ახალგაზრდებმა სცადეს ამ სიმღერების თქმა. — არა, ეგ კახური სიმღერა არ არის, დამახინჯებულია, ძველები სხვანაირად მღეროდნენო.

ახლა, ამ ნადიმზე, სიმღერის დროს, როდესაც თვალს ილიას სახის მეტყველებას ვადევნებდი (და განა იყო ისეთი წამი, რომ ილია მიზანში არა მყოლიყოს ამოღებული?), ნათლად ვხედავდი, რომ იგი უზომოდ დამტკბარი იყო სიმღერით. მისი მწყაზარი, სიცოცხლით სავსე თვალები — ეს „ჭკუა-გონების სარკმელნი", აკაკის თქმით — აღტაცებით მისჩერებოდნენ მოხუცებული კოზმანიშვილის სახეს და ხანდახან ცრემლით ციალებდნენ. ხოლო მთელი არსება, საამო ჟრუანტელაღძრული, თითქო როგორც მზის სხივს, ისე უყურებდებოდა მშვენიერ მელოდიებს.

რა ვიცი, ვისაც შეუძლიან სიმღერით ასე დატკბობა, იმას სმენა აღკვეთილი არ უნდა ჰქონდეს. ამის გარდა, მიაპყარით ყური მის საკვირველ რიტმს პ რ ო ზ ა შ ი, რიტმს, რომლის

მსგავსს მთელ ჩვენს ლიტერატურაში ვერსად შეხვდებით. რიტმი ხომ იგივე მუსიკაა და ეს-კი უსმენოდ წარმოუდგენელია.

რადა თქმა უნდა, წადიმზე ბევრზე-უბევრესი სიტყვა წარმოითქვა, ქებით და ხოტბით ილიასადმი მიმართული. სხვათა შორის, ახალგაზრდობის სახელით ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა მიმართა. სიტყვა ურიგოდ არ იყო დალაგებული, ეხებოდა ილიას, უმთავრესად როგორც პოეტს. სიტყვა იწყებოდა ილიას ლექსით „პოეტი" („მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა") და იშლებოდა ისე, თუ როგორ გაამართლა ილიამ პოეტის მოწოდება. რასაკვირველია, ეს სიტყვა ექსპრომტი არ იყო, იგი წინდაწინვე იყო დაწერილი და, ალბად, გაზეპირებული. მაგრამ ისეთი აღფრთოვანებით და უშუალო გრძნობით წარმოსთქვა ახალგაზრდამ სიტყვა, რომ მთელი საზოგადოება ტაშით შეხვდა. ალბათ, ილიასაც მოეწონა, რადგანაც სმენის დროს სიამოვნების ღიმილი უკრთოდა ბაგეზე. სუფრის თამადა ხომ (ლევან ჯანდიერი), აღტაცებული ზეზე წამოიჭრა და კილოშეკიდებით ილიას მიმართა: — შენმა გენიოსობამ ილიავ, აქაც სასწაული მოახდინა. მან სული შთაბერა ამ ბავშვს და ათქმევინა ის, რაც ჩვენ, შენი თაობის ხალხმა, ვერ გითხარით... როგორც სუფრის ბატონ-პატრონი, მოვითხოვ, ამბორით დააჯილდოვო იგიო. — ნიშანდობლივ ვერ ვიტყვი, რომ სწორედ ამ ლექსით ეთქვას თამადას თავისი სიტყვა, მაგრამ შინაარსით იგი ასეთი იყო.

— დიდი სიამოვნებით! — უპასუხა ილიამ თამადას ღიმილით და შუბლზე აკოცა ჩვენს ამხანაგს, ხოლო იგი მკერდზე ეამბორა. ახალგაზრდობა ძალიან თავმოწონებული იყო, რომ ძველ თაობაზე გაიმარჯვა. ამ თავმოწონებამ მით უფრო იმატა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა ორატორის სიტყვა გაზეთში გამოსჭიმეს. ჩვენ-კი სულ დავცინოდით ჩვენს ამხანაგს: — არამც და არამც პირი არ დაიბანო, პოეტური მირონი — ილიას კოცნა — არ ჩამოგერეცხოსო.

ილაპარაკა ილიამაც, მაგრამ ცოტა. ილიამ დაიწყო ინდიური თქმულებით, — ბავშვო, შენ სტირი, როს იბადები, შენს გარშემო-კი ყველანი იცინიან და ხარობენ! იცხოვრე ისე, რომ შენ იღიმოდე, როს აღსრულდები, და ყველანი შენს გარშემო სტიროდნენო. ამ თქმულებაზე ააგო თავისი მოკლე სიტყვა

ადამიანის მოვალეობაზე ქვეყნის წინაშე. ხოლო სიტყვა მით დაათავა, რომ მეტისმეტი ქება-დიდება მოვისმინე თქვენგან, რის ღირსიც არა ვარო. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კეთილნი არა მარტო ხელგაშლილნი და გულუხვნი არიან, არამედ აგრეთვე წრეს გადასული ბედოვლათნიცო. ეს ბედოვლათობა მის განდიდებას ეხებოდა.

უკვე კარგა შებინდებისას ილია სიმღერით სახლამდე მივაცილეთ. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის, რომ ამ ნადიმზე არ იყო არც ტრადიციული ზურნა და საზანდარი და არც ... ლეკური.

არის ცხოვრებაში ისეთი შეხვედრა. თუნდაც შემთხვევითი, რომელსაც შეუძლიან ღრმა კვალი გაავლოს ადამიანის სულიერ არსებაში. რა იყო, მართალი რომ ვთქვათ, აი, ამ შეხვედრაში განსაკუთრებული რამ? ილიას ისეთი არა უთქვამს-რა, რაც წინადაც არ გამეგონოს, ან არ წამეკითხოს, თუნდაც მისივე ნაწერებში. მაგრამ მაინც რაღაც ახალი რამ შეიტანა მისმა პირადმა ნახვამ ჩემს სულიერ სალაროში. ალბათ, ასევე დაუმართათ სხვა ახალგაზრდებსაც, რომელნიც, ჩემსავით, ეს-ეს იყო ცხოვრებაში ფეხსა სდგამდნენ. გონებით განუსჯელია და სიტყვით გამოუთქმელი ის, რასაც მე კარგა ხანს განვიცდიდი ამ შეხვედრის შემდეგ. და აი, ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, უკვე სიცოცხლის მიწურულში, წარსულის გახსენება იმდენად ცხოველმყოფელია, რომ ყოველივე ზემოდ ნათქვამი მე-კი არ მეკუთვნის, 65 წლის მოხუცს, ცხოვრებისაგან საკმაოდ ნაქიმუნჯევს, არამედ იმ ოცი წლის ჭაბუკს, რომელიც უზომო სიამით და თანაც მოკრძალებით შესცქეროდა ილიას მშვენიერ სახეს.

იმავე 1893 წლის ბოლოს ჯარისკაცად გამიწვიეს ადგილობრივ დრუჟინაში. 1894 წლის დამდეგს ტფილისს გადმიყვანეს ბრიგადის კანცელარიაში. ამ დროს მე უკვე კავშირში მქონდა ჟურნალ „კვალთან", რომელშიაც 1894 წლის საახალწლო ნომერში და შემდეგი კვირის ნომერში დაიბეჭდა ჩემი პირველი ნოველა. მეორე ჩემი ამბავი იქვე იყო თითქმის ზედმიწევნილით ეთავსებული. ილიას „ივერიას" ჯერ არ და-

ვახლოვებოდი, მაგრამ მალე აქაც შევდგი ფეხი. „ივერიის“ რედაქციის გამგე მეველე იყო (დავ. მიქელაძე). მისვლისთანავე მეველემ მიცნო, რადგანაც თელავში იგი ილიას თან ასლდა და ნადიმზე გავიცანი. მიტანილი ნაწერი (ადარ მახსოვს, რა იყო) რამდენსამე დღეში დაიბეჭდა. ხშირად ვიწყე „ივერიის“ რედაქციაში სიარული ხან კორექტურისათვის, ხან ხელნაწერის გასწორებაზე დასასწრებლად. შევხვდი ილიასაც, რომელმაც პირველ ნახვისთანავე თავისებური გულგაშლილობით მთხოვა, როგორც უკვე თანამშრომელს, ყოველ ხუთშაბათს საღამოთი შევლო მისას. რედაქცია და მისი ბინა ერთ სახლში იყო მოთავსებული, ერთსადაიმავე სართულში, საერთო შესავალი ჰქონდათ და კარი კარში გადიოდა. დიდი სიამოვნებით მივლიდი ამ წვევას; მაგრამ ერთი გარემოება მიშლიდა ხელს: მე ჯარისკაცი ვიყავი. ვიცოდი, ილიასთან, თანამშრომლების გარდა, ხუთშაბათობით სხვანიც დაიარებოდნენ, სამხედრო პირნი, დიდი ჩინოსანნიც. მართალია, მასპინძლის პატიჟი თითქო გვათანასწორებდა სტუმართ, მაგრამ მაინც უხერხულად მიმაჩნდა ასეთ საზოგადოებაში ტრიალი და ვერ გამოვიყენე ეს შემთხვევა, რათა ილიას დავახლოვებოდი.

მაისში ჩვეულებრივი „ბანკობია“ დაიწყო. იმ დროს ურთიერთობა პოზიციასა (ილია ჭავჭავაძე) და ოპოზიციას (ივანე მაჩაბელი) შორის იმ ზომამდე იყო გამწვავებული, რომ მათმა ბრძოლამ თავის წიაღში ჩაითრია მთლად ქართველი საზოგადოება...

ისე არა ახასიათებს რა ასეთ კრებაზე ბანკის საკითხების გადაწყვეტას, როგორც ცნობილი თქმა — კენჭმა გაგვასწოროსო. ყველაფერი კენჭით წყდებოდა, ე. ი. ხმის უმეტესობით. ვინ იყო მართალი და ვინ მრუდე ამა თუ იმ საკითხში, ამას ნამდვილი საზომი არა ჰქონდა. საქმე ის იყო, თუ ვის მხარეზე აღმოჩნდებოდა წევრთა უმრავლესობა, რომელსაც საკითხისა არა გაეგებოდა რა და არც თავს იტეხდა მის გასაგებად. კიდეც რომ ეტეხნა, სულ ერთია, არა გამოვიდოდა რა, რადგანაც საკითხები მეტისმეტად სპეციალური იყო და მოითხოვდა კარგ ცოდნას და წლობით შესწავლას. —„მე ბანკისა არა ვიცი რა, სამაგიეროდ ილიამ იცის, ვანომ (მაჩაბელმა) იცის, ეს ჩემთვის კმარა“, — დიდი უმეტესობა ასე მსჯელობდა და

სასწვრის აბრა იქით ისრებოდა, საითაც მეტი მომხრე იყო, არა საკითხისა თავისთავად, არამედ ილიასი თუ ვანოსი.

კამათი და პაექრობა... ორატორთა ჯახაჯუხი... მაგრამ უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ერთი გარემოება. ყველასათვის ცხადია, რომ ამა თუ იმ საზოგადო კრებას სათანადო თავმჯდომარე შეჰფერის, განსაკუთრებით-კი ისეთ კრებას, სადაც ირჩევა და სწყდება სპეციალური საბანკო საკითხები. აი, ამ მხრივ ჩვენი ბანკის კრებები წყალწაღებული და, უფრო-კი, ყბადაღებული იყო. ის თავმჯდომარე, რა თავმჯდომარეა, რომელიც ბანკის საზოგადო კრებას ხელმძღვანელობს და უბრალო ბალანსშიც-კი ვერ გარკვეულა? მე, პირადად, კარგად ვიცნობდი ერთ ასეთ თავმჯდომარეს. რასაკვირველია, იგი გავიცანი შემდეგ, როდესაც ბანკი უკვე დაწყნარებული იყო და მისი კრებები ნირშეუცვლელად მიმდინარეობდა (საზოგადო კრების რეორგანიზაციის შემდეგ — 1902 წ.) აი, ამ პატივცემულ ადამიანს ფეთება მოსდიოდა, როდესაც იტალიური ბუხჰალტერიის საფუძვლებზე შედგენილ ანგარიშს ხედავდა.

— არა, რა საჭიროა ამდენი რუბრიკები? ის არა სჯობია, მარცხნივ შემოსავალი, მარჯვნივ გასავალი, მორჩა და გათავდა. თორემ ამ ოხერ ციფრებში კაცი ფეხს მოიტეხს... — არაერთხელ გამიგია მისგან ეს, სრული სერიოზულობით ნათქვამი სიტყვები.

სწორედ ამ ყაიდის თავმჯდომარენი ხელმძღვანელობდნენ ბანკის საზოგადო კრებებს...

რასაკვირველია, ორატორები ხშირად საბოროტოდ იყენებდნენ თავმჯდომარის ხელმძღვანელობის უნიათობას და ლაპარაკობდნენ რაზედაც უნდოდათ და რაც პირზე მოადგებოდათ. ხელისშემშლელი და ამლაგმავი არავინ ჰყავდათ, თუ თითონ კრება არ გააჩუმებდა აქა-იქ დამცინავი წამოძახილით ან თავსაცილად უდროოდროს ტაშის დაკვრით. ასეთი დაუსრულებელი „პაექრობის“ წყალობით კრება ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდებოდა ხოლმე.

თვით საქმეზე მოლაპარაკე ძალიან ცოტა იყო. მათ შორის, რასაკვირველია, თვალნათლივად ირკვეოდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. ორივე შესანიშნავი ორატორი იყო, მაგრამ მანერა მათი ლაპარაკისა სრულიად განსხვავდებოდა.

ილია მოსაუბრე ორატორი იყო. კრებას იგი ისე ელაპარა-

კებოდა, თითქო შინაურობაშია და რაღაც საინტერესო რასმე უამბობსო დინჯად, წყნარად, აუღელვებლად. იგი საკვირველი ოსტატობით ხმარობდა უხვად მიმადლებულ ნიჭს ჰუმორისას, რომელიც ხანდახან სარკაზმში გადადიოდა. ამ საუბრულ კილოს ხშირად ერთვოდა სიტყვის დამადასტურებელი, ჩაქუჩის დამკვრელი დამუჭული მარჯვენა ხელის მაღლა აწევა წინ გაშვერილი და სპირალურად მოძრავი სალოკი თითით — და შემდეგ ენერგიულად მის წინ მდგარ მაგიდაზე დაშვება. ილიას ორატორობაში თეატრალობა სულ არ სჩანდა, არტისტულობა-კი — დიდად. მას არ მოსდგამდა კილოშეკიდებით ლაპარაკი, ხმის აკანკალება და პათოსი, ხელების სავსავი და გადამეტებული ჟესტიკულაცია. სამაგიეროდ, როცა საჭირო იყო, მან იცოდა სხეულის რაიმე მოძრაობით მიზანში ამოღებული მოწინააღმდეგის სუსტი მხარის გამომზევება. მაგალითად, თვალნათლივად მახსოვს ერთი მომენტი. ლაპარაკი იყო ბანკში მუშაობაზე, ვინ რას აკეთებსო. ილიას სიზარმაცეს სწამებდნენ. რამდენადაც მახსოვს, ილიამ სთქვა, — საქმე ის-კი არ არის, ყველას კარებში მიეგებო „Пожалуйте... Что прикажете? К вашим услугам... და სხვა ამისთანებიო. — და ამ დროს ილიამ ისეთი პოზა მიიღო, ისე სხარტად გააქლასუნა იატაკზე ფეხები, თანაც იგი ისე იფშვნეტავდა ხელებს და ისე გამოიყურებოდა, რომ... იქ მყოფთ თვალწინ წარმოუდგათ ყველასათვის კარგად ცნობილი, ზრდილობიანი და ყურადღებით სავსე შეხვედრა ივანე მაჩაბლისა; ამავე დროს ილიას ზიმოხვრაში იმდენი არტისტული კომიზმი იყო, იმდენი დაცინვა, რომ დარბაზში სიცილი გაისმა.

ამასთანავე, ილია საკვირვლად უსინჯავდა აუდიტორიას კბილს. მან ყოველთვის კარგად იცოდა დარბაზში მყოფთა სულიერი განწყობილება და რა დროს რა ოსტატური ხერხისათვის უნდა მიემართა. ამიტომ იგი, რაკი შეამჩნევდა, რომ ამა თუ იმ საკითხზე ლაპარაკმა მოჰქანცა კრებული, მიანელა ინტერესი და მოსალოდნელია, აქა-იქ ხვრინვაც გასმას, — იგი მაშინვე ღიმილით თუ დაცინვით გადაისროდა რაიმე მოსწრებულ სიტყვას, მცირეოდნად გუნდრუკს უკმევდა რაიმე საანეკდოტო ამბავს, გასწმენდავდა დამძიმებულ ატმოსფეროს, გამოაღვიძებდა მთვლემარეთ და კვლავ განაგრძობდა საქმეზე ლაპარაკს.

ზემოდ ვთქვი, ილიას პათოსი არ უყვარდა-მეთქი. ეს ასეა. ილიას პათოსი — განრისხება იყო. რისხვა დიდი იცოდა. არა ყვირილი, არა ძახილი ხმითა დიდითა, არა ვაიუშველებელი, არამედ ოდნავი ხმის აწევა და ფოლადური სიმტკიცე თითოეულ სიტყვაში, თანაც ცეცხლით ანთებული თვალები და დოღში გამოსული ბედაურივით ამოძრავებული ცხვირის ნესტოები. ამ დროს მთელი მისი არსება უდრეკი ენერგიის განხორციელება იყო.

ხმა ილიას დიდი არა ჰქონდა, არც ძალიან მჟღერავი, მაგრამ მკაფიო მკვეთრი და დიდ დარბაზშიაც-კი ნათლად გასაგონი. რაც უნდა ხმა აემაღლებინა, მაინც იმისგან ყვირილს ვერ გაიგებდით. სიტყვის თავისებურად გამოთქმის უნარი და ოდნავი მოდულაციები ჰქმნიდა მთელ მუსიკას მისი მეტყველებისას. გამოთქმის კილო ქართულში ნამდვილად დარბაისლური ქართული ჰქონდა, რუსულშიაც ასევე დარბაისლური, ოღონდ თვალსაჩინო ქართული აქცენტით. ილიამ არ იცოდა ყვავილოვანი ლაპარაკი, რჩეულ სიტყვათა თაიგულის შეკვრა... მაგრამ, თუ აზრის შინაარსი მოითხოვდა, ადვილად პოულობდა ფრაზას. სიტყვის ძებნას არ უნდებოდა, სიტყვები ფრაზაში ბუნებრივად ლაგდებოდნენ ქართული მეტყველების კანონით და სააზროვნო მახვილით მიჩენილ ადგილას.

ივანე მაჩაბელი სრული ანტიპოდი იყო ილიასი ორატორობაში. იგი ლაპარაკობდა ყოველთვის პათოსით, ხმაშეკიდებულად, მგზნებარედ, რაც ხანდახან თეატრალობაში გადადიოდა. ლაპარაკობდა სხაპასხუპით, უბორძიკოდ და თითქმის უმახვილებოდ ფრაზაშიაც და სიტყვაშიაც. მეტისმეტად წყობილი სიტყვა ჰქონდა, განსაკუთრებით ქართულში. ეჭვი არა მაქვს, შექსპირის ტრაგედიებზე მუდმივმა მუშაობამ შეუქმნა მას ეს იშვიათი წყობილსიტყვაობა, იმის გარდა, რომ იგი, საერთოდ, უხვად იყო დაჯილდოვებული ორატორული ნიჭით, კარგი ქართული კილო ჰქონდა, მხოლოდ ზოგიერთ ბგერის გამოთქმას რაღაც სირბილე დაჰკრავდა. მაგალითად სიტყვას „მაინც“ იგი გამოსთქვამდა თითქო „მაინთც“-ად, „არ ამცდა“-ს „არ ამთცდა“-და სხვ... მაგრამ ეს სრულიადაც არ აუშნოებდა მის ლაპარაკს. ჰუმორი არა ჰქონდა და მწვავე რეპლიკებს არა სწყალობდა, ან ეს რეპლიკები მას არ სწყალობდნენ. მას შეეძლო მსმენელის ადვილად გატაცება, მაგრამ დიდ მან-

ძილს ვერ გაჰყვებოდა იგი მას, რადგანაც წინ მიმავალი მიმ-ყოლს მალე ჰლლიდა თავისი პათოსით. პათოსი გხიბლავს ლირიკულ მომენტებში, მაგრამ, როდესაც იმავე პათოსით ისეთ პროზულ რამეზე გელაპარაკებიან, როგორიც ბანკის ბალანსია, ან გირავნობის ფურცლების კონვერსია, ხანგრძ-ლივ ვერ გაუძლებ იმ ცეცხლს, რომელიც ორატორს უკიდია, და, უეჭველია, მალე განელდები. საქმის ცოდნა მაჩაბელს ილიაზე ნაკლები არა ჰქონდა. ასე ამბობდნენ ზოგიერთები, თორემ მე არც მაშინ შემეძლო და არც ახლა შემიძლიან ამის შეფასება.

მაგრამ საქმის ცოდნით ისეთ კრებაში, რომელიც მე ზე-ვით გაკვრით დავახასიათე, ფონს ვერ გახვიდოდი. ჯერ ერთი, საქმე, როგორც საქმე, არავის აინტერესებდა, რამდენიმე წევ-რის გარდა, რომელთა ჩამოსათვლელად ორივე ხელის ხუთ-ხუთი თითი სრულიად საკმარისი იყო. მეორე, მთელი საზო-გადოება უკვე ორ გარკვეულ ბანაკად იყო დარაზმული. ეულ-ნი თუ გამოჩნდებოდნენ, სულ ცოტა ხნით, რადგანაც მაშინვე რომელსამე ბანაკს ემხრობოდნენ. მართალია, გადამრბენ-გადმომრბენიც იყვნენ, მაგრამ მათ გადამწყვეტი მნიშვნელო-ბა არა ჰქონდათ სიმცირის გამო...

ვისაც ილიას „ქვათა ღაღადი" წაუკითხავს, ის ადვილად მიჰხვდება, თუ რა უებრო პოლემისტი იყო იგი.

სიტყვით შეჯიბრებაშიაც იგი იჩენდა ამ სწორუპოვარ ნიჭს და უნარს... მისი რეპლიკა გამანადგურებელი იყო, მოკლედ, მოკვეთილად იქნებოდა იგი გადაგდებული, თუ ვრცელ სიტ-ყვაში მოსწრებულად ჩართული რაიმე სურათად. მაგონდება ერთი ამგვარი თქმა ილიასი. იგი იაკობ მანსვეტაშვილსაც აქვს აღნიშნული თავის წიგნში, მაგრამ არა იმ თანამიმდევ-რობით, როგორც იგი იყო ნათქვამი.

ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, მთელი შედგენილო-ბით, გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც აცხადებდა, რომ კომიტეტის წევრებს არ შეუძლიანთ ივანე მაჩაბელთან ერთად მუშაობა მისი აუტანელი ხასიათის გამო. ამ დადგენილების გამო ივანე მაჩაბელმა ვრცლად ილაპარაკა. კარგად მახსოვს მისი შემდეგი ფრაზა (ლაპარაკობდა იგი რუსულად): — ცამეტი წყვილი თვალი, ცამეტი წყვილი ყური (იგულისხმებოდნენ კომიტეტის წევრები, შეიძლება გამგეობისაც ერთად) გაფა-

ციცებით უთვალთვალებდა ყოველ ჩემს მოძრაობას, ყოველ ჩემ ფიქრს... თავს მესხმოდნენ, მაქცევდნენ მიწაზე, მაგრამ მე, როგორც ანტეოსი მიწას, ისე ვეხებოდი სიმართლეს და ყოველთვის ფეხზე ვდგებოდი.

როდესაც ამავე საგნის გამო ილია ლაპარაკობდა, სხვათა შორის, თავის სიტყვაში მან ჩაურთვა შემდეგი რეპლიკა ზემოდ თქმულზე (ისიც რუსულად ლაპარაკობდა): — თავად ივანე მაჩაბელს ძალიან უკვირს, რომ რამდენსაც არ აქცევდნენ, მაინც ფეხზე დგებოდა. აქ ანტეოსი არაფერ შუაშია. აქ სხვა რამ არის. ყველას მოგეხსენებათ, არსებობს ერთნაირი ფიგურა, რუსები მას „ვანკავსტანკას" ეძახიან, რამდენიც უნდა გადააგორო, მაინც ფეხზე დგება. აქ გასაკვირველი არაფერია. აქ ფიზიკური კანონია. საქმე ის არის, რომ вся тяжесть к ногам ушла! თანაც ილიამ დამცინავი იერით ისე ელასტიურად შეატრიალა და მერე დაღმა დაუშვა მარჯვენა ხელი, რომ მსწრაფლ ჰაერში გვიჩვენა, როგორ ეშვებოდა სიმძიმე თავიდან ტერფამდე.

რასაკვირველია, ამას მოჰყვა დიდი ტაში და ხანგრძლივი სიცილი.

მეორე შემთხვევა, არა ასევე მკვეთრი, მაგრამ საკმარისად სასაცილო და გამაწბილებელი. ოპოზიცია მოითხოვდა რომელიღაც კომისიის არჩევას და დარწმუნებული იყო, ილია ამის წინააღმდეგი იქნებოდა. ილია ამ სხდომას არ დასწრებია, ერთერთი ახლო ნათესავის გასვენებაზე იყო. ამ კომისიის შესახებ მან მეორე დღეს ილაპარაკა, ილაპარაკა მშვენივრად, მიიღო კომისიის არჩევის წინადადება და მას სამოქმედო პროგრამაც დაუსახა. ამ მოულოდნელმა ამბავმა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია, მთელი კრება ტაშით შეხვდა, თვით ოპოზიციაც, და ყველაზე მეტად მიშო მაჩაბელი (ოპოზიციის აქტიური წევრი) უკრავდა ტაშს. ამ დროს ილია წინ წამოდგა, თითქო მოღუშული და ჩაფიქრებული სახით. კრება გაჩუმდა. — ბატონებო, — დაიწყო ილიამ, — ტაშისათვის გმადლობთ, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძალიან დამაფიქრა... სხვათა შორის, ყველაზე ძალიან ტაშს მიშო მაჩაბელი მიკრავდა და გულში ღარღლი ამეშალა — სისულელე ხომ არა წამოვროშე-რა.

რაღა თქმა უნდა, კვლავ ტაში და კვლავ სარხარი.

ილია ხანდახან, ცოტა არ იყოს, ადამიანის უდიერ, უხეშ აგდებასაც არ ერიდებოდა...

რასაკვირველია, ყოველივე ამას ბანკის საკითხებთან შორი-შორეული კავშირი ჰქონდა, მაგრამ, რაკი ბრძოლა დაუნდობელი იყო, ილიაც არ ინდობდა თავის მოწინააღმდეგეს, სმარობდა ყველა საბრძოლველ ფანდს, რაც ამ ბრძოლაში გამოადგებოდა მტრის გასაწბილებლად და რასაც მისი მახვილი გონება მიაწვდიდა.

ასეთი იყო გარეგანი სახე ამ თითქო უშინაარსო ბრძოლისა. ასე ეჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში, იმას, ვისაც არ შეეძლო ღრმად ჩაეხედა ბანკის საქმეში და სრულის შეგნებით აეწონ-დაეწონა ის სერიოზული მიზეზები, რაც ამ ბრძოლის ზედაპირის ქვეშ იყო. ხოლო ზოგიერთების აზრით მაშინაც და ახლაც, ეს ბრძოლა ილიას მხრივ უეჭველად იდეური იყო. ილია უაღრესად აფასებდა ბანკის მნიშვნელობას, როგორც ეკონომიური ფაქტორისას, რომელიც მოწოდებული იყო დახმარება გაეწია ქართველობის კულტურული განვითარებისა და წინ მსვლელობისათვის ყველა სხვა სფეროშიაც. ამიტომ ბანკის დაღუპვას იგი საზოგადოებრივ კატასტროფად სთვლიდა. და რადგანაც მას თავისი მოწინააღმდეგენი ისეთ „მოსაქმეებად“ მიაჩნდა, ისეთ არარაობად, რომ ადვილად შეეძლოთ ბანკი კატასტროფამდე მიეყვანათ, ამიტომ იგი მათ გააფთრებით ებრძოდაო. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ილიას მეტოქეთ არ წარმოუდგენიათ ისეთი მთლიანი იდეური სისტემა, რაც ძირიან-ფესვიანად შესცვლიდა ბანკის სახეს და გააუმჯობესებდა მის მუშაობას. ხოლო „ეს არ მოგვწონს, ის არ მოგვწონსო“, აი, ამის წინაშე ილია ქედს ვერ მოიხრიდაო. მას ასულდგმულებდა მხოლოდ დაღუპვისაგან ბანკის გადარჩენის იდეა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ილიამ სრული შეგნებით მსხვერპლად შესწირა ბანკის არსებობას თავისი დიადი მოწოდება მწერლისა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა სიმპატიები ბანკის გარეშე ილიას მხარეზე იყო და პრესაშიაც ივანე მაჩაბელს სწორედ ამ უიდეო ბრძოლისათვის უწოდეს „თამარაშნელი ბულანჟეო“.

იმის განხილვას ვერ შევუდგები, მართალია თუ არა ასეთი მსჯელობა ჭავჭავაძე-მაჩაბლის ბრძოლაზე. მე საჭიროდ

დავინახე ამის აქ აღნიშვნა, მით უფრო იმიტომ, რომ ჩემი კალმის ნაცოდვილარი — ერთი თვალის გადავლებით ნახულისა და ერთი ყურმოკვრით გაგონილის გახსენებაა მხოლოდ და არა მოვლენის მიზეზთა მიზეზებში ჩახედვა და ჩაღრმავება.

მთლად იმ ხნის განმავლობაში, რაც მე ჯარისკაცი ვიყავი (თითქმის სამ წლამდე), სულ „ივერიაში" ვთანამშრომლობდი. რედაქციის გამგე პირველ ხანს, როგორც უკვე აღვნიშნე, მეველე იყო და შემდეგ გიორგი ლასხიშვილი. რედაქციის მდივნად მეველეს დროს არტემ ახნაზაროვი იყო. (ფსევდ.: მანოელიძე, ჩიორა და სხვ.). ქართული ენის ჩინებული მცოდნე, იგი აგრეთვე დაჯილდოებული იყო მრავალმხრივი ნიჭით; ეხერხებოდა ლექსების წერაც (ალექსი ტოლსტოის „ცოდვილის" შესანიშნავი თარგმანი), პატარ-პატარა ლირიკული ნოველებისაც (მაგალითად „ოხვრა"), ტფილისური სცენებისაც („ოჰანეზას ნადირობა" და სხვ.), აგრეთვე რეცენზიებისაც. რაც შეეხება ჰუმორისტულ ფელეტონებს, თამამად შეიძლება ითქვას, ქართულ პრესაში მას იმ დროს ბადალი არა ჰყავდა. ხშირად მისი მოსწრებული სიტყვა ნოტარიუსის ბეჭედივით ზედ მიეწებებოდა ხოლმე ნიშანში ამოღებულ პიროვნებას.

აი, ამ ბასრი კბილიანი (უფრო-კი მჩხვლეტავი კალმიანი) ადამიანის ხელში ჩავვარდი მე „ივერიაში" წერის დაწყებისას. საერთოდ, საგაზეთო მასალას და ბელეტრისტულ ნაწერებსაც არტემა ასწორებდა. მეტისმეტად დაუნდობელი რამ იყო. მას ფეხებზე ეკიდა, რა უძილო ღამეები გამეტარებინა ამა თუ იმ მოთხრობის წერაში, რაოდენი ტვინისა და ნერვების დაძაბვა მომენდომებინა ამა თუ იმ სურათის ან ფრაზის გამოყვანისათვის. კალმის ერთის მოსმით იგი ულმობელად ჰშლიდა მთელ-მთელ სურათებს, მთელ-მთელ გამოთქმებს. პირველში გაუბედავად და თანდათან-კი უფრო ენერგიულად ვებრძოდი ამ ულმობელ თარეშს ჩემს ნაწერებში, მაგრამ მაინც მთლად დასისხლიანებული გამოვდიოდი ამ ბრძოლიდან. კიდევ კარგი, დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ქირურგია უზომოდ მტკივნეული დამწყები მწერლის თავმოყვარეობისათვის. ორი-სამი

ნაწერის შემდეგ მოვიპოვე ხელშეუხებლობის უფლება და, რაკი ნაწერს რედაქციის გამგე მიიღებდა, გასასწორებლად სხვას აღარ გადასცემდნენ ხოლმე.

ყოველივე ზემოდ ნათქვამი აქ იმიტომ აღვნიშნე, რათა შეჩვენებინა შემდეგში, რომ თვით ილია სულ სხვანაირად ექცეოდა ახალგაზრდა მწერლებს, მეტისმეტად ფრთხილად და ლმობიერად. ამის საილუსტრაციოდ შემდეგი ეპიზოდი უნდა მოვიყვანო. წელიწადნახევარმა გაიარა, რაც მე „ივერიაში“ ვთანამშრომლობდი როგორც ბელეტრისტი. ამ ხანში შედარებით ბევრსა ვწერდი და ყველა ჩემი ნაწერი იბეჭდებოდა. ჰონორარს, რასაკვირველია, არ მაძლევდნენ და არც მე მიოხოვნია. ვიცოდი კი რომ ხანდასან ჰონორარსაც იძლეოდნენ. ერთხელ გადავწყვიტე, შემემოწმებინა, ვღირდი რადმე, თუ ჩემს წაწერებს ბეჭდავდნენ ისე, იოლად, გაზეთის ასავსებად. თანაც, არც გასამრჯელოს დავიწუნებდი; ხელმოკლე ჯარისკაცი ვიყავი, ჯამაგირს ორთვეში 9 მან. და 15 კაპ. ვიღებდი. მივიტანე ერთი ჩემი ნოველა „ღუღუნი“ და ჰონორარი მოვითხოვე. გიორგი ლასხიშვილმა მითხრა, რაკი ფულს ითხოულობ, შენი ნაწერი ილიამ უნდა წაიკითხოს და გადაწყვიტოს, მოგეცეს თუ არა გასამრჯელო, ასეთი წესიაო. ეს განცხადება ერთსადაიმავე დროს მემწარა და მეტკბილა კიდეც... ერთიც ვნახოთ, დაიწუნა... მშვიდობით მაშინ მწერლის სახელო... ხომ ხელი უნდა ავიღო წერაზე-მეთქი. რომ მოიწონოს... ავშენდი, გავკეთდი კაცი... ფულსაც ავიღებ. მწერლის სახელსაც დავიდასტურებ-მეთქი... ეჰ, რაც იქნება-იქნება... მოხდეს, რაც მოსასდომია... და ვუთხარი ლასხიშვილს — წარუდგინე-მეთქი ილიას. რასაკვირველია, მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, რომ ერთი მოწონება თუ დაწუნება — არაფერს მოასწავებდა.

დავიწყე ლოდინი. იგი თითქმის ორ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კალამს ხელი ვერ მოვკიდე... ვიყავ მღელვარებასა და სულიერ ტოკვაში. ილია თავის განაჩენს აგვიანებდა. თითქმის ყოველ დღე დავიარებოდი რედაქციაში, თუმცა ილიას შეხვედრას ვერიდებოდი... მრცხვენოდა... ბოლოს, მოთმინების საწყაული რომ ამევსო, ერთ საღამოს გაავზნებული მიველ და მტკიცედ განვუცხადე ლასხიშვილს — გამომირთვი ილიას ჩემი ნაწერი, სულ ერთია, წაუკითხავს თუ არ წაუკითხავს-მეთქი. — კაცო, რა გაღელვებს, — მამშვიდებდა გიორ-

გი, — ილია სხვა შემთხვევაში უფრო დიდ ხანს აგვიანებსო. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ილია შემოვიდა, მომეშვიდობა და მაშინათვე გატრიალდა თავის ბინისაკენ. გამოვეთხოვე გიორგის და სიტყვა ჩამოვართვი, ხვალისათვის ხელნაწერს დამიბრუნებდა.

მეორე დღეს, რასაკვირველია, რედაქციაში შევიარე, უიმედობა გულს მიქენჯნიდა. გიორგი სიცილით შემხვდა. — ვბეჭდავთ, ვბეჭდავთო — შემომძახა მან დანახვისთანავე. გული გადამიქანდა და აკანკალებული ხელით ხელთნაწერი ჩამოვართვი, გადავათვალიერე და პირკატა მეცა. ვერსად შესწორება ვერ ვნახე. გულში რაღაც ჩამწყდა. — გიორგი, — ილიას არ წაუკითხავს... — წამოვილუღლუღე, დარწმუნებულმა, რომ ილიას ნაწერი არ წაეკითხა და ჰონორარს მხოლოდ მოწყალებად მაძლევდა. — რას ამბობ, კაცო, როგორ არ წაუკითხავს?.. შინაარსიც გვიამბო. შენ რომ წახველ, ილიამ ხელნაწერი გამოიტანა და გვითხრა — დაბეჭდეთ და ფულიც მიეცითო. — მერე, არავითარი შესწორება? — ეგ შენი ბედიაო — მითხრა სიცილით გიორგიმ.

მე კვლავ გადაეფურცლე ხელთნაწერი და აღმოვაჩინე ორ ადგილას ილიას შენიშვნები, რაც უზომოდ აღელვებულმა პირველად ვერ შევნიშნე. ერთ ადგილას სამი-ოთხი სტრიქონი წითელი ფანქრით ფრჩხილებში ჩაესვა და გვერდის კიდეზე დაეწერა: „წითლებშუა, ჩემი აზრით, მეტია“. ამ სტრიქონებში მგელი მყავდა აწერილი და, როგორც მეგონა, შნოიანადაც. მეორე ადგილას სიტყვასთან „ლოდნა“ კითხვითი ნიშანი დაესვა და კიდეზე დაეწერა „ლოდინი“. სხვა გასწორება არა იყო რა.

რას მოასწავებდა ილიას შენიშვნების სიძუნწე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორფელეტონიან ნოველაში? რასაკვირველია, არა იმას, რომ ჩემი ნოველა სრულყოფილი იყო და ილიას არა ჰქონდა რა გასასწორებელი. თვით ილიას რომ დაეწერა ამ შინაარსის ნოველა, თუნდაც ისევე ასხმული, როგორც მე მქონდა, რაღა თქმა უნდა, ერთ სიტყვასაც არ მოიხმარდა მთელი ჩემი ნაწერიდან. ასევე იქნებოდა, ილია რომ ჩემი ნაწერის სწორებას შესდგომოდა. მართალია, ნაწერი გამდიდრდებოდა, გალამაზდებოდა, მაგრამ ეს ხომ ილიას თხზულება იქნებოდა და არა ჩემი. არც ის იყო, რომ ილი-

ას არ ემეტებოდა ახალგაზრდა მწერლისათვის ფერუმარილი, თავისი შესანიშნავი სახეები და მადლიანი გამოთქმები. ილია დიდი მხატვარი იყო და კარგად იცოდა, რომ ყველა მხატვარს, დიდსაც და პატარასაც, თავისი ინდივიდუალობა აქვს, თავისი ფერადები, თავისი საერთო იერი, მოვლენათა თავისებურად შეცნობა და თავის არსებაში თავისებურად გადატეხა, ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც თავისებურად. ეს რომ ასე უნდა ყოფილიყო, თვალნათლივად მტკიცდებოდა მისი ზემოაღნიშნული შენიშვნით „წითლებშუა, ჩემის აზრით, მეტიაო". და რომ ეს ასე იყო, ამის დამადასტურებელია ნიკო ხიზანიშვილის (ნ. ურბნელი, „პლებსი") სიტყვები. როდესაც ნაწერის კორექტურას ვასწორებდი, რედაქციაში ნიკო შემოვიდა. მე გამოვიყენე ეს შემთხვევა და შევეკითხე ნიკოს, ამოვიღო ეს სტრიქონები თუ არა მეთქი? თანაც ვუჩვენე ილიას შენიშვნა. ნიკომ მითხრა, — ილია სხვისადმი იმდენად ფრთხილია, რამდენადაც თვისადმი ულმობელიაო. რაკი ასეთი შენიშვნა გაუკეთებია, მართლა მეტი ყოფილა... ენდე იმის გემოვნებასაო. — მეც, რასაკვირველია, ვენდე. და რომ ილია თვისადმი მართლაც და ულმობელი იყო, ამის დამმოწმებელია ილიას კორექტურა მისივე ნაწერებისა. მინახავს არა ერთხელ ეს კორექტურა და უნდა ვთქვა, რომ არც ერთი ტოპოგრაფიული რუკა არ შეედრებოდა მას ნახაზობით. ან როგორ ახერხებდნენ ასოთამწყობნი ამ კორექტურის გასწორებას, პირდაპირ საკვირველია.

ილიას ვერავინ უკიჟინებს, თავის გვერდით სხვა დიდ კაცს ვერ იტანდაო, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ამგვარი ადამიანების ცხოვრებაში. იმის მაგალითები, თუ რა პატივისცემით ეპყრობოდა იგი აკაკის და ვაჟა ფშაველას, როგორც მგოსნებს, ყველამ იცის. მეტისმეტად საგულისხმოა ამ მხრივ ილიას შესანიშნავი და დიდის გულწრფელობით აღსავსე წერილი აკაკისადმი, 1886 წლის იანვრის 5-ს მიწერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, გვხვდება ასეთი ფრაზა: „...თუ აქამდე ეს წერილი დაგიგვიანე, მაგას ნურც ჩემ განთქმულ ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავ-გუნებიან

მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული...“ (გაზ. „სიტყვა და საქმე“ 1933 წ.). ასევე აფასებდა იგი სხვებსაც, ვისაც-კი ქვეყნისთვის გაეკეთებინა რამ. ამის საილუსტრაციოდ არ შემიძლიან არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი, რომელიც ალ. ფრონელმა (ალ. ყიფშიძემ) მიამბო.

— მე და გიგა (მისი უფროსი ძმა გრიგოლ ყიფშიძე, „ივერიის“ რედაქციის გამგე მრავალხნის განმავლობაში) ერთ საღამოს ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო მიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა. წერილი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. იგი ეხებოდა „ივერიაში“ რომელიღაც დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ წერილს, არ მახსოვს რაზეო. ილია თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა. ჩვენ გაკვირვებაში ვიყავით, — განა, რასა სწერდა იმოდენას... ბოლოს, როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიკითხა რაც დაეწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი. პასუხის შინაარსი არ მახსოვს (იმას არ ახსოვდა, თუ მე აღარ მახსენდება — ვერ მოგიგონია), მაგრამ იგი მეტისმეტად თავაზიანი და თანაც მტკიცე იყოო. როდესაც მე და გიგამ განცვიფრება გამოვთქვით პასუხის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და პაწია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო, — ილიამ გვიპასუხა— იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, — რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო... — შემდეგ, კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი გადახეული ფოსტის ქაღალდებით მოშანშლული ვნახეო. — ასეთი ჰქონდა ილიას გრძნობა პასუხისმგებლობისაო — დაამთავრა ალ. ფრონელმა თავისი ამბავი.

გავიხსენოთ მისი აზრი დიმიტრი ყიფიანზე, იმ დიმიტრიზე, რომელსაც პოლემიკით სიცოცხლე გაუმწარა, როდესაც დავა პრინციპიალურ საგანს ეხებოდა. აი, როგორ ახასიათებდა ილია განსვენებულს:

„მძლედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დიდსასიათის კაცნი არიან. ამ ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მომადლებია გულთასრულობა, დიდსასია-

თობა, იმისდა მიუხედავად — ტრიალი ემარჯვათ, თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც-კი კაცობრიობა ქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათიანი კაცის წინაშე ყველა უნებლიედ თავს ისრის მოწიწებით და სასოებით. ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკუდაუბრუნებლად, სამუდამოდ...“

ილიას საჯარო გამოსვლებიდან, ბანკის კრებების გარდა, მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს იყო 1905 წლის დამლევს, სასაკირალის ამბების გამო. დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმი იგზავნებოდა ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით. უეჭველი იყო ხალხის რბევა და ჟლეტა-სოცვა, რაც მოხდა კიდეც. ქართველი საზოგადოების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ, რომ ამ საქმისათვის ეშველნათ როგორმე. ამ თათბირს ილიაც დაესწრო და შესანიშნავი ენერგიული სიტყვა წარმოსთქვა. ამ გრძნობით და აზრით სავსე სიტყვის აღდგენას ვერ ვახერხებ, მეხსიერება მღალატობს. მაგრამ მახსენდება სიტყვის დასასრული. ილია წინადადებას იძლეოდა, მეფის ნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ და მოვითხოვოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „костьми ляжем““ (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოსთქვა).

როდესაც ვიღაცამ შენიშნა, ხომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენთაგანი არ წავა და „костьми не ляжет“-ო, ილიამ უპასუხა „მაშინ სირცხვილი ჩვენ“ და, რამდენადაც მაგონდება, დაუმატა ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს“ ან „თორემ ხალხი თითონ წავაო“.

უკანასკნელად ილია ვნახე ბევრი-ბევრი ერთი ან ორი თვით წინ მის ტრაგიკულ აღსრულებამდე. იგი ახალი დაბრუნებული იყო პეტერბურგიდან, სადაც სახელმწიფო საბჭოს

სესიაში მონაწილეობას იღებდა, როგორც მისი წევრი, ქართლ-კახეთის (ტფილისის გუბერნიის) თავადაზნაურობის მიერ არჩეული. ილიამ შემოიარა თავადაზნაურთა საკრებულოში, ასე ვთქვათ, სადარბაზოდ, ვითომ მარშლისათვის ანგარიშის ჩასაბარებლად.

ილია მაშინ სრულიად ჯანსაღად გრძნობდა თავს და 70 წლის მოხუცი ახალგაზრდული სილაღით ამოვიდა საკმაოდ მაღალ კიბეზე. ეს კარგად მახსოვს, რადგანაც მე შევხვდი კიბეზე, რა დავინახე ფანჯრიდან, რომ მისი ეტლი კარებთან გაჩერდა.

ილია კარგ გუნებაზე იყო და ხალისიანად მუსაიფობდა პეტერბურგის ხელისუფალთა წრეებზე.

სხვათა შორის, მაგონდება მხატვრული აღწერა სახელმწიფო საბჭოს პირველი საზეიმო სხდომისა.

— უნდა გენახათ ეს დაჩამჩამებული ჩინოსნები, როდესაც ისინი „ბოჟე ცარია ხრანის“ მღეროდნენ. ელექტროლამპებით ალაპლაპებული მელოტები, „მირონცხებულისადმი“ ყმური, ქვეშევრდომული ექსტაზით აღტყინებული სახეები, აცრემლებული მიმქრალი თვალები, კბილებჩაცვივნული პირები, — ყოველივე ეს, ერთად აღებული, გამოსცემდა რაღაც უცნაურ ხმას საცოდაობისას და განწირულებისას... გადავხედე ამ საშინელ სანახაობას და გულში ვთქვი — ვაი იმ სამეფო ტახტს, რომელიც ასეთ ბურჯს ეყრდნობა-მეთქი.

ვერ დავიქადებ, რომ ეს გადმოცემა სიტყვა-სიტყვით აღადგენდეს ილიას ნათქვამს, მაგრამ ჩემმა მეხსიერებამ სწორედ ამ სახით ჩაირჩინა იგი თავის ხვეულებში. მეხსიერება ჟინიანი რამ არის. ხშირად ამა თუ იმ მოსმენილი სიტყვის უბრალო შინაარსსაც-კი ვერ გაიხსენებ ხოლმე. მაგრამ ესა თუ ის წვლილი ამ სიტყვისა ისე ჩაგეჭრება ხსოვნაში, რომ დროჟამი ვერ წაშლის. ამ შემთხვევაშიაც ასეა.

ექვთიმე თაყაიშვილი

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე ჩემი სტუდენტობის დროს, ვგონებ, როდესაც III კურსზე ვიყავი გადასული. კარგად კი არ მახსოვს, ასე 1885 წელს უნდა ყოფილიყო. ილია ქართული საადვოკატო ბანკის საქმეზე ჩამოვიდა პეტერბურგში და ბინად ჩამოხტა ვასო მაჩაბელთან... ილია და ის ვასო მაშინ ღიდი მეგობრები იყვნენ, ილია შვილებს უნათლავდა. ვასო საფიცი ვექილი იყო, ადვოკატი თავად მინგრელსკისა, რომელიც მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა. ვასო ქართველ სტუდენტებს ეხმარებოდა ხოლმე ხელმოკლეთათვის ფულის შეკრებად საღამოების მოწყობაში. ერთი ასეთი საღამოს შემოსავალი, სამი ათასი მანეთი სტუდენტებს ვასილის თანხმობით გადაეცემოთ, როგორც ხელუხლებელი თანხა და ხუმრობით „დარდუბლის კიდობანი" დაერქმიათ მისთვის. ის ფული თვით ვასილ მაჩაბელს ჰქონდა მიბარებული. იმ წელიწადს ვასილმა გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება, თავისი სახლის ლიკვიდაციას აპირებდა (მგონი, ნევის პროსპექტზე ცხოვრობდა) და წინადადება მოგვცა სტუდენტებს, იმ თანხასაც თან წავიღებ და შესანახად გადავცემო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე არისო. სტუდენტებმა არ მიიღეს ეს წინადადება და მოითხოვეს, ფული პეტერბურგში დაეტოვებინა. მაშინ მაჩაბელმა უთხრა, წარმომადგენელი გამოგზავნეთ და ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით გადავწყვიტოთ ეგ საქმეო. სტუდენტობამ აგვირჩია და გაგვაგზავნა სამი კაცი. მიხაკო ღვდლიევი [მღვდლიაშვილი. გ. ლ.] (შემდეგ ჩვენი სენატორი რომ იყო), ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მერაბის ძე, იასონისა და [მწერალ] ნიკოს უფროსი ძმა, იურისტი, მერე ქუთაისში ბანკირად იყო) და მე. მივედით ვასო მაჩაბელთან და ილიაც გამოვიდა და გაგვეცნო. ილიას პირველად მაშინ შევხვდი და მისი დანახვისთანავე გამახ-

სენდა, ძალაუნებურად, ჩემი ნათესავის კოწია თაყაიშვილის ნათქვამი ილიას გარეგნობის შესახებ. ეს თაყაიშვილი მეფის „კონვოი"-ში მსახურობდა უწინ, ალექსანდრე მეორის დროს; ახლო კავშირი ჰქონდა ქართულ სტუდენტობასთან, დიდი ლიბერალი და თან პატრიოტი კაცი იყო; კარგად იცნობდა ახალ ქართულ ლიტერატურას და თაყვანსა სცემდა ილიას, როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს; ძალიან კარგად გვიკითხავდა ხოლმე მის „კაცია ადამიანს", „გლახის ნაამბობსა" და სხვა ნაწარმოებებს. ილია დიდხანს არ ენახა პირადად, მხოლოდ ერთხელ მოეკრა თვალი ქუთაისის ბულვარში, სხვებთან ერთად, და დასდევნებოდა, რომ კარგად დაეთვალიერებინა. მერე გვითხრა: „მრგვალი ტანითა და სისრულით მის მიერ აღწერილ თათქარიძეს ჩამოგავს, მაგრამ თვალები კი შესანიშნავი აქვსო".

შეგვექმნა მსჯელობა „დარდუბლის კიდობნის" გამო. ილია დიდხანს გვესაუბრა წერა-კითხვის საზოგადოების მიზნებისა და მათი განხორციელების გზების შესახებ და ბოლოს გვირჩია, თანხა იმ საზოგადოებისათვის გადაგვეცა — თუ შეწირულობად არა, შესანახავად მაინც. „აქ ეგ ფული უსათუოდ შემოგესარჯებათ, ან არა და, ქართველების ჩვეულებისამებრ, აიშლებით, დაიშლებით და დაგეკარგებათო!" აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შევთანხმდით, რომ ფული შესანახავად გადაეცემოდა წერა-კითხვის საზოგადოებას. ვასილ მაჩაბელმა პირადად წამოიღო თანხა, თბილისში რომ წამოვიდა, და დანიშნულებისამებრ ჩააბარა კიდეც. ოღონდ, ეტყობა, არ მოუთხოვია იმ თანხის ხელშეუხებლობა და საზოგადოებას ფული თავისი მიზნებისამებრ მოეხმარა. ყოველ შემთხვევაში, ჩემ დროს საზოგადოებას აღარ გააჩნდა ასეთი, ხელუხლებელი თანხა.

უნივერსიტეტი რომ გავათავე, თბილისში ჩამოვედი და ლათინური ენის მასწავლებლად დავდექი სათავადაზნაურო სასწავლებელში, რომელსაც მაშინ ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე განაგებდა (ქუთაისშივე, გიმნაზისტობისას ჩემი კარგად მცნობი). ჩემი ჩამოსვლის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამბავი მოვიდა, სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი მოკლესო. ეს იყო 1887 წლის 24 ოქტომბერს. ამაზე რა თქმა უნდა, თავზარი დაგვცა ყველას და მთელი ქართველ-

ლიობა ააღელვა. ვადაწყვიტეს, ჩამოესვენებინათ ცხედარი და საკადრისი პატივით დაემარხათ მთაწმინდაზე. ამის მოსაწყობად შედგა კომისია, რომელშიც, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეც დიდ მონაწილეობას იღებდა.

მთავრობის მიერ დაყრილი სმა, ვითომც დიმიტრი ყიფიანი გაძარცვის მიზნით მოეკლათ, არავის არა სჯეროდა: ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი რუსული ხელისუფლების აგენტების მიერ იყო მოკლული.

კომისიაში ამირჩიეს მეც. ვინ დამასახელა, აღარ მახსოვს, მაგრამ საერთოდ მაშინ უკვე ყველა ასეთ კომისიებში მასასელებდნენ ხოლმე, იმიტომ, რომ ცოტა იყო ასარჩევი ადამიანები. კომისიაში სულ თხუთმეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე დამხმარეც აუარებელი გვყავდა. შევიმუშავეთ დაკრძალვის გეგმა. ჭირისუფლობა იკისრა განსვენებულის ნათესავმა დავით ყიფიანმა — ცნობილმა მოღვაწემ და კარგმა კაცმა, თბილისში დიდად მიღებულმა ნოტარიუსმა, ილია ჭავჭავაძის, ივ. პოლტარაცკის, ალ. ჯაბადარისა და სხვათა მეგობარმა. ოფიციალური მიმოწერა, ნებართვის მიღება და სხვა ასეთი რამეები სულ მას დაეკისრა. მართალია, დიმიტრის ვაჟი დარჩა, კოტე, მაგრამ ის ვერ გაართმევდა თავს იმდენ საქმეს და თან პრესტიჟისთვისაც სჯობდა დავითისათვის დავალება იმეებისა.

რასაკვირველია, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დეპუტატები და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ყველანი სამგლოვიარო ლენტებით შემოსილნი (მკლავებზე გაგვიკეთეს) დავსვდით ცხედარს ვერაზე, ჯვართან*. იქიდან დაიწყო პროცესია. კომისიის გეგმით, ცხედარი უნდა გამოგვეტარებინა გოლოვინის პროსპექტით** ერევნის მოედნამდე***, მერე უნდა აგვეხვია სოლოლაკის ქუ-

---

* იგულისხმება ის ჯვარი, რომელიც აღმართული იყო მდ. ვერის პირას, ღაღმართზე, სადაც 1837 წელს ეტლი გადაბრუნებოდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, საქართველოს სამხედრო გზით მომავალს. ჯვარი დადგეს მისი მშვიდობით გადარჩენის აღსანიშნავად. ახლანდელი აბრეშუმის ფაბრიკის წინ იყო.

** ახლა რუსთაველის გამზირი.

*** ახლა ლენინის მოედანი.

ჩაზე*, მერე პეტრე დიდის ქუჩაზე** და ისე უნდა ავსულიყავით მთაწმინდაზე. პოლიცია, რასაკვირველია, გაძრავლებული იყო და ფეხზე იდგა.

დაიძრა პროცესია, დავით ყიფიანის მეთაურობით. როგორც კი მოვუახლოვდით გრიბოედოვის ქუჩის ასავალს, პოლიცია გადაგვეღობა და გამოგვიცხადა, რომ პროცესია გრიბოედოვის ქუჩით უნდა წავიდეს. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, ხალხი წინ მიმავალთ მიაწვა. ამასობაში ნიკო დიასამიძემ, რომელიც წაბლისფერ ტაიჭზე იჯდა ქართულად ჩოხაში გამოწყობილი, ცხენდაცხენ გაარღვია პოლიციის რაზმი და გასწია წინ. დავით ყიფიანიც მას გაჰყვა. პოლიცია წინ გადაუდგა სამღვდელოებას, რომელსაც მიუძღოდა ცნობილი ქართველი პატრიოტი, ბერი, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე. ის საერთოდ თითქოს არ იყო გამბედავი კაცი, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოიჩინა გამბედაობა. პოლიციის რაზმის მეთაურმა უთხრა: „Ваше преосвященство, приказано по Грибоедовской улице направить процессию!“ ალექსანდრე არ შედრკა და მიუგო: „Меня пригласили родные покойного, куда они последуют, и я за ними!“-ო და განაგრძო გზა. ზემოსილი მღვდელმთავრის შეჩერება პოლიციამ ვეღარ გაბედა, თან ხალხიც მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა წყება და მედგრად გასწია წინ. მთელ პროსპექტზე გაიმართა უზარმაზარი პროცესია. სასახლეს რომ მივუახლოვდით, განგებ შეაჩერეს ცხედარი და მიცვალებულის ლოცვა გადაიხადეს, დემონსტრატიულად, სასახლიდან არავის გამოუხედავს. მაშინ მთავარმართებლად იყო დონდუკოვ-კორსაკოვი. ამბობდნენ, რომ იმ დღეს ის არ იყო სასახლეში, თავისი ცოლის პანაშვიდზე წავიდაო ზემოთ, წმ. ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის ეკლესიაში.

სასახლიდან დაძრული პროცესია მოედანზე გავლით ავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, მერე შემოუხვია პეტრე დიდის ქუჩაზე, ხოლო იქიდან ერმოლოვის*** ქუჩით ავიდა მთაწმინდაზე.

ცხედარს, დავით ყიფიანთან ერთად, მიჰყვებოდნენ: ილია

---

* ახლა კიროვის ქუჩა.

** ახლა ძერჟინსკის ქუჩა.

*** ახლა შიო ჩიტაძის ქუჩა.

ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სხვა პოეტები და მწერლები. მიჰ-ყვებოდა, რა თქმა უნდა, განსვენებულის მთელი ოჯახიც.

საფლავზე პირველი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი გამოაცხადა საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულად და, რა თქმა უნდა, დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ის ცნობილი მშვენიერი ლექსი რომა აქვს, „ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტოო“, მაშინ არ უთქვამს, მერმე დაწერა. დიმიტრი ყიფიანს კი გულისხმობდა შიგ!

მოელოდნენ ილიას სიტყვასაც, მაგრამ მას არაფერი უთქვამს. ისე კი გვითხრა რამდენიმე კაცს: „რა ამბავსაც დღეს აქ ვუყურებთ, ამას არავითარი სიტყვა არ სჯობიაო!“ მართლაც, უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე მოსული, ნამდვილად მთელი საქართველო! ილიას მიერ სიტყვით არ გამოსვლა ზოგმა მის სიფრთხილეს მიაწერა. ისიც კი გაიხსენეს, რომ ერთ დროს მას ყიფიანთან პოლემიკა ჰქონდა. მაგრამ ერთიცა და მეორეც, რა თქმა უნდა, ცილისწამება იყო...

ამრიგად, ეს გრანდიოზული პროცესია დიდი და გაბედული დემონსტრაცია იყო ქართველი ერისა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველობაზე და ერთგვარ საგონებელშიც ჩააგდო ხელისუფალნი. მეორე დღეს მთავარმართებელმა მოიწვია საბჭოს სხდომა და თათბირობდნენ, თუ რით ეპასუხათ ამ გამოუთქმელ დემონსტრაციაზე. აზრთა დიდი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ღაასკვნეს, რომ რეპრესია დემონსტრაციის მომწყობთა მიმართ კიდევ მეტ გართულებას გამოიწვევს; რაც მოსდა, პოლიციის განცხადების მიმართ უბრალო წინააღმდეგობად ჩათვალეს, ჭირისუფალი დავით ყიფიანი 6 მანეთით დააჯარიმეს და ამით გათავდა საქმე.

ილია ჭავჭავაძე ჩემ დროს იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე და გაზეთ „ივერია“-ს რედაქტორი. ეს სამი დაწესებულება წარმოადგენდა უმთავრეს ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მართალია, არსებობდა კიდევ ქართული დრამატიული საზოგადოება, მაგრამ ის სულს ღაფავდა. ხან აკაკი წერეთელი იყო მისი თავმჯდომარე, ხან — ვინ და ხან — ვინ; მალი-მალ იცვლებოდნენ.

საზოგადო მოღვაწენი ცოტანი იყვნენ. მართალია, გიმნაზიაში და მთავრობის სხვა დაწესებულებებში კი მსახურობდა თითო-ოროლა ქართველი, რომლებსაც შეეძლოთ საზოგადო საქმიანობა, მაგრამ ისინი თავს არიდებდნენ ამას, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ ჩაებმებოდნენ, სამსახურს დაკარგავდნენ.

ილია თუმცა ითვლებოდა წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, მაგრამ სრულიად ვერ ესწრებოდა მის სხდომებს. ჩემ დროს იქ მის მოადგილედ ითვლებოდა ვანო მაჩაბელი, რომელიც საადგილმამულო ბანკის დირექტორიც იყო. საზოგადოდ, მე რომ ჩამოვედი, პირველ ხანებში ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის არავითარი უსიამოვნება არ ყოფილა. ისინი თანხმობით მუშაობდნენ. ვანო მაჩაბელიც დიდი პატრიოტი იყო, ნიჭიერი, განათლებული, კარგი მუშაკი და თან სიმპათიური ადამიანი. ჩვენ საზოგადოებაშიც გავრცელებული იყო აზრი, რომ ილიას მემკვიდრე საზოგადო საქმეებში ვანო მაჩაბელი იქნებოდა: ის ბევრად უმცროსი იყო ილიაზე. ილიასა და ვანოს შეხმატკბილებული მუშაობა ხომ, სხვათა შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ ერთად თარგმნეს „მეფე ლირი“...

მერე მოხდა რაღაც კონფლიქტი ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის. როგორ დაიწყო იგი, რა იყო მისი მთავარი მიზეზი, არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადად ჩანდა, რომ სათავადაზნაურო ბანკის საქმე უკან-უკან მიდიოდა. ვანო მაჩაბელმა განაცხადა, ილიამ დროზე არ იზრუნა ბანკის ბილეთების კონვერსიაზე და ამიტომ მსესხებელნი დავკარგეთო. ეს ნაწილობრივ მაინც იყო მართალი, მაგრამ იმას კი არ ითვალისწინებდნენ, რომ როცა ადამიანი წლოვანებაში შედის და დამძიმებას იწყებს, მას ვეღარ მოვთხოვთ პირვანდელ ენერგიასა და შრომას; ეს ბუნების წესია. იმის მაგიერ, რომ ილიასათვის პენსია დაენიშნათ და ისე, პატივისცემითა და მადლობით აღენიშნათ მისი დამსახურება და ამრიგად გამოეცვალათ თავმჯდომარე, მათ საზოგადო კენჭისყრით გაშავება მოუნდომეს და აშკარა წინააღმდეგნი გახდნენ მისი.

ასე დაიწყო ე. წ. „ბანკოვიადა“. წლიური ანგარიშის განხილვა და შემდგომი ბიუჯეტის მიღება-დამტკიცება, რაც წინათ ორ-სამ სხდომაზე მოთავდებოდა ხოლმე, ახლა სამ თვეს

გაგრძელდა. იმ კრებას „Долгий парламент“ დაარქვეს — ინგლისში რომ იყო, იმის მსგავსად. ბჭობის დროს მრავლად აღმოჩნდნენ ისეთები, ვისაც თავისი ორატორული ნიჭის გამოჩენა მოუნდა და უფრო ხშირად ისეთ საკითხებზე ჰქონდათ მსჯელობა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ბანკის საქმეებთან. ბოლოს ზოგი იქამდეც კი მივიდა, რომ თავის შეთხზულ ლექსებსაც ამბობდა კრებაზე. ერთი მათგანი, მგონი, ბაგრატიონის ქალი იყო; სხვებიც იყვნენ, მაგრამ გვარები აღარ მახსოვს. ზოგი ორატორი კი ხშირად გადაუხვევდა და ძირითად საგანს გვერდს აუვლიდა ხოლმე. მაგალითად, მ. მ. ერთხელ ისე შევიდა სიტყვის თქმისას ექსტაზში, რომ დაწვრილებით მოგვითხრო, თუ როგორ აჰყვა ერთ საღამოს ძაღლების ყეფას და გადავიდა ხევსურეთში. ეს დაისვიეს ხელზე და ხშირად ქორდავდნენ მას ფელეტონებში. ერთხელ ილიამაც დაუწერა: „ეეც მეტი აღარ დამრჩენია-რა, მ — ვით უნდა ავყვე ძაღლების ყეფასაო“. ილია საერთოდ ხშირად კენწლავდა ხოლმე მას: „აი, თავადმა მ-მა რომ მოგვასსენაო“, იტყოდა განზრახ. „არ არის თავადიო“, შესძახებდნენ აქეთ-იქიდან. „არ არისო? ჰოოო, იყოს მერე, რა გენაღვლებაო!“

შეგნებული ქართველობა დარწმუნებული იყო, რომ ბანკისათვის ორივე ძალიან საჭიროა, ილიაცა და ვანო მაჩაბელიც, და ამიტომ აუცილებლად მიიჩნევდნენ, რომ ისინი როგორმე თანხმობით მოთავსებულიყვნენ თავ-თავიანთ ადგილებზე. საკითხისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულება არა ერთხელ დადასტურდა კენჭისყრითაც: ორივეს ირჩევდნენ ხმის უმეტესობით და ვერც ერთმა მეორე ვერ „გააშავა“, მაგრამ ბოლოს ძალზე არანორმალური მდგომარეობა შეიქმნა: გაძნელდა ერთად მოთავსება ორი ადამიანისა, რომელნიც ერთი-მეორეს ხმას არა სცემდნენ, თუმცა კი ერთისა და იმავე გამგეობის წევრები იყვნენ.

თითოეული „პარტია“ ცდილობდა, თავისი დამხმარე წევრი გაეყვანა მესამე დირექტორად. იმ დროს მაჩაბლის „პარტიაში“, სხვათა შორის, იყო გენერალი გიორგი თარხნიშვილი, ხოლო ბანკის მესამე დირექტორად ირიცხებოდა სანდრო ჩოლოყაშვილი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ინტელიგენტი კაცი იყო, მაგრამ ქართველობა სრულიად არ ეტყობოდა: ქართუ-

ლი არ იცოდა, უფრო გერმანული ემარჯვებოდა, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას ეტანებოდა...

საერთოდ ილიაც, ისევე როგორც ყველა, ხშირად ურევდა ხოლმე საუბარში რუსულს; კერძოდ, ბანკშიც ხშირად გამოდიოდა ხოლმე რუსულად და მშვენივრადაც ლაპარაკობდა. თუმცა არა ერთხელ თითონვე შემოუღია წესად, — როდესაც მასთან ვიკრიბებოდით, ხუთშაბათობით, რედაქციის წევრები და სხვები (იმ დღეს რედაქციის სხდომა იყო ხოლმე მის ბინაზე) — ვინც ქართულ საუბარში უცხოურს გამოურევს, ერთი შაური უნდა გადაიხადოსო. ილია თვითონ მიაძახებდა ხოლმე, ვისაც წამოსცდებოდა: „შაური, შაური ამოყაჭეო!" ასე იცოდა!... ისე სხდომა-საღამო არ გათავდებოდა, რომ ორი თუ სამი მანეთი არ შეგროვებულიყო. რასაკვირველია, თითონაც ხშირად იხდიდა იმ შაურებს.

მაჩაბელის „პარტიამ" მოინდომა ჩოლოყაშვილის მაგიერ გიორგი თარხნიშვილის გაყვანა და კიდევაც მოახერხა ეს: თარხნიშვილი გახდა ბანკის მესამე დირექტორი. მაგრამ რაკი ფეხი მოიკიდა ბანკში, მაჩაბელს გადაუდგა, ილიას მიემხრო და ყველა საქმეში უჭერდა მას მხარს.

მაჩაბლის მეორე დიდი მომხრე იყო დიმიტრი მუსხელიშვილი, ფრიად წარჩინებული, არტილერიის გენერალი. მას მუდამ ქებით იხსენიებდნენ. კარგი სახელი ჰქონდა სამხედრო უწყებაში. თან კარგი პატრიოტი ქართველიც იყო, დედაენა კარგად იცოდა და დიდად განირჩეოდა ძმებისაგან. ამ უკანასკნელთაგანაც ორი სამხედრო პირი იყო. ერთ მათგანს, ალექსანდრეს, ცოლად ჰყავდა ნიკო ღოღობერიძის და ანეტა. ალექსანდრე დაკოდილი [დაჭრილი] იყო რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ხუცუბნის ბრძოლაში. მე გავიცანი უკვე სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი. მისი მეუღლე — შეასანიშნავი ჭკვიანი, პატიოსანი და დიდი ქველმოქმედი მანდილოსანი, ჩემი გიმნაზიელობის დროს თავმჯდომარეობდა კომიტეტს, რომელიც განაგებდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლას. მეორე ძმას, გიორგის, აგრეთვე სამხედრო პირს, ბეჟან წერეთლის და ჰყავდა ცოლად. მესამე ძმა, სახელად მგონი ნიკო, არ ვიცი, წინათ რა მოხელე იყო, მაგრამ ჩემ დროს ყველა ამ ძმების მამულს განაგებდა. მათ საერთოდ დიდი მამული ჰქონდათ ახალქალაქის მაზრაში. მუსხელიშვილებს

იმიტომ ვიცნობდი კარგად, რომ ერთ წელიწადს რეპეტიტორად ვყავდი მიწვეული ალექსანდრეს, რომელიც უშვილო იყო და თავისი უფროსი ძმის, ნიკოს შვილსა ზრდიდა, ხოლო მისი მეუღლე ანეტა—თავისი ძმის სიმონ ღოღობერიძის ქალს. იმ ქალ-ვაჟს ვამეცადინებდი მე.

დიმიტრი მუსხელიშვილი ხშირად გამოდიოდა ბანკის სხდომებზე ილიას წინააღმდეგ და იტყოდა ხოლმე: „Илья производит давление на собрание"-ო. ილია ხომ დიდი ოსტატი იყო პასუხების გაცემაში და ერთხელ წარმოსთქვა: „Я не понимаю о каком давлении тут говорят? Физического давления никто не предпринимает, а если говорят о давлении ума, то против него бессильна вся артиллерия!" ასე გადაჰკრა არტილერიის გენერალს თავისებური მწვავე მათრახი!

ილიას საზოგადოდ საოცრად მაგარი ნერვები ჰქონდა, ხოლო ვანო მაჩაბელი, პირიქით, ერთობ ფიცხი ადამიანი იყო. ილიამ თავის სიტყვებში მოწინააღმდეგის დანდობა და განკითხვა არ იცოდა. მაჩაბელსაც არ ზოგავდა და ისე გამოჰყავდა მისი ნათქვამი, თითქოს ყველაფერი აბსურდი ყოფილიყოს. ერთხელ ისე აიგდო, რომ რუსულ სათამაშოს, „Ванька-встань-ка"-საც კი შეადარა.

საერთოდ კი ამ ბრძოლამ ილია, ბოლოს და ბოლოს, გამოაცოცხლა. თუ ერთ დროს ის მართლაც მიძინებულ ლომს წარმოადგენდა, ახლა ლომმა გაიღვიძა, გაშალა ბრჭყალები და მიფანტ-მოფანტა წინააღმდეგნი. ნერვიულმა ვანო მაჩაბელმა კი ეს ბრძოლა ფიზიკურად ვერ გადაიტანა. თუმცა კენჭისყრით არ გაშავებულა, თავისი ნებით განაცხადა, რომ შორდება ბანკს და მოშორდა კიდევაც, დემონსტრატიულად დასტოვა კრება. ილიამ განაცხადა: „მე მასავით არ გავიქცევი: მანამ თქვენი ნდობა მაქვს, აქა ვარ და აქ ვიქნებიო!"

შემდეგომი ისტორია ცნობილია: ვანო მაჩაბელმა თავისი ცოლისძმის, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ბაგრატიონის დახმარებით შეადგინა ქართლის თავად-აზნაურობის სინდიკატი (ისინი ქართლელი ბაგრატიონები იყვნენ, მგონი მუხრანის შტოისა, მაგრამ უფრო შორეულნი, და ამიტომ არც ეწოდებოდათ მუხრანელები). სინდიკატის წევრებს მასში შეჰქონდათ თავიანთი შემოსავალი. ვა-

ნო მაჩაბელი მისი რედაქტორი იყო, მაგრამ ჯამაგირი, რასაკვირველია, შედარებით მცირე ჰქონდა. მერე დაავადმყოფდა, რაღაც ბრონქიტი დაემართა, და ბოლოს — ისე მოულოდნელად და საარაკოდ გაქრა. დაიკარგა: ერთ დღეს, დილაადრიან შინიდან გამოსული, აღარ დაბრუნებულა. ძებნის ყოველი ცდა უშედეგო დარჩა. ათასგვარი ჭორი გავრცელდა და ეს საკითხი დღემდის გამოურკვეველია.

აკაკი წერეთელი, რა თქმა უნდა, დიდი მომხრე იყო ვანო მაჩაბლისა და ბოლო დროს მასთანაც ედო ბინა. მაგრამ მას ბანკის საქმეებში არავითარი დახმარების გაწევა არ შეეძლო ვანოსათვის. საერთოდ აკაკის ყოველთვის სჩვეოდა ენამწარეობა, ისე რომ ზოგჯერ თავის მოყვარეთა ძვირსაც ამბობდა ხოლმე. ამის გამო აფორიზმი იყო გავრცელებული და ერთხელ ვალერიან გუნიას გაზეთშიც კი გამოქვეყნდა: „ღმერთმა გვაშოროს ილიას მტრობა და აკაკის მოყვრობაო!...“ ილიამ იცოდა, გურიაში რომ იტყვიან, „მეზერში ჩასდევდა“, მაგრამ — მტერს, ხოლო აკაკი თავის მახლობელსა და მოკეთესაც კი არ დაზოგავდა ხოლმე... მაჩაბლის ბედის შესახებ აკაკისაგან ბევრს მოელოდა ხალხი, მაგას ეცოდინებაო, მაგრამ ვერაფერს გაიგებდი: ხან იტყოდა, წყალშიაო, ხან რასა და ხან რას!...

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი, პირველ ორ წელიწადს ილიას იშვიათად ვხედავდი ხოლმე, მარტოოდენ კრებებზე. სხვაგან მას ვერსად ვხვდებოდი და არც მის რედაქციაში დავდიოდი. მხოლოდ ერთხელ ვნახე, მახსოვს, სხვებთან ერთად, შემთხვევით, რედაქციაში, რომელიც ფრეილინის ქუჩაზე* იმყოფებოდა. იმ საღამოს სულ იმაზე იყო საუბარი, თუ რა დიდად ავნო ნიკო ნიკოლაძის სტატიამ, გაზეთ „Обзор“-ში დაბეჭდილმა, გიორგი ქართველიშვილსა და ზეზემანს. სტატიაში აღწერილი იყო წარმოუდგენელი ნიაღვარი ატენის ხეობაში, სადაც აღნიშნული პირები ერისთავისაგან იჯარით აღებულ ტყეს ამუშავებდნენ;

---

* ახლა სულხან-საბას ქუჩა.

ნიაღვარმა აუარებელი დამუშავებული ხე-ტყე იმსხვერპლა, მოიტაცა და ადიდებულ მტკვარს შერთოო. ამან დიდი ზარალი მიაყენა ქართველიშვილსა და ზეზემანს და მათი წარმოებაც შეწყდა. ნიკოლაძეს დიდად კიცხავდნენ, რაკი თავის სტატიაში საჯაროდ განაცხადა მათი ზარალი და ამით მოიჯარადრეებს კომერციული ნდობა დაუკარგა. მაშინ ხომ კომერციულ საქმიანობაში ნდობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა! მათ ალბათ ბანკიდან სესხი ექნებოდათ აღებული და გაზეთი თუ გაუმჟღავნებდა ზარალს, შემდგომ სესხს ვეღარ მიიღებდნენ. ილია ამბობდა, ნიკოლაძეს ეს არ უნდა ჩაედინაო...

„ივერიის" რედაქცია შემდეგ გადავიდა ავჭალის ქუჩის* დასაწყისში სულ ახალ სახლში, რომელიც აშენებული იყო ილიას თაოსნობითა და მისი დის ელისაბედის, საგინაშვილის ქვრივის საფასით. ილიამ ამ თავსი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორი სახლი ააშენა. ეს იმ ადგილასაა, რომელსაც ვორონცოვის ხიდი** პირდაპირ უცქერის. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე — უკანა ქუჩაზე. მაშინ თბილისში შენობის აგება იაფი იყო. არსებობდა სახლთა მაშენებლების რამდენიმე არტელი, რომლებიც ყველა სამუშაოს თითონ კისრულობდნენ და მზა-მზარეულს აბარებდნენ პატრონს. შემდეგ პატრონები ამ სახლებს ბანკში აგირავებდნენ და მეტწილად ამით იხდიდნენ აშენების ფასს. გირაოს საფასურის შეტანა კი 20—30 წლობით გრძელდებოდა, ასე რომ არ უძნელდებოდათ. მახსოვს, ილიამ გვიამბო, თუ რა შესანიშნავად, ღირსეულად აუშენა ქართველთა არტელმა ის ორი სახლი — სრულიად ყოველისფრით დამთავრებული — და ბინათა გასაღებები ჩააბარა მას.

პირველ სახლში მოთავსდა ილიას სახლობა, ე. ი. თვით ილია, მისი მეუღლე ოლგა თადეოზის ასული და ილიას და ელისაბედი. შვილი არც ერთს არა ჰყავდა. სახლი ორსართულიანი იყო, მაგრამ სარდაფიცა ჰქონდა, ხოლო შიგნით, ეზოში, მარცხნივ — ორსართულიანი წაგრძელებული დერეფანი,

---

* ახლა საბჭოს ქუჩაა. ერთხანს ჩერქეზიშვილის (ჩერქეზოვის) ქუჩაც ერქვა(რედაქციის ყოფილ შენობაზე მემორიული დაფაა).

** ახლა კარლ მარქსის ხიდი.

ფლიგელივით. სარდაფსა და დერეფნის ქვედა სართულში გაზეთ „ივერიის“ სტამბა იყო. პირველი შენობის ზედა სართული საგანგებოდ აშენდა ილიას ოჯახისათვის. მისი კაბინეტის კედლები, შესავალს მარცხნივ, დამშვენებული იყო ისტორიული სურათებით: შოთა რუსთაველის, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის პორტრეტებით და სხვ. დარჩენი სამი ბინა — ზედა სართულის მარჯვენა მხარე. პირველი სართული და აგრეთვე ილიას ბინის ქვემოთ მდებარე ბინა — გაქირავებული ჰქონდათ. ზედა მარჯვენა ბინაში, მახსოვს, ვექილი ალექსანდრე ჭყონია იდგა. სხვა მდგმურები ვინ იყვნენ, არ მაგონდება. ილიას ბინა ფართო ოთახებისაგან შედგებოდა, ეზოს მხრით მას შუშაბანდიანი აივანიც ჰქონდა, ზაფხულობით შუშაბანდს ჩამოიღებდნენ და ზამთრობით ისევ ჩადგამდნენ ხოლმე. დიდი მისაღები დარბაზი ორად იყო გაყოფილი: პირველი ნაწილი მამაკაცებისათვის იყო, მეორე კი ქალების მისაღებს წარმოადგენდა. ამ მისაღებ დარბაზს გასწვრივ, შუშაბანდისაკენ, დიდი სასადილო ოთახი იყო. მასში ხუთშაბათობით იმართებოდა ხოლმე საღამო რედაქციის წევრებისა და თანამშრომლებისათვის, რომელსაც ესწრებოდნენ ილიას სხვა (ბანკისა და ა. შ.) თანამშრომლები თუ მეგობრებიც. იმ საღამოებზე ხშირად კითხულობდნენ პოეტებისა და ლიტერატორთა ახალ ნაწარმოებებს, სტატიებს; იყო მსჯელობა იმდროული ქართული საკითხების შესახებ. ყოველი საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომლისთვისაც ღვინო ილიას მუდამ საგურამოს მამულიდან ჰქონდა (ახლა რომ მწერალთა სახლი ყოფილა).

ილიას იმ ხუთშაბათ-საღამოებს მე ვესწრებოდი 1890 წლიდან, მას შემდეგ, რაც „ივერია“-ში თანამშრომლობა დავიწყე და ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ გამოვიდა.

ვახშამზე თამადად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო ხოლმე..., თუმცა ძალიან მჭევრმეტყველი არ ეთქმოდა... იგი ილიას ძალიან პატივს სცემდა. „ბანკოვიადა“ რომ შეიქმნა მაჩაბელსა და ილიას შორის (განსაკუთრებით 1893—1894 წლებში) ანტონმა მაგრად დაუჭირა მხარი ილიას და ამით დაუახლოვდა მას. წინათ ის დამფასებლად იყო საადგილმამულო ბანკში, მაგრამ მერმე დირექტორადაც გადავიდა, ხოლო

ილიას შემდეგ — რამდენადაც მახსოვს — ბანკის თავმჯდომარ-
რედაც კი... რაც შეეხება მის შემოქმედებას, ანტონი პისარე-
ვის მიმდევარი მწერალი იყო, ნიღილისტური მიმართულე-
ბისა...

ილიას „ხუთშაბათობა“ დემოკრატიული საღამოები იყო, მაგრამ მას სხვა, უფრო არისტოკრატიული საღამოებიც ჰქონდა ხოლმე. იგი დიდად მიღებული იყო იმ წრეში, რომელშიც შედიოდნენ ქართველი დიდრონი თავადები: თბილისის გუბერნატორი შარვაშიძე, გენერალი ნინიკა (ნიკა) ამილახვარი, გენერალი ზაქარია ჭავჭავაძე (დიდი გენერალი იყო, კორპუსის ყოფილი მეთაური. მის ვაჟიშვილს მაქსი ერქვა სახელად, ქალიშვილი ერთ რუმინელს ჰყავდა ცოლად) და სხვები. ისინი ჩვეულებრივ აწყობდნენ ე. წ. „ჟურ-ფიქსებს“ და ილიას იწვევდნენ ხოლმე. მასაც, რასაკვირველია, სამაგიერო უნდა გადაეხადა და იხდიდა კიდევაც. მაგრამ ასეთ წვეულებაში ქართველი დემოკრატების გარევა მათთვისვე იქნებოდა უხერხული და ილია არც ურევდა.

საზოგადოდ, მთავრობის უმაღლესი წრეები გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ილიას, ყურს უგდებდნენ მის აზრსა და შუამდგომლობას. მაგრამ ილია მაინც წინდახედული იყო და თუ რომელიმე უმაღლესი ხელისუფალი უხეშად იქცეოდა, მასთან არავითარ ურთიერთობას არ იქონიებდა, არც ეჩვენებოდა და არც საქმისათვის მივიდოდა. მაგალითად, მთავარმართებელი გოლიცინი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი „სოლდაფონი“: ვინც არ უნდა ხლებოდა, ყველას უყვიროდა და უკმეხად ელაპარაკებოდა. ისე წავიდა ის გოლიცინი თბილისიდან, რომ ილიას არც გაუცნია იგი და არც რაიმე საქმეზე მისულა, თუმცა თვით გოლიცინს ეწადა მისი გაცნობა და არა ერთხელ უთქვამს თავისი ადიუტანტის, საშიკო ორბელიანისათვის, „გამაცანით ილიაო!“ ვორონცოვ-დაშკოვთან და მის წინამორბედ შერემეტიევთან კი ილია დაახლოებული იყო და ხშირად ქაღალდსაც კი ეთამაშებოდა ხოლმე. ერთხელ თეატრში ყოფილიყო გოლიცინი და თანმხლებ საშიკო ორბელიანს დაენახვებინა, შორიდან, მათ პირდაპირ ლოჟაში მჯდარი ილია. გოლიცინს დურბინდით შეეხედა ილიასათვის და ეთქვა: „რა შესანიშნავი თვალები აქვსო!“ ერთადერთი ქართველი არისტოკრატი, რომელიც გოლიცინთან და-

იარებოდა, კონსტანტინე (კოწია) მუხრანსკი იყო. გოლიცინიც დადიოდა მის ოჯახში და ძალიან უნდოდა, რომ კოწია გამხდარიყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ადრე წინამძღოლად იყო დავით მელიქიშვილი, რომელიც მანამდე ადიუტანტად ჰყავდა მეფისნაცვალსა თუ მთავარმართებელს (ძნელი გასახსენებელია, ხან ერთი ერქვა იმ თანამდებობას და ხან მეორე!). გოლიცინი მასაც უხეშად მოექცა, უყვიროდა ხოლმე და მელიქიშვილმა გათავისუფლება ითხოვა. სამსახურს თავი დაანება. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ მელიქიშვილი ძმისწული იყო ყოფილი მთავარმართებლის მოადგილისა და თან დიდი მომხრე იმისა, რომ ქართველობას რუსეთის მთავრობასთან ლოიალური დამოკიდებულება ჰქონოდა; ხშირად ამბობდა. „ლოიალური ქცევით ბევრ რასმე გამოვიტანთ რუსებისაგან, ხოლო ოპოზიციური ქცევით ყველაფერს დავკარგავთო“. იგი დიდი მეგობარი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის **ვიტესი** (რომელიც **თბილისელი** იყო) და იმას ეუბნებოდა ხოლმე, ეს ვინ გამოგვიგზავნეთ მთავარმართებლად, ნორმალური კაცი არ არის, გადარეულიაო“.

ერთადერთი ქართველი, შედარებით დაბალი წრის წარმომადგენელი, რომელიც დადიოდა გოლიცინთან, იყო დავით სარაჯიშვილი—ჩვენებური ბურჟუაზიის მეთაური. გოლიცინის ძმა დიდი მეურნე იყო, ღვინისა და შამპანურის საქმეს განაგებდა ყირიმში და ძალიან მეგობრობდა სარაჯიშვილს. როდესაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა, აღმოჩნდა, რომ მას გოლიცინის ძმისათვის 70.000 მანეთი ესესხებინა და ის ფული სრულიად დაიკარგა, მემკვიდრეებმა ვერაფერი მიიღეს... თუმცა ასეთი კარგი ურთიერთობა ჰქონდა გოლიცინთან და მის ძმასთან სარაჯიშვილს, მაგრამ ერთხელ ისიც ჩავარდა, რომ იტყვიან, „ხათაბალაში“. საქმე ასე იყო. როგორც ცნობილია, სომხის ეკლესიას ძველი დროიდანვე უამრავი უძრავი ქონება — მამულები ჰქონდა და დიდ შემოსავალსაც იღებდა იქიდან. მათ განაგებდა სომეხთა პატრიარქი და შემოსავალს მეტწილად სკოლებს ახმარდა: მთელი მათი მხარე მოფენილი იყო სასულიერო სასწავლებლებით. გოლიცინის წინადადებით, მთავრობამ ჩამოართვა სომხის ეკლესიას ეს უძ-

რავი ქონება და გადარიცხა სახელმწიფო ფონდში (ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას ასეთი ქონება დიდი სნის ჩამორთმეული ჰქონდა). სომხები ბევრს ეხვეწნენ და ემუდარენ, დაგვიბრუნეთო, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მაშინ მათ გადაწყვიტეს გოლიცინის მოკვლა — როგორც ამბობდნენ, ნაქირავები, ოსმალეთიდან ჩამოსული დაშნაკების ხელით. თავს დაესხნენ იქ, სადაც კოჯრის გზა იწყება და თავდება გოლიცინის მიერ გაყვანილი, ძალიან კარგი ასასვლელი, რომელიც მანამდე ნამეტანი აღმართიანი იყო (ამის მეტი კარგი საქმე ჩვენში გოლიცინს არ გაუკეთებია). იმ გზით უყვარდა ხოლმე თითონ ეტლით გასეირნება კოჯრისაკენ. გოლიცინი ვერ მოკლეს, მაგრამ სასტიკად კი დაჩეხეს სატევრეებით, სულ თავ-პირში ურტყეს. თავდამსხმელები კაზაკებმა დასოცეს. დაჭრილი და თავ-ყბაშეხვეული გოლიცინი კი სასახლეში იწვა. მთელმა ჩინოვნიკობამ და მეგობრებმა, რა თქმა უნდა, თანაგრძნობა გამოუცხადეს. დავით სარაჯიშვილიც, როგორც ოჯახის მეგობარი (მის ცოლთანაც კარგად იყო), ეახლა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და ნუგეშის საცემად. სხვათა შორის, ასეთი რამეც უთხრა: „Ваше сиятельство (გოლიცინი თავადი იყო), нужно быть очень осторожным, мало ли сумасшедших на свете?“ ამის გაგონებაზე გოლიცინმა თურმე უყვირა: „Ах, вы сумасшедшими называете людей, которых армяне подкупили и направили для моего убийства?!“ ცოლიც შეწუხდა, დავითს ენა ჩაუვარდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ცოლს უთხრა, მე ნუგეშისცემა მინდოდა, სხვა არაფერი, მომეხმარე, რამენაირად დაამშვიდეო!.. ძალიან დამახასიათებელი ამბავია! ვერაფერი ნუგეში გამოუვიდა.

თავდასხმის ამბავი მიაფუჩეჩეს, რაკი თავდამსხმელები დახოცილი იყვნენ. ცოტა ხანს მერე გოლიცინიც გადაიყვანეს კავკასიიდან, უხერხულად მიიჩნიეს მისი აქ დატოვება. საერთოდ მართლაც არ უყვარდა სომხები, წინააღმდეგ ვორონცოვ-დაშკოვისა, რომელიც ძალიან სწყალობდა მათ თავისი ცოლის გავლენით (რუსის ქალი კი იყო, მაგრამ მეტისმეტად დაახლოებული ჰყავდა სომხის ეპისკოპოსები და ბერები, რომლებიც ყოველმხრივ სარგებლობდნენ ამით და ბევრ საქმეს აკეთებინებდნენ მეფისნაცვალს სომხებისათვის).

დავით სარაჯიშვილის ანდერძის მიხედვით, ჩვენს საის-

ტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა მიეღო, სხვა თანხის გარდა, აგრეთვე მეოთხედი იმ 70.000 მანეთისა (ე. ი. 17.500 მანეთი), თუ კი გოლიცინისაგან მივიღებდით უკან სესხს. მაგრამ, რა თქმა უნდა, გოლიცინს ვალი არ გადაუხდია, მერე რევოლუციამაც მოუსწრო და, როგორც ვთქვი, ის ფული დაიკარგა. ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საერთოდ დავით სარაჯიშვილი ფულს არავის ასესხებდა ხოლმე. მაგრამ, ეტყობა, რუსის დიდ მოხელეს უარი ვერ უთხრა...

ახლა დავუბრუნდეთ ილიას.

ჩვეულებრივ, როდესაც ქართველებს და მათ შორის საზოგადო მოღვაწეებს რაიმე საქმე ჰქონდათ რუსეთის მთავრობასთან და მოხელეებთან, ილია უნდა წაემძღვარებინათ ხოლმე: უიმისოდ მთავრობის წარმომადგენელნი ქართველებს ან არ მიიღებდნენ, ან, თუ მიიღებდნენ, მათ სათხოვარს ყურადღებას არ მიაქცევდნენ. ილიას, ბუნებრივია, დიდად ეზარებოდა ამ როლის შესრულება და ხშირადაც ყოყმანობდა წაყოლაზე, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ აგზავნიდნენ ისეთი საკითხის გამო, რომელსაც იგი ნაკლებ იცნობდა. მაგრამ, რაკი სხვა შესაფერისი ადამიანი არა გვყავდა, მაინც ყოველთვის მას აკისრებდნენ ყველა საქმეს.

მოვიყვან ერთ მაგალითს. როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ე. ი. თვითმმართველობის, დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა, ეს საკითხი დიდხანს იყო მსჯელობის საგანი, ბევრი წიგნი და წერილი დაიბეჭდა ქართულსა თუ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. წარმოიდგინეთ, ამ საქმეში მედგრად გვეხმარებოდნენ რუსის სლავიანოფილებიც! ისინი არ სცნობდნენ სინოდს, რაკი ძველად რუსეთში პატრიარქის მმართველობა იყო, და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში! მათი მეთაური (გვარი არ მახსენდება, დიდად მიღებული და გავლენიანი პირი კი იყო!) სულ ერთთავად იმის პროპაგანდას ეწეოდა, რომ სინოდი უხეშად იქცეოდა და რომ რუსეთშიცა და საქართველოშიც კვლავ თავ-თავისი საპატრიარქოები უნდა აღდგესო. „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მან ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არც იყვნენ ქრისტიანებიო; მათი ეპისკოპოზი, ყოვლად სამღვდელო კირიონი, რო-

მელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს, ჩვენ მთავროსას სამშობლოდან გამოდევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო". პირდაპირ ასე აცხადებდა ის სლავიანოფილების თავი კაცი. (კირიონი ერთხანს შიდა რუსეთში იყო მღვდელმთავრად, მერე იალტაში ვნახე, ხოლო რევოლუციის შემდეგ მართლაც გახდა საქართველოს განახლებული ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი, თუმცა კი ძალიან მალე გარდაიცვალა...). სლავიანოფილების ასეთმა პროპაგანდამ და ჩვენმა მოთხოვნამ იმდენად იმოქმედა ნიკოლოზ მეორეზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, ე. წ. „предсоборная комиссия", რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი, ვინაიდან რუსის ჩინოვნიკური სამღვდელოება, სინოდისა, ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ავტოკეფალია არა ჰქონია, რომ იგი მუდამ ანტიოქიისა და სხვა საპატრიარქოებს ეკუთვნოდა და ექვემდებარებოდა და სხვა.

ამ კომისიის სხდომა, როგორც ცნობილია („Церковный Вестник"-ში წერია ეს ამბები), შედგა რუსეთის ერთ-ერთ ქვემო ქალაქში. საქართველოდან მას დაესწრნენ ეპისკოპოსები ლეონიდე და კირიონი, პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი... ამ საკითხს შეიძლება სხვა დროსაც დავუბრუნდეთ, ახლა კი ისევ ილიას შესახებ ვიტყვი.

ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველოსათვის ამ საკითხში მსარი დაეჭირა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილიას თანდასწრებით, ვაგროვებდით ცნობებს და ილიას ვაკისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა, მაგ თქვენი „კეფალიისა" (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას) არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვეშვით და ბოლოს ვაიძულეთ ილია დათანხმებულიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუხსნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს. ბოლოს ილია წავიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რო ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსაო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო.

მერმე შექნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: „ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა, ერთ მართლმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?" ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე: „ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა მეთქი?" ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა: „აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით მეთქიო?!". საერთოდ არ ეხალისებოდა აღიარება, თუ რამეში შეცდებოდა ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში კი გამოტყდა. რა თქმა უნდა, ილიამ იცოდა ეს ყოველივე, მაგრამ მეფისნაცვალთან საუბრისას აღარ მოაგონდა. ყველაფერი ხომ არ გაგახსენდება კაცს?! — მით უმეტეს, ასეთი ოფიციალური მიღების დროს!...

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წაგვეღო ბაირაღები და პლაკატები, წარწერებით „აღგვიდგინეთ ავტოკეფალიაო" და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გასძღოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა, „თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!".

ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ: ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები, ქართველი მასწავლებლები, მრევლთა წარმომადგენლები, ცალკეული მორწმუნეები. ილიას ბინაზე ვიკრიბებოდით ხოლმე. გვესწრებოდა ექიმი ვახტანგ ღამბაშიძეც (დეკანოზ დავით ღამბაშიძის, „ჟურნალ „მწყემსი"-ს რედაქტორის შვილი), რომელიც კარგად ერკვეოდა საეკლესიო საკითხებში და უხსნიდა ილიას, ჩრდილოეთის საპატრიარქოს ჩვენი, ბევრად უფრო ძველი ეკლესიის გამგებლობის უფლება არა აქვსო. იაკობ გოგებაშვილიც ესწრებოდა ხოლმე სხდომებს და მონაწილეობდა მსჯელობაში და ბევრი სხვაც. ერთი სიტყვით, ფართო საზოგადოება იყო ამ საქმეში ჩაბმული.

მაგრამ განზრახული დემონსტრაციის მოწყობა აღარ დაგვჭირდა, ვინაიდან ჯერ იყო და 1905 წლის რევოლუციამ სასტიკი ხასიათი მიიღო და ბოლოს კი, 1917 წელს, საქართველოს ეკლესია, ასე ვთქვათ, რევოლუციურად ჩამოშორდა რუსეთისას.

ილიას განცხადებაპ, „მე წაგიძღვებითო", ყველა გააკვირვა, იმიტომ რომ ის უფრო თავდაჭერილ კაცად მიაჩნდათ.

წ./კ. საზ-ბის გამგეობის კრებაზე ილიას დასწრება იმდენად საჭირო არ იყო, რამდენადაც მისი წასვლა ადმინისტრაციულ პირებთან, რომელნიც ხშირად ერეოდნენ საზოგადოების საქმეში და ხელს გვიშლიდნენ. ასეთები იყვნენ სახალხო ინსპექტორები, მზრუნველი, მისი თანაშემწენი, ექზარქოსი და სხვები. ილია საქმეებით მეტად დატვირთული იყო და ხშირად ვერ ასერხებდა ყველა ამ პირთან სიარულს.

ერთხელ ი. გოგებაშვილმა მიმიწვია კრებაზე, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 30 კაცი. ამ კრებაზე მან განაცხადა: „ჩვენი საქმეები ძალიან ცუდად მიდის, კაცი არა გვყავს, რომ სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებთან განუწყვეტლივ იაროს ან ჩვენ წაგვყვეს, რომ მათ ჩვენი ჭირ-ვარამი ავუხსნათ და უსამართლობაზე ხელი ავაღებინოთო. ილია საქმეებით არის დატვირთული და მას ასე ხშირად ვერ ვაწუხებთ და თუ კაცი ვერ ვიშოვეთ, რომელსაც მთავრობა ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევს, ვერაფერს ვერ გავხდებითო".

ვანო მაჩაბელმა თქვა: „ასეთი კაცი ჩვენ გვყავს, ეს არის თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი შაქრო მაღალაშვილი, თუ მას ამოირჩევთ წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარედ, დიდად გამოგვადგებაო".

გადასწყვიტეს ის აერჩიათ თავმჯდომარედ. ვ. მაჩაბელს წინასწარ ამის ნება არ უთხოვია მაღალაშვილისაგან, რომელიც კარგ განწყობილებაში იყო ილიასთან და ამიტომ შეიძლება თავმჯდომარეობაზე არ დათანხმებულიყო, მაგრამ ვანო დარწმუნებული იყო, რომ მაღალაშვილი უარს არ იტყოდა, თუ კი მას ამოირჩევდნენ. დადგა არჩევნის დღე. ილია თავმჯდომარეობდა. სხვა საქმეები რომ გათავდა, ჯერი მიდგა თავმჯდომარის არჩევაზე. მაშინ კანდიდატების წინდაწინ დასახელება არ იყო მიღებული, დამსწრეთ ბარათებით უნდა დაესახელებინათ, ვინ უნდოდათ თავმჯდომარედ. ჩატარდა არ-

ჩევნები და შეკრიბეს ბარათები. ილიამ დაიწყო ბარათების კითხვა. მდივანი წერდა ხმათა ანგარიშს. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ილიამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მაღალაშვილმა და, ამგვარად, ისევ ილია დარჩა თავმჯდომარედ.

ეს პირველი კრება იყო, რომელზედაც საზოგადოების თავმჯდომარედ სხვა კანდიდატი იყო დასახელებული მის წინააღმდეგ და ამან ილიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

მართლაც დიდი უხერხულობა იყო იმაში, რომ ახალი თავმჯდომარე დასახელებული იყო ილიასთან წინასწარ შეუთანხმებლად, რომელსაც ასეთი განსაკუთრებული, განუზომლად დიდი ღვაწლი მიუძღოდა საზოგადოების წინაშე.

როდესაც ილია აირჩიეს უმაღლესი საბჭოს სათათბიროს წევრად, წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გადადგა, მის მაგიერ კი გიორგი ყაზბეგი იქნა არჩეული.

ბოლო ხანებში მეფის რუსეთის მთავრობა უკვე დიდი ეჭვით უცქერდა ილიას და თვალყურს ადევნებდა მის მოქმედებას.

მაგონდება ილიას მონაწილეობა გაბრიელ ეპისკოპოსის (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძის) დაკრძალვაში და ცოტა რამე ამის შესახებაც უნდა ვთქვა.

გაბრიელ ეპისკოპოსზე ილია დიდი აზრისა იყო. ერთ ხუთშაბათ საღამოს რომ ვიყავით ილიასთან შეკრებილი, წამოიჭრა საკითხი: მთავრობა უწევს რაიმე ანგარიშს ქართველ მოღვაწეთა ნათქვამს თუ არაო? ილიამ სთქვა: „კაცმა იცისო! მაგალითად, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსი იტყვის, იმას დიდ ანგარიშს უწევენო. ეკლესიის საკითხებში ანგარიშს უწევენ ნიკო ამილახვარსაცაო". ის ნიკო ამილახვარი დიდი მორწმუნე კაცი იყო და პირდაპირ ეგზარქოსსა და ეკლესიის სხვა მეთაურებს მიმართავდა ხოლმე, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა. ერთხანს ხომ აკრძალეს ლოცვანისა და სხვა საეკლესიო წიგნების ქართულად ბეჭდვა! ჰოდა, ნიკო ამილახვარმაც უთხრა ეგზარქოსს: „Я перестал молиться, потому, что мой грузинский напечатанный молитвенник истрепался, Ваш русский молитвенник я не понимаю, а Вы приостановили издание молитвенников на грузинском языке!" ეგზარქოსი ამ სიტყვებზე შემკრთალიყო და ეთქვა: „Никогда не запрещал издание грузинского молитвенника, это недоразумение!" მაშინვე გაეცა ლოცვანის დაბეჭდის ბრძანება.

გაბრიელ ეპისკოპოსი რომ გარდაიცვალა (1896 წ.), ქუთაისის ინტელიგენციამ ერთობ დააყოვნა მისი დამარხვა, რათა საუკეთესოდ მოემზადებინა ქართველი ხალხი მიცვალებულის პატივსაცემად: სასტიკი, გაჭიანურებული ზამთარი იდგა და უგზოობის გამო ხალხი ვერ ჩადიოდა. დამარხვა იმა წლის მაისში მოხდა მხოლოდ, გელათის მონასტერში. ბოლოს, როდესაც, როგორც იქნა, დანიშნეს დაკრძალვის დღე, თბილისის ყველა დაწესებულებიდან წავედით დეპუტატები და ჩვენ შორის, რა თქმა უნდა, ილიაც. მას გამზადებული ჰქონდა სიტყვა, რომელიც საფლავზე უნდა ეთქვა. მიცვალებულის ცხედარი ძვალ-ტყავად ჩანდა, არც შექანებულიყო, ისე, ცივად იყო შენახული. მართალია, მღვდელმთავარს არ შეშვენოდა ასეთი გაუთავებელი გლოვა, მაგრამ ქართველების — მეტადრე დასავლელების — ამბავი ხომ მოგეხსენებათ იმ საკითხში, იმხანად?!

მატარებელში ერთად შევიყარენით: მე, ილია ჭავჭავაძე, ლევან ჯანდიერი, ვანო რატიშვილი, ანდრია ღულაძე და სხვები აღარ მახსოვს. ლევან ჯანდიერი თბილისის მაზრის უფროსი იყო, ილიას დიდი მეგობარი და ერთგული მომხრე; უაღრესად კარგი, ჭკვიანი და საზრიანი ქართველი, ნამდვილი საქმის კაცი, უკეთესი არ შეიძლებოდა. მისი თაოსნობა იყო, მთიულები რომ გადმოასახლა მანგლისის მხარეში და კავთისხევში. ივანე რატიშვილი, მასწავლებელი, მე დავნიშნე სათავადაზნაურო სკოლის დეპუტატად გაბრიელის დაკრძალვაზე. ძალიან კარგი, რაღაც ღვთიური კაცი იყო და ასეთ სიტყვებს ხომ შესანიშნავად ამბობდა ხოლმე! სულ სხვანაირი იყო ანდრია ღულაძე — ნაკლებ განათლებული, მაგრამ დიდი ფართი-ფურთისა და პრეტენზიის კაცი. ხან რას აკეთებდა, ხან რას: ერთ დროს საბავშვო ჟურნალს სცემდა, მერე ცენზორი იყო, იმხანად კი რომელიღაც უცხო გაზეთების თუ სხვა რაღაცის კორესპონდენტად მუშაობდა და ასე... სრულიად არ ჰგავდა იგი თავის ძმას — იაკობს, პედაგოგს, გიმნაზიის ინსპექტორს, დიდად განათლებულ კაცს... სწორედ გელათს ჩვენი გამგზავრების წინ გაეგზავნა ანდრიას დეპეშა საზღვარგარეთული გაზეთებისათვის, ერთ-ერთი უცხოელი კორესპონდენტის შესახებ: „თბილისიდან ინდოეთში გაემგზავრა და ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სამხრეთი აზი-

ისთვისო“, ეს შენიშვნა უკვე თავის მხრივ დაურთო, ვითომდა საქმეში ჩახედულობის გამოსამჟღავნებლად. ილიას უყვარდა ასეთი პრეტენზიების მქონე „ინტელიგენტების“ გაქირდვა და გზაში სულ ეკითხებოდა: „როგორ იყო, ანდრია, დიდ პოლიტიკურ ფაქტად რომ გამოაცხადე იმ კორესპონდენტის ინდოეთში წასვლაო?“ ისიც იცინოდა, აბა რას იტყოდა? აკაკიმაც იცოდა ხოლმე ანდრია ღულაძეზე ოხუნჯობა... ანდრიას დიდ პატრიოტად მოჰქონდა თავი. სხვათა შორის, ძალიან უყვარდა სამგლოვიარო პროცესიების მოწყობის გამგეობა და სხვა ასეთი საქმეები და ჩვენც მართლა პატრიოტი გვეგონა... ჩვენს ხანში შესულ ქალებსაც მოსწონდათ. ერთმა ასეთმა ქალმა, რომელიც პოეტობდა, შეიყვარა კიდევაც...

მატარებელში ვიღაცა ჩვენგანს ცხიკვება აუვარდა, ცივი დარი იყო. ილიამ სთქვა, მაგისი არაფერი ვიცი, ე. ი. ჩემს დღეში ცხვირს არ მაცემინებსო. მაგრამ გელათში რომ ავედით, მეორე დღეს, იქ ილიამაც დააცემინა ცხვირს — სინოტივე იყო და ალბათ იმის გამო. მაშინ თქვა, „გუშინ ტყუილად დავიკვეხეო!“.

ჩვენთან ერთად მოდიოდა კიდევ ნიკო ღოღობერიძე და მან გვიმასპინძლა ქუთაისში. თბილისიდან საღამოს გასულნი ქუთაისში დილას ჩავედით და მაშინვე გავემგზავრეთ ეტლებით გელათისაკენ. ცოტა თოვლი ჯერ კიდევ იდო გზაზე.

იმ დროს ქუთაისის პოლიცმეისტერად იყო, თუ არ ვცდები, ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც ქართველებს შორის ძალიან ცუდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, დამსახურებისათვის ყველაფერს ჩაიდენსო. ლევან ჯანდიერს შეეტყო და ჩვენც გვაცნობა, რომ იმ სიმონიშვილს თბილისიდან ზედიზედ მისდიოდა დეპეშები: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“.

გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედარი, რა თქმა უნდა, გელათის ეკლესიაში იყო დასვენებული, საკურთხეველს წინ. ხალხი მოდიოდა, მჭიდროდ ერტყმოდა კუბოს გარშემო და იყო გაუთავებელი სიტყვები. ზედიზედ გამოდიოდნენ იმერელი ახალგაზრდები თუ სხვები და უზომოდ ენამზეობდნენ, რომ საუკეთესო ორატორებად ეჩვენებინათ თავი. როგორც აღვნიშნე, ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ შეეფერებოდა ეპისკოპოსს და მეტადრე ასკეტური სულისკვეთებით გამსჭვალულ

გაბრიელს, რომელიც სიცოცხლეში სწორედ რომ არ თანაუგრძნობდა ხოლმე ასეთ საქციელს.

ამ მდგომარეობაში ვიყავით, რომ საღამო შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე კი წავიდეთო“. ბოლოს მანვე გვითხრა, „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსაო“. მე წინდაწინ მივედი კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხიან, რამდენადმე გავთიშე იგი და ხმა-მაღლა დავიძახე: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით, ბატონს ილია ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა მეთქი“. ერთი სიტყვით, „პროვოკაცია“ მოვუწყე ილიას! ხალხი მაშინვე გაიშალა, ილიაც წამოდგა და წარმოსთქვა სიტყვა. მას დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა დიდძალმა ხალხმა, რომელსაც გაეჭედა ეკლესია. ლევან ჯანდიერს ეს ძალიან იამა და მადლობა მითხრა, რომ ვაიძულე ილია და ვათქმევინე სიტყვა. ეს უკანასკნელი მართლაც შესანიშნავი იყო, კარგად ჰქონდა ილიას მომზადებული და წინასწარვე გაგვაცნო; მერე დაიბეჭდა კიდევაც. თითონ ილიაც კმაყოფილი დარჩა, რომ სთქვა.

გელათში მცირეოდენი გვასაუზმეს, მაგრამ არ გვეყო და ქუთაისში მოშივებულნი ჩამოვედით. ნიკო ღოღობერიძემ სადილის საჭმელად შეგვიყვანა ხიდის მახლობლად მდებარე სასტუმროში. შევედით დარბაზში, რომელიც იმავე დროს სასადილიც იყო და დავინახეთ, რომ სუფრას მრავლად შემოსხდომოდნენ მოქეიფენი, პოეტ გიორგი შარვაშიძის მეთაურობით. მათ შორის იყო ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იასონ გელოვანიც. უკვე ყველანი შემთვრალიყნენ და მალიმალ გალობდნენ საეკლესიო ჰანგს: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასაო“. რომ დაგვინახეს, ყველანი წამოდგნენ და შარვაშიძემ წამოიძახა: „ო-ო-ო, ილია გრიგორიჩ! რა სასიამონო სტუმარია! აბა, ახალი სუფრაო!“ მივუჯექით მაგიდას. მთვრალმა მასპინძლებმა დაადგინეს, რომ ჯერ დაგველია იმათი სადღეგრძელო, ვინც იქ ჩვენ შესვლამდე ისხდნენ და მერე განეგრძოთ სადღეგრძელოები. მაგრამ ილიას სადღეგრძელო მაინც პირველად შესვეს. კაი გვარიანი ჭიქები იყო; ხუთ-ხუთი დაგვიდგეს თეფშზე და შემოგვთავაზეს დალევა, მაგრამ ნიკო ღოღობერიძემ სთხოვა, მშივრები ვართ, ცოტა გვაცალეთ, საჭმელი ვჭამოთ

და მერე ყველას გიახლებიოო. დაგვეთანხმნენ. ილია ჩვეულებრივ მადიანად შეუდგა ჭამას და თან ღვინოსაც უანგარიშოდ სვამდა. იმ ლაპარაკსა და სმაში ჩემ გვერდით მჯდომმა ნიკო ღოღობერიძემ გადაუჩურჩულა ლაქიას, ილიას ააცილეთ ის ხუთი ჭიქაო: ეშინოდა, არ აწყინოსო. ლაქიამ მართლაც მოახერხა ილიასათვის იმ ხუთი ჭიქის აცილება და სხვებმაც, ჩვენთან მოსულებმა, ვისაც არ შეეძლო სმა, უარი თქვეს — მათ შორის, რა თქმა უნდა, ნიკო ღოღობერიძემაც, რომელსაც გული სუსტი ჰქონდა და ღვინო სწყენდა. უარი სთქვა მისმა ძმამაც, სიმონ ღოღობერიძემ, რომელიც წინათ ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიაში, იმ დროს უკვე გადამდგარიყო სახელმწიფო სამსახურიდან და კერძო სათავადაზნაურო სკოლის გამგედ იყო დანიშნული. თამადას გიორგი შარვაშიძეს ღვინო მოკიდებული ჰქონდა და მკვახედ მიმართა სიმონ ღოღობერიძეს: „ასეა, თქვენ არასოდეს არ გვიჭერთ მხარს საზოგადო საქმეებშიო და ამისთანები... მერე მოყვნენ ჩვენ სადღეგრძელოებს და როდესაც ილიას ერთი ჩვენგანის სადღეგრძელო-ღა დარჩა დაულეველი, უთხრეს, მიირთვიო, ილიამ უპასუხა: „დიდი სიამოვნებით გიახლებით, მაგრამ გულს მაკლია, რომ პირველად დასალევი ხუთი ჭიქა არ შემისვამსო“. — „ა-ტა-ტა-ტა, ეგ როგორ მოხდა, ახლავე მოართვით ილიას ის ხუთი ჭიქაო!“, დაიძახა თამადამ. ნიკო ღოღობერიძემ ხელი წამკრა და მითხრა: „საკვირველი კაცია ეს ილიაო!“. მოართვეს „აცილებული“ ხუთი ჭიქა, ილიამაც ნელ-ნელა, გემრიელად შესვა და ბოლოს იმ ჩვენი ამხანაგის სადღეგრძელოც დალია... მართლაც საოცარი კაცი იყო! „გულს მაკლიაო“, დინჯად, სერიოზულად უთხრა: არ უნდოდა, რომ ვისმე ჩამორჩენოდა იქა!

ილია სიმონ ღოღობერიძის ბინაზე მოათავსეს. მე მეორე დღეს, ადრევე გამოვბრუნდი თბილისს, ილია კი იქ დარჩა, არ მახსოვს, რამდენ დღეს. მისთვის ეჩვენებინათ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა და სხვა მეგობრები...

ახლა ზოგი რამ ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემ დროს ილია თბილისში ცხოვრობდა თავის მიერ აშენებულ, მაგრამ დის კუთვნილ სახლში. არ ვიცი, უწინაც მასთან ერთად იდგა მისი და თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ იმ ახალ ბინაში ოჯახს მაინც-

დამაინც შეხმატკბილებული ცხოვრება არა ჰქონია. მათი შინაური ამბები ვიცი ელენე გიორგის ასული ჯაბადარისაგან, იგი რუსის ქალი იყო, სპირიდონ ჯაბადარის მეუღლე. სათავადაზნაურო სკოლის გამგეს, ჩემს წინამორბედს ალექსი ჭიჭინაძეს მიეწვია, ილიას რეკომენდაციით, სკოლის პანსიონის ეკონომად და ჩემ დროსაც სულ ბოლომდე იყო ის ქალი იმ თანამდებობაზე. სპირიდონ ჯაბადარი დიდი მეგობარი ყოფილიყო ილიასი და ერთი იმ, მასთან დაახლოებულ მოღვაწეთაგანი, რომელნიც ილიასთან ერთად ზრუნავდნენ საქართველოს საქმეებზე. ესენი იყვნენ: გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაცკი, ნიკო ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი, პეტრე ნაკაშიძე (ილია ნაკაშიძის მამა, ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობარი), ილია წინამძღვრიშვილი, სერგეი მესხი და სხვები. მაგრამ ჯაბადარი ოჯახურადაც ახლოს იყო დაკავშირებული ილიასთან: მათი ცოლები მეგობრები იყვნენ. ელენე ჯაბადარი ჯეროვანად განათლებული ქალი იყო, კარგად იცოდა ფრანგული ენა, კარგად ესმოდა და მეტად უყვარდა მუსიკა, გასაოცარი ენერგიის პატრონი იყო, დიდად პატიოსანი, შეგნებული და კაცთმოყვარე. პენსიონერ ბავშვებს ნამდვილ დედობას უწევდა. ილიასთან და მის ცოლთან სიახლოვე სიკვდილამდე არ შეუნელებია და ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო განამტკიცა. ყოველ კვირა დღეს (როდესაც იგი სამსახურისაგან თავისუფალი იყო) სადილად ეწვეოდა ხოლმე მათ. ილიას მეუღლე ოლღაც ორ დღეში ერთხელ უსათუოდ მივიდოდა ელენესთან, მას შესჩიოდა თავის დარდებს. რაც რამ ვიცი ილიას ოჯახური ცხოვრების შესახებ, ყველაფერი იმ ელენესაგან მაქვს გაგონილი...

როგორ იხმარდა ილიას და ელისაბედი თავის შემოსავალს, ან რა ხარჯს ეწეოდა ილიასთან ერთად ცხოვრებისას, არ ვიცი. ერთი კი ცხადია, რომ ილია მის სახლში იდგა და ბინის ქირას არ იხდიდა. სანოვაგე კი — პური, ღვინო, ხილი, ქათამი, ინდოური, გოჭი და სხვა — ილიას სულ ოლღას მამულიდან, საგურამოდან ჩამოსდიოდა ხოლმე.

ილიას გაგიჟებით უყვარდა საგურამოს მამული და დიდი მეურნეობაც ჰქონდა მოწყობილი იქ. მან, პირველ ყოვლისა, მშვენიერი სასახლე აიშენა. მამულიც მართლა შესანიშნავი იყო — ლამაზი მდებარეობით, ჰავითა და მოსავლით. მაგრამ

ილია მთელ იმ რთულ მეურნეობას მოურავების ხელით აწარ-
მოებდა და ისინი, რა თქმა უნდა, ხეირს არ აყრიდნენ საქმეს.

ილია გატაცების კაცი იყო მეურნეობაში: როგორც კი ამო-
იკითხავდა გაზეთში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების
შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოიწერდა და გაუგზავნიდა
ხოლმე მოურავს. მოურავებს მათი გამოყენებისა არაფერი გა-
ეგებოდათ და იარაღებიც სულ მალე ფუჭდებოდა — ხან ერ-
თი ხრახნი დაეკარგებოდათ, ხან მეორე და შემკეთებელიც
არავინ იყო. რასაკვირველია, ყველა იარაღის მოხმარებას თა-
ვისი სპეციალისტი სჭირდება და ეს სპეციალისტები კი ჩვენ-
ში არსად იყვნენ. მახსენდება ერთი ამბავი. ილიასა და მის
მეგობარს ივანე პოლტარაცკის გაზეთში წაეკითხათ, რომ შე-
იძლება წიწილების უკრუხოდ გამოჩეკა და თანაც ერთბაშად
500-სა და მეტისა და არა 20-სა, როგორც კრუხით იჩეკება
ხოლმე. გამოიწერეს ორივემ ინკუბატორები და გაგზავნეს
თავ-თავიანთ მამულებში, ილიამ საგურამოში, ხოლო ივა-
ნემ — ოქროყანას. წიწილები კი მართლა დააჩეკინეს მანქა-
ნებს, მაგრამ იმ წიწილებს სხვანაირი მოვლა სჭირდებოდათ
და რაკი ამის მცოდნე არავინ მოიპოვებოდა, ნელ-ნელა ყველა
გაწყდა. ამრიგად, ინკუბატორებსაც თავი დაანებეს.

ასე მიდიოდა მეურნეობის საქმე საგურამოში. ილიას სახ-
ლიც ძვირად დაუჯდა — თავისივე სიტყვით, 40.000 მანეთად.
მახსოვს, ერთ ილიობა დღეს ვეწვიე საგურამოში (ეს იყო
ჩემი ერთადერთი ასვლა იქ ილიას სიცოცხლეში). თავის დღე-
სასწაულს იგი, როგორც ცნობილია, ყოველთვის დიდი მარა-
გით იხდიდა: მთელს კარგა დიდ სოფელსა და მეზობლებს
პატიჟობდა, დიდძალი მეგობრები და ნაცნობებიც ესწრებოდ-
ნენ და ძალიან დიდ ნადიმს მართავდა ხოლმე... საღამოს,
ხალხი რომ დაიშალა, აივანზე ვისხედით და ვსაუბრობდით.
ილიამ ლაპარაკში გამოურია, სხვათა შორის: „მე ვითომ ჭკვი-
ან კაცს მეძახიან, მაგრამ რომ დავფიქრდები, ჭკუა არა მქო-
ნიაო: ეს სახლი 40.000 მანეთი დამიჯდა, ამ ფულით თბი-
ლისში ორ დიდ სახლს ავიშენებდი და მათი შემოსავალი მარ-
ჩენდა, ახლა კი ვალებში ვარ ჩავარდნილიო“.

ილიას არ უჯერებდნენ, როდესაც ამბობდა, ვალები მაქვს
და გაზეთ „ივერიის“ გამოცემა შემოსავალს კი არ მაძლევს,
ჩემ ფულს მადებინებს ზედაო. მაგრამ შემდეგ გამოირკვა,

რომ ილია მართალს ამბობდა. როგორც ცნობილია, ილიამ ბოლოს გამომცემლობა გადასცა ერთ მცირე წრეს, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, ძალიან კარგი კაცი. ეს ის იყო, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები რომ გაარჩია ჟურნალ „მოამბე“-ში; მერე ჩემთან მუშაობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, ხაზინადრადაც, მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგედაც და დიდად ენერგიულ დახმარებას მიწევდა. ჰოდა, ალექსანდრე სარაჯიშვილი და მისი ამხანაგები რამდენიმე თვის შემდეგ უკვე დარწმუნდნენ, რომ გამომცემლობა მართლაც ზარალს იძლეოდა და, რა თქმა უნდა, მიატოვეს ის საქმე.

ამას გარდა, როდესაც ილია მოჰკლეს და კომისიამ მისი ქონება აღწერა, აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი დარჩენოდა. თავისი საგვარეულო მამული და ნივთიერი ქონება რომ მცირე უნდა ჰქონოდა, ამას მოწმობდა მისი სულ უბრალო სახლი და პატარა მამული ყვარელში. ჩემ დროს ილია ცხოვრობდა ცოლის მზითევის — საგურამოს მოზრდილი მამულის შემოსავლით, და აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნე, დის დახმარებით. სხვა რა ჰქონდა — ფულად თუ ნივთიერად — ელისაბედ საგინაშვილისას, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი აშკარაა: თბილისში ილია მის სახლებში ცხოვრობდა და თვითვე განაგებდა იმ სახლებს, თუმცა იმავე დროს... ელისაბედს ჰყავდა მოურავიც, ილიას სტუდენტობის ნაამხანაგარი მიხაკო ჩიკვაიძე.

ასე გაგრძელდა თითქმის მანამდე, სანამ ილიას აირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრად, 1906 წელს, ფაქტია, რომ ცოტა უფრო ადრე ილიამ მიატოვა ბინა ელისაბედის სახლში და იქირავა პატარა სახლი ანდრიას ქუჩაზე*. შემდეგ ის სახლი იყიდა და ოთახების მიშენებასაც აპირებდა. რა იყო მიზეზი ილიას ამ, ჩვენთვის უეცარი, გადასახლებისა თავისი დის სახლიდან, რომელიც მისი აშენებული იყო და სადაც მას თავის გემოზე ჰქონდა მოწყობილი და მოკაზმული კაბინეტი? ეტყობა, დიდი შეტაკება უნდა მოსვლოდათ ილიასა და მის დას. მიზეზი არ ვიცი, ვინაიდან იმ დროისათვის ელენე ჯა-

---

* ახლა ორჯონიკიძის ქუჩა. 1957 წლის ოქტომბერში იმ სახლში (№ 22) გაიხსნა ილიას სახლ-მუზეუმი.

ბადარმა, მოხუცებისა გამო, დაანება გიმნაზიაში სამსახურს თავი, გადასახლდა თავის პატარა მამულში, საგარეჯოს, და იქ ცხოვრობდა თავის სიძესთან, სავიჩთან ერთად, რომელიც წინათ ჩრდილო კავკასიის რომელიღაც გიმნაზიაში იყო მასწავლებლად და რომელსაც ელენეს ქალთან ქალ-ვაჟი ჰყავდა. მას შემდეგ ელენე ერთხელაც აღარ ჩამოსულა თბილისში და აღარც მე მინახავს და აღარც ილიას ოჯახს. ეგებ არც მან იცოდა მიზეზი ილიასი და მისი დის გაყრისა, თუმცა არა მგონია, რომ ოლღას წერილით მაინც არ ეცნობებინოს მისთვის ეს ამბავი.

ილიასთან იმ ახალ ბინაზე არა ვყოფილვარ, რადგან მაშინ უკვე აღარ მქონდა ხოლმე მასთან საქმე და ის კი იქ წვეულებას აღარ მართავდა. ვერც ისე ვხვდებოდი ილიას, რადგან იგი ხშირად და დიდიხნობით იყო ხოლმე პეტერბურგში. აღარც ელისაბედი მინახავს მათი გაყრის შემდეგ. მხოლოდ დიდი ხნის მერმე, უკვე რევოლუციის შემდეგ, მომწერა ერთხელ წერილი, რომელშიც მთხოვდა, მივსულიყავი. მეც ვინახულე და შემომჩივლა, შიმშილით ვკვდები და მიშუამდგომლე, მენშევიკებმა რამე თანხა დამინიშნონ სარჩოდაო... მე ვუთხარი, არა მაქვს იმედი, რომ ამ მთავრობამ ილიას დას რამე დაუნიშნოს, ხომ იცი, რა ცუდი ურთიერთობა და გაუთავებელი პოლემიკა ჰქონდა ნოე ჟორდანიას ილიასთან მეთქი? მით უმეტეს, რომ სახლები გაქვთ და რატომ თქვენ ნათესავს კოტე აფხაზს (ილიას მეორე დისშვილს, თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფს) არ მოელაპარაკებით ამის შესახებ მეთქი? მან მიპასუხა, სწორედ კოტე აფხაზი მირჩევს, სახლები გავყიდო და იმით ვიცხოვრო, მაგრამ, აბა, ილიას კაბინეტი როგორ გავყიდოო?...

მას აქეთ ელისაბედი აღარ მინახავს და აღარც მისი ამბავი გამიგია. ეს ეპიზოდი... მოწმობს, თუ რამდენად ხელმოჭერილი ქალი იყო: სახლი არ ემეტებოდა გასაყიდად და მენშევიკებს კი სთხოვდა სარჩოს!...

ასე იყო თუ ისე, ცხადია, რომ ილიას არა ჰყოფნიდა არც საგურამოს მამულის შემოსავალი, არც ბანკიდან აღებული ჯამაგირი და არც თავისი დის, ელისაბედისაგან მიღებული დახმარება. და იგი სულაც არ აზვიადებდა, როცა ამბობდა, ვალები მაქვსო...

მართლაც და ილია, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, სხვა ნასწავლ ქართველ ინტელიგენტთა მსგავსად, სახელმწიფო სამსახურში შევიდა, რომ ჯამაგირით ერჩინა თავი. როგორც ცნობილია, იგი ერთხანს მომრიგებელ მოსამართლედ იყო დუშეთის მაზრაში და ის ადგილი მას ივანე პოლტარაცკიმა და ნიკო ნიკოლაძემ მიატოვებინეს, როდესაც პირველი ქართული ჟურნალის, „საქართველოს მოამბის" გამოცემა გადაწყვიტეს და ილია ჩამოიყვანეს თბილისში. რედაქცია მოაწყვეს „მუხრანსკის ნომრებში" ბარიატინსკის ქუჩა* რომ ამოდის, სწორედ იმ სახლს უყურებდა; მერე ის სახლი დაიწვა** და მის ადგილას რაღაც უმსგავსი შენობა დაუდგამთ*** და რედაქტორობა დაავალეს ილიას. იმავე დროს სომხებმა თავიანთი გაზეთის გამოცემა დაავალეს თავიანთ ცნობილ მოღვაწეს, არწრუნის.

ბანკში წინათ მაინცდამაინც დიდი ჯამაგირები არ ჰქონიათ მოსამსახურეებს, მაგრამ როცა „ბანკოვიადა" მოთავდა და აქციების კონვერსია მოახდინეს, ბანკის შემოსავალმა ერთობ იმატა, ისე რომ ყველა ხარჯის გამოკლებით ნახევარი მილიონი მანეთი რჩებოდა საქველმოქმედო საქმეებისათვის და მოსამსახურეებსაც ჯამაგირი მოემატათ. მაგალითად, ილია, როგორც თავმჯდომარე, წელიწადში უკვე ხუთი ათასს იღებდა წინანდელი სამი ათასის მაგიერ. ამას გარდა, ბანკის მოგების გარკვეული პროცენტი მოსამსახურეებს ეძლეოდათ ზედმეტად და ეს პროცენტი მათ თვიურ ჯამაგირს აღემატებოდა.

ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო. მე არ მგონია მას ისეთი მეგობარი ჰყოლოდეს, რომლისთვისაც თავისი ინტიმური დარდები და გულისთქმა გაენდოს. როდესაც ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, მე და ნიკო ცხვედაძე მივედით მასთან. ცოტა მოწყენილი დაგვხვდა, მაგრამ დიდხანს ვიბაასეთ. სხვათაშორის გვითხრა: „მე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი

---

* ახლა ჯორჯიაშვილის ქუჩა.

** ეს მოხდა 1921 წელს.

*** იგულისხმება კავშირგაბმულობის სახლი, მისი ფასადის რეკონსტრუქციამდე.

დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკლავ გულშიო“. ვიმეორებ: გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას, მაგრამ დაახლოებული პირები ბევრი ჰყავდა და ისინი ითვლებოდნენ ილიას მეგობრებად. მე რომ თბილისში ჩამოვედი, მისი მეგობრები ნიკოლოზ ჯაბადარი, დიმიტრი ყაზბეგი, ბესარიონ ღოღობერიძე ცოცხლები აღარ იყვნენ, ასე, რომ მათ შესახებ ვერაფერს გეტყვით. აქ რამდენიმე შენიშვნა ილიას ზოგიერთ დაახლოებულ პირთა შესახებ.

ივანე ეგნატეს-ძე პოლტარაცკი (თბილისის ნოტარიუსი) ილიას ამხანაგი იყო გიმნაზიიდან. ქართული კარგად იცოდა, დაბადებულია ქუთაისში, დედა ქართველი ჰყავდა, ზედგინიძის ასული. პირველი ცოლიდან მას შეეძინა ერთი შვილი, რომელიც ილიას ნათლული იყო და მის სახელს ატარებდა.

ილია პოლტარაცკი (ილიას ნათლული) თბილისის რეალური გიმნაზიის გათავების შემდეგ პარიზში გაემგზავრა უმაღლესი სწავლის მისაღებად და იქ დარჩა, ბანკში მსახურობდა და 1944 წელს გარდაიცვალა.

ივანე პოლტარაცკის მეორე მეუღლე ნადო გაბაშვილის ქალი იყო. ივანეს იმისაგან ექვსი შვილი ჰყავდა: ხუთი ქალი და ერთი ვაჟი.

პოლტარაცკიმ ილიას თხზულებები თარგმნა რუსულ ენაზე. მანვე თარგმნა რუსულად „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად დადიოდა ილიასთან, აჩვენებდა მას „ვეფხისტყაოსნის“ ძნელი ადგილების თარგმანს. ერთხელ მან მითხრა: „ილია წაიკითხავდა ხოლმე ჩემს თარგმანს და ზოგჯერ მეუბნებოდა, ეს ადგილი არ ვარგაო. რომ ვკითხავდი, აბა როგორ უნდა იყოს?— იმას კი აღარ ამბობდაო“.

პოლტარაცკი გარდაიცვალა 1892 წლის აგვისტოს დამლევს. მე მაშინ თბილისში არ ვიყავი. ილია დასწრებოდა მის დამარხვას. ეკატერინე გაბაშვილმა და სხვებმაც მითხრეს: „ილიას თვალებიდან კურცხალ-კურცხალი ცრემლები სდიოდაო“. ისინი გაკვირვებულნი იყვნენ: „ერთხელ ძლივს დავინახეთ მის თვალზე ცრემლიო“.

ილია წინამძღვრიშვილი დიდად დაახლოებული იყო ილიასთან და ნამეტნავად მის მეუღლე ოლღასთან. ის იყო აგრეთვე ნათესავი ივანე პოლტარაცკისა და მისი მეორე ცოლის — ნადო გაბაშვილისა.

სპეტაკი ადამიანი იყო. დამაარსებელი და ხელმძღვანელი წინამძღვრიანთ კარის კერძო სამეურნეო სკოლისა, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ქონება. მე კარგად ვიცნობდი მას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უაღრესი ფიზიოკრატი, დარწმუნებული, რომ საქართველოს მარტო მეურნეობის გაჩაღება და განათლება უშველის. ამიტომ, მისი აზრით, ყველა შეძლებულ ქართველს ან უნდა სამეურნეო სკოლა გაეხსნა, ან არა სკოლისათვის თავისი ქონება შეეწირა. ილიას მამულზე ამბობდა: „რა ოხრად უნდა ილიას საგურამოს მამული? შვილი არა ყავს და ძირი, სჯობს ჩვენს სკოლას შემოუერთოს და ამით გავაფართოოთ საქმეო“. წერილებსა ბეჭდავდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. გამოსცა დიდი წიგნი სათაურით: „ვაზის მოვლა“...

ლევან ჯანდიერი (1848—1918) ჩემის აზრით ყველაზე უფრო დაახლოებული პირი იყო ილიასთან. თბილისის მაზრის უფროსი, ჭკვიანი, პატიოსანი, ენერგიული და დიდად შეგნებული, კახეთში ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლებოდა, ნივთიერადაც შეძლებული იყო. სადაც კი წავიდოდა ილია, ისიც თან დასდევდა და მოგზაურობის მარშრუტი მის ხელში იყო...

თუ რამდენად შეგნებული ჰქონდა ლ. ჯანდიერს ჩვენი გლეხობის საჭიროებანი, ამაში მე დავრწმუნდი თბილისის და ბორჩალოს მაზრაში არქეოლოგიური მოგზაურობის დროს.

ქვემო ქართლი (ბორჩალოს მაზრა, და თბილისის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო), ეს შესანიშნავი მხარე და მოწინავე სადროშო საქართველოსი დაცარიელდა აუარებელი მტრების შემოსევით, მეტადრე ლეკების გაუთავებელი თარეშის დროს. იმის მაგიერ, რომ ეს ადგილები ქართველი ხალხის უმიწო გლეხებით დაესახლებინათ, მთავრობამ XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ოსმალეთიდან გადმოასახლა სომხები და ბერძნები; შემდეგ აქ დასახლდნენ გერმანელებიც.

თბილისის და ბორჩალოს მაზრების დასავლეთ საზღვრებთან ძველიდან დარჩენილი ქართული სოფელი სულ სამი იყო: ერთი დიდი სოფელი გომარეთი, მეორე — ვარდისუბანი, პატარა სოფელი, 15 კომლიანი, და მესამე — რეხა, სადაც სანახევროდ ბერძნებიც ცხოვრობდნენ. რეხასა და ვარდისუბანს მცირედი მიწა ჰქონდათ, გომარეთს უფრო ნაკლები. ამიტომ მე მეტად გამიკვირდა და მეამა, როდესაც მანგლისის მახლობლად, გოხნარად წოდებული ნასოფლარის ქვემოთ, ვნახე მთიულებით დასახლებული სოფელი 50 კომლისაგან შემდგარი და რიგიანად მოწყობილი. ვკითხე: „საიდან გაჩნდით აქ თქვენ?" მათ მიპასუხეს: „ჩვენ მთიულები ვართ, მიწა ნაკლები გვქონდა. უშველოს ღმერთმა ლევან ჯანდიერს, მან მოგვხედა და აქ გადმოგვასახლა, საყოფი მიწა მოგვიხერხა და მისი წყალობით მოვითქვით სულიო. აქ ორი ნასოფლარია თავის ეკლესიებით, მაგრამ რაკი მათი სახელები არ ვიცით, ჩვენ სოფელს ახალსოფელი დავარქვითო". მე ვუთხარი: „ამ ნასოფლარების სახელები მე ეკლესიათა წარწერების მიხედვით გამოვარკვიე, თქვენ ქვემოთ რომ ნასოფლარია, ამის სახელი აზიკვე ყოფილა, აქ ადამიანთა ქანდაკებებიც არის, ერთს „შოთაი" აწერია, შეიძლება შოთა რუსთაველი იყოს, ხოლო თქვენს სოფელს ბზა ჰრქმევია".

ამას გარდა ვთხოვე ეკლესიებისათვის ყური ეგდოთ. დიდად გაუხარდათ, დამპირდნენ მოვლას...

ჩემ დროს დაიწყო ქართველმა საზოგადოებამ ჩვენი მწერლების, პოეტებისა და მოღვაწეების იუბილეთა გადახდა. პირველი ასეთი იუბილე მოუწყეს რაფიელ ერისთავს, რომლის ლექსებსაც, — მეტადრე ბოლოდროინდელთ, როცა მან ხალხური ლექსების სტილით დაიწყო წერა, — დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი ქართველობაში. ის ლექსები მართლაც შედევრებია ქართული პოეზიისა. თან რაფიელ ერისთავი ძველი ლიტერატურისა და ქართველთა ზნე-ჩვეულების კარგი მცოდნე იყო.

მის იუბილეში მთელმა საქართველომ მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართულმა დაწესებულებამ გამოგზავნა დეპუტატები და საჩუქარიც ბევრი შეუგროვეს. ჩვეულებრივ იუბილე ასე მიმდინარეობდა ხოლმე: ცნობილი პოეტები ან საზოგადო მოღვაწეები გამოიყვანდნენ იუბილარს სცენაზე, მოუსხ-

დებოდნენ აქეთ-იქით და იწყებოდა მილოცვა-სიტყვები, საზოგადოებათა წარმომადგენლების მხრივ.

რაფიელის იუბილე გადაიხადეს ბანკის ქარვასლის თეატრში, სასახლის ქუჩაზე* იუბილარი გამოიყვანეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. სიტყვებმა და მილოცვებმა შუადღიდან საღამოს ექვს საათამდე გასტანეს. მერე ვახშამი გადაუხადეს და ამით გათავდა იუბილეც.

შემდეგ რიგი მიდგა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა; უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არისო". მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს დათანმხდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემიძლია, ველარ გავუძღვებიო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილეს მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია (ვინ ხელმძღვანელობდა, აღარ მახსოვს). მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო.

იმხანად მე სათავადაზნაურო სკოლას განვაგებდი და იქ წესად მქონდა შემოღებული გამართვა სალიტერატურო საღამოებისა, რომლებზედაც სკოლის შეგირდები ჩვენი პოეტების ლექსებსა თუ პროზას კითხულობდნენ და თან სხვადასხვა საკრავებს — ვიოლინოს, ვიოლონჩელოს და სხვ. — უკრავდნენ (შემდეგ მინდა ზოგი რამ მოვიგონო იქაური მუსიკის მასწავლებლების, ზაქარია ფალიაშვილისა და ჩესი ვიოლონჩელისტის პოლივკას შესახებაც). ჩვენ საღამოებს ესწრებოდა თბილისის თითქმის მთელი ქართველობა და ისინი ყოველმხრივ დიდ მოწონებაში იყვნენ. ასეთი საღამოების მოწყობა მარტო პედაგოგიური საბჭოს თაოსნობა იყო და ამაში სრულიად არ ერეოდნენ (არც რასმე ვეკითხებოდით)

---

* ახლა რუსთაველის გამზირის დასაწყისი. ლენინის მოედნიდან საქართველოს მუზეუმამდე.

სასკოლო კომიტეტის წევრები: მათ მხოლოდ ბარაოებს ვუგზავნიდით და სტუმრებად ვიწვევდით.

განვიზრახე, ერთი ასეთი საღამო საგანგებოდ მოგვეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად და პროგრამაში შეგვეტანა უმთავრესად მისი ლექსები და სხვა ნაწარმოებნი. მაგრამ განზრახვა საიდუმლოდ შევინახეთ: არც კომიტეტის წევრებისათვის გვიცნობებია და არც თვით ილიასათვის, რომ საღამო მისდამი იქნებოდა მიძღვნილი. საქმე ის იყო, რომ ვისიმე პატივსაცემი სალიტერატურო საღამოს მოწყობის ოფიციალური ნებართვა არა გვქონდა, იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის უნდა გვეთხოვა. ილიასათვის რომ გაგვემხილა ნამდვილი მიზანი, შეიძლება არც დასწრებოდა საღამოს და არც დაერთო ნება ასეთი საღამოს მოწყობისა, სიფრთხილის გამო. კომიტეტისათვის რომ გაგვეზიარებინა ჩვენი განზრახვა, მაშინ იგი საიდუმლოდ ველარ შეინახებოდა, — ყოველ შემთხვევაში, ნიკო ცხვედაძე მაინც გაუმჟღავნებდა ილიას. ისე კი, რა თქმა უნდა, კომიტეტის ყველა წევრი მოვიწვიეთ სტუმრად. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი იყო მარიამ ვახტანგის (პოეტის, ჯამბაკურ-ორბელიანის) ასული, საშიკო ორბელიანის მეუღლე (ამ ორმა ორბელიანმა შეუღლებით თავთავიანთი მამულები შეაერთეს)... რა თქმა უნდა, მარიამსაც გავუგზავნეთ მოსაწვევი წერილი, მაგრამ მან მომწერა, სამწუხაროდ ვერ დავესწრები, რადგან შეუძლოდა ვარო. მერმე კი, როცა შეიტყო, რომ ილია დაგვესწრო და საერთოდ ის საღამო ილიას პატივსაცემად იყო მოწყობილი და საუცხოვოდაც ჩატარდა, მომწერა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემატყობინე, თუ ილიას პატივსაცემი საღამო იყო, თორემ უსათუოდ მოვიდოდიო. ამით აშკარა გახდა, რომ მისი „შეუძლებლობა“ დიპლომატიური მიზეზი ყოფილიყო.

საღამომ მეტად კარგად ჩაიარა. ბავშვები შესანიშნავად იყვნენ მომზადებული; მშვენიერი დეკლამაციით, ნამდვილი არტისტული ხელოვნებით კითხულობდნენ ილიას ლექსებს და ადგილებს მისი პოემებიდან — მაგ. „განდეგილიდან“, „კაცია-ადამიანიდან“, „გლახის ნაამბობიდან“, „ოთარაანთ ქვრივიდან“ და სხვა თხზულებებიდან. ამასთანავე, რა თქმა უნდა, სხვა მწერალთა ნაწარმოებებიც საკმაოდ იყო შეტანილი პროგრამაში.

ილია მეტისმეტად მხიარული და კმაყოფილი იყო. არა ერთხელ გამოთქვა აზრი: „მხოლოდ დღეს ვიგრძენი, რომ რაღაც დამიწერიაო; მაგრამ ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ახალგაზრდებს შეეძლებოდათ ასე საოცრად შეეგნოთ და შეეთვისებინათ ის, რაც მე მითქვამსო".

საღამო რომ გათავდა, ილია, მისი მეგობრები და ზოგი სხვა ჩვენი ინტელიგენტი მივიწვიე მცირე სერობაზე, გიმნაზიის შენობაშივე, დიდ საკონცერტო დარბაზში. სერობაც ძალიან მხიარულად ჩატარდა.

უნდა ითქვას, რომ ილიას ვერ ჰქონდა მაინცდამაინც კარგი აზრი სათავადაზნაურო სკოლის პერსონალის შესახებ — მეტადრე ჩემი წინამოადგილის ალექსი ჭიჭინაძის გამგეობის დროს. მას ჩააგონეს... რომ ყველა იქაური მასწავლებლები „მაჩაბელისტები." და ილიას მოწინააღმდეგეები არიან (საერთოდ ზოგიერთს... ახასიათებდა ნეპოტიზმი და ამასთანავე უკიდურესი უნდობლობა იმერლობისადმი). ნამდვილად კი ყველა მასწავლებელს, ერთის გარდა, ნეიტრალური პოზიცია ეჭირა: არც ილიას წინააღმდეგნი იყვნენ და არც მაჩაბლისა. ის ერთი კი, მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილების მასწავლებელი ალექსანდრე ნათაძე, მართლაც თვალსაჩინო მომხრე იყო მაჩაბლისა და არც მალავდა ამას, სოფლებში პროპაგანდას ეწეოდა მაჩაბლის სასარგებლოდ. მაჩაბლის წინააღმდეგ მიმართულ ერთ თავის სიტყვაში ილიამ ეს მოვლენა, ერთი კაცის მოქმედება, სკოლის მთელ მასწავლებლობას მოახვია, ორატორულად, თავს და განაცხადა, „პროპაგანდაში ჩვენი სკოლის ოსტატებიც ჩაებნენო". ბანკის იმ კრებაზე მასწავლებელთაგან მხოლოდ ჯაჯანაშვილი იყო. წამოდგა და ჰკითხა ორატორს: „მეც ამ სკოლის მასწავლებელი ვარ და მაშ, თქვენი აზრით, მეც ვეწევი თქვენ წინააღმდეგ პროპაგანდასაო?" ილიამ უპასუხა, „არა, თქვენ არაო!" რა თქმა უნდა, სკოლის ადმინისტრაცია ვერ აუკრძალავდა რომელიმე მასწავლებელს, ესა თუ ის აზრი ჰქონოდა საზოგადო საქმეთა მიმართ... ასეთი ეჭვი და უნდობლობა ილიას, ეტყობა, დიდხანს შერჩა. თუმცა, 1904 წელს რომ ამირჩიეს სათავადაზნაურო სკოლის გამგედ, ილიას „ივერია"-ში დავით მიქელაძემ („მეველემ") მეთაური წერილი მიძღვნა, ქება შემასხა და, სხვათა შორის, ისიც მოიხსენია, რომ „ბანკოვიადის" დროს ნეიტრალიტეტს ვიცავდი,

რაკი ილიამ არ იცოდა, რომ ის სალიტერატურო საღამო ჩვენი პედაგოგიური საბჭოს მიერ მის პატივსაცემად იყო გამართული, იფიქრა, რომ ეს მისი მეგობრის ნიკო ცხვედაძის თაოსნობა იქნებოდა და სერობისას მას შეასხა ქება თავის სიტყვაში. ნიკოს კი არ უთქვამს... საღამოს გამართვაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღიაო...

მაგრამ იმ საღამოს მოწყობის ნამდვილი გარემოება ელენე ჯაბადარმა, რა თქმა უნდა, აუწყა ილიას... ილიას, ცხადია, დიდად სწყენოდა ეს ამბავი და საყვედური ეთქვა ელენე ჯაბადარისათვის: „შენ რაღად დამიმალე ნამდვილი გარემოება და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რად ჩამაგდეო?“. შემდეგ, პირადად რომ შევხვდი, ილიამ დიდად მომიბოდიშა და თან დასძინა: „დამიჯერებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მე რომ იმ საღამოს სიამოვნება განვიცადე, ჩემ დღეში არ განმიცდია და ვერც წარმომედგინა, თუ ისე კარგად შეიძლებდა ახალგაზრდობა ჩემ ნაწარმოებთა გაგებასაო. მინდოდა წერილობით შემომეთვალა თქვენთვის მადლობა ამ პატივისცემისათვის, რომელიც მე არასოდეს დამავიწყდება, მაგრამ მოვერიდე, რომ არ გამჟღავნებულიყო და რაიმე უსიამოვნება არ შეგმთხვეოდათო!“.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოყვარული იყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიისა. **საუკეთესო შეხედულება ჰქონდა ჩვენს არქეოლოგსა და ისტორიკოსზე, დიმიტრი ბაქრაძეზე:** ძალიან პატივსა სცემდა და აფასებდა მას. პირველ ხანებში მე დიმიტრი ბაქრაძესთან დავიწყე მუშაობა და დავიწყე იმით, რომ მან გაცნობისთანავე გადმომცა ახალდაარსებული საეკლესიო მუზეუმის წესდება, თავის მიერ რუსულად შედგენილი და სათანადო მთავრობის მიერ დამტკიცებული, ქართულ ენაზე სათარგმნად. მეც ვთარგმნე, დავბეჭდეთ და შევადგინეთ საეკლესიო მუზეუმის კომიტეტი.

ილიამ აქტიური თაოსნობა გამოიჩინა მცხეთაში, ბაგინეთზე მცირე საცდელი თხრის ჩატარებაში, რაც დ. ბაქრაძეს დაავალა.

ილია სულ ამბობდა, „ერთი კაცი უნდა გავიჩინოთ ისეთი, რომ ჩვენს ისტორიაზე და არქეოლოგიაზე მუშაობდეს და სხვა არაფერი საქმე არა ჰქონდეს, ჩვენი სირცხვილია, ამისთანა რომ არავინა გვყავსო. ერთხელ ნიკო ღოღობერიძემ მიგვიწვია

რამდენიმე კაცი — პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ილია. აგრეთვე ნიკო ცხვედაძე, იაკობ ისარლიშვილი (ისარლოვი), მე და სხვები. (ის იაკობი კათოლიკე იყო, ილიას დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ნამყოფი; სახლებს აგებდა, კომერციას ეწეოდა. ინჟინერი არ ყოფილა, მაგრამ მშენებლობის საქმე კარგად ესმოდა, სათავადაზნაურო სკოლა თავდაპირველად „დუმის“ შენობის* უკან გვქონდა და მის გადაკეთებაში ძალიან მოგვეხმარა, თან ფულიც დაგვიზოგა. ღოღობერიძის, ილიას და სხვების უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, არეულობის დროს გამორიცხეს იქიდან). დაგვიბარა ნიკომ და გამოგვიცხადა, განზრახული მაქვს ქართული საქველმოქმედო საქმისათვის 50.000 მანეთი დავტოვოო. ნიკოც ილიას უნივერსიტეტის ამხანაგი იყო, ფრიად თვალსაჩინო მოღვაწე და ძალიან ჭკვიანი კაცი. ქუთაისში რომ სათავადაზნაურო ბანკი გაიხსნა, იმის პირველი თავმჯდომარე იყო ბესარიონ ღოღობერიძე (აი ის, ილიამ რომ სხვებთან ერთად გააკრიტიკა თავის გამოცანალექსებში, „ქვეყნისა საქმე მასაც ფეხებზე ჰკიდიაო“, და მერე კი ბოდიში მოუხადა, უცოდინარობით მომივიდაო), დიდად პატიოსანი კაცი, პედაგოგი, მათემატიკოსი; ერთხანს საქალებო ინსტიტუტს განაგებდა. ნიკო ნიკოლაძე მისი წინააღმდეგი იყო და მის ნაცვლად ბანკის დირექტორობის კანდიდატად წამოაყენა ვინმე ბაქრაძე, მეტსახელად „ბილო“. ბესარიონი რომ გარდაიცვალა, ქუთაისში შეიქნა „ბანკოვიადა“ და ბოლოს აირჩიეს ნიკო ღოღობერიძე, რომელიც წინათ ქუთაისის გუბერნიის ნოტარიუსი იყო. მერმე ნიკომ თავისი ნებით მიატოვა ბანკის თავმჯდომარეობა, ჭიათურაში შავი ქვის მადნები ჰქონდა შეძენილი და იქ დაიწყო მრეწველობა. გვარიან თანხას მოუყარა თავი, მაგრამ ნერვიული კაცი იყო, გული დაუსუსტდა, ამიტომ აღარც იქ გაჩერდა, მიანება თავი და დაგროვილი ფულით პარიზში ცხოვრობდა, ოღონდ ზაფხულობით თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე... დავუბრუნდეთ ახლა მის ანდერძს. ნიკომ დაგვიყენა საკითხი: „რა მიზნისათვის და რომელ საზოგადოებას დავუტოვო ის თანხაო?“ ილიამ ასეთი წინადადება მისცა: „ეგ თანხა გადაეცეს წერა-კითხვის

---

* ახლა თბილისის ქალაქის საბჭო, ლენინის მოედანზე.

საზოგადოებას, რომელიც მაგის ყოველწლიური პროცენტით ერთ კაცს აიჩენს, არჩენს და ის კაცი ჩვენი ისტორიისა და არქეოლოგიის მკვლევარი იქნებაო". იმ თანხის ყოველწლიური პროცენტი შეიძლებოდა 2.500 მანეთი ყოფილიყო და ეს კი საკმაოდ დიდი ფული იქნებოდა: მაგალითად, ვიცე-გუბერნატორს წელიწადში 3.000 მანეთი ჰქონდა ჯამაგირი. ნიკომ უპასუხა: „მე კი უფრო განათლებისათვის მინდა, რომ ღარიბი ახალგაზრდობის სწავლას მოხმარდეს და ამიტომ მირჩევნია სტიპენდიებისათვის დავტოვოო". ილიამ რომ ეს გაიგონა, აღარაფერი უთქვამს.

საოცარი კია, ისეთი შეხედულების კაცი იყო ილია, ისე ღრმად ესმოდა ყველაფერი, იმოდენა გავლენა ჰქონდა, ბანკიც მის ხელში იყო და წერა-კითხვის საზოგადოებაც, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ იმ დაწესებულებათა ხარჯზე მოეწყო ის საქმე, რომელსაც ნიკო ღოღობერიძეს სთავაზობდა და რომლის მოუწყობლობასაც ქართველობისათვის სამარცხვინოდ მიიჩნევდა. ასეთი შეუსაბამობა ყოველთვის მიკვირდა; გულში კი მქონდა, მაგრამ რას გავუბედავდი თქმას? არა ჰქონდა ამის თაოსნობა! ბანკის შემოსავალი სულ აგრარული საქმეებისათვის უნდოდა და მუდამ იქითკენ მიილტვოდა; სათავადაზნაურო სკოლის ტიპის შესახებ რომ იყო მსჯელობა, მაშინაც სულ აგრარულ განხრაზე ლაპარაკობდა... ასეთ რამეებს კი ვერ მოიფიქრებდა! აი, მაგალითად, მანგლისის მიდამოებში და სხვაგანაც მთიულების ჩასახლება, როგორც უკვე ვთქვი, თბილისის მაზრის უფროსის ლევან ჯანდიერის დამსახურებაა. დიდხანს ეკავა ის თანამდებობა, ძალიან შეგნებული მამულიშვილი იყო; ისარგებლა თავისი ხელისუფლებით და პრაქტიკულად განახორციელა ეს ნამდვილად პატრიოტული საქმე, 1880—90-იან. წლებში. სხვა ჩვენი მოღვაწეები კი არ ფიქრობდნენ ამისთანეებზე, სულ ლიტერატურისა და მსგავს საკითხებს იყვნენ გადაყოლილი. არავინ დამოგზაურობდა და არც იცოდნენ, თუ რა ვითარება იყო საქართველოს სამხრეთ მხარეებში... თორემ განა არ შეიძლებოდა, ჯანდიერის გამოცდილებას მივყოლოდით და მთლად დაგვესახლებინა ის კუთხეები?...

თავ. ნიკო დავითის ძე მინგრელსკიმ ძვირფას ხელნაწერთა ბიბლიოთეკა შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოებას —

გორდის სასახლეში ინასებოდა, იტაცებდნენ; საზოგადოებამ სთხოვა, გადავარჩინოთო და უსასყიდლოდ გადმოსცა. შემონაწირის ჩამოსატანად კომისია გაიგზავნა და მასში ილიაც შედიოდა. შესანიშნავად დახვდნენ. უმასპინძლეს. მაშინ იყო, რომ თქვა: „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო დამხვდაო!“ გოგებაშვილი ხომ რა პატრიოტი იყო და სამშობლოს ისტორია-გეოგრაფიის საუკეთესო სახელმძღვანელოს შემქმნელი. და ისე გარდაიცვალა, რომ კახეთში ფესი არ ჩაუდგამს, ზეპირად წერდა მის შესახებ. ისინი რომ ასეთები იყვნენ, დანარჩენი ინტელიგენცია რაღა უნდა ყოფილიყო? რომ გეკითხათ, ყველა გეტყოდათ, დიდი პატრიოტები ვართო, მაგრამ გოლოვინის პროსპექტსა და ქუთაისის ბულვარს იქით ფეხს არ გადადგამდნენ. ხალხს კი მოვლა უნდოდა! ამისთანებში სომხები გვჯობდნენ, პატრიოტიზმი მათ ყოველთვის პრაქტიკულ საქმიანობაში ჰქონდათ გამოხატული და ბევრ რამესაც მიაღწიეს.

ილიას ერთი საუკეთესო თვისება ის იყო, რომ მას თავისი მოვალეობის ძალიან დიდი შეგნება ჰქონდა. ამიტომ იგი დიდი სიფრთხილით, დაკვირვებითა და საზრისიანობით ეკიდებოდა თავის ყოველგვარ ნაწერსა თუ ნასაქმს. არ არის არც ერთი მისი თხზულება, რომელიც რამდენჯერმე არ გადაეკეთებინოს და არ შეესწორებინოს. იგი ასე ექცეოდა არა მარტო თვალსაჩინო ნაწარმოებს, არამედ სულ უბრალო ბარათებსაც კი. მახსოვს გიორგი ჟურულის ნაამბობი (ახალგაზრდა იყო, ილიამ დაიახლოვა და ძალიან მფარველობდა; თან წაიყვანა პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს წევრად რომ აირჩიეს; მერე ბანკის დირექტორად უნდოდა, მაგრამ ვერ გაიყვანა; მერე ბათუმში იყო, ქალაქის გამგეობაში მუშაობდა, ხოლო რევოლუციის დროს თბილისში გადმოიყვანეს): „ერთხელ ილიასთან ვიყავი, იაკობ გოგებაშვილის წერილი მოუვიდა და მაშინვე უნდა გაეცა პასუხი, რაღაცას ეკითხებოდაო. დაჯდა ილია, დაწერა ერთი პატარა წერილი და დახია, დაწერა მეორე და ისიც დახია. მე ვუთხარი, რა ამბავია მაგ ერთი ბეწო წერილისათვის ამდენი წვალება მეთქი? მიპასუხა, „კაცო, პატარაა თუ დიდია, მაინც დოკუმენტია და ზერელედ არ შეიძლებაო...“. დამახასიათებელია! აშკარაა, რომ ილია გრძნობდა თავის ავტორიტეტს და იცოდა, თუ რა დიდი

პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდა ყოველ საქმეს, თავის სახელს... საერთოდ დიდი ოსტატი კაცი იყო!

ტყუილად კი არ ამბობდნენ ხოლმე მისი თანამშრომლები, ილია მეტწილად ღამ-ღამობითა წერს და დილისათვის მისი ნაწერების ნახევით რამდენიმე კალათი არის ყოველთვის გავსებულიო. ამით აიხსნება, რომ ილია საჩქაროდ წერილზე არავის პასუხს არ აძლევდა, მანამ კარგად არ მოიფიქრებდა და კმაყოფილი არ იქნებოდა თავის წერილით. აგრეთვე მისი საჯარო სიტყვები ყოველთვის წინასწარ მოფიქრებული და ზოგჯერ დაწერილიც იყო.

როგორც მახსოვს ერთხელ ვლადიმერ მიქელაძემ გამოაქვეყნა ერთი წერილი, სადაც ამბობდა: ილია სადილად დავპატიჟე, მაგრამ მან მომწერა: დღეს არ შემიძლია მოსვლა, რადგან ევგენი მარკოვის პატივსაცემ საღამოს უნდა დავესწრო და სიტყვა ვთქვა, მე ჩვეულებად არა მაქვს მოუმზადებლად წავეჩხიროო.

ერთხელ გ. ჟურულის შეკითხვაზე — „ილია, სიტყვებს წერთ, თუ ზეპირად გაქვთ მოფიქრებული?“ — ილიამ უპასუხა: „ზოგჯერ ვწერ, ზოგჯერ ზეპირად მაქვს მოფიქრებული, მაგრამ როგორ უნდა დავიწყო და მოვათავო სიტყვა, ეს ყოველთვის კარგად ვიციო“.

თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა, ილია შეყრიდა ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე.

ერთ ასეთ სხდომაზე მეც მიმიწვია. ეს მაშინ იყო, როდესაც დაწერა „ქვათა ღაღადი“ — შესანიშნავი, ოსტატური პოლემიკური ნაწარმოები, მწვავე სატირითა და იუმორით აღსავსე. როგორც ცნობილია, ეს თხზულება მიმართულია, უმთავრესად, პატკანოვისა და აგრეთვე ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ლამობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას. მოსასმენად ჩემს გარდა, მიწვეული იყვნენ: ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანაშვილი-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქელაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად, მგონი, მიშა) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაასრულა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია. ამან მე დიდად გამაკვირვა: სხვებს თუ არა, ნიკო ხიზანაშ-

ვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ, მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ **ილია ზოგ რამეში ცდებოდა.** მეტი გზა აღარ იყო და შევეკითხე, თავადო ილია, თუ გაქვთ, მეთქი, წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი იმ წერილზე და იქიდან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალი ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს, კუტულის მოგზაურობიდან დღემდე; ასეთი მჭევრმეტყველებით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავია თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი“... ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი!.. რასაკვირველია, მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა, **„მე ქართველებისათვისა ვწერ და არა მეცნიერთათვისაო“.** აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რაღა იყო მოსალოდნელი? ასე იყო თუ ისე, როდესაც „ქვათა ღაღადი“ დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან...

ილია ხშირად მთხოვდა წიგნებსა თუ სტატიებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და მეც ვუგზავნიდი ხოლმე. რაც შეეხება მის წერილებს, „აი ისტორია“ რომ უწოდა, იმათ გამზადებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. უნდა გამოვტყდე, რომ არ მომწონდა მათი ისე გაჭიანურება. ჯერ კიდევ „ქვათა ღაღადამდე“ ჰქონდა, მგონი, დაწყებული და ვერ კი დაამთავრა. საქართველოს მთელი ისტორიის დაკავშირება მოინდომა ჯაბადარის კრიტიკასთან! მაგრამ რა მწვავე სატირა და იუმორი იცოდა პოლემიკაში, საერთოდ?! თუნდაც ის რადა ღირს, მარზედ რომ დასწერა, პატკანოვის გამოქომაგების გამო: „კარგია, როცა შეგირდი ოსტატს ესარჩლება, მაგრამ ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილიო!“...

„ქვათა ღაღადი“ ძალიან პოპულარული გახდა ჩვენში. ერ-

თი კაცი იყო, გვარი აღარ მახსოვს (რევოლუციის შემდეგ დიპლომატად მუშაობდა), იმან სულ ზეპირად იცოდა ის წიგნი, სახარებასავით. პირდაპირ შეყვარებული იყო მასზე... „ქვათა ღაღადი“ რუსულად თარგმნა ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილმა* და თვით ილიამ შეასწორა. შესანიშნავი თარგმანია, რუსულად დაწერილსა გავს!

ილიას იმიტომაც უხდებოდა ისტორიის საკითხებზე წერა, რომ იმ ხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვყავდა, ბაქრაძის შემდეგ, სანამ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასპარეზზე... ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატიოსნად სცდებოდა. ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა!...

ი ლ ი ა ს გ ა რ ე გ ნ ო ბ ა. შეიძლება ითქვას, რომ ილია საშუალოზე უფრო დაბალი ტანის კაცი იყო, ჩასკვნილი და ჩასუქებული, მაგრამ უშნოდ კი არა, ზომაზე. პირველად რომ დავინახე, მაშინვე გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მის შესახებ: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალიო!“ ზედგამოჭრილი ნათქვამი იყო! თვალები ილიას ძალიან ეშხიანი ჰქონდა და სახე — სანდომიანი. მე რომ გავიცანი, მაშინ თმაში ჭაღარა არ უჩანდა. გვიან გამოერია. თმა-წვერის ფერი კარგად არ მახსოვს, მაგრამ, მგონია, უფრო შავი ეთქმოდა. საზოგადოდ ილია მძლავრი აგებულების, ბუნებით ერთობ ჯანმრთელი ადამიანი იყო. ზემოთაც გავიხსენე ერთი მისი ნათქვამი, ცხვირის ცემინება და გაცივება არ ვიცი, რა არისო. ავადმყოფობა მხოლოდ მაშინ დაიწყო, ხანში რომ შევიდა: გული აწუხებდა და, როგორც ცნობილია, გერმანიაში წავიდა სამკურნალოდ, პროფესორ ლეიდენის საავადმყოფოში. ლეიდენმა, პირველ ყოვლისა, თურმე საზრდოობის რეჟიმი დაუწესა და ყოველდღე ლობიო გაუჩინა საჭმელად. ამაზე ილია ამბობდა, ჩვენ არა გვცოდნია და თურმე რა სასარგებლო საჭმელი ყოფილა ლობიოო!.. მერე ლეიდენისათვის უთქვამს, მე ლობიოთი ვარ გაზრდილი, ყოველთვის ვჭამდი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერ მიშველაო. მართლაც, კოლა

---

* ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი — ილიას სტუდენტობის ამხანაგი, იურისტი, პატრიოტი მოწველი, ისტორია-არქეოლოგიის მოყვარული და ლიტერატორი.

ერისთავისაგან („ცუნცულაძისაგან") გამიგონია, ლობიო ისე უყვარს ილიას, რომ ჩვენთან როცა სადილობს, ჩემი ცოლი ახალ-ახალის დასხმას ვეღარ აუდისო.

ილიამ შესანიშნავი, სასიამოვნო საუბარი იცოდა და მის მოსმენას არაფერი სჯობდა — მეტადრე, თუ კარგ გუნებაზე იყო. ხმაც ძალიან საამური ტემბრისა ჰქონდა, არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი, ბოხი. არც ყვირილი იცოდა და არც აჩქარებული ლაპარაკი. ოღონდ ისიც უნდა შევნიშნო, რომ გულმოსული თითქმის არასოდეს მინახავს და ეგებ მაშინ კი უწევდა ხმას და უფრო ჩქარაც ლაპარაკობდა?

თუმცა ერთხელ კი შევესწარი მის განრისხებას, როდესაც დავით სარაჯიშვილთან ვიყავით სტუმრად. დავითი, მართალია, კარგი ქართველი იყო და დიდი პატრიოტიც, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა ქართველების საზოგადოდ დაწუნება, მათი ნაკლის გაზვიადება და, პირიქით, სამაგალითოდ ჩვენს მეზობლებს ასხამდა ხოლმე ქებას. ქართველების მიმართ ძალიან გულგატეხილად მოჰქონდა თავი და თითონ იტყოდა ხოლმე, მე, ბატონებო, პესიმისტი ვარო! ნიკო ღოღობერიძე მას დაცინვით „великий пессимист"-ს ეძახდა. რა საგანზედაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი, დავითი მაშინვე მეზობლებს დააყენებდა მაღლა, იტყოდა, რომ ჭკვიანი ცხოვრება იციან, ბედოვლათები და მთხოველები არ არიან, მუშა და გამრჯელი ხალხია, ყველა საქმეში გვჯობიან და მომავალიც მათია. ერთხელ, ნამეტანი რომ გადააჭარბა ასეთ ლაპარაკში, ილიას გული მოუვიდა და წამოიძახა: „ამისთანა გაგონილა?! ამ ოჯახში ქართველების ძაგების მეტს ვერაფერს გაიგონებ! თუ ერთი-ორი ვიღაც აწუხებს და ფულსა სთხოვს, ეს მთელ ხალხზე გადააქვსო!" აი, მაშინ კი აუწია ხმას ილიამ, მაგრამ — მაინც ცოტა!...

ილია ჭავჭავაძეს ერთხელ უჩივლა თედო სახოკიამ, მაშინ სულ ახალგაზრდა კაცმა, და სასამართლომ გაარჩია მათი საქმე. ყველანი ძალზე გაკვირვებული და დაინტერესებული ვიყავით ამ საჩივრით. საქმე ასეთი იყო. თედომ გამოსცა პატარა წიგნაკი — „აკაკის ნაკვესები". როგორც ცნობილია, აკაკის ბევრი ჰქონდა უწმაწური ოხუნჯობაც და თედოს ისინი ყველა შეეტანა წიგნაკში. ილიას გაზეთმა „ივერიამ" დაბეჭდა რეცენზია „აკაკის ნაკვესებზე" და განაცხადა, რომ ეს წიგნა-

კი სახელს უტეხს აკაკისაცა და ქართულ მწერლობასაც და მისი გამოცემა სამარცხვინოა. თედომ ეს შეურაცხმყოფელად მიიჩნია და უჩივლა გაზეთის რედაქტორს. უმაღლეს სასამართლოში იყო საქმე. თედომ დამცველად აიყვანა ახალგაზრდა ადვოკატი გიორგი გვაზავა, რომელიც თან პოეტობდა კიდევაც, მისი პოემა თავის დროზე ჟურნალმა „მოამბემ“ გააკრიტიკა სასტიკად. სასამართლოს ბევრი ხალხი ესწრებოდა. ილიას ჰკითხეს, ვექილი გეყოლებათო? მან მიუგო, „Я сам буду защищаться“-ო. მისცეს სიტყვა, ისიც წამოდგა და თავისებურად დინჯად დაიწყო ლაპარაკი. უჭირავს ხელში ის „ნაკვესები“ და სათითაოდ უთარგმნის რუსულად სასამართლოს წევრებს — ისე. რომ იცოდა ხოლმე, საფუძვლიანად, არც ერთი სიტყვა არ გამოუტოვებია. მოსამართლეები დაიხოცნენ სიცილით, ეუბნებიან: „Князь, достаточно, все ясно!“ ის კი მაინც თავისას არ იშლის, ეუბნება: — „Нет, еще, еще, вот еще несколько очень характерных примеров!“ ასე, საყოველთაო სიცილ-ხარხარში თითქმის სულ ჩაიკითხა და თარგმნა ის წიგნაკი. ბოლოს განაცხადა, ეს იმდენად სამარცხვინო ანეკდოტებია, რომ აკაკიმ თითონ უარყო მათი ავტორობა და სწორედ ამიტომ დაიწუნა ჩვენმა გაზეთმა ამ წიგნაკის გამოცემაო... მოიგო, რა თქმა უნდა, საქმე! თედოსაც საქმის წაგება გულში არ ჩაუხვევია; კარგი პატრიოტი და ინტელიგენტი ქართველი იყო, არ დამდურებია ილიას. პირიქით, მერე შესანიშნავი წერილი მიუძღვნა მას.

ჩემი მუშაობის დაწყებისას ერთი მასწავლებლისაგან შევიძინე ორი ხელნაწერი. ერთ მათგანზე, ტყავის სვინაქსარზე, ბოცო-ბასილისა და მისი შვილების მინაწერები იყო. მერე წარვუდგინე ის ხელნაწერები წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარეც მაშინ ილია ჭავჭავაძე იყო, ავუხსენი, თუ რატომ მიმაჩნდა სასურველად იმ ხელნაწერთა ყიდვა საზოგადოებისათვის. როგორც კი გავათავე ახსნა-განმარტება, ილიამ მაშინვე გაუსვა კალამი, „მიეცესო“, და ამინაზღაურეს გაწეული ხარჯი. მერე გოგებაშვილმა შენიშნა: „კაცო, ჩვენ აღარა გვკითხე, იქნება არა ვყიდულობდითო?“ ილიამ უთხრა: „მაგას რაღა კითხვა უნდოდა, კაცი გვეუბნება, ათაბაგების რამდენიმე ხელმოწერაა შიგაო. ერთისაც რომ ყოფილიყო, ისიც კმარიდაო!“...

საერთოდ კი ილია იმითაც სჯობდა თავის ირგვლივ მყოფთ, რომ ფხიზლად ადევნებდა თვალს მეცნიერულ ლიტერატურას, მუდამ საქმის კურსში იყო, კითხულობდა, უკვირდებოდა და მარჯვედაც იყენებდა თავის პუბლიცისტიკაში.

ილიას დასახასიათებლად აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება იმ ხანგრძლივი და მწვავე კონფლიქტისადმი, რომელიც თედო ჟორდანიასა და ჩემ შორის ატყდა, როგორც კი გამოვედი სამეცნიერო ასპარეზზე, ე. ი. ჩემი „სამი ისტორიული ხრონიკა“ რომ დავბეჭდე. თ. ჟორდანიამ „ივერიაში“ განაცხადა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მან გადმოწერა პირველად. რომ ათხოვა გადმონაწერი ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი „ქვათა ღაღადსა“ წერდა, და რომ მერე ის რვეული მე წავიღე. ამ წერილმა სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა, ჯერ სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე თ. ჟორდანია და რომ არ გამომყვა, მერე — დუელში, მაგრამ მან ამასაც თავი აარიდა. ილიამ რომ ეს ამბავი გაიგო, ძალიან შეწუხდა, „ასეთი რამ არ უნდა დაბეჭდილიყო ჩვენ გაზეთშიო“. გაზეთის რედაქციის გამგის გ. ყიფშიძის პირით დამიბარა, მნახეო. მეც მივედი მასთან, ბინაზე. 4 საათი იყო, დააგვიანდა ბანკიდან დაბრუნება. ბოლოს ისა და ივანე პოლტარაცკი მოვიდნენ ერთად და დასხდნენ სადილად. მე უკვე ნასადილევი ვიყავი და ისე, ტყუილად მივუჯექი სუფრას. სადილი რომ გაათავეს, ილიამ შემიხმო კაბინეტში და ძალიან გულისხმიერად მომიბოდიშა, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემ გაზეთში ასეთი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ, ხომ იცი, დრო არა მაქვს, მე თითონ ვერ ვკითხულობ გაზეთს, თორემ როგორ გავუშვებდი, ეს სულ რედაქციის ბრალიაო! ახლა ძალიან გთხოვთ, როგორმე მშვიდობით გაათავეთ საქმე, სულ ორიოდე კაცი მუშაობს ჩვენს ისტორიაზე და ახლა თქვენი დუელი როგორ შეიძლებაო? (სხვათა შორის, თავის დროზე თითონ ილიასაც ჰქონდა სადუელო საქმე ნ. ნიკოლაძესთან). მე ვუთხარი, მუშაობა ახლა დავიწყე და უკვე ასეთი ლაფი გადამასხეს თავს, როგორ შემიძლია ეს შეურაცხყოფა გადავიტანო, მშვიდობით კი საქმე არ ეწყობა მეთქი?! ილიამ ამაზე მითხრა, სამედიატორო სასამართლოში გამოიწვიეთო. მე ვუთხარი, არც მაგ სასამართლოში გამოდის და არც დუელში მეთქი. ეგ ყოვლად შეუძლებელიაო! — მიპასუხა ილიამ — რო-

გორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო?! მე ვუთხარი, კარგი, სასამართლოს დავჯერდები მეთქი. შევთანხმდით. ილიასავე რჩევით დავასახელე მედიატორები და კიდევაც გაირჩა ჩვენი დავა. თ. ჟორდანიას ილიას მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ჩემს ერთ-ერთ მედიატორეს ივ. პოლტარაცკის გავუზიარე ჩემი ეჭვი: „ივერიის“ რედაქციის წევრები ყველანი ჩემი წინააღმდეგნი არიან და ხომ არაა მოსალოდნელი, ილიაც მათ მხარეზე დადგეს მეთქი? ივანემ მითხრა, ეგ არასგზით არ მოხდებაო; ილიას აქვს ცოტაოდენი საკლი, ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე და მთელ წელიწადს ხმას არა ვცემდი, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მან საზოგადო საქმეში ჭეშმარიტებას უღალატოს, ან ოდნავ მაინც გადიხაროს იმისაკენ, ვინც მართალი არ არისო; ამაში დარწმუნებული იყავითო! და მართლაც, ილიამ მედიატორეებს ვერაფერი უთხრა ჟორდანიას სასარგებლოდ. თქვა, თაყაიშვილი „სამი ისტორიული ხრონიკის“ გამოცემამდე ჩემთან არ დადიოდა და, მაშასადამე, ვერც ამ რვეულს წაიღებდა ჩემგანაო (თან ის რვეული ეჭირა ხელში და ათვალიერებდა) როგორც ვრწმუნდები, მე ეს რვეული არა მქონია, ის სხვა იყო, უფრო მცირე ტანისა და დაშლილიო; თუნდაც ეს ყოფილიყო, შეუძლებელია, თაყაიშვილს წაეღოს, რაკი არ უვლია ჩემთანო!..

გავრცელებული აზრი, ვითომც ილიას და აკაკის შუა ცუდი ურთიერთობა იყო, არ არის მართალი. მხოლოდ მლიქვნელები და ბოროტი ხალხი ცდილობდა მათ შორის ცუდი განწყობილება ჩამოეგდო. საერთოდ, მათ ახლო მეგობრული ურთიერთობა არა ჰქონდათ. აკაკი არ დადიოდა ილიასთან, არც ილია — აკაკისთან, ისინი მხოლოდ საზოგადო კრებებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ერთმანეთის დიდი პატივისცემა ჰქონდათ, ერთი მეორის ნიჭს და სამსახურს სამშობლოს წინაშე დიდად აფასებდნენ. თუ ვინმე დაიწყებდა ილიას წინაშე აკაკის შესახებ კრიტიკას და ცუდად ხსენებას, ილია მაშინვე გააწყვეტინებდა სიტყვას, თვით ილიასაგან კი არასოდეს არ გამიგონია და არც სადმე წამიკითხავს წუნი

და კრიტიკა აკაკის ნაწერების შესახებ, გარდა იმისა, რომ მან წერილობით არ მოიწონა აკაკის დახასიათება „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირებისა და რაც დაწერა მან „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“. მახსოვს მხოლოდ ერთი მცირედი შენიშვნა: როდესაც ანასტასია წერეთელმა საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა განიზრახა, მან ჩვენ მწერლებს სთხოვა, მიეცათ მისთვის ლექსი პირველი ნომრისათვის. ილიას მიეცა ლექსი „ბაზალეთის ტბა“, ხოლო აკაკის ლექსი „ღამურა“. მე ვიყავი ილიასთან, როდესაც ანასტასია წერეთელმა მოიტანა ცენზორიდან დაბრუნებული კორექტურა ორივე ლექსისა. „ბაზალეთის ტბა“-ში ცენზორს ზოგიერთი სიტყვები და სამი უკანასკნელი სტროფი ამოეშალა. ილიამ უთხრა გრიგოლ ყიფშიძეს: ეხლავე ეს ამოშლილი სიტყვები და სტროფები ჩავწეროთ და შევინახოთ, რომ მერმე არ დაიკარგოსო. შესწორებული ცალი ილიას გადასცეს და მეორე ცალებში მან თავის ხელით შეიტანა ამოშლილი სიტყვები და სტროფები. შემდეგ წაგვიკითხეს აკაკის ლექსი „ღამურა“. ილიამ დიდად მოიწონა იგი, მაგრამ შენიშნა: „ბოლო ორი სტროფი სრულიად ზედმეტია, აკაკის ნაკლი ეგ არის, რომ ნაწარმოების გათავება არ იცისო. სურათი რომ დახატა, ამით უნდა გაეთავებია“-ო.

ეს იყო და ეს მარტო, სხვა შენიშვნა აკაკის ნაწერების შესახებ მე მისგან არა მსმენია.

რაც შეეხება „ვეფხის-ტყაოსანზე“ წაკითხული ლექციის დედააზრს, რომ ტარიელი ქართლელ ტიპს წარმოადგენს, ავთანდილი იმერელისას და ფრიდონი მეგრელისას, ეს აზრი ეკუთვნის ნიკო დადიანს. ეს მე პირველად მოვისმინე ქართველი ინტელიგენციის ერთ კრებაზე ქუთაისში, როდესაც მე იქაური გიმნაზიის უფროსი კლასის შეგირდი ვიყავ. აკაკიმ ამის შესახებ ლექცია წაიკითხა 1886 წელს, როდესაც მე უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-4 კურსზე ვიყავი. იმ ხანად კანიკულებზე ქუთაისში ვიყავ ჩამოსული და შემთხვევა მომეცა ეს ლექცია მოვესმინა. აკაკიმ ნიკო დადიანის დედააზრი განავრცო და გაალამაზა. რასაკვირველია, ილია მართალია, რომ რუსთაველის მიერ დახატული მსოფლიო მნიშვნელობის გმირების უბრალო ეთნოგრაფიულ ტიპებად აღიარება შეუძლებელია. მაგრამ ხელაღებით არც იმის თქმა შე-

იძლება, რომ ასე თუ ისე, რამდენიმედ მაინც, ტარიელის ტიპი ქართლელს არ მოგვაგონებს და ავთანდილისა იმერელს.

ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა მჭიდრო კავშირი ქართული კულტურის და საზოგადოების ბევრ მოღვაწესთან — გოგებაშვილთან, ცხვედაძესთან, მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანთან და სხვებთან, რომლებთანაც მისი ურთიერთობის გაშუქება მეტად საჭირო რამ არის; შემდგომ ყოველ მხრივ ვეცდები შთამომავლობას კვლავ აღვუდგინო წარსული საუკუნის ამ ბუმბერაზი ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ძვირფასი მომენტები.

იოსებ იმედაშვილი

მოგონებები

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა ქართველ ბუმბერაზ მწერალ-მოღვაწეთაგან ვისაც კი ვიცნობდი, თითოეული თავისებური იერით ჩამრჩა მეხსიერებაში...

ილია — შუა ტანის, ჩასხმულ-ჩამკვრივებული, წელში მოუხრელი, თითქო კუშტი, შუბლშეკრული, ფიქრებდაყურსული, უმეტეს მოზიდული, წარბ-წამწამში მწყვდეულ თვალებით პირდაპირ გამჭრიახი გამცქერი, იშვიათად მიწისაკენ დახრილი, მუდამ სერთუკით, „კატილოკით“ და ხელ-ჯოხით.

ბევრჯერ შევხვედრივარ ილიას „ივერიის“ რედაქციაში; ხშირად მომისმენია მისი ლაპარაკი თუ კამათი საჯარო სხდომაზე, დინჯი, წყნარი დაფიქრებული, რომლითაც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელებზე. ჩემი თაობის ადამიანისათვის ილია განსორციელებული ჭეშმარიტება იყო, უეჭვო და ხელშეუვალი, როგორც საქართველოს უდიდესი ჭირისუფალი, პრაქტიკული მოღვაწე, მოაზროვნე მწერალი, სამშობლოსათვის მარად მზრუნველი, რომლის აზრი, სიტყვა და სურვილი უდაოდ ბატონობდა ყველგან, ყველასა და ყველაფერზედ.

იგი მახსოვრობაში ჩამრჩა როგორც ყოვლისმცოდნე — ენციკლოპედისტი: წარსულის დიდი მცოდნე, აწმყოს ყოველმხრივ მცნობი და მომავლის განმჭვრეტი, წინასწარმეტყველი.

გასული საუკუნის ბოლო ათეულიდან გაზეთ „ივერიას“ რედაქციას დავუახლოვდი. ამ დროს რედაქციაში მუშაობდნენ გრ. ყიფშიძე, არ. ახნაზარი, დ. მიქელაძე, ია ეკალაძე, ივანე ახალშენიშვილი, ილია აგლაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ. აქა ვბეჭდავდი წვრილ-წვრილ ამბებს (ხშირად ხელმოუწერა-

ვად), ლექსებს, მოთხრობებსა და სხვ. აქვე დაიბეჭდა რამდენიმე ნაწყვეტი ჩემი (პირველი ქართული იუმორისტული) რომანისა „აახ-ვაახ!", უსუფ უმუთ ოღლის ფსევდონიმით, ამას გარდა ჩემი ფსევდონიმები იყო: იზიძე, იმედი, ი. ხაშმელი და სხვ. ვაწერდი სახელსა და გვარსაც. ლექსებს უმეტესად ილია სინჯავდა ხოლმე. ხშირად იტყოდნენ: თუ ილიამ არ მისცა დასტური, აწყობილიც რომ იყოს, ლექსი ვერ დაიბეჭდებაო.

ენის სისუფთავის დაცვის მხრივ ხომ საოცარი იყო ილია. ჯერ ერთი, ყოველ ნაწარმოებს რედაქციის მუდმივი თანამშრომელ-მდივნები გ. ყიფშიძე, არ. ახნაზარი თუ სხვანი სინჯავდნენ, მერმე ილია ისე ჩაჰკირკიტებდა, რომ თვით საკუთარ ნაწერსაც კი რამდენჯერმე შეასწორებდა ხოლმე. არაერთხელ გამიგია ასოთამწყობებისაგანაც: „ილიას პირველად დაწერილს რომ ავაწყობთ ხოლმე, ერთი ათჯერ მაინც შეასწორებს, პირველი კორექტურა მეათისაგან ისე განსხვავდება როგორც ცა დედამიწისაგანო".

ილია სავაჭროთა განცხადებებსა და ქრონიკასაც კი არ უშვებდა ისე, რომ საკუთარ ენობრივ დარჯაკში არ გაეტარებინა.

ილიას რედაქტორობა, მის მიერ შექმნილი სარედაქციო შემადგენლობა ნამდვილი ენის აკადემია იყო.

გარდა ამისა, ყველა ავტორის, ყველა თანამშრომლის (რაც უნდა პატარა კაცი ყოფილიყო ეს თანამშრომელი) დიდი პატივისმცემელი, ყველასთან უზომოდ თავაზიანი იყო. თუ ვისიმე ნაწერი რაიმე მხრივ არ მოეწონებოდა, თავაზიანად ეტყოდა: „ეს არ გამოგვადგება, სხვა მოგვიტანეთო".

დამწყებ მწერალთა დიდად წამხალისებელი იყო და შემწყნარი.

ცხრაასიან წლებში ხმა დაირხა ილიას იუბილე უნდა გადაუხადონო. ამ დროისთვის გამოცემული იყო ილიას ნაწერ-ნაშრომთა ხუთი წიგნი, თითო ექვს აბაზად, რაზეც მდაბიო ხალხს არც თუ აგრე ადვილად მიუწვდებოდა ხელი. იმ ხანად მე ვაწარმოებდი ხალხურ პროგრესულ გამომცემლობას.

განვიზრახე ილიას პოემების სახალხოდ გამოცემა და ამისათვის ავტორისაგან ნებართვის ასაღებად რამდენჯერმე ვიყავი რედაქციაში, ბანკში, წერა-კითხვის საზოგადოებაში, მაგრამ ილია ვერსად ვნახე. ეს ჩემი გულის ტკივილი შევჩივლე იაკობ გოგებაშვილსა და შიო მღვიმელს.

— ალბათ ჩაკეტილია და მუშაობს! — მითხრა ორივემ.

მივმართე ილიას მეუღლესაც.

მერვედ თუ მეცხრედ რომ მივედი „ივერიის" რედაქციაში, „ივერიის" სტამბის პატრონმა მაქსიმე შარაძემ მითხრა:

— კნეინა ოლგამა გთხოვათ.

ილიას ბინა იქვე, „ივერიის" რედაქციის გვერდით იყო.

შევედი ტალანში, შემდეგ საერთო დარბაზში, აქ, მხარმარცხნივ, გრძელ ხავერდის ფარდაჩამოფარებულ კართან, წიგნით ხელში, იჯდა ილიას მეუღლე — ოლღა, თადეოზ გურამიშვილის ასული.

თუმცა ილიას, მზარეულისა და მისი ხელქვეითის გარდა, დიასახლისი და ხელზე მოსამსახურეც ჰყავდა, მაინც ამათ გარეშე, ილიას პირდაპირი და მუდმივი მეთვალყურე, ასე ვთქვათ პირადი „მოსამსახურე" — მზრუნველი მისი მეუღლე ოლღა იყო.

ჩემი შესვლისთანავე, ოლღა ფეხზე წამოდგა და მითხრა:

— ბატონო იოსებ, ილიკოს უკვე გადავეცი თქვენი შეხვედრის სურვილი. გელით. — იმავე წუთს შესავალი კარის გასაღები გადააბრუნა, კარი გააღო და შემიშვა.

შევედი, მაგრამ ფეხი წინ ვეღარ წავდგი. შევკრთი, რადგან არაჩვეულებრივი სურათის მოწამე შევიქმენ.

მარცხენა კედლის ძირას მიმდგარ ფიცრის საწოლს — „კუშეტკას" (რომელსაც ჭერიდან ჩამოშვებული ხალიჩა ჰქონდა გადაფარებული) მკერდით დაყრდნობილი, იატაკზე წაწოლილი ილია გამალებით წერდა. ერთ მხარეზე ვიწროთ დაჭრილი დაუწერავი ქაღალდის დასტა, მეორეზე — უკვე დაწერილი ფურცლები; იქვე, აქეთ-იქით და ძირს, გაშლილი ან ფურცელჩაწყობილი წიგნები. ოთახს თვალი მოვავლე: ჩემს პირდაპირ დაბალი მაგიდა იდგა, ჩაჩოქილად საწერად; მეორე მხარეს — ჩვეულებრივი მაგიდა სკამითურთ; ჩემს მარჯვნივ, კედელთან — მაღალი დაქანებული მაგიდა, როგორიც ეკლესიებში მენახა, — ეს ფეხზე დგომის დროს საწერად.

ყველგან ცალ მხარეს საწერი, მეორე მხარეს ნაწერი ქაღალდის ფურცლები, გადაშლილი წიგნები ელაგა და საწერ-კალამი იდგა. ყოველივე ეს განუწყვეტელი ბეჯითი წერითი მუშაობისათვის იყო მომარჯვებული. ალბათ ერთ მდგომარეობაში მუშაობით თუ დაიღლებოდა, მეორე ადგილისაკენ გადაინაცვლებდა, ან სხვადასხვა დარგობრივი მასალები თავთავის ადგილას ჰქონდა გამიზნული.

სუნთქვა შემეკრა, გავიფიქრე. „რა ღმერთი გამიწყრა და ფეხი შემოვდგი"-მეთქი. ველარც გარეთ გამოვედი, რადგან კარი გადაკეტილი მქონდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ილიამ თავი ასწია, კალამი სამელნეს მიაყრდნო და შემომხედა. მივესალმე, მომესალმა ხელის ჩამორთმევით:

— მაპატიეთ, რომ გაცდევინეთ და აქამდე ვერ მიგიღეთ. — მერე სკამზე მიმითითა და როცა ჩამოვსხედით მრგვალი მარმარილოს მაგიდის ირგვლივ, მკითხა: „რაზე გარჯილხართ".

— პირველ ყოვლისა, მაპატიეთ, რომ ასეთ მუშაობაში ხელი შეგიშალეთ და, შესაძლოა, სულიერი სიმშვიდეც დაგირღვიეთ.

— ეგ არაფერია, უსაქმოდ ხომ არ გაირჯებოდით.

— ამ მოკლე ხანში თქვენი იუბილე უნდა გაიმართოს.

— ჩემი იუბილე?! — შემომხედა გაოცებით. — მე რა საიუბილეო კაცი ვარ! საიუბილეო ვინც გვყავდა, 50 წლისთავის იუბილე ხომ გადავუხადეთ კიდეც.

— რაფიელ ერისთავზე ბრძანებთ, განა! მართალია, მაგრამ ჩვენი ქვეყანა სხვა ნაამაგდარ შვილებსაც არ ივიწყებს და ვერც დაივიწყებს.

— მერე რა გნებავთ? — მომიგო ოდნავ შუბლშეკვრით.

— რადგან თქვენი, უკვე გამოცემული, თხზულებანი იმდენად ძვირია, რომ მდაბიო მუშა-ხელოსნებამდის ვერ აღწევს, გთხოვთ, ნება მიბოძოთ, თქვენი პოემები — „დიმიტრი თავდადებული", „კაკო ყაჩაღი", „განდეგილი" და „აჩრდილი" ცალკე წიგნებად გამოვცე ხალხში უფასოდ დასარიგებლად.

— უფასოდ დასარიგებლად?! — შემომაჩერდა გაოცებით და განაგრძო: განა ქაღალდს, სტამბას — აწყობა-დაბეჭდვას ხარჯი არ უნდა?!

— რა თქმა უნდა?

— მერე ეს სარჯი ვინ უნდა დაფარის?

— სხვა წიგნების შემოსავლით დავფარავ.

— გეტყობათ უანგარიშო, ფლანგია ქართველი ბრძანებულხართ: შრომობთ, ხარჯსა და შემოსავალზე კი არა ფიქრობთ, — მითხრა ოდნავი გაღიმებით.

— რაც დაჯდება, იმდენ ფასს დავაწერ.

— არც ეს ივარგებს... თავნმა თუ თავისი სარგებელი მცირედი მოგება მაინც არ შემოიტანა, როგორ იქნება!

— როგორც იქნება, ამ მხარეს მოვუვლი, ოღონდ თქვენ ნება მიბოძეთ.

— ჰო, ეს თქვენი საქმეა, კეთილიც. ჩვენი მდაბიო ხალხისათვის სასარგებლო აზრიც მოგსვლიათ, მაგრამ ჩემი ნაწერების უფლება რომ მე აღარ მეკუთვნის.

— მაშ ვისა?

— „წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ გამგეს.

— „ქართველთა ამხანაგობის“ გამგეს?

— დიახ, ამხანაგობის გამგემ ჩემი ნაწერების გამოცემის უფლება სამოც თუმნად შეიძინა. და თუმცა სამოც თუმანში სამი კაპიკიც არ მოუცია, პირობას ხომ ვერ დავარღვევ.

— თქვენ რათა? პირობა გამომცემლობას დაურღვევია, რაკი კუთვნილი არ მოუცია. თქვენ ამის შემდეგ სრული უფლება გაქვთ — თქვენი ნაწერების გამოცემის უფლება, ვისაც ისურვებთ, იმას გადასცეთ.

— მერე კარგად მოიქცა, რომ „ამხანაგობის“ გამგემ პირობა დაარღვია და კუთვნილი არ მომცა?

— რა თქმა უნდა, არა! არასაკადრისად, უპატიოსნოდ მოქცეულა, პირობის გატეხა როგორ შეიძლება!

— მერე თქვენ მირჩევთ, მეც არასაკადრისად, უპატიოსნოდ მოვიქცე და პირი გავტეხო?!

ეს ისეთი კილოთი მითხრა და ისე შემომაცქერდა, რომ ვავშრი, გავშეშდი: ეს რა შევკადრე, რატომ დედამიწა არ გამისკდა-მეთქი.

ალბათ ილიამ შემატყო ასეთი შეკრთომა, ჩემს გულში ნაიხედა და ტკბილად მითხრა:

— დიაღ, მეტად კეთილშობილი აზრი მოგსვლიათ. საჭიროა და ძლიერ საჭიროც ჩვენი მწერლობის რჩეული ნაწერები მდაბიო ხალხში გავრცელდეს, თორემ მარტო ბაზრული

წიგნებით ხომ არ ისაზრდოვებს ხალხი. ჩემი ნაწერების გარდა, სხვებისაც უნდა გამოიცეს პატარ-პატარა წიგნაკებად... ჩემი პოემების გამოცემების ნებართვისათვის კი, კარგს ინებებთ, თუ ამხანაგობის გამგეს მიმართავთ, — ეგება ნება მოგცეთ. მე კი, არა თუ ნებას გაძლევთ, მადლობელიც დაგრჩებით.

სალაპარაკო კიდევ ბევრი მქონდა, მაგრამ, ირგვლივ გაშლილ სამუშაოს რა თვალი გადავავლე, მოვიბოდიშე და თავდაკვრით გამოვემშვიდობე. ილიამ კარამდე მომაცილა... თავაზით ხელი ჩამომართვა და გამარჯვება მისურვა.

თავბრუდახვეული გამოვედი.

„ამხანაგობის“ გამგემ ჩემი თხოვნა შორს დაიჭირა. პოემები ვერ გამოვეცი. ვეღარც ილიას იუბილე გაიმართა მთავრობის საიდუმლო ხრიკების წყალობით.

ილია უკომპრომისო დამცველი იყო ლიტერატურული ეთიკისა. ერთი შემთხვევა მაგონდება, ოღონდ მიმიტევოს მკითხველმა, რომ იმ ცნობილი მწერლის გვარს ვერ დავასახელებ, ვისაც ილიას რისხვა დაატყდა თავს.

ეს, ცნობილი მწერალი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში მუშაობდა და ხანდახან სცენაზეც გამოდიოდა ხოლმე. ერთხელ მან „ჰამლეტში“ ლაერტის როლი შეასრულა.

„ივერიაში“ ამ სპექტაკლზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა. ილიამ წაიკითხა და გაკვირვებით იკითხა:

— შეხე, რა ყოფილა ლაერტის აღმასრულებელი... ნეტა ვინ არის ეს რეცენზენტი, რომ მთელ „ჰამლეტზე“ იმდენი არაფერია, რამდენიც ლაერტზე... ჰო, ვინ არის ეს რეცენზენტი?

— თითონ მაგ როლის აღმასრულებელი.

— რაო? — წარბი შეიკრა ილიამ, თითქო მყინვარწვერს ღრუბელი მოეფინაო და წარმოსთქვა, — დღესვე გააგდეთ ეს ბინძური... და ერთი შეუფერებელი რეცენზიის გამო, ილია ჭავჭავაძის მოთხოვნით, რეცენზენტი რედაქციიდან დაითხოვეს.

ეს მწერალი „კვალში“ გადაბარგდა. იმ დროს „კვალისა“ და „ივერიის“ ურთიერთობა გამწვავებული იყო და მან „ივე-

რიის“ საწინააღმდეგო წერილით შესდგა ფეხი „კვალის“ რედაქციაში: მთელი რიგი ფელეტონები სტყორცნა ილიას რიგოლეტოს ფსევდონიმით: ხან ბაყბაყ დევს უწოდებდა და ხან რას.

ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობის დროს ჟურნალ „კვალში“ თვით ნოეს წერილები იბეჭდებოდა — „ქართული პრესა — გუშინ და დღეს“, რომელშიც ილია იკენწლებოდა. ეს წერილები ხალხში მდურვას იწვევდა.

ერთ კვირა დილით, „კვალი“-ს მორიგ ნომერში ილიას აუგით მოხსენიება ამოვიკითხე; ნოე ჟორდანიას ბინაზე ავირბინე. ამ დროს ცხოვრობდა სათეატრო შესასვევში („ტეატრალნი პერეულოკ“), კუთხის სახლში, ზედა სართულზე. მის პირდაპირ, ჩიხის ბოლოს, ეზოში კი — ფილიპე მახარაძე.

ნოე სადღაც წასასვლელად ემზადებოდა.

— ნოე, ილიას თუ შებედეთ, თქვენს თავს როგორღა აკადრეთ ქართველი ერის საამაყო შვილის ასე გაბიაბრუება, — განა ეს შესაწყნარებელია!

— რროგორ ააღელვებულხარ და რროგორ გუნებაზე დდამდგარხარ?! რა მოხდა?

(როგორც ცნობილია, ნოე ენას უკიდებდა).

— როგორ თუ რა მოხდა? ილიას ასე აუგით ხსენება კარგ ნაყოფს არ მოიტანს, ეს იცოდეთ!..

— ოჰო, ეიიმუქრები კიდეც.

— მე კი არ ვიმუქრები, საქმეს მოგახსენებთ.

— ჩჩემო ეოსებ, ერროგორ ლლაპარაკობ... კრიტიკა, პოლემიკა ggანა საძრახია?!

— კრიტიკა და პოლემიკა კი არ არის საძრახი, არამედ ლანძღვა-გინება!.. ეგ კრიტიკა და პოლემიკა მთელ ჩვენ მდაბიო ხალხს — მასას რომ ვეძახით, — სხვანაირად ეწვეთება ყურში... ეს ერთი, მეორეც — ილია ჭავჭავაძე განა ეგრე ხელწამოსაკრავი კაცია, — განა „კაცია ადამიანი?!“-ს, „კაკო ყაჩაღის“, „განდეგილისა“ თუ „აჩრდილის“ დამწერი მაგისი ღირსია!..

— შშენ ვვინ გითხრა, რომ ილიას, როგორც მხატვრული

სიტყვის ოსტატს, ბელეტრისტსა და პოეტს ვეხებოდე, — იის ამ მხრივ კკლასიკოსია და ჩვენში ძნელად თუ ვინმე შშეედაროს, — მე ვებრძვი მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებს... აი, რაშია ჩვენი განსხვავება!.. ეიცოდე, ილია მმიყვარს როგორც პოეტი და ბელეტრისტი, მაგრამ ვებრძვი როგორც პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს... დღეს ჩვენთვის ილიას დროშა აღარ გამოდგება.

— მე კი მგონია, მოვა დრო და თქვენც ილიას დროშას შეეფარებით. ეს კარგად იცოდეთ, ვისაც საქართველო უნდა — ილიას დროშას ვერ გასცდება!..

კარი გამოვიხურე და კიბე ჩამოვირბინე.

1925 თუ 1926 წ. ზაფხულის თვეში — აგვისტოში წაღვერისაკენ მომავალი მატარებლიდან დაბის სადგურზე ჩამოვხტი, მეორე მხარეს ბაკურიანიდან მომავალი მატარებელი გაჩერებულიყო გზის ასაქცევად.

— ბატონო იოსებ, ბატონო იოსებ! — მომესმა.

მივიხედე. ღია ვაგონის მოაჯირზე გადმომდგარი ნიკო ნიკოლაძე შევნიშნე. მივესალმე.

— ბატონო, პავლე ინგოროყვას ველარ შევხვდი. თურმე ტიმოთეს ხევზე წასულიყო. გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, ჩემს მაგიერ გადასცეთ, რომ ნულარ დააყოვნებს და ჩქარა ჩამოვიდეს თბილისს, თორემ ილიას ნაწერების ტომის გამოსვლა დაბრკოლდება.

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ ამ სიცხე-პაპანაქებაში თბილისს ჩასვლა როგორ შეიძლება, ქალაქს ცეცხლი ეკიდება.

— როცა საქმე თხოულობს, სიცხე-პაპანაქება რას მიქვია?

— პატივცემულო ნიკო, თქვენ ილიაზე ზრუნავთ, თქვენ ნაწერების ტომებს როდისღა უნდა ვეღირსოთ?

— ჩემი ნაწერები დროს გაჰყვა. დღეს ჩვენს ხალხს უფრო მეტად ილიას ნაწერები ეჭირვება... ეს უფრო მეტს გააკეთებს, ვიდრე ჩემი ნაწერები... ილია უნდა აღსდგეს...

მატარებელი დაიძრა, მაგრამ ნიკომ მაინც მომაძახა: „ბა-

ტონო იოსებ, რაც გთხოვეთ არ დაივიწყოთ, — პავლე ინგოროყვა ჩქარა ჩამოვიდეს თბილისს!"

ჩამესმა, ღრმად გულში ჩამეჭრა ეს სიტყვები და კიდევ მეტი სიყვარული, მეტი პატივისცემა ვიგრძენ ამ ორი ბუმბერაზი ადამიანისადმი — როგორც ილიას, ისე ნიკოსადმი, ამ დიდი მწერლებისა და მამულიშვილ-მოქალაქეთადმი!...

დავით კასრაძე

ილია ჭავჭავაძე პირველად მსახიობ ლიზა ჩერქეზიშვილთან გავიცანი. ლიზა ჩვენებური იყო, ლიახვის ხეობელი, სოფ. კოშკიდან და გვენათესავებოდა კიდეც. თბილისში მისი ოჯახი განთქმული იყო პურმარილით. კვირაუქმე დღეს მის ოჯახში თავს იყრიდნენ ცნობილი მსახიობნი: ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, რომელსაც ვასო „ფაშფაშას“ ეძახდა, და სხვები. მწერლებიდან უფრო ისინი მოდიოდნენ, ვინც ლიზას მეუღლეს ნიკო ხიზანიშვილს გულით უყვარდა. ამ შემთხვევაში უპირატესობა ჰქონდათ ილიას და „ივერიის“ თანამშრომელთ: გიგა ყიფშიძეს, არტურ ლაისტს, არტემ ახნაზაროვს, ზოგჯერ ანტონ ფურცელაძესაც შემოუღია კარი, ათასში ერთხელ სოფრომ მგალობლიშვილსაც.

ლიზას ოჯახში არაერთი ბედნიერი შემთხვევა მქონია უფრო ახლოს გავცნობოდი ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს და კალმის ოსტატებს. მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას ბუნებრივად ილია იპყრობდა.

მისი გამოჩენა ხსენებულ ოჯახში პირდაპირ ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე. ლიზას ბავშვები, ვახუშტი და შალიკო, ციყვებივით მუხლებზე ახტებოდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. საოცარია, გორიზად და მიუკარებელ კაცად ცნობილი, მუდამ სერიოზული ილია ასე საოცრად უყადრებდა თავს ბავშვებს!

პირადად მე იმ რწმენისა ვიყავი, თითქოს ილიას წიგნების მეტი არაფერი აინტერესებდა ცხოვრებაში. უშვილოდ გადაეგებული აი ამ ბავშვებთან იჩენდა მამობრივ გრძნობებს. აი აქ, ამ ოჯახში ჩამოდიოდა იგი მწვერვალებიდან, თვითონაც ბავშვი ხდებოდა. რა მომხიბვლელი იყო ილია ამ დროს, როგორ ნაპერწკლებს აფრქვევდა ჯიღა თვალებიდან. ვახუშტისა და შალიკოს კამპანიაში გართულს ხშირად ავიწ-

ყდებოდა სხვა სტუმრები. როდესაც მასპინძელი ან დიასახლისი აწყვეტინებდნენ ბავშვებთან თამაშს, უცბად იღრუბლებოდა და მის თვალებში სიხარულის მუქი იისფერი შარავანდედი სწრაფად ჰქრებოდა...

სუფრის თავში, როგორც წესი, უცვლელ თამადად ვალერიან გუნია დასვეს. სადილმა ოხუნჯობაში ჩაიარა. ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია ერთმანეთს გაეშაირნენ და სტუმრებს სოცავდნენ სიცილით. მასპინძელიც ოხუნჯობის გუნებაზე დადგა, თუმცა ტლანქად მოუვიდა: შემწვარი ბატკანი მთლიანად თვითონ დაიდგა და თითქმის ნახევარზე მეტი გაათავა. მას ის ახარებდა, რომ ილია მადიან ჭამას თავისი ლამაზი თვალების აჟუჟუნებით შეჰხაროდა.

თამადამ ოხუნჯობის ასპარეზზე საფალავნოდ ახლა სოფრომ მგალობლიშვილი გამოიყვანა. მე მეგონა, სოფრომი ჭადიდან ნახშირს ვერ გამოიღებდა, სინამდვილეში კი ის ჩინებული კომიკოსი გამოდგა. ფიალა შეუვსეს და ისიც მოჰყვა ტეტიურ კილოზე სადღეგრძელოს, ადგილ-ადგილ უცენზურო სიტყვებსაც ურევდა, მაგრამ ისე მოხდენილად და თავის ადგილას, რომ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელები, საწყალი კნეინები, რა დღე აყარა ამ სადღეგრძელოთი, ისე მიამიტად, ისე უეშმაკოდ, თითქოს საიმისოს არაფერს ამბობსო. არც ერთი ნაცნობი თუ უცნობი კნეინა არ დაუტოვებია გაუკენწლავი.

— აგრე, აგრე, სოფრომ, — ამხნევებდა ილია, — კიდევ სთქვი, კიდევ, ნუ გეშინიან, — დავიმსახურეთ მაგნაირი ქებადიდება, დავიმსახურეთ!..

თან იცინოდა, იცინოდა.

ილიას სმენა არ ჰქონდა და არც მინახავს ამღერებული. მაგრამ სუფრაზე მოლხენა უყვარდა და სიმღერებსაც დიდი სიამოვნებით ისმენდა. ნამეტნავად უყვარდა ნატო გაბუნიას სიმღერა დაირაზე. აი, ახლაც ლიზას მოატანინა დაირა და თავისი ხელით გადასცა ნატოს. ნატო არ დაჰზარებია, გასწორდა, დაირა მოიმარჯვა. მცირე პაუზა და, დაირა თითქოს შესტყორცნა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო, დაირას ფიფინურები შეუყღრიალა და იშვიათი სიტკბოთი დაიმღერა:

ორთავ თვალის სინათლეე,
რაზე მოგიწყენია.

ნატოს აღმოსავლური სიმღერების ფენომენს ეძახდნენ. მე ბედნიერება მქონდა მისი ხმა მომესმინა ჯერ კიდევ 1895 წელს, რაფიელ ერისთავის იუბილეზე. მაშინაც დაირაზე მღეროდა, მაგრამ არა „ორთავ თვალის სინათლეს", არამედ „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა". დიდი იყო მაშინ საზოგადოების აღფრთოვანება. მართალია, ამ დღეს ლიზას ნადიმზე იმდენი ხალხი არ დასწრებია, მაგრამ ნატოს მიერ მოხდენილი ეფექტი ისე დიდი იყო, რომ ილიას სიხარულის ცრემლები წამოუტბორდა. თანაც ასტმამ თავი გაახსენა.

— ბატონო ილია, ბატონო ილია! — გაისმა ნატოს ხმა, დაირა იქით მიაგდო და პატარა ბავშვივით მიუალერსა, გულზე მიიხუტა. არტურ ლაისტმა გუნია გასარჯა და ფანჯრების დახურვაში მიიშველია, ილია არ გაგვიციცვდესო. ილიამ შუბლზე ხელი გადაისვა და წყნარად დაამშვიდა ყველანი:

— ნუ სწუხდებით, ბატონებო, არაფერია, გამივლის, საზოგადოდ კი რაც არ უნდა მოხდეს, არაფერია დასანანი. ლერმონტოვიც ასე ამბობდა:

И жизнь, как посмотришь с холодным вниманием вокруг,
Такая пустая и глупая шутка.

მე გამაოცა ილიას ასეთმა გულგატეხილობამ. — ნუთუ ოთარაანთ ქვრივის ავტორს მართლა სულელურ ოხუნჯობად მიაჩნდა ჩვენი ცხოვრება?!

რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია უმსგავს შურისძიებაზე გადავიდა. სულ სახრჩობელები და სახრჩობელები. რუსეთის საუკეთესო მოაზროვნენი ხიშტებით იდევნებოდნენ, ბურთი და მოედანი ოხრანკას დარჩა. რუსეთში დარჩენის უფლება მოიპოვეს მხოლოდ მეფის მეხოტბეებმა და მისტიკურად განწყობილმა მოაზროვნეებმა, რომლებიც ლეონიდ ანდრეევის ისტერიული ამონაკივლებით პირდაპირ ზარსა სცემდნენ ყველას:

— აუ, მშვენიერო პროზერპინა, სად ხარ, ხმა გაგვეც!

რა თქმა უნდა, „მშვენიერ პროზერპინაში“ იგულისხმებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტით გადმოგდებული კონსტიტუცია, რომელიც დაბადებისთანავე რეაქციამ კუპრიანი ჩექმებით უწყალოდ გასთელა.

— Патронов не жалеть! — ასე აქეზებდა ოხრანკას გონებადაბნელებული და სისხლით გაუმაძღარი ტრეპოვი, ასევე ირჯებოდა მხეცი სტოლიპინი, გამოჩურჩუტებული გორემიკინიც, ებრაელთა დარბევის უსტაბაში დურნოვი, გარუსებული გერმანელი ხავერდოვანი გრაფი ვიტე, აუარება გრადონაჩალნიკები, ჟანდარმები, პოლიცმეისტერები, მიტროპოლიტები — დედოფალ ალისას (ალექსანდრას) მეთაურობით და ლოთ-მაწანწალა რასპუტინის ლოცვა-კურთხევით.

პეტერბურგის სასახლის სიდამპლე საქართველოსაც გადმოსწვდა. რეაქციონერებს უნდოდათ ნაცადი პოლიტიკით („დაჰყავ და იბატონე“) შუღლი და არევ-დარევა გამოეწვიათ ჩვენსა და მოძმე მეზობელ სომხებსა და აზერბაიჯანელთა შორის. ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. რადგანაც ეს ვერ მოხერხდა, ინდივიდუალურ ტერორს მიმართეს. 1907 წლის ახალწლის დღე მოგვილოცეს პირველი მსხვერპლით — ლიზა ნერქეზიშვილის მეუღლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ნიკო ხიზანიშვილის საიდუმლო მოკვლით. ახალწლის მესამე და მეოთხე დღეს ქაშუეთის ეკლესიაში მოასვენეს ნიკოს ცხედარი. თოვდა. პირველ საათზე სამგლოვიარო პანაშვიდზე დასასწრებად მობრძანდა ილია. იგი მეტისმეტად უღონოდ გამოიყურებოდა, წამდაუწუმ აქრიტინებდა, ხუთიოდე წუთით ფიქრმორეული დაჰყურებდა საყვარელი მეგობრის ნეშტს. შემდეგ ჭირისუფლებს მიუსამძიმრა და სწრაფად ეზოში გავიდა, სადაც შემოეხვივნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები გიორგი ყაზბეგის მეთაურობით. ნიკოს მოკვლის მიზეზს შეეკითხნენ.

— აბა როგორ ვთქვა, მკვლელი არაა შეპყრობილი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ეს სულ ერთია, ვინაიდან ჩვენ ყველაზე საშინელ ხანაში შევდგით ფეხი. რეაქციამ აღვირი წაიხსნა. ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარა ღირს. უარესი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ, იქნება შევესწროთ ბევრად საშინელ უბედურებას, ვიდრე დიმიტრი ყი-

ფიანის თავზე დამტყდარი სტავროპოლის ტრაგედია იყო.

ილიას ეტლი მოჰგვარეს. ყაზბეგმა ხელი შეაშველა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

„ნუთუ?! ოჰ, ნუთუ?! — გავიცინე გულში. — ილია გულთამხილველია, ნეტავ რა საშინელება განსჭვრიტა ისეთი, რაც სტავროპოლის ტრაგედიაზე უარესი იქნება? ვინ იცის, აქ თავის თავსაც გულისხმობდა?“.

მაგრამ გული დავიარხეინე. ილია 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი იყო, ვინ რას გაუბედავდა? ხან რა ვუთხარ ჩემს თავს, ხან რა. გამახსენდა ისიც, რომ სახელმწიფო საბჭოში მან სასტიკად გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ...

ლიბერალურმა გაზეთმა „რუსკოე სლოვომ“ ქება-დიდება შეასხა ილიას სიტყვას და თან დასძინა: „დღემდის ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ მორალური მზეც იქიდან ამოდის!..“

რად გამახსენდა ეს ამბავი?

განა იმავე სახელმწიფო საბჭოში არ ისმენდნენ მის მქუხარე სიტყვას სისხლით გაუმაძღარი იგივე პობედონოსცევები, იგივე გორემიკინები, დურნოვოები, ტრეპოვები, რომელთაც აამოქმედეს კამარილია და საიდუმლო ბრძანებებით დატვირთეს ოხრანკა? უეჭველია, მაშინ გადაწყდა ილიას ბედი და, მართლაც, ნიკო ხიზანიშვილის ამ მკვლელობის შვიდი თვის შემდეგ ილიაც გამოასალმეს წუთისოფელს, აღარ დააცალეს თავისი ავადმყოფობით დაელია სული, რის შიშიც მას აჩრდილივით სულ თან დასდევდა...

* * *

დამკრძალავი კომისიის გადაწყვეტილებით ილიას გადმოსვენება საგურამოდან 6 სექტემბერს უნდა მომხდარიყო. ცხადია, ამ დღისათვის საქართველოს საუკეთესო შვილები საგურამოში გაჩნდებოდნენ. ასედაც მოხდა: მთელი ფშავ-ხევსურეთი დაძრულიყო, თითქოს საომრად გამოწყობილი იყვნენ. დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა სხვადასხვა კუთხიდან. თბილისი ხომ დაცარიელდა. საგურამოელი ქალები

შავებში იყვნენ ეამოწყობილნი, როგორც ნამდვილი ჭირისუფლები. დაიძრნენ. საგურამოდან ნელი სვლით მოედინება პროცესია. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ჩერდებიან იმ ადგილას, სადაც მოკლული იქნა ილია. გლეხებმა სწრაფად აღმოაჩინეს შავად ჩამხმარი ნასისხლარი ადგილი. ი. ევდოშვილის წინადადებით ეს ადგილი თეთრი კენჭებით იქნა შეამოფარგლული მომავალი ობელისკისათვის, შემდეგ უჩვეულო გრძნობამორევით წარმოთქვა ძლიერი სიტყვა. მის შეკითხვაზე — თუ რა უნდა ეწოდოს მკვლელს, თუ არა იუდაო, მთელმა პროცესიამ გრიალით უპასუხა:

— იუდა! იუდა! იუდა!..

მე მეგონა, მცხეთაში მოთავდებოდა მგლოვიარე საქართველოს ვაება. თბილისის შესავალ კარში უფრო დიდი ამბები დაგვხვდა. მშვენიერი დარი ეამოვიდა. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და გვირგვინებს ეზიდებოდნენ ილიას ცხედარის შესახვედრად. ოლღას ქუჩაზე, ჯვრიდან დაწყებული ზევით გავაკებამდე, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. პროცესიას მოზარე ცხენოსნები გამოეყვნენ და თბილისის ბჭეში უპატაკეს მოზღვავებულ ხალხს საქმის ვითარება. კუბოს მცველებივით მივდევთ. თბილისელებს უცხო სანახაობა გადაეშალათ თვალწინ. საგურამოელი გლეხები ქალით კაცამდე პროცესიას მოსდევდნენ. ასევე მიმზიდველი იყვნენ თიანეთიდან ჩამოსული ცხენოსნები.

თბილისის კართან ჩერდება პროცესია და აქვე სამღვდელოება იხდის პარაკლისს. ვინ იცის, რამდენი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება ერთი ორატორის მიერ მოხდენილი ეფექტი. ის იყო ფართო მხარბეჭიანი ვაუკაცი — მწერლობაში ელეფთერიძის სახელწოდებით ცნობილი ილია ზურაბიშვილი. მისი სიტყვა მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და პოეტური. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თუ როგორ აქვითინდა ის ზღვა ხალხი, როდესაც ორატორმა ილიას შესჩივლა: „ახლა რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე, ბედის მომჩივან ალაზანს, რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს — შენს ყვარლის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ვაზი ობოლი? სდუმსარ? მაშ მართალია?! თუ ბგრეა, იგლოვეთ, იგლოვეთ მდუმარეო. შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს.

თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები — ეგ იქნება ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუსარე ცრემლი, ხოლო შენ, ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი“...

დეპუტაცია დეპუტაციას მისდევდა ნაირ-ნაირი გვირგვინებით, რომელთა შორის ცხრა გვირგვინი სულ ვერცხლისა იყო. ძვირფას ცხედარს ბალდახინით მიასვენებდნენ. რამდენიმე გუნდი გალობდა პროცესიის სხვადასხვა ადგილას. მთელ გზაზე, ჯვრიდან დაწყებული სიონის ტაძრამდე, მაღაზიები დაეკეტათ, ფანჯრებიდან შავი დროშები გადმოეკიდათ. პროცესიას პირველ გიმნაზიასთან მოსწავლეები შეხვდნენ სამგლოვიარო მარშით. წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი ქუჩის მხრიდან ძაძით იყო შემოსილი. ერევნის მოედნიდან სიონამდე სომხებმაც მხარი დაგვიჭირეს გლოვაში, ყველგან შავი დროშები გამოკიდეს. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ღია ფანჯრებიდან ილიას პატივსაცემად სომეხ მანდილოსანთა ხელით გადმოფენილი შავი დროშები. სიონის ქუჩაზე ყვავილებით შემკული თაღი ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადაკიდულიყო, მის ქვეშ მიმავალი პროცესია ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს დაისს ზღაპრული ღრუბლების ფლოტილია გამოუშვია და მის ზვირთებზე მოაცურებს ძვირფასი ცხედრის კუბოსო.

9 სექტემბერი უკანასკნელი გამოთხოვების დღე იყო. ამ დღისათვის გამოცხადნენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელნი: კახეთიდან, ქართლიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, საინგილოდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, სვანეთ-ლეჩხუმიდან, აჭარიდან, ჯავახეთიდან. პანაშვიდის შემდეგ მგოსნის გვამი გამოასვენეს ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა და კიდევ სხვებმა. პროცესიას წინ მიუძღოდნენ შავი დროშებით. ამას მისდევდნენ ამქრები თავიანთი დროშებით, შემდეგ მოასვენებდნენ კუბოს, რომელსაც უკან მოსდევდა ას ოთხმოცდაცხუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, დაბა-ქალაქებისა, რედაქციებისა, სასწავლებლებისა... სად ჩამოითვლება! ერევნის მოედანზე პროცესიას შეუერთდნენ სომხებისა და მაჰმადიანების უმაღლესი სასულიერო პირნი, ამ დღისათვის საგანგებოდ ჩამოსულ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, ბა-

ქოელი სტუმრები, ვაჭრები, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები. აქ უნდოდათ, რომ პოლიცია გამოეყვანათ წესრიგის დასაცავად, მაგრამ ვალერიან გუნიამ, როგორც წესრიგის დაცვის მთავარმა ხელმძღვანელმა, ცივად გააბრუნა, თქვენს დახმარებას არ ვსაჭიროებთ, ყველაფერი რიგზე იქნებაო. და მართლაც, მიუხედავად აურაცხელი ხალხისა, წესრიგი სანაქებოდ იყო დაცული და არსად დარღვეულა.

აი, მივადექით ძაძით შემოსილ წერა-კითხვის საზოგადოებას. უცბად გაისმა:

— აკაკი!.. აკაკი!..

აკაკის სიტყვები „ისარში" წაკითხული გვქონდა, ხოლო არ ვიცოდით, იმავე სიტყვას გაიმეორებდა, თუ გამოსათხოვარი სხვა რამ იქნებოდა.

ცნობისმოყვარეობა მახრჩობდა.

აცერ, მხრებში შესდგომიან ნიკო ცხვედაძე და ვალერიან გუნია, როგორც ავადმყოფს, და ისე აჰყავთ სამგლოვიარო ტრიბუნაზე.

— „ილიმპიელი!" — აი რა შეგეძლოთ ეთქვათ.

აკაკი ბევრჯერ მენახა საჯაროდ გამოსული, კულისებშიც, სცენაზეც, როგორც დრამატურგი, მიმოგზაურია კიდეც მასთან ერთად ქუთაისიდან თბილისამდე, მაგრამ სულ სხვა იყო ამ დიდი განცდის წუთებში, როგორც ერის მთავარი რწმუნებული, მისი ბაირახტარი! აჰ, რატომ მსატვარი არ ვიყავი, რომ ეს მომენტი უკვდავმეყო ფართო ტილოზე გადატანილი, — აკაკი სამგლოვიარო ტრიბუნაზე, ილიას დამტირებელი.

აკაკის ზევსურმა სიდიადემ ხელად ჰიპნოზით შეიპყრო მთელი საზოგადოება, მოვშვილდეთ სმენა. თვალები ორბიტიდან გვცვივა, აი, ამოიღო ხმა და ელექტრონდენმა ყველას თავზე ვადაირბინა. დღესაც, ამ მძიმე მომენტში, როგორც მთელი ათეული წლების სარბიელზე, იგი ვაჟკაცურად იცავდა საქართველოს სიწმინდეს, მის ღირსებას, მის პატივს, სახეს, მის მარადიულ მეობას, მისი სახელის შარავანდედს. მოკლე იყო მისი სიტყვა, როგორც გულთამხილავისა:

— ნუ მიწამლავ მოხუცს გრძნობას! — ასეთი თილისმური

სიტყვით დაიწყო მაწ და ამ ფრაზით შეამკო ყველა აბზაცის შავი არშია.

უეჭველია, მისი დაღლილი გულის სიღრმეში საშინელი ჯანღი იდგა, მაგრამ ჩვენთვის, შვილებისათვის, ეს არ გაუმ-ჟღავნებია, რომ სასოწარკვეთილებას არ მივცემოდით. მას თითქოს ოპტიმისტურად ეჭირა თავი, იუპიტერის მშვენებით, რომ გავემხნევებინეთ. ხუმრობა ხომ არ იყო, თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენცია, პოეტები და მოღვაწენი სულ იმას გაიძახოდნენ, საქართველო იღუპება, საქართველოს სახელი სულ მალე ამოიშლება ხსენებიდან, ყველა ქართველმა პასუხი უნდა ვაგოთ ილიას მკვლელობაზე, ჩვენც სისხლში გვაქვს ამოთხვრილი ხელებიო. ეს კი, ეს, ილიას თანამეუღლე, როგორც საქართველოს რწმუნებული, სულ სხვაფრივ მღერის.

დაამთავრა აკაკიმ სიტყვა და აქვითინდა. ყველანი აცრემ-ლდნენ. მე კი ცრემლის ნაცვლად დიდი სიმსუბუქე ვიგრძე-ნი. მშფოთვარე სულმა შვება იგრძნო. იმედის მინელებულმა ვარსკვლავებმა კვლავ ციმციმი დაიწყეს, ნაზი სიყვარულით თითქოს მეჩურჩულებოდნენ, რომ ყველაფერი არ წამხდარა, ჩემი მშფოთვარე ერიც დაცხრება და კვლავ გამოიღებს კვირ-ტებს მარადიულ სიცოცხლის სამკაულად.

ისევ ნიკო ცხვედაძემ და ვალერიან გუნიამ ნელ-ნელა ჩამოიყვანეს აკაკი სამგლოვიარო ტრიბუნიდან. რა ნეტარებით შევყურებდი თმადათოვლილ იუპიტერს, ასეთი უბრალოებით ასეთი მაღალი გრძნობების თილისმა რომ გაშალა და გვანუ-გეშა.

განცალკევებით, და როგორც მუდამ, ორიგინალურად, მთელი მთის მშვენებით წამოდგა ვაჟა და ლექსი წარ-მოთქვა.

სომხებმაც, როგორც ისტორიულად ძმად შეფიცულმა მე-ზობლებმა, მთელი გულით დაიტირეს ილია, როგორც მშობ-ლიური მამა და წინამძღვარი სიკეთის ბაღნარში შესასვლე-ლად. მათ წარმოთქვეს შესანიშნავი სიტყვა...

ბოლოს არ შემიძლია არ აღვადგინო ილიას დასაფლავე-ბის უკანასკნელი სურათი. სამარის თავთან წამოდგა თმებ-შეევერცხლილი მანდილოსანი — სასიერება ქართველი დედი-სა. ეს იყო ნინო ნაკაშიძე. ის არ სტიროდა, არც გაშლილი

ექსტიკულაციით სარგებლობდა. იდგა, როგორც მწუხარეების ქანდაკება. საქართველოს გულისძგერას კარგა ხანს დუმილით გადმოსცემდა. ბოლოს ამეტყველდა. მეც და ჭირისუფალნიც მგლოვიარე საქართველოსთან ერთად აღარ ვწონიდით მის ნაზ სიტყვას, მის დედობრივ მოწოდებებს. არა, მის სიტყვებს ისე ვიღებდით, როგორც დათრთვილული ლარნაკიდან მომფრინავ ქრიზანტემების თეთრ ფოთლებს...

არტურ ლაისტი

ილია ჭავჭავაძე პირველად ვნახე და გავიცანი 1885 წელს, მაშინ პოეტი 48 წლისა იყო. კვლავ ძლიერი ჰქონდა გონება, ნიჭი, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარული, მშვენიერების შეცნობისა და მისით აღტაცების უნარი. როცა ილიას დავუახლოვდი, შევიგენი — რაოდენ დიდი სულისა და ნათელი ჭკუის კაცი იყო. ხალხში, ჩვეულებრივად, სრულ სიმშვიდეს იჩენდა. არასოდეს ცდილობდა უცნობ საზოგადოებაში ვინმე თავისი ცოდნითა და გონებით მოეხიბლა. ერთი სიტყვით, არ სურდა თავი ვინმესთვის მთლიანად გაეცნო. სულ მოკლე ხანში ჩემთვის ნათელი გახდა მისი მდიდარი ბუნება. ჩვენი ერთგული, შეუბღალავი მეგობრობა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გვაერთებდა.

მასთან ყოველდღე დავდიოდი, ამიტომაც შემთხვევა მეძლეოდა გავცნობოდი ყველა მაშინდელ ლიტერატორს და ბევრ სხვასაც. ილია იმ ხანებში გულგრილად ეკიდებოდა თავისი ყოველთვიური ჟურნალის „ივერიის“ გამოცემას, მაგრამ როდესაც „დროების“ დახურვის შემდეგ, „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილიას ახალგაზრდობამ კვლავ გაიღვიძა, პოეტი სრულიად გამოიცვალა და დიდი მხნეობით შეუდგა ახალი გაზეთის რედაქტორობას.

ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ივერიამ“ სიცოცხლის ახალი ნაკადი შეიტანა. გაზეთში თანამშრომლობა დაიწყო ბევრმა ახალმა პოეტმა და ლიტერატორმა. „ივერიამ“ შესამჩნევად გააფართოვა გაზეთის მკითხველთა წრე. აქ იბეჭდებოდა არა მარტო კარგი მეთაური წერილები, არამედ საინტერესო ფელეტონები და ხშირად საინტერესო ლექსებიც. მათ ილია აღტაცებით მიკითხავდა ხოლმე. უხაროდა, რომ ქართულ ლირიკას ასე მკვიდრად გაედგა სასიცოცხლო ფესვები. დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გა-

მეცრო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცდამაინც გაწაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა-სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე. აქ პოეტის ძველი სახლის აივანზე ვისხედით ხოლმე. აქედან ერთი მხრით არაგვის მშვენიერი ხეობა და კავკასიონის ქედი მოჩანს, მეორე მხრით საგურამოს მთებია ამართული.

ნეტარხსენებულნი არიან ეს დღენი!... ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს ლექსებზე მიკითხავდა, დროდადრო თავისი სამშობლოს პოეზიის სილამაზეზე მიმითითებდა. წყნარად, დარბაისლურად და ჭეშმარიტი გზით შევყავდი მას ახალ ქვეყანაში, აღმოსავლეთის იმ ჭიშკარში, რომელიც ყმაწვილობიდანვე მიზიდავდა. ილია ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თარგმნას და ქართული ენის სხვადასხვა თავისებურებებზე შეუდგებოდა საუბარს, ან რომელიმე ხალხურ ჩვეულებას ახსნიდა. ბაასი და საუბარი შუაღამემდე მიატანდა, ვიდრე ირგვლივ საიდუმლო მყუდროება დაისადგურებდა.

შორიდან არაგვის ხმაური ისმოდა. ილიას ხმა და ღირსშესანიშნავი აზრები ჩემს გულს განსაკუთრებულ სიამეს ჰგვრიდა. ძლიერ უყვარდა მწერლობა, მთელი საათობით დაუსვენებლად შეეძლო ყური ეგდო ლიტერატურული საუბრისათვის. დიდი გულისყურით მისმენდა, როცა სიტყვას პოეტებზე ჩამოვაგდებდი. მთხოვდა, განმეგრძო მასთან საუბარი, გამეზიარებინა ნაფიქრი და ნაგრძნობი.

ამ შთაბეჭდილებათა გამო, მე მალე შემიყვარდა ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი. საგურამო ჩემთვის უსაყვარლესი ადგილი გახდა ამ ქვეყანაზე. ეს ტყით მოსილი მთები, რომლებიც მიდამოს განსაკუთრებულ იერს აძლევენ და მთელი წლის განმავლობაში ნაირგვარი სილამაზით ხიბლავდნენ ადამიანის თვალს. განსაკუთრებული იყო საგურამოს ზაფხული. ამ დროს აქ ბულბულის სტვენა გახშირდებოდა და შორიდანაც მთის წყაროთა საიდუმლო ლიკლიკი მოისმოდა. სიცხეში, როცა ფრთოსანთა ხმა მიწყდებოდა,

ჭრიჭინა თავის სტვირს ზომართავდა და გააბამდა თავისებურად. არა მარტო პაპანაქება დღისით, არამედ ღამითაც არ ისვენებდა. მისი ხმა პოეტურად აცხოველებდა გარემოს. ვინ იცის, რამდენჯერ დავმტკბარვართ მე და ილია საგურამოში მზის ჩასვლით. ნასადილევს, როდესაც მუხრანის მხრიდან ილია ღრუბლებს შენიშნავდა, აივანს აღარ შორდებოდა: მზის ჩასვლის სანასაობას ელოდა ხოლმე. იმ დროს ბუნების სურათი თავისი განსაკურთებული სიმშვენივრით, მართლაც, იტაცებდა ადამიანს. სწორედ ასეთი სურათი აქვს ილიას აღწერილი „განდეგილში“.

ილიას ბუნება უყვარდა, როგორც ნამდვილ პოეტს. მე სულ სხვანაირად მიყვარდა ბუნება. ილიას მოსწონდა ბუნების მთლიანი სურათები. ტყეში სეირნობა, იქ ცალკეული ხედების ძებნა ილიას არ იზიდავდა. ძლიერ იშვიათად თუ დავითანხმებდი, ცოტა მაინც გაგვესეირნა. ბუნებაში ილიას უფრო მეტად მთლიანი ხედები ხიბლავდა. ამ დროს ტკბებოდა და უდრტვინველ ოცნებას ეძლეოდა პოეტი.

თავისი ბაღის გაშენებისათვის ილია ვერ იცლიდა. თავდაპირველად აქ რამდენიმე ცაცხვი, წაბლი და იასამნის ბუჩქიც დარგო. მერე კი ბაღზე აღარ უზრუნვია.

გაზაფხულზე ხეები და ბუჩქები საამური ყვავილებით მოირთვებოდა. თუმცა ილიას მათზე ნაკლებად უხდებოდა ფიქრი, მაგრამ ზოგიერთ ხეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. სახლის უკანა ეზოში მაღლობზე დარგული კაკლის დიდი ხეები, რომლებიც პოეტის სამყოფელის უმთავრეს სამკაულს შეადგენდა, ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის. აქ ჩრდილში ხშირად სიამოვნებდა ჩამოჯდომა. აქვე მიირთმევდა სადილს, მეტადრე, როცა სტუმრები ეწვეოდნენ, განსაკუთრებით კი თავის დღეობაზე — 20 ივლისს.

რამდენი საამო სიტყვა წარმოთქმულა აქ, ბებერი კაკლის ქვეშ! რამდენჯერ უმღერიათ მგრძნობიარედ...

ილიას უყვარდა სტუმრები, უხაროდა, როცა საგურამოში დიდი საზოგადოება და მეზობელი გლეხობა შეიკრიბებოდა დღეობაზე. მასპინძელი დიდის ამბით უხვდებოდა მათ...

* * *

ილია ახალბებუთოვის ქუჩის კუთხეში ცხოვრობდა, სადაც ცეცხლის მქრობელი რაზმი იყო. მალე ამავე ქუჩაზე ზუბალაშვილის სახლში გადასახლდა. ეს ბინა თუმცა დიდი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ — ნათელი და მოხერხებული. მე აქაურობასთან დაკავშირებით ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩა. ილია მაშინ შედარებით ახალგაზრდა და ხალისიანი იყო, ასეთივე გახლდათ ილიას მეუღლე ოლღაც. ოლღა ყოველ წელიწადს სახლში სხვადასხვა ნივთებს ამზადებდა ალეგრისათვის. ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ იმართებოდა.

ილიას მეგობრები იმ დროს ყველანი ცოცხლები იყვნენ და ხშირადაც ნახულობდნენ მას. ყველაზე ახლო ნიკო ცხვედაძე ცხოვრობდა. ცხვედაძე ძლიერ გატაცებული იყო პადაგოგიური მოღვაწეობით და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმეებით. ოცნებობდა სათავადაზნაურო გიმნაზიის განვითარებაზე. ეს იყო იშვიათი პატიოსანი და დაუღალავი მოღვაწე. ნიკო ცხვედაძე მტკიცე, ურყევი ხასიათისა იყო. მას მრავალგვარ საქმეს ანდობდნენ ხოლმე, რომელთა შესრულებისას ის ყოველთვის სინდისით ხელმძღვანელობდა. მართლაც რომ საკვირველი ადამიანი იყო. ქაროველ მასწავლებელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შორის ბევრი მინახავს ცხვედაძის მსგავსი შესანიშნავი, მშვიდი და საქმის მოყვარული პიროვნება.

ნიკო ცხვედაძესთან ლაპარაკის დროს მალე გაიგებდით, რა იზიდავდა მას ყველაზე უფრო: მისი საუბარი მუდამ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ანდა სათავადაზნაურო სასწავლებელს დასტრიალებდა თავს. პირველის სიღარიბეს უჩიოდა, საზოგადოების ბევრ წევრს გადასახდელი არ შეჰქონდა. სხვა წყარო კი მას არ გააჩნდა. ვინ ფიქრობდა მაშინ თავისი ქონების ნაწილი კულტურულ და საქველმოქმედო საქმეებისათვის ეანდერძებინა? მე მგონია, ქველმოქმედების გავრცელებას თვითონ ნიკო ცხვედაძემ დიდად შეუწყო ხელი. ბოლო დროს კულტურული საქმეებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ქონების ნაწილის

გალება ბევრი ქართველისათვის ზნეობრივ მოვალეობად გადაიქცა.

ილია ჭავჭავაძეს ძლიერ უყვარდა ნიკო ცხვედაძე და პატივისცემითაც ეპყრობოდა საზოგადო და კეთილშობილურ საქმეებში დაუღალავი შრომისა და უმწიკვლო ხასიათის გამო.

ილია არანაკლებ პატივისმცემელი იყო ი ა კ ო ბ გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი ს ა, მაგრამ მას, ცოტა თუ ბევრად, კრიტიკულადაც უყურებდა. გოგებაშვილი, დიდი ჭკუის მიუხედავად, თავისნათქვამა და ხანაც ბავშვივით ჟინიანი იყო. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას. საერთოდ, გოგებაშვილს მტკიცე და შეურყეველი ხასიათი ჰქონდა. ამასთან, ძლიერ გულკეთილიც იყო, რაც კი შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მისი პატიოსნება ყველამ იცოდა. ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას. ამას ხომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში საბავშვო მწერლობის დაფუძნებისათვის. აქებდა მის დამოუკიდებლობას ამ საქმეში.

გოგებაშვილი მუდამ აუმჯობესებდა თავის წიგნებს და ამნაირად შეჰქმნა ფრიად უსაჭიროესი სახელმძღვანელოები ქართველ ბავშვთათვის.

გოგებაშვილი საქართველოში პირველთაგანი იყო, რომელიც თავისი წიგნების შემოსავლით ცხოვრობდა. ეს წიგნები იყო მისი შვილებიც. დღედაღამ მათ გაუმჯობესებაზე ფიქრობდა და ამავე დროს გამუდმებით მუშაობდა პედაგოგიკაში, რასაც დიდი სარგებლობა მოჰქონდა საქმისათვის.

მთელი ოცდარვა წლის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილთან ურთიერთობა არ შემიწყვეტია, ხშირად მივდიოდი მასთან. იაკობს ერთი ნაკლი შევამჩნიე — ნაკლებად იცნობდა პრაქტიკულ ცხოვრებას. იგი უფრო თეორეტიკოსი იყო და კაბინეტში მომუშავე მეცნიერი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ნიჭისა და ბუნებრივი ალღოს წყალობით რამდენიმე ისეთი წიგნი შეჰქმნა, რომლებშიაც გამოცდილებაცა ჩანს და ცხოვრების ცოდნაც.

იაკობ გოგებაშვილი ილიას მხოლოდ საქმის გამო ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ არ მახსოვს, რომ ის ოდესმე მასთან სადილად ან ვახშმად დარჩენილიყო. საზოგადოდ,

იაკობი არავისთან დადიოდა. ასეთი კაცი იყო — თავისაც კმარობდა და სხვისგან არაფერს იღებდა. და თუ მოსდებოდა, რომ საჩუქარზე უარი აღარ ეთქმოდა, ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა.

დიახ, გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი-მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლდა. არ მახსოვს, რომ კითხვაში ან წერაში არ ყოფილიყო გაროული. რამდენიმე წლის მანძილზე ოითქმის ყოველდღე ათ საათს და ზოგჯერ მეტსაც მუშაობდა. ხშირად გვიან ღამითაც მინახავს თავის საწერ მაგიდასთან მომუშავე. საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ საშობლო და პედაგოგიკა იყო.

ოთხმოციან წლებში ილიას ხშირი სტუმარი იყო ვ ა ნ ო მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, მას ლიტერატურულ ასპარეზზე მოღვაწეობითა და ბანკში მუშაობით დაუახლოვდა. ვანო მაჩაბელი ნიჭიერი კაცი იყო. ლიტერატურაში სერიოზული მისწრაფებები ჰქონდა, რაც დაამტკიცა შექსპირის დრამების თარგმნამ, „დროებაში“ თანამშრომლობამ და ამავე გაზეთის რედაქტორობამ. მაჩაბელს საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, იცოდა გერმანული, ფრანგული ენები. ვანო დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც იყო ნამყოფი, გონებრივი მომზადება საკმაო ჰქონდა სალიტერატურო მოღვაწეობისათვის. ვანო მაჩაბელი მწერლობაში დიდ მისწრაფებასა და სიყვარულს იჩენდა. როგორც შექსპირის დრამების მთარგმნელს, რა თქმა უნდა, თეატრი უყვარდა: 1886—1887 წლების ზამთრის სეზონში თითქმის ყოველ კვირას დავდიოდით ერთად ქართულ თეატრში, სადაც აღტაცებაში მოვყავდით ვასო აბაშიძის, მისი მეუღლის საფაროვას, გაბუნიას, კოტე მესხის, ყიფიანის, გუნიასა და სხვების ორიგინალურ თამაშს. მართალია, მათ ხშირად თავიანთი როლები ზეპირად არ იცოდნენ, მაგრამ მაინც ჩინებულად თამაშობდნენ, არა შაბლონურად. ვანო მაჩაბელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მათ თამაშს, მაგრამ სცენის ხელოვნების ისეთი მცოდნე მაინც არ იყო, როგორც „სამშობლოს“ ავტორი დავით ერისთავი. დავითიც ხშირად დადიოდა ჩვენთან ერთად თეატრში. ვანოს მოსწონდა თამაშის კომიკური

მხარე და ბევრსაც იცინოდა ხოლმე. დავით ერისთავი უფრო თავშეკავებული იყო და კრიტიკულად უყურებდა მსახიობების თამაშს.

თეატრის რეჟისორად მაშინ ვასო თუმანიშვილი იყო, წყნარი, მუდამ მომღიმარი კაცი. ძლიერ რბილი ხასიათის ადამიანად მეჩვენებოდა. მოთმინებიდან ადვილად არ გამოდიოდა, ყოველთვის სხვებს უთმობდა.

ვანო მაჩაბელი ძლიერ მშველოდა „ვეფხისტყაოსნის" გერმანულად გადათარგმნაში. მასთან გავიცანი ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე), მაშინ უკვე თვალისჩინი აკლდა. გარეგნობითაც მოხუცს ჰგავდა, თუმცა 40 წელს ბევრად არ იყო გადაცილებული. მის ზოგიერთ მოთხრობას უკვე ვიცნობდი, რასაკვირველია, ძლიერ საინტერესო იყო მასთან საუბარი საკუთარ თხზულებათა და, საზოგადოდ, ლიტერატურაზე, მაგრამ ყაზბეგი ისე დაეთრგუნა ავადმყოფობას, რომ ხალისიანად ვეღარ გამოგყვებოდა ლაპარაკში.

ვანო მაჩაბელთან თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა ახალგაზრდობა, რომელიც ლიტერატურას ან საზოგადოებრივ საქმეებს ემსახურებოდა. მოდიოდნენ ისეთებიც, რომელთაც თავი მოჰქონდათ ისე, თითქოს რაიმეს გამკეთებლები იყვნენ, საქმით კი მხოლოდ მჭევრმეტყველებაში ვარჯიშობდნენ. ვანო ხანდახან უჩიოდა მათ, დროს მართმევენო, როგორც შევამჩნიე, ახალგაზრდობის ასეთი ხშირი შეკრებილობა, მართლაც, აკარგვინებდა ვანოს დროს. მას შემდეგ კი, როცა „მისმა მეგობრებმა" ვანო ბანკის საქმეების გამო ილიასთან ბრძოლის ქსელში გააბეს, იგი სრულიად ჩამოშორდა ლიტერატურას, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

ილია წინამძღვრიშვილი 1885 წელს გავიცანი, საგურამოში, ჩემი პირველი ჩამოსვლისას. მას თავის მამულ წინამძღვრიანთკარში, ის იყო, სამეურნეო სკოლა დაეარსებინა. იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელიც მისებრ სულითა და გულით ერთგული ყოფილიყო მოყვასისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მასავით დაუღალავად ემუშაოს წამოწყებული საქმის დასაგვირგვინებლად. წინამძღვრიშვილ-

მა თავის სკოლას არა მარტო დრო და ღონე, არამედ მთელი თავისი ქონება შესწირა, თვითონ კი მეტისმეტად უბრალოდ ცხოვრობდა, ბევრ რამეზე უარს ამბობდა, დაბრკოლებას არ დაგიდევდათ, ოღონდაც კი სარგებლობა მოეტანა საკუთარ სკოლაში მოსწავლე ღარიბი გლეხების შვილებისათვის. ყოველწლიურად აუმჯობესებდა სკოლას, აფართოებდა მის ბაღსა და შენობას. ისეთი კულტურის სასოფლო-სამეურნეო კერა შეჰქმნა, რომლის მსგავსი საქართველოში არ მოიძებნება. სამწუხაროდ, ილია წინამძღვრიშვილის ესოდენ სასარგებლო საქმემ შესაფერისი თანაგრძნობა და დასმარება ვერ მოიპოვა. ამ წამოწყებას ან მარტოოდენ კრიტიკოსები, ან უბრალო კეთილისმსურველები ჰყავდა. ნამდვილი მფარველები კი ძალიან ნაკლებად.

ილია ჭავჭავაძის სახლში გავიცანი პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და გიორგი წერეთელი. ესენი თავისებური ადამიანები იყვნენ.

კეთილ, პატიოსან და მოკრძალებულ პეტრე უმიკაშვილს ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, მისმა შრომისმოყვარეობამ და კეთილსინდისიერებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. პეტრეს თვისებები სწორედ მისაბაძი მაგალითი უნდა ყოფილიყო ყოველი ლიტერატორისათვის. რასაც კი დაიწყებდა, საფუძვლიანად, მოთმინებითა და სიყვარულით აკეთებდა. ხშირად მუშაობის დროს ჭამა და მოსვენებაც კი ავიწყდებოდა.

1887 წელს პეტრე უმიკაშვილი რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში მონაწილეობდა. მაშინ ამ პოემას გერმანულად ვთარგმნიდი და ზოგიერთი ადგილის გასარკვევად ბევრჯერ მიმიმართავს მისთვის.

ერთხელ მოთმინებიდანაც გამომიყვანა. შუაღამისას, ერევნის მოედნით შინისკენ მივეშურებოდი. გზაზე უმიკაშვილს შევხვდი, ვანო მაჩაბელთან ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე. პეტრემ მაშინვე ამ საგანზე დამიწყო ლაპარაკი, ერთი საათი მელაპარაკა. ჯერ გულდინჯად ვუგდებდი ყურს, მერე კი ველარ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი, პირველის ნახევარია და

დასაძინებლად წავიდეთ-მეთქი. მან გაიცინა და გატაცებული ლაპარაკი შეწყვიტა.

პეტრემ გაჯავრება, საერთოდ, არ იცოდა, მაგრამ ყოველგვარი უსამართლობა აღელვებდა. მიუხედავად მოკრძალებული ხასიათისა, სადაც კი საჭიროდ დაინახავდა, თავის აზრს ყოველთვის პირდაპირ გამოთქვამდა.

უმიკაშვილის პირდაპირსა და პატიოსან ხასიათს ზოგიერთი არ აფასებდა, ზოგი კი მისი დიდსულოვნებით სარგებლობდა. ამისთანებს ყოველთვის მშვიდობიანი ხუმრობით უპასუხებდა ხოლმე, თუმცა მათი რიცხვი მცირე იყო, უმეტესობა უმიკაშვილს პატივისცემით ეპყრობოდა.

სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა ნიკო ხიზანიშვილსა და გიორგი წერეთელს. ორივე ოთხმოციანი წლების განმავლობაში დიდ მონაწილეობას ღებულობდა ქართულ ლიტერატურულ საქმიანობაში. ნიკო ხიზანიშვილი ილიამ პატიოსან და ენამახვილ ადამიანად გამაცნო, კონსტანტინე მუხრანბატონმა კი როგორც „ბურსაკი" — სემინარიელი. ორივენი მართალი იყვნენ: რამდენადაც ნიკო ჭკვიანი იყო, იმდენად აკლდა გარეგნული ბრწყინვალება. ისე მგონი, პირველი ქართველთაგანი გახლდათ, რომელიც ქართული კანონებისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპოქების კულტურის გამოკვლევას შეუდგა. მაგრამ ნიკოს ნიჭმა ვერ გამოიღო ნაყოფი. საკმაო დროს ანდომებდა კამათს და ხშირადაც ამარცხებდა ხოლმე თავის მოწინააღმდეგეებს.

ილიას ნიკოსთან ყოფნა უყვარდა, აფასებდა მის ცოდნასა და გონებამახვილობას. ხიზანიშვილთან კაცი მართლაც არ მოიწყენდა. როცა სერიოზულ თემაზე ლაპარაკობდა, აშკარა იყო, რომ საგნის არსს სწვდებოდა. მასთან ბაასისას ხშირად მიფიქრია, რამდენი სარგებლობის მოტანა შეეძლო ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის ამ კაცს, სისტემატურად რომ ემუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თვისება არა ჰქონდა. ხან დღე და ღამეს ასწორებდა, ხან კი მთელი კვირაობით ხელს არ ჰკიდებდა კალამს.

ამ მხრივ ნიკო ხიზანიშვილი ილიას ჰგავდა. ილია ხშირად თავდავიწყებით მუშაობდა, მთლად გადაიღლებოდა და ასეთი გატაცების შემდეგ ოდნავ გულგრილობას მიეცემოდა ხოლმე.

უკანასკნელი მოთხრობა — „ოთარაანთ ქვრივი“ ილია ჭავჭავაძემ ხუთ დღეში დაწერა. ამ თავის ხანგამოშვებით გულგრილობას ილია თვითონ დასცინოდა, ერთხელ კიდეც მითხრა: მე სწორედ კამეჩის ხასიათი მაქვს, ამ კარგ ცხოველივით ძლივს ვიწყებ მუშაობას, მაგრამ როცა ურემს გავწევ, მაშინ კი მიმაქვს, სანამ სრულებით არ მოვიქანცებიო...

როგორც ვთქვი, ნიკო ხიზანიშვილი კარგი და მხიარული კაცი იყო, მაგრამ მარტო ოხუნჯობით როდი ართობდა მოსაუბრეებს, მათ ხშირად იტაცებდა თავისი გამოკვლევებითა და აზრებით. ბევრჯერ რამდენიმე ზედგამოჭრილი სიტყვით ნიკო საოცრად ზუსტად, მაგრამ დაუნდობლად ახასიათებდა ხოლმე ზოგიერთს და ამ მოსწრებული ლაპარაკით გვაცინებდა.

ერთხელ მე, ილია ჭავჭავაძე და ნიკო საგურამოში წავედით. დიასახლისი ქ-ნი ოლღა სადილად მიგველოდა. უკვე ხუთი საათი იყო, რომ მივედით. ნიკო, ჩვეულებრივ, მადიანად შეექცეოდა. საღამოს 9 საათზე, როდესაც ჩაის მაგიდას მივუსხედით, ნიკოს დაავიწყდა, რომ ნასადილევი იყო და ყურში ჩამჩურჩულა: მადაზე ვარო. რამდენიმე წუთის შემდეგ ქ-ნი ოლღა დაეკითხა, ხილს ხომ არ ინებებთო. — მადლობას მოგახსენებთ, — მიუგო მან, — მე ხილს მხოლოდ ვახშმის შემდეგ გიახლებითო.

რადგანაც გვიან ვისადილეთ, დიასახლისი ვახშმის მომზადებას არ შედგომოდა, მაგრამ ხიზანიშვილს უმალვე მიუხვდა. და მაშინვე შეუდგნენ მწვადების შეწვას. მე და ილიას კი ამან სიცილი მოგვგვარა.

აღარ მახსოვს 1895 თუ 1896 წელი იყო, ახალი წლის წინადღით თბილისიდან ბათუმს მივემგზავრებოდი. თბილისის ირგვლივ მთები დაეთოვა. სადგურისკენ მიმავალმა მტკვრის გაყინული ნაპირები შევამჩნიე. ერთი სიტყვით, ზამთრის ცივი დღე იდგა, მაგრამ დილით, როდესაც მატარებელი ბათუმს მიუახლოვდა და ფანჯრიდან გადმოვიხედე, თბილოდა. მზე ირგვლივ ოქროსფერ სხივებს აბნევდა, მცენარეები ჰყვაოდა. თბილისის ზამთარი ბათუმის გაზაფხულმა შეცვალა.

პირველი ნაცნობი, რომელსაც მე ბათუმის ქუჩაზე შევხვდი, გრიგოლ ვოლსკი იყო. იგიც გაეხალისებინა გაზაფხულის თბილ ამინდს, თუმცა რაღაც ჩუმი ნაღველი მაინც დაჰკრავდა: ვოლსკის თბილისის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. იმ დროს ის როტშილდის ქარსანაში ექიმად მუშაობდა. პოეტი ვოლსკი და ქარხნის ექიმი?! სწორედ ასე გასლდათ! ამ თანამდებობას მრავალ წელს ასრულებდა. ბათუმის ქვაფენილებს სერავდა პოეტი და ხანდახან რამდენიმე საათით პარკში ზღვის საყურებლად დადიოდა. ის ექიმი იყო, თუმცა არავითარი სწრაფვა არ აკავშირებდა ამ საქმესთან. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწუხდა, პროფესიის არჩევაში შეცდომა მომივიდაო.

კერძო პრაქტიკა არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან მედიცინით სრულიად არ იყო დაინტერესებული. ბედად, ქარხნის ექიმის ადგილი იშოვნა, თორემ სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნდა. როგორც ქარხნის ექიმს შეეფერებოდა, თავისი მცირე ჯამაგირით ღარიბულად ცხოვრობდა.

დამშეულის, დაუოკებელი ოცნებით მიილტვოდა გრიგოლ ვოლსკის ფიქრები თბილისის ქართული ლიტერატურული ცხოვრებისაკენ.

ასე გაატარა ვოლსკიმ მრავალი წელი ამ სამრეწველო ქალაქში, და ქართული ლიტერატურისათვის მაშინ ძალიან ცოტას თუ აკეთებდა. როცა ვოლსკი თბილისში გამოჩნდა, იგი უკვე მოტეხილი იყო. სიმხნევე და ხალისიანი განწყობა, რაც ახალგაზრდობაში ახასიათებდა, აღარ შემორჩენოდა.

ვოლსკი უთუოდ ნიჭიერი და ძლიერი შესაძლებლობის მქონე პოეტი იყო, მაგრამ მას ცხოვრებამ ადრე მოამსხვერია ფრთები.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად ხშირად დიდი მწუხარებით ვიხსენებ ბევრ სხვა ქართველ მოღვაწეს, რომლებიც ახლა ცოცხლები აღარ არიან. ეს ადამიანები ძლიერ საჭირონი იყვნენ საზოგადოებისათვის. ოთხმოციანი წლების მეორე

ნახევარში ილია ჭავჭავაძის წყნარი და მშვიდი ცხოვრება არაფერს დაურღვევია, ძალიან იყო გართული „ივერიის“ სარედაქციო საქმიანობით. მაშინ, საზოგადოდ, მისი ყურადღება უმთავრესად ლიტერატურული საკითხებისადმი იყო მიპყრობილი. სტუმრები ილიას თითქმის ყოველდღე ჰყავდა. მათთან, ის, ჩვეულებრივად, ლიტერატურასა და სხვადასხვა ხალხების კულტურაზე საუბრობდა ხოლმე სიამოვნებით. მისი ბაასი ყოველთვის დარბაისლური, სასიამოვნო და მომხიბლავი იყო.

მე ყოველდღე დავდიოდი ილიასთან, რაც საშუალებას მაძლევდა მისი მდიდარი ბუნება, ფართო ცოდნა და მგრძნობიარე სული ახლო გამეცნო. მასთან არასოდეს მომიწყენია; ილია ნათელი ოპტიმიზმით უყურებდა კაცობრიობის პროგრესს.

ჩვენს საუბრებს ხშირად მხიარული ელფერი ეძლეოდა, როცა კონსტანტინე მუხრანბატონი და ვანო მაჩაბელი ღებულობდნენ ხოლმე მონაწილეობას მასლაათში.

დიღომში, კოსტანტინე მუხრანბატონისას, მხატვარი გიგო გაბაშვილი გავიცანი: ეს იყო, მგონი, 1887 წლის ზაფხულს. თბილისში სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი. ივანე მუხრანბატონმა მის პატივსაცემად სადილი გამართა. დიღომში ილია ჭავჭავაძესთან ერთად წავედი მისი საკუთარი ეტლით. ერთ დაღმართზე, დიღმის დუქანთან ცხენებმა გაგვიტაცეს, მეეტლე დაიბნა, ილია კი კოფოზე შეხტა, მეეტლეს აღვირი გამოსტაცა და, როგორც იყო, ცხენები დააოკა. სახიფათო გზაზე მას არასოდეს იპყრობდა შიში. სანდახან, როცა ღამით გვიხდებოდა მოგზაურობა, ილიას თვითონ მიჰყავდა ეტლი, ანდა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს მეეტლეს და რჩევას აძლევდა.

საღილობისას გაბაშვილის გვერდით ვიჯექი. ზოგიერთი მისი სურათი ნანახი მქონდა. ვურჩიე, მხატვრობაში გასავარჯიშებლად მიუნხენში პროფესორ ბრანდთან წასულიყო. ეს უკანასკნელი პოლონელი ხალხის ცხოვრების ამსახველი სურათებით იყო ცნობილი. გ. გაბაშვილმა მითხრა, პეტერბურგის პროფესორებმაც იგივე მირჩიესო. პატრიარქალური ცხოვრების ამსახველი ჟანრი, ჩემი ღრმა რწმენით, ძლიერ

შეეფერებოდა მსატვარ ვიგო გაბაშვილის ნიჭს. მან თავის შემოქმედებაში, სამწუხაროდ, ეს მხარე ძალიან ნაკლებად განავითარა და ხელი უფრო სხვა თემებს მოჰკიდა. რა სიმაღლეს მიაღწევდა ამ ჟანრში მისი ნიჭი იმ ტილოდან ჩანს, რომელზეც სამი თბილისელი მოქალაქეა გამოსახული. ეს სურათი დავით სარაჯიშვილის სახლში ინახებოდა... მახსოვს, 1903 წელს დავით სარაჯიშვილთან სტუმრობისას როგორი აღტაცებით უყურებდა ამ სურათს გერმანელი მეცნიერი და მწერალი გოტფრიდ მერცბახერი...

ნასადილევს ილია ჭავჭავაძესთან ერთად საგურამოსაკენ გავემგზავრე. თუმცა ამ დღიდან ოცდაოთხმა წელმა განვლო, დღევანდელივით მახსოვს თიბათვის ის მშვენიერი საღამო და მზის ჩასვენების სურათი არაგვის ხეობაში.

თითქმის ყოველ წელს, გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ყოველ შაბათს საგურამოში ავდიოდით. გზაში ბუნების სიმშვენიერით ვტკბებოდით, მეტადრე საგურამოსთან აზიდული ტყიანი მთების სურათით. როგორც კი ამ მომხიბლავ ადგილს მივუახლოვდებოდით, ილია ყოველთვის პოეტურ გუნებაზე დგებოდა.

— ოჰ, ჩემს მეგობრებთან და თქვენთან ერთად აქ რომ მთელი წლობით მამყოფა, — მეტყოდა ხოლმე ის, — კარგი წიგნები, ზოგჯერ სასიამოვნო სტუმარი!.. ეს საკმარისია. სხვა არა არის რა საჭირო.

საგურამოში ილია ნაადრევ ზაფხულს ან შემოდგომაზე მიდიოდა.

1886 წლის იანვრის პირველს ილია ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის" გამოცემას შეუდგა. ამან მის ცხოვრებაში სასიამოვნო მრავალფეროვნება შეიტანა. ახალი წლის წინა ღამეს ილიას ბინაზე დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა ახალი წლისა და ახალი გაზეთის შესაგებებლად.

დიახ, ამ ახალი და დიდი გაზეთის გამოსვლა მნიშვნელოვანი ამბავი იყო ქართველთა ცხოვრებაში; მოუთმენლად ელოდნენ მის გამოსვლას ისეთებიც, რომლებიც მანამდე გულგრილად უყურებდნენ ქართულ გაზეთს. ილიას ინ-

დი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და, რასაკვირველია, ახალ „ივერიიდან“ ბევრსაც მოელოდნენ.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოლოდინი გამართლდა, რადგან დიდი ფორმატის ახალმა გაზეთმა, საუკეთესო ქართველ მწერალთა თანამშრომლობის მეოხებით ერთბაშად წასწია წინ ქართული ლიტერატურა და სოციოცხლე შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„ივერიის“ მთავარი თანამშრომლები იყვნენ: გიგო ყიფშიძე, ილია ბახტაძე, დავით ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და ალექსანდრე ნანეიშვილი. „ივერია“ ბევრ ცნობას იძლეოდა, მაგრამ, უეჭველია ყველას მაინც ვერ აკმაყოფილებდა. მაშინ „ივერია“ ერთადერთი ქართული გაზეთი გახლდათ, თავისი მიმართულება ჰქონდა და არც შეიძლებოდა იმ დროს ყოფილიყო მთელი ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი. ილია, რასაკვირველია, თავის აზრსა და მიმართულებას იცავდა, მისი მახლობელი თანამშრომლებიც, ცოტა თუ ბევრად, მისი აზრის მომხრენი იყვნენ. საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული ახალგაზრდების ნაწილი კი ამ აზრს არ იზიარებდა და „ივერიის“ ოპოზიციას შეადგენდა. იგი თვალსაჩინოდ იზრდებოდა. მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, ვიდრე ახალი მკვიდრი ორგანიზაცია ჩამოყალიბდებოდა. ამ დროისათვის სახალხო მწერლებიც გამოჩნდებოდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ილია მათ ასპარეზზე გამოსვლის გამო კმაყოფილი იყო. მას ახარებდა პროგრესის ყოველგვარი ახალი გამოვლენა, მაგრამ არ მოსწონდა ზოგიერთი ახალი მწერლის უკიდურესობა.

ილია ხანდახან წამიკითხავდა დამახასიათებელ ადგილებს ახალგაზრდა მწერლების თხზულებებიდან ან საგაზეთო სტატიებიდან. ხშირად ვეთანხმებოდი, რომ ავტორს გატაცების გარდა არა ეტყობოდა რა. ბოლოს, როცა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო განვითარდა, ქართველ მწერალთა რიცხვიც გაიზარდა და განათლებულთა წრეც გაფართოვდა, ილია უკვე იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთ მოვლენას თუ გაკიცხავდა ხოლმე, საზოგადოდ, იგი ამ პროგრესით კმაყოფილი იყო.

„ივერიის“ რედაქციაში მე გავიცანი გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ-

სკი, დედა ქართველი ჰყავდა, მამა — პოლონელი. ბუნებით ნამდვილი ქართველი იყო. ეს კაცი არ ეკუთვნოდა შერეული ქორწინებით წარმომდგარ უთამომავლობას, რომელიც კარიერისა და თავისი კერძო ნივთიერი სარგებლობისათვის უფრო ძლიერ ერს ემსრობა. ვოლსკი ცდილობდა იმ ხალხთან ყოფილიყო განუყრელად, რომელთა შორისაც ის დაიბადა და ვისი პოეტიც გახდა. ვოლსკის ლექსებში არიან ისეთები, რომლებიც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებენ. ერთ-ერთ ლექსში პოეტი თავისი მომავალი სიკვდილის შესახებ წერს და სამშობლოს მიმართავს. უეჭველია, ეს ლექსი მრავალი საუკუნე იცოცხლებს. სამშობლოს სიყვარული მასში იშვიათი სილამაზითა და ძლიერებით არის გამოხატული. ვოლსკი კეთილშობილი ადამიანი იყო და მის მისწრაფებათაც კეთილშობილური სხივი აცისკროვნებდა.

„ივერიის“ რედაქციაში მოდიოდა ხოლმე აგრეთვე პოეტი რაფიელ ერისთავი, რომლის ლექსები ილიას განსაკუთრებით იმიტომ უყვარდა, რომ ისინი სოფლის ცხოვრებას ეხებოდნენ. ილია სოფელში ხედავდა ქართული ეროვნული ცხოვრების სულს. მოსწონდა გლეხთა ყოფაცხოვრების რაფიელისეული აღწერა, თუმცა ამ ლექსებში შიგადაშიგ პოეზიის სიმწირე ჩანდა.

მახსოვს ილიას აღტაცება გლეხთა ცხოვრების ამსახველი სურათების კითხვისას. რა ცხადად მეჩვენებოდა, რომ სოფელი უყვარდა. დიახ, ილიას თბილისზე მეტად სოფელი უყვარდა, მაგრამ სამსახურის გამო ხანგრძლივად უხდებოდა ქალაქში ყოფნა. ამიტომ რაფიელ ერისთავიც სოფელზე ხშირად ესაუბრებოდა და ამით დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხოლმე. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რაფიელ ერისთავი იშვიათად მიდიოდა ილიასთან — მასთან, ვინც მხურვალე მონაწილეობა მიიღო მოხუცი პოეტის იუბილეში. მაგრამ რაფიელის იუბილეზე ილიამ ისიც თქვა: ასეთ პატივისცემას დაუძლურებული მოხუცისა, რომელსაც სხეული და გონება უკვე მოშლილი აქვს, აზრი არა აქვს და არასასიამოვნო შთაბეჭდილებასაც სტოვებსო. ილია, საერთოდ, იუბილეების წინააღმდეგი იყო. ცერემონიალი, ადრესების კითხვა და სხვა უაზრო თავშესაქცევად მიაჩნდა. კმაყოფილი იყო, რომ მისი იუბილე არ შედგა და რამდენი-

მე საათით ჩინელი ბოღდიხანივით უძრავად ერთ ადგილზე ჯდომა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მოსმენა ასცდა.

1888 წელს ილია ფრეილინის ქუჩაზე გადასახლდა, მაგრამ აქ დიდხანს არ უცხოვრია. მეორე წელს ნიკოლოზის ქუჩაზე თავისი დის — ელისაბედ საგინაშვილის სახლში დაბინავდა. აქ 1901 წლ.მდე დაჰყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ილია ცხარე მოღვაწეობას ეწეოდა „ივერიაში". რაკი ბანკის საქმეები ნებას არ აძლევდა პირადად ეწარმოეპინა გაზეთი და რედაქტორობაც გაეწია, ამ ძნელ საქმეებს სხვებს ანდობდა ხოლმე: ჯერ დავით მიქელაძეს („მევეელეს"), შემდეგ — გრიგოლ ყიფშიძეს და ბოლოს ალექსანდრე სარაჯიშვილს მიანდო.

დავით მიქელაძე იყო ნამდვილი იმერლის ტიპი, ლაპარაკში მოუღალავი. ტემპერამენტითა და ხასიათით განსხვავდებოდა მძიმე, საფუძვლიანსა და მტკიცე გიგა ყიფშიძისაგან, რომელიც ქართლელის საუკეთესო ტიპს წარმოადგენდა. დავით მიქელაძე თავისებურად წარმოისახავდა და შეადგენდა გაზეთის „დღიურ ამბებს". ილიასთან ამის შესახებ არასოდეს მილაპარაკია. საზოგადოდ, ვერიდებოდი კიდეც ილიასთან „ივერიის" და მისი თანამშრომლების კრიტიკას.

„ივერიის" რედაქციაში რამდენიმე წელს მუშაობდა ერთი საუკეთესო პიროვნება, ეს იყო მ ა ქ ს ი მ ე შ ა რ ა ძ ე. ის 1887 წელს ილიას ლაქიად ჰყავდა. ამ ადამიანმა თავისი რიგიანობითა და შრომისმოყვარეობით მალე ილიას სრული ნდობა დაიმსახურა. ილია მას სხვადასხვა საქმეებს ანდობდა ხოლმე. შარაძე ვეგეტარიანელი და დიდი ღვთისმოშიში კაცი იყო. მან პატარა წიგნაკიც დაწერა, სადაც აღწერილი აქვს თავისი ზნეობრივი ცვლილება, რომელსაც მიაწერდა მცენარეულ საჭმელზე გადასვლას. რამდენიმე ხანს შარაძე, როგორც მახსოვს, „ივერიის" სტამბაში ასოთამწყობად და გაზეთის კორექტორადაც მუშაობდა. ბოლოს ბერად შედგა ზეიდაზნის მონასტერში. აქ დიდხანს არ დარჩენილა, დაბრუნდა და თბილისში ვარდაიცვალა კიდეც.

ნიკოლოზის ქუჩაზე ილიასთან უფრო ნაკლებად დადიოდნენ სტუმრები. ვანო მაჩაბელი ცხადლივ ეწეოდა მის წინააღმდეგ ბრძოლას. ასე უნდოდათ მაჩაბლის მეგობრებს,

რომლებიც მრავალი წელი ოპოზიციაში ედგნენ ილიას, რაც საქმისთვის უსარგებლო იყო, ხოლო ვანო მაჩაბლის ჯანმრთელობის საზიანო. მე ილიას საუბარში შევამჩნიე, რომ უკმაყოფილო იყო და ამაზე ლაპარაკსაც ერიდებოდა.

აკაკი წერეთელმაც უკლო სიარულს ილიასთან. ილიას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ორივე მგოსანი კვლავ ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს დავით სარაჯიშვილის სახლში. წინანდებურად საუბრობდნენ, თუმცა მათ საუბარს თავდაჭერილობა ემჩნეოდა.

ილიას სახლში მომსვლელთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა იმის შემდეგ, რაც ილია ახალ ბინაზე დასახლდა. ძველ სტუმრებს — ნიკო ცხვედაძეს, იაკობ გოგებაშვილს, ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, ნიკო ხიზანიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, სტ. ჭრელაშვილს, ანტონ ფურცელაძეს, გიორგი წერეთელს, ლევან ჯანდიერს, დავით ბარათაშვილს, დავით სარაჯიშვილს ახალი სტუმრებიც მიემატნენ. ესენი იყვნენ: გრიგოლ ვოლსკი, ნიკო ღოღობერიძე და მრავალი სხვა.

ნიკო ცხვედაძე ამ დროს აპირებდა დიდი შენობის აგებას სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის. მან მხოლოდ 1897 წელს შესძლო მიეღო გერმანიიდან სხვადასხვა სასწავლებლების ალბომი შენობათა გეგმით და იმ დღიდანვე ენერგიულად შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, რომლის სირთულემ ბოლოს დიდი უსიამოვნება მიაყენა. იშვიათად შემსვედრია ადამიანი, ვინც ასე ფანატიკურად ყოფილიყო იდეით გატაცებული, როგორც ნიკო ცხვედაძე. ტყუილად კი არ უწოდეს მას „სკოლის ფანატიკოსი“.

იაკობ გოგებაშვილი უფრო ხშირად „ივერიის“ რედაქციაში მოდიოდა, ვიდრე ილიას ბინაზე. იმ წლებში ის ძლიერ იყო გატაცებული სასკოლო საქმეების ირგვლივ წარმოებული პოლემიკით. თავისი წერილების ბეჭდვას და კორექტურას თვითონვე ადევნებდა თვალყურს. საერთოდ, ძველი ჩვეულების თანახმად, იაკობი მახლობელი მეზობლების გარდა არავისთან დადიოდა, თუმცა კარგი ნაცნობების მისვლა უყვარდა. წელიწადში ერთხელ ნადიმსაც გადაიხდიდა, რომელზედაც, სხვათა შორის, აკაკი და ილიაც იყვნენ ხოლმე. გოგებაშვილი მაშინ ისევ ძველ ბინაში ცხოვრობდა,

მამადავითზე, „პროუტის“ ქუჩაზე და იქვე გარდაიცვალა 1912 წელს. ეს ბინა ძლიერ მოსწონდა. ნათელი, მზიანი და მყუდრო იყო მისი სამყოფელი. აქ იაკობი ოც წელზე მეტი ცხოვრობდა და რამდენიმე წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ აქვე მოუსწრო სიბერემ. იაკობი ხედავდა, როგორ თანდათან ჩამოაშორა სიკვდილმა ახლო მეგობრები, გრძნობდა, აღარც მე მიწერია გრძელი დღეო. აღსასრულს, როგორც ნამდვილ ბრძენს შეშვენის, დამშვიდებითა და უშფოთველად მოელოდა. უკანასკნელი ორი ზამთარი გარეთ იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ ხარობდა მოხუცი, როცა ბრწყინვალე მზე მის ოთახებს გააშუქებდა და სასადილო ოთახის ფანჯარასთან იადონი გალიაში სიმღერას მოჰყვებოდა. ეს ფრინველი იაკობს ბევრ ფარულ სიამოვნებას ანიჭებდა, ხოლო როცა ფრთოსანი მოწყენილი იყო და დუმდა, მოხუციც მოიწყენდა ხოლმე.

ნიკო ღოღობერიძის გარდაცვალებამ იაკობი ძლიერ შეაწუხა. მაშინ მან ჩუმი და ნაზი სმით მითხრა: არტურ, ყველა ჩვენი მეგობარი სამარისაკენ მიდის, ჩემიანებში მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა. მოდი ხოლმე ჩემთან ხშირად! უეჭველია, მეც მალე მოვშორდები წუთისოფელსო... მართლაც ასე მოხდა. ამ სიტყვების შემდეგ ხუთმა ოვემ განვლო და იაკობიც გარდაიცვალა. გაქრა ეს ბრწინვალე პიროვნება, ეს პატიოსანი, უმწიკვლო ადამიანი.

ილიას ოჯახში უფრო იშვიათი სტუმარი იყო მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი, რომელიც იმ დროს დიდ მონაწილეობას იღებდა მწერლობაში. ილია პატივს სცემდა ეკატერინეს და აფასებდა როგორც მის მოთხრობებს, ისე საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. ეკატერინე გაბაშვილს ყოველთვის მშვიდად და ღირსეულად ეჭირა თავი. თავისი მოთხრობებისა და ღვაწლის შესახებ არსად არაფერს ამბობდა, მაგრამ თუ როგორ აფასებდა და პატივს სცემდა მას ქართველი საზოგადოება იქიდან ჩანს, რომ აუარებელი ქალი და კაცი იკრიბებოდა მის სახლში ეკატერინობა დღეს.

ილიას მეუღლესთან — ოლღასთან ძლიერ ხშირად მოდიოდა ანასტასია თუმანიშვილის ასული, რომელიც შემდეგ მისთხოვდა გიორგი წერეთელს. იგი ოთხმოციან წლებში საბავშვო მწერლობის დარგში მოღვაწეობდა და ეს საქმე

უყვარდა კიდეც. თავის სახლში, ბარიატინსკის ქუჩაზე, ანასტასია თუმანიშვილი ხანდახან პატიჟებდა იმათ, ვინც მწერლობაში მონაწილეობას იღებდა. 1885 წელს იქ გავიცანი პეტრე მირიანაშვილი. იგი ახალი ჩამოსული იყო პარიზიდან და დიდი გულმოდგინებით მუშაობდა ქართული გრამატიკისა და ზოგიერთ სალიტერატურო საკითხის გამოკვლევაზე. პეტრე მირიანაშვილიც იმ სიმპათიურ ქართველ მასწავლებელთა ტიპს ეკუთვნის, რომლებზედაც ხშირად გვქონდა ლაპარაკი. განა ასეთივე სიმპათიურ ადამიანს არ წარმოადგენდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ეს მშვიდი ადამიანი, საბავშვო ჟურნალის დაუღალავი რედაქტორ-გამომცემელი. იგი ნამდვილი მაგალითი იყო სხვა ქალებისათვის.

გიორგი წერეთელი იშვიათად მოდიოდა ილიასთან, მაგრამ მე სწორედ ილიას სახლში გავიცანი 1885 წელს, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მას რამდენიმე წელი გაეტარებინა. მომწონდა მისი ცოცხალი ტემპერამენტი და მხიარული იუმორი.

1887 წელს ზაფხულში სტუმრად ვიყავი რგანში, ჭიათურის მახლობლად, ნიკო ღოღობერიძის მამულში, სადაც შავი ქვის მადანი იყო. ამ მამულს განაგებდა მაშინ ლავრ. მგელაძე. მე და მგელაძემ ბევრი ვიმოგზაურეთ. ამ მოგზაურობის დროს გავიცანი ზემო იმერეთის საუცხოო ბუნება და მისი სოფლის ცხოვრება, რომელიც ისე მომეწონა, რომ რგანშივე დავწერე მოთხრობა „ვარო“...

რგანში ჩემი ყოფნის დროს გიორგი წერეთელი ჩამოვიდა. ჩვენ საჩხერეში წავედით ერთად. იქ სანდრო წერეთელს ვესტუმრე, ორი კვირა დავრჩი. ამ ბრწყინვალე დღეებიდან მეხსიერებაში დამრჩა სანდრო წერეთლის მეუღლის — ელისაბედის პიროვნება. ეს გახლდათ მეტად სიმპათიური, სტუმართმოყვარე, ტიპიური ქართველი ქალი, რომლისას თავს იყრიდნენ მეზობლები — შეძლებულნიც და ღარიბნიც. როგორც მახსოვს, ელისაბედი მთელი საწერეთლოს სული და გული იყო. და მართლაც, თავისი მიმზიდველი თვისებებით იგი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზე.

მაშინ საჩხერეში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი მადა-

ნი, მემამულენი უზრუნველად ცხოვრობდნენ და ბევრმა გაფლანგა კიდეც თავისი ქონება. მათი ამგვარი ყოფა ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ როგორც წარსულის გადანაშთი, როგორც სურათი იმ მომაკვდავი დროისა, რომელიც რკინიგზის გაყვანისა და შავი ქვის მადნის აღმოჩენის შემდეგ გარდაიქმნა და გამოცოცხლდა.

ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდნენ ამ მემამულეთა ფართო სახლები, მათი ზნე და გართობანი. საჩხერიდან პირდაპირ საგურამოში წავედი. ილიას ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარე. დიდი ყურადღებით მომისმინა, თუმცა იმერთა ცხოვრებას ილია გრძნობდა, მაგრამ ზოგი რამ ჩემი შეხედულებებიდან მისთვის ახალი აღმოჩნდა. დასასრულ, იმერთა ცხოვრებამ მასალა მომცა მოთხრობა „ნინო ვარაპანიძე" დამეწერა... ეს მოთხრობა შემდეგ ვანო მაჩაბელმა გადმოთარგმნა და ჟურნალ „მოამბეში" დაბეჭდა.

1884 წელს, ივნისში, როცა პირველად მივედი „სამშობლოს" ავტორის დავით ერისთავის სახლში, ნატო გაბუნიამ იქ ანტონ ფურცელაძე გამაცნო, მის კოჭლობაზე მიმითითა და მითხრა, ეს ჩვენი ბაირონიაო.

ანტონ ფურცელაძეს შემდეგში ხშირად ვხედავდი, ილიასთან მოდიოდა და ხანდახან საგურამოშიც ამოდიოდა ეტლით: ფურცელაძე ქართული მწერლობისა და პოეზიის დიდი მოყვარული იყო. ამასთან ძალიან უნდოდა სამაგალითო თხზულებები შეექმნა, თუმცა ნიჭი ხელს არ უწყობდა. ილია მოურიდებლად ეუბნებოდა, საამისო ნიჭი არ შეგწევსო. ეს, რასაკვირველია კამათს იწვევდა. ანტონს გული არ მოსდიოდა, მაგრამ თავისი ნაწერების დაცვას მაინც ცდილობდა, თუმცა ამ პაექრობისას წარმატებას ვერ აღწევდა. მით უფრო, თუ მას ნიკო ხიზანიშვილიც ესწრებოდა. ხიზანიშვილი თავისი მახვილი ენითა და მოსწრებული სიტყვებით ანტონს იარაღს აყრევინებდა. ამ შემთხვევისათვის დამახასიათებელია ნიკო ხიზანიშვილის შემდეგი მახვილსიტყვაობა, რომელიც ილიას თვითონვე უამბო:

მგონი, ნიკო ხიზანიშვილი და ანტონ ფურცელაძე სამკურნალოდ გერმანიაში ერთად წასულიყვნენ. როცა მატარებელი ბერლინს მიახლოებოდა, ფურცელაძეს უთქვამს: ჩემი დრამა „გიორგი საკაძე" თან მომაქვსო. ამ დრამას ან-

ტონი დიდად აფასებდა, თუმცა იგი სცენისათვის გამოუსადეგარი იყო. — ჩემს დრამას გერმანულად გადასათარგმნელად მივცემ და, უეჭველია, რომელსამე თეატრში წარმოადგენენო, — უთქვამს ანტონს.

— არა, შენს პიესებს ვერ წარმოადგენენ, — მიუგია ნიკო ხიზანიშვილს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენს დრამაში ოცდაათი აქლემია სცენაზე გამოსაყვანი. აქ სად იშოვნიან ამდენ აქლემებსო? — უპასუხია ნიკო ხიზანიშვილს, რომელსაც ძლიერ უყვარდა გულსაკლავი სიტყვები და ულმობელი კრიტიკა...

როცა ნიკო ხიზანიშვილი სერიოზულ გუნებაზე დადგებოდა, მისი ლაპარაკი ძლიერ საინტერესო იყო. სწრაფად და სწორად მსჯელობდა ადამიანთა და საგანთა შესახებ. ილიას ამის გამო მასთან ყოფნა უყვარდა და ცინიკურ სიტყვებსაც აპატიებდა, რასაც ნიკო ხანდახან ჩაურევდა სერიოზულ ლაპარაკში.

როცა ნიკო ხიზანიშვილი ზოგიერთ ქართველ მოღვაწესა და მწერალს თავისებური სუსხით შეეხებოდა და დაახასიათებდა, მე და ილია ეჭვში შევყავდით მისი კრიტიკული მახვილის მკვეთრ მოქნევას...

ნიკო ხიზანიშვილს დაკვირვების დიდი ნიჭი ჰქონდა, მიხვედრილობასაც იჩენდა და მარჯვე კრიტიკოსიც იყო, მაგრამ მის კრიტიკას სალიტერატურო მნიშვნელობა აკლდა ზომიერების უქონლობის გამო. თუკი ვინმე არ მოსწონდა, დაუნდობლად შოლტავდა.

ილიას ცხოვრებაში სარაჯიშვილსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ყმაწვილობიდანვე მეგობრული განწყობილება ჰქონდათ. მაგრამ მის სახლში ილიამ მხოლოდ 1890 წლიდან დაიწყო სშირი სიარული.

დავით სარაჯიშვილი იყო ქართული მრეწველობის დამფუძნებელი, მრავალი მოსწავლე ახალგაზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მფარველი. დავითი განათლებული კაცი იყო, უყვარდა საზოგადოება და განათლებული პირები. ილიასა და დავით სარაჯიშვილს შორის მეგობრული განწყობილება მუდამ სუფევდა, თუმცა, ბევრ რამეში ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ და ხშირადაც დავობდნენ.

სარაჯიშვილს, როგორც მრეწველს, თავდაპირველად უნდოდა, რომ ქართველთა შორის ხელოსნობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა განვითარებულიყო. რადგან ყველა ეს ძლიერ ნელა მიიწევდა წინ, ხშირად პესიმისტურ გუნებაზე დგებოდა და ქართველთა უარყოფით თვისებებზე მიუთითებდა ხოლმე. ამის გამო ილიასა და დავით სარაჯიშვილს ხშირად კამათი მოსდიოდათ, მაგრამ ეს პაექრობა ყოველთვის მშვიდად მთავრდებოდა.

დავით სარაჯიშვილთან, საზოგადოდ, ბევრი მსჯელობა ყოფილა ცხოვრების, საზოგადოებრივსა და სამეცნიერო საკითხებზე. ილიას უყვარდა აქ დასწრება და სხვების აზრის გაგება.

დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ცდილობდნენ, რომ თავიანთი სახლი ქართველთა საზოგადო ცხოვრების ცენტრად ექციათ, და მართლაც, ასე იყო მას შემდეგ, რაც ახალ სახლში გადავიდნენ, სერგეევის ქუჩაზე. ისინი იღებდნენ პოეტებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ასე რომ, აქ პატარა წრე იკრიბებოდა ქართველთა გონებრივი ცხოვრების წარმომადგენლებისა. მაგრამ ეს წრე მაინც არ გაფართოებულა, რადგან, ბოლოს სარაჯიშვილის სტუმრებს შორის ისეთები გამრავლდნენ, რომლებსაც არაფერი ჰქონდათ საერთო გონებრივ ცხოვრებასთან. სარაჯიშვილის მშვენიერი სახლი რამდენიმე წლის განმავლობაში სასიამოვნო საკრებულო ადგილი იყო ზოგიერთი ქართველი მოღვაწისათვის. დავ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ამ სახლმა დაკარგა თავისი ხასიათი. ასე გაქრა ეს კერა, რომელიც დიდი გემოვნებითა და სიყვარულით ააგეს.

ეს იყო სწორედ იმ დროს, როცა თბილისში ჰყვავის თეთრი მაგნოლიები და ბროწეულის წითელი ყვავილები. ერთმა მეგობარმა დაგვპატიჟა თბილისის მახლობელ სოფელში. მე ყველაზე ადრე მივედი, რადგან მიყვარს ბუნება დილით, როცა ჯერ კიდევ გრილია ჰაერი და სიჩუმეც არ დარღვეულა.

ძველი სახლი იყო, წარსული საუკუნის ოცდაათიან

წლებში აშენებული. მისი თეთრი კედლები ახალს ჰგვანდნენ, სახლის სიძველეს მხოლოდ გაშავებული კრამიტის სახურავი, აივანი და კარები ამჟღავნებდნენ. სახლს პატარა ბაღი მოსდევდა, სადაც ორი მიმოზის ხე იდგა, მისი ნაზი ყვავილები ყოველ წელს ახარებდნენ ჩემს გულს. აქვე იყო დიდი კაკლის ხე, განიერი, ჩრდილუხვი. კაკლის ქვეშ ზაფხულობით სასადილო მაგიდა იდგა.

ხეებს თავს დაჰყურებდა მაღალი კვიპაროსი. ამ ბაღში ჰყვაოდა ქართული წითელი ვარდის ბუჩქები, მათი სურნელება მთელ მიდამოს აკეთილშობილებდა. მე მიყვარს ეს ვარდები, სწორედ ამ ვარდს გულისხმობდნენ ძველი ქართველი პოეტები, როდესაც უმღერდნენ „ვარდსა და ბულბულს". ამ ლამაზი ვარდების რამდენი თაობა ჰყვაოდა და ჭკნებოდა საუკუნეების განმავლობაში. რამდენი სახელოვანი და უსახელო პოეტი შეასხამდა მათ ქებას და რამდენი ლამაზი ასული დამღეროდა ამ ლექსებს! ვარდები, ლამაზი ქალები, ბულბული — ესენი ცხოვრობდნენ და ხიბლავდნენ ერთმანეთს და განქრნენ უკვალოდ... მაგრამ ლექსები და სიმღერები კვლავ დარჩნენ და დღესაც ახარებენ ქართველის გულს.

ეს იყო პატარა, უბრალო ქართული ბაღი, მაგრამ ლამაზი და კოხტა. იგი წააგავდა მეფე ერეკლეს დროის თბილისის ბაღებს. სახლიც სწორედ შეეფერებოდა. მისი მორთულობა მოგაგონებდათ ძველ ქართულ სახლებს: ტახტები, მუთაქები, ხალიჩები შეადგენდა ამ სახლის მთავარ მოწყობილობას, მხოლოდ სასადილო ოთახში იყო ევროპული ავეჯი, რომელიც არაფრით არ იზიდავდა ადამიანის ყურადღებას.

სასადილო ოთახი დიდი იყო, რადგან სახლის პატრონი სტუმართმოყვარე კაცი გახლდათ. იგი ხშირად უმასპინძლდებოდა სტუმრებს. სუფრადწვეულნი აქ მუსაიფობდნენ და მღეროდნენ, ხანდახან კამათობდნენ კიდეც, მაშინდელი ქართველების ჩვეულებისამებრ.

იმ დილით, როცა მე მივედი, სუფრა კაკლის ქვეშ გაეშალათ: ჩვენ შევექეცით რძიან ჩაის, ქართულ პურსა და ყველს. აქ გახლდათ სამი მაღალი ტანის ქართველი, ორი მათგანი ისე აჩქარებულად ჭამდა და სვამდა, თითქოს რკი-

ნიგზის სადგურზეა და მატარებელზე უგვიანდებაო. ესენი იყვნენ პატივცემული იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, შავ სერთუკებში გამოწყობილები. თუმცა ორივენი ერთმანეთს წააგავდნენ, მაგრამ განსხვავებაც დიდი იყო. ორივე ქართლელი მღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოლეს სემინარიელის დაღი. ეს მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემჩნეოდათ. ისინი ერთმანეთს ახალგაზრდობაში დაუმეგობრდნენ, უყვარდათ საქართველო, სამოღვაწეოდ მასწავლებლის ასპარეზი აირჩიეს, მაგრამ გოგებაშვილმა მალე თავი დაანება მასწავლებლობას და დაწერა პირველი ქართული სახელმძღვანელოები, რომლითაც დღესაც მრავალი ქართველი ბავშვი სწავლობს წერა-კითხვას. ნიკო ცხვედაძეს დიდ მოთმინება და ნებისყოფა ჰქონდა, უყვარდა მუშაობა, ყველა ამის მეოხებით მან ქართული გიმნაზიის დიდი შენობა ააშენა (ახლანდელი უნივერსიტეტი). ორივე მეგობარი გრძნობდა, რომ მხოლოდ ქართული აღზრდით შეიძლება მშობლიური კულტურის ამაღლება. ისინი იყვნენ ქართული სკოლის ფანატიკოსები და მისი ნამდვილი შემქმნელები — ეს იყო მათი სიცოცხლის მიზანი.

მაშინ (1886 წ.) ისინი ახალგაზრდები იყვნენ. მათ გვერდით იჯდა რაფიელ ერისთავი, მაღალი ტანის მოხუცებული, თეთრწვერა, დინჯი კაცი. იგი არც თავისი გარეგნობითა და არც ლაპარაკით განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ სტოვებდა, მაგრამ ნამდვილი პოეტი იყო და როცა გოგებაშვილი და ცხვედაძე გატაცებით კამათობდნენ, ის დინჯად ათვალიერებდა გარემოს და სტკბებოდა მისი სილამაზით. ირგვლივ ფრინველების ჭიკჭიკი ისმოდა.

მალე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრები მოეპატნენ. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და მისი მარჯვენა ხელი — ვიგო ყიფშიძე, ვაჟა-ფშაველა და ვანო მაჩაბელი. არანაკლებ ბრავი ყმაწვილკაცები იყვნენ — ორი თავადი და ორი მღვდლის შვილი. ილია ნელა, ფრთხილად გადმოვიდა ეტლიდან. ვიღრე შემოგვიერთდებოდა, თვალი მიმოავლო არეშარეს, შემდეგ ღინჯად მოუახლოვდა სუფრას და ღიმილით ითხრა გოგებაშვილს, შენი აქ ყოფნა მიკვირსო. რას მიპასუხებს ეს ბიჭი, რომ თქვილისი მიგიტოვებიაო.

იმ დროს ქართველებში ბევრი იყო გოგებაშვილისთანა, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს თბილისში ატარებდა და ბორჯომში თუ გაემგზავრებოდა საზაფხულოდ. ილია ჭავჭავაძემ და ვანო მაჩაბელმა თან მოიტანეს ქართული იუმორი. ილია ეხუმრებოდა გოგებაშვილს და მაჩაბელიც შველოდა. ჩქარა ყველა გავმხიარულდით.

ვანო მაჩაბელი და ვაჟა-ფშაველა ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიუსს წარმოადგენდნენ. ვაჟა-ფშაველას ჩოხა-ახალუხი ეცვა, და თავისი გარეგნობით არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებრივი მკვიდრისაგან. ის გლეხი ან აზნაური გეგონებოდათ. ვაჟა თავის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ყველა მაშინდელი სემინარიელი. ვანო მაჩაბელი მასთან შედარებით ევრიპელი ფრანტი იყო. ვაჟა-ფშაველა მთელ თავისი პოეზიის სიმდიდრეს პირველყოფილ ფშაურ გარემოდან და თავისი მთიანი სამშობლოს ბუნებიდან იღებდა, ვანო მაჩაბელი კი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი გადმოენერგა დასავლეთ ევროპის გონების ნაჭირნახულევი ქართულ ნიადაგზე.

მალე აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და პეტრე უმიკაშვილიც მოვიდნენ. აკაკი მედიდურად მოვიდა მაგიდასთან და როგორც გონების სამყაროს მპყრობელს შეეფერებოდა, ცდილობდა მაშინვე სათავეში ჩადგომოდა სჯა-ბაასს. იმავე წუთს რამდენიმე ჭკუამახვილი სიტყვა გადმოისროლა, რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია, თვითონ კი სერიოზული სახე შეინარჩუნა.

ანტონ ფურცელაძემ, ჩვეულებისამებრ, როგორც კი შეამჩნია, საუბარი სხვა საკითხებს შეეხო და არა ლიტერატურასო, მოითხოვა, რომ ილია ჭავჭავაძეს დაეწყო ლიტერატურაზე ლაპარაკი. — მე ვიცი, შენ არ შეგიძლია ულიტერატუროდ ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურას კი შეუძლია გასძლოს უშენოდო, იხუმრა ილიამ. ბოროტად არავის გაუცინია. სადილი მხიარულად მიდიოდა.

მაშინდელ დროში ეს მწერლები შეადგენდნენ ერთ მთლიან ოჯახს და სრულიადაც არ ფიქრობდნენ პარტიებად დაყოფას.

ჩქარა ავიშალენით და სასეირნოდ გავემართეთ. იქვე

ახლო, მთის ძირას მწვანეზე დავსხედით. გავყურებდით მინდორს, საიდანაც მოისმოდა ახალგაზრდა გლეხის სიმღერა. იმდენად მოგვეწონა ეს სიმღერა, რომ ერთ ხანს მთლად გავყუჩდით და გატაცებით ვუგდებდით ყურს. შემდეგ ილია გლეხს გამოელაპარაკა. გლეხის პასუხებში გამჭრიახობა ჩანდა.

— აი, რამოდენა საუნჯე იღუპება სოფელში ტყუილუბრალოდ, — შენიშნეს ზოგიერთებმა და ყველა ჩავფიქრდით.

სადაც ვისხედით, იქიდან ორი ქართული სოფელი მოჩანდა — დანგრეული, მობრეცილი მიწური სახლები; მწვანე არ ჭაჭანებდა. ორივე სოფელი ძალიან საწყალობელი შესახედაობისა იყო.

გონებრივი აღორძინებისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის შექმნა ამ დროის საქართველოს ქონებრივ საშუალებას აღემატებოდა.

ჩვენ ნელ-ნელა დავბრუნდით უკან, ამოვუარეთ მარანს, რომლის გვერდით იდგა ლეღვისა და ბროწეულის ხეები — ეს ქართული ბუნების პირმშოები.

შემდეგ ხილის ბაღში შევედით: დავათვალიერეთ ბოსტანი, იქვე ახლო მდინარე მოშხუოდა. ყველაფერი ლაღად ხარობდა აქ: მწვანე კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი, ხახვი, ლობიო, მწვანილი, სტაფილო და ბოლოკი. ჩვენი იქ ყოფნის დროს მებაღემ ბოსტანი მორწყო. გარეთ გზაზე ორი სახედარი ძოვდა ბალახს. კამეჩებისა არ იყოს, სახედრებიც ქართლის სოფლის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

კაკლის ქვეშ სუფრა გაშლილი დაგვიხვდა, ორი დიდ თეფშზე დაჭრილი ქართული პური ეწყო. დავსხედით თუ არა, ყველა პურის ჭამას შეუდგა. სადილი ქართული იყო. ჩიხირთმამ ყველა დაანაყრა. ქართველები თავიანთი საჭმელების დიდი პატრიოტები არიან, ამიტომ სტუმრებს პირში ნერწყვი მოუვიდათ, როცა სუფრაზე ტოლმა — მწვანე ვაზის ფოთოლში გახვეული ხორცი, შემწვარი ვარიები და ქართული ღვინო მოიტანეს. ღვინო მაინცდამაინც მაგარი არ გახლდათ. როგორც შეეფერებოდათ სერიოზულ და დარბაისელ მოღვაწეებს, ცოტას სვამდნენ, არ მღეროდნენ — დროს სასიამოვნო მუსაიფში ატარებდნენ.

მზე ოქროს სხივებს გვაფენდა, ჩვენ გარშემო მერცხლები დაფრინავდნენ, მასლობელ ბაღში ორი მებაღე მღეროდა, იქვე ღობის გადაღმა კი ნაკადულის ჩუხჩუხი ისმოდა.

ამ ქართულ სუფრას ყველაზე მეტად დარბაისელი ქართველების წმინდა ქართული საუბარი ამშვენებდა.

საინტერესოა ილიას ურთიერთობა გლეხკაცობასთან. მრავალი წლის ზაფხულის რამდენიმე კვირა საგურამოში გამიტარებია და ამგვარად მქონდა საშუალება ახლო დავკვირვებოდი ილიას დამოკიდებულებას მუშასთან და გლეხკაცთან. თქმა არ უნდა, ილია დიდი მეგობარი იყო გლეხებისა, რომელთადმი უანგარო, გადაჭარბებული სიყვარული მას ხშირად ხდიდა გლეხის მიკერძოებულ მეგობრად. ილია თავგამოდებით იცავდა გლეხკაცის ღირსებას. მე თვითონ ვიყავი მოწმე ილიას უზომო აღშფოთებისა, როცა მან ერთხელ შემთხვევით დაინახა, როგორ გაარტყა სტაროსელსკების მოურავმა რომელიღაც მეცხვარეს. ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე საათი ვეღარ დამშვიდდა ილია, აღელვებული ლაპარაკობდა, მეცხვარეს ისეთივე ღირსება აქვს, როგორც ყველა ადამიანსო. საგურამოს და სხვა მეზობელი სოფლების გლეხკაცებში ილიას ჰყავდა მეგობრები, რომლებიც ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მას და ილია მთელი საათობით ესაუბრებოდა, მასპინძლობას არ აკლებდა.

დღეობაზე მასთან ასამდე გლეხკაცი მოდიოდა. ილია უანგაროდ იყო კმაყოფილი მათი სიამოვნებითა და მხიარულებით. მართალია, ილიას ჰყავდა საყვარელი გლეხკაცები, მაგრამ არც დანარჩენებს აკლებდა თავის მეგობრობას და პატივისცემას. ერთი სიტყვით, ილია არც საქმით ღალატობდა „კაცია ადამიანსა?!“ „გლახის ნაამბობსა“ და „ოთარაანთ ქვრივში“ გამოთქმულ აზრს.

ილიას მოსამსახურეთა შორის ბევრი თავისებური ტიპი იყო. ისინი დიდხანს ემსახურებოდნენ ილიას საგურამოში. ერთი მათგანი იყო უფროსი მუშა, ადგილობრივი გლეხკაცი, სახელად გიორგი. დინჯი, ჩუმი ადამიანი გახლდათ. გიორგის თავის დღეში არ დაუკარგავს სიმშვიდე, იმის პირიდან

ლანძღვა არ ამოსულა, პატიოსნებით და კეთილშობილებით სავსე იყო ეს კაცი. დილიდან საღამომდე დაუღალავად ტრიალებდა ოჯახში და თვალყურს ადევნებდა მუშებს, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია. ასეთივე წყნარი და გულკეთილი იყო მეღორე სანდრო, ახალგაზრდა მხიარული ბიჭი, რომელიც არა მარტო ადამიანებს, საქონელსაც კი უყვარდა.

ილიასთან ერთი მოხუცი ბერო მსახურობდა. არ ყოფილა შემთხვევა, ერთი კაპიკიც რომ დაკარგულიყო სახლში. ეს უზომოდ ასარებდა ილიას. საზოგადოდ, ყველა ის მოვლენა, რაც გლეხკაცის დადებით მხარეს მოწმობდა, დიდ სიხარულსა და სიამაყეს ჰგვრიდა. ილიას უყვარდა აგრეთვე გლეხური სიმღერა. ხშირად საგურამოში აივანზე წიგნით ხელში მდგარი მასლობელ ბაღში მომუშავე ბიჭების სიმღერას სიამოვნებით უსმენდა. ილიას განსაკუთრებით ურმული უყვარდა, მეტადრე ღამე. მეურმის ცხოვრება ძლიერ აფიქრებდა, უოანაგრძნობდა ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ფეხდაფეხ დასდევდა ზანტ კამეჩებს და უსმენდა ურმის ჭრიალს.

ილია ღრმად აკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას და დიდი ცნობისმოყვარეობით ელაპარაკებოდა ყველას. მისი მოსაუბრეთაგანი იყო ერთი მედუქნეც, რომელიც საგურამოს ახლომახლო ცხოვრობდა. როდესაც ილია საგურამოში ჩამოდიოდა, მედუქნე მაშინვე ეასლებოდა „ფეშქაშით" — ახალი თევზით ან ნანადირევით და გადაუშლიდა სოფლის ახალ ამბებს. რა იქმა უნდა, ილია ყოველთვის უხვად ასაჩუქრებდა „ფეშქაშის" სამაგიეროდ. როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე: მედუქნის ერთ კვერცხში მე ვიხდი ერთ ქათამს, მაგრამ რა ვუყოთ, აღმოსავლეთის ადათი ეს არისო. იგი დიდი პურ-მარილით უხვდებოდა ყველა სტუმარს, უბრალოდ და ერთნაირად, ცხენდავად მათი წოდებისა და სარისსისა. მისი სტუმარი უმეტესად ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ან უბრალო სალსი იყო, ხოლო ევრეთ წოდებული არისტოკრატია კიათად მოსვდებოდა ხოლმე მის სახლში. თვითონ ილიაც ეხიდებოდა მათ თავს.

ადამიანის დასახასიათებლად, მისი გემოვნების, ჩვეულებებისა და გასართობ საშუალებათა გასაცნობად მნიშვნელობა აქვს მის საცხოვრებელ ბინას, მით უფრო, თუ ეს ბინა თვით ამ ადამიანის მიერ არის შექმნილი და რამდენიმე წელსაც აქ უცხოვრია. ციცერონს აგარაკი ტუსკულუმში ჰქონდა, რომის ახლო და იქვე დაწერა „სიბერე". აქ მას სოფლის ცხოვრების სიმშვენიერე აქვს აღწერილი. გოეთეს სახლი და ბაღი ვაიმარში ჰქონდა, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის მწერლის გემოვნების, საყვარელი საქმიანობისა და გართობათა შესახებ. ციცერონის სახლიდან გარდა კედლებისა არა დარჩენილა რა. ჩვენ იქ ვხედავთ მხოლოდ ერთს: არც თუ ისე ლამაზ მთას, რომელიც რომის გარშემო მინდორ-ველსა და თვით რომს დაჰყურებს. ძველი რომაელისათვის, ვინც ცხოვრებას პირდაპირ, რეალისტურად უყურებდა, ვისაც პოეზია ნაკლებად აღაფრთოვანებდა და თავისებურად ესმოდა, ეს გადასახედიც საკმაო იყო. მას თვალწინ ეშლებოდა ქალაქი, საითკენაც მიისწრაფოდა მთელი მისი გონება და სურვილები. გოეთეს სახლი ვაიმარში წარმოდგენას გვაძლევს გოეთეზე, როგორც ადამიანზე: ის იყო მშვიდი პოეტი, ბრძენი და დიდებული მოაზროვნე, რომელიც ბევრ სასიამოვნოს პოულობდა ვაიმარის მშვენიერ შემოგარენში.

რომ მოვინდომოთ, კიდევ ვიპოვით სხვა პოეტებისა და მწერლების სახლებს, მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ილიას.

ილიას მშობლიური სოფელი ყვარელი, სადაც მან ყრმობა და თითქმის სიჭაბუკეც გაატარა, განსაკუთრებული სილამაზით არ არის შემკული. ეს დიდი სოფელი ვიწრო ხეობაშია მოქცეული. მემამულეთა და გლეხების სახლ-კარი ერთიმეორეზე მჭიდროდ არის მიკრული. ეზოსა და ბაღებისათვის ვრცელი ადგილის უქონლობის გამო, აქ მხოლოდ თითოოროლა მემამულესა და გლეხს თუ აქვს სახლთან პატარ-პატარა ბაღები.

სახლ-კარს, სადაც ილია დაიბადა და ბავშვობა გაატარა, სილამაზე აკლია. ეზო ფართოა და შიგ არც ერთი ხე არა დგას, სადგომი სახლიც დაბალია და სივრცეს მოკლებული,

შუა ეზოში ასლაც ვამჩნევთ სქელკედლებიან ძველებურ კოშკს, სადაც ლეკების შემოსევის დროს მთელი ოჯახობა აფარებდა ხოლმე თავს.

აქ გაატარა ილიამ თავისი სიცოცხლის პირველი ხანა. აქ, ორი ქვეყნის — საქართველოსა და დაღესტნის საზღვარზე მიიღო ილიამ ქვეყნისა და სიცოცხლის პირველი შთაბეჭდილებანი. აქვე ბავშვობისას ისმენდა ილია სხვადასხვა ამბებს ლეკებთან თავისი ნათესავებისა და გლეხობის ბრძოლის შესახებ. რასაკვირველია, ამ ამბებს დიდი გავლენა ჰქონდა ბავშვის ფანტაზიაზე.

კიდევ უფრო ძალოვნად მოქმედებდა ილიაზე საუცხოო ბუნება, რომელიც გარს ერტყა ყვარელს. ჩრდილოეთით ბურჯის უკან ასლაც აღმართულია ხშირი ტყით შემოსილი მაღალი მთები. ხეობაში ვიწრო ბილიკი ჩანს, რომელსაც მგზავრი უცხო მხარეში, დაღესტანში მიჰყავს. ამ ტყეში რაღაც საიდუმლოება მეფობს, არემარე ღრმა სიჩუმით არის მოცული, მყუდროებას მხოლოდ ფრინველთა ჭიკჭიკი და ნაკადულთა ჩხრიალი თუ არღვევს. სამხრეთით, ყვარლის ვრცელ ზვრებს იქით, ათასფრად აჭრელებული მზიანი მხარე იშლება, ეს არის საუცხოო ალაზნის ველი, რომელიც ილიას ძლიერ უყვარდა და რომლის სიმშვენიერით ყოველთვის აღტაცებული უნდა იყოს ყველა, ვისაც ეს ველი უნახავს. აქ ყველაფერი თვალწინ გეშლებათ, ნათელი ადგას აფერადებულ ველს, მაშინ, როდესაც სოფლის ჩრდილოეთი მხარე საიდუმლოებით არის შემოზღუდული. თუ რომელიმე მახლობელ მთის მწვერვალზე ახვალთ, რომელიც უზარმაზარ კედლად არის აქ აღმართული, და იქიდან გადაიხედავთ ქვევით, თვალწინ გადაგეშლებათ ალაზნის ველი, თელავიდან სიღნაღამდე — ქიზიყამდე გადაჭიმული ეს ფერწერული, ხეთა ტევრებით მდიდარი მწვანე ველი. ისე მშვენიერია იქაურობა, რომ მისი აღწერა არავითარ კალამს არ შეუძლია. ამ ველისა და მახლობელი მთების მშვენების გარდა თვალს რაღაც ჯადოსნური სინათლე იტაცებს, რომელიც ყოველდღე სხვადასხვანაირად იცვლება. კახეთი საუცხოოა ბინდისას, მზის ამოსვლისა და ჩასვლისას, მოვარიან ღამეშიც, როცა მთელ ალაზნის ველს ვერცხლისფერი სხივები დაკაშკაშებს.

ილია გრძნობდა კახეთის ბუნების ამ სიმშვენიერეს და

მის მოგონებასაც კი აღტაცებაში მოჰყავდა. კახეთმა მისცა ილიას მასალა თავისი მოთხრობებისათვის — „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“. ამ მოთხრობების გმირები კახეთის სინამდვილიდან არის აღებული, რადგანაც საქართველოს სხვა პროვინციების ცხოვრებას მაშინ ილია ისე კარგად ჯერ კიდევ არ იცნობდა... შემდგომ იგი უკვირდება საქართველოს სხვადასხვა კუთხესაც და მისი მხატვრული ხედვაც ფართოვდება. ილია კახეთს გაშორდა, მაგრამ მისი აზრი და გონება ხშირად კვლავ მისკენ მიისწრაფოდა და ნაზი გრძნობით იგონებდა თავის სამშობლო მხარეს, მან კიდეც დაწერა უმშვენიერესი ლექსი „ალაზანს“, რომლის მსგავსი კახეთის შესახებ არც მანამდე და არც შემდეგ არ დაწერილა. საკვირველია, რომ ასეთი საუცხოო მხარე, როგორც კახეთია, იშვიათად იზიდავს ქართველ პოეტებსა და მხატვრებს: ქართულ პოეზიაში კახეთს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი უჭირავს, მხატვრობაში კი სრულიად არა ჩანს.

მას შემდეგ, რაც ილიამ საზოგადო მოღვაწეობა დაიწყო, მშობლიური კერა კარგა ხანს აღარ იზიდავდა. აქ ილია სტუმრად თუ მოვიდოდა, მამაპაპეული სახლი მოკლებული იყო სიმშვენიერესა და მორთულობას.

პოეტი ილია საზაფხულოდ დასასვენებელ ადგილს ეძებდა და იპოვა კიდეც საგურამოში, თავისი მეუღლის ოლღას მამულში. აქ ილიამ ერთ მაღლობზე, ზედაზნის მთის ტყიან კალთაზე, ააშენა სახლ-კარი და თავისი საზაფხულო რეზიდენცია მოაწყო, მაგრამ მისი კეთილმოწყობა კარგა ხნით დაგვიანდა. 1884 წელს, როცა საგურამოში პირველად ჩავედი, ილიას ოთხოთახიანი პატარა სახლი ძველთაძველ ბინას მოგაგონებდათ, ამ დროს ბაღში ბუჩქებიც ტანმორჩილი იყო. ცაცხვის ხეივანიც, რომელიც შემდეგ ბაღის მშვენებად იქცა, ჯერ კიდევ არ იძლეოდა ჩრდილს. თვითონ ილიას მცენარეთა მოვლა არ ეხერხებოდა. შემდეგ მათი მოვლა-პატრონობა მე ვიკისრე. სახლის გვერდზე, კაკლის წინ მაშინ დაქანებული ადგილი იყო, ხოლო მერე გავასწორეთ ეს ადგილი და მილით წყალი რომ გამოვიყვანეთ, აღმოსავლური ყაიდის შადრევანიც მოვაწყვეთ.

მართალია, ამის შემდეგაც ილიას სახლს ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ აქ ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო. ყოველ

ზაფხულს, კვირა-უქმე დღეს და სამსახურიდან თავისუფალ დროს ილია საგურამოში ატარებდა. აქვე იყრიდნენ თავს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული სტუმრები. ძველი ქართული სტუმართმოყვარეობა მტკიცედ იყო დაცული, სტუმარს აქ გულუხვი მასპინძელი უხვდებოდა და საგურამოდან უკმაყოფილო არასოდეს ბრუნდებოდა. ეს პურადობა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ილიას და მის მეუღლეს უწმინდეს მოვალეობად მიაჩნდათ, თუმცა იგი ხშირად ძვირად უჯდებოდათ, მაგრამ მისი უარყოფა და ხარჯების შემცირება მაინც არ სურდათ.

ამ მშვენიერ კუთხეში, სადაც ქალაქის დაუსრულებელი ხმაური ვერ აღწევდა, ილიას სასურველი სტუმარი ძლიერ აამებდა ხოლმე. მით უფრო, როცა სტუმარი მასთან სიამოვნებას გრძნობდა. შაბათობით, როცა ილია, ჩვეულებრივ, საგურამოში მიდიოდა, რომ კვირა და ზოგჯერ ორშაბათიც იქ გაეტარებინა, ხშირად რამდენიმე კაციც მიჰყავდა თან. ოთხმოციან წლებში აქ იყო ხოლმე მთლად ჭაღარა რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე — ილიას მარჯვენა ხელი „ივერიის“ გამოცემაში, როცა ეს გამოცემა ერთთვიური ჟურნალი და შემდეგ ყოველდღიური გაზეთი იყო. აქ მოდიოდნენ განსვენებული ალექსანდრე ყიფშიძეც — გიგო ყიფშიძის ძმა, იონა მეუნარგია, ილია ბასტაძე, ვლადიმერ მიქელაძე, ვალიკო გუნია, ვანო მაჩაბელი, აკაკი წერეთელი აქვსენტი ცაგარელი, საბავშვო ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი. ილიას აქ თითქმის ყოველ კვირას მოინახულებდა ხოლმე თავის საყვარელ სოფელში გზად მიმავალი საუკეთესო და სარწმუნო მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი, რომელიც ილიას გარდაცვალების შემდეგ განუწყვეტლივ უწევდა მზრუნველობას მის საცოდავ ქვრივს.

ყველა სტუმარი, ვინც კი ილიასთან იკრიბებოდა საგურამოში, მონაწილეობას იღებდა ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეში. სტუმარ-მასპინძლის სასაუბრო საგანს, რასაკვირველია, უფრო ხშირად მწერლობა წარმოადგენდა...

სტუმრების უმრავლესობა დასასვენებლად მოდიოდა, ხან ახალ ლექსებს კითხულობდნენ, ხან გაზეთის სტატიებს, მსჯელობა მეტწილად საადგილმამულო ბანკის გარშემო

ტრიალებდა, რომელშიც მონაწილეობას უმთავრესად თავადაზნაურობა ღებულობდა. საუბრის საგანი იყო აგრეთვე ყოველდღიური გაზეთი „დროება“ და მისი დახურვის შემდეგ — „ივერია“. „ივერიაცა“ და „დროებაც“ საკუთარი, განსაკუთრებული თვალსაზრისით ეხებოდა ქართველების ცხოვრებას. ასევე დაინტერესებულები იყვნენ თეატრითაც, რომელსაც იმ დროს ცოტა მაყურებელი ჰყავდა. ქართველი ინტელიგენციის რიცხვი პირველ ხანებში მცირე იყო, მაგრამ ილია ამბობდა, ქართველთა გონებრივი და კულტურული ძალა იზრდება, საზოგადოებრივ სარბიელზე განათლებულ მუშაკთა რიცხვი ძლიერ მრავლდებაო...

— მთელი ეს ახალი თაობა, ყმაწვილები, რომლებიც ყოველწლივ გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე, მოდიან ქვევიდან, გლეხთა წრეებიდან, ეს ძლიერ სასიამოვნოა, — ხშირად მეუბნებოდა ილია ოთხმოციან წლებში. მაგრამ, ბოლოს, როცა დაინახა, რომ ეს ახალი ყმაწვილკაცობა ბევრ რამეში აღარ ეთანხმებოდა, ილიაც იშვიათად ლაპარაკობდა მათზე, თუმცა ეს პროგრესი მაინც ახარებდა.

ოთხმოციან წლებში საზოგადო მოღვაწეთა წრე პატარა გახლდათ, მაგრამ მასში ზოგი თავდადებული მშრომელი და დაუღალავი მუშაკი იყო, როგორც, მაგალითად, ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგებაშვილი. ამათგან საგურამოში ყოფილა ხოლმე ნიკო ცხვედაძე, გოგებაშვილი კი არასოდეს.

საგურამოში ყოველ 20 ივლისს ილიას დღეობაზე დიდი სტუმრობა იმართებოდა. ამ დღეს თავს იყრიდნენ ნაცნობები და მეგობრები თბილისიდან, გლეხები და მემამულეები ახლომახლო სოფლებიდან, ჩამოდიოდნენ ილიას პატივისმცემლები კახეთიდან და იმერეთიდანაც. იმართებოდა დიდი დღესასწაული, ძველებური და უნაკლო. სასმელ-საჭმელი ტრადიციული და ქართული იყო: მრავალფეროვანი, უხვი, ნაირ-ნაირი, საგურამოს ღვინო ჭავლივით მოჩქეფდა. რასაკვირველია, სუფრა გაშლილი იყო გარეთ, უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ, იქვე მახლობლად ბალახზე ისხდნენ მწკრივად ჩამომსხდარი გლეხები. ილიას სადღეგრძელოს გარდა ძლიერ ხშირად ვრცელ სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ ხოლმე, ამბობდნენ მის საქებარ ლექსებსაც. ამას სიმღერაც მოჰყვებოდა, აქ თავის საყვარელ სიმღერებს მღეროდა ნატო გაბუნია, სა-

ხუმარო სიტყვებს ამბობდა კოტე მესხი, განდეგილი (დომინიკა ერისთავისა) ლექსებს კითხულობდა, სხვები ლეკურს უვლიდნენ. მხიარული შექცევა ბინდამდე გრძელდებოდა. ამ დღეს ილია ჩვეულებრივზე უფრო მხიარული იყო ხოლმე, ამდენი სტუმარი და მათი მხიარულება ილიას ახარებდა. თბილისიდან მოსული სტუმრები ღამის გასათევად რჩებოდნენ და კვლავ გაშლილ სუფრას სავახშმოდ მოუსხდებოდნენ. მათი სიმღერა ღამის მყუდროებას არღვევდა, მხიარული გამოძახილი იჭრებოდა ზედაზნის დაბურულ ტყეში.

როცა ილიაობა დასრულდებოდა და სტუმრები წავიდწამოვიდოდნენ, საგურამოში კვლავ სიჩუმე და მყუდროება დაისადგურებდა. ილია მთელი თვე რჩებოდა საგურამოში. მეც ხშირად რამდენიმე ხნით ვრჩებოდი მასთან. ილია ივიწყებდა ქალაქის საქმეებს, ისვენებდა და მეურნეობასაც ეწეოდა, თუმცა ეს საქმეები მას ნაკლებად ესმოდა. ილიას ხუმრობით მეურნეობის მოყვარე დილეტანტს ვეძახდი და, მართლაც, ის დილეტანტი იყო ამ საქმეში. მეურნეობას ვერ აწარმოებდა: სამეურნეო შენობები ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა, ილია არ ზრუნავდა თავის მეურნეობაზე. მხოლოდ ერთი რამისათვის ზრუნავდა — ეს იყო მანქანები, რომელთა მუშაობა სიამოვნებასა ჰგვრიდა. ბევრი მათგანი შემდეგ უძრავად ეყარა საბძელში. მხოლოდ ერთი ცხენით სამკელი და სალეწი მანქანა მუშაობდა კარგა ხანს და დიდი სარგებლობაც მოჰქონდა. ილია მთელ დღეს კალოზე ატარებდა, მას შორიდან დაინახავდით კალოზე ძნებსა და ბზეს შორის თეთრ საზაფხულო ტანისამოსში, პაპიროსით ხელში. ხანდახან ძლიერ მაკვირვებდა მისი მოთმინება, როცა პაპანაქება სიცხეში რამდენიმე საათის განმავლობაში კალოზე მუშაობას დაჰყურებდა ხოლმე. კალოობის შემდეგ ილიას მეურნეობის ხალისი ეკარგებოდა, ხანდახან მხოლოდ ბაღში თუ შეივლიდა. საღამო ხანს, როცა ნახირი სოფელში ბრუნდებოდა, ილია მუდამ აივანზე გამოდიოდა და სოფელში დაბრუნებულ ნახირს შეჰყურებდა. დიახ, ილიას უყვარდა სოფლის ცხოვრება.

დროთა განმავლობაში ილიას კარ-მიდამო საგურამოში უფრო და უფრო მშვენდებოდა, ხეები და ჩირგვები წამოიზარდა და მხოლოდ ერთადერთი სახლი არ შეესაბამებოდა

გარემო ბუნების სიმშვენიერეს. 1892 წლიდან ილიამ გადაწყვიტა აეშენებინა ქვითკირის სახლი. ამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ბოლოს 1894 წელს დაასრულა კიდეც. სახლი მართლა ლამაზი, ფართო და მოწყობილი გამოვიდა. ილია, როგორც ყმაწვილი, ისე შეხარიდა ამ სახლს. ახლა მთელ სახლკარს, არემარეს სხვა სახე მიეცა. უბრალო საზაფხულო სახლი კი არ იყო, არამედ ფართო სასახლე სხვადასხვა მოწყობილობებით. მოზრდილ ხეებიანი ბაღი შორიდან პარკად მოგეჩვენებოდათ. ილიას ძლიერ უყვარდა ეს ხეები, რომლებიც მის თვალწინ გაიზარდა. ამ ხეებში ილიას რჩეულებიც ერია — ერთი მაღალი ჭადარი, ორი ლამაზი წაბლის ხე და მთელი ხეივანი უხვჩრდილიანი ცაცხვებისა. ილია კიდეც ამაყობდა ამ ხეებით და საუბრის დროს ხშირად იგონებდა გოეთეს სიტყვებს. „მან ქმნა კეთილი საქმე, ვინც დარგო და აღზარდა რამდენიმე ლამაზი ხეო“. ყველაზე უფრო ილიას მაღალი ვერცხლისფერი ჭადარი მოსწონდა, რომელიც წინა აივნის ერთ-ერთ ბოლოში იდგა. ეს ხე ძლივს გადაარჩინეს მოჭრას სახლის აგების დროს. ბაღში აუზი უფრო გააფართოეს და სახლის წინ კაკლის ხის ქვეშ შადრევანი მოაწყვეს, რომლის ჩუხჩუხი ღამის სიჩუმეში ადამიანს სმენას უტკბობდა. ვენახიც და ხეხილის ბაღიც გაფართოვდა, გალამაზდა. ატმის, ვაშლისა და მსხლის ყვავილებით მორთული ქვემოთა ხეხილის ბაღი საუცხოო სურათს წარმოადგენდა გაზაფხულზე.

დიახ, ილიას სოფლის სასახლე თანდათან დამშვენდა. აკაკის სახლი საჩხერეში, რომელიც ვინახულე 1887 წელს და რომლის სილამაზე ბევრჯერ მიქია ილიასთან, ახლა ვერ შეედრებოდა ილიას საგურამოსეულ სახლს.

აკაკის სახლი ტყიან ხეობის თავთან ჩრდილოვან, თითქოს საიდუმლოებით მოცულ ბაღში დგას და ხეების მწვანე, მდიდარი სამოსელიდან ნათლად და სასიამოვნოდ გამოიყურება. მაგრამ მისი მდებარეობა ისეთია, რომ არემარე თვალს ეფარება, მაშინ, როცა საგურამოს სახლის აივნიდან სამი მხრით თვალუწვდენელი მშვენიერი სურათი გადაგეშლებათ წინ. მე ვამბობ ზემო აივნიდან, სადაც ილიას კაბინეტია მოთავსებული. დასავლეთით მუხრანის ველი და შორს მდინარეული მოჩანს, სოლო ახლო — არაგვი. შემდეგ გადა-

გეშლებათ მყინვარწვერით დამშვენებული კავკასიონის ქედი და საქართველოს სამხედრო გზა, აღმოსავლეთით კი — წინამძღვრიანთკარი და ერწოს არემარე. ქვემოთა აივნიდან სანახაობა უფრო შეზღუდულია, მოჩანს ხშირი ბაღი, სადაც გაზაფხულობით იასამნის ბუჩქები ჰყვავიან, ზაფხულობით კი ვარდები და ათასნაირი ყვავილები.

სახლი და სხვა შენობებიც მწვანეში იყო ჩაფლული. ვინც ქვემოდან სოფლის გზით ამოდიოდა, კარ-მიდამოს თითქმის ვერა ხედავდა, მის თვალწინ გადაიშლებოდა ბაღ-ვენახებით შემკული ნამდვილი სამოთხე, რომელსაც თავს ადგა მაღალტყიანი ზედაზნის მთები.

რამდენჯერ ავსულვართ ორივენი ამ გზით, ხან ეტლით, ხანაც ფეხით. და ამ მწვანე სამოთხის სიმშვენიერეს აღ-ტაცებაში მოვუყვანივართ. რამდენჯერ შევჩერებულვართ გზადაგზა და ამოოხვრით გადაგვიხედავს ამ დიდებული სა-ნახაობისათვის. რამდენადაც ხანში შედიოდა ილია, იმდენად უფრო სწუხდა, რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გამოსთხოვე-ბოდა ამ საუცხოო მხარეს, სადაც მან მთელი თავისი სი-ცოცხლე ბედნიერად, მშვიდად და მდიდარი პოეტური აღ-მაფრენით გაატარა... აქ, ამ გზაზე, გარდაცვალებამდე რამ-დენიმე წლით ადრე, ილიამ აღტაცებითა და თან ფარული ნაღველით მითხრა, ასეთ ადგილას კაცს ორასი წლის სი-ცოცხლე მოგინდებაო. ილიამ ამ ახალ სახლში მთელი თორ-მეტი წელი გაატარა ზაფხულის თვეები სტუმართა შორის სიამოვნებითა და ბედნიერებით. მისი პატივისმცემლები ხშირად მიდიოდნენ საგურამოში, ხანდახან უცხოელებიც ესტუმრებოდნენ ხოლმე.

1897 წლის ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ექიმი-პროფესორი ბერტელიონი პარიზი-დან, პროფესორი ბოსკო რომიდან და რუსი მწერალი ვა-სილ ველიჩკო. სტუმრებისთვის რომ ესიამოვნებინა, ილიამ მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში, სადაც ხის ქვეშ მწვანეზე ვისადილეთ. ჩვენ თვალწინ გადაშლილი იყო მცხეთა, არაგვისა და მტკვრის შესართავი და თბილისი. კავკასიონის მთებმა ყველაზე მეტი აღტაცება პროფესორ ბოსკოს მოჰგვარა. იგი დაბრუნებისას მცხეთაში ავიდა მაღ-ლა მთაზე, რომ ერთხელ კიდევ დამტკბარიყო მყინვარის დიდებული სურათით.

1898 წელს საგურამოში ილიას ეწვია ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი კარლ ლემან-ჰაუპტი, ავტორი სერიოზული გამოკვლევებისა წინა აზიის წარსულიდან. ქართველ პოეტთან ყოფნა მან დაწვრილებითა და საინტერესოდ გადმოგვცა ჯერ გერმანულ ჟურნალ „Die Hilfe"-ში და შემდეგ კავკასიიდან სპარსეთ-მესოპოტამიაში მისი მოგზაურობის ვრცელ აღწერაში. როცა ილია 1900 წელს ბერლინში იყო, მან ინახულა პროფესორი ლემან-ჰაუპტი, რომელიც ილიასადმი წრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული. ილიას ტრაგიკული სიკვდილის გამო მან ბერლინის ერთ დიდ გაზეთში ნეკროლოგი მოათავსა ილიას პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. მანვე დაბეჭდა ცნობები ერთ თავის წიგნში.

1900 წლის ივნისში, საგურამოში ილიას გულის ხუთვა (ასთმა) მოსდიოდა, ამიტომაც დავით სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე დაჟინებით ურჩევდნენ ბერლინში წასვლას პროფესორ ლეიდენთან, რომელიც ევროპული მეცნიერების ერთ ვარსკვლავად ითვლებოდა. ბერლინიდან ილია გამოჯამრთელებული დაბრუნდა, მაგრამ არ ასრულებდა იმ რეჟიმს, რომელიც პროფესორ ლეიდენმა დაუნიშნა. ორი-სამი წლის შემდეგ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა. სიბერისაგან განკურნება ილიას შეუძლებლად მიაჩნდა. ხშირად იმეორებდა შოთა რუსთაველის სიტყვებს: „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელიაო". საზოგადოდ, ილია ზომიერად ცხოვრობდა, მაგრამ დიეტას არ იცავდა, ეს კი გავლენას ახენდა მის ორგანიზმზე. საგურამოში ყოფნა ილიას ყოველთვის ძალას მატებდა. უკანასკნელ ხანებში, უფრო მას შემდეგ, რაც ბანკის საქმეებს თავი დაანება, ცდილობდა უფრო მომეტებულად თავის საყვარელ სოფელში ეცხოვრა.

საგურამოში ილიას სახლის გარშემო ბუნება თანდათან ლამაზდებოდა, ხეებმა ტანი აიყარეს. ილიას კი სიბერე ერეოდა და სიცოცხლის სიამეც უნელდებოდა. ბოლოს მისი ტრაგიკული დასასრულიც მოვიდა. და ზღაპრული, საუცხოო „მწვანე სამოთხე" ყველამ მიივიწყა, იქითკენ აღარავინ იხედება, მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში საგურამო მაინც დაიჭერს ღირსსახსოვარ ადგილს.

ილია ჭავჭავაძე მშვენიერი მოსაუბრე იყო, მაგრამ საზოგადოებაში ლაპარაკი არ უყვარდა და უპირატესობას მხოლოდ მახლობელ წრეს აძლევდა. უფრო სასიამოვნო საუბრები მახსოვს, როცა ორი ან სამი შევიყრებოდით ერთად. ანდა მარტო მე ვიყავი მასთან, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა. პირველი გაცნობიდანვე მე და ილია ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ რაც უნდა საჭირო საქმით ყოფილიყო გართული, მაინც მიმიღებდა. მეც მუდამ სიამოვნებით ვსარგებლობდი ამით. მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე რამდენიმე საათი ვისხედით ერთად და ვსაუბროობდით.

როგორც ყოველი ქართველი, ილიაც საუბრის მოყვარული გახლდათ, მაგრამ თავდაჭერილი და ჭკვიანი კაცი იყო და სხვების ყურისგდებაც უყვარდა.

თითქმის ყოველოვის, როცა კი ვეწვეოდი, ილია თავის სამუშაო ოთახში ან კითხულობდა, ანდა რასმე აკეთებდა, მაგრამ როცა დამინახავდა, მაშინვე თავს მაღლა აიღებდა, სათვალეს მოიხსნიდა და მზად იყო საუბრისთვის.

ჩვენი საუბარი, რასაკვირველია, უფრო ხშირად ლიტერატურას ეხებოდა, რადგან ილიას ისე არა უყვარდა რა, როგორც პოეზია და საერთოდ, მწერლობა.

ქართველი პოეტების შესახებ ილია თუმცა კრიტიკულად, მაგრამ სამართლიანად მსჯელობდა. გულწრფელად უყვარდა რაფიელ ერისთავი და აფასებდა მის „სოფლის სურათებს", რომლის თემა ასალი იყო ქართულ ლიტერატურაში.

— პოეზია შიგ ცოტაა, მაგრამ ცხოვრების როგორი სინამდვილეა და რამდენი სიმართლეა, — გულთბილი გრძნობით იტყოდა ხოლმე ილია რაფიელის ნაწერებზე.

ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში სედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „ივერიაში" ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენთვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ ლექსს.

დიდად აფასებდა ბაჩანას ზოგიერთ ლექსს. არ დამავიწყდება ის წუთი, როცა აღტაცებული ილია პირველად კითხულობდა ბაჩანას ლექსებს „მუხას“ და „ბინდი მთაშიც“. ეს იყო, როგორც მახსოვს, 1887 წელს, როცა ილია ბებუთოვის ქუჩაზე ცხოვრობდა და მთელ დროს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობას ანდომებდა. ამ დროს ილია ძლიერ გატაცებული იყო პოეზიითა და ლიტერატურით და ხარბად ეტანებოდა ევროპის საუკეთესო მწერლების თხზულებებს. მაოში გენიალობის, პოეტობისა და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხატველად ილიას გოეთე მიაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი მხრით ბაირონსაც კი ამჯობინებდა.

— თქვენი ოლიმპიელი!.. ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ძალა ჩანს მასში, — ხშირად უთქვამს ილიას გოეთეს შესახებ.

— დიახ, გოეთე ოლიმპიელია, მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ — ქართველი, იმას შილერზე უფრო მაღლა აყენებთ?! — ვუთხარი ერთხელ ილიას, როცა საუზმის შემდეგ ორივე აივანზე ვისხედით და არაგვის საუცხოო ნაპირების სილამაზით ვტკბებოდით.

— განა ვერ ატყობ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდოევროპულიაო, — მითხრა მან და ხანგრძლივი საუბარი დაიწყო აღმოსავლეთზე.

— აღმოსავლეთს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ის ევროპელს ესმის, — განაგრძო ილიამ. — ადამიანის ცხოვრებასა და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა, გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია, შეუძლებელია აღმოსავლეთში.

ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და თბილისში გერმანულად წათარგმნი ფირდოუსის „შაჰნამე“ წავიკითხე. წაკითხულის ძლიერი შთაბეჭდილებით შეპყრობილმა ილიას ვუთხარი: ამ პოემაში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც თავისი ტრაგიზმით შექსპირს მოგვაგონებს-მეთქი.

— არა მგონია, მას შეეძლოს შექსპირის ტრაგიზმის სიმაღლის მიწვდომა, — მომიგო ილიამ.

ამაში ნაწილობრივ სიმართლეც იყო, თუმცა ფირდოუსის ღირსება სწორედ ტრაგიკულ ძალაშია, მაგრამ იგი ეპიკური პოეტი იყო და არა დრამატურგი.

საზოგადოდ, ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა, ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მან ცუდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, რაღაცნაირი ქალური გულჩვილობა და აზრია გარყვნილობა შემოიტანაო.

ამიტომ ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაევროპელებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულით და გულით მუდამ ქართველად დარჩა.

1900 წელს, როცა ილიამ გერმანია და ავსტრია მოიარა, დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და უკვირდებოდა გერმანელების ცხოვრებასა და კულტურას. ყურადღებას აქცევდა ყველა წვრილმანს, მაგრამ ღვიძლი სამშობლო, საქართველო ყოველთვის ძლიერ აზიდავდა თავისკენ. უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, თბილისს რომ უახლოვდებოდა, ისე მოიხიბლა საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალებზე ცრემლიც კი მოადგა. ამას ილია სრულიად მოურიდებლად მიამბობდა ხოლმე და თან დასძენდა: ყმაწვილობაშიაც გამომიცდია სამშობლოს მოშორებით გამოწვეული ნაღველი, მაგრამ ისე ძლიერ არა როგორც ეხლა, მოხუცებულობის ჟამსო.

როგორ უყვარდა ილიას თავისი მშობლიური კუთხე — ყვარელი, ეს სხვათა შორის, იმ მოთხრობებიდან და ლექსებიდანაც ჩანს, რომლებშიც დიდი აღტაცებით და მომხიბლაობითაა აღწერილი ალაზნის მშვენიერი ველი.

არა ნაკლებ უყვარდა ილიას საგურამო, სადაც სამოცდაათიან წლებში მან ერთი მშვენიერი ადგილი აირჩია საცხოვრებლად. ეს საუცხოო კუთხე ილიას საყვარელი საზაფხულო ადგილი იყო, მისი Tuskulum, სადაც იწვევდა

არა მარტო ურიცხვ ქართველებს, არამედ უცხოელებსაც. ისინი ისევე, როგორც თვითონ ილია, აღტაცებულები იყვნენ ტყეში ჩაფლული არემარეთი და მისი საუცხოო სანახაობით. არა ერთ უცხოელს აუწერია საგურამო და სტუმართმოყვარე ქართველი პოეტის სახლში გატარებული დრო.

საგურამოს ვრცელი აღწერილობა მიუძღვნა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ ლემან-ჰაუპტმა თავის კაპიტალურ შრომაში „Armenien einst und jetzt". აქ სხვათა შორის, აღწერილია მისი მოგზაურობა კავკასიაში. მეც ჩემს ორ წიგნში საკმაოდ მაქვს დასურათებული ეს უმშვენიერესი კუთხე, სადაც მრავალი ზაფხული გაუტარებია განსვენებულ ილიას.

ამ კუთხის ერთი დამამშვენებელთაგანია ბებერი, უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის მახლობლად 70-იანი წლების დამდეგს ილიამ ააგო პატარა, ერთსართულიანი სახლი. სახლთანვე მოაწყო ცაცხვის ხეივანი.

1894 წელს, როცა პირველად მოვედი საგურამოში, ცაცხვები უკვე მოზრდილი იყო, მაგრამ ბოლოს, რაკი ყოველ გაზაფხულობით ახლად შევკვეცავდი, ცაცხვებიც მალე იზრდებოდა. ეს ძველი სახლი სულ ოცდახუთი წელიწადი იდგა, 1894 წლამდე, მანამდე, ვიდრე ილიამ გადაწყვიტა ახალი სახლის აგება. თუმცა კი ილიას ეს სადა ოთახები და აივანი, სადაც მან თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი გაატარა, ძლიერ უყვარდა. ეს სასიამოვნო მოგონებანი არ განქრებიან, ახალს სახლში ამ მოგონებებით ვისიამოვნებო, — ამბობდა ილია ახალი, ლამაზი სახლის აგების დროს.

ორივე სიხარულით ველოდით იმ სასიამოვნო დროს, როცა მთის კალთაზე შეფენილ ტყეში ცხოვრებას დავიწყებდით. ახალი სახლის აგება რომ დამთავრდა, ილიას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყმაწვილური აღტაცებითა და ბედნიერებისაგან ათრთოლებული ხმით მითხრა: „ისე მოხარული ვარ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებითა და ამ მშვენიერი სახლით, თითქოს ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი არა გამეკეთებინოს რაო".

— დიახ, ეს სახლი ერთ კარგ ლექსად ღირს, მეტად კი არა-მეთქი, — მივუგე მე.

— მეტად არა? — ღიმილით მკითხა ილიამ.

— რასაკვირველია, არა, პირიქით, მე მგონია, თქვენი „ბინდი ალაზნის ველზე“ მეტად ფასობს. ამ სახლის ქვაც აღარ დარჩება, ეს მშვენიერი ლექსი კი ისევე მოხიბლავს უცხოელს, როგორც ქართველს-მეთქი.

ილიას მაშინ უკვე ჭაღარა ერია, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და ჯან-ღონით სავსე იყო. ჩვენ ორივეს აქ, ამ ფართო ოთახებში ბევრი სასიამოვნო დღე გაგვიტარებია, ახალი სახლის ჩრდილოვანი აივნიდან ყურს ვუგდებდით შადრევნის შხუილს და ღამით არაგვის ბუტბუტს.

მაგრამ ილიას მხოლოდ თორმეტი წელი არგუნა ბედმა დამტკბარიყო ამ ბედნიერებით.

ილიას წლითიწლობით მხნეობა და სიცოცხლის ხალისი აკლდებოდა. ახლა უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც ილია სამუდამოდ განისვენებს. საგურამოს მშვენიერი სასახლე, სადაც ჩვენ დაუსრულებლად ვმსჯელობდით პოეზიასა და მშვენიერებაზე, კაცობრიობის ისტორიაზე და მის ღირსშესანიშნავ ამბებზე, ზეგარდმო მადლით ცხებულ ადამიანთა ღვაწლსა და სიდიადეზე, ახლა უკვე ცარიელია და უყურადღებოდ მიტოვებული, მხოლოდ საქართველოს მზე აფრქვევს ოქროს სხივებს უპატრონო ბაღს.

— რისთვის ააგო ილიამ ასეთი სასახლე მოხუცებულობის ჟამს, როცა შვილიც კი არა ჰყავსო? — ამბობდნენ ზოგიერთები.

მაგრამ განა ის ბედნიერება, რომელიც ილიამ ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოიპოვა, არ ღირდა ამ სახლად?

ვის შეუძლია მშვიდად განსაჯოს სხვისი საქმე, მით უფრო ისეთი პოეტისა, როგორიც იყო განსვენებული ილია? განა შეუძლია ვინმეს უარყოს, რომ სასიამოვნოდ მორთული სახლი მშვენიერი ბაღით საუკეთესო საჩუქარია მოხუცისათვის? ხოლო ვინც თვითონვე ააგებს ასეთ თავშესაფარს, იგი ბრძენია და მისი საქციელიც ჩვენი ბუნებისა და არსებობის აზრის დამამტკიცებელია.

*

დრო მიდის და ამასთან ერთად ილიას ცხოვრების სურათებიც თანდათან ქრება, ისინი ჯერ კიდევ არ არიან შე-

საფერისად აღწერილნი, რადგანაც ასეთი რამ მხოლოდ მხატვარსა და პოეტს ძალუძს. ვიდრე ისინი გამოჩნდებოდნენ, საჭიროა მასალების მოგროვება. ოც წელზე მეტ სანს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ილიას, მრავალი საინტერესო რამ მაქვს დაგროვილი და ყოველივე ეს მინდა გავუზიარო მკითხველს. მაგრამ უნდა ვაღიარო, ჩემი მოგონებანი მოკლებულია კავშირსა და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას.

პირველი შეხვედრის დროს ილია ვერ ახდენდა მნახველზე ისეთ შთაბეჭდილებას, როგორსაც ჩვეულებრივ პოეტისაგან მოველით. მის კეთილშობილურ სახეზე არ იხატებოდა თვალთა პოეტური ბრწყინვალება, სხვა პოეტებსა და მხატვრებს რომ აქვთ ხოლმე, მაგრამ ილიას თვალთაგან გამოკრთოდა ნათელი არაჩვეულებრივი ჭკუისა. დიახ, ილიას მნახველზე მტკიცე ჭკუა-გონების პატრონის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თუმცა პოეტობისას ვერას შეამჩნევდა კაცი პირველ შეხვედრაზე. ილიას აკლდა სიმკვირცხლე და კისკასი ტემპერამენტი, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა პოეტებს აქვთ. გატაცება მასში მხოლოდ ლაპარაკის დროს ნელ-ნელა იჩენდა თავს. ილია ჩვეულებრივ მშვიდი იყო, გარეგნულად მაინც, რადგან იშვიათი უნარი ჰქონდა თავშეკავებისა. ძლიერ გულამღვრეულიც რომ ყოფილიყო, მაინც დამშვიდებული ვეჩვენებოდათ, ხოლო ვინც დაახლოებით იცნობდა ილიას თვალებში შეეძლო ამოეკითხა, რა ხდებოდა მისი სულის სიღრმეში.

ილია მშვიდი და თითქმის აუღელვებელი იყო, იგი სხვების მიმართ არ ამჟღავნებდა თავის ძლიერ გრძნობებს. თავდაჭერილი იყო როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაშიც. ხასიათის ამ თვისებებით ილია გოეთეს მოგვაგონებს, რომლის პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა.

ილია მისალმების დროსაც ზედმეტს არაფერს იტყოდა, მანდილოსნებთანაც კი ზომიერი იყო, მათდამი განსაკუთრებულ ლტოლვას არ უკარნახებდა მისი ზრდილი და ფაქიზი გრძნობა. ილია არც ყმაწვილობაში იქნებოდა ქალების თავდაუჭერელი მოტრფიალე. იგი ყოველთვის ჭკვიანი იყო და საკუთარ ღირსებასაც მაღლა აყენებდა. ილია არ ცდილობდა იაფი საშუალებით გავლენა მოეხდინა გარშემო მყოფებზე

მისი ჭკუა და ძლიერი ნება გრძნობას მუდამ იმორჩილებდა და ამ მხრივ არასოდეს უღალატია თავის თავისათვის. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიამ თავისი როლი, რაც ყმაწვილობაში წილად ხვდა, ძლიერ კარგად შეასრულა. მეგობრული საუბრის დროს ხშირად მეუბნებოდა, ვგრძნობ ჩემს ნაკლსა და ვწუხვარ, რომ გამოსწორება არ შემიძლიანო. მისი აზრით, საკუთარი ნაკლი ზოგადქართული იყო, მის დაოკებას შეძლებისდაგვარად ცდილობდა. მოხუცებულობაში, როდესაც ნებისყოფა მოუდუნდა, ხასიათის სისუსტეც აშკარად შეეტყო...

ილიასათვის უცხო იყო წოდებრივი სიამაყე: ყველას უბრალოდ და მეგობრულად ეპყრობოდა, და თუკი დასჭირდებოდა ვინმესთვის თავისი უპირატესობა ეჩვენებინა, ამას თავისი მახვილი აზრითა და სწორი მსჯელობით ახერხებდა.

ამ მხრივ ილია საკმაოდ მგრძნობიარე იყო. თუ თავისი აზრი საფუძვლიანად მიაჩნდა, ენერგიულად იცავდა და ადვილად არავის დაუთმობდა, მაგრამ სხვის აზრსაც ხალისით მოისმენდა, თუკი საქმე მისთვის უცნობ საგანს შეეხებოდა.

ილია სასიამოვნო მოსაუბრე იყო, მაგრამ მოულალავი მოლაპარაკე კი არა, მისი საუბრის სიმშვენიერე ლამაზ ფრაზებში არ გამოიხატებოდა, არამედ ლამაზსა და მახვილ აზრებში. როცა ილია ვინმესთან საუბრობდა, დამშვიდებით ისმენდა მის აზრს, ხოლო როცა მოსაუბრე გაათავებდა თავისას, ილიასაც მზად ჰქონდა მოკლედ მოჭრილი პასუხი. თავის საუბარს ილია ხშირად იუმორით აზავებდა და ზოგჯერ ნაკვესებსაც ჩაურთავდა ხოლმე. იუმორი დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მას და ხალისიანადაც ისმენდა სახუმარო ლაპარაკს. თვითონაც უყვარდა ხუმრობა არა მარტო გასართობად, არამედ სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მძიმე გონებრივი მუშაობის შემდეგ დასასვენებლად.

ხშირად, როცა ბანკის საქმიანობაში იყო გართული ან „ივერიისათვის“ რაიმე სტატიას წერდა, შევიდოდი მის სამუშაო ოთახში, ავიღებდი გაზეთს ან წიგნს, მივჯდებოდი კუთხეში და ჩუმად ვკითხულობდი, რომ მუშაობაში ხელი

არ შემეშალა. ილია კალამს მაშინვე დაღებდა და ღიმილით მოჰყვებოდა ლაპარაკს, სახე გაუბრწყინდებოდა. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჩვენ ხშირად ვერთობოდით საუბარში, სახეზე დაღლილობა და ნაღველი უმალ უქრებოდა. ამ დროს ისვენებდა და რამდენადაც უფრო ვებმებოდით რომელიმე სასიამოვნო საკითხისა ან საგნის გამო საუბარში, იმდენად მეტ სულიერ სიამოვნებას ვგრძნობდით ორივე. ილიას ძლიერ უყვარდა ეს საუბრები და რაღას არ შევხებივართ მრავალი წლის განმავლობაში! რასაკვირველია, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საკითხები ორივეს ყველაზე უფრო გვიზიდავდა. მაგრამ ხშირად ისტორია და სხვადასხვა ერთა ცხოვრებაც იყო ჩვენი საუბრის თემა.

მე და ილიას ძლიერ გვიყვარდა მოგზაურობის აღწერილობანი. მეტადრე თუ ამ აღწერილობათა ავტორი ნამდვილად დაკვირვებული კაცი იყო. გარდა იმისა, რომ მოგზაურობათა აღწერილობის კითხვა მიყვარდა, მომივლია კიდეც მრავალი საინტერესო ქვეყანა, ამ დარგში ყოველთვის გამოულეველი სასაუბრო მასალა გვქონდა. ილია ძლიერ სწუხდა, რომ თავის სიცოცხლეში ცოტა ემოგზაურა. მართლაც, ილიას ყმაწვილობის დროს ქართველები, საზოგადოდ, იშვიათად თუ მიისწრაფოდნენ უცხოეთში. ამას, ერთი მხრივ, ენის უცოდინარობაც უწყობდა ხელს. ამ ნაკლს ილია თავის თავსაც ამჩნევდა და სინანულით უყურებდა იმათ, ვინც უცხო ენები იცოდა. ენა, — იტყოდა ილია, — ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია. რომელიმე ერის შესწავლა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც მისი ენა იცისო.

ილიას ძლიერ იზიდავდა აგრეთვე ენების ფსიქოლოგია და ხშირად ამბობდა ქართულ ანდაზებს, რომლებშიც ისახებოდა ქართული ხასიათი და ქართველი ხალხის სული. გლეხების უბრალო საუბარში ხედავდა ხალხის ფსიქოლოგიას და მსოფლმხედველობას. ამიტომაც უყვარდა ილიას გლეხებთან საუბარი. საგურამოში მთელი საათობით ესაუბრებოდა გლეხებს და აღტაცებული რჩებოდა მათი ხატოვანი ენით. საერთოდ, ილიას გლეხთა ცხოვრება პოეტურ წარმოდგენათა და აზრთა სალაროდ მიაჩნდა და დიდი ხალისი-

თაც კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ამ წყაროდან გამომდინარეობდა. მაგალითად, რაფ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას და თედო რაზიკაშვილის ლექსებს, ნიკო ხიზანიშვილის მიერ შეკრებილ ხალხურ ლექსებს, პეტრე უმიკაშვილის გამოცემულ ხალხურ ანდაზა-გამოცანებს და სხვ. ვაჟა-ფშაველას ლექსებს ილია აღტაცებაში მოჰყავდა. როცა კი ვაჟა დასაბეჭდად გამოგზავნიდა რაიმე ახალ ლექსს, ილია მაშინვე მიზიარებდა თავის აღტაცებასა და მაცნობდა ფშაველი მგოსნის ახალ მარგალიტს.

ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის მთელი ქართველობის პანთეისტურ რწმენათა და შეხედულებათა განხორციელებას. ილიას აკვირვებდა ვაჟას ბუნებისადმი ძლიერი გრძნობა. თვითონ ილიამ ვერ შესძლო ვაჟასებრ ჩაწვდომოდა ბუნებას, თუმცა ბუნება ილიასაც ძლიერ უყვარდა და ცდილობდა მისი არსით გამსჭვალულიყო.

ერთხელ, როცა საგურამოში ვაპირებდი წასვლას, ილიამ მითხრა, თან მომყავს მესამე მეგობარი, რომელიც ძლიერ გაგვართობსო. ეს მესამე მეგობარი აღმოჩნდა გერმანელი ბიზეს „ბუნების შეგრძნების განვითარების ისტორიის" თარგმანი, რომელშიც ავტორი გვიმტკიცებს, როგორი ნელი ნაბიჯით უვითარდებოდა ადამიანს ბუნების შეგრძნება, როგორ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ძველი თაობები ბუნების სიმშვენიერეს და ამ გრძნობას მოკლებულნი რამდენ სიამოვნებას ჰკარგავდნენ. ამ მშვენიერსა და საუცხოო წიგნს მე და ილია ვკითხულობდით საგურამოში, სადაც ბუნება მდიდარია და სადაც ტყე და მთა ალერსიანად ციბლავს თვალს. ეს იყო გაზაფხულზე, საღამოობით, როცა ბაღებიდან და ტყიდან ბულბულთა მშვენიერი სტვენა საამოდ ეფინებოდა არემარეს.

— არა, ძველ ხალხს არ განუცდია ნამდვილი ბედნიერება, — თქვა ერთხელ ილიამ ამ წიგნის კითხვის დროს, — რამდენად მაღალ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურათების მშვენიერება. ყველა ეს ჩვენი წინაპრებისათვის არაფერი იყო: მათ არ შეეძლოთ ბუნებასთან საუბარი.

დიახ, ილიას უყვარდა ბუნებასთან საუბარი, უყვარდა ოცნება, როცა ბუნების სიმშვენიერეს შეჰყურებდა და ამა-

ში იმდენ ბედნიერებას პოულობდა, რომ ძლიერ უსალისოდ შორდებოდა ამ პასიურ ჭვრეტას.

ილია ღრმა მოხუცებულობაშიც ბევრს კითხულობდა არა მარტო ლიტერატურულ თხზულებებს, აგრეთვე სამეცნიერო შრომებსაც. მისი ცოდნის სალარო ძლიერ მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი კაცობრიობას ეხებოდა. ჭებას უძღვნიდა გოეთეს უნივერსალურ ცოდნას.

თანამედროვეებს ილია კარგად იცნობდა და ხშირად ახასიათებდა: ილიამ იცოდა მათი მისწრაფებანი და სუსტი მხარეებიც. ეს მის საკუთარ თვისებასაც შეადგენდა. ცოდნით კი მათგან ილიას ვერავინ შეედრებოდა.

ოთხმოცდაათ წლებში პეტრე უმიკაშვილი თბილისის უძველეს ნაწილში, ანჩისხატის ტაძრის მახლობლად ცხოვრობდა. სიძველეთა ძეგლების სიყვარულის გამო ილია ხშირად აქებდა პეტრე უმიკაშვილს. ილია პატივს სცემდა აგრეთვე ნიკო ხიზანიშვილს იმ შრომისათვის, რომელიც მან საქართველოს სიძველეთა გამოკვლევას უძღვნა. ნიკო ხიზანიშვილი ილიას თავისი ხუმრობით ხშირად ართობდა, თუმცა ზოგჯერ ილიასაც გაკენწლავდა ხოლმე. ნიკო ხიზანიშვილი მღვდლის შვილი იყო და ამით თავი მოჰქონდა. ის ხშირად აღიზიანებდა ილიას თავადური წარმოშობის გამო. ამ ენამოსწრებულობას ილიაც ღიმილითა და ხუმრობითვე უპასუხებდა. არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ ილია გული მოსვლოდეს ნიკო ხიზანიშვილის მწარე ოხუნჯობაზეც კი.

ილიას მაინცდამაინც არ უყვარდა ზოგიერთი ახლად შემოღებული რამ, უპირატესობას ძველს, თუნდაც უხერხულობას ამჯობინებდა, თუკი მას რაიმე სილამაზე ჰქონდა და წინაპართა ცხოვრებას მოაგონებდა. მაგალითად, ეტლით სიარულს უფრო მოსწონდა, ვიდრე რკინიგზით: როცა თავისუფალი დრო ჰქონდა, თბილისიდან საგურამოში მუდამ ეტლით დადიოდა. — ახდილ ეტლში, ზომიერი სიარულის დროს მოლი არემარე და ბუნების სურათები სხვადასხვანაირად გეშლება თვალწინ, ვიდრე რკინიგზის ვაგონიდანო, — ბევრჯერ უთქვამს ილიას საგურამოში ჩვენი ხშირი მოგზაურობის დროს.

ილიას გზის მრავალფეროვანი სანახაობები და სურათები მოსწონდა. მუდამ კმაყოფილი იყო, როცა მისი ოთხი თეთრი ცხენი წყნარი ნაბოჯით მიდიოდა მზიან გზაზე. სიამოვნებასა ჰგვრიდა მცხეთის არემარე, ვერცხლისფრად მოელვარე არაგვი და საგურამოსა და ზედაზნის მთები. მას ძლიერ უყვარდა ეს ისტორიული ადგილები, აკვანი საქართველოს ქრისტიანობისა. მოგზაურობის დროს ყოველთვის მიამბობდა ხოლმე ამ ადგილებთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებსა და ლეგენდებს.

პოეზიისა და სიტყვაკაზმული მწერლობის სიყვარულმა იმდენად შეიპყრო ილია, რომ დრამატული ხელოვნების, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებისათვის დრო არ რჩებოდა, თუმცა ხელოვნების ამ დარგების შესახებაც კითხულობდა თხზულებებს, თუკი ისინი ნიჭიერად იყო დაწერილი.

დიდებული დრამატურგების, — შექსპირისა და შილერის წაკითხვას მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე მათ წარმოდგენათა ხილვას სცენაზე. სიამოვნებით ისმენდა ქართული თეატრის ირგვლივ გამართულ სჯა-ბაასს, განსაკუთრებით თუ პიესა ქართული ყოფის გამომხატველი იყო. ილიას უფრო სასცენო ტიპები აინტერესებდა. შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში მის ყურადღებას უფრო ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ტიპიური მხარე იზიდავდა, ვიდრე თვითონ დრამატული ხელოვნება.

ილია მხატვრობას უფრო ნაკლებად იცნობდა, თუმცა ხალისიანად კითხულობდა დიდი მხატვრების ბიოგრაფიებს და ეცნობოდა მათ ქმნილებებს. უყვარდა ლამაზი, ისტორიული სურათები, რომლითაც დამშვენებული იყო ილიას სამუშაო კაბინეტი თავისი დის ელისაბედის სახლში. ეს ქართული ისტორიული სურათები ილიამ საგანგებოდ დაახატვინა მხატვარ გიგო გაბაშვილს. ილია ხშირად სტკბებოდა ამ სურათების ცქერით და ქებით იხსენიებდა გიგო გაბაშვილს, ამ თავისებურ, ნაყოფიერ მხატვარს. რა იცოდა მაშინ ილიამ, რომ გარდაცვალების შემდეგ გიგო გაბაშვილი მის სურათს დახატავდა, რაიც გიგომ ილიას სიცოცხლეში ვერ მოახერხა.

ილიას უყვარდა ხალხური სიმღერები და როცა საგურამოში თავისი სახლის აივანზე ჩამოჯდებოდა, სიამოვნებით

უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების სიმღერას. ილია რომ მართლა ძლიერ გრძნობდა ხალხური სიმღერების სიმშვენიერეს, იმ მომხიბვლელ ლექსებში ჩანს, რომელშიც აღ-აღწერილია ალაზნის ველი, სადაც ურემი —

მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარ სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი;
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ ჰყრის კიდეც, ვით ღრუბლებს ქარი.

თვითონ ილია არასოდეს არ მღეროდა. ძლიერ იშვიათად თუ მინახავს, როგორც სხვებს სჩვევიათ ხოლმე, რომელიმე საყვარელი ჰანგი თუნდაც დაბალი ხმით ემღეროს. მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა ზოგიერთი ჰანგი.

80-იან წლებში პროფესორმა ილია ოქრომჭედლიშვილმა ილიას აჩუქა ლამაზი, ავტომატურად მოსამართავი საკრავი. ეს საკრავი ყოველ ზაფხულს ილიას საგურამოში მიჰქონდა და მთელი საათობით ისმენდა მის ხმას. ბოლოს, თავისი სიცოცხლის მიწურულში, ერთი ქართული სიმღერა შეუყვარდა, ხშირად მოიწადინებდა ხოლმე მის დაკვრას გრამოფონზე. ეს სიმღერა ასე იწყება:

სული მიწუხს,
გულიც მასთან ღონდება;
თვალს ავახელ —
ცრემლები არ მშორდება... და სხვ.

ამ სიმღერის ნაღვლიანი კილო, რაც თავადაც ძლიერ მომწონდა, ისე გაუჯდებოდა გულში ილიას, რომ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინათ ზედიზედ. როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა, ან იჯდა ან ჩაფიქრებული იდგა. ამ დროს სახეზე რაღაც იდუმალი მწუხარება ესატებოდა, მიხვდებოდით, ილია მოხუცებულობას გულისტკივილით გრძნობდა. ენანებოდა, რომ მისი საამქვეყნო სიცოცხლე მთელი თავისი მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთ შემოდგომის კვირას, ნასადილევს, ჩვენ ორივე

ბინდიო მოცულ ოთახში ვისხედით. ჩემმა მოწაფემ დავითმა გრამოფონი მომართა, რომ საყვარელი სიმღერა „სული მიწუხს“ დაეკრა. ილიამ უცბად მითხრა: ჩვენ ორივეს გვიყვარს ეს მშვენიერი ჰანგი, ორივეს ძვალ-რბილში გაგვიჯდა და ამიტომ შეიძლება ეს ჰანგი გახდეს შენთვის საუკეთესო საშუალებად ჩემს მოსაგონებლად. ჩემი სიკვდილის შემდეგ ხშირად იმღერეთ ეს ჰანგი და მაშინ უეჭველად მოიგონებთ თქვენს მეგობარს და იმ მშვენიერ დღეებს, რომლებიც ერთად გაგვიტარებიაო. ილიას მოსაგონებლად, რასაკვირველია, ეს ჰანგი ჩემთვის არ არის საჭირო, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ თითქმის ყოველდღე რამდენჯერმე დაბალი ხმით ვმღერი და ამასთან ერთად ვიგონებ ილიას მწუხარე სიტყვებსაც.

მახსოვს კიდევ სხვა სიტყვებიც, რომლებიც თითქოს სიკვდილის მოახლოების წინაგრძნობას მოასწავებდა. ილიას სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე საგურამოში ვიყავი, სადაც ილიას მაშინდელი მეფუტკრე მებაღეობასაც მისდევდა. სწორედ იმ დღეებში დაემყნო მრავალნაირი ხეხილი. ერთ დილას მეფუტკრემ ილიას სთხოვა, დამყნილი ხეები ენახა. ჩვენც წავედით ბაღში. მეფუტკრემ სათითაოდ გვიჩვენა ნამყენები და აგვიხსნა, რა ჯიშის მსხალი და ვაშლი დაემყნო. აქებდა ხილის კარგ თვისებას. ბოლოს, როცა გაათავა, ილიამ გაიღიმა და უთხრა: ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნუთუ გგონიათ, რომ ამ ნამყენების ნაყოფს მოვესწრებიო? ცოტა რომ მოვშორდით, ილიამ ჩუმად მითხრა: „საკვირველი კაცია, არც კი დაფიქრებულა, რა ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენიაო“.

ეს სიტყვები ილიამ ნელი და ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა. შევხედე, მწუხარე სახე ჰქონდა! მოხუცებულობის დაღი ისე არასოდეს დასტყობია, როგორც ამ დილას, როცა შემოდგომის მზე აშუქებდა მის სახეს, ხოლო სევდიანი თვალები მოწყენილად გაჰყურებდნენ საშემოდგომოდ გაყვითლებულ ზედაზნის ტყეს.

ამის შემდეგ რაღაც მძიმე წინაგრძნობა მაწუხებდა, ოთხი დღე კიდევ დავრჩი საგურამოში, ღამე ძილი არ მეკარებოდა. ილია ძლიერ დაღვრემილი იყო, ამას უბრალო ოჯახურ უსიამოვნებას ვაწერდი. მაგრამ ფაქტი, რომელიც

ილიას მოკვლის შემდეგ რამდენიმე თვის მერე გადმომცა მისმა საცოდავმა მეუღლემ ოლღამ, იმის დამამტკიცებელია, რომ ილიას სიკვდილის წინ წინაგრძნობა არ უსვენებდა. იმ საბედისწერო ხუთშაბათს, როცა ილია თბილისიდან საგურამოში ბრუნდებოდა, მეეტლესთვის ჩვეულებრივად ებრძანებინა წიწამურში გაჩერება და ცხენებისთვის წყლის დალევინება. ამას მოუნდა თურმე სულ ათი წუთი. მეეტლე შემჯდარა კოფოზე და უცდიდა ბრძანებას წასულიყო, მაგრამ ილია ჩუმად დადიოდა აქეთ-იქით ჩაფიქრებული და თითქოს წასვლას არ აპირებდა. ოლღა მარწმუნებდა, ილია მთელი საათი ასე დადიოდა, შემდეგ ეტლში ჩუმად ჩაჯდა, ეტლიც გაექანა საგურამოსკენ და თხუთმეტი წუთის შემდეგ ილიაც მოკლესო. რა გრძნობა აკავებდა მას ასე დიდხანს წიწამურში?

დიახ, — ბევრი რამ არის ისეთი ცასა და ქვეყანაზე, რაც სიზმრადაც არ მოლანდებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსო, — თქვა შექსპირმა. ილიას თვითონ არა სჯეროდა წინაგრძნობისა, არც ცრუმორწმუნეობისა სწამდა რა. მაგრამ არც ეს ფაქტი და არც მისი სამწუხარო ნაღვლიანობა საგურამოში უკანასკნელად არ შეიძლება სხვა რამეთი აიხსნას, თუ არა წინაგრძნობით.

*

1885 წელს ერთი ქართული გაზეთი „დროება" გამოდიოდა ვანო მაჩაბლის რედაქტორობით. გაზეთი პატარა ფორმატის იყო, სუთასი თუ ექვსასი სელმომწერი ჰყავდა. ამ წელს შემოდგომაზე ეს გაზეთი გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა. ქართველი საზოგადოება უგაზეთოდ დარჩა. მხოლოდ ერთთვიური ჟურნალი „ივერია" არსებობდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.

„დროების" დახურვამ ალელვა ყველა მაშინდელი ლიტერატორი. ამ საკითხზე ილიას ბჭობა ჰქონდა ლიტერატორებთან ოა დათანხმდა, რომ „ივერია" გამოსულიყო ყოველთვიურ ჟურნალად მისი რედაქტორობით. იმავე დროს გადა[illegible]ია. — [illegible] ამ ლიტერატორებისა, მოწ[illegible] ყველა ის გარეშე პირებიც, რომლებ-

საც ლიტერატურულ საქმიანობაში შეეძლოთ მათთვის მხარი მიეცათ.

მალე რედაქციაც შედგა, მაგრამ მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა ნებართვის მიცემას. ნებართვა დეკემბერში მიიღეს.

ახალი გაზეთის უმთავრესი თანამშრომლები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი („სამშობლოს" ავტორი), რაფიელ ერისთავი, გიგო ყიფშიძე, ილია ხონელი (ბახტაძე), ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, იაკობ გოგებაშვილი და ვანო მაჩაბელი. ილია და მისი თანამშრომლები ცდილობდნენ „ივერია" ყოფილიყო ისეთი გაზეთი, რომელიც შინაარსითა და მრავალფეროვნებით მკითხველს დააკმაყოფილებდა. ამიტომ ევროპის ამბებს ყურადღება ეთმობოდა, ცნობებს მათ შესახებ პირდაპირ საზღვარგარეთული გაზეთებიდან იღებდნენ. ნებართვის მიღების შემდეგ გადაწყდა გაზეთ „ივერიის" პირველი ნომერი 1886 წლის იანვრის პირველს გამოსულიყო.

ახალი წლის ღამეს ახალი გაზეთის შესახვედრად ილიასთან ორმოცამდე კაცი შეიკრიბა, რომელთაგანაც მაგონდება: ვანო მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, გიგო ყიფშიძე, ნიკო ცხვედაძე, ნიკო ღოღობერიძე, ასათიანი (მაშინდელი ქუთაისის ქალაქის თავი), პეტრე უმიკაშვილი და სხვ.

სწორედ ღამის 12 საათზე სტამბიდან მოიტანეს დიდი ფორმატის ახალი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარი. ამ ღამეს პირველად ახალი გაზეთის სადღეგრძელოდ დასცალეს ღვინით სავსე ჭიქები, შემდეგ „მრავალჟამიერი" შემოსძახეს და მერე კი რედაქციის რომელიღაც წევრმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა სტატიებისა და ლექსების.

1886 წლის ზამთარში ილიამ რამდენიმე დღეში დაწერა თავისი უკანასკნელი მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი". ამ დროს ხშირად მესაუბრებოდა საზოგადოდ მოთხრობის მნიშვნელობის შესახებ. როცა „ივერია" გააფართოვა და გადააქცია ყოველდღიურ დიდ გაზეთად, იგი ფიქრობდა გაზეთში

დიდი ადგილი დაეთმო ქართული ორიგინალური მოთხრობებისათვის. მოთხრობა ცხოვრების სწორი ანარეკლი უნდა იყოსო, — იტყოდა ხოლმე ილია. ქართველთა ცხოვრებაში მრავალ თავისებურ ორიგინალურ ზნეობრივ ტიპებს ხედავდა და იმედიც ჰქონდა, რომ ახალგაზრდა ქართველი მწერლები თავისებურ საინტერესო ლიტერატურას შექმნიდნენ.

თვითონ ილიამ პირველმა გვიჩვენა გზა „ოთარაანთ ქვრივით", პირველმა თვითონ მოგვცა ნიმუში ახლებური პროზისა, მაგრამ მისი ზრახვები უფრო შორს მიდიოდა. ფიქრობდა, რომ ქართველ მწერლებს ისეთი გზა უნდა აერჩიათ, რომელიც მათ მშვენიერების შემცველ თხზულებამდე მიიყვანდა.

ილიას აზრით, ქართველთა ცხოვრება ძლიერ ჰგავდა ესპანელებისას. ეს აზრი მას შემდეგ დაებადა, რაც ესპანური მოთხრობები გადაიკითხა და გულდასმით დაუკვირდა „დონ-კიხოტს". მეც სიამოვნებით ვიზიარებდი ილიას აზრს... რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ქართულ ტიპებზე, ქართული ცხოვრების თავისებურებაზე და ქართველი დონ კიხოტების შესახებაც....

ესპანურ მოთხრობებში ხშირად შეხვდებით გრანდის ტიპს. ეს არის ქონებას მოკლებული, გაღატაკებული აზნაური, რომელსაც თავი აზნაურობით მოაქვს. ეს ტიპი ილიას ძლიერ აინტერესებდა, რადგან ასეთ გაფცქვნილ-გაღატაკებულ გრანდს საქართველოშიც ბევრს ხედავდა.

— რამდენი სასაცილო რამ და რამდენი თავისებურება არის, — იტყოდა ხშირად ილია და ძლიერ სურდა, რომ აღმოჩენილიყო ნიჭიერი ქართველი მწერალი, რომელიც ამ ტიპის შესახებ კარგი მოთხრობის დაწერას შესძლებდა.

ილიას აინტერესებდა ქართლ-კახელი მოურავისა და მემამულის ტიპები. ამგვარები გაზაფხულზე მრავლად ჩამოდიოდნენ თბილისში მაშინდელ საბანკო კრებებზე დასასწრებად. ილია ყოველთვის ამჩნევდა ჩამოსულთა შორის ამ წოდების ფრიად საინტერესო წარმომადგენლებს. აქ იყვნენ ჩინებული „ძველის დროის მემამულეთა" ტიპები, რომელთა მოდგმა ახლა უკვე გამქრალია. მეტად სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ მაშინვე არ ჩავიწერე ყველაფერი — როგორ ახასიათებდა მათ ილია. ასეთ მებატონეებს, ქართულად გამოწყობი-

ლებს, ილია ხანდახან სადილად პატიჟებდა და მეც მათი გაცნობის შემთხვევა მეძლეოდა. თავაზიანი ლაპარაკი, სადა ხუმრობა სასიამოვნო და ორიგინალურ იერს აძლევდა მათ.

საუბრისათვის თავშესაქცევი მასალა აუარებელი იყო. ამ მასალების თვისება და ხასიათი ამტკიცებდა, რამდენს და როგორ სერიოზულად ფიქრობდა ილია ქართული ცხოვრების ყოველგვარ მოვლენათა შესახებ და როგორ ბეჯითად ზრუნავდა ქართული მწერლობის აყვავება-განვითარებისათვის.

21 აგვისტოს საგურამოში რომ მივედი, არ მიფიქრია, რომ უკანასკნელად ვნახავდი ჩემს ძვირფას მოხუცებულ მეგობარს და ამით გათავდებოდა ჩვენი ხანგრძლივი, ნათელი და შეურყეველი მეგობრობა... იმ დღეს მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბაღებს. მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებში.

მეგობრული ღიმილით მომეგება ილია და ჩვეულებრივად მკითხა, რამდენი ხნით მეწვიეო. ხანმოკლე სტუმრობა არ უყვარდა და ხშირად უფრო მეტი ხნით დარჩენა მომიხდებოდა ხოლმე, ვიდრე ვფიქრობდი.

ილია დაღონებული იყო, ჯანის სისუსტეს უჩიოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დატრიალებულ ამბებზე ფიქრობდა.

საზოგადოდ, ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე შევამჩნიე, რაც მოხუცებულობას სჩვევია. შევნიშნე აგრეთვე, სხვასთან ყოფნის და ლაპარაკის წინანდებური ხალისი აღარ ჰქონდა. ხანდახან საღამოობით აივანზე დიდხანს იჯდა გაჩუმებული. უწინ ჩემი ერთი მხიარული სიტყვა გაართობდა ხოლმე, ახლა კი ამაო იყო ყოველი ცდა. ჩემი უკანასკნელად ყოფნისას მთელი ექვსი დღის განმავლობაში ვეღარ ვნახე ღიმილი მის სახეზე. ცოტა გავისეირნოთ — ვუთხარი ერთ საღამოს, — მოციონი ძალიან სასარგებლოა-მეთქი.

— რაღა უნდა იყოს სასარგებლო, როცა ორიოდე წლის სიცოცხლეღა დამრჩენია — მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით.

დიახ, ვერ ვიცანი ილია, აღარ იტაცებდა ბუნება, აღარ

ართობდა საუბარი და ერთხელაც აღარ ამოუღია ხმა მწერლობის შესახებ. მისი სულიერი განწყობილების ზეგავლენით მეც დავკარგე მხნეობა. მაგონდებოდა გარდასული დრო და მასთან ერთად ჩვენი მეგობრული ურთიერთობის სიცოცხლე. რა ნათელი იყო ეს დრო! ვრცელი საუბრები პოეზიისა და მშვენიერებათა შესახებ, საქართველოსა და მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე! საუბრები, რომელშიაც ბრწყინავდა ილიას მდიდარი სული, — როგორ აღვწერო ეს ყველაფერი!.. ჩემთვის დღესასწაული იყო, როცა ვესაუბრებოდი მას და ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. მაგრამ არა მარტო მისი მდიდარი აზრების პოეტური თვისება მხიბლავდა, მხიბლავდა აგრეთვე მისი ჰუმანური შეხედულება კაცობრიობის შესახებ. განა ილია ჭავჭავაძემ არ დაწერა „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“?

ის აზრი და გრძნობა, რომელმაც ეს მოთხრობები დააწერინა, მისი ორმოცდაათი წლის საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველი და დევიზი იყო უკანასკნელ დღემდის. მას ამისათვის არ უღალატნია, მაგრამ ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვა „უმადურობას“. მეტად მძიმეა ყველა ამის შესახებ ლაპარაკი...

27 აგვისტოს, დილით, ილია, მისი მეუღლე ოლღა და მე ეტლით თბილისში წამოვედით. ღრუბლიანი დილა იყო, ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმაც წამოვიდა. ეტლს ჩარდახი არა ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალიან შეგვაწუხა.

იმ ადგილას, სადაც სამი დღის შემდეგ საშინელი მკვლელობა მოხდა, გზის ორივე მხარეს თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა მაშინ ფიქრადაც არ მქონია რ..იმე უბედურება: ილია ხომ ჩვენთან იყო, როგორ წარმოვიდგენდი, რომ მოხუც პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს, ხელს შეახებდა ვინმე? ილია ჩემ პირდაპირ იჯდა ჩაფიქრებული. ერთხელ თუ ორჯერ თქვა, გაციების მეშინიაო. ოლღას ფერი არ ედო, დაღონებული იყო, საზოგადოდ, უკანასკნელად მოწყენილად ვიმოგზაურეთ. როცა რკინიგზის ხიდთან მივედით, ამინდი გამოკეთდა და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდექით.

დიღმის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. ილია

აქ ცოტათი გამსიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მიეცა. გამოჩნდა ეზე და გაანათა ნაცნობი არემარე, სადაც ხშირად ერთად გვივლია. სახელდახელო სუფრას გახალისებულები მივუსხედით და წარსულიც მოვიგონეთ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი, გულითადი საუბარი. იმ დროს, როცა ილია იღიმებოდა, მეგონა, მისი გულიც მისცემოდა ლხენას, თუმცა ძველებური გამბედაობით აღარა.

ერთი საათის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ოლღას ქუჩაზე.

— ვნახავთ, ერთმანეთს! — მითხრა ილიამ.

ადგილს ვერ მოვშორდი, რატომღაც დიდხანს გავყურებდი მიმავალს, ვიდრე ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ გრძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ვეღარ ვნახავდი მას, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა!

მშვიდობით, მშვიდობით, ძვირფასო, დაუვიწყარო მეგობარო!..

შეექვსედ აღვნიშნავთ განსვენებული ილიას დაბადების დღეს, სულ უფრო და უფრო ვშორდებით მას და მის დროს.

1907 წელს 7 ოქტომბერს, როდესაც პირველად შევიკრიბეთ თეატრში, ჩვენ შორის ყველა მისი მეგობარი იყო. ისე გვეჩვენებოდა, თითქოს კვლავ გრძელდებოდა ის დროება, რომელსაც მან და მისმა მეგობრებმა დააჩნიეს სვე და კვალი.

დავით სარაჯიშვილი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი და სხვები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. თუმცა ილია აღარ იყო, მაგრამ მაინც გვეგონა, თითქოს მასთან მჭიდრო კავშირში ვიყავით. ახლა კი ყველამ დაგვტოვა და მასთან ერთად გაქრა წარსულიც. ისინი იყვნენ ტიპიური, მთლიანი ადამიანები, რომლებმაც თავიანთ სარბიელზე იმდენი გააკეთეს, რაც სხვებმა ერთად ვერ შესძლეს. და მერე რატომ? იმიტომ, რომ მათ ყველაზე უფრო მეტად შეეძლოთ მიზნების განხორციელებისათვის თავი დაედოთ, მათი ცხოვრება მუდმივი სწრაფვა იყო, რასაც ისინი სიკვდილამდე არ დაუღლია.

ჩვენს ხსოვნაში თითოეულმა მათგანმა თავისი მთლიანი ხასიათის სურათი დასტოვა, ყოველი მათგანი თავიდანვე რაიმე გარკვეულის განსახიერება იყო. როცა სარაჯიშვილს გაიხსენებთ, თვალწინ მისი სამრეწველო თაოსნობა, მისი ქველმოქმედება და საზოგადო საქმეებისათვის დაუღალავი ზრუნვა წარმოგიდგებათ. ასეთივე იყო დანარჩენების მოღვაწეობა. ისინი სანახევროდ არაფერს აკეთებდნენ, ამიტომაც დასტოვეს ცოცხალი კვალი, თუმცა ცხოვრება შეიცვალა და სხვა სახე მიიღო. მაგრამ, დაე, უფრო მეტად შეიცვალოს იგი! ისინი მაინც არ დაიხოცებიან, ცოცხალ მაგალითებად დარჩებიან შთამომავალთათვის!

გიორგი ლასხიშვილი

ივლისის პირველ რიცხვებში ჩამოვედი ტფილისს და გადავწყვიტე აქ დარჩენა საცხოვრებლად, რადგან ჩემი უეჭველი განზრახვა იყო ქართულ პრესაში მიმეღო მონაწილეობა. იმავითვე ამ განზრახვას სისრულეში მოყვანა ვერ გავბედე: მინდოდა ჯერ ქართველ საზოგადოებას, მწერლებს და მოღვაწეებს გავცნობოდი, მინდოდა ადგილობრივი ცხოვრება, ჩვენი ჟამთა სიავე, ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესები და საქმეები უკეთ გამეცნო. მინდოდა აგრეთვე წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის შემწეობით შემევსო ის საკმაოდ დიდი საკლი, რომელსაც ვგრძნობდი ქართულ ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაში. ამიტომ დავაპირე რაიმე ადგილის მოძებნა, რომელიც არ დამიშლიდა არც მეცადინეობას, არც შემდეგში მწერლობაში მონაწილეობის მიღებას და თან საჭირო საღსარს მომცემდა ცხოვრებისათვის, მით უფრო, რომ უკვე ოჯახის პატრონი ვიყავი.

ადგილი მალე მოვძებნე რკინის გზის სამმართველოს სამეურნეო განყოფილებაში. ჩემი სამსახური ხანგრძლივი არ ყოფილა. დუხჭირმა ძალამ, რომელმაც ჯერ უნივერსიტეტს დამაშორა და მერე ცხრა მთას იქით გადამისროლა, კიდევ ჩამკრა წიხლი (ვაი, რომ ახლაც არა უკანასკნელად). ერთ დილას მე დამიბარა თვით რკინის გზის უფროსმა (თუ არა ვცდები პუშეჩნიკოვმა). ჩემს განყოფილებაში ყველას გაუკვირდა, რადგან მართლა გაუგებარი იყო, რა საქმე ჰქონდა შედარებით პატარა მოხელესთან რკინის გზების უფროსს. მივედი და მისაღებ ოთახში კოტე მესხი დამხვდა, რომელმაც აგრეთვე რკინის გზის სამმართველოში, საკომერციო განყოფილებაში იშოვა ადგილი. როცა გავიგე, ისიც დაბარებულია, გულმა მიგრძნო, რომ აქ რაღაც „პოლიტიკური მიზეზი“ უნდა იყოს მეთქი. პატარა ხნის შემდეგ უფროსმა მიგვიწვია თავის კაბინეთში და კონფიდენციალურად გამოგ-

ვიცხადა: პეტერბურგიდან გზათა სამინისტროს განკარგულება მივიღეთ, რომ თქვენ გამორიცხულნი ხართ სამსახურიდანაო. რატომ, რა დავაშავეთ? შევეკითხეთ ჩვენ, მაგრამ უფროსმა გვითხრა, არაფერი ვიციო და გადაკვრით გაგვაგებინა, რომ აქ რკინის გზა არაფერ შუაშია: სხვა უწყების საქმე იქნებაო..

ცხადი იყო, რომელი უწყება გვისწორდებოდა, მაგრამ გასინჯეთ, დააფასეთ იმ გაბორორტებულ „უწყების“ სიმკაცრე, რომელსაც არ ეყო არც უნივერსიტეტიდან ჩვენი გაძევება, არც ციხეში დიდი ხნით დამწყვდევა, არც ციმბირში ხუთი წლით გადაკარგვა და ეს წიხლიც კიდევ მოგვაყოლა. ასეთ დამარცხების შემდეგ მე თავი დავანებე ახალ ცდას სამსახურის ძებნისათვის და საბოლოოდ გადავწყვიტე „სამწერლო ასპარეზისათვის“ მიმემართნა იმ ვადამდე, რომელიც წინად დავიდე.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს ოჯახში გაცნობილი მყავდა დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი და იმასა ვთხოვე ილია ჭავჭავაძესთან წავეყვანე. 1895 წლის იანვრის შუა რიცხვებში, კვირა დღეს წავედით ილიასთან, რომელიც მაშინ იდგა თავის დიდ სახლში, ავჭალის ქუჩის ბოლოს; იქვე იყო „ივერიის“ რედაქცია, სადაც ვაპირებდი მუშაობის დაწყებას. გულის ფანცქალით მივსდევდი კიბეზე დავით გურამიშვილს. ფიქრი, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ პირდაპირ უნდა მენახა ის, ვისაც ცხოვრების რიჟრაჟზე შორიდან თაყვანს ვსცემდი, მახარებდა და მაღელვებდა საშინლად. მადამ სიუვარი მოგვითხრობს თავის მემუარებში, როგორის გრძნობით მივიდა ფერნეიში ვოლტერის სანახავად. „წმ. ტერეზას ღვთისმშობლისადმი გიჟურს აღფრთოვანებას გადააჭარბა ჩემმა გრძნობამ და აღელვებამ, როცა დიდებულ ვოლტერის კაბინეთში შევედიო“. გიჟურ აღფრთოვანების რა მოგახსენოთ, აქამდე არ მივსულვარ, და ვერც მოვიდოდი, რადგან ილიას, როგორც პუბლიცისტს, მაშინაც კრიტიკულად ვუცქერდი, მაგრამ დიდად აღელვებული რომ ვიყავი, ეს ცხადია.

პატარა ოთახში, რომელშიაც ჩვენ შევედით, წიგნების მეტი ვერაფერი დავინახე: წიგნები შკაფზე, წიგნები დიდ თაროზე, დიდი მაგიდა, წიგნებით დატვირთული. ილია ხალათში, გამოწყობილი, მაგიდას უჯდა და რაღაცას სწერდა. წამოდგა და მეტად სიმპატიურის ღიმილით მოგვესალმა.

დ. ა. გურამიშვილმა წარმადგინა, გადასცა ჩემი განზრახვა და თხოვნა... ილიამ რაღაცეები მითხრა, მაგრამ მე იმდენად დავიბენი, რომ არაფერი მესმოდა და გაჩუმებული ვიჯექი. პატარა ხნის შემდეგ ილია მომიბრუნდა და მითხრა:

— ვიცი თქვენი თავგადასავალი და ახლანდელი განზრახვაც: გუშინ უკვე გადმომცა დათიკომ (დავით გურამიშვილს გულისხმობდა). მაგრამ წარმოდგენილი გაქვთ რა ეკლის გზაზე დგებით? ქართული მწერლობა ვერაფერს მოგიტანთ, ტანჯვის მეტს.

მე ვუპასუხე, რომ აქამდე თუ სხვისთვის ვიტანჯებოდი, ამიერიდან უფრო დიდი საქმის გამო მაინც შემხვდება ტანჯვა, რაც სრულებით არ მაშინებს-მეთქი.

— კარგი, განაგრძო ილიამ, დაიწყეთ მუშაობა რედაქციაში. სასყიდელს ამთავითვე დიდს ვერ მოგცემთ. მერე ვნახოთ! ამ დროს კაბინეთში სხვები შემოვიდენ და ამით გათავდა ჩემი პირველი, იმხანად მოკლე აუდიენცია ილიასთან. მეორე დღეს მე უკვე „ივერიის" რედაქციაში ვიყავი და მუშაობას შევუდექი.

ციმბირიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, ჩემთან მოვიდა მ ი ხ ა ჩ ო დ რ ი შ ვ ი ლ ი. ძალიან მესიამოვნა მუშა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლის გაცნობა, დაუახლოვდი და ცოტა ხანს კარგ განწყობილებაში ვიყავით. იმ დროს იგი გატაცებული იყო ხელოსანთა არტელის თუ საზოგადოების დაარსების იდეით. წესდება შევადგინეთ და მე წერილებიც მოვათავსე ამ საქმის შესახებ „ივერიაში". მიხამ მითხრა, მოდი ერთი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს გავაცნოთ წესდება და ეს საქმეო. ზაფხულის თვეები იყო და ილია იმჟამად საგურამოში ცხოვრობდა. წავედით და იქ ვესტუმრეთ; წავაკითხეთ ილიას წესდება და გავაცანით მთელი საქმე. ილია თანაგრძნობით მიეგება ხელოსანთა საზოგადოების დაარსების იდეას, მიუბრუნდა და უთხრა მიხას:

— მშვენიერი აზრია. დროა, კაცო, მოაშოროთ ჩარჩები მუშახელოსანს და მომხმარებელსაც. მხოლოდ ერთი რამ მომწონს თქვენ წესდებაში: აქ სულ ხელოსანთა უფლებაზეა

ლაპარაკი, მოვალეობაზე კი არაფერია. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოსო. სათანადო შესწორება იქვე შევიტანეთ წესდებაში და, რამდენიმე საათის შემდეგ, ნასიამოვნები ილიას კარგი მიღებითა და საინტერესო ბაასით, ტფილისში დავბრუნდით. ჩოდრიშვილმა ბოლოს საზოგადოება დააარსა, მაგრამ მერე რა ბედი ეწია მას, მე აღარ ვიცი.

„ივერია" იმ ხანად, უნდა ითქვას, სუსტი გაზეთი იყო. ის რაც შეადგენს გაზეთის ერთ-ერთ მთავარ ძარღვს, ინფორმაცია, სრულებით გაზეთს არ ჰქონია. დეპეშები და ახალი ამბები რუსულ გაზეთებიდან ითარგმნებოდა, ასე რომ „ივერიის" მკითხველი ტფილისში მიღებულ დეპეშებს მხოლოდ სამი დღის შემდეგ წაიკითხავდა.

ამის მიზეზი ის იყო, რომ ასოთამწყობები საღამოს ხუთ საათზე ათავებდენ გაზეთის აწყობას და კორექტურის გასწორების შემდეგ სტამბიდან მიდიოდენ; დეპეშები კი ღამის ათ-თერთმეტ საათზე მოდიოდა რუსულ ენაზე.

პირველი იერიში ამ ანორმალურ გარემოების წინააღმდეგ მე მივიტანე. დავიყოლიე დავით მიქელაძე და ერთ საღამოს ილია რედაქციაში მოვიწვიეთ სათათბიროდ. დავითმა მიმართა ილიას მთელი სიტყვით:

— ყოვლად უხერხულია დეპეშების ასე დაგვიანებით ბეჭდვა; ამიტომაა, რომ ასე ცოტა მკითხველი გვყავს: ვერც ახალ ამბებს ვაწვდით დროზე, ვერც დეპეშებს; სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია, ილია, გაზეთს შენი სახელი აწერია და ძველ-ძველი დეპეშებით და ამბებით უმასპინძლდები მკითხველსაო... ეს საქმე ადვილი გამოსასწორებელია. პატარა ხარჯი გავიღოთ, კარგი ქრონიკიორი ავიყვანოთ, ახალ ამბებისათვის; დეპეშებისათვის კი დაგვჭირდება ერთი ასოთამწყობი ღამითაო.

ილიამ ცივი უარი განაცხადა. ეს თვეში ათ თუმანს მოითხოვს სულ უკანასკნელს, წელიწადში 1200 მან. და თქვენ ხომ იცით, რომ გაზეთი ისედაც დეფიციტს იძლევაო...

დ ა ვ ი თ მ ი ქ ე ლ ა ძ ე ს ახლა მე მივეშველე და დავუწყე ილიას რწმუნება, რომ გაუმჯობესებული გაზეთი ტირაჟს

ასწევს და დეფიციტი აღარ იქნება, ილიამ დაიბარა თავისი სამეურნეო ნაწილის გამგე მ ა ქ ს ი მ ე შ ა რ ა ძ ე და დაუწყო გამოკითხვა, რა დაგვიჯდება ღამის 12 საათამდე ასოთ-ამწყობის მორიგედ დატოვებაო. მაქსიმემ დაიწყო ანგარიში და მორიგე ასოთ-ამწყობის და აგრეთვე, ქრონიკიორის დაქირავება წელიწადში ას თუმანზე მეტად იანგარიშა, ილიამ გადაჭრით უარი სთქვა: ისედაც ჩემ ჯიბიდან ვაძლევ ფულს და მეტი აღარ შემიძლიაო.

— კარგი, ილია, მიუბრუნდა დავით მიქელაძე, არ ღირს კაპეიკების ანგარიში, სირცხვილია სხვა რომ არა იყოს რა.

— თუ არ ღირს და, შენ მდიდარი ყოფილხარ, შენ მიეცი შენი ჯიბიდან, მოუჭრა ილიამ და გაბრუნდა.

დავით მიქელაძე ძალიან გააჯავრა ამ ინციდენტმა.

გადავწყვიტე, რომ ჩემმა პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მაგრამ მეორე დღეს მაქსიმე შარაძემ გამოგვიცხადა: ამ დილით ადრე ილიამ დამიბარა და მიბრძანა, ღამით დეპეშების ბეჭვდის საქმე მოაგვარეო.

პატარა ხნის შემდეგ ილია ქრონიკიორების მოწვევაზედაც დათანხმდა. მოვუხშირეთ სახელმძღვანელო წერილების და მეთაურების წერას. ამაში გამოვიყენეთ ნიჭიერი ახალგაზრდა მგოსანი გრიშა აბაშიძე, რომელსაც თემებს ვაძლევდით მე და დავით მიქელაძე და ამ თემებზე გამოგვიცხობდა კარგის ენით და სხარტულად დაწერილ წერილებს „შროშანას“ ფსევდონიმით. მალე ვას. წერეთელიც მოგვეხმარა თავის საპოლემიკო წერილებით. შემდეგ კიდევ კიტა აბაშიძე კრიტიკულ წერილებით და ამრიგად ცოტა არ იყოს გაზეთი გამოვაცოცხლეთ.

ილიას ჩვეულება ჰქონდა წელიწადში რამდენჯერმე თავის მეგობრების მოწვევა, ახალი წლის შეხვედრა, მეუღლის, ოლღას (გურამიშვილის ასული) დაბადების დღეს, აღდგომის კვირის ერთ-ერთ დღეს გამართავდა ხოლმე ასეთ წვეულებას და ჩვენც, რედაქციაში მომუშავეთ მიგვიწვევდა. ადრე შევიკრიბებოდით და ვახშმობამდე გაიმართებოდა ან კამათი, ან და ილია თავის მოგონებებს გვიამბობდა. ილია კარგ

გუნებაზე როდესაც იყო, მეტად სასიამოვნო და საინტერესო საუბარი იცოდა...

ილიას გარდა ხანდახან იმის მეგობრებთანაც ვიკრიბებოდით, უფრო ხშირად ანტონ ფურცელაძესთან. ანტონს უყვარდა თავის ნაწარმოებების ჩვენს წრეში წაკითხვა. ანტონი წაგვიკითხავდა თავის ახალ შრომას, დაიწყებოდა კამათი, საუბარი, ილიასი და ნიკო ხიზანიშვილის ოხუნჯობა, მერე ამას მოჰყვებოდა ვახშამი.

მაგონდება სასაცილო ამბავი. ნიკო ხიზანიშვილი დიდი გურმანი იყო, უყვარდა კარგი ჭამა. ანტონთან რომ მივიდოდა, თავდაპირველად უკანა ოთახებსა და სამზარეულოში გავიდოდა დასაზვერავად — მზადდება თუ არა ვახშამიო. როცა გაიგებდა, კარგი ვახშამიაო, მშვენიერ გუნებაზე დადგებოდა და ლმობიერი კრიტიკოსიც იყო. თუ არა და გესლიანის კრიტიკით დაეტაკებოდა მასპინძელს. ერთხელ ანტონმა მიგვიწვია, რაღაც დავსწერე და წავიკითხოთო. ნიკო ცოტა გვიან მოვიდა. ჩვეულებისამებრ, მაინც ჯერ დასაზვერავად წავიდა. ანტონს უკვე ნახევარი წაკითხული ჰქონდა. ეს იყო წერილი შექსპირის შესახებ. ანტონ ფურცელაძეს არ უყვარდა შექსპირი, არ სწამდა მისი არა თუ გენიოსობა, უბრალო მხატვრულ ნიჭსაც ართმევდა. ცხადია, პისარევის გავლენით ჰქონდა შემუშავებული ეს უცნაური შეხედულება. სხვათა შორის სასაცილო ის იყო, რომ ანტონი შექსპირს ცრუმორწმუნეობას სწამებდა და უსაყვედურებდა, „ჰამლეტში" აჩრდილის გამოყვანას. ბეკონის საუკუნეში შექსპირს სული სწამდა და სცენაზე გამოჰყავდა მკვდრების აჩრდილები. დაასრულა თუ არა ანტონმა კითხვა, ნიკო წამოდგა და დაიწყო ულმობელი კრიტიკა, ქვა-ქვაზედ არ დასტოვა წერილიდან და უმოწყალოდ სამასსროდ აიგდო მოხსენების ავტორი. ჩვენ მივხვდით, რაშიც იყო საქმე და თვით ანტონიც ღიმილით უსმენდა. როცა ნიკომ დაასრულა თავისი გესლიანი სიტყვა, ანტონი მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— სჩანს, მარია მოისეევნას (ანტონის მეუღლე იყო) ვახშამი არ დაუმზადებიაო.

ზაფხულობით, სახელდობრ ილიას დღეს, 20 ივლისს, ილიას საგურამოში ვესტუმრებოდით. ამ დღეს იქ თავს იყრიდა დიდძალი საზოგადოება. ილიას მეგობრები და ამხანაგები;

მისი პატივისმცემელნი ტფილისიდან, ქუთაისიდან, სოფლებიდან, ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზრდობა. სუფრა ადრე გაიშლებოდა. რამოდენიმე სუფრა მეორე სართულში და რამოდენიმე ეზოში, საგურამოს გლეხებისათვის. სადილი ადრე იწყებოდა და საღამომდე დიდი ქეიფი იყო. საღამოს ბევრი წავიდოდა, მაგრამ ბევრი მეორე დღემდე რჩებოდა, მისი ახლობელნი-კი რამდენსამე დღეს რჩებოდენ ილიასთან. ილიამ ღვინის სმა კარგი იცოდა, როგორც კახელმა, მაგრამ ზომიერად სვამდა. ძალიან უყვარდა სიმღერის მოსმენა, მაგრამ თვითონ არც ხმა ჰქონდა, არც სმენა. ძალიან უყვარდა სიმღერა „მუმლი მუხასა" და ეს იყო, მგონი, ერთად-ერთი სიმღერა, რომლის ასრულებაში თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

„მუმლი მუხასა
გარს ეხვეოდა"

დაიწყებდა ილია და ბოლოს მაღალის ხმით, მაგიდაზე მუშტის დაკვრით, გაათავებდა:

„მუმლი დაიხრჩო
მუხა გადარჩაო"

ისეთი ახალგაზრდულის გატაცებითა და გრძნობით შეჰყვირებდა, თითქო თვალწინ ხედავდა, როგორ იხრჩობოდენ საქართველოს მტერნი (მუმლი) და როგორ გადარჩა მუხა (საქართველო). ძალიან უყვარდა ილიას სუფრაზე ლექსების მოსმენაც. ხშირად ათქმევინებდა ხოლმე ლექსებს მგოსნებს ვაჟა-ფშაველასა და გრ. აბაშიძეს, აგრეთვე კოლა ერისთავს, რომელმაც ბევრი ლექსი ჩვენი პოეტებისა იცოდა ზეპირად და დიდის ექსპრესიით კითხულობდა. უნდა შევნიშნო აქ, რომ ილია დიდის პატივისმცემელი იყო ვაჟასი და მის პოეტურ ნიჭს ძალიან მაღლა აყენებდა.

სადილის დასრულებამდე ილია ჩავიდოდა ეზოში გლეხებთან, იქ დალევდა მათთან და ამღერებდა ხალხურ ლექსებს. ნასადილევს გაამართვინებდა ჭიდაობას, რომელშიაც ჩამოსული სტუმრებიც იღებდენ მონაწილეობას.

ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წელსავე (1895), შემოდგომაზე, ჩვენს ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ორ დიდ ამბავს, რომელთაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე და წარუხოცელი ხსოვნა დასტოვეს მთელი ერის გულში.

ეს იყო — კრწანისის ბრძოლის მოგონება და მგოსნის რაფიელ ერისთავის იუბილე.

სწორედ ამ წელს შესრულდა ასი წელიწადი იმ საშინელ დროდან, როცა სპარსეთის ბრძანებელმა აღა-მაჰმადხანმა ააოხრა და მიწასთან გაასწორა საქართველო. განრისხებული იმ ურთიერთობით, რომელიც მაშინ დამყარდა რუსეთსა და საქართველოს შორის, აღა-მაჰმადხანი დიდძალი ჯარით შემოესია ამიერ-კავკასიას, სწრაფად გადმოლახა სომხეთის პროვინციები და მოადგა ტფილისს. ერეკლე მეფე მედგრად დაუხვდა მტერს და კრწანისის ველზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც ერთმუჭა ქართველმა ლაშქარმა, ერეკლე მეფის წინამძღოლობით, თავი ისახელა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირულობით. ერეკლე დამარცხდა, იძულებული შეიქნა ტფილისი დაეტოვებინა და მთაში გახიზნულიყო.

ხორცითა და სულით მახინჯი აღა-მაჰმადხანი შეიჭრა ტფილისს და ქვა-ქვაზედ არ დასტოვა.

აი, ეს საშინელი დრო მოიგონა ქართველობამ 1895 წელს. თუ არ ვცდები, ამის თაოსნობა ეკუთვნის ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მაშინდელ წინამძღოლს თავ. კონსტანტინე მუხრანსკის. ყოველ შემთხვევაში, მთავრობისაგან ნებართვა ამან გამოიტანა, არავითარი წინასწარი მზადება არ ყოფილა; მხოლოდ გაზეთებში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი და შენიშვნა, რომელიც ასი წლის წინათ მომხდარ საშინელებას აგონებდა ქართველ ერს. დადგა 11 სექტემბერი — იმ დღის მოგონებისათვის დანიშნული ვადა. ადრე დილიდანვე ტფილისს დაეტყო რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება, მოძრაობა. 10—11 საათიდან იწყო ხალხმა დენა. პატარა ხნის შემდეგ, ვორონცოვის ქუჩით, დიდძალი ხალხი ამოძრავდა. მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, მუშა თუ ხელოსანი,

ვაჭარი და მოქალაქე, ინტელიგენტი, თავად-აზნაური, ეროის სიტყვით, თითქო მთელი ტფილისი ამოძრავდა განურჩევლად წოდებისა, მდგომარეობისა და ეროვნებისაც კი (დიდძალი სომხობაც დაიძრა). ვორონცოვის ქუჩა და შემდეგი გზა კრწანისის დიდ მინდვრამდე, ავსილი იყო მიმავალ ხალხით. როცა მე და რედაქციის სხვა თანამშრომლებმა მივაწიეთ დანიშნულ ალაგას, გადაგვეშალა თვალწარმტაცი სურათი. დიდ მანძილზე თავი მოეყარა ზღვა ხალხს. გარდა ტფილისელებისა, აქ იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოსულნი გლეხებიც. აქა-იქ მოსჩანდა ამქრების გაშლილი ბაირაღები. აქეთ-იქიდან ისმოდა ზურნის სევდიანი ხმა. ძნელია ამოდენა ხალხის რაოდენობის გამორკვევა. მახსოვს ამაზე დავაც ჩამოვარდა: ზოგი იძახოდა, ასი ათასამდე ხალხი იქნებაო, ზოგი ათი-ათასობით, ზოგიც ათასობით ანგარიშობდა. ყოველ შემთხვევაში, იმ ხანებში არავის უნახავს ამდენი თავმოყრილი ხალხი და ყველაზე უფრო საგულისხმიერო ისაა, რომ ეს ამოდენა ხალხი თავის ნებით იყო მოსული: არავის არ უზრუნვია წინასწარ მისი შეკრებისათვის. ხალხი მოვიდა აღტყინებული საზარელის მოგონებით, რათა პატივი ეცა თავდადებულ გმირთათვის.

შუადღის შემდეგ დაიწყო პანაშვიდი. ალექსანდრე ეპისკოპოსმა „საუკუნო ხსენება“ წარმოსთქვა მეფე ერეკლესი და იმ გმირთა, რომელთაც თავი დასდეს კრწანისის ველზე საამშობლოს დასაცავად. ხალხის აღელვებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ბევრმა დაიჩოქა, გაისმოდა სამგლოვიარო მარში, მუსიკისა და ზრუნვის სევდიანი ჰანგი.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით ჩვენ, ახალგაზრდებმა, დიდი ეროვნული აღტყინება განვიცადეთ.

ცოტა უფრო გვიან, ოქტომბერში, მოხდა მეორე ეროვნული დღესასწაული: რაფიელ ერისთავის იუბილე. ამის თაოსნობა ეკუთვნის აკაკი წერეთელს. ზაფხულის თვეებში მან ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდა წერილი, რომლითაც გაახსენა საზოგადოებას რაფიელის მოღვაწეობის 50 წლის შესრულება და მოუწოდა ამ საგულისხმიერო ამბის აღნიშვნისათვის. დაარსდა კომიტეტი, რომელიც შეუდგა იუბილეის მზადებას. დაინიშნა დღესასწაულის დღეც: 22 ოქტომბერი.

შემდეგში და ჩვენს დროშიაც იუბილეები ისე გახშირდა და ისე შაბლონურად იმართება, რომ აღარავიზე შთაბეჭდილებას აღარ ახდენს. რაფიელის იუბილე — კი პირველი ამგვარი დღესასწაული იყო ჩვენში და ძლიერ ღრმა კვალი დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ერზე: ოცდაათ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, მაგრამ ახლაც, როცა მაგონდება ის ბრწყინვალე დღესასწაული, გული სიამოვნებით მიტოკავს.

იშვენიერი მზიანი და თბილი შემოდგომის დღე იყო. 11 სააოისათვის იწყო დენა ხალხმა ქართულ თეატრისაკენ (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, ყოფილ სასახლის ქუჩაზე). თეატრის შესავალი და თვით თეატრი მორთული იყო ყვავილებით, გირლანდებით და გვირგვინებით. პატარა სანში თეატრი სრულიად აივსო ხალხით, სადღესასწაულოდ მორთულ მანდილოსნებითა და მამაკაცებით. ტევა აღარ იყო და მრავალი ხალხი თეატრის დერეფანში და ეზოში დარჩა.

აიხადა ფარდა და შეკრებილთა თვალწინ გადაიშალა ჯერ უნახავი სურათი: მშვენივრად მორთულ და მძლავრად განათებულ სცენაზე მარჯვნით და მარცხნით იდგნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დეპუტატები გვირგვინებით, საჩუქრებით და ადრესებით ხელში. ნაირ-ნაირი ტანისამოსით სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალები და კაცები: გურიიდან და ქობულეთიდან გურულ ტანისამოსში, ფშავ-ხევსურნი ჯავშანში, იმერნი თეთრ ჩოხა-ახალუხში, ქართლ-კახელნი ძველებურ ყურთმაჯებში და ტფილისელ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სტუმრები ევროპულ სადღესასწაულო ტანთსაცმელში საუცხოვოდ ირეოდნენ ერთმანეთში. შუა ადგილას იდგა იუბილარისთვის გამზადებული სავარძელი, რომლის მშვენიერ მორთულობას აბრწყინვალებდა სცენაზე გამართული ელექტრონის მზე.

მოისმა გარედან „ვაშას“ ძლიერი ხმა, გაისმა მუსიკა: ილიამ და აკაკიმ თეთრ ცხენებშებმული ლანდოთი მოიყვანეს რაფიელი. გამოჩნდა თუ არა იუბილარი სცენაზე, მთელი საზოგადოება ფეხზე წამოდგა და გაისმა ძლიერი ხანგრძლივი ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი. აღტაცებული საზოგადოება არ ცხრებოდა და აღარ ისმოდა რატილის გუნდის და გურულ მომღერალთა სიმღერა. ბოლოს საზოგადოება

დაწყნარდა და იუბილარმა თავისი ადგილი დაიჭირა: მარჯვნით და მარცხნით მოუსხდნენ აკაკი და ილია და დაიწყო მილოცვები. არ ყოფილა არც ერთი კუთხე საქართველოში, არც ერთი საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულება ტფილისში ქართული, სომხური თუ რუსული, რომელსაც არ გამოეგზავნოს აქ თავისი წარმომადგენელი და მიმილოცველი. შემდეგ გამოვიდენ და ლექსებით მიულოცეს ნინო ორბელიანმა, ირ. ევდოშვილმა, დიმ. მაჩხანელმა, არტემ ასნაზაროვმა, აპ. წულაძემ და სხვებმა. ბოლოს გამოვიდა ახალგაზრდა მგოსანი გრ. აბაშიძე. ამის გამოსვლამ, მოკლე გრძნობიერმა სიტყვამ და დიდის აღტაცებით წარმოთქმულმა ლექსმა უდიდესი აღელვება და აღტაცება გამოიწვია:

„აჰა, შემოკრბენ ივერნი სიამით, სიხარულითა,
გულს გიმხნევებენ, გეტრფიან მადლობით, სიყვარულითა,
მოხუცო, გაგვილომკაცდი, ჯერ არ სცნო დაძაბუნება,
შეგვაფოლადე სიმღერით და კვლავ გვიდიდე ბუნება“.

დიდის აღელვებით დაამთავრა მან და დიდად ააღელვა როგორც დამსწრენი, ისე იუბილარი. რაფიელი ფესზე წამოდგა და თვალცრემლიანი გადაეხვია ახალგაზრდა პოეტს.

საღამოს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ საიუბილეო წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს იუბილარის მსიარული პიესები „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდენ“ და „ბიძიასთან გამოხუმრება“. პატარა როლებიც კი მთავარმა არტისტებმა შეასრულეს და წარმოდგენა მშვენიერი იყო.

წარმოდგენის შემდეგ, იქვე, თეატრის ფოიეში, გაიმართა დიდი ნადიმი, რომელსაც 200-ზედ მეტი კაცი დაესწრო. იყვნენ ყველა ჩვენი მაშინდელი მოღვაწენი, მწერლები და პოეტები, იუბილარის მრავალნი პატივისმცემელნი, ჩამოსული დეპუტატები სხვადასხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა, უცხო სტუმრები, ამათ შორის ახლად ჩამოსული რუსთა პოეტი ვას. ველიჩკო. უკრავდა მუსიკა და დუდუკი, მღეროდენ სხვადასხვა გუნდები. პირველი სადღეგრძელო, რასაკვირველია, რაფიელ ერისთავის დაილია. მერე აკაკის და ილიასი, შემდეგ დეპუტატების და სხვა. სიტყვები წარმოსთქვეს ილიამ, აკაკიმ, ვანო და მიხეილ მაჩაბელებმა, გიორგი წერეთელმა, კარლო ჩხეიძემ და სხვებმა.

მახსოვს ველიჩკოს გამოსვლა. იმას, ალბად გაგონილი ჰქონდა, აკაკის და ილიას შორის რომ ვერ იყო კარგი განწყობილება და წარმოსთქვა რუსული ლექსი — ექსპრომტი, რომელშიაც უსურვა ორ დიდ პოეტს შერიგება და კეთილი ურთიერთობა.

აკაკიმ ველიჩკოს ეს გამოსვლა ძლიერ იწყინა და გაჯავრებით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა. ამ უცხო კაცს ჩვენი ვითარების არაფერი ესმის და იმიტომ შედის შეცდომაშიო, ჩვენ თუ ერთმანეთში უთანხმოება და კინკლაობა გვაქვს, ეს იმით აიხსნება, რომ გვინდა ურთიერთი წავახალისოთ მეტ მუშაობაზე. გაჭირვება თუ რამ დაედგა ჩვენს ერს, ყველანი შეერთდებითო და სხვა. ასე იმართლებდა თავს აკაკი. ილია-კი, როგორც ჩვეულება ჰქონდა, როცა მის პირადობას შეეხებოდნენ, ჩუმად იჯდა და იღიმებოდა.

დიდი მხიარულება სუფევდა სუფრაზე. მგოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ექსპრომტებითა და ლექსებით, ახალგაზრდები იმღეროდენ და ცეკვავდენ. ბოლოს წამოდგა არტისტი კოტე მესხი და განაცხადა — მოისმინეთ ძვირფას იუბილარის სამადლობელი ლექსიო.

— მე კი რა მეთქმის, რაღა ვსთქვა,
რა დამრჩა მოსალოცავი,
ერთი რამ მხოლოდ, ერთი რამ,
ის არის კარგი და ავი.
ეს არის ჩვენი აქ მოყრა,
ეს კრება შეერთებული
საერთო გრძნობა და ძმობა,
ერთბაშად გაღვიძებული...“

დიდის აღფრთოვანებით და მხიარულებით დასრულდა ნადიმი.

ასე დიდებულად ჩაიარა ქართველ ერის ამ პირველმა ეროვნულმა დღესასწაულმა.

1907 წლის 30 აგვისტოს გვიან საღამოთი ვზივართ რედაქციაში გაზეთის მომუშავენი და ვათვალიერებთ მასალას

შემდეგი ნომრისათვის. შემოდის მოსამსახურე და ახლად მიღებულ რაღაც დეპეშას მაწვდის. ეს იყო თავზარდამცემი დეპეშა ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ. იმ დღეს შემოთხვევით მცხეთაში მყოფი ჩვენი ამხანაგი ვლ. ლორთქიფანიძე გვატყობინებდა:

დღეს ნაშუადღევს, წიწამურის გზაზე, თავის მამულ საგურამოში ეტლით მიმავალ ილია ჭავჭავაძეს თავს დაესხა ავაზაკთა ბრბო. ილია მოჰკლეს, მის გვერდით მყოფი მეუღლე ოლღა მძიმედ დასჭრეს. მივდივარ საგურამოს დაწვრილებით ამ საზარელ ამბის გასაგებად.

იმდენად მოულოდნელი და საშინელი იყო ეს ამბავი, რომ პირველი წაკითხვით ვერაფერი გავიგე, არ მჯეროდა და მეორედ წავიკითხე. თავბრუ დამესხა, ძალზე გაფითრებულს მომვარდენ იქ მყოფი თანამშრომლები და დეპეშა ხელიდან გამოსტაცეს. იმდენად დიდი იყო ჩვენი მწუხარება, რომ მისი აღწერა მე არ შემიძლია. ახლაც, ოცი წლის გასვლის შემდეგ, ტანში ჟრუანტელი მივლის იმ წუთების გახსენებაზე.

ილიას მოკვლის ამბავი იმავ ღამეს მთელ ტფილისს მოედო. ჩვენს რედაქციას გვიან ღამით დიდძალი საზოგადოება მოაწყდა. მეორე დღესაც განუწყვეტლივ მოდიოდა ხალხი დაწვრილებით ამბების გასაგებად. იმ დროის გაზეთები სავსეა ამ მხეცურ მკვლელობის ამბებით და აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელი საქართველო, მთელი შეგნებული ნაწილი ქართველ ერისა ააღელვა, შეაშფოთა და უზომოდ შეაწუხა ჩვენი დიდი პოეტის და დიდი მოამაგის ასეთმა ტრაგიკულმა დასასრულმა.

მესამე დღეს ილია საგურამოდან წამოასვენეს. ოლღას ქუჩის დასაწყისში (ახლა ლენინის ქუჩა) საქართველოს სამხედრო გზის ბოლოში, ძვირფასს ცხედარს მთელი ტფილისი დასდგა... ორი დღის შემდეგ პოეტის გვამი სიონის ტაძრიდან გაასვენეს მთაწმინდაზე. არც მანამდის, არც შემდეგ, ალბათ ტფილისს არ უნახავს ასეთი დასაფლავება. ზღვა ხალხი მოაწყდა ქუჩებს. დეპუტაციები იყო საქართველოს ყველა კუთხიდან. აუარებელი გვირგვინები—ცოცხალ ყვავილების და ვერცხლისა — დიდი წესრიგით გაემართა პროცესია. იმ დღეს მეთვალყურენი ამბობდენ, პროცესიის თავმა გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტიდან მთაწმინდის ქუჩას რომ შეუხ-

ვია, პროცესიის — ბოლო ჯერ კიდევ ერევნის მოედანზე იდგა და ნელ-ნელა მიდიოდა წინო. ვორონცოვ-დაშკოვის ბრძანებით ქუჩებში ჯარიც იდგა და სამხედრო სალამს აძლევდა ცხედარს, რადგან ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო.

სიტყვები წარმოითქვა მრავალი: ჯერ სიონში, შემდეგ ერევნის მოედანზე და საფლავთან, მამადავითზე. დიდი ამაღელვებელი მომენტი იყო, როცა სასახლის ქუჩაზე პროცესია გააჩერეს და სასტუმრო „კავკაზიდან“ ხელით ჩამოიყვანეს მაშინ ავადმყოფი ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. ბოლოს ატირდა და მიაძახა: „მეც მალე მოვალ შენთან, ილია“... ღამდებოდა, როცა მიწაში ჩავასვენეთ დიდებულ ადამიანის გვამი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელები მალე დაატუსაღეს. ერთი წლის შემდეგ სამხედრო სასამართლომ ამათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ამ გარემოებამ იმ ხანად გამოიწვია დიდი აღელვება. უპირველეს ყოვლისა განსვენებული პოეტის მეუღლემ, ო ლ ღ ა თ ა დ ე ო ზ ი ს ა ს უ ლ მ ა, მხურვალე წერილით მიჰმართა ტფილისის გენერალ გუბერნატორს და სთხოვა:

ჩემი ქმრის მკვლელთ სიკვდილით ნუ დასჯითო.

ამ შესანიშნავმა და კეთილშობილმა წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

სალომე ლოლაძე

მე ქართლელი გახლავართ. ილიას მამის ოჯახში პომიყვანა **დავით ერისთავმა**, ილიას ნათლიამ. ვიქნებოდი 8—9 წლისა, ილიაც ჩემი ხნისა იქნებოდა. ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრე რიგად არ უყვარდა. ძლიერ მეცადინეობდა და კითხვა უყვარდა. მეტის მეტი ჯანმრთელი იყო, ძრიელ სრულიც, ასე რომ ეშინოდათ კიდეც მშობლებს ამისი გადაჭარბებულ სიმსუქნისა.

პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მასსოვს, ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე. მაგრამ დავბერდი და ოვით ლექსები დამავიწყდა, თორემ წინათ კარგად ვიცოდი. ხშირად მოიხმობდა ხოლმე ბავშვი ილია ბიჭ-მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა.

ერთხელ ერთმა რაღაც ბინძური ლექსი უთხრა. ილიას არ ეჭაშნიკა და მოლექსე გააგდო: „შენ კარგი ლექსები არა გცოდნიაო“.

მეტის მეტი სათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს. ხშირად გაგზავნიდა ხოლმე მისი მამიდა მუშების დასათვალიერებლად და სამუშაოდ დასაბახებლად. ილია მალე დაბრუნდებოდა მარტო და კი არავის მოიყვანდა. მამიდა გაუჯავრდებოდა ხოლმე. ილია კი უპასუხებდა: „ოჰ, მამიდაო, ისე ტკბილადა სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო“. პატარაობისას ილიას ჭამა აგრე რიგად არ უყვარდა და ძმებთანაც კარგად თავსდებოდა, ხოლოდ გარდა უფროსის ძმისა კოტესი. ამასთან როგორღაც ვერ თავსდებოდა.

ილიას დედა სახით ლამაზი დედაკაცი იყო, ხოლოდ მეტის მეტად სრული. ქართული კარგად იცოდა. ილიას დედის გარდაცვალების შემდეგ, თავ. გრიგოლმა, ილიას მამამ, დაიბარა თავისი და მაკრინე, არაგვის ერისთავის მეუღლე და მას აქეთ ეს ქალი იყო ოჯახის გამგე. ილიამ მაჩუქა დუქნის ალაგი და დიდათ მწყალობდა.

იაკობ მანსვეტაშვილი

1886 წელს დავიწყე მუდმივი თანამშრომლობა ყოველდღიურ გაზეთ „ივერიაში“, რომლის რედაქტორად და მეთაურად იყო ილია ჭავჭავაძე. მუდმივ თანამშრომლად იმ დროს ითვლებოდნენ აგრეთვე: გიგა ყიფშიძე, ილია ხონელი (ი. ბახტაძე), სტ. ჭრელაშვილი („სანოს“ ფსევდონიმით), ალ. ნანეიშვილი. თანამშრომლობდენ აგრეთვე, თუმცა მუდმივ რედაქციაში არ მუშაობდნენ: ხიზანაშვილი („ურბნელის“, „პლებსის“ ფსევდონიმით), სოფრომ მგალობლიშვილი („გუმცაძეს“ ფსევდონიმით). ცოტა მოგვიანებით მუდმივ თანამშრომლად შემოვიდა არტ. ახნაზაროვი. გვაწვდიდნენ წვრილმან წერილებს და ლექსებს აკაკი და რაფიელ ერისთავი. გიორგი წერეთელმა მოათავსა გაზეთში თავისი მოთხრობა „მამიდა ასმათი“.

ილია ხონელი გვაწვდიდა კვირეულ სხარტულ ფელეტონებს. „სანო“ უფრო ჩვენი ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხებს ეხებოდა, უფრო მოიდინჯებდა, მაგრამ თავის ჩვეულებრივ სიცილს, თუმცა მწარე სიცილს, მაინც ჩაურთავდა ხოლმე. სტ. ჭრელაშვილს ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა, მგონი, ბუნებრივიც იყო ეს მისთვის: ტუჩებზე მუდამ სიცილი ეკერა. ამიტომ რედაქციაში მეტ სახელად ვეძახდით: კაცი, რომელიც იცინის. ბევრს გეხსომებათ ვიქტორ ჰიუგოს გამოჩენილი რომანი ამ სათაურით.

სოფრ. მგალობლიშვილი თავის ჩვეულებრივ მოსწრებულ სიტყვით, მოხდენილი ხალსური ჰუმორით შეამკობდა ხოლმე თავის ნაწერებს. არტ. ახნაზაროვი ცოცხალ სცენებს სწერდა, უფრო ქალაქის ცხოვრებიდან.

ყველა ეროგულად, გატაცებით ვეკიდებოდით საერთო საქმეს. მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი მაინც ილია იყო. უნდა გენახათ, ეს უკვე ხანში შესული კაცი, როგორი ახალგაზრდული ხალისით, გატა-

ცებით მუშაობდა ჩვენთან ერთად. სულ იმას ცდილობდა, რომ შეთანხმებით გვემუშავნა. გაზეთს ერთი სული ჩასდგომოდა, ერთი მიმართულება ჰქონოდა. მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიზეს, ქართულობას.

რა ენა წასდეს, ერიც დაეცეს, — უყვარდა ხშირად ამის გამეორება. ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან, ენას ისე უნდა ვულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს. ენა არის დედა ბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედა ბოძი გამოვაცალეთ, თუნდ არა ბოროტ განზრახვით, არამედ ჩვენი უვიცობით, გულგრილობით, თუ რუსეთუმეების გზას დავადექით, მაშინ ჭერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს, და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიავდება დედა-მიწის ზურგზეო.

ამიტომაც იყო, რომ არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არც ერთი ფელეტონი, არც ერთი კორესპონდენცია ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, ვიდრე მთელი სიგრძე-სიგანით, ძარიან-ფესვიანად არ გადავათვალიერებდით, არ გავრანდავდით, არ გავაშალაშინებდით. მთელი კოლეგია, ილიას მეთაურობით, ვისხედით ღამის ორ საათამდის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასალას დასაბეჭდათ.

მეტადრე ილია ხონელის ფელეტონებს აქცევდა ილია დიდ ყურადღებას და გაუსწორებლად, გაუსინჯავად არ გაუშვებდა სტამბაში. მიზეზი ასეთი თვალყურისგდებისა იყო შემდეგი: ხონელს ერთი ზნე სჭირდა, ძალიან უყვარდა რუსიციზმები. ამას გარდა, დიდად უყვარდა რუსეთის გამოჩენილი მწერალი შჩედრინი. ვინ რას იტყვის: შჩედრინი დიდი სატირიკოსი იყო და შეუდარებელი ოხუნჯობა იცოდა. მაგრამ ამის ოხუნჯობას წმინდა რუსული ელფერი ედვა. გარდა ამისა, მისი ოხუნჯობა აზრების შეჯახება-შეკვეთებაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ უფრო უცნაურ სიტყვების არა ნაკლებ უცნაურ ერთმანეთზე გადაბმა-გადმობმაზე, გადახლართვა-გადმოხლართვაზე. რუსულად ეს მართლაც სასაცილოდ გამოდიოდა და რუს მკითხველს შჩედრინი გულითად სიცილსაცა ჰგვრიდა, მაგრამ ქართველის გულსა და სულს არა სწვდებოდა ღრმად. თვით რუსეთშიაც პისარევი

ტყუილად ხომ არ უწოდებდა შჩედრინის ოხუნჯობას, ენამახვილობას ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, სიტყვა-მახვილობას, „Цветы невинного юмора“.

ილიას ეს ზნე ხონელისა ეუცხოვებოდა და ამბობდა: თუ მაინც და მაინც არ დაუშლია და შჩედრინის გადმოსახლება უნდა ჩვენში, ეს მაინც მოვახერხოთ, რომ შჩედრინი გავაქართველოთ, ქართული სული ჩავუდგათ და ქართული ხორცით შევმოსოთ, თორემ ჩვენი მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება.

ილია რომ რედაქციაში მოსულს ხონელს დაინახავდა, მაშინვე მიაძახებდა:

— აბა, ჩემო სესხნიავ, რა მოგიტანიათ?

ხონელიც ამოიღებდა უბიდან ფელეტონს და დაიწყებდა კითხვას. თუ ფელეტონი დაწერილი იყო ხონელის ჩვეულებრივი კოსტა, ცოცხალი ენით, მახვილი სიტყვა-პასუხით, მოსწრებული იმერული ოხუნჯობით, ილიას სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, და რა წამს კი ყურს მოჰკრავდა რუსიციზმს, შჩედრინისებურ ოხუნჯობას, მაშინვე შეაყენებდა:

— აბა აქ შევდგეთ და კბილი ცოტა კარგად გავუსინჯოთ.

და დაიწყებდა ქართულად მონათვლას. გვიკვირდა, რა დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე. შევიდოდა სიტყვიერების სივრცე-სიღრმეში, დაიწყებდა მეტყველების სალაროში კვლევა-ძიებას, ძებნას მალული ძალებისას და ქართულ ენის სიმდიდრიდგან ისეთს მარგალიტებს გადმოგვიფენდა, რომ ამასთან შედარებით შჩედრინის ოხუნჯი თქმულება მიჭკნებოდა, როგორც შემოდგომის ფურცელი. და ერთ-ერთ ამ საგანძურს ჩავსვამდით იმ ადგილას, სადაც შჩედრინის რუსიციზმი იჯდა, ფელეტონს სულ სხვა ფერი დაედებოდა, ქართული ნათელმირონი ეცხებოდა. სმენასაც ატკბობდა და გულსაც ალხობდა. ხონელიც დიდად კმაყოფილი დარჩებოდა ხოლმე ასეთ ჯადოსნურ ცვალებადობით, და ასე გაჩარხული, გამოშალაშინებული ფელეტონი სტამბაში მიემგზავრებოდა.

ესე მკაცრად რად სდევნიდა ილია რუსიციზმების შემოტანას? იკითხავთ: იქნება ამის მიზეზი ცოტა შოვინისტობა იყო? იქნება აქ რაღაც იდუმალი განზრახვაც იყო? რუსიციზ-

მი, ენის სიწმინდე იქნებ მხოლოდ სიტყვის მასალა იყო, მხოლოდ სახელი და სახრავი კი სხვა იყო. აზრად ჰქონდათ განდევნა ყველა იმისა, რასაც რუსული ერქვა, რასაც რუსულის სუნი სდიოდა?

წარმოიდგინეთ, ასეთი აზრები ტრიალებდა და გასავალსაც პოულობდა მაშინდელ გადაგვარებულ ქართველ საზოგადოებაში. ამის თქმა და ფიქრიც კი მიუტევებელი ცოდვაა ილიას მიმართ. ნუ დავივიწყებთ, რომ ილიაც და ჩვენ ყველა იმისი თანამოკალმენი გაზრდილნი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ მასწავლებელნი, ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვრთნელნი? ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი. ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გაღვიძების და განვითარებისათვის? პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლნი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა. არა, ჩვენ გვძულდა და ამ სიძულვილს არცა ვმალავდით, გვძულდა რუსეთის მთავრობა, გვძაგდა რუსეთის წესწყობილება, გვეზიზღებოდა რუსეთის ის წარმომადგენელნი ჩვენში, რომელნიც უხეშად, ბრიყვულად გვიფურთხებდნენ და ფეხქვეშ გვითელავდნენ ყველა იმას, რაც ჩვენთვის წმინდას შეადგენდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ის დრო იყო, როდესაც იანოვსკიმ სრულიად აღკრძალა ქართული ენის სწავლება ყოველ დარგის სასწავლებელში. ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილისის არც ერთ ქართულ ეკლესიაში ქართულ წირვა-ლოცვას ვეღარ გაიგონებდით. ეს ის დრო იყო, როდესაც შავრაზმელ მღვდელს ვოსტორგოვს და მის დამქაშებს შედგენილი ჰქონდათ გეგმა: მთელ საქართველოს სოფლებში გადაეგდოთ ქართულ ენაზე ღვთის-მსახურება და ქართული საეკლესიო ენის მაგიერ შემოეღოთ სლავიანური ენა.

დღეს, როდესაც გარემოება და მდგომარეობა ასე ძირეულად შეიცვალა, იქნება ზემოდ ნაამბობი ბევრს უბრალო სიტყვის მასალად ეჩვენოს, მაგრამ მაშინ კი, სამწუსაროდ,

მეტად მწვავე, მთელი ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. ეს გამწვავებული სულისკვეთება დაედო, სხვათა შორის, საფუძვლად იმ სამწუხარო ამბებს, როგორიც იყო ტფილისის სემინარიის რექტორის და საქართველოს ეგზარხოსის მკვლელობა.

ხშირად გვესმოდა ყიჟინა და საყვედური, რომ „ივერიამ" ზრდილობიანი ქართული ენა სრულიად გააპამპულა, გაამასხარავა, მდაბიო ხალხის, გლეხურ ენად გადააქციაო. ეს ღვდლის და დიაკვნის შვილები, რომ დაეპატრონენ გაზეთს და ასეთი ენითა სწერენ, არც გასაკვირია, მაგრამ ამ ილიას რაღა დაემართა, იმათ ფეხის ხმას როგორ აჰყვაო?

ამის მთქმელთ ილიას აზრი რომ მოესმინათ ამ საგნის შესახებ, სულ სხვა ჰანგზე მოაწყობდენ სიმღერას. არ იცოდნენ, რომ ილია იყო პირველი შთამგონებელი, დაუღალავი მქადაგებელი იმ აზრისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართული გაზეთი ან წიგნი. ბევრჯერ მთელი საღამოები გაგვიტარებია და სჯა-ბაასი გვქონია იმის შესახებ, თუ ვინ არის დღეს ჩვენი მკითხველი, ან სად უნდა ვეძიოთ ეს მკითხველი. ილია იტყოდა ხოლმე:

ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ. ამათთვის წერა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდაო.

ჩვენ რუსულ ინსტიტუტებში გამოზრდილ, თუ სხვა ამ გვარ ნასწავლ ქალებისათვის? ესენიც სულ მთლად დაკარგულები არიან ჩვენთვისო. და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ესენი თავიანთ შვილებსაც გადაგვარების გზაზე დააყენებენ. ამათთვის ვსწეროთ? ეს ხომ ენის უაზრო ბრგვევა იქნებოდა...

იქნებ, ჩვენი ინტელიგენციისათვის უნდა ვწეროთ? მაგრამ ამათაც რუსული გაზეთების კითხვა უფრო ეხერხებათ, ვიდრე ქართულისა. ამათთვისაც წერა ყრუთათვის ზარის რეკვას მიემსგავსებოდა.

მაშ, ვინღა დაგვრჩა? ის, ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი, მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარ-ცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი

გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა ხალხი, რომელიც თავის მარ-ჯვენით თავსაც ინახავს და ქვეყანასაც საკვებავს აძლევს. ესენი არიან ჩვენი ბუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი. დეე, კენწეროები გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოსცვივდეს, ყვავილები შემოაჭკნეს, — არა უშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოელიოთ ფესვებს: ხე ხელახლად შეიმოსება ფოთლით და ყვავილით, და უხვად გამოიღებს ნაყოფს. ხე არ კვდება, თუ ფესვები მაგარი, ღონიერი აქვს.

აი, სწორედ ეს ფესვებია ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი გლეხობა. თუ ეს ფესვები მაგრად გვექნება შენახული, კარგად მოვლილი, მაშინ ჩვენ საქართველოს განსაცდელი არ მოელის, კვლავ გამხნევდება და გაძლიერდება. დეე, ჩვენი წარჩინებულნი განადგურდნენ, როგორც გამხმარი კენწეროები. ამათ ადგილას სხვა უფრო ღონიერი და ჯანსაღი ყლორტები ამოვა.

და აი, სწორედ ამ ფესვებს უნდა მოვუაროთ ჩვენც. ამ მდაბიო ხალხისთვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი გეგმა ჩვენის მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთო. და ვწერდით კიდეც შეძლებისა, ნიჭისა და ცოდნის გვარობაზე.

* *

რედაქციაში ხშირად იმართებოდა კრებები. ესწრებოდენ უფრო ისეთნი, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ქართულ მწერლობასთან თუ მწიგნობრობასთან. აქ ჰნახავდით ანტ. ფურცელაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს — ისტორიკოსს, ი. გოგებაშვილს, ჩვენ სასიქადულო პედაგოგს და საქვეყნო მოღვაწეს, ნ. ცხვედაძეს, საზოგადო მოღვაწეს, რაფ. ერისთავს, პეტრე უმიკაშვილს, გრ. ვოლსკის, — პოეტს და საზოგადო მოღვაწეს და მრავალთა სხვათა. თუ ქალაქში მოუხდებოდა ყოფნა, შემოივლიდა ხოლმე გ. წერეთელი. იშვიათად, კუდი-

ანი ვარსკვლავივით გამოჩნდებოდა აკაკი. ვანო მაჩაბელი რედაქციას სრულიად არ მოჰკარებია. მიზეზი, მგონი, ის იყო, რომ მთავრობის განკარგულებით, გაზ. „დროების“ დახურვის შემდეგ, „ივერიაში“, რომელმაც „დროების“ ადგილი დაიჭირა, მაჩაბელი არ იყო მოწვეული თანამშრომლად.

ციმბირიდგან დაბრუნებისას, დაიარებოდნენ რედაქციაში ივ. ჯაბადარი და გ. ზდანოვიჩი. ეს უკანასკნელი თანამშრომლობდა კიდეც „ივერიაში“, სადაც ათავსებდა პოლიტიკო-ეკონომიურ წერილებს მაიაშვილის ფსევდონიმით.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი და მოგონებანი დამრჩა ამ კრებების გამო; ბევრი საკითხი ყოფილა აღძრული, ბევრი საყურადღებო ფიქრი და აზრი გამოთქმულა ამა თუ იმ საგნის შესახებ, მაგრამ თავი და თავი ჩვენი გულის წუხილი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სვებედზე. რა იყო საქართველო წარსულში, რა არის დღეს და რა მოელის მერმისში? აი საჭირ-ბოროტო საკითხი. ის დღის ვარამი, რომელსაც თავს დავსტრიალებდით და რომლის გარშემო ცხარე სჯაბაასი იმართებოდა. დიდებული სანახავი იყო, როდესაც უყურებდი და უსმენდი, როგორი ხალისით, გატაცებით, თავდავიწყებით ბჭობდნენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს ასალგაზრდანი, ოდნავ წვერ-ულვაშით შემოსილნი, ჭაღარა-შერეულნი, შუა ხნის ვაჟკაცნი და ღრმად მოხუცებულნი. მაგრამ ყველაზე დიადს, დაუვიწყარ და განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ილია. უნდა გენახათ ამის აღფრთოვანებული სახე, ანთებული, ცეცხლის მფრქვეველი თვალები, რო დარწმუნებულიყავით თუ რა სულიერ და ჭკუის ძალას შეიცავს ეს დიდბუნებოვანი ადამიანი. იმისი ნათქვამი არ იყო უბრალო, უაზრო სიტყვების რახა-რუხი, ყურის მოსატყუებელი ელარუნი ეჟვნებისა, თვალის ასაბმელი შუშხუნა. ყოველ მის სიტყვაში ჩაქსოვილი იყო აზრი და ასე აზრი მოსდევდა აზრს და არა სიტყვა სიტყვას. შენ თვალწინ იბადებოდა რაღაც სასწაულებრივი მოქმედება: ჰხედავდი, რომ რაღაც დაუშრეტელ წყაროდან მომდინარეობს აზრების ნაკადული და არ გინდა თვალი და ყური მოაშორო ამ გულწარმტაც მოვლენას. სულგანაბული ელი, აბა ამ აზრს რა აზრი მოჰყვება, და ასე დაუბოლოებლად. გიხარიან გულში, რომ აზრი სცვლის აზრს და არა სიტყვა სიტყვას. გიხარიან იმიტომ, რომ

სიტყვას შენც მოსძებნი შენ სიტყვიერების საგანძურში, სიტ-ყვების მძივებათ ასხმას შენც მოახერხებ, სხვაც შესძლებს, და ის აზრების დაუშრეტელი აუზი კი ბევრს არ მოეპოება. ამისთანა სიმდიდრის მქონე ორი შემხვედრია ჩემ ხანგრძლივ სიცოცხლეში: ილია ჭავჭავაძე და მენდელეევი... დიდ ბედ-ნიერებად უნდა ჩაეთვალოს ადამიანს ნახვა და მოსმენა ასეთ დიდბუნებოვან ადამიანების.

აქ საჭიროდ მიმაჩნია დაგიხატოთ ილიას სურათი. მაშინ უფრო სრულს და სავსე წარმოდგენას იქონიებთ და ადვი-ლად მიჰხვდებით იმას, თუ რა იყო მიზეზი, რომ ილია ასეთ თვალწარმტაც და ჯადოსნურ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმე-ნელებზე.

სამწუხაროდ, მე არ მაქვს მხატვრობის ნიჭი, რომ მკვეთ-რად და თვალნათლად, ერთი კალმის მოსმით, გადმოგცეთ იმის სურათი, მაგრამ მაინც ვეცდები.

ვისაც ილია პირადად, ცოცხლად მოლაპარაკე არ უნახავს, იმას ფოტოგრაფიის სურათი ვერას ეტყვის. ფოტოგრაფიას არ ძალუძს გადმოგცეთ ადამიანის სულიერი არსება, მისი სრულქმნილი მშვენიერება, მისი იდუმალ ძალთა მოძრაობა, ერთი სიტყვით, გადმოცემა ყველა იმისა, რითაც ადამიანი ადამიანობს, რაც მის სულიერ სიმდიდრეს და სილამაზეს შეადგენს. ფოტოგრაფია გადმოგცემთ თქვენ ადამიანის მხო-ლოდ წამიერ მდგომარეობას. მაგრამ ადამიანის ბუნება ცვა-ლებადია, მუდამ წამს მოძრაობაშია და ადვილი წარმოსადგე-ნია, რომ სწორედ წამში თქვენმა ბუნებამ სრულიად ფერი იცვალოს და ასე ფერნაცვალად აღიბეჭდოს თქვენი პიროვნე-ბა. და ეს ხომ ის არ იქნება, რაც სინამდვილეში ხართ.

ილიას ოცი წლის განმავლობაში ახლოდ ვიცნობდი. მი-ნახავს სხვა და სხვა გარემოებაში, სხვა და სხვა მდგომარე-ობაში. ყველა შთაბეჭდილებათ, რაც ჩემ გულში ჩარჩენილა ამ ხნის განმავლობაში, ერთად შეკრებილს, შეფარდებულს, მთლად ჩამოსხმულს გადმოგცემთ და ვგონებ, რომ ეს დაახ-ლოებითი სინამდვილე იქნება ილიას სურათისა.

ილია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული, კარგად ჩასქელე-ბული, კისერ ჩარგული, ერთი სიტყვით, „ბურთივით მრგვა-ლი". როგორც მოსწრებულად დაახასიათა გრ. ორბელიანმა. მაგრამ ამ ტანზე, რომელსაც ვერ დავწამებთ სილამაზის ნი-

მუშობას, იჯდა თავი, ილიას თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ფიდიუსის ქანდაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრავი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, მოკუმული ისე მაგრად, რომ კბილებს არასოდეს არ გაჩვენებდათ. შემორგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ლმობიერნი, სათნოიანი, როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ, ხან არა ამ ქვეყნიური, ზეციურნი, როდესაც შემოქმედების სივრცეში დაცურავდნენ, ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა, — წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია. მაგრამ ეს სურათი არ იქნებოდა სრული, თუ არ დავუმატეთ კიდევ შემდეგი: ილია რომ ალაპარაკდებოდა, ეშხში რომ შევიდოდა, კამათის ჟინი რომ გაიტაცებდა — სახე აენთებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გაუნათდებოდა რაღაც იდუმალი შუქით, სხივებით, — გეგონებოდათ, შიგნით, გულის სიღრმეში რაღაც ღელავს, ზვირთებს ისვრის და ტალღებით უნდა წალეკოს თავის მეტოქე, მოკამათეო. ამითი უნდა აიხსნას ის ძლიერი დიალექტიკა, რომელიც მას ძლევამოსილებას ანიჭებდა, უძლეველად ჰხდიდა.

სხვანაირად წარმოგიდგებოდათ ილია შემოქმედების დროს: თვალები ცოტა მიბნედილად, ლმობიერად, ზეაღმაცქერით გამოიყურებოდნენ, ტუჩებზე რაღაც ნეტარების ღიმილი უთამაშებდა, სახე ნაზად განათებული ჰქონდა, იფიქრებდით, სახე შარავანდედით აქვს დაგვირგვინებულიო.

სულ სხვა იყო ილია, როდესაც საბრძოლველად გამოვიდოდა მტრის წინააღმდეგ. მაშინ ის მოგაგონებდათ გაოფთრებულ, განრისხებულ ლომს: სახეზე ალმური ასდიოდა, თვალებიდგან ცეცხლს აფრქვევდა, და ვაი იმას, ვისაც იმისი ტორები, ბასრიანი ბრჭყალებით მოჰხვდებოდა, დიდხანს დაასხოვდებოდა და მეორედ მასთან ბრძოლას ადვილად ვეღარ გაჰბედავდა.

ასეთი იყო ილია, ასე წარმომიდგება მე მისი სავსე და სრული სურათი.

დაულალავი მუშაკი იყო ილია, როდესაც საქმეს გულით

ეკიდებოდა. „ივერიას“ გამოსვლის პირველ ხანებში ისე მუ-შაობდა, ვეგონებოდათ, ოცი წლის ჭაბუკიაო. ორი-სამი საათიც რომ ყოფილიყო ღამისა, ძილი და მოსვენება ფიქრადაც არ მოუვიდოდა, ვიღრე ახლად დაბეჭდილს, სველ-სველ გაზეთს არ მოუტანდნენ. რა სიხარულით, რა სიამოვნებით გადიკითხავდა ხოლმე ნომერს!

მუშაობდა ილია გატაცებით, მაგრამ თანაც კი გვაფრთხილებდა. ყმაწვილებო, არ მიღალატოთ, თორემ, ხომ იცით, თუ პაჭიჭს ერთი წვერი მოერღვა, გათავდა, პაჭიჭი ბოლომდე ჩაირღვევა, იმის შველა შეუძლებელია. მეც ასეთი თვისება მაქვს, მე შუა გზაზე დადგომა არ ვიცი. ამასაც გეტყვით: კამბეჩის ჯიშისა ვარ, რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევ, ხრამიდგანაც ამოვიტან, თუ ულელში შესაფერი ტოლები მეყოლებიან, მხარს დამიჭერენ. მაგრამ ოჩანი ცხენის ზნეცა მჭირს: თუ ერთი შევდექი, დავოჩნდი, — გათავდა, მერე კეტებით რომ მცემოთ, წინ ფეხს ვეღარ გადამადგმევინებთ.

ეს უბრალო, ლიტონი სიტყვები არ იყო ილიას პირში. ასეთი იყო ამის ბუნება: ჭირვეული იყო ყველაფერში, როგორც მუშაობაში, ისე ზარმაცობაში, როგორც სიყვარულში ისე მტრობაში. „В любви, как в злобе, верь, Тамара, я неизменен и велик“, — თამამად შეეძლო ეთქვა ილიას თავის თავზე დემონის სიტყვები.

მახსოვს, როგორ სწერდა „ოთარაანთ ქვრივს“. ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში, მოუჯდებოდა მაგიდას და სწერდა განუწყვეტლივ, თავაუღებლად, დღითი და ღამით. ვამბობთ ღამით, იმიტომ, რომ ხანდახან კაბინეტში შესვლა რომ მოგვიხდებოდა რაიმე საჭირო საქმისათვის, ილია უძრავად იჯდა თავის ალაგას და გაცხარებული სწერდა. ილია მოგვიბრუნებდა სხივოსან, შარავანდედით მოსილ სახეს, მშვიდი ნათელით გაბრწყინვალებულ თვალებს, მოგვცემდა მოკლე პასუხს ისეთი კილოთი, თითქო ოცნების ბურანიდგან ვერ გამორკვეულაო, და მიუბრუნდებოდა ისევ წერას.

ასევე იყო თავის კაბინეტში ჩაკეტილი, როდესაც გაშმაგებული, ვაალმასებული სწერდა თავის „ქვათა ღაღადს“.

მუშაობდა ასე. დაავიწყდებოდა ჭამაც და სმაც. ერთ ფინ-

ჯან ყავას თუ შეუტანდნენ და პატარა თეთრ პურს, ითორემ სხვა საჭმელს არაფერს მიიკარებდა. მეუღლე ილიასი, პატივცემული ოლღა, შემოგვჩივლებდა ხოლმე: „ღამე წამოვდგები, მივალ ილიას ოთახთან და კარებს ცოტად შევაღებ, მინდა შევიტყო, ხომ არა უნდა რა. ვხედავ, რომ ილია წამოწოლილა ტახტზე, — კაბინეტში რომ უდგა, — ჩაცმული, გაუხდელი და სძინავს კურდღლურად. ფეხაკრეფით გამოვბრუნდები, რომ არ გამოეღვიძოს“.

ასე გაშმაგებით იცოდა მუშაობა, საჭმელსაც აღარ ეკარებოდა, მხოლოდ თამბაქოზე კი ხელს არ იღებდა, პირში გაუქრობელი ედო პაპიროსი და მის ისეც პატარა კაბინეტში, ეხლა ჩაკეტილ-ჩახურულში, ისეთი დახშული, შეკომლილი ჰაერი იდგა, რომ ახლად შესულს კაცს თავბრუს დაჰხვევდა. ილია ამას აინუნშიაც არ იგდებდა. და აბა ვინ გაუბედავდა ეთქვა: ილია, შეისვენე პატარა, ოთახი ცოტა მოასუფთავე, ჰაერი გაწმინდე.

გაათავებდა მუშაობას, გამოვიდოდა თავის დროებით საპყრობილედან და, ვინ იტყოდა, რომ რამდენიმე დღე უჭმელუსმელი ყოფილა, უძილოდ გაუტარებიაო, — ისეთი მხიარული, ჯანსაღი სახით გამოიყურებოდა. ვინ არ შენატრებდა, ვის არ შეშურდებოდა ილიას ჯანი: სწორედ რომ ქვითკირითა და რკინით იყო ნაშენი მისი აგებულობა, და, ძალათ რომ არ მოესპოთ მისი სიცოცხლე, ვინ იცის, იქნებ დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. გადამეტებულად ნუ ჩამითვლით ამის თქმას; აი იმისი და, ელისაბედი, ოთხმოცდა ცამეტი წლისა არ გარდაცვლილა? და რამდენად უფრო სუსტი აგებულობისა იყო თავის ძმა ილიაზე.

გაათავებდა წერას, მიატოვებდა კალამს და მთელი კვირაობით აღარ დაუბრუნდებოდა საქმეს. გადიცვამდა თავის ჭრელ ხალათს, დაიხურავდა თავზე ფესს და ჩაიკეტებოდა ისევ თავის კაბინეტში, მხოლოდ არა მუშაობისათვის: წამოწვებოდა მხართეძოზე, აიღებდა ხელში გაზეთს და მიეცემოდა აზიურ განცხრომას, ზარმაცობას... თუ ამ დროს მოვიდოდა ვინმე საქმისათვის, ახლოს არ მიიკარებდა, სალაზღანდაროდ მოსულს სტუმარს კი დიდის სიამოვნებით გაუმასპინძლდებოდა. თუ ვინმე მახლობელი შემოვიდოდა და ეტყოდა: ილია, მოდი ერთი კამათელი გავაგოროთო, ილია დიდის სი-

ამოვნებით დაეთანხმებოდა, მოუჯდებოდა ნარდს და კამათლების და ქვიშნარების ჩახა-ჩუხში ყველაფერი დაავიწყდებოდა.

ერთხელ ივ. ჯაბადარმა, რომელიც... ციმბირიდგან დაბრუნებისას ხშირად ესწრებოდა ხოლმე რედაქციის კრებებს, გვითხრა: ვრცელი წერილი მაქვს გამზადებული რუსულ ენაზე „ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ, ჟურნალ „Северный Вестник“-ში ვაპირებ ამ წერილის დაბეჭდვას, მაგრამ წინად მინდოდა თქვენთვის წამეკითხა და თქვენი აზრი შემეტყოვო.

მალე მართლაც მოიტანა და წაგვიკითხა. დაწერილი იყო კარგად, კარგი ლიტერატურული ენით, ცოდნით, ხოლო რაც შეეხება მის შინაარსს, აქ კი ბევრად მოიკოჭლებდა. არ იყო დაცული ისტორიული სინამდვილე, ვერ შეეგნო ავტორს რუსთაველის გმირების სულისკვეთება, გულის ძგერა, მაინ საქციელი, ისტორიული ეპოქის შესაფერად. ის უკიჟინებდა ნესტან-დარეჯანს, ტარიელს პასივობას, უძრავად, გულხელდაკრეფით ჯდომას ერთ ალაგას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნს და ცრემლის ღვრას. ავტორს უსათუოდ უნდოდა, რომ რუსთაველის გმირები ისე მოქცეულიყვნენ, როგორც, მაგალითად, გმირები ჩერნიშევსკის რომანისა: „Что делать?“.

ილია თავისებურად გაცხარდა და გაცეცხლებულმა უთხრა: არა, ბატონო ივანე, ჩვენ ეგრე ადვილად ვერ დაგითმობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთა ხედვის ისრით ვერ გაიზომება „ვეფხის ტყაოსანი“. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნავარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩასედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მაჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბიჩევსკის კრიტიკა. და კიდევ ბევრი მწარე სიტყვები შესთავაზა ილიამ ჯაბადარს.

ერთი რამ მაკვირვებდა: ჯაბადარი თითქმის არაფერს უპასუხებდა ილიას, თავს არ მართლულობდა. შემდეგ შევიტყე, რომ ეს წერილი სავსებით მისი არ ყოფილიყო. ამას მხოლოდ „ვეფხის ტყაოსანის“ შინაარსის გადმოცემა ეკუთვნოდა, დაწერა, გაშუქება და კრიტიკული განხილვა იმის ცოლის ყოფილიყო. ჯაბადარის ცოლი, შთამომავლობით რუსი, ლიუბატოვიჩის ქალი, დიდის ხნის რევოლიუციონერი იყო, „ნაროდოვოლცების“ წრეს ეკუთვნოდა, დიდი მეგობარი თურმე იყო, როგორც თვით ლიუბატოვიჩი იხსენებს თავის ბეჭდვით მოგონებაში, იმ ტერორისტისა, რომელმაც ჟანდარმების უფროსი, მეზენცოვი მოკლა.

ჯაბადარმა მაინც დაბეჭდა თავისი თუ ლიუბატოვიჩის წერილი „Северный Вестник“-ში, ხოლო „ივერიას“ კი შემოსწყრა და მას უკან რედაქციაში აღარ გაუვლია.

ჩემ ერთ ფელეტონში ამ წერილის გამო მეც გადავკარ ჯაბადარს ორიოდე სიტყვა, დაცინვის კილოთი. ქუჩაში შემხვდა ჯაბადარი და ცოტა წყენით მისაყვედურა: შენც ილიას აჰყევიო! მე ჯაბადარს წინადაც ვიცნობდი, და ამ პატარა ამბავს ჩვენი მეგობრული განწყობილება არ შეუწყვეტია.

ჩვენ კრებებზე, ლიტერატურულ საკითხების გარდა, ბევრს სხვა ჩვენი ქვეყნის საჭირ-ბოროტო საქმეებზედაც გვქონდა ხოლმე სჯა-ბაასი. დიდად გვაწუხებდა ჩვენი მშრომელი ხალხის ეკონომიური დაქვეითება. ვფიქრობდით, როგორმე მოგვეცლო ამ საქმისათვის. ბევრი იყო თქმული, ბევრი ნააზრევი, მხოლოდ როგორ მოგვეკიდა საქმისათვის ხელი, ვერ შევთანხმებულიყავით. ბოლოს გამოჩნდა მოსაქმე ხალხიც. კახეთში განეზრახათ დიდი საქმის დაწყობა, შეედგინათ საკმაოდ ვრცელი, დალაგებული წერილი ჩვენი ეკონომიური დაქვეითების გამო, გამორკვეული იყო მიზეზები იმ დაქვეითებისა და ნაჩვენები, თუ რა საშუალებით შეიძლება ეშველოს ამ საქმეს. იყო აგრეთვე კარგად შემუშავებული გეგმა მოქმედებისა და წესდება იმ საზოგადოებისა, რომელიც ამ საქმეს თავში უნდა დასდგომოდა.

ყველა ეს წარმოუდგინეს ილიას, რადგან უილიაოდ არაფერი თვალსაჩინო და სავალდებულო საქმე არ დაიწყებოდა. ილია იყო ავტორიტეტი, კანონმდებელი ქართველობისათვის. მისი სიტყვა სჯეროდათ, იმის ცოდნას, გამოცდილებას, იმის

დამჯდარ, დარბაისლურ ჭკუას დიდად აფასებდნენ. სადაც ილიას ხელი ჰქონდა მოწერილი, ის მტკიცე თამასუქი იყო და არავინ უარს არ იტყოდა მიეღო ეს თამასუქი გასანაღდებლად. ილია ძალიან ფრთხილი, თავდაჭერილი კაცი იყო, ადვილად ვერ გაიტაცებდით მას ლამაზი სიტყვებით, მაღალ ფარდიან ფრაზებით შედგენილ პროექტებით. ეს სულ თვალის მოსატყუებელი შუშხუნებიაო, — იტყოდა ხოლმე ილია. მაგრამ ამ ახლად განზრახული საქმის აზრი კი მოეწონა. იმ შიშს წარმოსთქვამდა, რომ ვაი თუ საქმის შესაფერი ხალხი ვერ ვიშოვოთო.

ვისაც ძველი „ივერიისთვის“ თვალი უდევნებია, ეხსომება, რომ ლექსები ძალიან იშვიათად იბეჭდებოდა მაშინ. მიზეზი ის იყო, რომ ილია ძალიან მკაცრად და სასტიკად ეკიდებოდა ლექსებს და ბევრს მოსთხოვდა მოლექსეს. როცა ლექსების დაფასება მოგიხდეთ, ნუ დაივიწყებთ ჭკვიანურ თქმულებას:

თავი ყველას ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი,
განაღა სთქვას ერთი-ორი
უმზგავსო და შორი-შორი.

თუ რა არის უმსგავსო ლექსები, ადვილად გასაგებია, — დარიგებას გვაძლევდა ილია: თუ ლექსში შეგხვდეთ სიტყვები: საგანი, ფიგურა, ვარდი, ბულბული, მთვარე და სხვა ამისთანეები, ბოლომდე ნუღარ ჩაიკითხავთ, გვერდზე გადაავდეთ, დროს ნუ დაჰკარგავთ. ეს ლექსი კი არ იქნება, არამედ უსაქმო კაცის ნაცოდვილარი, ლექსად ნაჯღაბნი. რასაკვირველია: ამათ რიცხვში არ მოჰყვებოდნენ ილიასი, აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და ხალხური ლექსები. მაგრამ ილია და აკაკი ისეთი ძუნწები იყვნენ, რომ „ივერიას“ ამათი ლექსების ნახვა არა ჰღირსებია. რაც შეეხება ხალხურ ლექსებს და ვაჟა-ფშაველას, ამათ ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდათ გაზეთში. ვბეჭდავდით აგრეთვე დავითაშვილის ლექ-

სებს, თუმცა იმასაც ბევრი მდარე ლექსები მოჰქონდა ხოლმე, მაინც რედაქციის კარს არ ვუხშავდით: ესეც იმავე ხალხური პოეზიის წარმომადგენელი იყო.

კარგად მახსოვს იოსებ დავითაშვილი, მშვიდი, წყნარი, მორიდებული, მორცხვი. მოვიდოდა რედაქციაში, შემოაღებდა კარებს და გაჩერდებოდა.

— გამარჯობა, იოსებ! რას სდგეხარ მანდა, მოდი, აი სკამზე ჩამოჯექ.

იოსები მაინც ადგილიდან არ იძვრებოდა და მხოლოდ ტუჩებზე ოდნავ ღიმილი მოუვიდოდა. ისე ეჭირა თავი, თითქოს რაღაცა დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაშე და ბოდიშს იხდისო.

— იოსებ, შენ უსაქმოდ არ მოხვიდოდი, გექნება რამე? — ვეტყოდით, რომ ცოტათი გაგვემხნევებინა და გაბედულობა მიგვეცა.

მაშინ იოსები უფრო მხიარულად გაიღიმებოდა, წაიღებდა უბეში ხელს და ამოაძვრენდა იქიდან რამდენჯერმე დაკეცილ ქაღალდს. კარგად ვიცოდით რაც იყო ქაღალდში. მაინც ვკითხავდით:

— იოსებ, ეს რა არის, რაზე გარჯილხარ?

ახლა კი გაჰბედავდა ხმის ამოღებას და გვეტყოდა მორცხვობით: აი, პატარა ლექსი მოგიტანეთ.

გადმოგვცემდა და ისევ მოწყენილი სახით დადგებოდა კარებთან, მანამ ჩვენ იმის ლექსს გადავიკითხავდით. თუ მოვუწონებდით, ისე გაუხარდებოდა, თითქოს დიდი, ძვირფასი რამ საჩუქარი მიგვეცეს. წარმომიდგენია, მეორე დღეს მისი სიხარული და ნეტარება, როდესაც თვით იგი თავის ლექსს დაბეჭდილს ნახავდა. ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც დავითაშვილი ლექსსა სწერდა, მთელ თავის არსებას შიგ აქსოვდა, რომ ლექსი ამისთვის დასვენება კი არ იყო, ან გასართობი რამ სათამაშო, არა, ლექსი იმისათვის მთელი იმისი სიცოცხლე იყო, მთელი იმისი სული და გული. გულუბრყვილო იყო იოსები, როგორც ბავშვი, და უმეტეს ნაწილ მის ლექსებშიაც ასეთი გულუბრყვილობა არის გამოხატული. ტყუილად ხომ არ აიღო საყმაწვილო ჟურნალმა „ჯეჯილმა“ დევიზად თავის გამოცემისა დავითაშვილის ლექსი:

დავითაშვილი ხელოსანი იყო, დურგალი, მუდამ რაღაცა დატანჯული სახით გამოიყურებოდა. როცა კი მინახავს, სულ ერთი და იგივე ტანისამოსი ეცვა: ტანზე გარუჯული, გახუნებული შალის ჩოსა, თავზე ისეთივე გახუნებული გარიბალდის ქუდი და ფეხზე ხარაზის ჩუსტები. ეს იყო მთელი მისი სამკაული.

არ დამავიწყდება, როგორ დაღონდებოდა და დაეღრიჯებოდა ხოლმე სახე, თუ ლექსს დავუწუნებდით. სწორედ პატარა ბავშვს მოგაგონებდათ, რომელიც ტუჩებს ჰკუმავს და სატირლად ემზადება, თუ მშობლებმა სურვილი არ აუსრულეს. დასამშვიდებლად და სანუგეშებლად ვეტყოდით ხოლმე:

— რას სწუხარ, იოსებ? განა მარტო შენ ხარ? ხშირად დიდ პოეტებსაც ვერ გამოუვათ ხოლმე კარგი ლექსი, რა უშავს. დღეს ლექსი სუსტი გამოვიდა, ხვალ უკეთესს დასწერ, გულს ნუ გაიტეხ. პირველად ხომ არ სწერ. რომ შენ ნიჭს ვაფასებთ, აი იქიდგანაც დაინახავ, რომ „ჯეჯილის“ პირველ გვერდს შენი ლექსი ამშვენებს: იზარდე, მწვანე ჯეჯილო...

ამ უკანასკნელ სიტყვების გაგონებაზე, ცოტა გული მოულბებოდა და შინ დამშვიდებული წავიდოდა. ერთი-ორი კვირის შემდეგ ჩვენი იოსები ისევ გამოჩნდებოდა, ისევ კარებში აიტუზებოდა და ჩვეულებრივი ღიმილით სუფთად დაკეცილ ქაღალდს გადმოგვცემდა.

სოფრ. მგალობლიშვილმა მუდმივ მუშაობას თავი დაანება. იმის მაგიერ უნდა მოგვეწვია ვინმე. სწორედ ამ დროს ვაჟა-ფშაველა უადგილოდ დარჩა და, რადგან მე და გ. ყიფშიძე კარგად ვიცნობდით, ვარჩიეთ ილიასთან მოგველაპარაკნა და ვაჟა რედაქციაში მოგვეწვია მუდმივ თანამშრომლად. რა გამოვიდა ამ თანამშრომლობიდან, ქვემოდ გაიგებთ. ჯერ კი ცოტა უკან უნდა დავბრუნდე...

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი სოფელ თონეთში, რომელიც მანგლისის ახლოს მდებარეობს, სულ ოთხი ვერსტის სიშორეზე. ეს ასე მოხდა: ვაჟა მასწავლებლად იყო თონეთის სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა. ერთხელ საზოგადოებას ქაღალდი მოუვი-

და, საიდანაც ვცანით, რომ ვაჟას რაღაცაზე ჩხუბი მოჰსვლია მანგლისში მყოფ ჯარის აფიცრებთან და ხელის შეხებით შეურაცყოფა მიუყენებია. საზოგადოებამ დაადგინა, გაეგზავნა მმართველობის რომელიმე წევრი, ადგილობრივ საქმის გამოსაკვლევად. მე მაშინ საზოგადოების მდივნად ვიყავი და მე მომიხდა თონეთში წასვლა. აქ ვაჟას ნაამბობიდგან შემდეგი გავიგე: თონეთში სამი რუსის ოფიცერი მოსულიყო და დუქანში ქეიფი გაემართათ, მიეწვიათ ვაჟაც. სმის დროს ერთ აფიცერს რაღაც არასაკადრისი სიტყვა ეთქვა ქართველების შესახებ; ეს ვაჟას შეურაცყოფად მიეღო და სილა გაერტყა ამ აფიცრისათვის. ატეხილიყო ჩხუბი, აურ-ზაური, ვაჟასთვისაც ბევრი ეცემათ, მაგრამ ამასაც არ დაეკლო. გაეშველებინათ, და ამით გათავებულიყო საქმე.

თუმცა მაინც-და-მაინც დიდი არაფერი მომხდარიყო, მაგრამ შესაძლებელი იყო, საქმე ცუდად დატრიალებულიყო. რაც უნდა იყოს, მაინც აფიცერი იყო შეურაცხყოფილი. ვაჟა თვითონაც გრძნობდა ამას და მითხრა: თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოელის ჩემი გულისათვის, მე თითონ დავანებებ თავს აქაურ მასწავლებლობას, მაინც გული არ მიდგება ამ გადაყრუებულ ადგილას.

ვაჟას სკოლაში ჰქონდა ბინა და შეც მასთან ჩამოვხდი. საღამოს, ოჯახობამ რომ მოისვენა, მე და ვაჟა მარტო დავრჩით. ვაჟამ ლაპარაკი ჩამოაგდო „ივერიაზე" და, სხვათა შორის, მკითხა: აი ლექსები და პატარა მოთხრობები მაქვს დაწერილი და „ივერიაში" ხომ არ დამიბეჭდავსო. მერე გამოალაგა დიდრონი რვეულები და წამიკითხა ჯერ „შვლის ნუკრის ნაამბობი", საყმაწვილო მოთხრობა, მერე პოემა, „მოხუცის ნათქვამი". ჩემს აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ვუთხარი:

— შე კაი კაცო, თუ მაგისთანა ძვირფასი მარგალიტები მოგეპოებოდა, აქამდინ რას ინახავდი ძუნწივით ზანდუკში ჩაკეტილებს. მომეცი, ხვალვე წავიღებ „ივერიაში", დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ, და სასყიდელსაც მიიღებ.

ვაჟა ნასიამოვნები დარჩა, მხოლოდ მითხრა: მოთხრობა უკვე გავგზავნე საყმაწვილო ჟურნალში დასაბეჭდად, „მოხუცის ნათქვამს" კი ცოტა კიდევ გადავათვალიერებ. ჩქარა მე თითონ ჩამოვალ ქალაქში და ამეებსაც ჩამოვიტან. სხვე-

ბიც ბევრი მაქვს ნაწერიო. და მაჩვენა ერთი კარგად მოზრდილი რვეული, სადაც მოთავსებული იყო დიდი პოემა, სახელად „თამარიანი“. მერე, აღარ მახსოვს, ასე დაბეჭდა ეს პოემა, თუ შესცვალა და სხვანაირად გადააკეთა.

რამდენჯერმე კიდევ გადავაკითხვინე „მოხუცის ნათქვამი“. მეტადრე მომეწონა ის ადგილი, სადაც მოხუცი ამბობს მეფე ერეკლეზე.

არწივს მაღლისა მთისასა
ნეტავ რად უნდა ქებანი.

ამ მოსწრებულმა, მოსხლეტილმა შედარებამ ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს უცბად ცამ გაიელვა და თვალები მოულოდნელად გაგინათაო.

მეორე დღეს გაკვეთილებზე დავესწარ სკოლაში. ვაჟა უხსნიდა ბავშვებს, თუ რა არის ერთეული. აგერ წამოაყენა ერთი პატარა, ეგრე ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნია, ცოცხალი, ცქრიალა თვალებიანი, ღია სანდომი სახის და ჰკითხა: აბა, შენ მითხარი, რა გყავთ შინ ერთად-ერთი. იმანაც ჩამოთვალა: დედა, მამა, ძმა, მურია ძაღლი, ძროხა.

აქ მეორე ბავშვმა თითი აიშვირა, მაგრამ ველარ დაიცადა, რას ეტყოდა მასწავლებელი, და მიაძახა:

— რასა სტყუი, ბიჭო? ერთი კი არა, ორი ძროხა გყავთ!

— ის მეორე ხომ ბერწია, — დაუყონებლივ უპასუხა პირველმა.

ეს პასუხი მეტად საგულისხმიერო იყო, როგორც გამომსახველი გლეხის ბავშვის შეხედულებისა. იმას ისე წარმოედგინა, ვითომ ძროხას ეწოდება ძროხობა მხოლოდ მაშინ, თუ ხბო ჰყავს და რძეს იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც ძროხაა, არც ხარი, არამედ საშუალო რაღაც არსება.

ტფილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ გადავიკითხე საყმაწვილო ჟურნალში დაბეჭდილი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და იმ დღესვე მოვათავსე „ივერიაში“ რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი: ასეთი მოთხრობის დაწერა შეუძლიან მხოლოდ დიდ ნიჭს, ამ მოთხრობას ერთგვარი სიამოვნებით წაიკითხავს როგორც დიდი, ისე პატარა მკითხველი, და სწორედ ეს არის უტყუარი საბუთი ნიჭის სიდიადისა.

და შესადარებლად მოვიყვანე დიდებული გიოტეს „რეინეკე ლისი“, რომელიც ერთგვარად სასიამოვნო წასაკითხი და საგულისხმიერია როგორც დიდი ადამიანებისათვის, ისე პატარა ბავშვებისათვის. ამას ვუმატებდი: ვაჟას ერთგვარ ეხერხება წერა, როგორც პროზით, ისე ლექსად. ორთავე გვარს წერისას აზის უტყუარი ნიშანი მაღალი ნიჭიერებისა, პოეტურ შემოქმედების ძალისა. ასეთი შეზავებული ნიჭის პატრონი დიდს იმედებს იძლევა და, ეჭვი არ არის, ვაჟაფშაველა საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენ დიდ მწერალთა შორის.

ილიამ რომ ეს რეცენზია წაიკითხა, შემოვიდა რედაქციაში და გვითხრა: აბა ერთი მაჩვენეთ ეგ მოთხრობებიო; წავუკითხეთ, კითხვის დროს ილიას სიამოვნების შუქი გადაჰკრავდა სახეზე. კითხვა რომ გავათავეთ, ილიას აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: წარმავალმა დიდმა ნიჭმა გულით იგრძნო მომავალი დიდი ნიჭი.

კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა, შორს! გაიძახოდა ილია თავის ჩვეულებრივ შორსმჭვრეტელობით...

მომაგონდა რუსეთის გამოჩენილ კრიტიკოსის ბელინსკის სიტყვები, თქმული ლერმონტოვის შესახებ, როდესაც ეს პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და თავისი მაღალნიჭიერი ლექსებით ყველა გააკვირვა, გააოცა. ბელინსკის ჰკითხეს: ეს მეორე პუშკინი ხომ არ არისო. და მაშინ ბელინსკიმ იწინასწარმეტყველა: „Нет, он долеко пойдет, превзойдет Пушкина: слишком широко шагает“.

შემდეგ, ცოტა გვიან, ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი“ მოგვიტანა „ივერიაში“ დასაბეჭდად. რედაქციაში შევიკრიბენით თანამშრომლები. ხელთნაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად, გრძნობით გადააბულბულა.

— გიგა, აბა ერთი კიდევ გადაიკითხე, — ეუბნება ილია.

გიგამ გადაიკითხა, ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. მერე თითქოს ძილიდგან გამოერკვაო, ილიამ აღტაცებით წამო-

იძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!

იქნებ ეს სიტყვები ცოტა გადამეტებულიც იყო, მაგრამ სიმართლეს კი არ იყო მოკლებული. რომაელები იტყოდნენ ex ungue leonem... ე. ი. ბრჭყალებზე სცანით ლომი. ილია შთაგონებით მიჰხვდა, რომ ახლად გამონავარდებულ ლომის ლეკვისაგან დიდი და მძლავრი ლომი გამოვიდოდა.

ვაჟას რედაქციაში მოწვევა მუდმივ მუშაობისათვის გარდაწყვეტილი იყო. მხოლოდ ილია ცოტად ეჭვობდა და გვეუბნებოდა:

— კარგსა ვშვრებით, გამოგვადგება? ან კიდეც რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

მართალს ამბობდა ილია. აქაც წინასწარგრძნობამ არ უმტყუნა მას, და მალე თვით ვაჟამ მოგვცა პასუხი ზემოდ მოყვანილ საეჭვო საკითხზე.

ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორესპონდენციებს, ვათარგმნინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსულ გაზეთებიდგან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო, მიეცი რუსული გაზეთი, მოვუხაზე ერთი ადგილი უცხოეთის ცხოვრების ამბებიდგან და ვუთხარი:

— აბა, ლუკა, ეს ადგილი მალე გადათარგმნე, თორემ სტამბა ძალას გვატანს და მასალა კი ცოტა გვაქვს.

მე საქმეებში გავერთე და ვაჟა დროებით გადამავიწყდა. მომაგონდა და ვუთხარი:

— რა ჰქენ, ლუკა, გადათარგმნე?

წინ დაწერილი ქაღალდი ედვა. ვიფიქრე ეს სწორედ ნათარგმნი იქნება-მეთქი და ხელი დავავლე გადასათვალიერებლად. დავხედე, — ლექსია.

— ეს რა ამბავია, ლუკა? — ვეკითხები.

თარგმანის სამაგიეროდ ეგ ლექსი დავწერე. თარგმნის მაგივრობას გასწევს.

ამავე დღეს ვაჟამ გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს

ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა. და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას, სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა.

ვაჟა აიბარგა და გასწია თავის ჩარგალში. დაუბრუნდა არწივი თავის საყვარელ მთებს. ვაჟა სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. დრო გამოშვებით ჩამოდიოდა ვაჟა ტფილისში, ხურჯინ-აკიდებული ცხენით. ხურჯინში ელაგა საგზალი: ხორცი, პური — ტფილისში საცხოვრებლად — და ლექსები, მოთხრობები, პოემა და კიდევ სხვა ნაწერები ფშაველების ცხოვრებიდან. დაუტოვებდა ყველა ამას რედაქციას და ასევ გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისაკენ. და ასე და ამ გვარად, მთის კაცი ვაჟა ჰკვებავდა სუსტს ქართულ მწერლობას, როგორც მთის პატარა ნაკადული, მდინარედ ქცეული, ჰრწყავს და სულს უდგამს ბარის გადამხმარ დედა-მიწას.

ერთ დღეს ჩვეულებრივ შემოვიდა ვაჟა, მთიდგან ჩამოსული, და წარმოგვიდგა წინ თავისი ძღვნით, ბოღჩაში გამოკრულ ლექსებით და პოემებით. მხოლოდ რა სახით წარმოგვიდგა! მაგრამ წინასწარ საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვის თქმას. ვაჟა გარეგნობით მშვენიერი სახის კაცი იყო: მაღალი, ტანადი, ბრგე, ჯან-ღონით სავსე. მისი გულ-მკერდი და თვალები ხომ ნამდვილ მთის არწივს მოგაგონებდათ. ხასიათით, ზნითაც ნამდვილი არწივი იყო: ამაყი, შეუპოვარი. დღეს აი ეს ბრგე კაცი წარმოგვიდგა და რა სახით: ჩამომხმარი, წელში მოხრილი, თვალებ გადმობრუნებული, ჩამობღერძილი, დასნეულებული, სწორედ ფრთებ დაშვებულ ბებერ არწივს მოგაგონებდათ. შეგვაძრწუნა ამ სანახაობამ და ერთხმად მივაძახეთ:

— ლუკავ, რა მოგსვლია? ვაჟავ, რა დაგმართნია?

აქ ვაჟამ გვიამბო თავის ჩვეულებრივ ეპიურ-დინჯი კილოთი შემდეგი სამწუხარო თავგადასავალი. მთაში დაეკლათ ჭირიანი ძროხა. ხორც დანატრულებული ხალხი არ მოჰრიდებოდა ჭირს და საკლავი მთლად გაეტაცნათ. ვაჟაც სულს წაეძლია და ეყიდნა ხორცი. ეფიქრა: საცა ამდენი ხალხი, მეც იქაო. ამის იმედიც ჰქონდა: კარგად გავრეცხავ, მოვხარშავ და ჭირი რაღა ჭირს მომჭამსო. საწყალ ვაჟას არ გაუმართ-

ლდა ეს იმედი. და ახლა დასნეულებული, დასახიჩრებული ადამიანი იდგა ჩვენ თვალწინ. ეს კი იყო: ეს სნეულება ხორცს მოჰრეოდა და სულისთვის კი ვერა რა ევნო. რედაქციაში მოტანილ ლექსებს ისეთივე ბეჭედი ესვა დიდის, გაუნელებელი ნიჭიერებისა, როგორსაც აქამდინ მიჩვეულნი ვიყავით ვაჟასაგან.

გარდაიცვალა დიდი თავადი ლევან მელიქიშვილი, კავკასიაში ხელმწიფის მოადგილის თანაშემწე. ის ლ. მელიქიშვილი, რომელმაც ქართულ მწერლობას უწყალობა ცენზორი ლუკა ისარლოვი. დასაფლავების წესი, რასაკვირველია, დიდის ზარით და ზეიმით იყო გადახდილი. ქება-დიდებას უხვად უძღვნიდნენ, საკმეველს უკმევდნენ მის დიდსულოვნებას, მის დიდ ჭკუას. გამოვიდა ბოლოს ეპისკოპოზი ალექსანდრე. კაცი მართალი, პირში მთქმელი, მოურიდებელი და ასეთი სიტყვით მიჰმართა მიცვალებულს, რასაკვირველია, ცოცხლების გასაგონად: დიდი გვარის კაცი იყავ, სამსახურშიაც დიდ წარჩინებას მიაღწიე, ბედიდრულად ფუფუნებაში სცხოვრობდი, შენს ოჯახს არას აკლებდი, მხოლოდ რა მიგაქვს თან? რა სიკეთე დასთესე ამ ქვეყნად, რა შესძინე შენს სამშობლოს, საქართველოს? დიდი სიმდიდრე გქონდა შეძენილი და ფიქრადაც არ მოგვივიდა, რომ ამ სიმდიდრისაგან ცოტაოდენი წვლილი მაინც გამოგეღო შენს გაჭირვებულ, ღატაკ სამშობლოსათვის, ქველმოქმედობის სახელი გამოგეჩინა.

და კიდევ ბევრი ამისთანა მართალი და მწარე სიტყვები უძღვნა მიცვალებულს. რასაკვირველია, მას ეს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ, ძაღლსა სცემდენ, რძალს ასმენდნენო, იტყვიან. ნიშანში ამოღებულთ მოხვდათ შხამიანი ისარი, იგრძნეს ტკივილი. ეს სიმართლე შეურაცხყოფად მიიღეს და ასტეხეს ერთი განგაში, ორომტრიალი: როგორ თუ გაბედა მაგ ვიღაც წვერცამეტა ბერმა და მკვდარი გაგვიუპატიურა! არა, ეგ სწორედ სრულ ჭკუაზე არ არის და საგიჟეთში უნდა გაიგზავნოსო.

ესენი ასე ფიქრობდნენ და ლანძღვითა და გინებით გულს

მოიოხებდნენ. სულ სხვანაირად შევხედეთ ამ ამბავს „ივერიის“ ხელმძღვანელებმა. ჩვენ მოვიწონეთ ეპისკოპოზის სიტყვა, სიტყვა მართალი, გაბედული, არა-ცბიერი. და ამ სახით აღვნიშნეთ გაზეთში. უნდა გენახათ, როგორ განრისხდნენ ჩვენი წარჩინებული გვარიშვილები. ვინა ყრიან ეგ ვიღაც უგვარტომო მღვდლისა და დიაკვნიშვილები, რომ მაგისთანეებსა ჰბედავენ ჩვენ წინააღმდეგ? უნდა ჯვარსვაცვათ ეგენი. გაზეთი უნდა დავუხუროთ! გაზეთის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ გადავრჩით იმათ რისხვასა და მუქარას.

ეს, ვთქვათ, გადაგვარებული ქართველები იყვნენ. ამათი ლანძღვა და რისხვა არც ისე საწყენი იყო. უფრო გულს გვტკენდა განათლებული, „მოწინავე“ ქართველი საზოგადოება, მისი უსაფუძვლო საყვედურები, მისი წუნიაობა. მერე რას გვიწუნებდნენ? ყველაფერს: ეს ენა არ უვარგათო, მძიმე, ეკლესიურიაო. ეს კიდევ რა განყოფილებები შემოიღეს გაზეთშიო: „ნარკვევი“, „ნაკვესი“, „დამაკვირდიო“. — ეს სადაური ქართულიაო.

აბა, ეხლა გეკითხნათ: ვის ენას ჰკიცხავთ, ვის სწამებთ ენის არცოდნას? ილიას ენას? მერე, განა ილიამ ენა გამოიცვალა? განა, ილია იმავე ენით არ სწერდა „მგზავრის წერილებს“, „გლახის ნაამბობს“, და ბოლოს „ოთარაანთ ქვრივს“? განა აქ ილია არ გვხიბლავდა თავის ენის ელვა-ბრწყინვალებით? განა აქ არ გვაკვირვებდა ილიას ენა-წყლიანობა, მისი დაუშრეტელი წყარო ქართული ენამეტყველების სიუხვისა, სიმდიდრისა?

უსაყვედურებდნენ გაზეთს: ვისთვის არის საჭირო, ან საინტერესო ეს ვიღაცა პუასტის, პასკალის და მრავალთა სხვათა მოკლე, ნაძალადევი ბრძნული სიტყვები, რომელიც „დამაკვირდიში“ იბეჭდებაო? რასაკვირველია, არა ამისთანა პრუწია-წუნია მკითხველებისთვის. ილია უფრო მდაბალ ქართველი მკითხველებისათვის ზრუნავდა, ვიდრე ამათთვის. ილიამ ამათზე კარგად იცოდა ქართველი კაცის ფსიქიური ბუნება, მისი სულიერი მოთხოვნილება. იცოდა, რომ ქართველ კაცს დიდად მოსწონს მოკლედ, ლამაზად, მოჭრით გამოთქმული ჭკვიანი აზრი. ამიტომ თვითონ ილიაც ბევრს სწერდა ამ „დამაკვირდისათვის“. აიღეთ, თუ გინდა, აი ეს „დამაკვირდი“, რომელიც ილიას კალამს ეკუთვნის:

ხმალი იმოდენს რას იზამს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წყერიო.

ვინ იტყვის, რომ ამ პატარა, კოხტად, ლამაზად გამოთქმულ ლექსში არ არისო დიდი, ღრმა აზრი? რომელ ქართველს არ მოჰგვრის ეს სიამოვნებას, არ ჩასწვდება გულის სიღრმეში, თუ, რასაკვირველია, ეს გული არ არის გაქვავებული, მტრობით და მძულვარებით აღსავსე?

ქართულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილშიაც" ვთანამშრომლობდი. ჩვენი გამოჩენილი პოეტები თანაუგრძნობდნენ ამ ჟურნალს. იქ წაიკითხავდით აკაკის, ვაჟა-ფშაველას და ბევრ სხვათა ლექსებსაც, ჩვენი შიო-მღვიმელი ხომ ნამდვილი შიოს მარანი იყო: უხვი, პურადი, გულადი! ისე ნომერი არ გამოვიდოდა „ჯეჯილისა", რომ შიოს თავის ძღვენი, ნობათი არ მიერთო პატარა მკითხველებისათვის. ამათ რომ ჟურნალი გადაეშალათ და შიოს კატუნიები, ფისუნიები, თაგუნები და ჩიტუნები არ ენახათ, გულნაკლულნი, დაღონებულნი იტყოდნენ: ძია შიო რატომ არ არისო?

ჟურნალის რედაქციას გულთ აკლდა, რომ ილიამ არაფერით სცა პატივი. მე ვიდე კისრად ეს ნაკლი შემევსო და შევუწნდი ილიას. როგორც იყო დავიყოლიე, ილია დამპირდა პატარა ლექსის მოცემას. მთელი თვე მომიხდა უკან დევნა, მანამ ილია გაჰბედავდა თავის დანაპირის შესრულებას. მომცა თავისი იმ სანებში დაწერილი ლექსი „ბაზალეთის ტბა". დიდი სიხარული იყო ჟურნალისთვისაც და მკითხველებისთვისაც ამ ლექსის დაბეჭდვა. ამის მიზეზს მიჰხვდებით, თუ გაიხსენებთ ამ მშვენიერს, მდიდარს როგორც გარეგანი ფორმით, ისე აზრიანი შინაარსით ლექსს.

მდიდარია ეს შინაარსი. აქ შეისხა ხორცი იმ ძველთაგანვე ილიასაგან შეტკბობილმა იდეამ, რომლითაც იგი იყო შებოჭილი, დატყვევებული. ეს იყო იდეა ქართველი ერის ხსნისა, მისი მკვდრეთით აღდგენისა. დღესაც ისე ვერ წაი-

კითხავთ ამ ლექსს, რომ გული არ აგიტოკოთ მისმა სიმშვენიერემ...

ილიას ვუჩვენე დაბეჭდილი ლექსი და ვკითხე, ხომ ლამაზი არის მეიაქი? თანაც დავუმატე: ესე გამოქვეყნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრად ჩამალული-მეთქი? ილიამ ამაზე ასე თავისებურად მიპასუხა:

— რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის — ჩემი მგონია, მახარებს, და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთის გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდგან საყვარელი, ღვიძლი შვილი მომგლიჯესო.

იქნება, იმათაც აისსნებოდეს ის გარემოება, რომ ილია დიდ ხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს თავის პირმშო შვილებს და მინამ ასაკის ხანში არ შევიდოდნენ, არ იმეტებდა მათ საქვეყნოდ გამოშვებას, როგორც ჩიტი ბუდიდგან არ გამოუშვებს და არ დააფრენს თავის ბარტყებს, ვიდრე მაგარ ფრთებს არ შეისხამენ.

რაკი ეს ერთი ნავსი გავტეხეთ, ახლა უფრო მეტი გაბედულება მოგვეცა, შეუჯექით ილიას და მოსვენებას არ ვაძლევდით. გვინდოდა, რომ „ივერიისთვის" რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. იმისთვის ეს ძნელი არ იყო, რადგან ვიცოდით, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყობილი მოთხრობა, რომლისთვისაც წინად განზრახვა ჰქონია, მგონი, „გიორგი" ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი" დაარქვა.

ერთ მშვენიერს და ქართველებისათვის დიდად სასიამოვნო დღეს, ილია ჩვეულებრივ ხალათში გამოეწყო, თავზე ფესი მოიგდო, ჩაიკეტა კაბინეტში და პირიდგან განუგდებელი პაპიროსით მიუჯდა მაგიდას. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის რედაქციის ყველა თანამშრომელნი მოწმენი იყვნენ ამ შემოქმედების პროცესისა. ილია ხანგამოშვებით წაგვიკითხავდა დაწერილს, რაც უკვე გათავებული ჰქონდა; თითქოს უნდოდა სხვისთვისაც გაეზიარებინა ის შთაგონება და აღფრთოვანება, რომელსაც მუშაობის დროს ჰგრძნობდა. სხვებშიაც გამოეწვია ეს აღფრთოვანება და ამ გზით მეტი ღონე მოეკრიბა, ფრთები შეესხა თავის აღმაფრენისათვის, შემოქმედებითი ძალა გაეელვარებინა.

ამასობაში გაიარა ერთმა თვემ, და იშვა ის მოთხრობა, რომელსაც „ოთარაანთ ქვრივი" ეწოდება სახელად. ახლად

შობილს მონათვლა უნდოდა. განუყრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებისა დავით სარაჯიშვილი იყო; იმდენად გულუხვი, პატივისმცემელი ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონვე იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდეგილი“. და ამ წეს-რიგს არც ეხლა გადაუდგა სარაჯიშვილი.

საღამოს რვა საათი იქნებოდა, სარაჯიშვილის ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელნი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, გრ. ვოლსკი, — საუცხოვო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — და კიდევ ბევრნი სხვანი.

ილიამ წაიკითხა თავისი მოთხრობა. უნდა ითქვას, სხვათა შორის, რომ ილია კაი მკითხველი იყო, თუმცა ხმა ცოტა მოყრუო ჰქონდა, თითქოს გულზე ქონი აქვს მოკიდებული და ეს უშლის სიტყვის მკაფიობასო. კითხვა გათავდა. ჩამოვარდა სიჩუმე. ილია აღგზნებული სახით აქეთ-იქით იყურება.

თუ ხსოვნა არ მღალატობს, პირველად ხმა ამოიღო გრ. ვოლსკიმ და ასე სთქვა: მაგ მოთხრობას მე „ოთარაანთ ქვრივს“ კი არა, „ობოლ მარგალიტს“ დავარქმევდიო. ქვრივი, როგორც ტიპი, ჩამოსხმულია, გამოქანდაკებული. ენა ხომ ისეთია, რომ აქ ილიამ თვით ილიასაც კი გადაამეტა, გადააჭარბა. ერთი სიტყვით, მოთხრობა მხატვრობით, ფერადების სიუხვით, ნამდვილი ქართული მოსწრებული სიტყვა-პასუხით, მშვენიერია, შეუდარებელი. მხოლოდ გიორგის დიდსულნებოვანება, მისი სულიერი დიადობა არა სჩანს. მეჯინიბეს მადლიანად სცემაო და მოჯამაგირეს ტყეში გვერდები ჩაამტვრიაო. — ეს მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი გმირობაა და არც დიდ-სულოვნობა. მაშ, რაზე ჰკიცხავთ კესოს, რომ გიორგის სიყვარულს ვერც კი მიუხვდაო. რაში გამოიჩინა გიორგიმ თავისი სულიერი სილამაზე, გონების წარმტაცებლობა, რომ კესოს თავი დაჰვიწყებოდა და გული შესტოკებოდა? რა ვქნა, ილია, არ მომწონს გიორგი. იგი ლანდია და არა ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანი.

ახლა წამოდგა ნ. ნიკოლაძე და ესეც კესოს გამოესარჩლა. ილიას არ მოსწონს, რომ კესომ შორს დაიჭირა თავი და გიორგის სულიერი ტანჯვა ვერც კი შეამჩნიაო. და მიზეზად იმას ასახელებს, რომ სხვა-და-სხვა წოდების ხალხნი არიანო, ერთი თავადის ქალია, მეორე — გლეხის შვილი, მათ შუა უფსკრულიაო. სხვა-და-სხვა ნაპირასა დგანანო. ხმა ვერ მიუწვდენიათ ერთმანეთისათვისო. ხელს ვერ აწვდიან ერთმანეთს, რადგან ხიდია მათ შორის ჩატეხილიო. აქ ჩატეხილი ხიდი არაფერს შუაშიაო. ხიდი რომ გასდოთ კიდეც, კესო და გიორგი მაინც ერთმანეთს ხელს ვერ მისცემენ, კესო გიორგის გულის წადილს პასუხს ვერ მისცემს. რატომ? მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, აქ კულტურული დაშორებაა. აბა გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს? წარმოიდგინეთ, რომ გიორგის სწავლა მიეღო, ყოფილიყო, ვთქვათ, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, — როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეჰხვდებოდა გიორგის, ამას რომ თავის გრძნობა ემცნო? არა, ეს შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა გიორგი გლეხია, თუ თავადიშვილიო. სწავლამ, კულტურამ მათ შორის ჩატეხილი ხიდი შეაკეთა, გაამაგრა.

ზოგმა დაუწუნა ილიას გიორგის სიკვდილი: არა ბუნებრივია, შემთხვევითიაო, თვით მოთხრობის მსვლელობისაგან არ გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი, საბედისწერო შედეგი იმ მოვლენათა გადახლართ-გადმოხლართვის, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის. თვით სიკვდილი გიორგისა. — „პირ-აღმა გადმოქცეული წამოვიდა მაღლიდგან გიორგი და ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითაო", — არ მოსწონდათ, არაესთეტიურიაო.

ასეთ და კიდევ სხვა წვრილმან ნაკლულოვანებას აღნიშნავდნენ. საზოგადოდ კი შთაბეჭდილება მოთხრობისა დიადი იყო, მომხიბლავი. ამასობაში კარგა ხანმა გაიარა. შუადღე გადასული იყო. პურადმა მასპინძელმა, დავით სარაჯიშვილმა, ყველანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდს სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ლაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფ. ერისთავმა, რომელიც განთქმული იყო,

როგორც ჩვენი მწერლობის პატრიარხი და გლეხთა მგოსანი. რაფიელი იყო ამასთანავე ენა-წყლიანი, ჭკუა-მასვილი, ოხუნჯი, ხოლო ამისი ოხუნჯობა იყო ნამდვილი ძველებური ქართული, დარბაისლური. ვის სადღეგრძელოსაც დაჰლევდა, უსათუოდ შესაფერ სახუმარო სიტყვითაც მიჰმართავდა, ხან ექსპრომტით ლექსსაც ჩააკერებდა.

მახსოვს კარგად: ალექსანდრე ჩოლოყაშვილის სადღეგრძელო იყო... ეს ჩოლოყაშვილი ქართული ბანკის დირექტორი იყო და იმ ხანებში არჩეულ იქმნა ხმოსნად ქალაქის საბჭოში (дума) და აი ასეთი სიტყვით მიჰმართა რაფიელმა:

— ალექსანდრე, გიყვარდა კეთილი ცხოვრება და სულ იმას ნატრობდი, რომ კაი მსუქანი ლუკმა გეშოვნა. აკი აგიხდა ნატვრა: ეხლა ქალაქის „дума“ ხელში გიჭირავს, სთალე და სთალე. ნუ დაზოგავ, მსუქანი დუმაა ო.

მერე პეტრე უმიკაშვილი ადღეგრძელა, ერთგული საზოგადო მოღვაწე და ქართული მწიგნობრობის მოყვარული. ალავერდი ნიკ. ერისთავთან გადავიდა და თან დააყოლა: შენთვის მომინდვია, ყური უგდე პეტრეს და, თუ ჭიქა არ გამოცალოს, ულვაში აუწიეო. ყველას სიცილი წასკდა. რადგან ყველამ და მათ შორის რაფიელმაც იცოდა, რომ პეტრე წვერ-ულვაშს არ ატარებდა, იპარსავდა, რაც მაშინ ქართველებში ძალიან იშვიათი იყო და რის გამოც პეტრე ნიშანში ჰყვანდათ ამოღებული და სულ ამ უულვაშობას დასცინოდნენ.

ბევრისაგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიაო, ტყუილად ხომ არ ამბობდნენ, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო. რამდენადაც მე ვიცნობდი ილიას, ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი კი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდეც, თავი მაინც ისე შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერავინ გაუბედავდა. და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა, ძვირად დაუჯდებოდა ასეთი თავხედობა.

იყო ერთი ვინმე ნებიერიძე, კაცი რაღაც უცნაური, გამოურკვეველი. კარგა ხანს იყო რუსეთში და, რომ დაბრუნდა

ტფილისში, ამბობდნენ, ბლომად ფული ჩამოიტანაო. რამდენად მართალი იყო ეს, ვერ გეტყვით; ეს კი ვიცი, რომ ქართული თეატრი ოჯარით აიღო და ქართული დასის მოთავეობა, ანტრეპრენიორობაც იკისრა, თითონაც აქტიორობდა. მაგრამ საგზალი დიდხანს არ გაჰყვა, საფანელი მალე შემოაკლდა და თეატრს მალე თავი მიანება. მერე კვირეულ ჟურნალის გამოცემა იკისრა, ილიასთან და „ივერიის"-ს რედაქციასთანაც მიმოსვლა ჰქონდა და კარგი განწყობილებაც. ერთხელ ნებიერიძემ თავის ჟურნალში დაბეჭდა რაღაც არასაკადრისი ჭორი ივ. მაჩაბლის შესახებ, რომელიც მაშინ ბანკის დირექტორად იყო და ილიასთანაც ჯერ კიდევ მეგობრული განწყობილება ჰქონდა. ილიამ ეს ამბავი დიდად იუცხოვა, იწყინა. არ გასულა მას უკან დიდი ხანი, რომ ნებიერიძე რედაქციაში შემოვიდა. ილიაც იქ იყო და დაინახა თუ არა, მაშინვე მრისხანედ შუბლი შეიკრა და უთხრა:

— მიკვირს, როგორ ჰბედავთ ჩემთან მოსვლას მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემ ამხანაგს ისე უკადრისად მოექეცით.

ეს ისე იყო ნათქვამი, რომ ნებიერიძე დაიბნა, ვეღარის თქმა ვერ მოახერხა და მაშინვე უკან გაბრუნდა, მას შემდეგ რედაქციაში ფეხი აღარ შემოუდგამს.

თუ ილია ვისმეზე გულში ძვირს ჩაიდებდა, გათავდა: მტრად გადაეკიდებოდა და შვილის-შვილობამდე ჩაჰყვებოდა. მაშინ ულმობელი იყო, შეუწყნარებელი, ამის გულს ვეღარაფრით მოინადირებდი, ვერაფრით მოალბობდი. ასეთი იყო მისი და მაჩაბლის გადაკიდება. თუ რა უკიდურესობამდე მიაღწია ამ მტრობამ, გიამბობთ შემდეგ შემთხვევას.

ბათუმის ქართულ სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა, მასწავლებლად იყო მოსე ნათაძე, კაცი მეტად პატივსაცემი და ნიჭიერი მასწავლებელი. ცოლ-შვილი ტფილისში ჰყავდა შვილების გულისათვის, რომლებიც ქალაქში სწავლობდნენ. ერთ დღეს ამის მეუღლე შემოვიდა ჩემთან წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში და გულგახეთქილმა მდუღარე ცრემლით შემომტირა, რომ დღეს მოსე უეცრად გარდაიცვალაო. იხვეწებოდა შველას, შინ გროში არ მომეპოება, რომ მიცვალებულს მოვუაროვო.

შველა საჭირო იყო, წავედი მაშინვე მაჩაბელთან, რომელიც აქ ახლოსვე იდგა, და გადავეცი ეს ამბავი, როგორც წე-

რა- კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს. ვანო გულჩვი-ლი ადამიანი იყო, დიდად შესწუხდა, მირჩია დღესვე გამგეობის არა-ჩვეულებრივი კრება მომეწვია ილიასთან, როგორც გამგეობის თავმჯდომარესთან, ურომლისოდ ფულის გაცემა შეუძლებელი იყო. თანაც გადავწყვიტეთ, წავსულიყავით მიცვალებულის სანახავად. ბინა ნათაძესი მთაწმინდაში იყო, კარგა ზემოდ. ამის ახლო ცხოვრობდა ი. გოგებაშვილიც, ამასაც შევუარეთ, და ესეც თან გამოგვყვა. შევედით მოსეს სადგურში და შემაძრწუნებელი სურათი წარმოგვიდგა: ტანჩაცმული, როგორც დაბრუნებულიყო სახლში, ისე იწვა მოსე გაგუდული ტახტზე. გარს ეხვია უნუგეშოდ დარჩენილი ცოლშვილი. ყველაფერში სიღარიბე, ნაკლულოვანება ეტყობოდა, სწორედ ნატისუსალი ასდიოდა, როგორც ჩვენში ამბობენ.

აქვე ვითათბირეთ სამთავემ და ასე გადავსწყვიტეთ: მე დაუყოსებლივ წავიდოდი ილიასთან და ვაცნობდი საქმის გარემოებას და თანაც ჩვენს გადაწყვეტილებას, რომ დღესვე იმასთან შევიკრიბებოდით, რადგან საქმის გადადება შეუძლებელია, შველა მსწრაფლად უნდოდა. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ამბავი აგვისტოში მოხდა, ჯერ კიდევ დიდი სიცხეები იდგა და მიცვალებულის შინ დატოვება შეუძლებელი იყო.

მივედი ილიასთან. ვუამბე დაწვრილებით საქმის გარემოება. ილია თავისებურ სიდინჯით მისმენდა, როდესაც კი გავუხსენე, რომ დღეს თქვენთან კრება დავნიშნეთ და დაესწრებიან-მეთქი მაჩაბელი და ი. გოგებაშვილი, ილიამ მაშინვე სახე იცვალა, კოპები შეიკრა და მკვახედ მითხრა:

— მერე ვინ მოგცათ მაგის ნება, ჩემ დაუკითხავად. მან მ ცოცხალი ვარ, მაჩაბელი ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოსდგამს.

მაშინ ილიასა და მაჩაბელს შორის ბრძოლა უკვე გამწვავებული იყო.

ილიას პასუხმა ისე გამაოცა, რომ დავიბენ, აღვშფოთდი და კარგა ხანს ხმის ამოღება ვეღარ მოვახერხე. პასუხი სრულიად მოულოდნელი იყო. იქ მიცვალებული უპატრონოდ გდია, ოჯახი სასოწარკვეთილებაშია და ილია კი, პირდაპირ პასუხის მაგიერ, რაღაც პირად ანგარიშებზე მელაპარაკება. ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვედი და ვუთხარი:

— ილია, მკვდარს ხომ მოვლა უნდა, და ეს ჩვენი მოვალეობაა.

ილიამ იგრძნო, მგონი, თავისი და ჩემიც უხერხული მდგომარეობა, და ამის თქმა ღა მოახერხა, ისიც უკმესად:

— ჩემ მაგიერ მოიწვიეთ ჩემი მოადგილე ნ. ცხვედაძე, და საცა გინდათ, დანიშნეთ კრება. მე კი ვერ მოვალ.

ვინც ილიას კარგა დაახლოებით არ იცნობდა, იმაზედ, რასაკვირველია, ზემოდ მოყვანილი მაგალითები ისეთ შთაბეჭდილებას იქონიებდნენ, თითქოს ილია მართლაც გულქვავი, სასტიკი ადამიანი უნდა იყოსო. მართალია აქ მხოლოდ ის, რომ მტეროან, მებრძოლთან ულმობელი, შეუბრალებელი იყო, მოწინააღმდეგის დაზოგვა, შეწყალება არ იცოდა. თუ ვინმე გაჰბედავდა მის პიროვნების შელახვას, მის აბუჩად აგდებას, მაშინ გაალმასებული, ლომს დაემზგავსებოდა და კაცს ზედ შეაკვდებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო. აგრეთვე გაბედულად, უშიშრად იცოდა გალაშქრება იმათ წინააღმდეგ, ვინც ამის წმინდათა წმინდას, ამის რწმენას შეეხებოდა.

გავიხსენოთ თუნდაც პირველი ხანა იმის საქვეყნო ასპარეზზე გამოსვლისა, როდესაც მესამოცე წლებში, რუსეთიდან გადმოსვლის უმალ, ილია ჩაერია ამ დიდ ბრძოლაში, რომელიც მაშინ იყო გამართული ბატონ-ყმობის გადავარდნის გარშემო. უმრავლესობა თავად-აზნაურობისა გაიძახოდა: დეე, ბატონ-ყმობა მოისპოს, გადავარდეს, მაგრამ მიწას, მამულს კი ვერ დავუთმობთ ჩვენს ესლანდელ ყმებსაო. მეტადრე დიდი მამულის პატრონნი და წარჩინებულნი დიდ უარზე იდგნენ. და, აი ერთ გუბერნიის თავად-აზნაურთა დიდ კრებაზე, რომელიც ამ საჭირ-ბოროტო საქმეს იხილავდა და აბობოქრებულ ზღვას მოგაგონებდათ, ილია თურმე პირველი წამოსდგა და თავისებური გაბედვით, სითამამით წარმოსთქვა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცეს და ისე უნდა განთავისუფლდესო. ეს საკმარისი იყო გაბოროტებულ თავად-აზნაურობისათვის: იქვე მისცვივდნენ გაბრაზებულნი და გამოხანჯვლას უპირებდნენ, და ესეც მოხდებოდა, რომ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი, რომელიც ილიას თანაუგრძნობდა, გარს არ შემოხვეოდა და არ გადაერჩინა უბედურებისაგან.

ილია არ შეუშინდა, არ შედრკა, ეს იყო მისი რწმენა, რუსეთიდგან გადმოტანილი, და ამ თავის რწმენას ადვი-

ლად არავის დაუთმობდა. მეორე კრებაზედაც დაესწრო. გამოვიდა თურმე ივანე მუხრანსკი, ზვიადი, განდიდებული ფეოდალი, გენერალ-მაიორი, და სთქვა: უმამულოდ გლეხობის განთავისუფლებაზე უარს არავინ იტყვის, ხოლო მამულის მიცემაზე კი თანახმა არავინ გახდება, თითო-ოროლა კაცუნიას მეტიო, კაცუნიაობით კიჟინი ილიამ თავის თავზე მიიღო, რადგან მარილა დაბალი ტანისა იყო, იუკადრისა თავის ადამიანურ ღირსების შელახვა, მიჰვარდა ვეფხვივით ივანე მუხრან-ბატონს, სწვდა მკლავში, მოატრიალა თავისკენ ხანშესული მოხუცი ღენერალი და გააფთრებულმა შეუტია: დაასახელეთ ვინ არიან ეგ კაცუნიებიო? ივანე შეკრთა, წახდა და იძულებული იყო ბოდიში მოეხადა გაალმასებულ ასალგაზრდის წინაშე.

ასე გამიგონია ეს ამბავი გენერალ ქრისტეფორე მამაცაშვილისაგან, რომელიც დამსწრე ყოფილა ამ კრებისა. ეს მამაცაშვილი შემდეგ დირექტორად იყო სათავად-აზნაურო ბანკისა და ხშირად მქონია იმასთან ლაპარაკი ძველ ამბებზე.

ეს იყო პირველი გამოსვლა ილიასი საქვეყნო ასპარეზზე. შემდეგშიაც არა ერთხელ უგრძვნიათ ამის ბასრი კლანჭები მის მოწინააღმდეგეთ. მისი დიდი ჭკუა, მახვილი გონება, მოსწრებული სიტყვა და პასუხი, მისი ხან შეუპოვარი გამბედაობა, ხან ლაღი ოხუნჯობა ბევრს უფრთხობდა ძილს, ბევრს უკარგავდა ხალისს მეორედ კიდევ გაჰმკლავებოდნენ ასეთ უძლეველ მებრძოლს. და რაკი ამ გზით ვერას აკლებდნენ, შეეცდებოდნენ ხოლმე სხვა ღონეს, სხვა ხერხს და ხრიკებს. შეეცდებოდნენ მის ადამიანურ ღირსების შელახვას იმ იმედით, რომ ამით როგორმე დავამცირეთ, სახელი გავუტეხოთ, ძალა, გავლენა მოვაკლოთ და როგორმე დავიყოლიოთ, დავძლიოთო. მაგრამ ამაო გამოდგა ყოველივე ცდა. ილია მაგარი იყო, როგორც სალი კლდე, და დრეკა ვერ უყვეს. ვერც ხმლის ელვარებით, ხანჯლების ტრიალით, ვერც დამბაჩების გულზე მიბჯენილ ლულით ვერ შეაშინეს ილია, ვერ მოახრევინეს ქედი, ვერასოდეს ვერ გადაათქმევინებდნენ ხოლმე იმას, რაც მას მართლად მიაჩნდა. ილიამ უკან დახევა არ იცოდა: მეომრის უკან დახევა, გამოქცევა ბრძოლის ველიდგან — სიმუხთლეა, ღალატიაო, — იტყოდა ხოლმე ილია, როდესაც უსაყვედურებდნენ ხოლმე ჯიუტობას, სიკერპეს,

სიმკაცრეს. ასეთი სიმაგრე, შეუპოვრობა, სიმკვახე და მოურიდებლობა იყო მიზეზი იმისი, რომ ილია არა ერთხელ ყოფილა ბარიერთან მდგომი, არა ერთხელ ყოფილა მისი სიცოცხლე ბეწვზე დაკიდებული.

გაიხსენეთ მისი დუელი ნ. ნიკოლაძესთან, როდესაც ეს უკანასკნელი რუსული გაზეთის „Обзор"-ის გამომცემლად იყო. ნიკოლაძეს მხრივ სეკუნდანტი იყო, სხვათა შორის, პოეტი სიმბორსკი, „Обзор"-ის თანამშრომელი, კაცი ნიჭიერი, პატიოსანი, ბევრსა ცდილობდა თურმე, რომ საქმე შერიგებით გათავებულიყო. რომ ვერას გამხდარიყო, გული ამოსჯდომოდა და ქვითინი დაეწყო: ეტყობა ეს ორი ნიჭიერი კაცი, ქართველებისათვის ერთგულნი მოღვაწენი, არ ემეტებოდა სასიკვდილოდ. ამან იმოქმედა თუ სხვა რამ გარემოებამ, არ ვიცი, მაგრამ მაინც საქმე შერიგებით გათავდა.

იყო კიდევ ერთი შემთხვევა. ილია ბანკის კრებაზე წლიურ ანგარიშს კითხულობს და თან განმარტებას იძლევა. სიტყვა ჩამოვარდა არწრუნისეულ მამულის თაობაზე, რომელიც შეიცავდა ოთხ დესეტინა ადგილს შუაგულ ქალაქში, სასახლის ქუჩაზე და რომელზედაც გაშენებული იყო ქარვასლა, ქართული თეატრი და ბანკის სადგომი. ეს მამული მერე ბანკს დარჩა ექვსას ათას მანეთად. ამის გამო ილია ამბობდა, რომ ბანკმა ქართველობას დიდი საშვილიშვილო სიმდიდრე შესძინაო. წამოდგა გენერალი სუმბათაშვილი და სთქვა:

— რას გვიქადით, რომელ სიმდიდრეზე ლაპარაკობთ. მე კი მგონია, რომ ექვსასი ათასი მანეთი გადაგიყრიათ. რა სიმდიდრეს ჰხედავთ ამ მამულში, შიგ ქვების მეტი რა ყრია?

—თუ ეგრეა, — უპასუხა ილიამ. — მაშ მუქთად გაგვიცია ქალაქის მამულებზე მილიონები. ქალაქის მამულებში, შენობებში, ხომ ქვების მეტი არა ყრია რა? მაშ დავღუპულვართ, ფულები წყალში გადაგვიყრია? იქნება გენერლის ჭკუა ასე სჭრიდეს, ჩვენ კი სხვანაირად გვიჭრის ჭკუა და გონება.

— შენი სიცოცხლე სულ მაგნაირ ოინბაზობაში გაგიტარებია, — შეაწყვეტინა სიტყვა ნაწყენმა გენერალმა.

— მაგაზე სხვა ადგილს მომცემთ პასუხს, — მიაძახა მთლად ანთებულმა ილიამ, და მერე ისევ დინჯი კილოთი განაგრძო ანგარიშის კითხვა და განმარტება.

მართლაც, იმავე დღეს ილიას სეკუნდანტები გაეგზავნა

გენერალ სუმბათაშვილისათვის. მაგრამ იმას ბოდიში მოეხადა: გაეცხარდი და უნებურად სიტყვა წამომცდაო. ამით გათავდა საქმე.

ასე მედგრად, შეუპოვრად შეებრძოდა ხოლმე ილია თავის მოწინააღმდეგეს და თავს არავის დააჩაგვრინებდა. ყველას შესაფერი იარაღით გაუმკლავდებოდა: ნიკოლაძეს გაზეთის ფურცლებზე ებრძოდა მწვავე და სუსხიანი წერილებით, ხან მკვირცხლი ლექსით — პაროდიებით. ნიკოლაძეს არა ნაკლებად უჭრიდა კალამი და ესეც მედგრად დაუხვდებოდა ხოლმე თავის „Обзор"-ში. მაგრამ ხანდახან უცნაურად მიჩუმდებოდა. ერთხელ ნიკოლაძესთან მქონდა ამ გარემოების შესახებ ლაპარაკი და ასეთი პასუხი მომცა:

— მოდი და ნუ დასჩუმდები: ააფრიალებს ილია თავის მწვანე საწინასწარმეტყველო დროშას, ვით მართლმორწმუნე მაჰმადიანი და შეჰქმნიან ქართველები განგაშს: ნიკოლაძე საქართველოს მტერიაო, სამშობლოს გამცემი, მოღალატეო.

ამით უნდა აიხსნას ის გამწვავებული განწყობილება ილიასა და ნიკოლაძეს შორის, რომელსაც შედეგად მოჰყვა ზემოდ აღწერილი დუელი მათ შორის, საბედნიეროდ მშვიდობით დამთავრებული.

საბრძოლველად ილია ერთსა და იმავე იარაღს არ ხმარობდა. მის სალაროში ბევრი სხვადასხვა ფერადობის იარაღი მოიპოვებოდა, და რა არის უფრო გასაკვირი, ყოველ იარაღს ისე მარჯვედ, ისე ლამაზად ხმარობდა, რომ კაცი განცვიფრებაში, აღტაცებაში მოჰყვანდა. შინაურებისთვის იშვიათად მიჰმართავდა დამბაჩას, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც აიძულებდნენ. ამათთვის სულ სხვა იარაღი ჰქონდა, არა ნაკლებ გულგამგმირავი, ვიდრე ხმალი ან დამბაჩა: ეს იყო მისი შესანიშნავი ლექსად ნათქვამი ეპიგრამები, გამოცანები, დაშხამულ ისრებად ნატყორცნი კალმის პატარა წვერიდან იმათ მიმართ, ვისაც ქვეყნის მტრად, საქართველოს გამცემლად სთვლიდა. ესენი იყვნენ ის წარჩინებული ქართველნი, რომელთათვის ბედს ბევრი მიეზღო, და მაშასადამე, ბევრიც მოეთხოვებოდა, მაგრამ ამათ ქვეყანაც და

ქვეყნის ბედიც — ყველა ფეხებზე ეკიდათ. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომელნიც ცხად ჰყოფენ ილიას როგორც სულისკვეთებას, ისე მის მაღალ ნიჭიერებას და გონების ელვარებას.

გამოცანები დაწერილი იყო წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, არ იბეჭდებოდა, ან კი ვინ გაჰბედავდა დაბეჭდვას, როდესაც მიზანში ამოღებულნი იყვნენ ისეთი ბობოლები, როგორც მაგალითად, ლევ. მელიქიშვილი, გრ. ორბელიანი, გ. მუხრანსკი და სხვები, რომელთაც მთავრობის მმართველობაში დიდი ადგილები ეჭირათ. ხელთნაწერად კი ბლომად იყო საზოგადოებაში გავრცელებული. ახალგაზრდობა, რასაკვირველია, ტაშს უკრავდა ილიას, ხოლო მაღალ საზოგადოებაში კი, რა თქმა უნდა, დიდი განგაში ასტყდა, დიდი აურზაური და რისხვა გამოიწვია. ილიაზე დიდი იერიში მიიტანეს. მერე ეს როგორ დაუხვდა?..

ამაზე იტყვიან: მოვიდა სეტყვა და დაუხვდა ქვაო. მტრებმა ნახეს, ვისთანა აქვთ საქმე, იგრძნეს, რომ ამ ქვას ვერაფრით გაჰხეთქ; მიხვდნენ, რომ მათ მუქარას და წყრომას არა აქვს გასავალი და მიჩუმდნენ: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო. მაგრამ ეს მიჩუმება მხოლოდ ერთგვარი ფანდი იყო მებრძოლისა. აშკარად გამოსვლას ილიას წინააღმდეგ ველარა ჰბედავდნენ და ჩუმ-ჩუმად კი ენას ასისინებდნენ, ცილს სწამებდნენ: ილია ქვეყანაში გვთხრის, გვამცირებს, ჩვენ ნაკლულოვანებას არ ჰმალავს, მასხარად გვიგდებს, ამით მტერს ახარებს და ჩვენ კი თვალს გვიყენებსო.

სიმართლე გვაიძულებს ვთქვათ, რომ გრ. ორბელიანი არ ჩარეულა ამ მოსისინეთა ფერხულში. დიდმა გულმა იცნო სხვა დიდი გული და ნიჭი. „არა, არ მწყინს, — სთქვა თურმე გრიგოლმა ილიას პასუხის გამო: — მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა“! დანარჩენები კი ილიას შემდეგ ლექსში ჰპოვებდნენ თავიანთ შერცხვენას და სულის სიმრუდეს:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენ ცუდს არ ჰმალავს, — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ. კარგი გული კი მაშინვე სცნობს
— ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!

ასე იბრძოდა ილია შინაურ მტრების წინააღმდეგ. აქ უფრო ლმობიერება, გულისტკივილი ეტყობა ჩვენი ცხოვრების უკეთმართობის მიმართ. გარეშე მტრებთან კი, მეტადრე თუ ესენი შეეხებოდნენ მის წმინდათა-წმინდას — „ქართველის ბედს“, ილიამ შებრალება არ იცოდა, სასტიკი იყო, მკაცრი; მაშინ მისი სიტყვა ღვთის რისხვა იყო. ასე მოეპყრო ილია გაზეთს „Московские Ведомости“, რომლის სულის ჩამდგმელი იყო ერთ დროს დიდად ცნობილი კატკოვი, ეს ჯალათი რუსეთის აზროვნებისა, სულის ჩამდგმელი, ჩამგონებელი მაშინდელი სულთამხუთავ მინისტრების: ტოლსტოისა და პობედონოსცევისა. ამ კატკოვმა გამოილაშქრა ქართველების მიმართ აი რა შემთხვევის გამო.

ტფილისში პირველად ითამაშეს ქართულ სცენაზე ცნობილი „სამშობლო“, დრამა დ. ერისთავის. ამ პატრიოტულმა წარმოდგენამ პირით გამოუთქმელი აღტაცება გამოიწვია თეატრში. მეტადრე იმ წამში, როდესაც სცენაზე ქართული დროშა გაშალეს. მყისვე მოსკოვში დეპეშა აფრინეს და ეს ამბავი კატკოვს აცნობეს. კატკოვი მაშინვე ამხედრდა და დაურიდებლად ეუბნებოდა ქართველებს: მიატოვეთ თქვენი სიზმრები, თავი დაანებეთ ბოდვას და როტვას ქართველთა რაღაც წარსულზე. რაც შეეხება თქვენს დროშებს, გირჩევთ ეხლავე ჩააბარეთ გოდფრუას ცირკს, იქ ჯამბაზები და ტაკიმასხარები უკეთ გამოიყენებენ, ვიდრე თქვენი თეატრი. ასეთი მგელკაცობით და უკიდურესი სიძულვილით ქართველებისადმი იყო გაჟღენთილი მთელი გამოლაშქრება კატკოვისა.

ილიამ ჩვეულებრივი სიმძლავრით და სიმძაფრით გასცა პასუხი კატკოვს და თუ ეს უკანასკნელი ვერ გადაარჯულა, ქართველს მაინც გული მოჰფხანა, აგრძნობინა, რომ ის გაჭირვებაში მარტო არ არის, რომ მას მოეპოება მძლავრი მოთავე და გამბედავი ბელადი.

ასევე იყო საქმე, როდესაც ქართველების დაუძინებელმა მტერმა, სახელგანთქმულმა განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრახა ერთი კალმის მოსმით მოესპო ქართულის სწავლება სკოლებში. ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში ყველა ქართველ მამულიშვილს უსათუოდ მოაგონდებოდა ილია. ის იყო გაჭირვების ტალკვესი. თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაულა-

ლავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობის, ის გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუაც მოსდევდა, ცოდნაც და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გაგვიძეს, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდგან გვგლეჯამენ. შენ უნდა გვიხსნა ამ განსაცდელისაგან, შენ უნდა ამოიღო შენი ძალუმი ხმაო. ილია დინჯად მოუსმენდა ყველას, მასალას შეაგროვებდა, შეისწავლიდა, თავის გამჭრიახ გონების ცხრილში გაატარებდა, ნაკმაზს გადაჰყრიდა, მძიმე, მაძღარ მარცვალს თავი-თავს მოუყრიდა, დაჰფქვავდა, სამტკიცში გაატარებდა, შესზელდა, თავის შემოქმედებითი ნიჭს და ბუნებით მონიჭებულ მადლს შიგ ჩააყოლებდა და ისეთს ნამცხვარს გვიძღვნიდა, რომ მტერსაც კი შურით თვალი დაუბრმავდებოდა. ასეთ საგზალით შეუდგებოდა გზას და ბრძოლის ველიდან ძლეული არ დაბრუნდებოდა. წერილები ისე იწერებოდა, საგანს ისე გააშუქებდა ყოველ მხრივ, პედაგოგიის ისეთს ღრმა ცოდნას გამოიჩენდა, რომ თვით სპეციალისტებს უკვირდათ, ესე ზედმიწევნით როგორ შეუთვისებია ჩვენი მეცნიერებაო.

ასეთია დიდბუნებოვან ადამიანის თვისება: რაღაც შთაგონებით ჩასწვდებიან ისეთ სიღრმეს და იქიდგან ისეთს ძვირფას მარგალიტებს ამოჰკრეფენ, რომელიც სხვებისთვის, თვით სპეციალისტებისთვისაც კი, სრულიად მიუწვდომელია. გაიხსენეთ თუნდა რუსეთის გამოჩენილი მწერალი ტოლსტოი. როგორ განცვიფრებაში მოიყვანა მთელი რუსეთის საზოგადოება და გამოჩენილი პედაგოგები, როდესაც ტოლსტოიმ გამოაქვეყნა თავისი პედაგოგიური წერილები და თავისი სისტემა სწავლებისა, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა თვით მისგანვე გამართულ სკოლაში, თავის მამულში, იასნაია პოლიანაში.

როგორი იყო ილია კერძო ცხოვრებაში? არ იყო მედიდური, გვარეულობით თავი არ მოჰქონდა, უბრალო, მდაბიური ცხოვრება მოსწონდა, შინ ჯდომა უყვარდა, დარბაზობა, ეგრედწოდებულ ვიზიტებზე სიარული სძულდა. შინ კი ბლო-

მად მოსდიოდნენ ნაცნობნი, თავისი თუ ცოლისა, მაგრამ მათი დახვედრა, მათი მიღება ევალათ მის მეუღლეს და დას, რომელიც მასთან ცხოვრობდა.

ცოტა უკმეხი იყო, მარტოობას არჩევდა, ხშირად მთელი საათობით უძრავად იჯდა ჩაფიქრებული. გაცოცხლდებოდა ხოლმე მხოლოდ სჯა-ბაასის, კამათობის დროს. თუ ვისმე დაიახლოვებდა და გულს გაუხსნიდა, მაშინ ოხუნჯობდა, ლაზღანდარობაც უყვარდა მათთან. მაგრამ აქაც საბელს არ მიუშვებდა, თავი ისე ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერავინ გაჰბედავდა. თუ ვინმე თავს აიგდებდა და საზღვარს გადავიდოდა, ერჩია, თითონვე ამოეკვეთა ფეხი ილიას სახლში. ილია პირს აღარ უჩვენებდა.

ჩემს დროს ყველაზე მეტად შელაზღანდარებული იყო ილიასთან ნიკო ხიზანიშვილი, კაცი ენა-წყლიანი, სიტყვამოსწრებული, კარგი მოსაუბრე, ოხუნჯი, ამასთან ჭკვიანი, კარგად განათლებული და ბევრი ნაკითხი. სხვებისაგან ილია თუ წკიპურტსაც არ მიიკარებდა, ამისაგან ბევრს ითმენდა...

ერთსელ ილიასთან სტუმრად მივდიოდით საგურამოში. ავჭალამდე რკინის გზით ვიარეთ, მერე იქიდგან ეტლებით და ცხენებით. გარდა რედაქციის წევრებისა, ჩვენთან იყვნენ: არტისტი ქალი გაბუნია, პოეტი რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი, არტ. ლეისტი და სხვანი. ეტლებში ადგილი ცოტა იყო, ისე რომ მოხუც რაფიელსაც კი კოფოზე მოუხდა ჯდომა, კუჩერთან. ნიკო ხიზანიშვილმა ცხენზე შეჯდომა არ-ჩია. ნიკო არ იყო „ჭაბუკი ვინმე ჩაუქი“, არც ცხენზე შვენოდა „ვით ალვა რგული“, მაგრამ სიმარდეს და კისკასობას კი ჩემობდა: ცხენი ხან გააჭენა, ხან გამოაჭენა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადმოწვებოდა, ერთის სიტყვით, ტაიჭობდა, მასხარაობდა. ბოლოს ცხენს ერთი ძლიერი დაჰკივლა, მიაგდო ეტლს, სადაც ილია იჯდა, დაბლა თავი დაუკრა და მიესალმა: ბატონს ვახლავართო!

— ჰეი, ნიკო! აფსუს, რომ შენ ჩვენი მეფეების დროს არ იყავი! რა კარგი კარის მასხარა იქნებოდიო!

— მაშინ საგურამო შენი კი აღარ იქნებოდა, ჩემი იქნებოდაო, — მოუჭრა ნიკომ სიტყვა.

ცხადია, რის თქმაც უნდოდა ნიკოს: დიდკაცობა და მამუ-

ლი სწორედ მაგ მასსარობითა გაქვთ მეფის კარზე შეძენილი და არა სხვა რაიმე ღირსებით ან დამსახურებითო.

ილიამ ბევრი იცინა ამაზე. უყვარდა ასეთი მოსწრებული პასუხი. არა ერთხელ უამბნია ასე მოსწრებულად, ჭკვიანურად ნათქვამი გლეხებისაგან. საზოგადოდ ილიას დიდად მოსწონდა გლეხების დრბაისლობა, ნამუსიანობა, ჭკვიანური, ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი. მეტადრე აკვირვებდა ილიას გლეხების ფილოსოფიური სიმაგრე, გულგაუტეხელობა, როდესაც რაიმე უბედურება ეწვეოდათ. არა ერთხელ გამიგონია ილიასაგან ამის მაგალითი.

სოფელ წიწამურში მცხოვრებ ერთ გლეხს საქონლის ჭირი გასჩენოდა და ნახევარი საქონელი გასწყვეტოდა. როდესაც შემხვდა, მივუსამძიმრე, მეწყინა შენი ასეთი ზარალიმეთქი.

— რა ზარალს ბრძანებ, ბატონო?

— აი, ჭირმა რომ მოგაყენა.

— ეჰ, შე დალოცვილო, ეგ რა ზარალია: ღმერთი ძმად გამიხდა და შუაზე გამიყო საქონელი. მხარში ამისთანა მოზიარე ჩამიდგა, დღეის იქით ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს!

აი კიდევ საგურამოელი გლეხი მარტია, კაცი კარგი შეძლებული, მამულისა და ბლომა საქონლის პატრონი, აი ეს მარტია მოვიდა ერთხელ ჩემთან და ფულს მესესხება, — გვიამბობდა ილია.

— მარტიავ, მაგისთანა გაკეთებული, შეძლებული ოჯახის პატრონი მე მესესხები ფულს?

— რად გიკვირს, ბატონო?

— იმათ, რომ შენ ჩემზე მდიდარი ხარ და მე კი ფულს მესესხები.

— მართალია, მე შენზე მდიდარი ვარ, მაგრამ ფულით კი არა.

— მაშ რითი?

— აი ამითი, — და მარტიამ ხელი დაადო თავის ქალამანს. — შენ რომ ეგ გაპრიალებული ფეხსაცმელი გაგიცვდება, ჯავრით აღარ დაგეძინება. მე კი ამ ქალამანს როცა მინდა, მაშინ ამოვისხამ, არც დავღონდები, არც ძილს დავიკლებ. აი რითი ვარ შენზე მდიდარი...

ამ მარტიას ნახვა ერთხელ კიდევ მოემისდა უკვე ილიას სიკვდილის შემდეგ. აი, რა შემთხვევის გამო. საგურამოს მამული, როგორც სხვა შეძლება, ილიამ წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვა. ამ საზოგადოების მინდობილობით მოგვიხდა საგურამოში წასვლა მე და ალექსანდრე ყიფშიძეს. ეს ის ყიფშიძეა, რომელიც პირველ რევოლიუციის დროს, 1905 წ. ქუთაისის ვიცეგუბერნატორად იყო, რომელიც ქართულ მწერლობაში ცნობილია „ფრონელი"-ს ფსევდონიმით და რომლის კალამსაც ეკუთვნის საუცხოვო მონოგრაფიები ჩვენი წარსული ისტორიიდგან.

აი მე და ეს ყიფშიძე ავედით საგურამოში. მამულის გამგეს, რომელსაც წინადვე ჰქონდა ნაცნობი ჩვენი იქ მისვლა, საგურამოს გლეხები მოეწვია, მათ შორის იყო მარტიაც. კაკლის ქვეშ ვისხედით. მარტიამ რომ დამინახა, მიცნო. მოიგონა ილია და თვალებზე ცრემლი მოერია.

— რა უდიერობა ჩაიდინეს, ნეტავი როგორ გამოიმეტეს ეს კაცი სასიკვდილოდ, — მეუბნებოდა გულჩათუთქული მარტია...

ილიასთან ხშირად მიხდებოდა ხოლმე საგურამოში ყოფნა, ხან რედაქციის საქმეების გამო, ხან დასასვენებლად. სახლი მაღლობზე იდგა, ჰაერი საუცხოვო იყო და გადასახედი ხომ თვალწარმტაცი. სახლის უკან იდგა დიდი გაშლილი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მუდმივი ჩრდილი და სიგრილე იყო. აქვე მოჩუხჩუხებდა პატარა წყარო და გამართული იყო პატარა აუზი. ეს იყო საყვარელი ადგილი, სადაც ილია უმეტეს დროს ატარებდა ზაფხულობით. აქ კითხულობდა წიგნებს. აქვე აკეთებდა საქმეს. საღამოობით კი, როდესაც მზე კარგად გადიხრებოდა და მთებს უკან ჩასვენებას აპირებდა, ილია ავიდოდა სასლის მეორე სართულში და იქ აივანზე მთელი საათობით იჯდა ჩუმად, ჩაფიქრებული. ჩვეულებრივი პოზა იმისი იყო: მოაჯირზე იდაყვს დააბჯენდა, დიდ თითს, ცერს, ტუჩებს შუა კბილებზე მიიდებდა და ასე იჯდა. იტყოდით, ბოძკინტი შეუდგამს თავის რაღაცა ფიქრებით დამძიმებულ თავისათვისო.

თვალ წინ კი ასეთი სურათი იყო გადაშლილი: აქვე ახლოს აივან ქვეშ იწყებოდა სხვადასხვა ყვავილებით შემკული ბაღჩა, შემდეგ ხეხილიანი ბაღი, რომელსაც ზედ მოსდევ-

და... ხშირ-ვაზიანი, ჯარისკაცებივით რიგზე დამწკრივებული ვენახი. შემდეგ დაცემული ამწვანებული ველ-მინდორი, რომელსაც ვერცხლის ზოლივით ჩაჰრთობია ჩვენი არაგვი „არაგვიანი". წყლის გაყოლებით მოსჩანან — „არაგვის პირნი, მობიბინენი, შვებით მომზირნი", და მის გარშემო „მთანი ტყიანი და ატეხილი ჭალები". აგერ თავდება მომხიბლავი არაგვის ხეობა და შორს, შორს მოსჩანს საქართველოს მფარველი, დარაჯი, თეთრი გუმბათიანი ამაყი ყაზბეგი, მყინვარი. რამდენ წელს გაჰყურებდა ესე ილია ამ გულ-და-თვალ წარმტაც სურათს! ეს სურათი ჰხიბლავდა მის სულსა და გულსა, დიადი მყინვარი — ზეაღფრთოვანების ფრთებს ასხამდა მის ნიჭსა და აღონიერებდა, ამოქმედებდა მის შემოქმედებითს უნარს. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ილიას ხშირად უყვარდა მყინვართან საუბარი. აქ ებაასებოდა მყინვარს თავის „მგზავრის წერილებში", აქედგან გრგვინავდა „აჩრდილის" მოხუცი, აძლევდა დარიგებას, უთვლიდა საყვედურს და ლოცვა-კურთხევას დაჩაგრულ, დავრდომილ საქართველოს. აქ დაიბადა და განვითარდა ის დიადი ტრაგედია, ბრძოლა ადამიანის სულსა და ხორცს შორის, რომელსაც ასე სულის წარკვეთილებით განიცდიდა „განდეგილი", მყინვარის ძირში მივიწყებულ მონასტერში.

ერთ საღამოს, როდესაც მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, ილია კაკალ ქვეშ იჯდა და ლაპარაკის გუნებაზე იყო. ვისარგებლე ამით და დავეკითხე:

— ილია, ყველა საქმის გაკეთება საფუძვლიანად, მკვიდრად გიყვართ და ეს სახლი კი ვერა გაქვთ მკვიდრად, საშვილი-შვილოდ ჩამდგარი, — მაშინ კიდევ ძველ ორ-სართულიან სახლში ცხოვრობდა.

— მერე შვილები სადა მყავს, რომ შვილი-შვილებზე ვიზრუნო, — მიპასუხა ილიამ.

ილიას ჭკუას და შემოქმედებითს ნიჭს რომ ვუკვირდებოდი, ერთი რამ გარემოება მაკვირვებდა და მოსვენებას არ მაძლევდა... ვფიქრობდი, რა უნდა იყოს მიზეზი, რომ ასეა გაჩუმებული, იშვიათად სწერს, რომ ამისი შთაგონებული სული სდუმს, რომ ამის ენამზეობა, დაუშრეტელი წყარო ამის მდიდარი სიტყვიერებისა არ ატკბობს ქართველის გულსა და სმენას, — ერთი სიტყვით, პუშკინისა არ იყოს:

Молчит его святая лира,
Душа вкушает хладный сон.

გავბედე და ეს ჩემი ფიქრი ილიას გავუზიარე, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. სიტყვა ბანზე ამიგდო, და გასძახა მოურავს, რომელიც იქვე ახლოს ტრიალებდა.

— მოურავო, ეგ ვინ არიან. ემანდ კარ წინ რომ ბალახს სთიბავენ?

— ხევსურები არიან.

— აბა, ერთი აქ დაუძახე.

მოვიდნენ.

— ღვინოს არ დაჰლევთ? — ეკითხება ილია ხევსურებს.

— რატომ, თუ კი თქვენი წყალობა იქნება. სიცხისაგან ხახა ამოგვიშრა.

ილიამ განკარგულება გასცა, ღვინო მოეტანათ. თითონ კი ეკითხება ხევსურებს: საიდგანა ხართ?

— შორიდგან, თითქმის ერთი დღის სავალია.

— უწინდელი დრო გახსოვთ, — ეკითხება ილია: აი, ჩვენი მეფეები რომ გვყვანდა?

— ხსოვნით კი აბა რა გვეხსომება და გაგონით კი გაგვიგონია.

— მერე: მაშინდელი დრო სჯობდა თუ ახლანდელი?

— რა სათქმელია. გარეთ ვერ გამოვდიოდით. სოფელს რომ გავცილებულიყავით, ან ლეკი დაგვიხვდებოდა ან შინაური ავი კაცი. სისხლი იღვრებოდა. მოსვენება არა გვქონდა, შველა აირსაიდამ იყო. აი დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე. ახლა რა გვიშავს, აი, თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ და ქალაქშიაც დავიარებით. თუ რამ გასაყიდი ან სასყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ. გზაში ხელს არავინ გვახლებს.

ცოტა არ იყოს, წახდა ილია: მოელოდა წარსულის დიდებას, აწმყოს დაგმობას, პასუხი კი სულ სხვა მიიღო, კოჭი ალჩუზე ვერ დაუჯდა. მაშინვე სიტყვა შეატრიალა და ჰკითხა:

— შვილები ხომ გყავთ?

— ჰაი, ჰაი რომ გვყავს, უშვილობა როგორ შეიძლება. თუ ცოლი უშვილო გამოდგა, გავაგდებთ და სხვას მოვიყვანთ.

ამ დროს ილიას მეუღლე გამოვიდა აივანზე და იკითხა: რას ელაპარაკებითო.

ილიამ სიტყვა გადუკრა ხევსურებს ვითომ ხუმრობით:

— აი ჩემი ცოლიც უშვილოა და მაშ რა ვუყო?

— ბერწი ყოფილა. რად გინდა, გააგდე და სხვა მოიყვანეო, — სრულიად გულუბრყვილოდ და დინჯად უპასუხეს ხევსურებმა.

— ილია, რა სისულელეს ალაპარაკებო, — სთქვა წყენით მისმა მეუღლემ, ისიც გულნატკენმა, რომ უშვილო იყო, და აწითლებული, დარცხვნილი შინ შევიდა. ხევსურებიც წავიდნენ.

ამ დროს ილიამ თვალი მოჰკრა: რომ ვიღაცამ იმის ვენახის ღობე გადალახა, და შესძახა:

— ბიჭო, ვინა ხარ, ე ღობეს რომ ამტვრევ? მოურავო, მოიყვანე აქ! — მოიყვანეს.

— გაჰხადეთ ჩოხა!

— მაპატიეთ, შენი ჭირიმე, მეჩქარებოდა, — ეხვეწებოდა დამნაშავე.

— პატიება რას მიქვიან! ბიჭო, რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, გაუფრთხილდით სხვის ქონებას ისე, როგორც თქვენსას. აბა შენთვის გადაეტეხნათ ღობე, მგონი, თავსა და პირს დაამტვრევდი. მე ჩემთვის კი არ ვლაპარაკობ, თქვენ მინდა ჭკუა გასწავლოთ. მე მალე შევაკეთებ ღობეს, მაგრამ ეგ რომ შენ ხელ-მოკლე მეზობელს უყო, იმან რაღა ქნას? მინამ ის შეაკეთებს, შეესევიან ღორ-ხბო, ძაღლი, ქათამი და სულ აუოხრებენ, რაც კი აბადია. მერე, შენ აუნაზღაურებ ზარალს? აბა ემაგითი ხართ დაღუპულები, რომ სხვისი დაზოგვა არ იცით, სხვის ქონებას არ უფრთხილდებით. მე კი ჩემი ავისრულოვო და სხვები ფეხებზე მკიდიაო. სულ მაგას ჩაგჩიჩინებთ, ნუ სჩადიხართ მაგას, ნუ ხართ გაუტანლები. მაგრამ ვერა გაგაგონეთ რა. აი, ესლაც მეუბნები მეჩქარებოდაო, უფრო არ დაიგვიანე? უსიამოვნებაც მიიღე. არ გერჩი შვილოსა, შორს მოგეარა და შინ მშვიდობით მიჰსულიყავ. წაიღე შენი ჩოხა, ჩემთვის რა ბედენაა, დაიხსომე კი კარგად ჩემი ნათქვამი, თორემ მეორედ ეგრე ადვილად ვეღარ გადარჩები!

როგორც ზემოდ ვსთქვი, ილიას შინ ჯდომა უყვარდა, სტუმრად სიარული არაფრად ეჭაშნიკებოდა. შინ კი სტუმართ მოყვარე იყო და კარგადაც უმასპინძლდებოდა. ვინ არ ყოფილა ილიასთან?

აიღეთ, თუ გინდ, არტურ ლეისტი, რომელიც თითქმის შინაურ კაცად იყო ილიას ოჯახში. ლეისტი გერმანელი იყო. კარგად განათლებული, მცოდნე უმთავრეს ევროპულ ენებისა და ლიტერატურისა. რამდენი ცოდნა შეგვიძენია რედაქციის თანამშრომლებს იმისგან! დაუღალავი მუშაკი, მედგარი მშრომელი. რა საქმესაც დაადგებოდა, მტკიცედ ადგა და მინამ მიზანს არ მიაღწევდა, გზას არ გადუხვევდა. სულ ორ-სამ წელიწადში საფუძვლიანად შეისწავლა ქართული და სომხური ენა. თავისუფლად ლაპარაკობდა, თავისუფლად სწერდა. რამდენი მოთხრობა გადათარგმნა ქართული და სომხური, და დაბეჭდა გერმანულ ჟურნალებში. ამანვე სთარგმნა და გააცნო გერმანეთს ჩვენი სახელოვანი „ვეფხის-ტყაოსანი". ეს კაცი სიკვდილამდე ჩვენში ტრიალებდა და მუშაობდა ერთგულად, გულწრფელად.

ჩამოვიდა ტფილისში ინგლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი. მაშინვე ეწვია ილიას სანახავად. მორფილი სასტუმრო „ლონდონში" იყო ჩამომხდარი. ილია, როგორც თავმჯდომარე წერა-კითხვის საზოგადოებისა, და მე, როგორც მდივანი, წავედით მორფილის სანახავად და მივართვით საზოგადოების სახელობით ახლად გამოცემული, ძვირფას მხატვრობიანი „ვეფხის-ტყაოსანი". მორფილმა დიდი მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა: მე ეს პოემა კარგად მაქვს გაცნობილი, დიდად ვაფასებ, ვეცდები ვსთარგმნო და ინგლისს გავაცნოვო. მაგრამ მორფილი ხანში შესული კაცი იყო. ეტყობა ვერ სძლია ეს საქმე და დანაპირი ვერ შეგვისრულა.

ის, რაც პროფესორმა მორფილმა ვერ შესძლო, სძლია და შეასრულა ინგლისელმა სუსტმა ქალმა მარჯორი უორდროპმა. ჯერ პირველად საქართველო გაიცნო ამ ქალის ძმამ, უორდროპმა, და ძალიანაც შეიყვარა ჩვენი ქვეყანა. ეტყობა, ამის ზეგავლენით, ეს სიყვარული და სურვილი საქართველოს

ასლოდ გაცნობისა შეეთვისებია იმის დასაც. მარჯორმა ამის გამო წერილიც მოსწერა ილიას. რაზედაც ილიამ ასე უპასუხა:

„გვპირდებით ჩვენში მობრძანებას. სიხარულით დაგიხვდებით. იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღების და სიყვარულისა“.

ჩამოვიდა მარჯორი საქართველოში. ქართული ენა უკვე შესწავლილი ჰქონდა, რასაკვირველია, მწიგნობრული. აქ უფრო მეტი წარმატებით შეისწავლა ენა. ადვილად კითხულობდა „ვეფხის-ტყაოსანს“ და ილიას ნაწერებს. ლაპარაკსაც ცდილობდა ქართულად. ერთხელ ილიასთან იყო სტუმრად და ძალიან უნდოდა, რომ ქართულად ეთქვა რამე. მახსოვს კარგათ იმისი შემდეგი ფრაზა: „ლონდონი ფრიად ნისლიანია“.

ტფილისში კარგა ხანს დარჩა მარჯორი და ჩვენი ენა ისე ზედმიწევნით შეისწავლა, რომ შესძლო გადათარგმნა ინგლისურ ენაზე ილიას „განდეგილისა“ და „ვეფხის-ტყაოსანი“-სა... ორივე თარგმანი შესრულებული იყო პროზად — და არა ლექსად: მარჯორი არ იყო პოეტი. მაგრამ თარგმანი ისე ნამდვილი იყო, ისე სწორი დედანთან, რომ გვაკვირვებდა, თუ როგორ შეითვისა ასე დაახლოვებით და სინამდვილით ორთავ ნაწარმოების შინაარსი“.

მარჯორი უორდროპმა დიდი, დაუვიწყარი სამსახური გაუწია ქართველებს ამ თარგმანით. ჯერ ერთი, რომ ინგლისს გააცნო ჩვენი დიადი რუსთაველი და მეორე კიდევ, რომ მანვე ხელი გაუმართა რუსს **პოეტს ბალმონტს** ეთარგმნა „ვეფხის-ტყაოსანი“ რუსულ ენაზე. ბევრს ეხსომება, როგორ მოხდა ეს ამბავი. უორდროპი და ბალმონტი შეხვდნენ და გაიცნეს ერთმანეთი გემზე, რომელიც ინგლისში მიდიოდა. ბალმონტმა თურმე ზედმიწევნით იცოდა ინგლისური ენა. სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ ლიტერატურაზე და მარჯორიმ გააცნო თავისი თარგმანი „ვეფხის-ტყაოსანი“-სა. ბალმონტი ისე იყო თურმე მოხიბლული რუსთაველის ქმნილების სილამაზით, მშვენიერებით და სიდიადით, რომ იქვე განიზრახა მისი გადათარგმნა რუსულად. და როგორც მოგეხსენებათ, კიდეც შეასრულა თავისი განზრახვა. საუცხოო ლექსად თარგმნილს „ვეფხის-ტყაოსანს“

მან უძღვნა წინასიტყვაობა, სადაც რუსთაველს და მის ნაწარმოებს მხარში უყენებს ისეთ მსოფლიო გენიოსებს, როგორიც არიან ჰომეროსი და დანტე.

მარჯორი უორდროპი კიდევ ბევრს სამსახურს გაუწევდა ქართველობას, მაგრამ არ დასცალდა: ულმობელმა სნეულებამ, ჭლექმა, უდროოდ გამოასალმა უბედური ქალი ამ წუთი სოფელს.

ილია თუმცა ძლიერ ხელმოჭერილი იყო. მაგრამ პურადობით, მასპინძლობით არც ერთს ქართველს არ ჩამოუვარდებოდა. თითონაც უყვარდა სმა და ჭამა „ფრიად მარგი", იცოდა ჭამა ხარბად, საფუძვლიანად და სტუმრებსაც გულუხვად, ხელგაშლილად დაუსვდებოდა ხოლმე. მეტსაც ვიტყვი, — ილიას პურადობა, მასპინძლობა, მართალია, ნამდვილი „ქართველური" იყო, „ჩვენებური, ძველებური", მაგრამ ხშირად ქართველურ ბედოვლათობასაც მოგაგონებდათ. აიღეთ თუ გინდა იმის დღეობა, ილიაობა, ოცს ივლისს. როგორ გადაიხდიდა ხოლმე ილია ამ დღეობას?

ვინ ასწერს ამ დღისათვის სამზადისს, სიუხვეს სასმელ-საჭმელისას, სანოვაგისას? ასეთი ლხინი, შექცევა, ნადიმი, შეჰშვენით მხოლოდ ტროადის გმირებს, როგორც თვალწარმტაცის ფერებით აგვიწერს ჰომეროსი თავის „ილიადაში" მეც უნდა ჰომეროსის კალამი მქონდეს, რომ ღირსეულად აღვწერო ილიაობა. მაინც შევეცდები, რამდენადაც უნარი შესწევს ჩემ სუსტს, მკრთალ კალამს, აგიწეროთ ეს დღეობა.

დღეობის მზადებას შეუდგებოდნენ ხოლმე რამდენიმე დღის წინად. მერე რა მზადებას! იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატი, ინდაური, აუარებელი ქათმები. იყლიტებოდა უთვალავად ვარია, წიწილა, იდგა მთელი ხროვა სხვადასხვა მწვანილეულობისა, გატენილი ტომრები ბოსტნეულობისა, საესე გოდრები ხილეულობისა. ცხვებოდა აუარებელი პური, შოთი, ნაზუქი, იხდებოდა ქვევრები, საგურამოსი და ყვარლური ღვინოებით სავსენი. მახსოვს, ერთ დღეობას, სამი საპალნე ღვინო დაიხარჯა, ე. ი. 2250 ბოთლი, თითო საპალნეში რომ 750 ბოთლი ვიანგარიშოთ. ცოცხალი ზუთხი

მოდიოდა ძღვნათ ფოთიდამ, ეპისკოპოზ გრიგოლ დადიანი-საგან. არაგვიდგან ცოცხალი ორაგული მოჰქონდათ საგურამ-მოელ გლეხებს. აქა-იქ ელაგა ქალაქური ტკბილეულობით და ტკბილი ნამცხვრებით სავსე სინები; სამოცი ხელი ლოგინი იყო დამზადებული იმ სტუმრებისათვის, რომელნიც რამ-დენიმე დღით დარჩებოდნენ ხოლმე საგურამოში.

სტუმრები წინა დღითვე დაიწყებდნენ მოსვლას. აქ იყვ-ნენ ილიასი და მისი მეუღლის შორეული და მახლობელი ნა-თესავები, ნაცნობნი, რედაქციის თანამშორმელნი, ბანკის მსახურნი, მწერალნი, საზოგადო მოღვაწენი. იყვნენ ჩამოს-სულები იმერეთიდგან, კახეთიდგან. რა დაიჭერს ქართველ-კაცს, თუ კი კარ სადილი, ლხინი მოელის? ხომ გაგიგონია-თ-თაფლი იყოს, თორემ ბუზი თეირანიდგან მოფრინდებაო.

წინადღითვე გაიგზავნებოდა ხოლმე ავჭალას და მცხეთ-ეტლები, „ლინეიკები", შეკაზმული ცხენები სტუმრებისათ-ვის და ურმები ბარგისათვის. ამ რიგითვე თვით დღეობაზ-დილით.

მახსოვს ერთი ამისთანა დღეობა, მგონი 1886 წ. თუ 1887 წელს. თითქმის ასამდე იყვნენ ქალაქებიდგან ჩამოსული ინ-ტელიგენტი სტუმრები, მათ შორის მახსოვან: ნიკო ღოღობერ-რიძე და პეტრე ნაკაშიძე იმერეთიდგან, ანდრონიკაშვილი და შალიკაშვილი კახეთიდგან, ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, მოხუცი რ. ერისთავი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ლ. მაღ-ლაშვილი, გ. ქართველიშვილი, ძვირფასიან „ვეფხის-ტყაოსა-ნის" გამომცემელი და ბევრნი სხვანი. ესენი სულ ზოგი ეტ-ლებით, ზოგიც ცხენებით მოვიდნენ. აგერ მოისმა შორიდ-გან ზურნის ხმა, ერთი ყიჟინა და ჟივილ-ხივილი, მივხვდით, მოდის ჩვენი ასიკო ცაგარელი, ცნობილი დრამატურგი, თა-ვის დამქაშებით, უკვე კარგად შეზარხოშებული და ამიტომ-კაი გუნებაზე მყოფი.

აგერ მოისმა მშვენიერი მწყობრი ქართული სიმღერა, ახალგაზრდა ხმები: მოდიან და მოიმღერიან წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მოწაფენი თავიანთ მასწავლებლე-ბით, წინ მოუძღვით თვით ილია წინამძღვრიშვილი, ამ სკო-ლის დამფუძნებელი და მისი მუდმივი, დაუღალავი მზრუნ-ველი და გულშემატკივარი.

აგერ კიდევ გაისმა მრავალხმიანი გუგუნით ხიმღერა: „შ-

დიან საგურამოს და წიწამურის გლეხები, სამასამდე კაცი, ილიასთან დღეობის მოსალოცავად.

გაიშალა ოთხი-ხუთი სუფრა, კაკლის ქვეშ — ქალაქის სტუმრებისათვის, კაკლის გაყოლებაზე, ხეებ ქვეშ, — წინამძღვარიანთ სკოლის მოწაფეთათვის და იქვე გაყოლებით — გლეხებისთვის.

დაიწყო საჭმლის მიღება. საჭმელი საჭმელს მოსდევს, ერთი თავი მეორესა სცვლის. ერთ კერძს ზედ მოჰყვება მეორე და ესე დაუსრულებლად. ტოლუმბაშად ჩვენი შეუდარებელი თამადა რაფ. ერისთავი აირჩიეს. საჭმლის მიღების დროს სვამდნენ ღვინოს ჭიქებით. მალე ჭიქები გვერდზე გადიდგა და მოაყოლეს თასები, ჯამები, ჯამებს მოჰყვა ყანწები. პირველი ყანწი დალია ილიამ, როგორც მასპინძელმა. ბევრი არაფერი შეეტყო, მხოლოდ კუნძივით იჯდა ერთ ალაგას. გადავიდა დ. ბაქრაძესთან, ისტორიკოსთან. ეს იყო სუსტი, ნაზი აგებულობის კაცი, ხეხელა. ამას ყანწისთვის სუკი არ მოსდევდა, მაგრამ მაინც უარი არა სთქვა, გამოცალა ყანწი. გამოცალა, მაგრამ იქვე კი კინწი წასწყდა და მუხლები ჩაეკეცა. მოქეიფეთა რაზმს გამოაკლდა. წაიყვანეს ოთახში დასასვენებლად და გამოსაფხიზლებლად...

ყანწმა თავისი ქნა: აირია მონასტერი, დაიწყო ბაბილონის გოდოლის შენება, ენათა აღრევა ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ენათა დაბმა, ერთი მეორისა აღარავის ესმოდა. თამადას ვინღა უგდებდა ყურს, ცალ-ცალკე ჯგუფებათ დაიყვნენ, ყველა თავისებურად ლხინობდა, თავის გუნებაზე სვამდა.

აგერ ასიკო ცაგარელი თავის დამქაშებით, უკვე ღვინით გალეშილებით, შესძახის თავის მეზურნეს: ჩაჰბერე დუდუკს, გამაგონე მისი ტკბილი ხმა. დუდუკის ხმა კი, მართალია, ტკბილია, მაგრამ ასიკო რომ ზედ დაჰკივის თავის ჩასლეჩილი უხამსური ხმით რაღაც შიქასტას, ეს კი, უნდა მოგახსენოთ, სიტკბოებას სრულებით არა ჰგავს, ეს უფრო ტურების ყმუილს მოგაგონებს, თუმცა მის დამქაშებს, ეტყობა, ძლიერ მოსწონთ, რადგან სულ „ჰაჯან-ჰაჯან“-ს მისძახიან.

ამათვე ჯგუფშია ყველასაგან კარგად ცნობილი გიგო ყარანგოზიშვილი, განთქმული მოქეიფე, დარდიმანდი, ლოთიფოთი. სმაში ჭკუას არ ჰკარგავდა, მხოლოდ სმა თავისებური ფოკუსებით იცოდა. მაგალითად, ღვინით სავსე ჭიქას

დაიდგამდა ხელის გულზე, მერე ხელს ისე მოიღრეცდა, გადმოატრიალებდა, რომ ხელის გული ზემოდ მოექცეოდა, ჭიქაც ზედვე იდგა და არც ღვინო დაიღვრებოდა. ასლა ეს ღვინო უნდა დაელია. ეს არც ისე ადვილი იყო: გადმობრუნებულ ხელს და მკლავს ისე ადვილად ვერ მიიტანდი პირთან. გიგი ამასაც ახერხებდა: მოიხრიდა კისერს რაც ძალი და ღონე ჰქონდა, — ჰშიშობდით, კისრის ძარღვები არ დაუწყდესო, — იმდენად გადმოიხრიდა წინ, რომ ნიკაპი თითქმის გულის ფიცარს მიებჯინებოდა. ამ გვარად, ხელის გულზე მდგარ ჭიქას ტუჩებს მიუახლოვებდა და დაიწყებდა ნელ-ნელა ღვინის წრუპვას. ჭიქას რომ ნახევრამდე მიიყვანდა, კბილებით სწვდებოდა თვით ქიჭას. ღვინოს გამოაცარიელებდა და დაიწყებდა ჭიქის კვნეტას. აქაც დიდ ხელოვნებას იჩენდა: ის ჰკვნეტდა და ჰყრიდა პირიდგან შუშის ნამტვრევებს, რომ ოდნავაც არ გაიკაწრავდა არც ღრძილებს, არც ტუჩებს. ბევრისთვის ეს საზარელი, არა ესთეტიური სანახავი იყო. უნდოდათ ეთქვათ: გიგო, კმარა, შედექი, მაგრამ გიგი არტისტი იყო, ხელოვნურად ასრულებდა თავის როლს, თავს მოსწონდა, და აბა ვინ ეტყვის არტისტს: მორჩი, არ მოგწონს შენი თამაშიო!

ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში საცა სმაა, იქ სიმღერაც არის და აი კაკლის ქვეშ გაისმის განუწყვეტელი „მრავალჟამიერი“, „ყანწით ვსვამ ღვინოს“, „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმე“ და სხვა ამისთანები. ასიკოს შიქასტები წარსულის დროის სპარსული სახის, ნარჩენი ხორცმეტია.

იქიდგან, სადაც სკოლის მოწაფეები სადილობენ, მოისმის მწყობრი სიმღერა, სმენის დამატკბობი, გულის გამამხიარულებული. ეს არ ჰგავს უხამსს შიქასტას, უგემურ გულში ჭირიმე, შენ გენაცვალეს“. აქ ისმის ნამდვილი ქართული სიმღერა, აღნიაშვილის ხოროს რეპერტუარიდან, ევროპული მუსიკის კვალობაზე ტკბილ ხმად შეწყობილი, შემკული ბილი.

აგერ ცოტა მოშორებით გუგუნებს მძლავრი, ღონიერად შეწყობილი სიმღერა გლეხებისა. ამათაც კარგად გადაუკრავთ ყანწები თუმცა არა აქვთ, მაგრამ ჯამებს კი მადიანად აცარიელებენ. მიყვარს ამათი შვება-ლხენა. პატარაობიდგანვე ვარ ამას შეჩვეული, სოფელში ბევრჯელ ვყოფილვარ ამის

ცნასტველი. გლეხი თუ ლხინობს, ლხინობს სრულის გულითა და სულითა, თუ მხიარულობს — მთელი მისი არსება ხარობს, თუ თამაშობს, მღერის, — ჰგრძნობ, რომ ყველა ძარღვი, ყველა ასო სხეულისა უმღერის, უთამაშებს. ამ დროს ის ყველაფერს ივიწყებს, მხოლოდ თავის გრძნობას ემორჩილება, სხვა ფიქრს თავიდგან იცილებს, ღვინოსაც ადვილად იტანს. იქნება ეს ჯანის სიღონეს, სიმრთელეს უნდა მიეწეროს? შესაძლებელია, მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ გლეხს ლხინში, ქეიფში მოძრაობა უყვარს: მღერის, თამაშობს, ცანგალას ჩამოუვლის, ფერხულს გააბამს, ჭიდაობას გაჰმართავს, და ამასობაში ყველას ადვილად იტანს, საჭმელსაც კარგად ირგებს და სასმელსაც.

საღამო მოახლოვდა. ყველაზე ადრე წამოიშალნენ სკოლის მოწაფენი. ესენი უნდა აჩქარებულიყვნენ, რომ დღიურად მიესწროთ შინ, სკოლამდე შვიდი ვერსტი მანძილი ჰქონდათ გასავლელი.

ბინდისას გლეხებიც დაიშალნენ. ხომ მოგეხსენებათ, ქათამი რომ ქანდარაზე შეჯდება, გლეხმა უნდა ლოგინი მოამზადოს: დილით ადრე, განთიადისას საქმეს უნდა შეუდგეს, ჩვენსავით დილის ტკბილ ძილს არ არის ჩვეული.

კაკლის ქვეშ რაღა ამბავია. რას აპირებენ? აქ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს: ზოგს თავი ჩაუქინდრია და რაღაცას ლუღლუღებს, ზოგს იქვე სუფრაზე თავი მიუდვია და მისძინებია. ზოგი იქვე კაკლის ქვეშ მიწოლილა და უძრავად ძევს,ზოგი კიდევ კაკლის იქით გასულა და იტანჯება, პირიდამ აზიდებს. განაგრძობენ სმას და ღრიანცელს მხოლოდ ისინი, ვინც ისე არიან ღვინით ზედშეზელილები, როგორც კაი მოთელილი ნაბადი, ისე არიან გამოწრთობილი, როგორც მაგარი ფოლადი.

დაღამდა. დრო კარგად გადასულია. ყველას ძილი სძლევს. მოსვენებას ეძებს. გაეშურნენ სახლში. ორი დიდი მოზრდილი ოთახი მზად არის. სამოცამდე ლოგინი გაშლილია მწკრივად, პირდაპირ იატაკზე. ბევრი ტანთგაუხდელი მიწვა და იქვე მიეძინა. ზოგნი კი იქაც არ ისვენებენ. საინტერესო და თან სასაცილო სანახავი იყო, რომ ეს ხანში შესული, ჭაღარა მორეული ვაჟკაცნი ცელქობდნენ, ეშმაკობდნენ, როგორც პატარა ბავშვები, კორწიალობდნენ, მალაყებს გადა-

დიოდნენ, ბალიშებს ესროდნენ ერთმანეთს. დაწოლილებს საბნებსა ჰხდიდნენ, ფეხით ათრევდნენ, ერთი სიტყვით, მოგაგონდებოდათ ყველა ის, რაც ბევრს თქვენგანს, უეჭველია, ყმაწვილობაში გამოუვლია. ასეა: დალეული, ნასვამი კაცი და ბავშვი ერთბარაში გამოვლენ. მხოლოდ ძილში გაისმოდა მძიმე ოხვრა, ხვნეშა, ხმამაღლა ხვრინვა და რაღაც ბოდვის მაგვარი ბუტბუტი.

ჯერ კიდევ ადრიანი დილა იყო, რომ ნამძინარევი ხალხი გარეთ გამოიშალა, დაღვრემილი, დათენთილი, ტანში მოშლილი. ილია უკვე ფეხზე იყო. არ ეტყობოდა გუშინდელი ნასვამობა. სწორედ რომ ჯორის ჯიშისაა: რაც უნდა დაღლილი იყოს, ერთი კი გაგორდება, მერე მხრებს შეიბერტყავს და რაც ილია ყოფილა, ისევ ის ილიაა.

წყაროსთან, კაკლის ქვეშ, უკვე მზად არის ყველაფერი, რაც პირის საბანად არის საჭირო. ნამძინარევებმა პირი დაიბანეს, შუბლი გაიგრილეს და ცოტა გონს მოვიდნენ. შეუდგნენ დილის საუზმეს, ზოგი ჩაის თხოულობს, ზოგი ღვინოს და ზოგიც ჭრიანტელას, ე. ი. ტყემლის წვენს, რომ უფრო ადვილად შეუდგნენ ახალ სუფრას, სმას და ჭამას.

ილია უკვე გაშლილ სუფრას უჯდა და ყველას ურჩევდა ხელი არაფრისათვის ეხლოთ: ეხლავ მსუქანი ხაში იქნუბაო, მართლაც, ჩქარა მოიტანეს საუცხოვო ხაში, რომელსაც სიმსუქნე ქარვასავით მოჰკიდებოდა ზედაპირზე. ილიამ მოიდო დიდი ორჯამიანი, ჩაყარა შიგ ფაშარი პური და პირთამდე ხაშით შეავსო, მოუჯდა და ძველებურად, ჩვენებურად დაუწყო ჭამა და ისე გემრიელად, მადიანად შეექცეოდა, რომ სხვებსაც საღერღელი აეშალათ.

ამ მცირე საუზმის შემდეგ, ბევრი გამოემშვიდობა ილიას და შინისაკენ გაეშურა. ეტლები და ცხენები მზად იყო: დაჯდ ჩა ოცდაათამდე კაცი. სადილი ნაადრევად იყო მომზადებული, რადგან ზედაძენში ვაპირებდით წასვლას, სადაც ღამე უნდა გაგვეტარებინა. ზედაძნამდე კაი შორი გზა იყო, შვიდ რვა ვერსტამდე იქნებოდა, ამასთან გზა მეტად მძიმე, უვალი, დაბურული ტყეებში, ურმისა და ცხენოსანი კაცის მეტი ამ გზას ვერ დასძლევს, ეტლი აქ ვერ გაივლის.

სადილი სუბუქი იყო. ან კი ვის ჰქონდა მადა დილაადრ დელ ხაშის შემდეგ. სმასაც არავინ ეტანებოდა. გუშინდელ

სმის ნალი დღესაც ბევრს მოსდევდა. დატვირთეს ურმები ღვინით და სანოვაგით. საგზალი ისე უხვად იყო, იტყოდით, ერთი ღამით კი არა, მთელი კვირით მივდიოდით სადმე.

თითქმის შებინდებული იყო, რომ ზედაძენს მივედით. ზედაძენი მონასტერია. შენობა კარგად შენახულა. ეკლესიის გარდა პატარა სახლიც არის მიშენებული ბერების საცხოვრებლად. პირველად აქ, ამ მიუვალ მაღალ ადგილას, უღრან ტყეში, ფეხი მოუკიდნია იოანეს, ერთ იმ ცამეტ სირიელ მამათაგანს, რომელნიც მეექვსე საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში ქრისტეს მოძღვრების განსამტკიცებლად. საცხოვრებლად ირჩევდნენ ეს მამანი ან მაღალ მთიან და ტყიან ადგილებს, ან კლდიან უდაბნოებს. მათ შორის იყვნენ: შიო მღვიმელი, ანტონი მარტოდმყოფელი, დავით გარეჯელი. ამ უკანასკნელმა დაარსა ის მონასტერი, რომელიც დღესაც იმყოფება, რასაკვირველია, შეკეთებული, შელამაზებული, ტფილისში, მთაწმინდის ფერდობზე.

ზედაძნიდამ შეუდარებელი, თვალწარმტაცი გადასახედია. ტფილისი, ყარაიას უდაბნო და ზედ გაკლაკნილი მტკვარი, თითქოს შემდგარი ერთ ალაგასაო, მცხეთა, არაგვის ხეობა, ისე მოსჩანს, თითქოს ხელის გულზე გიწყვიაო. მეტადრე მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენს აქედან ტფილისი ღამეობით: შენობები არა სჩანს და ეს უშველებელი ქალაქი ისე გეჩვენებათ, თითქო დიდ, შორს მანძილზე უთვალავი ჩირაღდნებით გაუნათებიათო.

გაიშალა სუფრა სავახშმოდ. მაგრამ ჭამის მადა ვიღას ჰქონდა. გუშინდელი ნაქეიფარნი, შორი და ძნელი გზით დაღლილნი იმას ვფიქრობდით მხოლოდ, რომ როგორმე დაგვესვენა. შევნაყრდით ცოტათი და საძილოთ მოვემზადეთ. ლოგინი, რომელიც საკმარისად იყო წამოღებული, გაშალეს მიწაზე, პირდაპირ ცის ქვეშ. ბევრმა უკვე დაიძინა, მაგრამ აღმოჩნდენ ისეთებიც, რომელთაც ძილს ღვინო არჩიეს. შექეიფდნენ და ისეთი ყიჟინა ასტეხეს, მრავალჟამიერს ისე გაჰკიოდნენ, რომ არამც თუ აქ, ტყეში ნადირი და ფრინველი დამფრთხალიყო, მგონი, ტფილისშიაც კი უნდა ჩასულიყო ამათი ხმა. მთელი ღამე ამათ გამო ჩვენს თვალს ძილი არ მიჰკარებია, პეტრე უმიკაშვილიც კი, ეს პაწაწინა, უჩინარი, სუსტი კაცი, ესეც კი აიყოლია ღვინომ და მთელ ღამეს დაფ-

როტიალებდა და მძინარეებს თავს დასტრიალებდა. პეტრეს ცოტა ქალაჩუნა ხასიათი ჰქოდნა. კარგი ლალასავით სურდა ყველასათვის მოევლო: ვის საბანს გადახურავდა, თუ გადახდილს ნახავდა. ვის ბალიშს გაუსწორებდა. მეტადრე თავს ევლებოდა დ. ბაქრაძეს და ილია ოქრომჭედლიშვილს.

— აბა, ილიაჯან, კარგად დაიხურე, არ შეგცივდეს, და თან საბანს უსწორებდა. ერთი ხელით საბანს უსწორებდა და მეორე ხელში კი ღვინით სავსე აზარფეშა ეჭირა. და რადგან ღვინოს კარგად დაეძალა და ხელში სიმაგრე აღარა ჰქონდა ამიტომ აზარფეშიდგან ღვინო ეღვრებოდა და ოქრომჭედლიშვილს, რომლისთვისაც პეტრე ასე ზრუნავდა, თავზე და პირზე დასდიოდა. კაცს ეგონებოდა, ოქრომჭედლიშვილი მძიმედ ავადმყოფია და პეტრე მის საზიარებლად მოსულა. ოქრომჭედლიშვილი ერიდებოდა პეტრეს წყენას და ვერა ეთქვა რა, მხოლოდ ამას კი ეუბნებოდა:

— გმადლობთ, პეტრეჯან, გმადლობთ! მაკმარე. ჯერ საქმე იქამდე არ გამჭირვებია, რომ საზიარებელი ვიყო.

დილით, ღამის უძილონი, ნამცივნნი, დავადექით გზას. თუ ამოსვლა ძნელი იყო, ჩასვლა უფრო მეტად ძნელი გამოდგა. ურემში ჯდომა არ შეიძლებოდა: ასლა-დასლაში გულმუცელს გინგრევდა. ცხენზე შეჯდებოდით — ისე გარყევდა, რომ წელი და მუხლი გემტვრეოდა. ფეხით მოსდიოდი და მუხლები გეკეცებოდა. შუადღე გადასული იყო, რომ საგურამოში ჩავედით. სუფრა გაშლილი დაგვხვდა, მაგრამ ჭამა ვიღა ფიქრობდა, ისე ვიყავით ღამის თევით, უძილობით და მერე გზით დამტვრეულები, დაღლილები, რომ ჭამა კი არ ლაპარაკიც კი გვეზარებოდა. სადილს უკან, დღეობის მესამე დღეს, გამოვემშვიდობეთ ჩვენს გულუხვ, პურად მასპინძელს და დავადექით თავთავიანთ გზას.

აქ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ილიას მეუღლეზე ოლღა თადეოზის ასულზე. თუმცა ილია გულუხვი მასპინძელი იყო ამ სამ დღეს, მაგრამ ის მაინც მზა-მზარეულზე გულუხვობდა. ყველა წვრილმანი, მთელი მოვალეობა, თადარიგობა, შრომა, გაჭირვება, ვაი-ვაგლახი ამოდენა ხალხის დასა-

ხვედრად და გასაძღოლად, კისრად ედვა ილიას მეუღლეს ოლღას. ამისთვის ეს ვალდებულება არც ისე მძიმე იყო, რადგან იცოდა, რომ ყველა ეს ილიასათვის სასიამოვნო იყო.

უნდა იცოდეთ, რა განწყობილება იყო ილიას და მის მეუღლეს შორის. ილია, როგორც ვიცით, გულჩახვეული კაცი იყო. შუბლშეკრული, გულცივი, ცოლსაც კი გულს მაინც ძალიან არ უხსნიდა, მაღლიდგან ძირს უყურებდა, თუმცა პატივისცემით კი ეპყრობოდა. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ თავისი საუკეთესო პოემა „განდეგილი" თავის ცოლს უძღვნა.

ილიას ცოლი, ოლღა, სულ სხვა ხასიათისა იყო: გულჩვილი, მშვიდი, სათნოიანი, გულშემატკივარი, თავდაბალი. ამის გულკეთილობას საზღვარი არ ჰქონდა. თუ კი რამ შეეძლო, არას დაჰზოგავდა გაჭირვებაში შველა მიეცა, ხელი გაემართა. ილიას ხომ სულ თვალ-წარბში შეჰყურებდა. ილიას სიტყვა მისთვის კანონი იყო. ილიას ერთი წარბის შეხრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიმხვდარიყო მის გულის წადილს და მყისვე აესრულებინა. ოლღა ბედნიერად სთვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არგუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდ-ბუნებოვანი ადამიანი, და ამით სრულიად კმაყოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრულობდა. ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა. ილიას აღმერთებდა და ამიტომ თვალ-წარბში შეჰყურებდა, თავს დასტრიალებდა, რომ არც თითონ და არც სხვას არა ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა, როგორც ღვდელთ-მოქმედებას და ამიტომ მის სამუშაო კაბინეტს ფეხაკრეფით დასტრიალებდა, ახლო არავის მიაკარებდა. ყველას ნელის ხმით უნდა ელაპარაკნა, რომ ილია არ შეეწუხებინა, მის მუშაობისათვის ხელი არ შეეშალა.

ილიას საგურამოში არა ჰქონდა რა. იმისი მამაპაპეული მამული კახეთში იყო, სოფ. ყვარელში. საგურამო სრული საკუთრება იყო ილიას მეუღლისა, მემკვიდრეობით მიღებული მამისაგან, თადეოზ გურამიშვილისაგან. მაგრამ ოლღამ სრულიად უარჰყო, ხელი აიღო ამ მამულზე და როგორც მთელი თავისი არსებობა, პირადობა, ისე ეს მამულიც, ფიანდაზად გაუშალა ილიას ფერხთ ქვეშ და უთხრა: მე შენ მეტი

არავინ მინდა, დანარჩენი სრული შენი საკუთრებაა, რაც გინდა უყავი, როგორც გინდა მოიხმარე.

სიმართლე უნდა ითქვას, ილიას ბოროტად არ მოუხმარია ასეთი ნდობა და თავგანწირულება, თუმცა ილია ვერაფერი მემამულე და მეპატრონე იყო, მის მამულის მოვლილობაში ფანტაზია მეტი იყო, ვიდრე საქმიანობა, — ამიტომ მამულისთვის, მართალია, ბევრი არაფერი შეუძენია, — მაგრამ, მადლობა ღმერთს, დაკლებითაც არაფერი დაუკლია.

მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვა ვთქვა როგორც საგურამოზე, ისე ოლღას მამის, თადეოზ გურამიშვილის თაობაზე. საგურამოს ბატონები, გურამიშვილები, წარჩინებულ გვარეულობად ითვლებოდნენ წარსულ საუკუნეში. იმათი სამფლობელო იწყებოდა საგურამოდან არაგვამდე, მერე ეგრე ჩამოჰყვებოდა წიწამურზე, აქეთ, არაგვის და მტკვრისპირად ზემო და ქვემო ავჭალაზე და თავდებოდა ღრმაღელეში, თითქმის ტფილისის საზღვრებზე, დიდუბის დაახლოებით. გურამიშვილები სამნი ძმანი ყოფილან და მათში ყველაზე უნცროსი — თადეოზი, ოლღას მამა. დიდი მოყვარულნი ყოფილან თურმე მამულის, კარგად უვლიდნენ, უმატებდნენ მიწა-წყალს და დაკლებით არას აკლებდნენ. რამდენად დიდი იყო მათი სიყვარული მამულისა, იქიდგან დაინახავთ, რომ სამ ძმას პირობა ჰქონია დადებული: თუ ერთი რომელიმე მათგანი ცოლს შეირთავდა, დანარჩენი ორი უცოლოდ უნდა დარჩენილიყო, რომ ამ გზით მამული გვარეულობას მთლიანად შეჰრჩენოდა, არ დაყოფილიყო და არ დაწვრილმანებულიყო.

პირველს ცოლი შეერთო თადეოზს, უნცროს ძმას, და გარეთ გასულიყო სამსახურის გამო, მდივანბეგად ყოფილიყო. დანარჩენი ორი ძმა შინ დარჩენილა, მამულში დატრიალებულა და ძალიან კარგადაც უვლიდნენ თურმე მამულს. ის დიდრონი ზვრები, ხილის ბაღები, რომელსაც ახლა ჰნახავთ საგურამოში, იმათი მხნეობით და მომჭირნეობით იყო თურმე გაშენებული. თავიანთი პირობაც პირნათლად შეასრულეს: ორივენი უცოლოები დაიხოცნენ. მხოლოდ იმათი სიკვდილის შემდეგ თადეოზი ანებებს სამსახურს თავს, ბრუნდება სახლში და მზა-მზარეულზე ეპატრონება კარგად მოვლილს და გაშენებულს მამულს. თადეოზი ორჯერ ყო-

ფილა დაცოლშვილებული. პირველი ცოლისაგან ჰყოლია ორი ქალი: ოლდა, ილიას ცოლი, და ეკატერინე, რომელიც ცოლად გაჰყვა გენერალ სტაროსელსკის, დიდს მოხელეს, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწეს. ამ ამბავს ისე დაწვრილებით იმიტომ ვიხსენებ, რომ ამ სტაროსელსკიმ შემდეგში ილიას, ნათესაობის გამო, დიდი შემწეობა აღმოუჩინა, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების წესდება მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად. იმ დუხჭირ დროს, როდესაც მძვინვარებდა იანოვსკი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა სკოლებში სრულიად მოესპო ქართული ენის სწავლება, იმ დროს, ვიმეორებ, სტაროსელსკის წყალობით, მთავრობა გვიმტკიცებს ისეთ წესდებას, რომელიც ქართველ საზოგადოებას უფლებას ანიჭებდა ჰქონებოდა საკუთარი არამც თუ პირველ — დაწყებითი სკოლები, არამედ საშუალო სასწავლებლებიც. ქართული ენის სწავლებასაც ამ სასწავლებლებში, წარმოიდგინეთ, კარგი საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი.

თადეოზ გურამიშვილს მეორე ცოლთანაც ორი შვილი ჰყვანდა: ვაჟი და ქალი. ამ ოჯახს საცხოვრებლად მიჩემებული ჰქონდა ქვემო-ავჭალა, თითონ თადეოზი კი მუდმივ საგურამოში ცხოვრობდა. როგორც თადეოზს, ისე მის მეორე ოჯახს პირადად ვიცნობდი. ეს გაცნობა ასე მოხდა. ავჭალაში მღვდლად იყო გამწესებული ჩემი ბიძა და გურამიანთ ოჯახში შინა კაცად ითვლებოდა. თითონ თადეოზსაც მოძღვრად იგი ჰყავდა აყვანილი. ვიქნებოდი ესე 14—15 წლისა, როდესაც ბიძა ჩემს ვესტუმრე და აი, ამან გამაცნო პირველად გურამიანთ ავჭალელი ოჯახი. თადეოზიც აქ ვნახე, შემთხვევით მოხდენოდა აქ ჩამოსვლა, თორემ ისე კი ფეხმოკრეფილი იჯდა საგურამოში და იქაურობას არ შორდებოდა.

თადეოზი უკვე ღრმად მოხუცებული იყო, სიბერეს წელში კარგად მოელუნა. თეთრი გრძელი ულვაშები თითქმის მხრებზე სცემდა. ტახტზე იჯდა, მუთაქაზე ნახევრად წამოწოლილი; გვერდზე გრძელი ჩიბუხი ედო; ისეთი გრძელი, რომ თავი რომ აქ იყო, ტარი თითქმის ნახევარ ოთახს სწვდებოდა. მოწევა რომ მოუნდებოდა, გასძახებდა: ბიჭო, ჩიბუხი! ბიჭიც მაშინვე შემოვარდებოდა, დაიჩოქებდა იატაკზე, გასტენიდა ჩიბუხს თამბაქოთი და მოუკიდებდა ცეცხლს. თადეოზი სია-

მოვნებით, მოშვებით დაიწყებდა წევას და ჩიბუხის აბოლებას. ლაპარაკობდა დინჯად, დარბაისლურად, აუჩქარებლად. უჩიოდა შვილების ურჩობას. სწყინდა, რომ ქალები ამის დაუკითხავად დათხოვდნენ. არც სიძეები მოსწონდა: სტაროსელსკი იმიტომ, რომ რუსი იყო, და ილია კიდევ იმიტომ, რომ ღარიბი თავადისშვილი იყო.

პირველი ცოლის შვილებს თუ მარტო ურჩობას უჩიოდა, მეორე ცოლის შვილებს თავის უბედურებად სთვლიდა: ნეტავი რაზე დამსაჯა ასე ღმერთმაო.

მართლაც და ეს მეორე შვილები ღვთის რისხვა იყო ამ მოხუცის თავზე. ქალს კიდევ ცოტაოდენი ნიშან-წყალი ედო ჭკუისა, აზროვნებისა, ვაჟი კი, ზალიკო, სრულიად გამოთაყვანებული იყო, ჭკუაშერყეული. ენა არ ემორჩილებოდა, რაღაცას ლუღლუღებდა, რის თქმა უნდოდა, მხოლოდ მახლობლებს შეეძლოთ ამის გაგება. მუდამ ცმუკუნებდა, ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ადგებოდა, გავარდებოდა გარეთ, ისევ შემოვიდოდა, და ასე უთავბოლოდ მიდიმოდიოდა. ამისი და კი, პირიქით, იჯდა უძრავად, ერთ ალაგას, თოჯნასავით გამოწყობილი, ქართულად თავდახურული ჩაიდებდა ლეჩაქის ბოლოს პირში და ჰღეჭდა...

საწყალი დედა იტანჯებოდა, ამის მნახველი, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა და ეგონა: საზღვარ გარეთ რომ გავაგზავნო, იქ მოარჩენენო. ვისაც კი ახალ მოსულ სტუმარს ჰნახავდა თავის სახლში, მაშინვე ამაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს.

— შვილო, ნეტავი ერთი მიშველოთ, მიშოვოთ ისეთი ვინმე, რომ ჩემი ზალიკო საზღვარგარეთ წაიყვანონ. ფულს არ დავზოგავ, ოღონდ ასეთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდეს. ამბობენ იქ ისეთი ექიმები არიანო, რომ ამისთანეებს, როგორიც ჩემი ზალიკოა, ენას აუცრიან და მაშინვე ენას ამოადგმევინებენო. ლაპარაკს დაიწყებენო, მაშინ ჭკუაც მოუგროვდება და სწავლაც გაუადვილდებაო.

ეს იყო უბედური დედის რწმენა და მეც არ ვუქარწყლებდი ამ უკანასკნელ იმედს, ამ ერთად-ერთს ნუგეშს მის გამწარებულ სიცოცხლისას. პირში არაფერს ვეუბნებოდი და გულში კი ვფიქრობდი: ნეტარ არიან მორწმუნენი...

იმ დროს, როდესაც მე გურამიშვილების ოჯახი გავიცა-

ნი, ბატონ-ყმობა უკვე გადავარდნილი იყო, ამიტომ ჩემი თვალით არ მინახავს, როგორ ეკიდებოდნენ ბატონები თავის ყმებს. სხვებისაგანაც არა გამიგონია რა ამის შესახებ, ეს კი ბევრს უთქვამს ჩემთვის, რომ სამივე ძმანი გურამიშვილები მეტად ავხორცნი ყოფილან, ვნებათა და გულისთქმათა ამყოლნი...

ხშირად გამიგონია თადეოზ გურამიშვილზე, გულკეთილი ბატონი იყოვო. მჯერა, მაგრამ მაინც მაგონდება ილიას სიტყვები, რომელსაც ზაქროს ათქმევინებს:

> რა გავაგრძელო, თავადიშვილი
> კარგი რა არის, ავი რა იყოს?!

1875 წელი შავ-ბედით წლად უნდა ჩაითვალოს ილიას ცხოვრებაში. ოჰ, რა დიდის სიამოვნებით ამოვგლეჯდი ილიას ცხოვრების ისტორიიდან იმ ფურცელს, სადაც ეს წელია ჩაწერილი! ეს ის წელი იყო, როდესაც ილიამ პირველად ფეხი შესდგა ახლად დაარსებულ ქართულ საადგილ-მამულო ბანკში. ოჰ, ნეტავი მე მაშინ უფლება მქონოდა, რომ მეთქვა ილიასთვის:

— ილია, შესდეგ, ნუ ადგები მაგ მოლიპულ გზას, საშიშარია, ფეხს ვერ მოიკიდებ, დაგისხლტება, ძირს ჩაგიტანს აი იმ ხევში, სადაც მოჩანს დახავსებული, აშმორებული ჭაობი. იქ თავს ვეღარ შეიმაგრებ, ჩაგიტანს, ჩაგითრევს, ჩაილეკები. რა გინდა მაგ ჯურღმულში. იქ ქვენა ვნებათა, დავრდომილ ზნეობათა სამეფოა. შენს ნიჭს, შენს დიდს ბუნებას არ შეეშვენის იქ ყოფნა. მიაფურთხე, მიაგდე ქვა, მინამ გვიან არ არის. დაუბრუნდი შენს ზენა სამეფოს, შენს მყინვარს, შენებრ ამაყს, შენსავით ქედმოუდრეკელს. იქ, ძირს, მოგელის წვრილმანი საქმე, ანგარიშები, ანგარება, გაუტანლობა, შურელი, მტრობა. აქ, ზემოდ, დამკვიდრებული გაქვს უკვე სიყვარული, პატივი, თაყვანისცემა. იქ ქვესკნელია, აქ ზესკნელი. ქვესკნელს უნდა ეძებო სიტყვა, რომ მსმენელთა ყურს მიაღწიოს, რომ მსმენელის გულისკენ გზა გაიკვლიოს. მერე ვინ იქნება შენი მსმენელი? გაიგებენ ესენი შენს სიტყვას?

თუნდ გაიგონ, დაგიჯერებენ? იმათთვის ხომ ის ილია არა ხარ, რაც ქართველებისათვის? შენ ქართველებისათვის ბატონი ხარ, დაუგვირგვინებელი მბრძანებელი, შენი სიტყვა ქართველისათვის კანონია, შენ იმის სისხლი და ხორცი ხარ. ერთმანეთის გულის წადილს ადვილად მიუხვდებით. აქ გული გულს ეუბნება და სული სულს აძლევს პასუხს. იმათი გულის წადილი, სულის მისწრაფება კი სულ სხვა არის. იმათ თავიანთი ანგარიში აქვთ, წვრილმანი, გროშული, შენ იმათ თვალში ნოქარი ხარ, ან უკეთეს შემთხვევაში, მოურავი. მოაწონებ თავს, კეთილი, არა და გეტყვიან: მიბრძანდი, სხვას ვიშოვითო! რას იზამ? არ დაემორჩილები? დაგძლევენ: მძლავრი იარაღი აქვთ ხელში — კენჭები. დღეს მოსდიხარ თვალში — გაგათეთრებენ, ხვალ ამოგითვალწუნებენ — გაგაშავებენ, გაგაძევებენ.

შენი დიდი ჭკუა შორს კარგად სჭრის. შენც კარგად იცი, რომ ეს ასე იქნება, მაშ რად გინდა საქმე აქამდე მიიყვანო? არა სჯობია დროზე გაჰშორდე იმ სახიფათო გზას და დაუბრუნდე შენს „აჩრდილს“, შენს „განდეგილს“, შენს „კაკოს“, რომელიც ასე გიყვარდა შენ და ჩვენც შეგვაყვარე? მაგრამ ვინ მოისმენდა ჩემ სიტყვას.

მარტო მე არ მიფიქრია ასე. ასე ფიქრობდნენ სხვებიც, ვისაც გულით უყვარდა ილია, ვინც დიდს პატივს სცემდა მის ნაჭს და ჭკუას...

რომ ჩემი მოსაზრება მართალია, რომ ჩემი გულის ტკივილი საფუძვლიანია, დავიმოწმებ თვით ილიას. აი რას სწერს ის პ. უმიკაშვილს: „მე სწორედ გითხრა, ცუდი აგებულობის კაცი ვარ! დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავსწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია. თუ დავიწყე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყებულს მალე შევასრულებ და თუ დაწყებული შემაწყვეტინა რამემ, გათავდა, მე იმ დაწყებულს ვეღარ მოვუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ასეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის დევნაში, სამსახურს რომ თავი დავანებო“...

დანიელ მასლოვი

მე ძველი საგურამოელი ვარ. აქ ჩამოვედი 1901 წ. შემოდგომაზე და მას შემდეგ ამ სახლში ვცხოვრობ, თავიდანვე მეფუტკრეობას ვეწეოდი. დაბადებული ვარ ტულის გუბერნიაში, ბელევსკის მაზრაში, სოფ. კონდრატოვოში.

ჩემი მშობლები გლეხები იყვნენ. სოფლის სკოლისა და ქალაქ ბელევში მაზრის სამოქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო კურსებზე ქალაქ უმანში. 1893 წ. იძულებული ვიყავი დამეწყო მასწავლებლობა საეკლესიო-სამრევლო სკოლაში. ეს გარემოება ჩემთვის სახეიროდ იქცა. მე გავიგე რელიგიის სიყალბე და მისგან სამუდამოდ პირი ვიბრუნე.

1894 წლიდან გადავედი სოფ. ბუნინში (ორლოვის გუბერნია) საერობო სამინისტრო სკოლის მასწავლებლად, და საბოლოოდ გავიზიარე ტოლსტოის მოძღვრება, რომელიც მაშინ, შეიძლება ითქვას, რუსი ინტელიგენციის გატაცების საგანი იყო.

აი, აქ, სოფ. ბუნინში, შემთხვევით რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე, რომ კავკასიაში, ტფილისის მახლობლად სოფ. კიკეთში ესაჭიროებოდათ მეფუტკრე. დიდხანს აღარ მიფიქრია, გადავწყვიტე გამომგზავრება კავკასიისაკენ, რომლის შესახებ მე ბევრი კარგი რამ გამეგო რუს მწერალთა ნაწარმოებებიდან და განსაკუთრებით ლერმონტოვის ნაწერებიდან.

ტფილისში 1900 წლის 30 დეკემბერს ჩამოვედი და აქედან კი სოფ. კიკეთს წავედი. ენერგიულად შევუდექი მიტოვებულ საფუტკრის მოწესრიგებას, ვმუშაობდი მთელი ზაფხული, შემოდგომამდე. იქაურობა მაინცა და მაინც ძალიან არ მომწონდა და გადავწყვიტე დიდხანს იქ არ დავრჩენილიყავ. ჩემმა ბატონმა ჩემი სამსახურში მოწყობის მიზნით გამაცნო ტფილისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე

ივანე გაბრიელის ძე თულაშვილი. სწორედ ამ თულაშვილმა ჩამომიყვანა საგურამოში ილია ჭავჭავაძესთან.

— აი, ვინ ჩამოგიყვანე! — უთხრა თულაშვილმა ჭავჭავაძეს და ჩემზე მოათითა — შენ სხვადასხვა დარგი გიყვარს, აი ეს მეფუტკრეობის სპეციალისტია.

ჩვენ ვიდექით მშვენიერ, სუფთა სახლის წინ. ჩვენს წინ ფართოდ გადაშლილიყო ბაღები და მინდვრები. ყველაფერი ახარებდა თვალს, სუფთა მთის ჰაერიც, კულტურული გარემო და თითონ გულღია მასპინძელი. და აი, მას აქეთ დავრჩი საცხოვრებლად საგურამოში. აქ მე გამიტაცა ადგილმდებარეობამაც და თვით პატრონმაც. თითქოს სამშობლოში მოვხვდი, ისე ვგრძნობდი თავს და ყველას და ყველაფერს ისე დავუახლოვდი, რომ მხოლოდ სიკვდილი დამაშორებდა აქაურობას. აქ არის ჩემი საფლავი.

საგურამოში მე დამხვდა თუმცა მოხალისის ხელით გაკეთებული, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი მეურნეობა. ეს მეურნეობა იმდენ შემოსავალს ვერ იძლეოდა, რომ მით ოჯახს ეცხოვრა, მაგრამ თავის ხარჯს მაინც ანაზღაურებდა. მოსამსახურეების ჯამაგირსა და ბეგარას იხდიდა და გარდა ამისა თანდათან ფართოვდებოდა.

საქონელი აქ არც ისე ბევრი იყო — სულ 30 სული ითვლებოდა, მაგრამ ამის და მიუხედავად ბატონმა სეპარატორი შეიძინა.

მასსოვს, როგორ დავდგით ჩვენ ერთად სარდაფში დიდი მაგარი ჯირკვი და მასზე მივამაგრეთ სეპარატორი.

მამულში ჰყავდათ აგრეთვე ღორების პატარა ფარა 25—30 სული. თითონ ვამზადებდით ლორს, ამ საქმის სპეციალისტი იყო ილია ჭავჭავაძის სიძე — აფხაზი.

მინდვრები დათესილი იყო პურით, სიმინდითა და ქერით. მუშაობდენ გლეხები. ილია ჭავჭავაძე მათგან იღებდა პირობისამებრ მეოთხედს. ხშირად ესეც ხდებოდა, როცა მიწას ამუშავებდენ ქვრივ-ობლები, ან ცუდი, უმნიშვნელო მოსავალი იყო, ილიას არაფერი აღარ მიჰქონდა. მამულში მისდევდენ კულტურულ მეფრინველეობას. ფრინველები ორი ჯიშისა იყო: პლიმუტროკი და ლანგშანი (შავები). წიწილებს ჩეკდენ ინკუბატორებით. ამ კრუხების შესახებ, ილია ჭავჭავაძეს რომელიღაც წიგნში ამოეკითხა. ეს იყო გამთბარი ბუ-

დეები, წიწილები ბუდეს ეჩვეოდენ და უკრუხოთ იზრდებოდ-ნენ. ილია მუდამ სცდილობდა, რომ მეურნეობის ყველა კულ-ტურული წამოწყებანი ფართოდ გავრცელებულიყო გლეხებ-ში და ჩაენერგა მათ შორის რაციონალური მეურნეობის ჩვე-ვები. ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე ხშირად მგზავნიდა ხან ერთს, ხან მეორე გლეხთან მთელ რაიონში, რომ მე ადგილზე მეჩვენებინა მათთვის, როგორ უნდა გაემრავლებინათ ფუტ-კარი.

ხშირად, როცა სოფელში გავივლიდი, ჩემზე აჩვენებდენ გლეხები:

— აი, ეს არის უკრუხო წიწილებს რომ ჰჩეკავს!

მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილ დარგებს გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა მევენახეობასა და ღვინის დაყენებას. აღარ მახსოვს, რამდენი ვედრო ღვინო მოსდიოდათ მა-მულში.

ვაზის გავრცელებული ჯიშები იყო: რქა-წითელი და სა-ფერავი. იყო აგრეთვე კაკლისა და თხილის-ფუნდუკის ბა-ღები. ბევრი იყო ხილის ხეები, განსაკუთრებით კურკოვანი, ტყეილ-უბრალოდ რომ არაფერი დაკარგულიყო ბაღში, ჩვენ გვქონდა ხილის და ბოსტნეულის სახმობი და კონსერვების პატარა „ქარხანა". ამ საქმის სპეციალისტად ჩვენ გვყავდა გიგო თოიძე, რომელიც თეთრ ბალისაგან მშვენიერ სიროპებს ამზადებდა. ბაღში იზრდებოდა ნაირ-ნაირი ყვავილები, მაგრამ მეპატრონეს განსაკუთრებით უყვარდა იასამანი და სვიარა ვარდი. ესენი ბლომად მოიპოვებოდა საფუტკრეში.

ჩვენ ვცდილობდით მეფუტკრეობა რაც შეიძლება ფართოდ გაგვეშალა. იმ ხანებში ორასი სკა გვყავდა, მაგრამ მეპატრონის სიკვდილის შემდეგ ეს საქმე სულ უკან და უკან წავიდა, და მენშევიკების ბატონობის დროს ჩვენ ბაღში 50 სკას თუ დაითვლიდით.

იყო შემთხვევები, როცა ილია საათობით დაუჯდებოდა ხოლმე სკებს, და ჩაფიქრებული თვალ-ყურს ადევნებდა ფუტ-კრების ცხოვრებას.

ილიას ძალიან უყვარდა მეურნეობა. მაგალითად, გატყდა ლურსმანი ან ხრახნილი, მივდივარ სამჭედლოში (ჩვენ პა-ტარა სამჭედლო გვქონდა) და ვიწყებ რკინის ნაჭრის გახუ-

რებას, რომ ლურსმანი გამოვეჭედო, ილია თან მომყვება, იღებს საბერველს და აღვივებს ქურას.

ილიას დამოკიდებულება მოსამსახურეებთან ასეთი იყო:

— თედო, აქ მოდი, აი, ორი შაური, ეს შენია, არ გახსოვს? ჯამაგირი რომ მოგეცი, ხურდა არ იყო, აიღე, შვილო, შენი შრომის ფულია!

ის ზედმიწევნით სამართლიანი იყო. იგი ყაირათიანიც იყო, ეს იმისათვის, რომ საშუალება ჰქონოდა რამე სერიოზულ საქმეზე დაეხარჯა ფული, და არა ტყუილ უბრალოდ.

მახსოვს, ერთხელ ილიამ მითხრა:

— თქვენ თუ სკებს ჰღებავთ, რატომ ჩვენ ორივეს ერთად არ შეგვიძლია ჩვენი ეტლის ბორბლის შეღებვა?

წავედით ფარდულში, სადაც ეტლი იდგა, და ბევრი დაკვირვების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ბორბლების შეღებვა შესაძლებელია. ფხვნილი საღებავი ყოველთვის გვქონდა, ოლიფა, ცარცი და სხვა. მაშინვე შეუდექით ბორბლების ღებვას, და როგორც დღეს ისე მახსოვს, ბორბლები ყვითლად შევღებეთ; მართალია, ილია თვითონ არ ჰღებავდა, მაგრამ მონაწილეობას იღებდა საღებავების შეზავებაში, პროპორციის გამოანგარიშებაში და თვალყურს ადევნებდა მუშაობას.

— რაც თვითონ შეუძლია გააკეთოს კაცმა, — ამბობდა ილია, — კიდეც უნდა გააკეთოს, ეს აუცილებელიც არის და სასიამოვნოც.

ეს წვრილმანები დამახასიათებელია მისი საქმისადმი დამოკიდებულებისა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ილია განსაკუთრებით დაინტერესდა ჩია მცენარეების ბაღით — ეს პატარა, ტანდაბალი ხეებია, რომლებიც ნაყოფს მესამე წელიწადს იძლევიან.

მახსოვს, აი, ამ მუხის ძირას ვისხედით და ვმსჯელობდით ასეთი ბაღის გაშენებაზე. მოსე მოურავი გვარწმუნებდა, რომ ასეთი ბაღი აქ არ გაშენდება, მაგრამ მე მაინც შეუდექი ასეთი ბაღის გაშენებას და მართლაც მივაღწიე მიზანს, რითაც დიდად ვასიამოვნე ილია.

იმ ბაღიდან ეხლა აღარაფერი დარჩა, მაგრამ აი ეს ხეები, რომლებსაც ეხლა თქვენ უყურებთ, აი ეს კაკალი და წაბლი — პირადად ილიას დარგულია: „დანიელ, ნუ თუ ჩვენ ამ ხეების

ჩრდილ ქვეშ დავჯდებით?“. — ნაღვლიანად მითხრა ილიამ, როცა ამ წაბლის ხეს რგავდა.

ილიას მშვენიერი მეურნეობიდან აღარაფერი დარჩა, არც ბაღი, არც ვენახი.

ილიას სიკვდილის შემდეგ მამული „წერა-კითხვის“ საზოგადოებას გადაეცა. ეს საზ-ბა მამულს იჯარით აძლევდა, ხოლო მოიჯარადრეები კი ცდილობდენ რაც შეიძლება მეტი გამოეწურათ და მოეპარათ.

პირველი მოიჯარადრე ვიღაც პროვიზორი სტაუჩაიტი იყო. თვითონ ტფილისში ცხოვრობდა, აქ კი მისი ცოლი დიასახლისობდა.

მათ შემდეგ მოიჯარადრეებად იყვნენ — წინამძღვრიანთკარის სკოლის მასწავლებლები მაღალაშვილი და ნაკაშიძე. შემდეგ მენშევიკების დროს მამულს განაგებდა ვასო რცხილაძე. იმ ხანად ასეთი ამბავი მოხდა: ბაღში ვიყავი და ვხედავ ბაღს უახლოვდება ორმოცი ცხენოსანი. ერთ-ერთი მათგანი გამოდგა ბოლკოვნიკი ინწკირველი. მან მკითხა, თუ ვინ დაეხეტებოდა ტყეში და ათვევდა თუ არა ვინმე ღამეს ილიას სახლში, მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი.

მეორე დილით ისინი ხელმეორედ გამოჩნდნენ, შეჩერდნენ ძველ მარანთან, (ეს მარანი თადეოზ გურამიშვილის დროს იყო აშენებული), ჩამოხტნენ ცხენიდან და შეცვივდნენ ტყეში. მალე მოისმა ტყიდან ბათქა-ბუთქი. ინწკირველის რაზმმა უკან დაიხია. სჩანდა, რომ მაღლიდან იყო სროლა, რადგან დაფრილი არავინ იყო, ტყვიები კი სახლის სახურაზე სცვივთდა.

მეორე დილით ტფილისიდან მენშევიკების ჯარისკაცების მთელი რაზმი ჩამოვიდა, რომლებმაც ამ სახლში მთელი ღამე გაათენეს. აი, აქ მოეღო ბოლო ჩვენ საფუტკრეებს: ჯარის კაცებმა ძირიან-ფესვიანად გასთელეს მთელი საფუტკრე. ისინი ვედროებით ეზიდებოდენ თაფლს სოფლებში და ნახევარ ფასად ჰყიდდნენ. მას შემდეგ რაც ჯარისკაცები წავიდნენ, საფუტკრეებიდან მხოლოდ ნარჩენებიღა დარჩა, მაგრამ მე მაინც შევძელი ათი სკის შეგროვება, რომელიც დავაბინავე სტაროსელსკის მამულში და 1924 წლისათვის იმათგან მე უკვე ორმოცი სკა მქონდა.

1924 წ. მიწსახკომმა ჩემს საფუტკრეებთან ერთად გადა-

მიყვანა წინამღვრიანთ სკოლაში, იქ მე ოთხმოცი სკა გავამ-
რავლე.

როცა 1930 წელს საგურამოში გახსნეს სამეურნეო ტექ-
ნიკუმი და შეუერთეს წინამძღვრიანთ-კარის სკოლას, მე დი-
რექტორ ფურცელაძესთან ერთად შუაზე გავყავი 80 სკა, ორ-
მოცი დასტოვეს წინამძღვრიანთ სკოლაში, ორმოცი კი აქ
გადმოიტანეს.

სწორედ აქედან იწყება ილიას სახლში საფუტკრეების
ახალი დასაწყისი.

ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით უყვარდა მეფუტკრეობა
და მთელი საფუტკრე დანაწილებული იყო ვრცელ ბაღში.
სახლის წინ მხოლოდ 13 სკა იყო მოთავსებული, ასე ვთქვათ,
სასწავლო-საჩვენებელი ხასიათისა, რომ ყველა ცდები ჩატა-
რებულიყო მხოლოდ ამ ნაკვეთზე, რომ დანარჩენი საფუტკრე-
ები არ შეგვეწუხებინა.

ხშირად ილია სტუმრებთან ერთად აივანზე იჯდა, მე კი
აქედან ფუტკრებზე მთელ ლექციას უკითხავდი მათ. სტუმ-
რებიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა არტურ ლე-
ისტი.

მე არ მახსოვს, რომ ილიას აქ თავის თხზულებები ეწე-
როს. რამდენჯერმე მე მას უთხარი: „თქვენს ნაწერებს მთელ
ევროპა კითხულობს, თქვენ კი ყველაფერი მიატოვეთ“!

„არ არის უკვე ის შთაგონება, ის პირობები და მასთან
ახალი თაობა მოვიდა ჩემზე უკეთესი... იყო დრო, როდესაც
ადვილად ვწერდი, თითქოს ვინმე მკარნახობდა, ეხლა კი ის
აღარ არის, თავის თავზე ძალის დატანება კი არა ბუნებრი-
ვია და აქედან არაფერი არ გამოვაო“.

ილია საგურამოში მთელი ზაფხულობით ჩამოდიოდა. ავა-
რაკები მას არ უყვარდა. ზამთრობით იშვიათად მოდიოდა აქ
და ისიც სამეურნეო საქმეებისათვის. მახსოვს, ერთხელ იან-
ვარში მოვიდა, წინასწარ შეგვატყობინა, რომ 17-ს ჩამოვა.
მაგრამ თითქოს განგებ ისეთი საშინელი დღე დადგა, ისეთი
ქარიშხალი ამოვარდა, პირდაპირ საშინელება იყო. გავიფიქ-
რე, მოდი ილიას გამოვცდი, შეასრულებს თუ არა თავის
სიტყვას. რას ვხედავ — ილია ჩამოდის თავის განუყრელი ლა-
ქია ტარასაშვილი იაკობით. წვერზე და ულვაშებზე ყინულის
ლოლუები ჰკიდია, თითონ კი შეფუთვნილია. — ასეთ ამინ-

დში ჩამოსვლა როგორ გაჰბედეთ? — ასეთ ყინვაში? — ვკითხე მე.

— რადგან მე შეგატყობინეთ, რომ ჩამოვალ მეთქი, მოვიდოდი კიდევაც მიუხედავად ყველაფრისა, — მიპასუხა მან.

თავის მუშების მიმართ, ისე, როგორც გლეხებისადმი ილია ძალიან მგრძნობიარე და სამართლიანი იყო. არავისგან არ მოითმენდა უსაქმობას და არავის არ აპატივებდა უსამართლობას, ანდა ქედმაღლურ მიმართვას მუშებისადმი. ხშირად ეტყოდა ხოლმე ცოლს: „ოლღა, რა გვაქვს დღეს ჩვენ სადილად?“.

— რა და წვენი და კატლეტები.

— მუშებისათვის?

— ლობიო.

— ეს ცოტაა. ისინი ფიზიკური მომუშავენი არიან და საჭიროებენ კარგ კვებას.

— თედო! — მიმართავს ის მოსამსახურეს — შეაბი ეტლი. — თავის სადილს მუშებს გაუგზავნიდა, თვითონ კი ლობიოზე დარჩებოდა.

ილია ცდილობდა შეეგნოთ გლეხებს კულტურული მეურნეობის სარგებლობა.

— აი, უთხარით გლეხებს, რა სარგებლობა მოაქვს მანქანას, — მეუბნებოდა ილია, — ისინი თქვენ უფრო დაგიჯერებენ, ვინემ მე. მე რომ უთხრა, ისინი იფიქრებენ, რომ ამას მარტო ჩემთვის ვაკეთებ და ეს მხოლოდ ბატონის განზრახვაა.

ლოთობა ილიასთან აკრძალული იყო. მე ილია არასდროს მთვრალი არ მინახავს.

ერთხელ კალოობის დროს, ილია უძახის გლეხს სოლკას და ეკითხება:

— სოლკა, რამდენი ღვინის დალევა შეგიძლია შენ ერთ ჯერზე?

— ერთი ხელადა არ მეყოფა, ბატონო.

— ე, ეს კარგი არ არის, შენ გინახავს როდისმე, რომ მე მთვრალი ვყოფილიყავ, ან გაგიგონია?

— არა ბატონო, არა!

— მაშ, მე კი ყოველ დღე ვსვამ!

მართლაც ილია სადილის დროს ორ ჭიქა ღვინოს და-

ლევდა, მაგრამ მე არასდროს იგი მთვრალი არ მინახავს და არც შეზარხოშებული, გარდა ილიაობის დღისა.

ამ დღეს, 20 ივლისს აქ ჩამოდიოდენ ყველა რაიონიდან, ვის არ ჰნახავდით აქ. ამ დღეს უარის თქმა არ შეიძლებოდა. იხდებოდა ახალ-ახალი ქვევრები, მცხეთიდან ჩამოდიოდა მზარეული ვანო მღებრიშვილი სპეციალურად ხაშის გასაკეთებლად. ილიას კი ყველაზე მეტად ხაში უყვარდა.

ილია სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ცოლი ოლღა განუყრელად მასთან იყო.

ოლღა განუყრელად თან ახლდა ილიას, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. უყვარდა ქმარი. ერთხელ, მახსოვს ასეთი შემთხვევა:

ერთ საღამოს მე და ილია გრიგოლის ძე ვისხედით აივანზედ, წყაროს მახლობლად, ჩვენ წინ მოსამსახურემ გაიარა. პოლონელი ქალი იყო. „მანია! — დაუძახა ილიამ — ერთი ჭიქა წყალი თუ შეიძლება". მოსამსახურემ იმ წუთსავე მოართვა წყალი წყაროდან. ოლღა თადეოზის ასული მეორე სართულის აივანზე იჯდა და ყველაფერს ჰხედავდა.

მესმის, ოლღამ საჩქაროდ ჩამოირბინა კიბეები, გაირბინა აივანი, სადაც ჩვენ ვისხედით, დაეცა მინდორში და დაიწყო თავის ხლა მიწაზე. მე და ილია მივვარდით მისაშველებლად ავიყვანეთ, შუბლზე ცივი წყალი დავასხურეთ და გრძნობაზე მოვიყვანეთ.

— ოლღა, გონზე მოდი! შენ ისევ შენებურად განაგრძონ ნუ დაივიწყებ, რომ მე უკვე 70 წლის ვარ. — უთხრა მას ილიამ.

ოლღამ უსმინა, უსმინა (ცუდად ესმოდა) და შემდეგ უთხრა: — დაამთავრე ილია? ეხლა მე დამიგდე ყური: ნუ დავიწყებ რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მოგიტანო ჭიქა წყალი, შენ კი ამ სიამოვნებას მიკარგავ.

აი, როგორ ძლიერ უყვარდა მას ილია.

ეს მოხდა მგონი 29 აგვისტოს. ილია გრიგოლის-ძე გაემგზავრა ტფილისს და განკარგულება მისცა მოურავ ჯაშს, რომ დახვედროდა წიწამურში მეორე დღის დილის 11 საათზე,

რადგან ილიას იქ საქმე ჰქონდა. ამბობენ, რომ მეორე დილით ოლღა თადეოზის ასულს ცუდი სიზმარი ენახა და ილიას სთხოვა მგზავრობის გადადება, მაგრამ ილიამ გადაწყვეტილი უარი სთქვა ამაზე. „რადგანაც მე ვთქვი რომ ვიქნები მეთქი, ვიქნები კიდეც“ — სთქვა მან.

ილია გრიგოლის-ძე ცხოვრობდა ტფილისში თავის ახალ სახლში ანდრეევის ქუჩაზე, სადაც ჯერ თავლაც არ ჰქონდა გამართული, ამისთვის ილიას ეტლი სასტუმრო-ბაკებში იდგა. გამოირკვა, რომ ილიას მკვლელობის წინა საღამოთი მეეტლესთან მოსულან მკვლელები, მოჰლაპარაკებიან მას, თუ სად უნდა შემოებრუნებინა ეტლი, რომ უფრო მოხერხებულად და უეცრად დასხმოდნენ თავს ილიას.

წიწამურის ხევამდე, წყაროსთან, ილიამ ეტლი გააჩერებინა. იგი ყოველთვის ისვენებდა ამ ადგილას, რომ დაელია მშვენიერი წყაროს წყალი თუნუქის ჭიქით, რომელიც წყაროს ქვაზე ჯაჭვით იყო მიმაგრებული. ამ ხანად ილია მეტხანს შეჩერდა წყაროსთან, რადგან თავის მოურავს ჯაშს უცდიდა, მაგრამ ჯაში არ სჩანდა. მაშინ ილია ეტლში ჩაჯდა და განაგრძო გზა.

იმ დღეს დილის 10 საათზე მე გამოვედი ბაღიდან და ვხედავ — ჯაში ასულა კაკლის ხეზე და გრძელი ჯოხით კაკალს ჰბერტყავს. მე შევახსენე, რომ უკვე 10 საათია და დრო არი ილიას შესახვედრად წახვიდე მეთქი. მან მიპასუხა წავალო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხიდან მაინც არ ჩამოდიოდა. 10 წუთის შემდეგ კიდევ შევახსენე: „დიმიტრი სოფრომის-ძევ. — ვეუბნები მე — თქვენ უნდა იყვეთ წიწამურში 11 საათზე, იცოდეთ არ დაიგვიანოთ“.

— „ჰო, კი, მე განკარგულება კიდეც გავეცი და ცხენს ჰკაზმავენ“. — მიპასუხა.

მესამედაც მომიხდა შეხსენება — და მაშინ დავეჭვდი. როგორც იქნა, ის ჩამოვიდა კაკლის ხიდან, შეჯდა ცხენზე და წავიდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ოცი წუთით რომ მიესწრო, არაფერი არ მოხდებოდა, რადგანაც ჯაში „სტრაჟნიკებთან“ იქნებოდა და მკვლელები დაცემას ვერ გაბედავდნენ. ჯაშმა უკან მოაჭენა ცხენი, იგი ფერმკრთალი და დაბნეული იყო.

— ნუ აღელდებით, უბედურება მოხდა, — ყვიროდა იგი — ილია მოჰკლესს!

მალე მეეტლემ ოლღა თადეოზის ასული მოიყვანა, იგი დაჭრილი იყო, უგრძნობლად იწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ოთახში დავაწვინეთ, თვალები გაახილა და მითხრა: „იქ, კუთხეში კარადაში ბამბა დევს, აიღეთ და მომწმინდეთ შუბლიდან სისხლი". შემდეგ მკითხა: „სად არის ილია?" ამის შემდეგ ჩვენ მისგან გონიერი სიტყვა აღარ გაგვიგონია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოასვენეს ურმით ილია გრიგოლის ძე და იაკობი — ილიას ლაქია.

ილიას მკვლელობაში ჩვენ მაშინვე ჯაშზე ავიღეთ ეჭვი.

არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ილიას: „„მომეხმარეთ, რომ როგორმე მოვიშორო ჯაში, ის აგიტაციას ეწევა ჩემს წინააღმდეგ. უთხარით, რომ მე მას უკეთეს ადგილს მივცემ, ოღონდ გამეცალოს, ყოვლად უვარგისი მეურნეა".

მე მაშინ ვიფიქრე, რომ ჯაში წმინდა კაცი არ არის, რომ იგი ცუდი მიზნით არის ილიასთან მოგზავნილი.

ამ შემთხვევის შემდეგ ჯაში დააპატიმრეს, ერთი-ორი წელიწადი იჯდა, შემდეგ გაანთავისუფლეს და ამბობდნენ, რომ კარგს ადგილსაც სთავაზობდნენო.

როგორღაც, მე ერთხელ მომიხდა მასთან შეხვედრა ტფილისში, ვორონცოვის ხიდთან, ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ და მალე დავშორდით ერთმანეთს.

როდესაც, ილია და მისი ლაქია იაკობი მოასვენეს სახლში, ილია დაასვენეს სასტუმრო ოთახში, იაკობი კი — მეზობელ ოთახში, არ მახსოვს, თუ რომელიმე გლეხი მაშინ იყო მოსულიყოს, მაგრამ გვამის განკვეთას კი რამდენიმე კაცი დაესწრო. არ მახსოვს, იმ დღესვე თუ მეორე დღეს ტფილისიდან ჩამოვიდნენ გამომძიებელი ილიაშენკო და ორი მძებნელი, ერთ-ერთი იყო გვარად ტომაშევსკი და დაიწყეს გამოძიება. პირველ რიგში დაჰკითხეს მეეტლე. მან ბევრი ილაპარაკა: გვიამბო, თუ როგორ მოვიდნენ მასთან სასტუმრო-ბაკებში, როგორ ემუქრებოდნენ და როგორ დასთანხმდა ცხენების შეჩერებას დანიშნულ ალაგას.

რადგან მეეტლეს შეპირდნენ, თუ ყველაფერს იტყოდა მახელს არ ახლებდნენ, ისიც გულახდილად ლაპარაკობდა. და

კითხვის შემდეგ მეეტლე დააპატიმრეს. მკვლელებიდან მან დაასახელა ვანო ინაშვილი, საგურამოს რაიონის ყოფილი მამასახლისი, პავ. ფშავლიშვილი, ვიღაც ლომა წიწამურიდან და ერთი საგურამოელი გიგო მეზვრიშვილი, რომელმაც თითქოს მკვლელებს ათხოვა თავის სანადირო თოფი. გიგო მოჰკვდა ციხეში, სანამ საქმე გაირჩეოდა და მე მგონია უდანაშაულოდ დაიტანჯა. ვანო ინაშვილმა გვიჩვენა ადგილი, სადაც იმალებოდა ფშავლიშვილი. ვანო ციხიდან გამოიყვანეს, ფეხები შეუკრეს, ცხენზე დასვეს და ყაზახებთან ერთად წაიყვანეს სოფ. დიდ ლილოში. იქ მახლობლად საძოვარი ადგილებია და ერთ-ერთ ფარეხში იმალებოდა პავლე ფშავლიშვილი. ამ ფარეხის ბანზე იდგა ბიჭი. ვანომ დაუძახა მას და უთხრა, რომ პავლესთვის დაეძახნა. ბიჭმა უპასუხა, არავინ პავლე აქ არ არის! ბიჭს კიდევ განუმეორეს, მაგრამ იგი მაინც უარზე იყო. რადგან ვანო თავისას არ იშლიდა და კიდევაც დაემუქრა, ყველაფერი ეს გაიგონა დამალულმა პავლემ და პირველმა ასტეხა სროლა ყაზახებთან.

მთელი ფარეხი დაინგრა, ბიჭიც მოჰკლეს და პავლეც. მოკლული პავლე იქიდან ტფილისში წამოიღეს.

სასამართლოს დადგენილებით მეეტლე თედო, ვ. ინაშვილი და წიწამურელი ლომა — ჩამოაღრჩეს. საგურამოელი სასამართლომდე მოჰკვდა ციხეში, ფშავლიშვილი მოსპეს თავდასხმის დროს.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოდ ილიას სიკვდილის სურათი, საჭიროა გახსენება იმ ადრინდელი ტრაღედიისა, რომელიც მოხდა საგურამოში. ეს იყო მოურავ მოსე მურმანიშვილის სიკვდილი.

ეს მოხდა 1907 წლის ივლისში. მოურავმა გამოაცხადა, რომ კანტორიდან მას დაეკარგა 40 მანეთი. ამ დაკარგვას ის აშკარად აბრალებდა მამულის დარაჯს, პავლე ფშავლიშვილს. ეჭვი მასზე მიიტანა იმიტომ, რომ მოურავმა ის მარტო დაინახა კანტორაში. პავლე თითქოს ამარაგებდა საგურამოს ტყეებში მოხეტიალეებს. ვინ იყვნენ ტყეში მოხეტიალეები, არ ვიცი. პავლე ფიცულობდა და კატეგორიულად უარს ამბობდა, რომ ამ საქმეში ის მართალი იყო. დანამდვილებით კი ლაპარაკობდნენ, რომ ფული მოურავის ცოლმა აიღოო. ეს საქმე მალე უშედეგოდ მიყრუვდა. ერთ დღეს საღამოთი მინ-

დვრიდან ბრუნდებოდა ნახირი. მოურავმა შენიშნა, რომ ნახირს ერთი ხბო აკლდა, მაგრამ ყველა ლაპარაკობდა, რომ მენახირემ საქონელი უკლებლივ მორეკა ეზოში. რამდენიმე ხნის შემდეგ, მეღორემ მორეკა ღორები. ღობის იქით ხევია საკმაოდ ბუჩქნარიანი. ღორებმა ამ ადგილს დაიწყეს ჭყივილი და ჩხუბი. ხალხი დაინტერესდა, და სწორედ იმ ადგილას დაიწყეს მიზეზების ძებნა. მალე ნახეს ბალახნარში ეგდო ყელგამოჭრილი ხბო, რომელსაც მიფარებული ჰქონდა მწვანე ფოთლები და ფიჩხები. მოურავმა იქვე გამოაცხადა, რომ ამ საქმეში პავლეს ხელი ურევიაო. აქ მოურავი მოდგა პავლეს და დაუწყო საყვედური და მუქარა, მაგრამ პავლე მაინც უარზე იდგა, იგი უარჰყოფდა თავის მონაწილეობას ამ საქმეში. მეორე დღეს მოურავმა მაინც დაუძახა სოფლის პოლიციელს და გამოუცხადა მომხდარი შემთხვევა. პავლე დააპატიმრეს. გამოძიებაში როგორც გამოირკვა პავლე დამნაშავე არ იყო. ეს საქმე ჩაიდინა საგურამოს ერთ-ერთმა გლეხმა, რომელსაც ჰქონდა კავშირი მეტყევეებთან. პავლე მცხეთაში წაიყვანეს. მან სუყველას გამოუცხადა, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე და ამ შემთხვევის შემდეგ კი ის არაფერს არ დაერიდება და მოჰკლავს მოურავს.

მცხეთაში ის სამი დღე დააკავეს, მეოთხე დღეს კი ერთ „სტრაჟნიკთან" ერთად წაიყვანეს დუშეთში, მაგრამ გზაში იგი გაიქცა.

მოურავი გააფრთხილეს, რომ პავლე მას სიკვდილით ემუქრება და ურჩიეს მორიდება.

7 ივნისს ჩვენთან ემზადებოდნენ თიბვას და მოურავმა გლეხები გაგზავნა სათიბში. ეზოში დავრჩით დამლაგებელი ქალი და მე.

ჩვეულებრივ 7 საათზე ჩაი დავლიე და წავედი საფუტკრეში. ბუჩქნარი და ბალის ხეები ჰფარავდა მოურავის ბინას. ჯერ მუშაობა არ მქონდა დაწყებული, რომ მომესმა კარის ჭრიალი, მოურავის ცოლის ყვირილი — ახ! და სროლა. მე მაშინვე მივხვდი, რომ მოურავს თავს დაესხნენ. ყველა ხელსაწყოები იქვე დავყარე და გავიქეცი მამულში, რომ დამეძახა ვინმესთვის მოსაშველებლად. მაშინ ილია თავის მეუღლით პეტერბურგში ცხოვრობდა. მოვედი სოფელში და ვერაფერი ვერ ვთქვი — მე მუნჯურად ვანიშნე, რომ წყალი მო-

ეცათ. მეჩვენებოდა თითქოს მე ვიღაც მომდევდა და უნდოდა ჩემი მოკვლა. როგორც იქნა გამოვერკვიე და ვსთქვი: „თავდასხმაა!“ — მაშინ გივი სტაროსელსკი იქ იყო და განკარგულება მისცა ორი „სტრაჟნიკის“ გაგზავნისა, რომელნიც მამულს იცავდნენ. „სტრაჟნიკები“ მხოლოდ მუხამდე მივიდნენ ნახევარ გზაზე და შეჩერდნენ, წინ წასვლისა შეეშინდათ. ჩვენ მალე შევამჩნიეთ, რომ ჩვენი დამლაგებელი ქალი ხელს უქნევს „სტრაჟნიკებს“. გამხნევებული „სტრაჟნიკები“ წავიდნენ. მეც დავბრუნდი სახლში. რა ვნახე! ოთახში იატაკზე ეგდო მოკლული მოურავი, თავი მოეჭრათ ხანჯლით და მუცელი გამოეფატრათ. მისი ცოლისათვის თავი გაეტეხათ და იქვე მიეგდოთ ქმრის გვამზე. მას სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა. სჩანდა, რომ მოულოდნელად დაეხსნენ თავს. იარაღის ხმარება ვეღარ მოუსწრია და თავის თავს იცავდა მხოლოდ ბოთლით. მოურავის სიკვდილის შემდეგ მკვლელები ვერ ნახეს, მაგრამ სუყველამ ვიცოდით, რომ ეს გაქცეული პავლე იყო. ბოლოს გამოირკვა, რომ მკვლელები ივიეე კაცები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. მოურავის ცოლმა მხოლოდ ორი დღე იცოცხლა. მე მაშინვე დეპეშით შევატყობინე ილიას ეს ამბავი. არ მახსოვს ერთი თუ ორი კვირის შემდეგ ის ჩამოვიდა პეტერბურგიდან თავის ცოლით და ჩამოიყვანა ზაალ ჭავჭავაძე — როგორც მცველი. ორი თვის შემდეგ მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

მოურავის სიკვდილის შემდეგ, მე შევამჩნიე, რომ ილიას ცოტა ეშინოდა. ამ ხანებში ჩამოვიდა ზაალ ჭავჭავაძე. არ მახსოვს ახალი მოურავი ჯაში როდის გაჩნდა, ყოველ შემთხვევაში ძალიან მალე მოურავის სიკვდილის შემდეგ.

ძველ მოურავის მემკვიდრეებს (ძმეებს) ილიამ ანგარიში გაუსწორა.

ილიას სახლში რუსებიც მუშაობდნენ და ქართველებიც, მწყემსებად თათრებიც ჰყავდა. მოსემდე მამულის უფროსად სომეხი იყო, მე თითონ რუსი ვარ, იაკობი, მისი ერთგული ლაქია — ოსი. ფრინველებს თვალყურს ადევნებდა გერმანელი შვარცი. ილია ყველას ერთნაირი პატივისცემით გვექცეოდა. იგი მაგალითი იყო თავის ხალხისათვის. მას ლოთები არ უყვარდა, არც ცუღლუტები, ყოველთვის მხარს უჭერდა კარგ მომუშავეებს.

ილია ჭავჭავაძე იყო ჩემი ქმრის სანდრო მაყაშვილის ახლო ნათესავი. ერთი ბმისგან იყო ილია, მეორე ძმისგან სანდროს დედა პელაგია, ესე იგი ჩემი დედამთილი. ილიას ჩემს ქალიშვილობაშიაც ძალიან თაყვანს ვცემდი, მაგრამ პირადი ცნობა არა მქონდა. ილია გავიცანი ჩემი ქმრის სახლში, როდესაც ის ჩემს დროს პირველათ ჩამოვიდა თბილისიდან ყვარელში. ჩვენსა ჩამოხტა და დაჰყო ერთ კვირას. ეს ერთი კვირა ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. მე ძალიან სიამოვნებით შემხვდა, როგორც მახლობელს და ძლიერ მესიამოვნა. ამ ერთ კვირაში სულ მხიარულად იყო, თავის ბიძაშვილს პელაგიას სულ ეხუმრებოდა, აგრეთვე სანდროს. ნათესავები მოდიოდნენ და ქართველურად გაიმართა მორიგი სადილები და ვახშმები. თავისი გამდელი სალომეც ნახა და დაასაჩუქრა. ილია ძლიერ კეთილი იყო, თავის გლეხებს ეზოები და ნადელები უსასყიდლოდ დაუბრუნა საკუთრებად. მზარეულათ ყავდა თავისი ყოფილი ნაყმევი ლაზარე ღონიაშვილი, თბილისში იყო ილიას ოჯახში როგორც შინაური, ილიას ხშირად თან დაჰყავდა, საცა წავიდოდა თბილის გარეთ. ლაზარეს ქალიშვილი სოფიო, როგორც შვილი, ისე გაზარდეს, გაათავებინეს გიმნაზია და მასწავლებლობდა თელავის წმინდა ნინოს ქალების სასწავლებელში.

მე სანდროსგან გამიგონია; ილიას კარზედ, როგორც მლოცავი, ისე თურმე იდგნენ ყოველ დილას გაჭირვებულები და თითო-თითო შემოდიოდნენ და სთხოვდნენ დახმარებას. ზოგს ორ თუმანს, ზოგს ოცდაათ მანეთს, ვისაც როგორ ესაჭიროებოდა და თანაც დარიგებას აძლევდა. ხელის გასამართად მოდიოდნენ მეტი წილი გაჭირვებული სტუდენტები, ნაცნობი და უცნობი ქალი და კაცი. იმ დროს მეტი წილი გაჭირვებული ხალხი იყო. სანდროს უკვირდა, ნეტა, როგორ ასდის ილია ამოდენა მთხოვნელსაო. ერთ დილით შესულა

ხნიერი საწყალი ქვრივი ქალი და სთხოვა, სამი დღე არის მიცვალებული სახლში მისვენია და ვერ დამიმარხამსო. აიღო და ორმოცდა ათი მანეთი მიეცა, იმ დროს კარგი ფული იყო. იმ ერთ კვირაში, როცა ჩვენთან იყო სოფლიდან მოდიოდნენ გლეხები და სთხოვდნენ ეგზეკუცია მოეხსნევინებინა, რადგან ძალიან აწუხებდნენ ხალხს. ილიამ წასვლისას თბილისში მოახსნევინა მთავრობას ეგზეკუცია. ილიამ დაპირება არ იცოდა და საქმეს კი გააკეთებდა. ყვარლის ხალხს ილია უყვარდა, რაც იქიდანაც აიხსნება, რომ ყვარლის ხალხს ილიასთვის არაფერი ზიანი არ მიუყენებიათ. იყო ასეთი შემთხვევა, რომ ერთ დიდ პირს ილიას გვარისას სახლის აივანზედ დიდრონი ლიმონის ხეები ნაჯახებით დაუჩეხეს და ვენახში ვაზები გადაუკაფეს, მაგრამ ილია იმდენად კარგი იყო, ხალხს უყვარდა და არას ავნებდნენ. სანდრომ როცა გაათავა თბილისის გიმნაზია, ილიამ გაგზავნა პეტერბურგში, სწავლის გასაგრძელებლად. სანდრო ჩაება პეტერბურგში ხალხსნების წრეში და გადმოიტანა იქიდან აკრძალული წიგნები ტროიკით, სამხედრო გზით თბილისში მშვიდობით ჩამოვიდა, მაგრამ ვიღაცამ გაამხილა და დაეჭირათ. მეტეხის ციხეში იყო პატიმრად, როგორც ქართველი „ნაროდოვოლეცი". ილია ძალიან შეწუხებული იყო, როგორც იყო წლი-ნახევრის შემდეგ გამოაშვებინეს, მაგრამ პოლიციის მხედველობის ქვეშ დარჩა.

ილიას თავის ბავშვობის კერა ძლიერ უყვარდა და ყოველ დღე მიდიოდა თავის კარმიდამოში. ჩვენთან ახლოს იყო და გადასწყვიტა შეეკეთებინა სახლიც და კოშკიც, რომელშიაც ილია დაიბადა. წასვლისას თბილისში, გამოგზავნა გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი, სამი თვე ჩვენსა იცხოვრა, სახლი და კოშკი შეაკეთებინა და რადგან ის მამულის მომვლელი არ იყო, ისევ თბილისში დაბრუნდა და მერე სხვა მოურავი გამოგზავნა. მერე კი თავის სახლში ჩამოხტებოდა ხოლმე. ერთ საღამოს ქაღალდის სათამაშო მაგიდებს ვშლიდი პასიანსისთვის, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ჩემო რძალო, ვარო, დიდი მეტოქე გყავს და ვინძლო მოიშორო თავიდან. მე მოგახსენე: ბიძიავ, ვერ მივხვდი ვინ მეტოქეს ბრძანებთ?..

— ქაღალდი, ჩემო რძალო, ქაღალდი!

ილიასაგან ბევრი წიგნები გვქონდა. როცა „ქვათა ღალა-

დი“ გამოსცა მაშინ მე თბილისში ვიყავ და მიველ ილიას და ოლღას სანახავად. ერთი წიგნი მეც მომცეს და სხვა წიგნებიც. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ სახლი დაგვეწვა და წიგნებიც დაიწვა. ერთ წელიწადს რთველში ჩამოსულიყო ილია ყვარელში. მე კიდევ იყალთოში ვიყავ ჩემი შვილებით, სანდროს მამულში, რთველში მოგვივიდა კაცი და ილიას სადარბაზო ბარათი წარწერით „გელით“. მეორე დღეს წავედი ყვარელში, რომ მივედით ბავშვები შეცვივდნენ, — პაპა, პაპას! — ძახილით. ჩემი ქალიშვილი ოთხი წლისა იყო, დაიჭირა ილიამ და მუხლებშუა მოიმწყვდია და უთხრა, —მე მითხრეს, შენ ბევრი ლექსები თურმე იცი და აბა მითხარ, რა ლექსი იცი? ნინამ უთხრა „ტყემ მოისხა ფოთოლი,“ მაგრამ სხაპასხუპით. ილიამ უთხრა: ჩვენი ნათლისმცემლის დიაკვანივით ჩქარობ, ლექსი კი კარგად იცი, ყოჩაღ!

ერთს დღეს ჩვენსას იალაღიდან ჩამოვიდა ვაჟა ფშაველა. ილიამ რომ დაინახა, ძალიან იამა და მიესალმა: ოო, ვაჟა! ვაჟა! სალამ-ქალამი! რასა იქ, როგორ სუფევ ოჯახით, ოთხფეხით? ვაჟას სიამოვნების ალმა აჰკრა სახეზედ, დასხდნენ და ხანგრძლივ იმუსაიფეს. ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ აკითხეს. ერთი ჩვენი შვილი ილიას ნათლული გვყვანდა. ჩვენს შვილს ვახუშტი ერქვა, ილიამ თავის სახელი დაარქვა, დიდი ნათლობაც გადაუსადეთ და კარგი დროც გაატარეს. ილიას ბავშვები ძალიან უყვარდა, როცა ილო მოიზარდა, მოვამზადებინეთ სათ. აზ. სასწავლებლისთვის. ილიას ეთქვა სანდროსთვის, ჩვენსა მოიყვანე საცხოვრებლათო! ილია და ოლღა ძალიან ანებივრებდნენ და ძალიანაც უყვარდათ. ილიას, როცა დრო ჰქონდა სულ ეთამაშებოდა, ხან ეჭიდავებოდა, ხან ეკრივებოდა. ერთხელ ილიას დაეწერინებინა ილოსთვის ბებისთან წერილი: ვიღებ კალამსა, ვიხდი სალამსა, ამით ვიგონებ ჩემსა ბებოსა. ილიას კიდევ წაეწარა, ამ ლექსს ჩურჩხელები უწდაო. რა თქმა უნდა, ბებიამაც გაუგზავნა ჩურჩხელები. იმ ზამთარს ჩამოვიდა საახალწლოდ და ილიაც ჩამოგვიყვანა, იმ ღამეს ბევრი აცეკვა ილო და თან იძახდა: ყვავივით შლის სეფეებსო. პარიზიდან რომ ჩამოვიდა, თუმცა ჩემი ქალიშვილი პატარა იყო, მაგრამ ჩამოუტანა მარგალიტის ყელზე შესაბამი და ფირუზის გულის ქინძისთავი.

როცა სახლი და კოშკი გააკეთებინა, თავის მეუღლე ჩა-

მოიყვანა და კარგა ხანიც დარჩნენ. შემოდგომა იყო, ეზოში გზის პირას პატარა ორთვალიანი წისქვილი ჰქონდა და რუსხმული გააკეთებინა დურგალს. მოიწვია ხელოსანი და ურიგდებოდა, ხელოსანი ნარდათ თხოულობდა, ილია ურჩევდა დღიურად მორიგებულიყვნენ, მაგრამ ხელოსანმა ისევ ნარდი არჩივა. დაიქირავა ხელოსანმა მეშველეები და ერთ კვირას მოუნდნენ ფიცრის რუსხმულის გაკეთებას. გაათავეს სამუშაო, გადმოუგდეს წყალი რუსხმულში, მაგრამ წისქვილამდის წყალი არ ჩავიდა, ფიცრებ შუა გავიდა მთელი წყალი. რადგან კარგათ გაკეთებული უნდა ჩაებარებინა, აჰყარეს ფიცრები და ერთ კვირას კიდევ იმუშავეს, მაგრამ კარგათ გააწყეს და წყალი რომ გადმოუგდეს მშვენივრად ჩაიჩხრიალა წისქვილის ბორბალში.

ახლა ილიამ უანგარიშა დღიურობაზედ რამდენი დაჯდებოდა. გამოირკვა, რომ დღიურად მეტს იჭერდა ნამუშევარი, ვიდრე ნარდად. ხელოსანს გაუსწორა დღიურობაზედ და უთხრა, ჩემო რომანოზ, შენ თუ მაგრე ანგარიშით იმუშავე, ვერას მოიგებ! ერთხელ ილიას მოვახსენე: ბიძიავ! ძალიან მაწუხებს, რომ ილო ისე ვერა სწავლობს, როგორც შეუძლიან, ხომ ნიჭიერი ბავშვია? ჩემო რძალო, ვარო! გულს ნუ იტეხთ, არც ერთ მეცნიერს კარგათ არ უსწავლია და თუ ეს არ გაამართლა ილიამ, მაშინ მშობლები ხართ დამნაშავენი. ბავშვს რვა წლამდის ანბანის სწავლაც კი არ უნდა, მხოლოდ ბუნებასთან და ხალხთან ახლოს უნდა იყოს და გონება გაიხსნას ხალხში ყოფნით. რვა წლისა კი უნდა სასწავლებელში აძლიოთ. თქვე დალოცვილებო! ხუთი წლიდან დააწყებინეთ სწავლა, გასაკვირველი არ არის რომ სწავლა მოსწყინდა. ბავშვების აღზრდაზე კიდეც დასწერა „მოამბეში“, მხოლოთ არ დაამთავრა, არ კი ვიცი, რა მიზეზით. ერთხელ ოლღამ შემოყვანა ილიას საწოლ ოთახში. საწოლთან ედგა მაგიდა, ზედ დიდი ბლოკნოტი, გათლილი ფანქარი და ორი შანდალი, შიგ კართოფილის სანთლებით. ოლღამ მითხრა, ყოველ ღამე ესე უმზადებ აქაც და თბილისშიაც, ცოტას ჩაიძინებს და მალე გაიღვიძებს, აანთებს სანთლებს და მანამ სანთელი დაიწვება სწერსო.

გათენებისას იძინებს მხოლოდ, აქ, როგორც სოფელში, ადრე იღვიძებს, ჰაერზედ უყვარს გასვლაო. ილიას ოთახს

ოლღა ულაგებდა სოფელშიაც და თბილისშიაც, თუმცა ხელ-ზედ მოსამსახურე ყოველთვის ჰყავდათ. ილია თავის მეუღ-ლეს დიდ პატივს სცემდა და უყვარდა კიდეც. როცა ოლღას ამბავს ვკითხავდით, იტყოდა, ზემი ოლღა ციდან ჩამოსული ადამიანი არისო! ილიამ თავის საკინძი აჩუქა სანდროს და ეს საკინძები აქამდე ინახება ჩვენ ოჯახში. საკინძი არის ვერ-ცხლისა და მოოქროვილია, ზედ არის გამოხატული ჭავჭავა-ძეების საგვარეულო გერბი.

სოფრომ მგალობლიშვილი

„მოჰკლეს ილია!“ იზრიალა ამ ხმამ ხუთშაბათ საღამოს მარიობისთვის 30-ს, 1907 წ. და მთელი ტფილისი შეაზანზარა. ყველანი გავრბოდით „ისრის“ რედაქციაში, სადაც მოსულიყო მოკლე ცნობა: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“. თვით რედაქციამ საღამოს ცხრა საათზე მიიღო დეპეშით ცნობა, დაუჯერებელი ამბავი ილიას მოკვლისა.

დიაღ, მოჰკლეს დიდი ჭკუით და უსაზღვრო ნებით აღჭურვილი ადამიანი, მოჰკლეს ის კაცი, რომლის პიროვნებაში ტრიალებდა გოლიათისებური ნებისყოფა. ისეთივე ენერგია და ისეთივე სული. მკვლელნი მოსტყუვდნენ ანგარიშში, მათ ეგონათ ილიას სახელს ჩრდილს მიაყენებენ ქართველი ერის თვალში! პირიქით, — ამ შემთხვევამ გააასკეცა ის შარავანდედი, რომელიც სიცოცხლეში ილიას ფართე შუბლს აბრწყინებდა. მთელმა ერმა, მთელმა საქართველომ კიდიდან-კიდემდე ძაძა ჩაიცვა და დიდებულად იგლოვა ილია, რომელმაც სიკვდილამდე თვის უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა.

მაგრამ მე ავცდი ჩემს პირდაპირ მიზანსა: ახლა ვილაპარაკებ ილიას ცხოვრებაზე.

ილიას ყველა მოქმედება ცხოვრებაში სწორედ დევური ჰქონდა: თუ დაიძინებდა, შეიძლება ორი დღე-ღამე სძინებოდა... სამუშაოდ დაჯდებოდა — დაღალვა არ იცოდა, თავზე დაათენდებოდა; ფიქრი გაიტაცებდა — რამდენიმე საათი თურმე იჯდა თავის კაბინეტში იდაყვებზე დაბჯენილი, გაყრუმუნჯებული და თუ არ თვით, სხვა ვერავინ გამოარკვევდა. ასეთია თვისება დიდბუნებოვანი ადამიანისა.

მე ილია ვნახე პირველად 1875 თუ 1876 წ. საგურამოში, სადაც სადღეობოდ ჩემ ნათესავ მღვდელთან ვიყავი სტუმრად. საგურამოს ეკლესია გურამიანთ ზვრების თავში, მაღლა

ბორცვზე, ტყიან ჩრდილიან ადგილზე იდგა. ეკლესიასთან ჩვეულებრივ დიდი ცეცხლი ენთო. ხალხი ფუსფუსებდა ცეცხლის გარშემო, მოშორებით, ხის ქვეშ, ბუნების ხავერდზე ვიღაც იყო წამოწოლილი მხარ-თეძოზე, პაპიროსს სწევდა; პაპიროსის ცეცხლი შორიდან ციცინათელის ციალს ჰგავდა. ეს იყო თურმე ილია, რომელიც ფიქრებს მისცემოდა. ვინ იცის მაშინ ახალგაზრდა ილიას გულში რა ცეცხლი ენთო! როცა ეკლესიაში გაისმა: „ქრისტე აღსდგა!“ — მხოლოდ მაშინ წამოდგა და სხვებთან ერთად საყდარს მიაშურა. ბადრს სახეს უმშვენებდა შავი წვერი და შუაზე გაყოფილი და კისერზე ჩაშვებული შავი და გრძელი თმა. ამ დღეს პირველად ვიხილე ჩვენი დიდება, ჩვენი საყვარული ილია, უკვე შემქმნელი „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „მგზავრის წერილებისა“. მე ჯერ „მნათობში“ ვმუშაობდი, მაშინ კი, როცა პირველად ილია ვნახე, „დროებაში“ ვთანამშრომლობდი. როცა ილიამ კვირეული გაზეთი „ივერია“ გამოსცა 1877 წლიდან, ილიასთან დავიწყე თანამშრომლობა. 1877 წ. ქალაქში ჩამოვედი, შემხვდა ჩემი სკოლის ამხანაგი, პოეტი სოსიკო ბაქრაძე. „მე ილიასთან მივდივარ ბარკში და შენც წამოდიო, — მითხრა მან, — იმას თავის თანამშრომლების ნახვა და გამოლაპარაკება უყვარსო“. სიამოვნებით გული ამიძაგძაგდა. მივედით. გამოვიდა მისაღებ ოთახში „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“, ალერსით დაგვიწყო ლაპარაკი, ტუჩებზე სიამოვნების ღიმი უქროდა. „პროვინციაში ცოტა მუშაკები გვყავს, — დაიწყო მან, — ყველა ქალაქში გამორბის, არ გამოექცეთ პროვინციას სხვებისავით, იმუშავეთ ხალხში, ცნობიერება შეიტანეთო, ჩვენი ხალხი ნიჭიერი და „ჭკუის კოლოფია“, ყოველივეს კარგს მალე მიიღებს, მისი გული თესლისათვის კეთილ ნიადაგს წარმოადგენსო“. კიდევ ბევრი რამ დარიგება მოგვცა.

ის იყო და ის, — „ივერიას“ არ გავშორებივარ. ილიას უყვარდა თვისი თანამშრომლები. შუაში ჩაგვიჯდებოდა, პაპიროსს ულვაშზე მიიბჯენდა, ულვაშ ქვეშ ტუჩები უცინოდა და მაშინ იგი ოხუნჯობის გუნებაზე დადგებოდა ხოლმე. იმის იუმორს საზღვარი არა ჰქონდა. ვაი მის დღეს, ვინც იმის იუმორის კბილებში მოჰყვებოდა!!

ილიას გარს ეხვივნენ რედაქციაში მთელი წყება მაშინ-

დელ მწერლებისა: გრიგოლი და საშა (ფრონელი) ყიფშიძენი, სტეპკო ჭრელაშვილი (ფსევდონიმი მისი სანოა), ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი), ილიკო აგლაძე, იაკობ მანსვეტაშვილი (დონ-იაგო), ილიკო ბახტაძე, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა), შემდეგ ჩამოერივნენ იაკობ ცინცაძე — „თომაანთ კობას“ ფსევდონიმით (ია ეკალაძე), იროდიონ ევდოშვილი, გრიგოლ რცხილაძე (ზანგი), ალ. ნანეიშვილი (ნალი), პროვინციიდან — ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და თედო რაზიკაშვილი და სხვანი მრავალნი.

ილიაზე ამბობდნენ, ვითომ იგი ზარმაცი იყო და მცონარე. ამას ამბობდნენ ის ვაჟბატონები, რომლებიც ილიას ცხოვრებას დაახლოებით არ იცნობდნენ. განა ზარმაცი და მცონარე ეთქმის ამ კაცს, რომელიც ყოველ დღე სწერდა გაზეთისათვის მეთაურს წერილებს, ხან ორსაც, მომენტის მიხედვით, და ასწორებდა მთელი ნომრის სტილსა? ბოლოს და ბოლოს, როცა გრ. ყიფშიძემ, ილიკო აგლაძემ, ახნაზაროვმა და სხ., რომელნიც მუდამ რედაქციაში ტრიალებდნენ, შეითვისეს ილიას სტილი, მისი წმინდა ენა, იგი მთელს ნომერს აღარ კითხულობდა. მეთაურს და სხვა წერილებს დილით ადრე გზავნიდა სტამბაში, რომელიც იქვე, რედაქციასთან ჰქონდა მაქსიმე შარაძეს. თვისი წერილების კორექტურას თვით იჭერდა. ასოთ-ამწყობები დატანჯულები იყვნენ: ხან მეთაურს სულ წაშლიდა. ახალს დასწერდა, კიდევ გაასწორებდა გადასხ-გადმოსხამდა წინადადებებს, — მანამ ძალზე არ „გამოშიგნავდა“, არ გაუშვებდა დასაბეჭდათ. მერე შემოიღო წესათ, რომ ნომრის მასალა უნდა წაკითხულიყო რედაქციის წევრთა კრებაზე; აქ სწორდებოდა ენა წერილებისა და ამ სახით იგზავნებოდა სტამბაში. ძალიან მორიდებული იყო გასაკიცხავ წერილების ბეჭდვას, იმ წერილებისა, რომელიც გამოიწვევდა „უკბილო“ პოლემიკას და რედაქციას რაიმე ჩრდილს მიაყენებდა. „რედაქცია, — იტყოდა ხოლმე ილია, — იგივე წმინდა ტაძარია, ის უჩირქო უნდა იყოს, ბირნათლად ემსახუროს ქვეყანასო“.

ილია, როგორც ვსთქვით, დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ. 1886 წ. ზაფხულში გორიდან ჩამოველი და რედაქციაში დავიწყე მუშაობა, — მაშინ

„ივერიას რედაქცია“ იყო ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე. ამ დროს იგი სწერდა დიდი ტანის მეთაურებს დიმიტრი ყიფიანის წინააღმდეგ ბანკის საქმეების გამო. მე, როგორც მასწავლებელი, ადრე ვდგებოდი და რვა-ცხრა საათზე რედაქციაში ვიყავი ხოლმე. ერთ დილას მივედი, ილიას სამწერლო კაბინეტიდან სანთლის სინათლე სჩანდა, ერთი ფანჯარა კაბინეტისა სარედაქციო ოთახში გამოდიოდა. ფეხაკრეფით მივედი, — ილია ზის საყელო გახსნილი და სწერს, ნაწერების ფურცლები ხრილივით გარშემო შემოუყრია. მე ჩუმად დავჯექ და გაზეთებს დავუწყე კითხვა, მაგრამ გაზეთების ფაჩუნზე შეიტყო, რომ რედაქციაში ვიღაც იყო.

რომელი ხარ მანდა? — შემომეკითხა ილია. მე გამოვეპასუხე. — კაცო, რა დროა? განა ჯერ არ წასულხარ სახლში? — მე ვუპასუხე, რომ უკვე გათენდა და აგერ მეათე საათია. მხოლოდ მაშინ შესწყვიტა მუშაობა და თავის მაქსიმეს უსაყვედურა: „კაცო, რაზე ჩამკალი, რატომ არ დამეხმარეო“. მაქსიმე რამდენჯერმე შესულიყო, მაგრამ ისე ყოფილიყო ილია მუშაობაში გართული, რომ მისი შესვლა-გასვლა ვერ შეემჩნია.

ილია დიდი პოლიტიკოსი იყო. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას, არც ერთს შეესანიშნავ მომენტს არ გამოსტოვებდა, რომ იგი არ აღენიშნა თავის „ივერიაში“ და თავისი აზრი არ გამოეთქვა. იმ ხანებში ბალკანეთში მოძრაობა იწყობოდა, ხალხი თავისუფლებას დაეძებდა, თავის დახსნას ლამობდა. ალექსანდრე ბატენბერგი გააგდეს, ალექსანდრე მესამე, რუსეთის ტვინის მწოველი მეფე გამორიცხეს ბოლგარელებმა თვისი ჯარიდან. ამ ამბავმა ილია ცას დასწია, სახე უბრწყინავდა, გახარებული იყო: აღმოსავლეთში ღრუბლები იშლება, აქ ევროპის დიპლომატიური ხელი ფათურობსო. ამასთან ხმა დავარდა, რომ ნიკო მინგრელსკის გზავნიან ბოლგარიის მთავრადაო. ნიკო ილიას მეგობრობდა, აქედან დიდი იმედები დაებადა ილიასა. როგორც დიდს პატრიოტს, ილიას ამისთანა მომენტების დროს, იმედი დაებადებოდა ხოლმე საქართველოს ბედის შეტრიალებისა.

„მოახლოვებულია ჟამი აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლებისაო. აღმოსავლეთის პატარა ერები ცხენის გამო-

ნასკული კუდია, ამ ნასკვს პატარა ნასკვი აქვს ხოლმე. ეს პატარა ნასკვი საქართველოაო; მანამ ამ პატარა ნასკვს არ გახსნით, დიდი ნასკვი არ გაიხსნებაო", — ამბობდა იგი.

ილიას, როგორც აკაკის, უეჭველში სწამდა, რომ საქართველო ადრე თუ მალე განთავისუფლდებოდა მეფის რუსეთის ჭახრაკიდან. ეს იმედი მასში გააძლიერა უფრო იმან, რომ ევროპა გაეცნო საქართველოს წარსულს, რუსთაველი ითარგმნა ევროპიულს ენებზე, არტურ ლეისტმა, ილიას მეგობარმა, გააცნო ევროპას საქართველო და მისი ლიტერატურა. ილიამ ლეისტი ისე შეითვისა, რომ სულ მასთან იყო...

ყოველ კვირა, ხუთშაბათობით, ილიასთან იარებოდნენ არა თუ მარტო რედაქციის წევრები, — მთელი ჩვენი დამსახურებული მწერლები, აგრეთვე ინტელიგენცია. არც ერთი ახალი წიგნი არ გადურჩებოდა წაუკითხავი. აი ამ კრებას უზიარებდა წაკითხულის შინაარსს; შეიქნებოდა სჯა-ბაასი, კამათი, პაექრობა. ილია მძლავრი იყო ლაპარაკში; მას ხშირად ეკამათებოდა ი. გოგებაშვილი, რომელიც დიდად ნაკითხი იყო და ილიასავით მისდევდა თანამედროვე ლიტერატურასა. ბოლოს საკითხები თავს ეხვეოდა სამშობლოს. როცა გაჭირდებოდა საქმე რომელიმე საკითხის შესახებ, ილიას გაუშვებდნენ საბრძოლველად, — გაიხსენეთ მისი წერილები იანოვსკის წინააღმდეგ, ქართულ დროშის შეურაცყოფის გამო, მეგრული ენის შემოღებაზე სამეგრელოს სკოლებში... მისი სიტყვა მაშინ მესი იყო. ასეთი კრებები გაგრძელდა იმ დრომდე, სანამ „ივერია" გადავიდოდა მეველეს (დ. მიქელაძის) ხელში. ილია მას შემდეგ უფრო საგურამოში ცხოვრობდა, განსაკუთრებით ზაფხულობით. ამ დროს მისი ხშირი სტუმარი იყო ჩვენი მოკეთე ლეისტი.

ყოველ წლივ ილია ხდილობდა თავის დღეობას, მკათათვის ოცსა, ელიობა დღესა. ამ დროს საგურამო ერობას წარმოადგენდა. მთელი საგურამო, ახლო-მახლო სოფლები, ილია წინამძღვრიშვილი თავისი სკოლით, ლიტერატორები, რედაქციის წევრები, მთლად ჩვენი ინტელიგენცია საგურამოს მიდიოდა. იყო დაუსრულებელი ქართული ღრეობა, სიმღერა-

თამაში, სიტყვები, ექსპრომტები, მოსწრებული ლაპარაკი და ბოლოს კოლა ერისთავისაგან წარმოთქმული მშვენიერ კილოზე ჩვენი პოეტების ლექსები, ილიას და აკაკის მთელი პოემები.

ილიას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: შინ მჯდომი იყო, გასვლა და მოვლა საქართველოს კუთხეებისა არ უყვარდა. რიდესაც აკაკი ყოველს წელს შემოივლიდა ხოლმე მთელს საქართველოს, ილია თავის საგურამოს არ გასცილდებოდა. ასეთია ბუნება ქართლ-კახელისა, ის თავის კერიას ვერ გასცილდებოდა. სხვა ბუნებაა დასავლეთის ქართველისა, ის ერთს ადგაგას ვერ გაჩერდება. ოცი წელი ვიცხოვრე გორში და ერთხელ არ მინახავს ილია ჩვენთან მოსული. იმ ხანებში გორის ინტელიგენციას სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ჩვენთან ხშირად ზაფხულშიც, ყოველ თვე, შემოივლიდნენ ხოლმე აკაკი, გოგებაშვილი, ყაზბეგი, ივ. მაჩაბელი, გ. წერეთელი, ს. მესხი; ხოლო ილია კი არც ერთხელ. ხალხი მაინც იცნობდა, მას იგი უყვარდა. აი ამის მაგალითი: 1887 წ. სამოგზაუროთ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხის კავკასიის ქედების გასაცნობად გავემგზავრეთ გიორგი საძაგლიშვილის (შემდეგ კათალიკოსი კირიონი) ინიციატივით. ჩვენთან ჩვენი ბელეტრისტი ნ. ლომოურიც იყო. სწორედ 20 მკათათვეს, საღამო ჟამზე მოვყევით მაღრანდოვლეთის სიმაღლეზე, სადაც არის ეგრედ-წოდებული „ყელის ტბა“ და საოცარ სიმაღლეზე აშენებული „წითელი ეკლესია“. აი აქ შეგვხვდნენ მეცხვარეები დუშეთის და თიანეთის მაზრისა, ვახსენეთ ილია, რომ დღეს მისი დღეობაა და საგურამო მხიარულობს და დღესასწაულობს დიდებულ კაცის დღეობასა. მეცხვარეები გამოგვეხმაურნენ, ჩვენ კარგათ ვიცნობთ ილიასო, ჩვენი ნუგეში იგია, როცა მივმართავთ, გვარიგებს და გვეხმარებაო. ჩვენი ხალხი გულ-ჩახვეულია, მის გულში ადგილი აქვს იმის მოკეთეებსა. ამიტომ იყო, რომ ილიას სიკვდილის გამო მთელი საქართველო ახმაურდა, აზრიალდა.

* *

ილიას ლიტერატურული მტრებიც ჰყავდა, — იმის წმინდა ენას იწუნებდა ცნობილი ანტონ ფურცელაძე. ერთხელ გორ-

ში კერესელიძის ოჯახში ვიყავით შეყრილები; ვკითხულობდით ილიას „დიმიტრი თავდადებულს“. ლექსთწყობას და ენას აკრიტიკებდა ანტონი. წამოუხტა მიშა ყიფიანი, მაშინდელი ხალხოსნური მოძრაობის ბელადი და შეუყვირა: „აბა დაასახელე, რომელი ადგილია აქ ლექსით მოუწყობელი, სად კოჭლობს მისი ენაო“. საზოგადოდ ანტონს არად მიაჩნდა სიწმინდე ენისა, სისუფთავე სტილისა, თვით სწერდა, როგორც მოხვდებოდა და კავშირს „და“-ს ღმერთს აცლიდა ხშირი და უალაგო-ალაგას ხმარებითა. მახსოვს, გადმოუღეთ მას მისი პოემები „თამარ ლაზნელი“ და „ცისკარა“, — ყოველ სტრიქონში რამდენიმე გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომა ვუჩვენეთ, მაგრამ იმას კაცი ვერ გასტეხდა.

ილია პოლემიკაში მძლავრი იყო. ანტონი სწერდა ფელეტონურ ხასიათის წერილებს „ქერელი ბექას“ ფსევდონიმით, ილია მას საცინლად იგდებდა და იქამდე მიიყვანა ჩვენი ანტონი, რომ ამ ფსევდონიმით წერას თავი დაანება. ამან გამოიწვია ანტონში ილიასადმი სიძულვილი.

ბოლო ჟამს, როცა ანტონი ბანკში მოჰყვა სამსახურში, ილიასთან კეთილგანწყობილება დაიწყო, რაკი იმისგან დამოკიდებული იყო. ილია გრძნობდა ამას, მაგრამ ერთხელაც არ უგრძნობინებია.

მოჰკლეს ილია!... მურდალმა ხელმა დაუნთხია მას შარა გზაზე ტვინი, რომელიც ორმოცდაათი წელიწადი სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრობდა.

წლის თავზე ტფილისიდან წავიდნენ ქართველი მწერლები, ინტელიგენცია და ილიას პატივისმცემელნი წიწამურს; იქ, იმ ადგილას, სადაც დაიღვარა სისხლი ილიასი, სადაც მისი დანთხეული ტვინი ქვიშას შაერია, აღმართეს შავი ჯვარი წიწამურისა.

იონა მეუნარგია

როგორც აკაკის, „კაცია-ადამიანის“ დამწერსაც მწერლობაშიც მარტო ილია რომ დაეძახოს, მგონია, არა წახდეს-რა, თუ რუსულად ილია გრიგოლის-ძე ითქმის, ჩვენთვის მარტო ილია, როგორღაც, უფრო მოხერხებულია, უფრო ქართული.

ილია იყო ღარიბი ოჯახის შვილი. იმ ხანებში, როცა ის დაიბადა (1837 წ.), ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი სახლი იყო — ალექსანდრე გარსევანის შვილისა, საქართველოს მგოსნის... ამ დროებში „კნიაზიანთ“ ოჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს ოჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ღვინო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტსახელად გრიგოლს თურმე პაჭუას ეძახდნენ. გრიგოლი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში და რანდენადმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო ბებურიშვილის ასული...

ილიას პატარაობაზე თვითონ მისგან არა ერთხელ გამიგონია, რომ იმან წერა-კითხვა სოფლის მთავრისაგან ისწავლა, რომ დედამისი სხვადასხვა მოთხრობებს და „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა იმას და სხვ. მაგრამ ამაებზე მე აქ არ ვილაპარაკებ გრძლად, რადგანაც ამაზე თვითონ მან დაწერა თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში.

მეთერთმეტე წელი რომ დაუდგა ილიას, ის ქალაქს ჩამოიყვანეს და ვიღაც რაევსკის პანსიონში მისცეს, აქედან მან იწყო სიარული გიმნაზიაში და რა დაამთავრა მერვე კლასი, გაემგზავრა პეტერბურგს 1857 წელს, საცა შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ, — გვითხრა ერთხელ პოეტმა (გოგებაშვილთან, სადილზე), — მე ხშირად მაციებდა და ტყლიპი გამიდიდდა (აბსტრუქცია მქონდაო, თქვა), ქალაქს

რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმი დამასიეს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ესურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევინა. წამისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და, მართლა, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, — დასძინა პოეტმა.

ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, — გვითხრა სხვა დროს ილიამ, — მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული, დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდული, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო. და იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანისა.

*

როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყველაფრით განსხვავებული დრო შეხვდა. თბილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვორონცოვისაგან დანერგილ ხეს ნაყოფი გამოეღო, „ცისკარი" გამოიცა,

ქართული თეატრი დაარსდა.

ჟურნალმა და დრამამ ცოტაოდნად ქართული საზოგადოება გამოაღვიძა.

თუ ეს გამოღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა, ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღალ წრეებში, განათლებულ საზოგადოებაში, ქართველმა კაცმა თვალი გაახილა. ამ საზოგადოებას ილიაც ეკუთვნოდა, როგორც გიმნაზიის მოწაფე.

ნიადაგი და ატმოსფერო კარგი ჰქონდა მომავალ მგოსანს,

რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულისა და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიაც განსხვავებულ დროს შეხვდა მისვლა. როგორც ჩვენს დროში, შემდეგ იაპონიასთან წაგებული ომისა, სულ ყველაფერი რყევაშია და მიისწრაფის ახალი საუკეთესო ცხოვრებისადმი, ისე იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახალი წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა, თავიდათავი მოთხოვნილება მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსიტეტი სათავეში ედგა იმ დროისათვის საჭირო რეფორმების შემოღების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოჰყვა ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინადროებში აქ ილიას ან რა ადგილის შოვნა შეეძლო თავის ცოდნისა და აზრების საქმეში გამოსაყენებლად, ჟურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი" კი იბეჭდებოდა, მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ჰყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თვითონ უგზავნიდა გავლენიან, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს: გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან-ბატონს, მიხეილ თუმანიშვილს, კოლხიდელს (გრიგოლ დადიანს), პლატონ იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თვითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძეოდა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ასლო მომავალში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუხვდა, რომელზედაც ეწერა: მარჯვნით წასვალ, — ჩინოვნიკი იქნები და მაძღარი, მარცხნით წასვალ, — მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნით წასვლა, ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა, არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიდრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტა ხანს „ცისკარში" ბეჭდა მისი ნაწერები და შემდეგ, 1863 წელს, საკუთარი ჟურნალი „საქართველოს მოამბე" გამოსცა.

ამ ჟურნალში დაბეჭდა პირველად ილიამ „ეაცია ადამიანი", „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" და ბევრი ჩინებული ლექსი.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ ჰიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა.

ახალმა ჟურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო დიდი მნიშვნელოვანი იყო და დროზე ნათქვამი, რომ საქართველოშიც მზადდებოდა ამ დროს გლეხთა გაწთავისუფლება, ორი წლის წინათ რუსეთში მომხდარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ.

და ატყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასა და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

ძველ თაობას არ შოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები. ამ დროის თავად-აზნაურთა ყრილობაზე, როგორც ქრისტეფორე მამაცაშვილი მოწმობს, ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ გლეხი შიწიანად უნდა გავათავისუფლოთო, ვიღაც თავადი იმას ხანჯლით მივარდა თურმე ისე, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუპირა მოკვლა ვიღაც კანდელაკმა ქუთაისში იმავე მიზეზის გამო.

* * *

„საქართველოს მოამბე" რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიგო სუმბათაშვილს, ამისთვის ყური მოეკრა, დაეხსომებინა და, როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასათვის:

— ილიავ, წავიკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიჩესკი არის.

— როგორ თუ დემოკრატიჩესკი?

— ისე, დემოკრატიჩესკი!

— მაშ რა გინდა იყოს?

— არისტოკრატიჩესკი.

— ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რაო ჩემო?

— ვითომ და რათაო?

— აბა, რა გაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი, თუ გინდა თავი (დიდი შნოს პატრონი არ იყო).

— თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემოკრატიჩესკი არის, — განუმეორა სუმბათაშვილმა.

„საქართველოს მოამბემ“ ზემოთქმული მიზეზების გამო დიდხანს ვერ იცოცხლა. საშუალება რომ შემოაკლდა, ილიამ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას თავი ანება...

*

1864 წლის დამლევს ილია გაგზავნეს იმერეთს, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ. აქ დაევალა მას გამოერკვია, რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის, ბატონყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი 1864 წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთეს ადგილს ილიასთვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი“, როგორც ამბობდნენ იმ ხანებში, როცა ეს თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას ავალებს იაროს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე შორს, სამშობლოს გარეთ, როგორც დღეს არის, მაგალითად, გადავარდნილი ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთის ახლო, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოულობდა ყოველგვარ მასალას

როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის ერთგული. მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისათვის... როცა ჩვენში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა (1868), ილიამ შუამავლობას თავი დაანება და ის დანიშნულ იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ.

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროის ამბავი მე არა გამიგონია რა ილიასაგან. მხოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუდის კაკარდაზე ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულების გულუბრყვილობის ნიმუშად გვიამბო შემდეგი:

„პოსრედნიკად რომ ვიყავი, ერთხელ ანაზდეულად მთიულეთს მომისდა მისვლა, საცა კვირა დღეს ხალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებინა ერთი გლეხი, რომელიც შორიახლო იდგა იქიდან. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა, გზირი იქვე მიდგა განზე და, რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ხმამაღლა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა, დაბლიდან იყო თუ მაღლიდან, ხმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამგვარი მიძახილ-მოძახილი:

— გიბარებენ ჩქარა!..

— ვინ მიბარებს?

— ჩინოვნიკი.

— ვინ ჩინოვნიკი!

— აი, ქუდზე რომ ქათმის სკ-ვით რაღაცა აქვს, ის გიბარებს“,

ამის გამგონე ილია იტყოდა, ვითომდა ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოოს მინდვრიდან სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს, რით იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელიო?

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროიდან მოგონება უფრო საინტერესოა.

თვითონ ილიამ გვიამბო:

— მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს. — ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარეო, — შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამიღია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ — ამისთვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას — და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისათვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ ვისმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმათთვის უნდა ეამბნა, ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანასმად სადაო მიწა გლეხს მოუსაჯა.

ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა წერდა: მომრიგებელმა მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ჩამოართვაო.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა, ესა და ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესა და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო.

მეორე მოგონება, მოსამართლისაგან განაგონი: ერთხელ ილიამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

— მე გასლავარ, ბატონო, — წამოიძახა გლეხმა.

— შენ წაიღე ხეები?

— დიახ, ბატონო, წავიღე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დაწერე და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

— შენ ვინა ხარ?

— ესა და ეს ზაქარია გასლავარ, ბატონო!

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალაო, — უპასუხა გლეხკაცმა.

მომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

1874 წელს ილიამ სულ გაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და შეუდგა თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეს. ამ წელს თბილისის თავად-აზნაურთა კრებამ ის აირჩია კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდება თავად-აზნაურობამ მოიწონა, ილია მათივე მინდობილობით გაემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცადინეობით ეს წესდება დამტკიცდა. შემდეგ, 1875 წელს, ამ წესდების თანახმად, თბილისში გაიხსნა საადგილმამულო ბანკი და ილია არჩეულ იქნა ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღიდან შთელი ოცდაათი წლის განმავლობაში თბილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავმრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდან დაყურებდა ახალ თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისი სახელი, მაგრამ მას შემდეგ, რაკი ესენი მიიცვალნენ, ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია პოეტი, ილია წარმომადგენელი ქართული მწერლობისა, მასპინძელი უცხოელ სტუმარ-მწერალთა და სხვა და სხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქუჩებ, რომელიც ან თვითონ ილიასაგან გამიგონია,

ან მის თანამედროვეთაგან მსმენია, ან მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოვებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვწერ. მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართული მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, თუ ნათლად დაგანახეთ, ჩემს ვალს მოხდილად მივიჩნევ.

მე გავიცანი ილია პირველად 1879 წელს.

ამ წლიდან დაწყებული მისი სიკვდილის დღემდე მე ილიას კეთილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველ ოთხსუთ წელს, როდესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერაკითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ პერიოდიდან ჩემს სამახსოვრო წიგნში თითქმის არაფერი არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდან. მაშინ ჯერ არ მქონდა განზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდან, რასაც დღეს შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისება, მე მიმავიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე ხელი მივყავი ორბელიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი როგორც მსხვერპლს, „მუშტრის თვალით", და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი, რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებული ჩემი სამახსოვრო წიგნიდან, ან თვითონ საკუთარი ჩემი მეხსიერებიდან და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს, სხვისი ნაწერებიდან იყოს ამოღებული.

მაგრამ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო წერა, რა რიგზე ამოვწერო სამახსოვრო წიგნიდან ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან.

მგონია, ისევ ისა სჯობია თავიდან დავიწყო, „ათადამ-ბა-ბადამ“, როგორც თვითონ ილიას უყვარდა თქმა, ესე იგი, შინ მავიდე მასთან და ჯერ შინაური კაცი დაგანახოთ.

ილია ჯერ იდგა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის სახლის პირდაპირ, მერე, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, ბოლო დროს იმან იყიდა საკუთარი სახლი ანდრეევის ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მასთან თქვენ ვერ შეხვდებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას... მის სალონში თქვენ შეეყრებოდით მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან მარტო ნათესავებს.

თუ რამე საღამო გაკეთდებოდა მასთან, ან წვეულება იქნებოდა, მომსვლელები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი, მომლხენი. მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავის დღეში არ განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურობდნენ. საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა, დილაადრიანად ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენს შორის ამგვარი დიალოგი გაიმართაო:

— მომილოცავს, ბატონო!

— რა, ბიჭო?

— ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

1884 წ. იყო თუ 85-ს*, როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამ-

* ნამდვილად 1885-ს იყო. (სოლომონ ცაიშვილი).

ხიარულდა რომ ბანძას, მექი ფალავასას და ჩემთან ცაიშში სულ „ფარინა, ფარინა“ იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა.

ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება — ზარმაცობა — მაპატიეთ ამ სიტყვის თქმა და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს.

დიმიტრი ყიფიანმა მისწერა იმას ერთხელ ქვიშხეთიდან სამდურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად მისწერა მხცოვან პატრიოტს: არაფერია, ყველაფერს მოვასწრებთო, — რუსთაველმა სთქვაო:

„თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

მეორე მაგალითი: 1890 წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, თბილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მამულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გადაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს, რატომ მინისტრი არ ნახეო, მან პასუხად თქვა: ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდაო.

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს ხანდახან სულ უბრალო მიზეზების გამო.

— ვაა... ვერ წარმოიდგენ — მითხრა ერთხელ იმან, — რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელი მისი სიმაღლით), შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თვითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა, სიტყვაზე, „თქვენო უდიდებულესობაო“ უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: — Сын мой,

помни, здесь нет другого Величества, кроме Виктора Гюго...

ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორიც იყო ჰიუგო.

* * *

ლაპარაკში ილია უძლეველი იყო. მის დიალექტიკას, მის მოსწრებულ სიტყვებს, მის მდიდარ ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, ბევრი გრძნობდა, რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ დაამარცხა ის თავისი დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვისრამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთიერთმანეთთან შეთანხმება მიანდეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არა აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის აღტაცებით იმან დაიჟინა უ უბრჯგუოდ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი თვითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი არქაული ფორმისა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, იმასაც კი შეეშინდა ამგვარი გარდაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწამებინათ, იმან დაწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს, მერე წიგნიც დაიბეჭდა, რომელსაც გადაშლით თუ არა თვითონვე დაინახავთ შიგ რაები წერია. წარმოიდგინეთ, რა სიტყვები გამოვიდოდა, თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, — ჩუენ; მოსვენება — მოსუენება; გამოკვება — გამო...

— ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდიათ! — ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

— მე ისე დავბეჭდე, როგორც გადასწყვიტეთ.

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

— გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია!

— უთხრა გაჯავრებით პეტრემ და გაიხსნა ჯიბე, ამოიღო ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვარიგად მქონდა წარმოდგენილიო უთხრა ილიამ და თავის ლაპარაკით პეტრე დამნაშავედ გამოიყვანა.

ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას ჩიოდა, მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოების გამო. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან, იმას სულ იმის ეშინოდა, ვაითუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილმამულო ბანკში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდადო და პოეტს გადასცა „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგ „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი.

მაგრამ ამ ხელმოჭერილ კაცს არაფრად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

ოთხმოციანი წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა. იმის ჩვეულებრივი პარტნიორები იყვნენ: გიორგი შარვაშიძე (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისთავი, დავით ავალიშვილი... კლუბში ის ხშირი სტუმარი არ იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გამოვსულვარ დილაადრიანად ალექსანდრეს ბაღში და შევყრივარ ილიას კუკიიდან მომავალს შემდეგ მთელი ღამის თამაშში გატარებისა.

განსვენებულ ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათას ხუთასი მანეთი წააგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებ-

ლად ქისა ამოიღო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანი-ღა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჰ, საცა სხვა წავიდა, ესეც წავიდესო, — გაივლო მგოსანმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

— აჰა, წაიღე, — უთხრა პოეტმა.

— ბატონო, აქ ერთი თუმანია.

— არაფერია, წაიღე, განუმეორა მან.

— გეტყობა, კნიაზო, წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებინოს, — დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა მეეტლემ.

ახლა უნდა გადავიდეთ ილიას რედაქტორობაზე და გაზეთზე, მაგრამ ჯერ მოისმინეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემი დღიურიდან...

გაზეთ „ივერიის" გამოცემას რომ მოჰკიდა ხელი ილიამ, ის დიდ ფაცაფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა აღთქმული (სხვათა შორის, გაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად ლელო ეწერათ. თვითონ სათაური „ნაკვესი" ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ., 1885 წელს ილია მწერდა თბილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისათვის, ვნახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილ უწყებას ჩვენი ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ღაღადი მოჰფინეს ჩვენს სალიტერატურო არემარეს. ჩვენ ვნუგეშობთ და ვამბობთ: Значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ ნეტავი ესლა ჩვენთან იყო, ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდამი მსასოებელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედგამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ обед-ად გადააქციოს, მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან, წიგნები რაც საჭირო იყო დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწბილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქაღალდის თაობაზე სერებრიაკოვს წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ-ხანად Новое Обозрение-ს ქაღალდს ვიხმართ.

კაცო, რატომ არა გვწერ, — ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები? შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი გყავს და ის ერთადერთი — შენი ილია ჭავჭავაძე.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები“.

„ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 1886 წ.

„ივერიის“ რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას

სადგომში. სადგომის კერეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — პატარა ტანის ოთახი — სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს — პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შესვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის — თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იყო წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლეს და გორგასალის სურათები.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილიოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, მაგიდებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

აქა-იქ კედლებზე: კაკაბისა და ხოხობის ფიტულებს.

და რადგანაც ნამდვილ ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთი მეორეზე უდიდესს.

მთავარი მაგიდა კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ მაგიდაზე არეულ-დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურ დაუდევრობაზე. აი აგერ ამომშრალი დიდი საწერელი, რომელშიც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შვლის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვით შუაგულში, აი გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი ყარანდაში...

თუ საღამოა, ამ მაგიდასთან თვითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარსანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართვე-

ლისათვის ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი — მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა წერდა და გრძლად წერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულოვანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცმა, რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თავის ღირსებას ჰკარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა-გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ, ან მიჯექით სადმე რომ ზელტერის წყლით სიცხიდან სული მოიბრუნოთ და უფრო მეტი ხანი მოანდომოთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილიც, თუ ის მოკლედ არის დაწერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია, არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებით ერთმანეთში აცმულ-გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ „როგორცა ვთქვი", „რომელიც რომ" და სხვა ამგვარები, თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ. და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ. უმეტესობა კი, ათი მკითხველიდან ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო თქვა რუსთაველმა, ალბათ იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას გაზეთის „ივერიის" კოლექცია და მაგალითს აქ ვერ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი-სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელი სტატიებისათვის არა სცალია.

ფრანგები იტყვიან qaund vous voulez dire: il pleut, dites il pleut. ეს ქართულად ასე ითარგმნება: „თუ გინდათ თქვათ, რომ წვიმს, თქვით წვიმს". და ნუ მოჰყვებით, „ათადან-ბაბადან", ნუ დაიწყებთ ციდან, ღრუბლიდან ჰაერიდან, თქვით მოკლედ: წვიმს.

ასევე ითქმის საზოგადოდ იმგვარ მეთაურ წერილებზე,

რომელსაც ეკუთვნოდა ილიას წერილები, ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რის თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პოეტს, მას შეეძლო.

მეშინია, მეტის თქმა არ გამომივიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვთქვა. გაზეთის ყოველი ნომერი, რომელშიც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი, წვალებაა საკითხავად.

საფრანგეთის ერთი დიდი ფილოსოფოსი ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, წეროს როგორც იმას უნდა, ყველაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველ ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაესმოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება თუნდ ისეთგვარად როგორმე, როგორც მაგალითად, სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წუთის ლაპარაკის შემოღებით.

ჩემი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ჟურნალისტი ჟირარდენი. აი როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი) იწყებს რაიმე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში საქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟირარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწევნილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს, თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რაგვარად მებრალებით, — და ის მტვრად აქცევს თქვენს ნათქვამს, ან დაანახვებს სხვებს, რომ თქვენი ნათქვამი მტვრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა, იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა

გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში კიდევ სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვაა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა".

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია — რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდად გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში", მეორე დღეს მკითხა:

— წაიკითხე ჩემი წერილი?

— წავიკითხე გუშინღამვე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებიათ შიგ შრომისმოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

— რა სიტყვები?

— ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

— ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა, და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე, რაკი სტამბაში მოხვედრისარ, — მითხრა ნაღვლით რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით რედაქტორი ულმობელია, მეტადრე დასავლეთ საქართველოდან გამოგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართული ენისა.

ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

— არ არის, მაგრამ იქნებაო, — თავმოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიასა და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან „Господин". ილიამ თქვა „უფალი მესხი"-ს თქმას „ბატონი მესხი"-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ

დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგული ენიდან „monsieur“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომუნის Compagnon“-მა.

მისგან მოგონილ სიტყვათაგან მახსოვს: სულთა-სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერელთა წერილებში სიტყვები — „ვლებულობ“, „ამნაირად“. საცა ეს სიტყვები მოსვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს, სიტყვებს: „ვოლებ“ „ამგვარად“.

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“-ს, ილია ხშირად „ეარნა“-ს წერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთ ძველ წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „ჰსჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდან ჩასვლა, მაგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს: გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთ „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა, რომ თვითონ უმართებულოდ ესხენებინა ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში ერთი წერილი დაწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და ორი თავისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს — კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკაშვილი. მან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თავისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილი ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ შერიგების უკანასკნელი სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი, ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც

მათი შერიგების ოქმი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, — რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ის ჩემი თანხმობით იყოო, ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ რაც ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მიმაქვსო.

რედაქციაზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დავურთოთ აკაკის სიტყვებიც.

აკაკი თამარაშენში იყო მაჩაბლისას და დაძინების დროს „ივერიას“ კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სანთლიდან ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო — და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

— მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაქრობდიო, — აამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს.

* *

ილიას, როგორც ბანკირს, ქართულ მწერლობასთან და სელოვნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოღვაწეობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკში მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია და ანგარიში, ქნარი და „ჩოთქი“ როგორღაც ერთმანეთთან ვერ მიდიან, გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ილია საზოგადო მოღვაწეა, რომ მისმა გონებამ და შრომამ მისგან დაწყებული და წარმართული ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს ბანკის დამფუძნებელთ უკვე დაუბრუნდა უკანვე ძირითადი თანხა და როგორც ახლა, ამ წასვლაზე თბილისში შევიტყე, შარშან ბანკს ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ ოთხასი ათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი. ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული თბილისის ყველა თავადაზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ.

დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნაწერებზე ვილაპარაკო და ამით ვათავებ ამ მოგონებას პოეტის ცხოვრებიდან, თუმცა სამახსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლეგია მასალა ილიას შესახებ.

* * *

დასასრულ, ორი-სამი სიტყვა ილიას საგურამოში ცხოვრებიდან.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდიოდა საგურამოს, დასასვენებლად. აქ ჰქონდა იმას ერთი პატარა ქვის სახლი, რომელიც გადაჰყურებდა არაგვის ხეობას. სახლის წინა აივნიდან მგოსანს თვალწინ ედგა მშვენიერი პანორამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეობისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამაშვრალი. ყოველ 20 ივლისს მის დღეობაზე აქ მოდიოდა მასთან მოსალოცავად დიდძალი ხალხი ქალაქიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც.

აქ, საგურამოში, უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას.

ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა თავის სიტყვიერებისათვის.

დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა თქვაო. — იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად, მახსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. აზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ, ლექსიკონში აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმისა...

ელისაბედ საგინაშვილი

თ. გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე, მეუღლე მისი შთამომ-
მავლობით ბებუროვის ასული, სომხისა, მონათლული ჩვენს
სარწმუნოებისა, წლოვანებით ცამეტი წლისა, როდესაც თ.
გრიგოლ დანიშნულა, თავის მშობლებისათვის გამოუცხადე-
ბია: რადგან ქართველის ოჯახში რძლად შევდივარ, უეჭველ-
ლად იმათ სარწმუნოებაზედ უნდა გადავიდეო!

ეს მშობლებს და ძმებს სასიამოვნოდ არ მიუღიათ. ბევ-
რი დაუშლიათ თავისი სურვილი აღესრულებია, მიუღია ჩვე-
ნი სარწმუნოება. თუმცა სომხები იყვნენ, მშვენიერის ქართუ-
ლის ენით ლაპარაკობდნენ; სამხთო წერილშიაც განვითარე-
ბულნი იყვნენ, როგორც სომხურში, ისე ქართულში. თვით
დედაჩემმა კარგად თურმე იცოდა და თავისს შვილებს პა-
ტარებს — კოტეს, ილიას, ნინას ასწავლიდა ქართულს წერა-
კითხვას სამღთო წერილითგან.

შვილები გრიგოლისა და მარიამ ჭავჭავაძეებისა:

1. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — მოკლული იმ წელიწადში ლეკ-
კებისაგან, დავით ჭავჭავაძის სახლობა რომ წაიყვანეს ტყვედ
წინანდლიდამ, თელავის მაზრაშია. (1854 წ. 3 ივლისს).

2. ნ ი ნ ო — თ. ნიკოლოზ აფხაზის მეუღლე, დედა პოლკ-ნ
კონსტანტინე აფხაზისა.

3. ი ლ ი ა — ჩემის დის ნინასაგან გამიგონია, ილია ბავ-
შვობიდანვე თავისს ტოლებში სრულებით თურმე ირჩეოდა
მშვიდი, წყნარი, და-ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ,
ბავშვები, ვთამაშობდითო, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მო-
წაწილეობასა თამაშობაშიო.

4. ე ლ ი ს ა ბ ე დ გრიგოლის ასული, გენერალ-ლეიტენან-
ტის ქვრივი — საგინოვი (მოგონების ავტორი).

5. თ ე ი მ ურ ა ზ — მოსკოვში გარდაიცვალა 21 წლისა, კადეტის კორპუსში.

ნეტარსსენებული დედა რომ გარდაიცვალა, დავრჩით ობოლნი, მცირეწლოვანნი. მამისჩემის და — კნეინა მ ა კ რ ი ნ ე ი ვ ა ნ ე ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა დარჩა ქვრივად, შვილი არა ჰყვანდა, მამისჩემის თხოვნით გადმოსახლდა თავისს სამშობლოში თავის ძმა გრიგოლთან, ფიილო დედობრივი მზრუნველობა ობლებზედ. ფრიად კეთილი, ღვთის მოყვარე. ჭართულ მწიგნობრობაში, ნალთო წერილში გაწვოთარებულს, ყოვლად პატივცემულ ადამიანთან ალვიზარდეწით.

უფროსი ძმა, წინა და ილია სწავლობდნენ: კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — უმაღლეს სასწავლებელში, წინა — ზაველეწიაში, ილია — გიმნაზიაში.

მამა რომ გარდაიცვალა, ილია 17 წლისა იყო. დავრჩით ორი მცირე წლოვანეში მამისწვენის შემდეგ: თეიმურაზ, ელისაბედ. მამის წემის სიკვდილის შემდეგ ყოველივე ოჯახის მზრუნველობა, გამგებლობა გადავიდა მამიდა მ ა კ რ ი ნ ე ზ ე დ.

ი ლ ი ა მ ს წ ა ვ ლ ა შეაჩრულა გიმნაზიაში, გაიგზავნა უნივერსიტეტში, პატარა ძმა — კორპუსში. მ ა მ ი დ ა მ ი იმ დღიდამ 87 წლამდის, ჩვენს ზრუნვაში გაატარა თავისს სიცოცხლის დღენი. დასაფლავებულია სოფელს იყალთოში, თავისსგან აღშენებულს პატარა ეკლესიაში, თავის მეუღლე ივანე არაგვის ერისთავთან.

ერთს წელიწადს ზამთარში, ვცხოვრობდით ქალაქში. ილია გიმნაზიაში სწავლობდა, იმ ზამთარს ჩვენთან ცხოვრობდა, თავისთვის საკუთარი ოთახი ჰქონდა. მეორე დღეს შევედით, ვნახეთ, კრაოტი ჩასტეხია, ისევ ისე წევს. ჩვენ დავეკითხეთ, რატომ არ შეგვატყობინე, ან მოსამსახურეს არ შეატყობინე გაესწორებინა? იქამდინ თავაზიანად მოგვექცა. რათ შემეწუხებინეთ, დაო, როდესაც ასე მწოლარესაც ტკბილად მეძინაო?

ჩემს სახლში ბალკონზედ სადილს შემდეგ მუთაქაზედ წამოწვებოდა, წიგნს კითხულობდა ისე, სათვალეებით ჩაეძინებოდა ხოლმე.

სამოცდა რვა წელიწადი ვიცხოვრეთ, არ მახსოვს, მაღალი სიტყვით გასჯავრებოდეს მოსამსახურეს. ჩვენ და-ძმობაშიაც ერთმანეთში დიდი სიყვარულით, თავაზიანობით გვექცეოდა.

ამ დიდბუნოვანის ძმის, ჩემის სამშობლოს თავმოსაწონებელი დედაბოძის დამკარგავი, — კიდევ ვცხოვრობ იმის შემდეგ უბედური ელისაბედ საკინაშვილი.

ჩემ მიერ დაწერილს და გადმოცემულ მოგონებას კიდევ დაუმატებ:

ტყუილია, ვითომ განსვენებული ჩემი ძმა დაბადებულიყვეს იანვარში. მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილის დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჭ. შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო.

თუ სხვადასხვა დოკუმენტებში დედა ჩემს ხან მაგდანათ და ხან კი მარიამათ იხსენებენ, ეგ იმითი აიხსნება, რომ დედაჩემი ტომით სომეხი იყო, მაშინ მაგდანს ეძახოდნენ, მერმე რომ გათხოვდა, მართლმადიდებლობა მიიღო და მარიამი დაარქვეს. დედაჩემი, რამდენადაც მახსოვს, სახადით გარდაიცვალა. მახსოვს, ჩვენ, ბავშვები ყველანი დაგვაშორეს, როდესაც იგი ავად იყო. მამაჩემიც შინ გარდაიცვალა. კიბეზედ ასვლის დროს წაიქცა, ფეხი იტკინა და მერმე იარა ვერ გადაექცა. ვიქნებოდი ასე 13 წლისა, როდესაც მამა მოგვიკვდა...

ჩემი უფროსი ძმის კონსტანტინეს ოჯახი, ქვრივი და შვილი სვიმონი გარდაიცვალნენ რუსეთში. თვით ძმა კონსტანტინე ლეკებმა მოჰკლეს.

ამ სახლში (ნიკოლოზის ქუჩა) გადმოვედით 1884 წ. (ილია და კნეინა ოლღა პირდაპირ საგურამოდან გადმოსახლდნენ).

საგურამოელი გლეხები

ალექსი ზოთნიაშვილი

ჩემს პატარაობაში ცელქი და დაუყენებელი ბავშვი ვიყავი, ცელქობისათვის ხშირათა მცემდნენ ხოლმე სახლში. როცა კი რამეს დავაშავებდი და მეშინოდა ჩვენების ცემისა, მაშინვე ბატონის სახლს მივაშურებდი. ბატონი და ქალბატონი ოლინკა ძალიან მიყვარდნენ, ბატონი გამიცინებდა ხოლმე და მეხუმრებოდა, ოლინკა კი მუდამ მისვლისას, ხან რას მაჭმევდა და ხან რასა. როცა დაღამდებოდა და ჩვენები ძებნას დამიწყებდნენ, ჯერ ახლო მეზობლებში მომნახავდნენ და თუ იქ არ ვიქნებოდი იცოდნენ, რომ ბატონიანთას ვიქნებოდი. დედაჩემი ამოვიდოდა ხოლმე ჩემს წამოსაყვანად. ქალბატონი ეტყოდა დედაჩემს, თუ ჩემი ხათრი გაქვთ ეს ბიჭი არ გალახოთო და გამოვყვებოდი დედაჩემს იმედიანად. ვიცოდი, რომ ქალბატონის ხათრით აღარა მცემდნენ. ქალბატონი მეტად კარგი გულისა იყო და ყველას მოყვარული.

ათი, თუ თერთმეტი წლისა როცა გავხდი ბატონის ხბორებსა და თხებს დავდევდი მწყემსად. ერთხელ ერთი თხა მოკვდა, აწყინა ბალახმა. ამის გულისთვის გამიჯავრდა მოურავი, შენ ესროდი ქვასა და იმიტომ მოკვდაო. როცა ბატონი მოვიდა და გაიგო, გასჯავრებიაო, ახლა ბატონი თითონ მოურავს გაუჯავრდა, რათა ტუქსავ მა ბიჭსაო, მინდვრიდან ცოცხალი მოუყვანია, შენ კი დროზე ვერ დაგიკლავს და უსულადოთ მომკვდარაო, რა მაგისი ბრალიაო!

ხშირად დაგვიძახებდა ხოლმე ბატონი, როცა თავისი სახლის ახლო დაგვინახავდა პატარა გოგო-ბიჭებსა და ყველას წიგნებს დაგვირიგებდა და გვეტყოდა, აი, ეს წიგნი ისწავლეთო, თუ თქვენ სახლებში გყავთ ისეთი, რომ კითხვა იცის, უთხარით რომ გასწავლონო, უეჭველად ისწავლეთ, კარგია

წიგნის სწავლაო. ჩემთვის ბარე თერთმეტი წიგნი ექნება მოცემული ბატონსა.

ჩვენ ბატონსა ჰქონდა სალეწი მანქანა, გლეხებში აქირავებდა, როცა თითონ მორჩებოდა გალეწვას. ვისაც არა ჰქონდარა და ღარიბები იყვნენ, იმათ არაფერს ართმევდა და უფასოდ ათხოვებდა ხოლმე. ხშირად გამოვიდოდა ეტლით მინდორში, დაათვალიერებდა მანქანასა, იქ დაგვიძახებდა ვინც კი ახლო ვმუშაობდით, გვიბრძანებდა, დაისვენეთო. ახლა გვეტყოდა, იმღერეთო, ჩვენცა ვმღეროდით, ვშაირობდით და ბატონი იცინოდა ხოლმე. ჰაი, ჰაი, რა კაცი იყო საწყალი, რო იტყვიან მკვდარი სჯობიან ცოცხალსაო, სწორეთ ბატონი ილია არის ეგრეთი, რომ ბევრ ცოცხალს სჯობიან.

როცა მოკლეს ბატონი, მთელი სოფელი ჩავედით. ყველა შევწუხდით, ვწყევლიდით და ვაგინებდით მშობელ მამასავით საყვარელ ილიას მკვლელს.

ილია სოფლის კაცისთვინ მალამო იყო, უკადრისი კაცი არ იყო, ძალიან უყვარდა გლეხობასთან ლაპარაკი, როცა გლეხები ლაპარაკს დაიწყებდნენ, ერთი ქართულით ყველას აჯობებდა...

ილია რო ქალაქს ჩავასვენეთ, მთელი სოფელი გავყევით, გვაგინებდნენ: „ეს საგურამოელები გასაწყვეტლები ხართო, ასეთი თავი კაცი, როგორ გაიმეტეთო"!

ჩვენ, როგორ გავიმეტებდით, იმის მკვლელებსა მგელივით ვეტანებოდით

ანდრო მაისურაძე

8—9 წლის ბიჭი ვიქნებოდი, როცა საწყალი მამაჩემი მოკვდა. მამაჩემს ვალი ჰქონდა აღებული ერთი დუშელი სომხისაგან. მამაჩემი სანამდის ცოცხალი იყო, მანამდინაც ღარიბი ვიყავით და როცა ის მოკვდა, მაშინ ხო უფრო გავღატაკდით. დუშელ ჩარჩს მამაჩემმა ვერ გადაუხადა ვალი და მისი სიკვდილის უკან ჩვენ დაგვაწვა. რო ვეღარ შევძელით ვალის მიცემა, ჩარჩმა გვიჩივლა დუშეთში მოსამართლესთან, მაშინ სოფელ ებნისში ვცხოვრობდით. როცა დაიბარა მოსამართლემ, დედაჩემმა მე, ორი ჩემი ძმაი და ერთი დაი წაგვიყვა-

ნა დუშეთში. მივედით თუ არა შეგვიყვანა მოსამართლის ოთახში. დედაჩემმა ტირილი დაიწყო და ისე ელაპარაკებოდა, როგორ გადავიხადო ვალიო, ბავშვები შიმშილით მეხოცებიანო. თან მოგვკიდა ხელი დედაჩემმა და მოსამართლის ახლო დაგვაყენა. მოსამართლე ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. როცა მოსამართლე ჩვენ აღარ გვიყურებდა, და თავისთვინ რაღაცაზე წერდა, მაშინ ვათვალიერებდი მოსამართლე იყო ჯმუხი, მარილიანი სახე ქონდა. მერე მოსამართლემ ილაპარაკა და გადაწყვიტა, რომ, სანამ ყმაწვილიო,—ჩემზე იძახდა, — ოცი წლისა არ გახდებაო, მანამ, ერთი კაპიკიც არ უნდა გადაიხადოთო. ჩარჩს ეწყინა და დედაჩემი კი ძალიან გახარებული იყო. მოსამართლემ ის გადაწყვიტა, რომ იმ დღიდან სარგებელი არ უნდა გადაგვეხადა, ხოლო, როცა მე ოცი წლისა გავხდებოდი, მაშინ მარტო თავნი უნდა მიგვეცა. როცა მოსამართლის ოთახიდან გამოვედით, გარეთ ბიძაჩემი დიმიტრი დაგვხვდა, მამაჩემის ძმა და იმან გვითხრა, ეგ მოსამართლე ილია ჭავჭავაძეს რო უძახიან, ის არისო!

ალექსა უნდილაშვილი

ღმერთმა დაღუპოს ილიას დამღუპავი, მე, თაობითვე ბრმა ვიყავი და ძალიან ვეცოდებოდი ილიასა. მუდამ მეხმარებოდა ხოლმე: ხან ფულით, ხან ჭინახულით, ბევრჯელ ტანისამოსიც უყიდია ჩემთვის.

ილია რუსეთში იყო და სანამ იქიდან დაბრუნდებოდა, ყაჩაღებმა ილიას მოურავი მოსე და მისი ცოლი მოკლეს. როცა ილია მოვიდა რუსეთიდან, დაიბარა გლეხები და უთხრა: ვინ მოკლა მოსე და იმისი ცოლიო? ყველა იძახოდა: რა ვიცი, ბატონო, ჩვენ არ ვიცით, ვინ დახოცაო!

— თუ ვისმე რამე დაგიშავათ, რუსეთში ხო არ მოვკვდებოდი, აქ არ მოვიდოდიო? გეთქვათ და მე გამოვასწორებდი საქმესა, აბა რისთვის მოკალითო, ან მათმა მკვლელმა რა გაიკეთა, მითხარითო? უნდა იფიქროთ და ისე უნდა მოიქცეო, უცებ რაც მოგვიდეს ფიქრებში, განა მაშინვე უნდა აასრულოვო!.. იმათ მკვლელს მხეცური საქციელი ჩაუდენია!

მამაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი მეც-

ნიერიაო — ცაზე რამდენი ვარსკვლავი არი, სულ იცი-
სო.

ეს ამბავიც მამაჩემისაგან გამიგონია, როცა მოსამართ-
ლედ იყო დუშეთშიაო, ერთი კაცი მივიდა და ილიასთან იჩივ-
ლა, რომა, ამა და ამ კაცს ფული ვასესხე. ნაღდი ფული და
უარს მეუბნება მართებულებაზე და აღარ მაძლევსო. ილიამ
ერთ დღეს მაჩივარიცა და მოვალეც დაიბარაო. მოვალემ
თურმე ილიასაც უთხრა: მე არაფერი მმართებს მაგისიო, მაგ-
რამ ილია ერთი შეხედვით შეატყობდა მტყუანი იყო თუ მარ-
თალი. იმ მოვალესაც იმ საათში შეატყო, რო მტყუანი იყო,
მაჩივარს უთხრა ილიამ, რომა, როცა შენ ამას ფული მიეცი,
იქ არავინ იყო ან კაცი ან ხე, ან ქვა? როგორ არა, ბატონო!
ერთი მუხა დგას იმ ადგილასა! — უთხრა თურმე მაჩივარმა.
მაშ, წადი, ერთი პატარა ტოტი მოტეხე იმ მუხაზე და მამი-
ტანეო. მაჩივარი წავიდა და მართლაც თურმე მოეტანა მუხის
ტოტი. აბა მე ამას ვკითხამ და გამოჩნდება მტყუანი და მარ-
თალიო, სთქვა ილიამ და სხვა ოთახში აპირებდა თურმე გას-
ვლას, მაგრამ იმ მოვალემ იფიქრა, უფრო ძნელად წავა საქ-
მე, მუხის ტოტი მე გამამტყუნებსო. წადგა წინა და უთხრა
ილიას: მართალია, ბატონო, მე მმართებს მაგ კაცის ფული და
ტოტიც მეტს რაღას გეტყვითო... ილიამ უთხრა: მერე, შე კაი
კაცო, ტყუილს რათ ამბობდიო? ამ ერთ თვეში ჩააბარე, თა-
ვის ფულიო!

მაჩივარს მაშინვე უნდოდა ფული, მაგრამ ილიამ უთხრა:
ერთმანეთი კი არ უნდა დაახრჩოთო. ამ საათში ვინ მისცა
მაგ საწყალსა, ახლავე ჩაგაბაროს? რომ ჰქონოდა ხომ შენგან
აღარ ისესხებდაო? ილიამ გააუქმა სარგებლის მიცემა და ერ-
თი თვის შემდეგ უნდა დაებრუნებინა ფული მაჩივრისათვინ
უსარგებლოთა.

ილიას სიტყვის გამგები კაცი არ იყო ქვეყანაზე. ერთხელ,
ამ დიდ გზაზე შემამხვდა ილიაი და დამიწყო ლაპარაკი: რო-
გორა ხარო? მე ვუთხარი: რაღა როგორა ვარ, გინდა ვიყვე,
გინდა არა, უსინათლო ადამიანის სიცოცხლე რა არის მეთ-
ქი?.. მერე მითხრა: მე მიცნობო? მე ხმაზე ვიცანი: როგორ
არა, ბატონო, გიცნობ მეთქი. მაშინ ერთი თუმანი მაჩუქა და
მითხრა, ჩვენსა მოდი ხოლმე და სამხარი მუდამ იქა ჭამეო!..

ილიაობა დღეს, მთელი საგურამო — ერწოს მუშები, მცხეთისა და კახეთის კნიაზობა, იყრიდა თავსა. ილია დაკლავდა ხოლმე ორ-სამ ძროხას, ხუთ-ექვს ცხვარს და ძალიან დიდ ქეიფსა მართავდა ხოლმე. თითონ თავზედ დაგვადგებოდა და ძალიან გულითა გვთხოვდა, კარგად იქეიფეთო. ილიას კახური სიმღერები და მრავალჟამიერი უყვარდა ძალიან. ილია ხან ერთ მხარეს მივიდოდა სუფრისა და ხან მეორეზე; ხან მაღლა ადიოდა და ხან ძირს ჩამოდიოდა, მარანში; ხშირად კი ჩვენთან იყო ხოლმე, სადაც ჩვენი სოფლის ხალხი ვეგულებოდით. ჩვენი სოფლის კაცი, თუ ვინმე მოახსენებდა მადლობასა, ილიას ეწყინებოდა ხოლმე: თქვე ბრიყვებო, თქვენ რა მადლობლები ხართ, როცა თქვენი ნაშრომით ქეიფობთო... როგორი მასპინძელიც მე ვარ, თქვენც ისეთივე მასპინძლები ხართ, იმ უცხო სტუმრებისაო, მიგვითითებდა ხოლმე სხვა სოფლებიდან და ქალაქიდან მოსულ ხალხზე. რაც მე ცხოვრება მაქვს, ცოტა მე მეკუთვნის და ბევრი კი თქვენიაო. ჩვენი სოფლის ქალები ცალკე ატარებდნენ დროს, იმათკენაც გაივლიდა და მოხუცებულ ქალებს ეტყოდა: აბა კარგა დრო გაატარეთ, იქეიფეთ, ღვინო ისევ ისე გიდგიათ, მიირთვით, დალოცეთ ცის ნამი და დედამიწა, რომელიც ჩვენ უხვ მოსავალს და საზრდოს გვაძლევსო და მერე ჩვენთან მოვიდოდა და გვეტყოდა: ქალებს ტკბილი ღვინო მოურბენინეთ ერთ-ერთმაო, ჩვენ რომელიმე წამოვხტებოდით და მარანში მივიდოდით და შიგ ვინც ჰყავდა დაყენებული, ვეტყოდით ილიას დაბარებულს. ისინიც მაშინვე ასრულებდნენ. ილიას სულ სასე უცინოდა და ღიმილი არა შორდებოდა სახიდანა. ასეთი ამბით გავატარებდით ხოლმე ილიაობა დღეს.

მიჯა ფირადაშვილი

მე ილიასთან ვმუშაობდი ხოლმე ხშირად, უკეთებდი საფუტკრე სკებს.

ერთხელ, როცა მე ილიასთან ვიყავი, საღამოთი მზე რომ ჩაბრძანდა, ამოვიდნენ ჩვენი სოფლის რწმუნებულები: სოსიკო გზირიშვილი და მარტია უნდილაშვილი.

ილიამ უთხრა: „გამარჯობათ, ჩემო ბებრებო, რა გინდათ ბიჭებოო?“

— თუ არ შეგვრისხამ ბატონო, მოგახსენებთ.

— რაზე შეგრისხავთ სისულელეც რომ სთქვათ, მე მაინც თქვენი ჭკვისა არ გავხდები-ო — სიცილით უთხრა ილიამ.

— აი რა არის ჩვენი თხოვნა: ტყეში ამა და ამ ალაგას ყრია აუარებელი ხმელი ხე, იქ ტყუილად ლპება და მოდი ისევ სოფელს გვაჩუქე-ო.

— მარტიავ! ნეხვს რათ აყრით ხოლმე მიწას?

— იმიტომ, ბატონო, რომ მიწა გასუქდეს — მიუგო მარტიამ.

— ხო, სწორედ ტყეშიაც ეგ ამბავია, ის ხმელი ტოტი რო ჩამოვარდება ხიდან, ფესვებზე დაეცემა, დალპება და საზრდოს მისცემს ხეს. თქვენ კი მატყუებთ, რომ ხე ტყუილად ლპებაო. აზირ, ის მითხარით, რომ გვაჩუქეო!

— მართალსა ბრძანებ, ბატონო.

— ჰოო და აიღეთ და გამოიტანეთ, მიჩუქებია სოფლისათვის, მხოლოდ ხეები არ დასჭრათ-ო. კიდევ ილაპარაკეს. მადლობა გადაუხადეს და წამოვიდნენ.

ილია ყველას ჭკვას არიგებდა. ერთხელ მე მითხრა: „მიხავ, ზოგი კაცი ფიქრობს ჭავჭავაძეს ტყე რათა აქვს შეკრულიო. აი რა გითხრა — ეს ტყე რომ არ იყოს, ამ სოფელს ნიაღვრები წაჰლეკავს. ამ სოფელს ეს ტყე ინახავს. მე, ხომ იცი, ერთი უშვილო კაცი ვარ, გადავბრუნდები და მოვკვდები და ეს ყველაფერი თქვენს შვილებს და შვილიშვილებს უნდა დარჩეთ. მე რო ეს ტყე გავკაფო, თქვენი ჩამომავლობა დამწყევლის“-ო.

თეიდო სახოკია

სოხუმის მკვიდრი ქართველობა განსაკუთრებით იზაგრებოდა ცარიზმის აღვირახსნილი რეჟიმისაგან. ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ შავრაზმელებს ეჭირათ. შავრაზმელი იყო სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი), სასწავლებლებში უფროსებად, მასწავლებლებად შავრაზმელები იყვნენ.

ასეთ ატმოსფეროში მყოფი ქართველობა სიხარულით აღივსებოდა ხოლმე, როცა ვინმე მოწინავე ქართველი შემთხვევით გზად გამოივლიდა სოხუმში. თავი მოჰქონდათ: აი, რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოსაო!.. გულში ათასნაირი იმედი ესახებოდათ.

მთელი ეპოქა იყო აქაურების ცხოვრებაში, როცა აქ განსვენებული პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი გამოივლიდა თავისი ნათესავების — გოგრიჩიძეების სანახავად!.. ერთხელ ქართველი სტუდენტობა მოიყვანა აქ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა. ერთხელ ნიკო ნიკოლაძეც იყო. აკაკი ისე გარდაიცვალა, სოხუმი არ უნახავს. ილია ჭავჭავაძემ კი მხოლოდ 1903 წელს ინახულა სოხუმი და სოხუმის ქართველობა.

1903 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას, ერთ-ერთ თავის სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი ჰქონდა იმ „ამაგზე", რომელიც პრინცმა პეტრე ოლდენბურგელმა დასდო აფხაზეთს: გაგრის კურორტის დაარსებით, იქავე რეალური სასწავლებლის გახსნით და, საერთოდ, აფხაზეთის ამ კუთხის გამოცოცხლებით.

მადლობის გამოსაცხადებლად არჩეული იყო დეპუტაცია, რომელშიაც შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, ტფ. სამაზრო მარშალი თავადაზნაურთა) და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

დეპუტაციამ თავისი დავალება შეასრულა, გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერა და იქიდან სოხუმში შემოიარა, ახლა ამ ქალაქის დასათვალიერებლად.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლა. ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგეხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის ილია ჭავჭავაძის მოსვლა!...

რომ ყველას შესძლებოდა ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადილზე მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები.

სადილში მონაწილეთ სულზე ხუთ-ხუთი მანეთი უნდა გაეღოთ. თითქმის ყველა ისწრაფოდა ამ სადილზე დასასწრებად. ასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. ყველას მოუხაროდა, როგორც დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულზე. ცდილობდნენ, ერთიმეორეს არ ჩამორჩენოდნენ ამ ზეიმში, რომელიც სუფრის დასასრულს მართლა რომ ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

1903 წლის მაისია. დამსწრეთა სანეტარო გუნებაზე ყოფნას უმეტესად განამტკიცებდა სოხუმის არაჩვეულებრივად ალერსიანი ცხრათვალა მზე, რომელიც აქაურობას ზედ აფრქვევდა თავის ოქროს მჭელეულებს, გაზაფხულის სანეტარო სუნით გაჟღენთილი ჰაერი, ხავერდისებური მწვანე, განსაკუთრებული ლაჟვარდოვნების ცა და ლაჟვარდივე ზღვა, რომელიც იმ დღეს ესდენ ყუჩი, ესდენ ნაზი და თვალთახედვის გამხარებელი იყო...

საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააჭერინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვეს ღრმად მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეუღლე აღათი დადიანის ასული. ძვირფასი სტუმარი რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო, მოსუფრალნი ორ რკალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად არჩეულ იქნა აქაური მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია, ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე, მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილს მობრძანება სოხუმში.

მადლობა მოახსენა, რომ თავის აქ მობრძანებით ყველასაგან დაჩაგრულთ ვაჟკაცობის სული შთაბერა;

გაძლევთ პირობას, თანახმად თქვენის მოძღვრებისა, ჩვენი ქვეყნისათვის ჩვენც ვიშრომებთ, ჩვენც შევიტანთ ჩვენს წვლილს საერთო სალაროში, მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო: თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვიგვიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, გაგვამხნევეთო.

თამადის შემდეგ მერგო ბედნიერება ილიას სადღეგრძელო დამელია. დიდის მოკრძალებით გავიზიარე ის საერთო აღტაცება, რომელსაც ცათაფრენაშემდგარი ხალხი განიცდიდა მის დანახვაზე. მე ვთქვი: ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება სოხუმელთა ცხოვრებაში. თქვენმა აქ მობრძანებამ ყოველი ტანჯვა დააავიწყა აქაურებს; დღევანდელი დღე დაუვიწყარი იქნება სოხუმელთათვის.

ნება გვიბოძეთ მრავალჟამიერი სიცოცხლე გისურვოთ და განუზომელი მადლობა მოგახსენოთ აქ მობრძანებისათვის, ჩვენის ნახვისა და ნუგეშისათვის.

სამადლობელო სიტყვის სათქმელად ილია ზეზე წამოდგა. მთელი საზოგადოებაც ფეხზე მდგარი მოემზადა მის მოსასმენად. ასე დაიწყო:

„ბატონებო, დიდის პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი გახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს... მადლობელი გახლავართ თქვენი დახვედრისათვის, ჩემის პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

„თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიცქერით, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსთვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რამე გაჰვარდეს ხე-

ლიდან და მე ავიღოვო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილად იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთი ერი, ვიმეორებ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება, გემრიელი ლუკმა ცხვირზეით აცდება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს! ყველასაგან გათელილი, ყველასაგან გაბრიყვებული, ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა, ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავის ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე...

„თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიურ მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათლდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ, გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ, ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისათვის თქვენთვის გამჩენს შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდეცა. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს. თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს, ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და

დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ...

„მაშ, გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენის ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს: ჩვენი ხალხის, ამერიმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად!“

ყოველი სიტყვა ძვირფასი სტუმრისა ელექტრონის დენისებრ უვლიდა სხეულში სმენად გადაქცეულ მაყურებელს; ყველანი ხარბად პირში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდათ. მათ ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა: მთელი საქართველოს სათაყვანო ადამიანს, მთელი ქართველობისათვის მზრუნველს ილ. ჭავჭავაძეს თავიანთს შორის ხედავდნენ! ყველას განუმტკიცებდა რწმენას, რომ ობლად არ იყვნენ შთენილნი, ჰყავდათ პატრონი, პატრონი ძლიერი, შემმართებელი, რომლის წინაშე ჩვენი დაუძინებელი მტერიც კი ქედს იხრიდა.

კარგა შებინდებულზე ყველანი მხიარულნი და ბედნიერნი დაიშალნენ. მერე დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სოხუმელებს ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვნო მოსაგონებლად.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გააცილა ილია ჭავჭავაძე. ეს გაცილება ერთ მთლიან ზეიმად იყო ქცეული.

1903 წლის შემოდგომაა. საქართველოში პარიზიდან ჩამოსულია ცნობილი მოგზაური და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამწერი ბარონ დე-ბაი. დავით სარაჯიშვილმა ფრანგი სტუმარი სადილად დაპატიჟა თავის სახლში, ფრეილინის (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩაზე. სადილად მოწვეული ჰყავდა: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და მე. დავით სარაჯიშვილის მეულლე ეკატერინე ქალაქიდან გასული იყო. ასე რომ, სუფრას მარტო მამაკაცები ვუსხედით. დავითმა ბოდიში მოისადა დიასახლისის იქ არ ყოფნისათვის. მეტად მხიარულად მიდიოდა სადილი. ვლაპარაკობდით ქართულად

და ფრანგულად. პეტრე უმიკაშვილი ვიღაცას თუ ვიღაცეებს უჩიოდა: დამჩაგრეს, აქაო და გულკეთილი ხარო, დაბალ ღობედ გამიხადესო. თავისი ნათქვამი უფრო ნათელი რომ ყოფილიყო მსმენელთათვის, ქართული ანდაზაც კი მოიშველია: მტრედს თავის სიალალით ნისკარტს მოსჭრიანო. სრულებით დაავიწყდა პეტრეს, რომ პატარა თავ-ტანთან ერთად მეტად დისპროპორციული ცხვირი ჰქონდა და რომ მისი ცხვირი ილია ჭავჭავაძეს ადრეც მეგობრული შარჟის საგნად გაეხადა. პეტრემ სათქმელი რომ დაასრულა, ილიამ ასე ანუგეშა:

— ჩემო პეტრე, ფიქრი ნუ გაქვს, რაც უნდა ბევრი მოგაჭრან ცხვირი, სამყოფი მაინც დაგრჩებაო!...

ილიას მოსწრებულმა სიტყვამ საერთო სიცილი გამოიწვია და ყველაზე მეტად თვით ობიექტი ამ მოსწრებული სიტყვისა აცინა, სრულიად გულწრფელად და უწყინრად...

ოღონდაც რომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ილია ჭავჭავაძეს 1903 წლამდე დასავლეთი ევროპა არ უნახავს. შეიძლება აღარც მაშინ წასულიყო მის სანახავად, რომ შერყეული ტანსიმრთელის გამოკეთებისათვის ზრუნვას არ აებულებინა ასეთ შორს გზას შესდგომოდა. თან ახლდნენ რომანისტი ანტონ ფურცელაძე და ფშავხევსურეთზე ეთნოგრაფიული წერილების ავტორი და ქართველ სჯულმდებელთა მკვლევარი ნიკოლოზ ხიზანიშვილი.

ა. ფურცელაძე და ნ. ხიზანიშვილი მოუცდენელი სტუმრები იყვნენ ილია ჭავჭავაჭის „ხუთშაბათებისა", რომლებზედაც ზოგჯერ ორმოცდაათ კაცზე მეტი მოიყრიდა თავს. საგანი კრებისა იყო: ქართული ლიტერატურა, საქართველოს საზოგადო კითხვები, საქართველოში სწავლა-განათლების საქმე. ყოველივე ეს უნდა გათავებულიყო ტრადიციული ვახშმით. ამ ვახშამზე გამოჩინებული ფიგურა იყო ნიკო ხიზანიშვილი, როგორც ცნობილი ბევრის მჭამელი და არაჩვეულებრივის ტევადობის მუცლის პატრონი. მისი ჭამა-სმა ყველას საარაკოდ ჰქონდა. ყოფილა შემთხვევა, რომ არა სჯერდებოდა ოფიციალურ ვახშამს. ერთხელ შეპარულა ჭავჭავაძის სამზარეულოში, დაუნახავს დაბრაწული გოჭი, პირი ნერწყვით გავსე-

ბია. ეოსჯდომია და მანამდე უჭამია, სანამ ცარიელი ძვლებიღა დარჩებოდა. გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანებია მზარეულს, თვითონ ილ. ჭავჭავაძე გამოსულა და მზარეულთან შესულა გოჭის ამბის გასაგებად. დახვედრია დარცხვენილი ნიკო ხიზანიშვილი და ცარიელი ძვლები გოჭისა. რა თქმა უნდა, ყველაფერი საერთო სიცილით გათავებულა...

ჰოდა, ილია ჭავჭავაძესა და ანტონ ფურცელაძეს ნიკო ხიზანიშვილიც გაჰყვა ბერლინში.

სამნივე ჩავიდნენ პროფესორ და განთქმულ თერაპევტ ლეიდენთან.

ლეიდენმა ჯერ გასინჯა ილ. ჭავჭავაძე. გული მეტად დაღლილი და უნუგეშო მდგომარეობაში აღმოაჩნდა. დიდი მოსვენება სჭირდებოდა, შესაფერი აბაზანები. ეგევე დაუნიშნა ანტონ ფურცელაძესაც. ჯერი მიდგა ნიკო ხიზანიშვილზე. ერთი თვალი დაჰკრა თუ არა, თარჯიმანს უთხრა: ამ კაცს ჭამა ჰყვარებია და გადაყოლილი იქნება ჭამასაო. თარჯიმანმა ნიკო ხიზანიშვილს გადაუთარგმნა პროფესორის ნათქვამი. ნიკომ რა გაიგონა მისი ნათქვამი, პირჯვარი გადაიწერა და წამოიძახა: ამას აქ ვიღამ უთხრა, რომ მე ჭამა მიყვარსო! თარჯიმანმა რომ გადაუთარგმნა ნიკოს ნათქვამი, ლეიდენმა გაიცინა და უთხრა თარჯიმანს: ყველაფერზე ეტყობა თავისი ავადმყოფობა, რომელსაც მეცნიერულად Bulemia ჰქვიან, ხოლო მათებურად, მდაბიურად, გაუმაძღრობა (ღორმუცელობა), ბევრი კვლევა-ძიება არა სჭირდება. მაგის წამალია: ჭამას უნდა უკლოს, თუ უნდა კიდევ იცოცხლოსო...

ასე დაბრუნდნენ ილ. ჭავჭავაძე და მისნი თანამგზავრნი ბერლინიდან, ი. ჭავჭავაძე და ანტ. ფურცელაძე პირდაპირ თბილისში, ხოლო ნ. ხიზანიშვილმა თავის მეუღლე ლიზა ჩერქეზიშვილთან ერთად ინახულა პარიზი, შვეიცარია და ვენა...

ასე გათავდა „ბერლინელთა“ (ასე ეძახდნენ ილ. ჭავჭავაძეს, ან. ფურცელაძეს და ნ. ხიზანიშვილს პროფესორ ლეიდენთან ვიზიტის გამო) მოგზაურობა.

შემდეგში ილ. ჭავჭავაძის ბედი ვიცით. ანტ. ფურცელაძე თავისი დღით მოკვდა. ხოლო ნიკო ხიზანიშვილი 1906 წელს, როგორც გამომძიებელი, პასუხისგებაში მიცემული ხულიგნების, ძმათა კასრაძეთა, მსხვერპლი გახდა...

ნინო ყიფიანი

ცნობილია ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბელს შორის მომხდარი უთანხმოება და დავა სათავად-აზნაურო ბანკის საქმეების გარშემო. ორი დიდი ქართველი, ორივე ძვირფასი და საყვარელი ყველასათვის, ერთ დროს ისე შემტკბარნი და ერთად მომუშავენი თვისი ხალხის საკეთილდღეოდ, ბოლოს სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობით გადაეკიდნენ ერთმანეთსა.

თვითმპყრობელი მთავრობისაგან ისედაც გათანგული საქართველოს შვილთა შეგნებული ნაწილი ორ ბანაკად გაიყო. მართალია დასავლეთ საქართველოს თავისი ბანკი ჰქონდა და ქართლ-კახეთის ბანკთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, მაგრამ ილია და ვანო მთელი საქართველოს შვილები იყვნენ და იმათი გადაკიდება ერთმანეთზე ყველა მოწინავე ქართველის გულს მოედო და ერთმანეთს დაუპირდაპირა.

დასავლეთ საქართველოს შვილი იყო აკაკი, მხურვალე დამცველი ვანო მაჩაბლისა. დასავლეთ საქართველოს შვილი იყო ვლადიმერ მიქელაძე, რომელიც გაჭირვების ტალკვესად ევლინებოდა ილიას პარტიას, როდესაც ბანკის წესდების რომელიმე მუხლის ჩაჭიდებით საჭირო გახდებოდა მდგომარეობის შველა და იმას მიმართავდნენ ხოლმე...

ბევრი იყო გულმხურვალედ ჩაბმული ილიასა და ვანოს შორის მომხდარ უთანხმოებაში და ორივე პარტიის ზოგი წევრი ერთმანეთსაც არ ზოგავდნენ უსიამოვნების მიყენებაში.

თვით ილია და ვანოც ისეთი დამოკიდებულობის შექმნას მათ შორის, იქნებ, თითონაც ძალიან სწუხდნენ თავის გულში, მაგრამ უკვე ფაქტის წინ დამდგარნი ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, მეტადრე კი ილია თავის მწარე ენით, როდესაც ის მოწინააღმდეგეს ეხებოდა...

ქართლ-კახეთმა ილიასა და ვანოს შორის განხეთქილება პროვინციალური პატრიოტიზმის ჩარჩოში ჩააყენა და შუაზე გაიყო, კახეთი ილიასკენ იყო, ქართლი ვანოსკენ. საბანკო

არჩევნების დროს თავს იყრიდა სოფლებიდან ქართლ-კახეთის ყველა ცენზიანი თავად-აზნაური, ქალიცა და კაციც. სცხოვრობდნენ სასტუმროებში, ზოგი თავის ხარჯზე, უმრავლესობა კი პარტიათა საერთო ხარჯით. სტოვებდნენ თავის ოჯახებს რამდენიმე კვირით ისეთ დროს, როდესაც გახურებული მუშაობა იყო სოფლად. უმრავლესობამ ბანკის საქმეებისა ძალიან ცოტა იცოდა, მაგრამ ყოველ დღე საჭირო იყო კრებაზე დასწრება და ისსდნენ ისინიც იმის მოლოდინში, თუ როდის ჩაგდებდნენ საჭირო კენჭსა.

იყო ხოლმე ასეთი კურიოზებიც: ღამის კრებებზე დაქანცულებს ხანდახან კიდეც ჩასთვლემდა ვისმე და ერთი მეორეს ხელს წაჰკრავდა, გააღვიძებდა, ადექი, კაცო, ადექი, მიშო ადგაო.

ეს ადგომა შეეხებოდა რომელიმე საკითხის ფესზე ადგომით გადაწყვეტას, თითონ თუ ვერ ერკვეოდნენ საკითხში, შეხედავდნენ თავ-თავისი პარტიის რჩეულ წევრებს და მისებრ მოიქცეოდნენ.

სოფლებიდან ჩამოსული ქალები უერთდებოდნენ ტფილისის ქალებს და მორთულ-მოკაზმულები ერთად ავსებდნენ ლოჟებს თეატრში, სადაც კრებები ხდებოდა, რა თქმა უნდა, აქაც პარტიებად დაყოფილები — დიდმა უმრავლესობამ იმათშიც ბანკის საქმეების არა იცოდა-რა, რასაკვირველია, მხოლოდ ბანკის მეთაურებითა და ორატორებით კი, ვინც ვისი მომხრე იყო, ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი. არც თუ უიმისობა იყო, რომ უცოლო ვაჟ-კაცებს გასათხოვარ ქალებს აღერებდნენ. ბევრი იყო მათ შორის შეტაკებაც პარტიულ ნიადაგზე, როდესაც ერთი პარტიის ქალი მეორის რომელსამე წევრს ცუდათ მოიხსენიებდა, ან წაექომაგებოდა, ამ შემთხვევაში თავისიანს იცავდნენ ისეთი თავ-გამოდებით, გეგონებოდათ აი, ერთმანეთს სწვდებიანო. ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, კულუარებში.

ხანდახან მორბილებული თხოვნაც იყო ერთმანეთში: მორბის ერთხელ, ჩემსკენ, ხელებ-გაშლილი, სახე-ალეწილი, თავისი სილამაზით სახელ-განთქმული კნეინა.

— სადა ხარ, ნინო, დაგეძებ რამდენი ხანია. ლევანზე რაღაც უთქვამთ, რაღაც ცუდი ამბავი მოუტანიათ დიდებულიძეებისათვის და ის თურმე ემუქრება ლევანს. გეფიცები დედაჩემის

საფლავს, რომ ეს ტყუილია. ლევანს არა უთქვამს-რა იმაზე. შენ გესაცვალოს ჩემი თვალები, თქვენი პარტიის კაცია, დაამშვიდე ის ყმაწვილი, უბედურება არა დატრიალდეს-რა.

ერთი ბრგე ვაჟ-კაცი იყო ის დიდებულიძე, სახელი აღარ მახსოვს, და მართლა, ხომ ხუმრობა არ იყო იმისი გაბრაზება. დავპირდი კნეინას, რომ რაც კი შემეძლო, ყოველ ზომებს მივიღებდი, იმის მხრივ ცუდი არა მომხდარიყო-რა.

საერთოდ ატმოსფერა იყო ძალიან დაძაბული. ერთხელ ერთი ქალის მიმართ უზრდელად მოქცევის გამო, კრებაზე დამსწრე ვიღაც ვაჭრისათვის სილა გაერტყათ კულუარში და ამ ამბავმა ისეთი შეშფოთება გამოიწვია, რომ სცენიდანაც კი გავარდა კულუარში რამდენიმე კაცი, სილის გარტყმის ტაცანი რომ რევოლვერის ხმად მოსჩვენებოდათ.

ბანკის იმ ყრილობებზე იხარჯებოდა ბევრი დრო, ბევრი ფული, ფუჭდებოდა ბევრი გასაკეთებელი საქმე და იყო ერთი აურზაური ისეთს თითქო ჩვეულებრივ, უბრალო რამეზე, როგორც ბანკის კრებები, მაგრამ რამდენი უარყოფითი მხარეც არ უნდა ჰქონოდა ამ ყრილობებს, ეს მაინც უნდა ითქვას, რომ იყო შიგ დადებითი მხარეც.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ენა ისე იყო დევნილი სასწავლებლებიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია რუსულ ენაში ვარჯიშობდა ყველგან და საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა ქართულად სულ არ ეხერხებოდა, ბანკის ყრილობები დიდი ასპარეზი გამოდგა სამშობლო ენაზე ლაპარაკისათვის, გარდა ამისა, რომ ზოგიერთს მათგანს საერთოდ ლაპარაკიც შეასწავლა.

ჯერ დაიწყო ასე: გამოვიდოდა რომელიმე ორატორი სალაპარაკოდ და დაიწყებდა რუსულად.

— ქართულად, ქართულად! — იგრიალებდა კრება.

— რა ვქნა, ბატონებო, რომ არ მეხერხება ქართულად — დარცხვენილის კილოთი ბოდიშობდა ორატორი.

— არ შეიძლება რუსულად, არ შეიძლება, რამდენს არ გვესმის რუსული, როგორც გეხერხებათ, ისე ილაპარაკეთ ქართულად, — მიაძახებდნენ კრებიდან. ისიც უნებურად ალაპარაკდებოდა ქართულად და რამდენჯერმე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ისე გამოსწორდებოდა, რომ სასიამოვნო ხდებოდა მისი ყურის დაგდება. იყვნენ ერთი-ორი მათში, რო-

მელთაც სულ ვერ მოასერხეს და ლაპარაკობდნენ რუსულად, ყველას სამაგიეროდ კი ატკბობდა სმენას და მოჰყავდა აღტაცებაში ილიასა და ვანოს, ერთის მდორედ მღელვარე და მეორის მჩქეფარე, იშვიათი მჭევრმეტყველებით სავსე ლაპარაკი და ესეც ხომ ღირდა რამედ.

მარტო იმის განცდა, რომ ერთი მოდგმის ხალხი თავს ვიყრიდით ერთად, ჩვენს ენაზე ვლაპარაკობდით, ჩვენს საკუთარ საქმეებზე, სადაც სხვა ვინმე ვერაფერში ვერ წამოგვედავებოდა, თავის ნებაზე ვერ გაგვატარებდა, აი ეს იყო იმ დროს სახარბიელო და სასურველი.

მეტადრე იმ დროინდელი ქალები იყვნენ იმ კრებებზე განსაკუთრებულ პირობებში. მამა-კაცთა არც ერთს საზოგადო კრებაზე არ გრძნობდა ქალი თავს ისე თავისუფლად, როგორც ბანკის კრებაზე. სხვაგან რომ იმას თითქმის არა ეკითხებოდა რა, ბანკის კრებაზე იმას თავი მოჰქონდა ცენზით მინიჭებული კენჭის უფლებით და ეს მცირე უფლებაც კი აძლევდა მას რაღაც ძალას, სიამაყეს ჰმატებდა.

1893-ის თუ 1894 წლის შემოდგომა იყო, ქვიშხეთის მცხოვრებლებს სიამოვნება მოგველოდა: ლუარსაბ ყიფიანის ქალი დანიშნული იყო იმერეთის აზნაურ პეტრე მაჭავარიანზე, დაქორწინება მათი უნდა ყოფილიყო იმ შემოდგომაზე და ვიყავით ამის მხიარულ მოლოდინში, როდესაც ყური მოვკარით, რომ საპატარძლოს დასალოცავად, — როგორც ეს იყო მიღებული ჩვეულებად, — ტფილისიდან მოდისო ილია ჭავჭავაძე.

ილიას ქვიშხეთში მოსვლით ისეთი ბრწყინვალე ელფერი ედებოდა მომავალ ქორწილს, რომ ყველანი დიდს კმაყოფილებას ვგრძნობდით, ვისაც კი მოგველოდა იმ ქორწილში ყოფნა. მართლაც ერთს დღეს, როდესაც დანიშნულ დროზე მოვიდნენ იმერეთიდან სასიძო და მისი მაყრები, ილიაც ეწვია ქვიშხეთს თავისი თანამხლებელი მეგობრებით: დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი ჟურული, პეტრე ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ნ. ერისთავი, ხიზანიშვილი, ლევ. ჯანდიერი, ალ. ჩოლოყაშვილი და სხვები. ყველა ესენი იყვნენ ცნობილნი

ზოგი მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობაში, ზოგიც ორა-ტორობაში ბანკის ყრილობებზედ, ზოგი ბანკის მსახური იყო.

ამათთან ერთად მოჰყვნენ ილიას ქართლის თავად-აზნა-ურთა რამდენიმე ოჯახი. იმათში თავისი სტუმართ-მოყვარე-ობით სახელ-განთქმული სარდიონ ამირეჯიბი, თავისი ცო-ლით, მაკინეთი, არა ნაკლებ სახელ-განთქმულით თავისი შე-სანიშნავი სიმღერით, ცეკვით და დაირის დაკვრით.

ილია თავისიანებით ლუარსაბ ყიფიანთან ჩამოსტა, ხო-ლო სარდიონ ამირეჯიბი და სხვები — ჩვენთან. ჩემი ქმარი, კოტე, იმ დროს სახლში არ იყო, სადღაც იყო გაწვეული წარ-მოდგენებისათვის.

გაჩაღდა ქორწილი. ორ ოთახში იყო ორპირად გაშლილი სუფრა. ერთ ოთახში ილია თავისიანებით, მეორეში მაყრები და სხვები. ტოლუმბაშად აირჩიეს ლევან ჯანდიერი. დაილია სადღეგრძელო ახლად დაქორწინებულთა, მათი მშობლებისა და იმის შემდეგ მთელი ყურადღება გადავიდა ილიასაკენ. თითოეული წევრი მისი, ასე ვსთქვათ, ამალისა, ილიას მიჰ-მართავდა სიტყვით, ილია იყო ცენტრი მათი ყურადღებისა და სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც დაესწრე-ბოდა ილია.

პირველ ხანად სიძის მაყრები თითონაც დიდის პატივის-ცემით მიჰმართავდნენ ილიას და სვამდნენ მის სადღეგრძე-ლოს, მაგრამ როდესაც ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ილიასი და მისი მეგობრების სახელი ისმოდა და ეს მაყრები თითქმის აღარავის ახსოვდა, მათ შორის უკვე დრტვინვა ას-ტყდა.

— რაშია, ბატონებო, საქმე! ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება, შორიდან მოსულთ! — ისაყვედურე-ბოდნენ ხმა-მაღლა.

საერთოდ მაყრიონი დიდი ნებიერი ნაწილია ქორწილისა, იმაზეა მიპყრობილი მთელი ყურადღება მექორწინეთა და პეტრე მაჭავარიანის მაყრები ხომ ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟკაცი, მშვენივრად გამოწყობილი ჩოხებით და ჩამჯდარნი იარაღში, — მით უმეტესად თხოულობდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და იმის ნაცვლად მათი ხსენება მთლად იყო დაჩრდილული.

რა თქმა უნდა, ტოლუმბაშიც ეხმაურებოდა ოხუნჯობით

ვითომდა მაყრების ოხუნჯობას, სვამდა მათ სადღეგრძელოს, მაგრამ იმათ გულს მაინც ვერ იგებდა, უკმაყოფილონი იყვნენ ძალიან.

მაგრამ ეს გარემოება ტოლუმბაშს ლევან ჯანდიერს და მის თანამომხრეთ ნაკლებად აინტერესებდათ, იმათ ის უნდოდათ, რომ დამსწრეთა ყურადღება მთლად ილიასაკენ ყოფილიყო და ეს ასეც იყო, რასაც დიდად ხელს უწყობდა საუცხოო დეკლამატორის, ნიკ. ერისთავის წარმოთქმული ლექსები ილიასი. მეტადრე ხაზ-გასმით უყვარდა მას წარმოთქმა ილიას „მამაო ჩვენო"-სი, სადაც ილია ევედრება უფალს, რომ შეუნდოს უვიცებს, და უვიცებად, რა თქმა უნდა, მაჩაბლის მომხრენი იგულისხმებოდნენ.

მე პირადათ ვიცნობდი ყველას, ილიასთან მოსულ სტუმრებს, ზოგს ნათესაური დამოკიდებულებით. იცოდნენ იმათ, რომ ვანო მაჩაბლის მომხრე ვიყავი, თუმცა რაც შეეხება ილიას, მართალია ბოლო დროს ის ისე აღარ გახსნიდა შუბლს, მაგრამ ხელი არ უნდა გამხმობოდა, რომ მისთვის შავი კენჭი მიმეცა როდისმე! საერთოდ, მე არ ვიცი მაჩაბლის პარტიაში თუ ვინმე არ იყო მომხრე ილიასი, როგორც ბანკის თავმჯდომარისა. და განა კახელებში არ იყვნენ ვანო მაჩაბლისკენ...

— რა კარგია, ილია, ნინო, რა კარგი! — მეუბნება ქორწილში ერთი ილიასთან მოსულთაგანი და მითითებს ილიაზე იმ დროს, როდესაც ის ვიღაცასთან იყო მუსაიფში გართული.

— რაო? ახლა მაცნობ ილიას? — გაკვირვებით ვუპასუხებ.

— როგორ მოგდის, რომ ილიას წინააღმდეგი ხარ?

— ისევე, როგორც შენ ვანო მაჩაბლისა.

— ჩვენ არა ვართ წინააღმდეგნი! — წყენით მიპასუხებს ის — აი, ჩვენ, ორმოცდა ათ კაცამდე, ნეიტრალები ვართ, საითაც სიმართლეს ვხედავთ, იქით ვაძლევთ ჩვენს ხმასა. ასე არა სჯობს? აი შენც ჩვენ ჯგუფს შემოუერთდი.

— მერე, თქვე დალოცვილებო, თუ ნეიტრალები ხართ — გაცხარებით ვუპასუხე, — იმდენ საკითხებში, რომლებიც ბანკის კრებებზე ირჩევა, ისე ყველაფერში როგორ სტყუის ვანო მაჩაბელი, რომ თქვენი, ეგრედ წოდებული ნეიტრალების კენჭები, მთლად მისი საბუთების გასაშავებლად იყრებიან

ყუთებში? მე თქვენი ნეიტრალობა არ მწამს და ვერც შემოგი-ერთდებით.

არ იამა ეს პასუხი, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ჟამად იმათ ერთი რამ სხვა უფრო აწუხებდათ. საქმე ის იყო, რომ უკვე ორი დღის ქვიშხეთში მყოფი ილია, ჩემს ოჯახში არ იყო მოსული. და თუ იმას არ სურდა ეს, მე ჩემის — მხრით როგორ შევაწუხებდი მოპატიჟებით. ეს გარემოება კი ძალიან საჩოთიროდ მიაჩნდათ. როგორ? ილია ქვიშხეთში არის და დიმიტრი ყიფიანის ოჯახში არ მიიწვიონ!

მართლა, რომ ეს ძალიან უხერხული იყო, ამაზე ეტყობოდათ ლაპარაკიც ჰქონდათ, მაგრამ მე არას მიმხელდნენ, თითქოს მერიდებოდნენ, იქნებ ძნელი ყოფილიყო ჩემთვის იმდენი სტუმრის მოწვევა, მაგრამ ეს საკითხი უბრალო შემთხვევამ გადასჭრა:

სწორედ მაშინ შემოვიდა ჩემთან სასადილოში სარდიონ ამირეჯიბი, როდესაც მე მზარეულს მეორე დღისთვის ხაშურში სანოვაგის ყიდვას ვაბარებდი. როგორც ზემოთაც ვსთქვი, ბინად ჩვენთანაც იყვნენ სტუმრები და შესაძლებელი იყო სადილად დარჩენილიყვნენ, სარდიონ ამირეჯიბმა თავის ყურით გაიგონა, რომ მარტო ხორცს ერთს ყუთს ვაბარებდი. ამასთან იცოდა, რომ სახლშიც გვქონდა რამე და იფიქრა, ალბათ ეს არ უშლისო ხელს ილიას მოპატიჟებას და ახლა კი არ მომერიდა.

— ნინო, ამდენ სანოვაგეს აბარებ, რატომ ილიას არ მოიპატიჟებ? როგორ შეიძლება, რომ ილია თქვენს ოჯახში მოუსვლელი წავიდეს ქვიშხეთიდან?

— განა მე კი არ ვგრძნობ მაგას! განა მე არ მაწუხებს! — ვუპასუხე სარდიონს, — მაგრამ თუ კი თითონ, ქვიშხეთში მოსული, არ მოვა ჩემს ოჯახში, მე რად უნდა შევაწუხო? — სარდიონს სახეზე კმაყოფილება დაეტყო.

— ილია მოვა ამ ოჯახში, რა თქმა უნდა, უთუოდ მოვა: — მართლაც, მეორე დღეს, საათის თორმეტზე გვეწვია ილია თავისი თანამხლებლებით. შემოვიდა დარბაზში, შემოანათა თავისი ნათელი, მშვენიერი შუბლითა და მოცინარი ლამაზი თვალებით. მივეგებე, როგორც შეჰფეროდა ისეთს დიდს სტუმარს. პირველად იყო ჩვენთან ქვიშხეთში. აათვალ-ჩაათვალიერა იქაურობა, მკითხა კოტეზე. გავედით აივანზე,

რომელიც გადაჰყურებს ბუნების დიდი სილამაზის სურათს.

დიდხანს სჭვრეტდა ილია ამ სურათს. ვინ იცის, რას ფიქრობდა ილია დიმიტრიზე, მისი აივნიდან გადამყურე? და უეჭველად კი ფიქრობდა იმ დიმიტრიზე, რომელსაც ისე სასტიკად არ ინდობდა მათ შორის ატეხილი პოლემიკის დროს პრესაში, თავად-აზნაურთა ბანკის გარშემო, მაგრამ, რომლის ვერაგულად მოკვლამ ისეთი მოთქმა-გოდება გამოიწვია მასში.

გულ-გრილად ვერ წაიკითხავს ქართველი კაცი ილიას იმ მეთაურს თავის „ივერიაში“, იმ წერილმა ბევრს აუხილა თვალები, ვინც დარწმუნებული იყო, რომ ილიას სძულდა დიმიტრი და ცხადად დაანახვა ილია, როგორც უდიდესი პატრიოტი, როგორც უკეთილშობილესი მოქალაქე, როგორც დიდ-ბუნებოვანი ადამიანი!

რა უყოთ, რომ უთანხმოება ჰქონდათ ცხოვრებაში საერთო საკითხების გამო. ყველა გზას რომში მიჰყავსო. და იმ ორი ბუმბერაზი ქართველის რომი — ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობა იყო და ორივენი მისკენ მიისწრაფოდნენ. აი, მოსწყვიტა ულმობელმა მტერმა სამშობლოს ერთი მათგანი დიმიტრი და ილიაც ატირდა ვაჟკაცური ცრემლებით:

...„მძლეთ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დიდ ხასიათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდ ხასიათობა, იმისდა მიუხედავათ — ტრიალი ემარჯვათ თუ ემარცხათ. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან.

ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე, ყველა უნებლიედ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით. ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოთ.

აღარ არის დიმიტრი ყიფიანი. აღარ არის ის, ვისაც —

„ფეხი მთებრ ედგა ქვეყნადა,
ტინურად დამტკიცებული“.

ასეთი ძლიერი გამოთქმით ამთავრებს ილია თავის წერილს დიმიტრიზე და როდესაც ის ასე მოსთქვამდა დიმიტრის მოკვლას, მისი დიდი ჭკუაც ვერ განსჭვრეტდა თავის მომავალ ასეთსავე ხვედრს და უფრო უსაშინელესად, ვინაიდან ილია ერთ-სისხლის მოძმის, ქართველი კაცის წყეულად მარჯვენით განიგმირა.

უკვე ღრმად მოხუცებულებაში შესული ჩემი დედამთილი ნინო, სადილობამდე არავისთან აღარ გამოდიოდა თავის ოთახიდან, აქ კი ილიას პატივსაცემად გამოვიდა ისიც. გამიგონია მისგან ილიასადმი საყვედური, როდესაც სიტყვა მოიტანდა, „საძაგელი, საძაგელი, ილია ჩემს ღვთაებრივ დიმიტრის რომ ისე აწყენინებდა“, მაგრამ ახლა ამას არ დაუშლია მათთვის მიჰგებებოდნენ ერთმანეთს დიდი პატივისცემით და გაებათ მუსაიფი.

საინტერესოს ალბათ მოიგონებდნენ რასმე წარსულიდან ტფილისში, მაგრამ მე უკვე გავეშურე სასადილოსაკენ. საუზმე მზათ იყო და სტუმრები აივნიდან სასადილოში მივიწვიე. შემოუსხდნენ სუფრას და მადიანად მიესივნენ საჭმელსა. შერე გაჰყვნენ სადღეგრძელოებს, მით უფრო ხალისით, რომ სახლში დაყენებული შუშხუნა ღვინო ძალიან მოეწონათ. ტოლუმბაშობას აქაც ლევან ჯანდიერი განაგრძობდა. პირველი ხსენება, რა თქმა უნდა დიმიტრისა იყო. ამ სახელზე პირველი წამოდგა ფეხზე ილია და დიდი შთაბეჭდილების სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მიჰმართა დიმიტრის მეუღლეს და მწარედ აატირა. ჩემდა სავალალოდ აღარ მახსოვს მთელი მისი შინაარსი, ხსოვნაში ჩამრჩა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები:

„ამნაირად დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთ-მოძღვარი და ჩვენ კი მისი კალატოზებიო“.

მხიარული დროს გატარება დიდხანს გაგრძელდა, ნ. ერისთავის დეკლამაციით და მაკინე ამირეჯიბის წარმტაცი ცეკვა-სიმღერით.

იშვიათი იყო მისი სიმღერა ქართული ხმებისა და აგრეთვე იშვიათი მისი ლეკური. მოხდენილი ტანისა, შავგვრემანი, მეტად სანდომიანი, მომღიმარი პირისახისა, შავი, ცეცხლით სავსე თვალებით, მისი ცეკვის ასაყოლად დაკრულ საზანდრის ხმაზე რომ გავიდოდა და გაშლიდა ხელებს, გასცურავდა,

გაჰქროლავდა იატაკზე ისეთი სიმსუბუქით, თითქო გოგორაზე შემდგარაო და ამასთან ისეთი მოქნილობით და მოხდენით, რომ მაყურებელთა უზომო აღტაცებას იწვევდა. მაკინე ამირეჯიბის ცეკვა-სიმღერას ბევრჯერ დაუტკბია ილიასთან სტუმრად მყოფი უცხო სტუმრებიც.

ილიაზე ისეთი აზრია, თითქოს მას სმენა არ ჰქონდა და არც სიმღერა უყვარდა. სმენა იქნებ მართლაც არ ჰქონდა, რომ თითონ ემღერნა, მაგრამ სიმღერის უსიყვარულობა კი ძალიან საეჭვოა. აი თუნდა აქ, როდესაც მაკინე მღეროდა მისგან შექმნილს და მასთან ერთად მომკვდარს შესანიშნავ ხმას ალ. ჭავჭავაძის სიტყვებზე:

„ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია, მიკვირს რომ სული რად არ მხდომია", ილიას სახის, მისი თვალების გამომეტყველებას ემჩნეოდა აშკარად, რომ დიდს სიამოვნებას განიცდიდა. და მაკინეს სიმღერის მოსმენა ილიასაგან მინახავს მე სხვაგანაც.

მათს მხიარულებას აღვივებდა თავისი ოხუნჯობით ერთი სტუმართაგანი. დარდიმანდი მხიარული ლევან ავალიშვილი. მთელი თავისი სიცოცხლე ქორწილებსა და დღეობებზე სიარულში გაატარა, „საცა ერდო მაღალი იყო, ის იმისი მაყარი იყო", ამ ქორწილსაც დაესწრო, რა თქმა უნდა. ერთი სადღეგრძელოს დასალევად, ილიას ღვინო ჩაის ჭიქით შესთავაზა.

— თავი მტკივა, ჩემო ლევან, ვერ დავლევ! — ბოდიშით უთხრა ილიამ.

— აბა, მაშ, თქვენი ჭირიმე, ეგ თქვენი ავადმყოფი თავი გამიცვალეთ ჩემსაში! — გაუწია ყელი ილიას.

ილიას გაეცინა და დინჯად მიუგო:

— წააგებ, ლევან, დამიჯერე წააგებ.

— ვაი თუ წააგო, ლევან, ვაი თუ წააგო! — დააყარეს სხვებმაც სიცილი.

შიმშილ-მორეული მაყრები კი კაცს კაცზე გზავნიდნენ, ჩამოდით სადილის დროა, შიმშილით ნუ დაგვხოცეთო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მათი გამკითხავი არავინ იყო, ყურსაც არ იბერტყავდნენ.

— არ გვინდა თქვენი სადილი, ჩვენ უკვე ვისადილეთ! — გაიძახოდნენ სტუმრები.

მესამე საათი იქნებოდა, რომ სამზარეულოში გამიხმეს. შევედი და რას ვხედავ! მაგიდაზე დგას დიდი გორდა ცოცხალ-ცოცხალი კალმახით სავსე.

წინა დღეებში ჩემგან შეკვეთილი, ეხლა ჩამოეტანა ჩვენ მამულში მცხოვრებელ თედო ლომიძეს, მთის მდინარე ნეძურაში დაჭერილი. ახლაც თვალ წინ მიდგა ტიპიური, მაღალი და ზორბა ტანის, მშვენიერ ნაკვთებიანი, შავგვრემანი სახის თედო ლომიძე, ასეთი ძღვენის მომტანმაც რომ ბოდიშით მომმართა — მგონია დავაგვიანეო. თედოს დიდი მადლობა გადაუხადე, მაგრამ მე კი ჩავფიქრდი: ახლა რა უყო ამ თევზს? მაძღარ სტუმრებს რა აჭმევთ, თანაც წასვლა უგვიანდებათ. არა და მენანებოდა, რომ ასეთი გემრიელი კალმახი კარგი ჭამის მოყვარულ ილიას არ რგებოდა.

გამოვიხმე ნ. ერისთავი და გავუზიარე ეს ამბავი. იმან ნ. ხიზანაშვილს წასჩურჩულა. იცოდა, რომ ის უფროც იყო მოყვარული კარგი ჭამისა. მაგონდება ანეგდოტური ნაამბობი იმაზე: ერთხელ ანტონ ფურცელაძეს მიეწვია თავისთან რამდენიმე პირი და მათ შორის ნ. ხიზანაშვილი, რომ წაეკითხა მათთვის ახლად დაწერილი მოთხრობა. გათავებისას, აზრთა გამოთქმის დროს, ნ. ხიზანაშვილს მოთხრობა სასტიკად დაუწუნია, ზოგიერთის შეკითხვაზე, თუ რა იყო, კაცო, არც ისე იყო დასაწუნი, როგორც შენ გამოსთქვიო, ხიზანაშვილს უპასუხნია.

— არა, იმისმა მზემ, ძალიან მოუწონებდი! კითხვის დროს სასადილოსკენ მეჭირა ყური და იქიდან ვახშმის სამზადისისა ფაჩა-ფუჩიც არ ისმოდაო.

კალმახის გაგონებაზე ნ. ხიზანაშვილმა გაბრწყინებული თვალებით ხმამაღლა გამოაცხადა თავისი აღტაცება და ილიას ეშმაკურად მიჰმართა:

— რას იტყვი, ილია, ნუღა გვინდა კალმახი?

ილიამ გაიღიმა:

— ვფიქრობ, რომ კალმახს არც ისე დიდი მადა დასჭირდება, მე აღარფერი მაქვს მისი საწინააღმდეგო.

ამაზე ყველანი ახმაურდნენ და შეომძახეს:

— უბრძანეთ მოხარშვა, ჩვენ არსად მივდივართ და კალმახის მადაც მოგვეპოვება.

— აბა, ჩემო თედო, შენს მოძღვნილს შენვე მოუარე, შენისთანად სხვა ვერავინ მოხარშავს. მეც უთხარი თედოს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ორი ლაჩგარით შემოიტანეს სუფრაზე ოშხივარ-ადენილი კალმახი. სტუმრების სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. რა ცოტა უნდა მხიარულ გუნებას. ისეთი ჟრიამულით გადილაგეს თეფშებზე კალმახი და ისე შეექცნენ, თითქო არა უჭამიათ-რაო. ღმერთი კი მოწამეა, რომ სუფრას არა აკლდა-რა.

ბოლოს როგორც იყო აიშალნენ, გადამიხადეს გულითადი მადლობა და გავსწიეთ ერთად მექორწილეებთან. ახლა იქ შემოუსხედით სუფრას, რომელსაც ისე ელოდნენ დამშეული მაყრები.

გაჩნდა ისევ მხიარულება და სადღეგრძელოები. ძნელია ახლა გახსენება იმ სადღეგრძელოების, მათი ილიასადმი მიმართული სიტყვებისა, შემრჩა მხოლოდ შთაბეჭდილება, თუ როგორი სიდინჯით და შემწყნარებელის ღიმილით უსმენდა მათ ილია.

მე ვიჯექი ილიას პირდაპირ. ერთ გვერდზე მიჯდა ალ. ჩოლოყაშვილი, მეორეზე ლევან ჯანდიერი. უცებ ყურში ჩამილაპარაკა ალ. ჩოლოყაშვილმა:

— ნუ თუ თქვენ არას ეტყვით ილიას?

მე შევკრთი და შეშინებულმა ვუპასუხე:

— არაფერს, ბატონო ალექსანდრე, არაფერს. მე ეგ აზრადაც არ მომსვლია!

ჩვენს ლაპარაკს მოჰკრა ყური ჯანდიერმა და იმანაც თხოვნა დამიწყო. ეტყობოდათ, უხერხულად მიაჩნდათ, რომ მარტო იმათ უხდებოდათ ლაპარაკი და დანარჩენ სტუმრებში არავინ აღმოჩნდა, რომ ორიოდე სიტყვა ეთქვა ილიასათვის.

გაგვიჩნდა ერთმანეთში ჩუმი დავა თხოვნა-უარისა და ამასობაში არ გასულა ათი წუთი, რომ უცებ წამოდგა ჯანდიერი და ხმა მაღლა დაიძახა:

— სიტყვა ეკუთვნის ქალბატონ ნინოს.

ახა ვაითას! (როგორც იტყოდა ხოლმე დიმიტრი) რაღა ვქნა? პირველად იყო ეს, რომ საჯაროდ მეთქვა რამე და ადვილად წარმოსადგენია ჩემი ყოფა. ავდექი მაინც, შევხედე ილიას, ღიმილით შემომცქერის, თითქო მამხნევებს. აბა, ხომ უნდა ვისიამოვნო ჩემი სიტყვით?... და ამ გაჭირვებაში

თითონ ილია მეხმარება: უცებ მაგონდება მისი ლექსი ქართვლის დედისადმი და ვიწყობ იმით:

ქართველის დედაო! ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა!

და ვაშენებ იმ ლექსზე პატარა სიტყვას, გამარუსებელი პოლიტიკის მიზეზით ქართველი ქალის გადაგვარების გზაზე შედგომის გარშემო. და ლექსის ბოლო სიტყვებში, თუ როგორი შვილი უნდა აღზარდოს ქართველმა ქალმა, გამოვსთქვამ ჩემს დიდს წუხილს, რომ უშვილო ქართველი ქალი ვერ ვუსრულებ ილიას ამ დავალებას, ასეთს მის სურვილს.

ქალის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტყვამ იმოქმედა, გაისმა მსურვალე ტაში, აქეთ-იქიდან დამიწყეს ხელზე კოცნა. მაგრამ ჩემი ყურადღება ილიასაკენ იყო. აქამდე თავდახრილმა, პირველად იმას შევხედე... ის მოშტერებით მიყურებდა, თითქოს ფიქრობდა იმ ქართვლის დედაზე, რომელსაც იმან მიჰმართა და რომლისაგანაც ის მოელოდა, კირთებ ქვეშ მგმინავი, ქართველი ხალხის გამომხსნელი გმირების აღზრდას.

და რომ მე, ერთ-ერთ იმ დედათა შორის, გულზე თურმე მომხვდა მისი მომართვა, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმ კმაყოფილებით სავსე ღიმილისა, რომელიც ბოლოს გადაეშალა სახეზე და რომელსაც, ვფიქრობ, ვერ მოჰგვრიდა მისდამი მიმართული დიდი მჭერმეტყველობით წარმოთქმული სიტყვაც.

ეს იყო ჩემთვის დიდი განცდის წუთები.

ქვიშხეთიდან ილია და სხვები სარდიონ ამირეჯიბმა თავისთან გაიწვია, იქიდან რამდენიმე ოჯახმაც. ყველგან უაღრესი პატივისცემით ხვდებოდნენ, ყველგან დიდი მასპინძლობა გაუწიეს ქართლში პირველად მოსულს ძვირფას სტუმარს, ილიას. და ამგვარად პატივნაცემნი გაბრუნდნენ ტფილისისკენ.

ხოლო მაჩაბლის პარტიაში კი დაირხა ეს ამბავი და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, — ილია ქართლში იყო ხმებისათვისაო. მაგრამ, ნეტა როგორც ბრწყინვალედ ირჩევდნენ ხოლმე ბანკში ილიასაც და ვანოსაც, ისე მორიგებულიყვნენ ერთმანეთში, ისე ბოლო ჰქონოდათ იმათ კარგი!

როდესაც ვანო მაჩაბელი უკანასკნელად აირჩიეს დირექტორად, ილიამ თავისი სიტყვა აასრულა და წავიდა ბანკიდან. იმის განცხადებამ სცენიდან, რომ ის მიდის, დიდი აურ-ზაური გამოიწვია კრებაში. ზოგი ტაშით შეხვდა ამ განცხადებას, ზოგი დრტვინავდა და იდგა დიდი ალიაქოთი.

ილია ამ დროს ჩამოდიოდა წასასვლელად იმ კიბეზე, სცენას რომ აერთებდა პარტერთან. კიბეც გაჭედილი იყო ხალხით, ილია ძლივს არღვევდა მათ. სწორედ ამ დროს შეეფეთა წინ ერთი ვასო თაქთაქიშვილი, რომელსაც თმებში შაურიანის ოდენა თეთრი ჰქონდა ნიშანივით. ვანო მაჩაბლის მომხრე იყო, — ილია მას იცნობდა. იმ დროს თაქთაქიშვილი ილიას წასვლას ტაშს უკრავდა. ერთი აჰხედა ილიამ ალმაცერად და აგდებით მიახალა:

— ოხ, შენც აქა ხარ, ნიკორა?

ამის თქმაზე მთელ კრებას წასკდა სიცილი და საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა თაქთაქიშვილი, თუმცა არც იმან დაზოგა ილია და რაღაცა უკმეხად უპასუხა.

წავიდა ილია ბანკიდან, მაგრამ მალე მიჰყვა მას ვანო მაჩაბელიც. იმან თავისი წასვლა ბანკიდან მეგობრებს ასე აუხსნა: — ილია აღარ დადის ბანკში, უთავმჯდომარეოდ კი საქმეები ფერხდება და ბანკი, ეს ჩვენი კულტურული საქმიანობის ერთადერთი მასაზრდოებელი, მე ხომ არ უნდა შევიწიროვო.

წავიდა და დიდხანსაც არ გაუვლია, რომ უკვალოდ დაგვეკარგა. შემდეგ ილიაც მოგვიკლეს და ასე არა ბუნებრივად დაასრულეს თავისი სიცოცხლე, ჩვენთვის იმ შავ-ბნელ დროს ისე საჭირო და სასიქადულო ადამიანებმა.

გიგო ხეჩუაშვილი

მესტამბე გრიგოლ ჩარკვიანთან ვმუშაობდი ჩარხის დამტრიალებლად.

ჩემი ხელნაწერები: „დურგლიაანთ ქორწილი“, „სიმონა ბუჯიაშვილი“ და „მეკვლე“ მივეცი წასაკითხად.

ჩარკვიანმა გადასცა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსებულ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს პეტრე მირიანაშვილს, რომ მას ხსენებული მოთხრობები გადაეგზავნა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში და თუ მისაღები იქნებოდა, დაებეჭდათ კიდეც ფელეტონებად.

გამომცემლობას ჯერ „სიმონა ბუჯიაშვილის“ ბეჭდვა დაეწყო.

პირველ ფელეტონს არ ეწერა ჩემი გვარი, არც მეორე ფელეტონს ეწერა, არც მესამეს, არც მეოთხეს.

წიგნის ბეჭდვა კი ჯერ არ მოთავებულიყო.

გაზეთს კითხულობდნენ და მიხაროდა, მაგრამ მწყინდა, რატომ არ ეწერა ჩემი გვარი? ძალიან მინდოდა, რომ ყველას სცოდნოდა ჩემი ავტორობა.

ველარ მოვითმინე და კითხვის-კითხვით მივაგენ „ივერიის“ რედაქციას.

კარები ცოტათი ღია იყო.

მოკრძალებით შევედი და კარებთან გავჩერდი.

მაგიდას უჯდა ორი ტანმორჩილი, მაგრამ ორივე უფრო სრული პიროვნება, ერთი პირველზე ოდნავ დაბალი ჩემსკენ ზურგშემოქცეული იყო. როგორც შემდეგში გავიგე, ილია ჭავჭავაძე ყოფილიყო, ხოლო მეორე გრიგოლ ყიფშიძე.

— რას გვეტყვი ახალს? — მკითხა გრიგოლ ყიფშიძემ.

— გაზეთში ჩემი მოთხრობა იბეჭდება და გვარი კი გამოტოვებულია, — მოვახსენე გაუბედავად.

— ااا... შენა ხარ ხეჩუაშვილი? — შემობრუნდა ილია ჩემკენ.

— დიახ.

— მოდი ახლო.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი.

— ნუ გცხვენიან.

მივუახლოვდი.

— კარგად მოქცეულხარ, რომ მოხვედი. სკოლაში არა ყოფილხარ?

— არა.

— გეტყობა, რომ არ გისწავლია. რომ გესწავლა, ემჯობინებოდა...

შემდეგ მიუბრუნდა გრიგოლ ყიფშიძეს:

— ცოდოა ყმაწვილი. ნიჭი აქვს და უნდა გაუქმდეს.

— რა გაეწყობა... — წარმოსთქვა ყიფშიძემ.

ილია ისევ მე მომიბრუნდა:

— შენს ფელეტონებს გვარი იმიტომ არ აწერია, რომ შენ ჯერ მწერლად არავინ გიცნობს. ნაწარმოების ბოლოში შენს გვარს დახედავენ თუ არა, მაშინვე გაზეთს გვერდზე გადასდებენ და შენი მოთხრობა წაუკითხავი დარჩება. მკითხველი ჯერ უნდა ნაწარმოებით დავაინტერესოთ და ავტორი შემდეგ გავაცნოთ. მოთხრობა სულ რომ დაიბეჭდება, შენს გვარს ბოლო ნომერს მივაწერთ. როცა შენი სხვა ნაწერების დაბეჭდვას დავიწყებთ, მაშინ კი გაზეთის ყველა ნომერს ეწერება შენი გვარი.

ეცადე, რაც დაწერო, ბევრჯერ წაიკითხე, ბევრჯერ შეასწორე, კარგად დაამუშავე და მანამ არ დაკმაყოფილდე, შენი ნაწერი არ გამოაჩინო. ამის უნარი გემჩნევა და თუ არ იზარმაცებ, კარგი მწერალი დადგები.

ახლა მისამართი დასტოვე, წადი და ხალისიანად, იმუშავე.

ხელი თითქმის ძალათი ჩამომართვა და კიდევ გამაფრთხილა:

— კავშირი არ გაწყვიტო მწერლობასთან.

სიხარულით თავბრუდახვეული წამოვედი.

მოვდიოდი და მისი ფართო შუბლის შუქი არა მშორდებოდა თვალებიდან.

მეორე დღიდან გაზეთი „ივერია“ მის დასასრულამდე დამტარებელის ხელით სახლში უფასოდ მომდიოდა.

ჩემ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთხელ კი საგანგებოდ გამოცემული სერვანტესის ნაწარმოები „დონკიხოტი“ საჩუქრად გამოეგზავნა ჩემთვის.

ზაქარია ჭიჭინაძე ერთ-ერთ მკვლევარ-მოღვაწედ, სახალხო წიგნების გამომცემლად და გამავრცელებლადაც ითვლებოდა საქართველოში.

ბეჭდავდა ჩემსასაც, სხვებისასაც.

მის ბინაში თითქმის განუწყვეტლად იკრიბებოდნენ მაშინდელი მწიგნობარნი.

მეც ხანდახან შევივლიდი ხოლმე.

ერთხელ ზაქარიას ოთახში გაგრძელებულ სიცილ-ხარხარს წავაწყდი.

მაგიდას უსხდნენ: ირიდიონ ევდოშვილი, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი და ჭოლა ლომთათიძე.

თვითონ ზაქარია კი თავის გამოცემული წიგნების გადარჩევას და დალაგებას განაგრძობდა თახჩებში.

ყველაზე მეტად ირიდიონ ევდოშვილი აბრაზიანებდა მასპინძელს თავის მოსწრებული ოხუნჯობით:

— ჰაა, ზაქარია! როგორ იყო, ილიას სახელით ორნაირად რომ გინდოდა ფულის მოგება? ისიც რა ადვილად მოიხიბლებოდა შენი მოთაფლული ხოტბა-შექებით!

წიგნების დალაგებაში გართულ ზაქარიასაც მწარედ ეღიმებოდა თავის მარცხზე.

ირიდიონი კი მაინც არ იშლიდა მასპინძელზე ოხუნჯობას:

— ამ ვაუბატონმა იცოდა, რომ ილია რასაც დასწერდა, ან ილიაზე რასაც დასწერდნენ — ხალხი დაიტაცებდა. უფიქრია: შევაგროვებ სახელმოხვეჭილ კაცზე ბიოგრაფიულ ცნობებს, გამოვცემ პატარა ბროშურას, დავაწერ ორ შაურს, წიგნი თავის ხარჯსაც გაანაღდებს და მეც ცოტა გროშებს მომაგებინებსო. ახლა თვითონ ილიას, რომ მასზე ქება-დიდებით დაბეჭდილ ორ შერჩეულ ეგზემპლარს მივართმევ, გაეხარდება

და ორას მანეთს თუ არა, ას მანეთს მაინც უსათუოდ მომცემსო.

ილია კი შორიდანვე ატყობდა, ვის რა ედო გუნებაში. გამოსცა ამ ჩვენმა ფილოსოფოსმა ორ შაურიანი ბროშურა. შეასვია ქალალდში ორი შერჩეული ეგზემპლარი და მიუკაკუნა ილიას კაბინეტის კარებს ყავარჯენის მაგივრად მარცხენა ხელის სალოკი თითი.

ილიამ გააღო კარები:

— ოხ! ზაქარია, მობრძანდი!

ზაქარია შებრძანდა.

— დაბრძანდით! — მიუთითა ილიამ სკამზე.

ზაქარია დაბრძანდა მორცხვად, მოკრძალებით, ცოტა ხანდაზმული, ახალი პატარძალივით.

— რას გვიბრძანებს თქვენი აღმატებულება? — ჰკითხა ილიამ.

მოძღვრის მსგავსად მისული ზაქარია უცებ სამსახურის სათხოვნელად მისულ მორცხვ მანდილოსნად შეიცვალა:

— მე... მე... თქვენი ცხოვრების ბიოგრაფია გამოვეცი და მოგართვით, — მოწიწებით გაუწოდა ზაქარიამ ფაქიზად შეხვეული ორი ეგზემპლარი.

ილიამ თავისებური სიდინჯით ჩამოართვა ზაქარიას ორას მანეთიანი პაკეტი, თავისებური სიდინჯით გახსნა, გადაფურცლა, ერთიცა და მეორეც გულდასმით ჩაათვალიერა და შემდეგ ორივე წიგნის კანს დახედა, სადაც ეწერა: ფასი ორი შაური. ბოლოს ილიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო საფულე. ამ ჩვენს ზაქარიას გული სიხარულით აუფანცქალდა ორასი მანეთის მოლოდინში.

ილიამ კი — ისევ ჩვეულებრივი სიდინჯით საფულეში მონახა ორშაურიანი, ეგრეთწოდებული, უზალთუნი, ერთი ეგზემპლარი თავისთვის ცალკე გადადო, მეორე ეგზემპლარს, სადაც ორი შაური ცალკე ეწერა, ორშაურიანი უზალთუნი დაადო და პატივცემულ გამომცემელს დაუბრუნა ამ სიტყვებით:

— ორი ერთი და იგივე წიგნი რა საჭიროა, ერთი წიგნი სხვა მუშტარს მიჰყიდეო.

ყოველთვის დაღონებული ჭოლა ლომთათიძე ახითხითდა.

შიო მღვიმელი და შიო არაგვისპირელი ჩაბჟირდნენ.

მხიარული ირონიონ ევდოშვილი კი კვლავ განაგრძობდა ოხუნჯობას:

— ახლა, არ იკითხავთ, როგორ წელმოწყვეტილი მებადურივით დაბრუნდა ილიას ბიოგრაფიის ავტორი, რომელმაც თევზი ბადეს ვერ მოახვედრა?!..

— ადექით, ადექით! — ვეღარ მოითმინა ზაქარიამ და ცოცხს წამოავლო ხელი. — მომშორდით, დამეკარგენით! აქაურობას მირევთ და კიდეც დამცინით? არ მეყოფა, ილიამ ამიგდო მასხარად? თქვე ასეთ-ისეთებო, თქვენა!..

მიხეილ ჯავახიშვილი

მამაჩემი თვითონაც მიწის მუშა იყო და სურდა მისი შვილიც მიწას არ მოსწყვეტოდა. მე არაფერი მკითხა და 1893 წელს წინამძღვრიანთ კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიმაბარა. მანამდის ლორის ეხლანდელ რაიონში ხუთი წელიწადი დავყავი რუსულ სკოლებში. დედა-ენა საყველპურიდან ეხსოვდა, წინამძღვრიანთ კარის სკოლაში კი ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ. ზოგი საგანი იქაურ კურსდამთავრებულებზე უფრო უკეთაც ვიცოდი. (რუსული, გეოგრაფია და სხ.), მაგრამ, ვინაიდან ქართული და სპეციალური საგნები არ მესწავლა, ამიტომ მესამე კლასში მიმიღეს და საგანგებოდ ქართული ენის მასწავლებელი დ. დავითაშვილი მომიჩინეს. ერთი წლის შემდეგ ჩემ ტოლებს დავეწიე, მაგრამ ენა საბოლოოდ ვერ გავიტეხე, ქართულ მახვილს თავის ალაგი ვერ ვუპოვე.

14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მეურვედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა. იმ ერთ წელიწადში ზეპირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და ჩვენი სკოლის გახსნის გამო მის მიერ ნათქვამი სიტყვაც, რომელიც ქართული ორატორული ოსტატობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია.

სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებლივ უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში ერთხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავწიეთ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი ეხლა წინ მიდევს. სურათზე სულ 32 მოწაფე დავითვალე.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გა-

ვიარეთ და, ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი
დრო მოდის გამარჯვებისა.

წინ ილია გამოგვეგება, გარს-შემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შევცქეროდი. მეგონა, ახოვანი, ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუატანის 57 წლის კაცი იდგა — სრული, პირსავსე, ჭაღარაშერეული. ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერმე წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი ჩასჩურჩულა.

— აბა, ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, — მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო, წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი.

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე; ილიამ გაიცინა, არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი. ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვილაცამ უთხრა ჩემზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო.

— მართალია? აბა შენ იცი, — მითხრა ილიამ, — ვინძლო არ შეგვარცხვინო.

იმ ვილაცას ენამ უყივლა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივლია.

ილიას უბრალო სახლმა გამაოცა. ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მქონდა ნახული და მეგონა, ილიას სახლი ყველას უნდა სჯობდეს მეთქი. რამოდენიმე წლის შემდეგ

ილიამ ჩემ თვალწინ ახალი სამსარაულიანი სახლი აიშენა. სამაგიეროდ მშვენიერი იყო მისი ბაღი, ზვარი, აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის მაგიდები, თავკარვიანი კაკალი, მუხებისა და ცაცხვების რიგი, რომელნიც იმ კარმიდამოს ეხლაც ამშვენებენ. ყველაზე მეტად მარანმა გამაკვირვა. მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძველი შენობა აქამდის არ მინახავს. საკვირველია რომ სიძველეთა დამცველ კომიტეტს ის შენობა არ აურიცხავს და არ დაუცავს.

აღარ მახსოვს ილიას დღეობაში ვინ რომელ წელს ვნახე. ის კი მახსოვს, რომ პირველად იქ დავინახე პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გიგა ყიფშიძე, დავით მიქელაძე, და-ძმა უორდროპები, არტურ ლაისტი, გრიგოლ აბაშიძე, კიტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, რაფიელ ერისთავი, გრ. ვოლსკი, ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია და ბევრი სხვა მოღვაწენი და მწერალი. მოწაფეებში ვიღაც სტუმარი ჩამოგვერია და და მათს ვინაობას გვისახელებდა. მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა, მას მხოლოდ ვაჟა და აკაკი აკლდა.

ხალხი თანდათან მატულობს. გლეხები გუნდ-გუნდად მოდიან, მებადურებს არაგვიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჯგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირეს მშველი ჩამოუტანია, ორმა მეცხვარემ ბატკნები მორეკა. ჩრდილში ორპირად მეტად გრძელი სუფრა იშლება. მე არა მჯეროდა, რომ ამოდენა ხალხის დაპურება ერთ რიგზე მოხერხებულიყო, მაგრამ თადარიგი სწორედ დაუჭერიათ, ყველაფერი უანგარიშიათ. კაკლის ქვეშ ინტელიგენცია და ილიას ნათესავები დაეტივნენ. სუფრის ბოლოს მოწაფენი დავსხედით, იმავე მწკრივში და ქვემოთ შორს საბძლამდის ლურჯ სუფრებს გლეხობა შემოუსხდა. საჭმელ-სასმელი თავსაყრელია.

თამადად კოლა ერისთავია. სვამს და სხვასაც ასმევს, თან ენამჭევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს, ილიას მეუღლის ოლგას სადღეგრძელოს რომ გამოაცხადებდა, უეჭველად „განდეგილის“ ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს

და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუ-შინ შვიდნი გურჯანელნი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „აღსდეგ გმირთ-გმირო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალჟამიერი“. ვულგარულ „შენი ჭირი-მეს“ და **რატილის კილოებს** ილიას ხალხური სიმღერა ერჩივ-ნა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მხოლოდ ლადო აღნიაშ-ვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი ხმა დისონან-სად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუბედავდით. სამაგიეროდ ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბედა და გააჩუმა. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“ ილიას გაგიჟებით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მა-შინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეხვია და ბანი მია-ყოლა. მეც იქ გავჩნდი და ერთი მოკლე დიალოგი კარგად გა-ვიგონე.

— ილიავ, გაჩუმდი, — უთხრა გლეხმა.

— ვერ გავჩუმდები, — მიუგო ილიამ, — ეგ სიმღერა ძლი-ერ მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო.

— ილია, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გავჩუმდებით.

— კარგი, ისევ მე გავჩუმდები. — უთხრა ილიამ და ის სიმ-ღერა ხანგამოშვებით სამჯერ-ოთხჯერ ათქმევინა.

ღვინო თავისას იქმს. სუფრა ირევა. სიმღერა რამდენიმე ალაგას ისმის. აქა-იქ ლეკური და დავლური გაჩნდა. ილია ოდნავ შეზარხოშდა. მხოლოდ და-ძმა უორდროპები, ლაისტი და ეპისკოპოსი ალექსანდრე გადარჩნენ. მოწაფენიც ფხიზ-ლები ვართ. გლეხები ფხიზლებიც რომ ყოფილიყვნენ, ერთ საათსაც ვერ მოითმენდნენ, რომ ჭიდაობა არ გაემართათ. ილიას ჭიდაობაც ძლიერ უყვარდა, მაგრამ იგი უჩხუბრად იშ-ვიათად თავდებოდა. წრეში ხელჯოხოსნებს შეიყვანდა, თვი-თონაც დადიოდა და გლეხებს ეხვეწებოდა:

— ჩხუბი არ გაბედოთ. დღეობა არ ჩამიმწაროთ.

არ ჩაუმწარეს. იმ ხანებში ახლომახლო ყველაზე უფრო განთქმული მოჭიდავე იმერეთიდან გადმოსახლებული მება-ღე ვინმე „ქორია“ იყო. მისი გვარი არავინ იცოდა. ერთ დროს ის ილიას მებაღედ იყო. ქორია ორ-სამ მოჭიდავეს წა-აქცევდა და ილიას აამებდა ხოლმე.

— ყოჩაღ! ისევ მასახელე. — უთხრა ილიამ მას შემდეგ, როცა ქორიამ ერთი სახელოვანი მოჭიდავეც წააქცია. — ხვალ მოდი და ერთი საჩოხე წაიღე.

მოწაფეები შებინდებისას ვიშლებოდით. ილიას ზოგი ნათესავ მეგობარიც მოდიოდა, ხოლო დანარჩენი მეორე-მესამე დღემდის რჩებოდნენ. მანსვეტაშვილი სწერს, ილიას 60 ხელი ლოგინი ჰქონდაო. შემცდარია მისივე აზრი, თითქოს იმ დღეობაში საქართველოს ყველა კუთხიდან იმოდენა ხალხი საქეიფოდ მოდენილიყო. ერთი-ორი დღის სავალზე საქეიფოდ ვინ მივიდოდა, საგურამო ხატი ხომ არ იყო, რომ მანძილს არ დაზარებოდნენ. ილიაობა ეროვნული დღეობა იყო და იმოდენა ხალხი ამიტომ იყრიდა იქ თავს. მოწაფეებსაც ამგვარად გვქონდა შესმენილი.

ილიას მამულში მოწაფენი რამდენჯერმე ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ. ერთი მოზრდილი ფარდული ამ იარაღებით იყო სავსე. ილია დაუინებით ლამობდა თავისი თეორია საქმედ ექცია — საქართველოში ევროპული მეურნეობის პაწია კუთხე გაეჩინა. მაგრამ ამან მაშინდელ პირობებში ნაყოფი ვერ გამოიღო. მანქანები ხშირად ემტვრეოდა. იქაური ხელოსნები ვერ ამთელებდნენ, ხოლო სულ უბრალო რამისთვის მანქანების თრევა ქალაქში და უკანვე ატანა მეტად ძვირად უჯდებოდა. ამის გამო ვიღაც სტუმარი კაკლის ქვეშ წყაროსთან ცხარედ ეკამათებოდა ილიას და ფანტაზიორს უწოდებდა. ბოლოს ილიამ მოუჭრა:

— კაცო, გაიგე! მარტო წაგება-მოგებისათვის ხომ არ ვცხოვრობთ. ამგვარ მანქანებს ადრე თუ გვიან გლეხებიც შეეჩვევიან, შეიძენენ და ჩვენს ქვეყანას წინ წასწევენ.

1901 წელს ყირიმის სკოლას თავი დავანებე და ტფილისს დავბრუნდი. ილია წინამძღვრიშვილს უნდოდა ის სკოლა დამესრულებინა და თავის სკოლაში მასწავლებლად მივეწვიე.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების 100 წლის თავის შესრულების გამო თავადაზნაურობას დიდუბეში გამოფენა გაემართა და მეც იმის სანახავად მივედი. იქაურობა

ხალხით იყო გაჭედილი. მეფის დესპანს — ვიღაც ღიდ მთავარს — აქაური მთავარმმართებელი და დიდრონ მოხელეთა ამალა დასდევდა. უცებ ორ ილიას — ჭავჭავაძესა და წინამძღვრიშვილს წავაწყდი. ეს ის წინამძღვრიშვილია, რომელიც 60-იან წლებში ჭავჭავაძეს შეიარაღებულ მცველად დახდევდა, როცა მას ზოგი ქარაფშუტა თავადი თუ აზნაური შოკვლას ემუქრებოდა. ორივენი თითქო შეფიცული ზეგობრები ყოფნენ და უერთმანეთოდ დიდხანს ვერა სძლებდნენ. წინამძღვრიშვილიც შესანიშნავი მოღვაწე იყო. მთელი სიცოცხლე თავის სკოლას შესწირა.

ორივენი სუფრაზე ისხდნენ და საგრილებელ რაშე სასმელს სვამდნენ. მე ვცადე ილია წინამძღვრიშვილისთვის თავი მომერიდებინა, მაგრამ დამინახა, დამიძახა, დაშსგა და ფისალმების შემდეგ მკითხა, ამ დროს აქ რა გინდაო. როცა გაიგო, რომ სწავლას თავი მივანებე, ძლიერ გაწყრა და საყვედურით ამავსო.

— ეხლა რას აპირებ, რით გინდა იცხოვრო?

— მინდა მხატვრობა შევისწავლო.

წინამძღვრიშვილი უარესად გამიწყრა, კიდეც დამცინა, ჭავჭავაძემ მიცნო.

— ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყო? — ჰკითხა მან წინამძღვრიშვილს.

— ის არის, მაგრამ მწერალი კი არა... — და ჩემს გაწბილებას დასასრული აღარ უჩანდა. ბოლოს მკითხა, მამაშენი ნაწყენი არ არისო?

— დედ-მამა დამეხოცა, — ვუპასუხე მე.

წინამძღვრიშვილი უცებ მოლბა. კილო გამოიცვალა, მანუგეშა, მომეალერსა. მე ჩემი დედისა და დის მოკვლის ამბავი ვუამბე. ორივენი გაოცდნენ, ნუგეშის ცემას უმატეს. ამ დროს სუფრას მეფის კარისკაცის მუნდირით გამოწყობილი თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით მელიქიშვილი მოუჯდა. ის ჩემი ბორჩალოელი მეზობელი იყო და ერთმანეთს უწინაც ვიცნობდით. ამ იუბილეს ინიციატორი და მეთაური ის იყო. სალამ-მოკითხვის შემდეგ მარშალმა და ჭავჭავაძემ საუბარი გააბეს. მას დროგამოშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა-სიტყვით აღარ მახსოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამახსოვდა. მელიქიშვილმა ჭავჭავაძეს უსაყ-

ვედურა, თავად-აზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდნ.

— სასიხარულო არაფერია, — მიუგო ჭავჭავაძემ, — საქვეყნოდ თავი მოგვჭერით: თავიდანვე გითხარით, მე ჩემი გზა მაქვს-მეთქი.

— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო. — გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჭავჭავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

გარდა ამისა, — სთქვა ჭავჭავაძემ, — ამ იუბილემ ქართველი სალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანი, გაღმა დგეხართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ამ იუბილეს წყალობით სალხი მტერ-მოყვარის გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

ორი წლის შემდეგ მე მართლა შევუდექი მწერლობას, ხოლო 1904 წელს „ივერიის" ფაქტიური რედაქტორი გავხდი. ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანკში მუშაობდა და თავის გაზეთს უკვე დაბეჭდილს კითხულობდა. იმავე წლის დამლევს გაზეთს ფ. გოგიჩაიშვილი ჩაუდგა სათავეში. იმ ორ წელიწადში ჭავჭავაძეს რამდენჯერმე შევხვდი.

1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ი. ჭავჭავაძეც შემოვიდა. ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის" ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილევი იყო. იგი რამოდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა, მერმე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მავალ ყიფშიძეს ჩააბარა. ამან კი ამ ახალგაზრდას გადაულოცაო, — სთქვა ილიამ ჩემზე, — და შემდეგ გოგიჩაიშვილსაო.

ილია ჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწევდა. თავი რკინის ძეგლსავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლი-

ერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა — უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური. ლაპარაკის მანერა — ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი, განგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური. მოპირდაპირის სუსტ ალაგებს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა, ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა. ეს მანერა პოლემიკისა ილიას წერილებსაც აშკარად ეტყობა. მტრებსაც ნაწვნევი ჰქონდათ და ძლიერ ეშინოდათ, შებმას იშვიათად უბედავდნენ. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მომისმენია.

ჯერჯერობით აქ ვსვამ წერტილს. მკვლელობის ამბავი 1936 წლის 18 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში" მაქვს ნაამბობი.

ნიკო ჯანდიერი

1900 წელს რუსეთიდან სამშობლოში ახლადდაბრუნებული ახალგაზრდა ექიმი ვიყავი, როცა თბილისის გუბერნიის ექიმმა ტიტე სიმონისძე ქიქოძემ სოფელ ველისციხეში დამნიშნა. მე თბილისში უნდა შემეძინა საჭირო საექიმო იარაღები, რის გამოც შევიარე ტიტე ქიქოძესთან. საუბრის დროს ტიტეს კაბინეტში შემოვიდა ნიკოლოზ ცხვედაძე. რომელმაც შეშფოთებით უთხრა ქიქოძეს, რომ ილია გრიგოლისძე ჭავჭავაძე ძალიან ავად გამხდარა, სოფელ საგურამოშია, ექიმები კი ვერავინ ვიპოვე, ქალაქიდან ყველანი გასულან, ვისაც მე ვიცნობო (ზაფხული ძალიან ცხელი იყო).

მე ძალიან შემაწუხა ილიას ავადმყოფობამ და გამოვთქვი სურვილი:

— მზად ვარ წამოვიდე და ილია ჭავჭავაძეს ყოველგვარი საექიმო დახმარება აღმოვუჩინო!..

ტიტე ქიქოძესა და ნიკო ცხვედაძეს ძალიან გაუხარდათ. გადაწყდა, რომ მაშინვე გავმგზავრებულიყავით საგურამოში.

გზად უნდა შეგვევლო მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიაში, სადაც საგურამოდან ეტლი მოგვივიდოდა. გზაში, სანამ კოლონიამდე მივიდოდით, ნიკო ცხვედაძე კარგად გამეცნო: გამომკითხა, ბავშვობისას სად ვსწავლობდი, სად დავამთავრე საექიმო ფაკულტეტი და სად მიმსახურნია.

ბოლოს მითხრა:

— არ მინდა, ილიამ გაიგოს, რომ თქვენ მის საექიმოდ მიბრძანდებით, ავადმყოფს ვეტყვი, რომ ვითომ გუბერნიის ექიმს სურვილი აქვს საგურამოში გახსნას ქსენონი და ილიას უგზავნის ექიმს საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

ხუთი საათი იქნებოდა, რომ საგურამოდან ეტლი მოგვივიდა, სწორედ ის ეტლი, რომელშიაც შემდეგში მოკლულ იქნა ილია ჭავჭავაძე.

საღამო ხანს საგურამოში მივედით, სახლში დაგვხვდნენ

ილიას დისწული კოტე აფხაზი, ნიკოლოზ აფხაზი — მამა კოტესი, ილიას მეუღლე ოლღა თადეოზის ასული და და — ლიზა საგინაშვილისა.

ილია იწვა თავის კაბინეტში, მასთან სტუმრად იყვნენ არტურ ლეისტი და გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი ველიჩკო თავისი დით.

ნიკო მიესალმა ილიას და მოახსენა:

— აი, ბატონო ილია, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფე, ახლა კი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი, გუბერნიის ექიმმა გამოგიგზავნათ, რომ აღმოუჩინოთ საჭირო დახმარება. გუბერნიის მმართველობას გადაწყვეტილი აქვს საგურამოში ქსენოსის გახსნა. გთხოვთ გაიცნოთ. ილიამ ხელი გამომიწოდა და ღიმილით მითხრა:

— სასიამოვნოა, კეთილი, რაც შემიძლიან ყველაფერს გავაკეთებ, ყოველმხრივ დაგეხმარებით, სასიარულოდ ცხენიც მყავს „ტოლადებიც“ მაქვს, რაც შეიძლება თქვენ არ გქონდეთო. მერე მიუბრუნდა ნიკო ცხვედაძეს:

— გზიდან მოდიხართ, უთუოდ გინდათ გაგრილდეთ, მიბრძანდით ექიმთან ერთად პირსაბან ოთახში და ხელპირი დაიბანეთ.

ილიას კაბინეტიდან პირველი გამოვედი, ნიკო კი ილიამ შეაჩერა.

როდესაც ის პირსაბან ოთახში შემოვიდა, მე უკვე პირს ვიწმენდდი.

— ნიკო, — სიცილით მომმართა ნიკო ცხვედაძემ, — ტყუილი არ გამივიდა, ილიამ მითხრა: განა არ ვიცი, რომ ჩემი ავადმყოფობა ყველას გეწყინებოდათ. ექიმი მომგვარე და თანაც მატყუებ?

პირის დაბანის შემდეგ ილიასთან შევედით. ილიამ მთხოვა მასთან ახლოს სკამზე დავმჯდარიყავ, გამომკითხა გვარი, სახელი, ვინაობა, აგრეთვე — ნათესავი ხომ არა ვარ ლევან გიორგისძე ჯანდიერისა.

მეორე მხრივ ველიჩკო, ნ. ცხვედაძე და არ. ლეისტი რაღაცაზე საუბრობდნენ. უცბად ველიჩკომ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი და ივანე მაჩაბელს დასცინა. ილიამ ჯერ გადახედა მოსაუბრეებს, ლოგინში გასწორდა, თვალი დახუჭა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:

— მაგ ტუტუცს ჰგონია, თითქოს მე ძალიან მესიამოვნება, რომ ჩვენს მამულიშვილს დასცინის. მომწყინდა, გეთაყვა, როგორმე მომაშორე!

მე ვისარგებლე იმით, რომ ილიას თვალები ჰქონდა დახუჭული და რუსულად ყველას გასაგონად ხმამაღლა ვუთხარი:

— პატივცემულო ილია, დაიღალეთ? ცუდად გრძნობთ თავს? იქნებ ცოტა ხანს დაიძინოთ! დაისვენეთ, სჯობია. მერე მივუბრუნდი იქ მყოფებს:

— როგორც ჩანს, ჩვენი ავადმყოფი დაიღალა, მივცეთ საშუალება ცოტა ჩაძინებისა, რომ დაისვენოს.

ყველანი მაშინვე მობოდიშებით გავიდნენ. მეც მივდიოდი, მაგრამ ილიამ შემაჩერა:

— ექიმო, ბარემ მოხულხართ, — გამშინჯეთ.

მე დავრჩი მასთან, დაწვრილებით გამოვკითხე ყველაფერი, გავშინჯე. მის გულს დიდი გადატვირთვა და დაღლილობა ეტყობოდა. გულის სისხლის მილებს სკლეროზი შეეპარვოდა, გულის კუნთების ანთების ნიშნებით. აშკარა იყო, ილიას გულის ტკივილები გამოწვეული იყო ამ ცვლილებებით.

გამოვუწერე წამალი, ავუხსენი, რომ ის ფიზიკურად და გონებრივად დაღლილია, და ვურჩიე რამდენიმე ხნით დაანებოს თავი გონებრივ მუშაობას. ავუკრძალე წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა და მისგან მოვითხოვე მტკიცე რეჟიმის დაცვა.

ილიამ მითხრა:

— შენ (შენობით მომმართა) მითხარი, რად ან რისთვის უნდა მოვიქცე ასე თუ ისე, და თუ ეს ჩემს გონებას ჩასწვდება, მაშინ ბაშუსტა, თორემ ექიმების ბრძანება ზოგჯერ ძნელი გასაგებიაო. მეც დაწვრილებით ავუხსენი, რაც აინტერესებდა, ვურჩიე მოსვენება, ვუსურვე მშვიდი ძილი და გამოველ ეზოში.

გამოწერილი რეცეპტები მაშინვე მცხეთის აფთიაქში გავატანე და გადავწყვიტეთ, რომ ილიასთან მკურნალად დავრჩენილიყავ.

ილია ჩემს ყოველივე მოთხოვნას პირნათლად ასრულებდა.

მეორედ გამინჯვამ დამარწმუნა, რომ ილია თავის ავადმყოფობას ერეოდა.

ერთ დღეს დილით გაზეთები და ფოსტა მოგვივიდა. ახალ ამბებში ამოვიკითხე, რომ თბილისში ამ ორ დღეში უნდა ჩამოვიდეს დოქტორი ვაგნერი — კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი. მაშინვე გადავწყვიტე, რომ მესარგებლა მისი ჩამოსვლით და ჩემი ძვირფასი ავადმყოფი მეჩვენებინა. მოველაპარაკე თვით ილიას. სიამოვნებით დამთანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩამოვედით. მე მაშინვე ტიტე ქიქოძესთან წავედი და ჩემი განზრახვა გავაცანი. ქიქოძემ დაუზარებლად შემიწყო ხელი, რომ პროფესორ ვაგნერთან ერთად ილიას ჯანმრთელობის შესამოწმებლად კონსილიუმი მოგვეწვია. დავნიშნეთ დღეც.

პროფესორ ვაგნერი გუბერნიის ექიმ ქიქოძესთან ერთად თავის დროზე მოვიდა. მე მათ მოვახსენე გასინჯვისა და წამლობის შედეგები. პროფესორმა ვაგნერმა ილია გასინჯა და ჩემს დიაგნოზს სრულიად დაეთანხმა. მე ქაღალდი და კალამი მზად მქონდა. პროფესორმა წამლების რეცეპტები მიკარნახა. ჩამაწერინა აგრეთვე, თუ ავადმყოფი როგორ უნდა მოქცეულიყო. მან ილიას დაუნიშნა საზღვარგარეთ, ბერლინში, პროფესორ ლეიდენთან სამკურნალოდ წასვლა.

ილია მალე შეუდგა საზღვარგარეთ წასვლის სამზადისს, საქმის გადადება არ უყვარდა.

მე წინადადება მომცა გავყოლოდი, მაგრამ ვერ შევპირდი, ვინაიდან, როგორც რუსეთიდან ახლად ჩამოსულს და სამსახურშიაც ახლად შესულს, დავალებული მქონდა კახეთის სოფლებში კერძო ქსენონის გახსნა-მოწყობა.

ეს საქმე ასე მოგვარდა: ილიას ერთ-ერთი ნათესავი სტუდენტი რიგის სადგურში დახვდებოდა ავადმყოფს და ის გაჰყვებოდა ბერლინშიც და შემდეგ, სადაც საჭირო იქნებოდა ან სადაც მოისურვებდა თვით ილია ჭავჭავაძე.

ილიას წასვლისთვის სამზადისში თითქმის ოცმა დღემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში ყოველ დილა-საღამოს მასთან დავდიოდი და მკურნალობას განვაგრძობდი.

ილიას საზღვარგარეთ გამგზავრების დღეს ბევრი მნახველი მოსდიოდა.

მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოება, რომელმაც იცოდა დრო ილიას გამგზავრებისა, სადგურზე ყვავილებით დაუხვდა.

საერთაშორისო ვაგონამდის მიაცილეს. ილია შევიდა ვაგონში და გაღებული ფანჯრიდან ხალხს ესაუბრებოდა და მადლობას უხდიდა,

მე იმ დღით ილიას სწორედ იმ დროს გამოვეთხოვე, როცა მას ბევრი სტუმრები ჰყავდა და მოვახსენე სადგურზე შეგხვდები თქო. ილიას გამგზავრების ჟამს მეც სადგურზე ვიყავი. ამოვირჩიე მოხერხებული ადგილი, საიდანაც შემეძლებოდა გამოსათხოვარი სალამის მიცემა.

მატარებელი დაიძრა: ილიას ვაგონმა ჩემ წინ გაიარა, ვაგონიდან ილია ხალხს ხელით ესალმებოდა. დამინახა მეც, ხელი დამიქნია, გადმომძახა:

— აკი გნახამო, მითხარი! — კიდევ რაღაც თქვა, მაგრამ მე ვეღარ გავიგონე.

მოწიწებით თავი დავუკარი და ხელის დაქნევით გამოვემშვიდობე.

ილია რიგიდან ჩავიდა ბერლინში პროფესორ ლეიდენთან, რომელმაც ცოტა ხნის წამლობის შემდეგ ავადმყოფი ნაუხეიმში გაგზავნა.

ილიას თბილისში დაბრუნების შემდეგ ბევრმა ხანმა გაიარა. მე მას ვერ ვხვდებოდი, რადგან იმ დროს უკვე კახეთში ვექიმობდი და თბილისში იშვიათად ჩამოვდიოდი.

ერთხელ შემთხვევით ვნახეთ ერთმანეთი ქართულ დრამატიულ თეატრში „თამარ ცბიერის“ წარმოდგენაზე. ილია რომ დავინახე, მივესალმე, მან ხელების გაშლით მიბრძანა:

— ყმაწვილო, რა დაგიშავე, რომ არა მნახე?

— პატივცემულო ილია, თქვენ კი არაფერი დაგიშავებიათ ჩემთვის, მაგრამ მე კი ძალიან დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე და გარწმუნებთ, რომ ეს პირველი ჩამოსვლაა თბილისში მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გნახეთ.

ილიამ მხიარულად მომაძახა:

— არა, გეხუმრები, მაგრამ ახლა კი უსათუოდ სახლში უნდა მნახო. ვინახულე. მიამბო თავისი მოგზაურობა და წამლობა. სხვათა შორის, მითხრა, რომ ორი-სამი დღის მკურნალობის შემდეგ, ერთხელ დილით, ჩემს პალატაში ლეიდენი შემოვიდაო, საწოლიდან ამაყენა, წამავლო ხელი და მიბრძანა, რომ გავყოლოდი. გამიყვანა კიბეებზე, წინ გამიძღვა. მივსდევ ამ კაცს ერთი სართულიდან მეორეზე, მეორედან მე-

სამეზე, მეოთხეზე, ვფიქრობ: ან მე გავგიჟდი ან ეს კაცი გა
გიჟებულა. ბოლოს შედგა, რატომღაც ერთ კაბინეტში შემიყ
ვანა, გული გამისინჯა და მითხრა: გული მშვენივრად მუშა
ობს, თქვენს გულს უფრო მეტი შესძლებია, ვიდრე თქვენ
გგონიათო. ჩემი გულის ამ გამოცდამ ძალიან გამამხნევა
მართლაც, კიბეებზე ასვლის დროს სრულებით არ დავღლილ
ვარ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მირჩია კურორტ ნაუხეიმში წავ
სულიყავიო.

ნოშრევან ჯაფარიძე

კახეთში, სოფ. ყვარელში, მე მეპარა ილია ჭავჭავაძის მამული 1908 წლამდე, და ამიტომ ბევრი რამ მახსოვს მისი ცხოვრებიდან. ილია თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა თავის მამულში, უფრო შემოდგომობით თავისი აღზრდილი იაკობით და ცხოვრობდა რამდენიმე კვირას. ზოგჯერ მას მოჰყვებოდა თავისი მეუღლეც, ისე კი ცხოვრობდა თბილისში და ხან საგურამოში.

ილიას სახლ-კარი სოფ. ყვარელში შესდგებოდა სამი ოთახისაგან, ძველებური კუხნისაგან, ბეღლისაგან და ერთი უწინდელი კოშკი-ციხისაგან, რომელშიაც დაიბადა ილია. იმ კოშკში იყო ორი პატარა ოთახი, ერთი მაღლა, მეორე დაბლა. მარანი იყო ვენახის წალმით დახურული, რადგან წალმით დახურული ზაფხულში ღვინოს ინახავდა ძალიან ცივად. ილიამ მიამბო, რომ ამ კოშკში ვარ დაბადებულიო, რომელშიაც ვცხოვრობდით მე, დედა, მამაჩემი და გამზრდელიო. შემდეგში კი ავაშენეთ მეორე სახლიო. ჩამოსვლისას უმეტეს შემთხვევაში ცხოვრობდა იმ ძველებურ კოშკში, რომლიდანაც მშვენივრად მოსჩანს ყვარლის მთები.

ილიას უყვარდა ძალიან თავისი მამა-პაპური სახლ-კარი და ქვევრ-მარანი და თვითონ ყვარელიც. მისი ვენახი შესდგებოდა ცამეტი, თოთხმეტი დესეტინისაგან, ჰქონდა აგრეთვე სახნავი მიწა და ტყე. ილიას უყვარდა ძალიან გლეხობა, თვითონ გლეხებსაც ძალიან უყვარდათ ილია. როცა ილია მოვიდოდა თბილისიდან მაშინვე უნდა ეკითხნა ჩემთვის სოფლის ამბები და მისი ნაცნობი გლეხების ყოფა-ცხოვრება. ილიას ჩამოსვლისას დილაზედ რომ გავიდოდი სოფლის ბაღში, სოფლელები მე დამიწყებდნენ კითხვას, წუხელ მარანელა ილია მოვიდა თუ არაო. ყველაში ეს ამბავი იწვევდა ბევრ გახარებას. ჩემი ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ საათის ათზე, თერთმეტზე მოიყრიდნენ თავს გლეხები ილიას სანახა-

ვად. ილია ძალიან ადრე დგებოდა, საათის შვიდზე ფეხზე იყო ამდგარი, მაშინვე ჩამოვიდოდა ეზოში და ყველას გულთბილად მოიკითხავდა, ყველასათვის ხელი უნდა ჩამოერთმია, შემდეგ თავის ოთახში უნდა მიეწვივნა. დაუწყებდა კითხვას სოფლის საქმეზე. კითხავდა, მთავრობა ხომ არ გაწუხებთო, როგორ გექცევათ პრისტავიო, ხომ არ გაწუხებთო, ან უდიერად ხომ არ გექცევათო, სულ სათითაოდ გამოკითხავდა ყველა ამბებს და ეტყოდათ: „თუ ვინიცობაა ცუდათ მოგეპყრათ, მაშინვე მაცნობეთო, ანდა ჩემზედ მოუშვერდა ხელს, უთხარით ნოშრევანს, მაშინვე დაწვრილებით მომწერს და მოვასსნევინებ სამსახურიდანო და მოგაშორებთ აქედანაო. მთელმა გლეხკაცობამ ერთბაშად უთხრეს: „ბატონო ილია! თქვენი თავი გვიცოცხლოს ჩვენს საიმედოდ, დიდხანს იცოცხლეთ, თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოსო და ჩვენც გადაგვახდევინოს ღმერთმაო. 1906 წ., როდესაც სოფ. ყვარელში წყალი მოვარდა და ნახევარი სოფელი წაიღო და სამოცი ადამიანი წყალმა დაახრჩო, მაშინ ილიამ ბევრი ამაგი დასდო სოფელს, იმით, რომ მთავრობის დახმარება მოახერხა და სოფლის თავში გააკეთებინა ჯებირები მდინარე დურუჯზედ. ყოველ ჩამოსვლაზე უთუოდ უნდა პატივი ეცა სოფლელებისათვის, საუზმეს გაუმართავდა, არაყს დაალევინებდა, ეტყოდათ ხუმრობით: „დალიეთ, გუნებაზედ კარგად გახდებითო“. მე მეტყოდა, რომ, რომელიც კარგი ღვინო გქონდეს ის მოიტანეო.

მთელი იქ ყოფნის დროს ილიასთან სოფლელები ყოველდღე მოდიოდნენ, ზოგი სანახავად, ზოგი კი სთხოვდა რაიმე დახმარებას. ილია სიამოვნებით იღებდა მათ და ყველა მათ მიერ ნაამბობ ჭირვარამს ყურადღებით უსმენდა... ილიას უყვარდა გლეხები, განსაკუთრებული სიმპატიით ექცეოდა თემურა ზაუტაშვილს, ალექსი იმერლიშვილს, ნიკო ზურიაშვილს, იასე კოკორაშვილს, ადამო ქარენაშვილს, ფიდო ჯიბოშვილს, ლევან ღვინიაშვილს, ლევან მაისურაძეს. ესენი იყვნენ ის გლეხები, რომლებიც მთავრობას კრიჭაში უდგებოდნენ. თემურა ზაუტაშვილს ილიამ ერთხელ მოუტანა ფეშქაშათ უბის საათი, რომელმაც ის ძალიან გაახარა. სულ იმას იძახოდა, რომ ილიამ საათი მომიტანა სახსოვრადო. ილიას გლეხები ძალიან ეპატიჟებოდნენ თავისთან, მაგრამ არსად

არ მიდიოდა, ეტყოდა, რათ უნდა შეგაწუხოთო. ძალიან ძნელი იქნებოდა, რომ წასულიყო სადმე. ყვარელში ცხოვრობდა ილიას ნათესავი სანდრო მაყაშვილი, რომელიც ილიას უყვარდა. სანდროც პატიოსანი, განათლებული კაცი იყო და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ილიას. რთველის დროს ილია გაამართვინებდა მუშებისათვის სადილს და ეტყოდა სანდრო მაყაშვილს, რომ, აბა, სოფელში ვინც გინდა ამოირჩიეო და წამოიყვანეო სადილადო. და თვითონაც მათთან სიამოვნებდა. უყვარდა სოფლის სიმღერები და ჩაფიქრებული ყურს უგდებდა. მარანში, საწნახელში რომ ყურძენს წურვას დაუწყებდნენ, მაშინვე მეტყოდა, აბა, გაუმასპინძლდი კარგად ღვინით. ილია კი იჯდა სკამზე იქვე და სიამოვნებით ყურს უგდებდა იმათ ოხუნჯობას და სიმღერებს. ილიას თავის ოთახში ყოველ დილით უგზავნიდით თეფშით ყურძენს. ზოგჯერ გათენებამდის მუშაობდა და რაღაცას სწერდა, ყურძენი კი ხელუხლებელი იყო.

ილიასაგან ნაყმევებს ნაჩუქარი ჰქონდათ ნადელები, ვენახები და სამოსახლოები. ილიას ჰყავდა ერთი ნაყმევი მოხუცი ლაზარე ღონიაშვილი, იქნებოდა სამოცდა ხუთი წლისა, ილიასთან შეზრდილი, რომელიც ძალიან უყვარდა. ილია რა წამს ჩამოვიდოდა თბილისიდგან, მაშინვე დაიბარებდა იმას და რადგან ის ყოფილი მზარეული იყო, სადილს მას ამზადებინებდა. ლაზარეს ჰყავდა შვილები. ერთი ქალი თვითონ ილიამ გაუზარდა თბილისის გიმნაზიაში და მიაღებინა სწავლა-განათლება თავის ხარჯზედ.

1905 წელს, როდესაც კახეთში დაიწყო მღელვარება და გლეხთა გამოსვლა, გლეხებმა თავადების ტყეები გაჩეხეს თვითნებობით. რამოდენიმე ასეთი შემთხვევა იყო ილიას ტყეშიც. ეს საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში. ამ ხანებში ილია ყვარელში ჩამოვიდა, მოსვლისთანავე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, და როდესაც გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გააუქმა სასამართლოში ეს საქმე. გაიცინა და ხუმრობით მითხრა: „არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცაო, ტყე კი უფრო ხშირი გაიზრდებაო“. და გადაჭრით მითხრა, რომ მათ საწინააღმდეგოდ არაფერი არ ჩაიდინოვო.

მახსოვს 1905 წ. რომ ჩამოვიდა, მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად. მე ძალიან გა-

მიკვირდა და ვკითხე: „ნუ თუ თბილისში ასე მალე მოხვალთ?“ მან მიპასუხა: „ჩემო ნოშრევან! მე თბილისში არ მივალ, მაგრამ, სადაც მივდივარ ჯერ არც იმას გეტყვიო“. გაიღიმა და მითხრა: „ჩემმა გამზრდელმა მასწავლა, რომ კაცი დილით რომ მიდიოდეს სადმე, მას ამის შესახებ არაფერი არ უნდა ჰკითხოვო“. მხოლოდ მითხრა, რომ სადილად აქ ვიქნებიო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ის წავიდა საბუეში და გრემში. ამ სოფლებში იმ ხანად მოხდა გლეხთა გამოსვლები, რომლის დროს მოჰკლეს ერთი გლეხი ქალი, გვარად ხვჩიაშვილი ეთერი და სოფლელებს ზეკუციად ჩაუყენეს ყაზახები. როგორც ვფიქრობ, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი და ამიტომ მოსვლისთანავე გაემგზავრა ამ სოფლებში და მოახსნევინა ზეკუცია. შემდეგში იაკობმა მიამბო: „როდესაც მივედით სოფელში, ილიამ მაშინვე გამოაძახებინა უფროსი და ნახევარი საათით ელაპარაკაო, რაღაცა ქაღალდი უჩვენა, რის შემდეგ უფროსმა მოწიწებით სალამი მისცა და წავიდა, იმავე დღეს ზეკუციაც მოხსნილი იყო სოფელზეო“. მე თვითონ კი ვნახე, რომ მოკლული ქალის გვარი და სახელი ილიას უბის წიგნაკში ეწერა.

საზოგადოდ ილია ძალიან თავდაბლად ეპყრობოდა ყველას. ეინტერესებოდა გლეხობის ცხოვრება და გულმოდგინეთ ეცნობოდა მათ ჭირვარამს. მის გარშემო მომუშავე ადამიანებს სიყვარულით ეპყრობოდა. უყვარდა საჩუქრების მოტანა და სხვა. უყვარდა სუფთა ანგარიში. ჩემი ორი შაური რომ მართებოდა და გასულიყო წელიწადი, მაინც არ დაივიწყებდა.

არჩილ ჯაჯანაშვილი

ყოფილ ქართულ გიმნაზიაში აღზრდილი მოწაფენი კლასიკოსებს და, მათ შორის, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძესაც უფრო კარგად იცნობდნენ, ვიდრე დანარჩენი სასწავლებლების ნახევრად გარუსებული მოსწავლენი. ამიტომ, როცა ერთ სადღესასწაულო დღეს გამოგვიცხადეს, სალიტერატურო საღამოს ილია ჭავჭავაძეც დაესწრებაო, ეს ჩვენ, პატარა ბავშვებს, მიუწვდომელი ოცნების განხორციელებად გვეჩვენა. დიდი სამზადისი დაიწყო. მე მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბავშვი ვიყავი და მოსამზადებელი კლასის უკანონო წევრად ვითვლებოდი. არ ვიცი, რატომ, — მამაჩემის პატივსაცემად თუ... (მამაჩემი იმ დროს ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იყო), — მეც ჩამაბეს ფერხულში და წასაკითხავად ილიას ცნობილი ლექსი „გაზაფხული" აღმითქვეს. პატარა ლექსის დაზეპირება ექვსი წლის ბავშვისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო, და ყველა დარწმუნებული იყო, რომ დიდი პოეტის წინაშე თავს არ შევირცხვენდი.

იმ დღემდე ილია ჭავჭავაძე არ მენახა. პროგრამა ჩვეულებისამებრ პატარა ბავშვების გამოსვლით დაიწყო. სადღესასწაულო საღამო მე უნდა გამეხსნა. ესტრადაზე გამოსვლამდე მასწავლებელმა (არისტო ქუთათელაძემ) ჭუჭრუტანაში გამახედა და მითხრა, აგერ, ილია ჭავჭავაძე ის არის, პირველ რიგში რომ ზის, დაბალი, მსუქანი, წითური კაცი. თვალები პარტერს მივაცეცე და, მართლაც, ილია ჭავჭავაძე დავინახე. ხელები მუხლებზე დაეწყო და ესტრადას შემოსცქეროდა. ღელვამ ამიტაცა, მუხლები ამიკანკალდა, თვალები ამიჭრელდა. დამფრთხალ ხბოსავით უკან დავიწიე, მაგრამ სწორედ იმ დროს ვიღაცამ წელში ხელი წამავლო და წინ გამაგდო...

შუა ესტრადაზე გავჩნდი. უზარმაზარ, ხალხით გაჭედილ დარბაზში ვეღარაფერს ვხედავდი — ილია ჭავჭავაძის რგვა-

ლი სახისა და მუხლებზე გადმოწყობილი თითების მეტსა. „დაიწყე“. — მომესმა ზურგს უკან მასწავლებლის ნერვიული ბრძანება. მეც დავიწყე:

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,“...

ვსთქვი და გავჩუმდი. დამავიწყდა. „აგერ მერცხალიც ჭყივის... აგერ მერცხალიც ჭყივის“. — ვიმეორებდი ერთსა და იმავე ფრაზას და ვგრძნობდი, რომ მალე ცრემლები წამომსკდებოდა. „ჭყივის... ჭყივის“, ავიჩემე ესლა მეორე სტრიქონის ეს უკანასკნელი სიტყვა და უცბად ბღავილი დავიწყე. ვდგევარ, შეშინებული თვალებით ილია ჭავჭავაძეს შევცქერი, ვსლუკუნებ და სახელოთი ცრემლებს ვიწმენდ... უცბად დარბაზში რაღაც საშინელი ამბავი დატრიალდა, ყოველ შემთხვევაში მე მაშინ ისე მომეჩვენა, თითქოს კედლებმა და ჭერმა ზანზარი დაიწყო და საცაა გრუხუნით თავზე დამეცემამეთქი. თურმე, მაყურებლები მარცხის სიმძიმის ასატანად და სანუგეშებლად ტაშით მეგებებოდნენ. ვერ გავიგე, ესტრადიდან ვინ გამიყვანა ან როგორ გამიყვანეს. ეს კი მახსოვს, ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მასწავლებელი მოვიდა და ალერსიანად მითხრა: აბა, წამოდი, ილია ჭავჭავაძეს შენი ნახვა სურსო.

შემეშინდა. ისევ სლუკუნი დავიწყე. მასწავლებელს მკლავში ვწვდი, არ მინდა, მასწავლებელო, მეშინიან-მეთქი. რისა გეშინიან, შენ სულელო, ილია ჭავჭავაძეს შენთვის საჩუქარი აქვს დამზადებულიო. ადგილიდან მაინც ვერ დამძრეს, სანამ მამაჩემმა თავისი მშობლიური უფლებები არ მოიმარჯვა და მკვახედ არ შემომიტია.

პოეტთან რომ მიმიყვანეს, მთლად ვცახცახებდი. ილიამ შუბლზე ხელი გადამისვა და თავისი თხზულებების კრებული გამომიწოდა. შუაში რაღაც იდო, წიგნი ეჭვიანად გადავშალე, შოკოლადი ყოფილიყო. „მაშ, ეგრე, შვილო, ჭყივის, განა?“ — ჩამეკითხა ილია და გაიღიმა... იმ დროს როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს ღიმილი არც თუ მაინც და მაინც სასიამოვნო მოგონებით იქნებოდა გამოწვეული. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ „გაზაფხული“-ს სწორედ ეს საბედის-

წერო „მერცხალი ჭყივის", რომელზედაც ჩემმა მარცხმა მთელი აუდიტორიის ყურადღება შეაჩერა, პოლემიკის საგნად იყო გადაქცეული... ძველი თაობის პოეტი-ქალი ბარბარე ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძეს ბევრს რამეს უკიჟინებდა და, სხვათა შორის, იმასაც ეუბნებოდა, მერცხლის ჭყივილი ვის გაუგონიაო, ღორი ხომ არ არისო. პოეტი-ქალის კრიტიკამ ილია ჭავჭავაძე აიძულა მოებოდიშა: „მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ-ქალს — ეგ მერცხლის ჭყივილზედო. მართალიც არის, სწორედ უხერხოდ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული, — მაგრამ ეს ლექსის აზრს არ აბნელებს, რადგანაც „მერცხალიც აგერ ჭყივის"-მეთქი, მოვიყვანე „გაზაფხულის" ნიშნად და ამისთვის ჭიკჭიკი მეთქო, თუ ჭყივილი, მაინც ის აზრი არ მოიშლებოდა... თუმცა სწორედ რომა თქვას კაცმა, მარტო ღორი არ მოაგონდებოდა მაგ ზმნით კაცს: რამდენჯერ გაგვიგია, „ფრინველი ჭყივისო, ყმაწვილს ნუ აჭყივლებთო".

*

1905 წელია, რევოლუციის ეპოქა, მძლავრი იერიში, რომელმაც საფუძვლიანად შეარყია თვითმპყრობელობის საფუძვლები. ამ უდიდესი ეპოქის რევოლუციური მაჯისცემა ცხოვრების მიყრუებულ კუნჭულებშიც-კი ფეთქავდა. და აი, ახალმა სიომ იმ დროის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაშიც დაჰბერა. პატარა დაწესებულების პაწაწკინტელა საქმე იყო: გიმნაზიის დირექტორი შიო ჩიტაძე, ერთი წლის შემდეგ კაზაკების მიერ მოკლული იმავე გიმნაზიაში, საზოგადოების წინაშე წარსდგა პროექტით პედაგოგიურ საბჭოს ავტონომიის შესახებ. ეხლანდელი ახალგაზრდა მკითხველი ვერც კი გაიგებს, რაზეა აქ ლაპარაკი. საჭიროა მცირე განმარტება. სათავად-აზნაურო გიმნაზიას თავადაზნაურობა ინახავდა თავისი საერთო რესურსებიდან, რომელთა შორის უდიდესი ადგილი საადგილმამულო ბანკის ყოველწლიურ მოგებას ეჭირა, მაგრამ ფორმალურად მაინც განსაკუთრებული საზოგადოება არსებობდა. ეს საზოგადოება ირჩევდა ეგრეთწოდებულ ზედამხედველ კომიტეტს, რომელიც სასწავლებელს განაგებდა. ზედამხედველი კომიტეტის წევრები ხშირად სამეურნეო

მოღვაწეობით არა კმაყოფილდებოდნენ და პედაგოგიურ საქმეებშიც ერეოდნენ, თუმცა ამისთვის ხშირად არც მომზადება ჰქონდათ და არც უნარი. შიო ჩიტაძემ ამ მდგომარეობის მოსპობა მოისურვა და მოითხოვა პედაგოგიური საბჭოს ავტონომია... ზედამხედველი კომიტეტისაგან.

გიმნაზიის დიდ დარბაზში თათბირი გაიმართა. შიო ჩიტაძემ მოხსენება დაამთავრა, ერთმა-ორმა თავისი აზრი გამოსთქვა. სწორედ ამ დროს დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ილია ჭავჭავაძემ მორიგ ორატორს მოუსმინა და სიტყვა ითხოვა, ყველა სმენად გადაიქცა. უსმენდნენ და ცოტა არ იყოს უკვირდათ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ზოგი-კი გაკვირვების ნიშნათ მხრებს იჩეჩდა. ილია ჭავჭავაძემ შორიდან დაიწყო, შემდეგ 1905 წლის რევოლუციური ამბების მნიშვნელობას შეეხო და ავტორიტეტული კილოთი დასძინა, პედაგოგიური საბჭოს ავტონომიის მოთხოვნა რას მიქვიან, ჩვენ საქართველოს ავტონომია უნდა მოვითხოვოთო. საზოგადოება და, ყველაზე მეტად, მომხსენებელი შიო ჩიტაძე უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ხალხი პაწაწკინტელა შინაური საქმისთვის იყო მოწვეული და ილია ჭავჭავაძემ კი პოლიტიკური საკითხი წამოაყენა. შიო ჩიტაძემ დიდის მოკრძალებით განუმარტა ილიას, ამ თათბირზე მხოლოდ ერთი პატარა საკითხი ირჩევა, თუმცა რასაკვირველია, კრებას შეუძლიან თავის რეზოლუციაში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნაც ჩაურთოსო...

1906 წ. უკვე რეაქციის პირველი ნიშნები გამოჩნდა. დამფრთხალი მთავრობა ძალებს იკრებდა. აჩუჩუნდა ჩვენებური თავადაზნაურობაც, ყველამ ძალიან კარგად იცის, რა როლი შეასრულა 1905 წელს სხვადასხვა ადგილებში შექმნილმა წითელმა რაზმებმა. ქართლ-კახეთში აგრარული ტერორი მძვინვარებდა, შეშინებული მემამულეები თავიანთ საბუდრებიდან გამორბოდნენ და თავს ტფილისს აფარებდნენ. 1905 წელს ტფილისში ჩამოსიზნული თავადაზნაურობა უმწეო სროვას წარმოადგენდა. 1906 წელს კი პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლა იმითაც იგრძნეს და კონტრიერიშისთვის და-

რაზმვა დაიწყვს. თავადაზნაურობას, რასაკვირველია, თავისი მამულ-დედული და ფიზიკური არსებობის საკითხი აინტერესებდა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც სურდათ გაშიშვლებული კლასიურ-წოდებრივი ზრახვები რაიმე თვალებასახვევ სამოსელით დაეფარათ. ცნობილი აბდუშელიშვილის შაგ რაზმს, რომელიც მეფის ნაცვლის მიერ ბოძებული ვინტოვკებით იყო შეიარაღებული, თავისი „იდეოლოგიც" გამოუჩნდა. ეს იდეოლოგი იყო მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი. მაჩაბელი ცდილობდა საზოგადოებისათვის დაემტკიცებინა, რომ აბდუშელიშვილის რაზმი რაღაც პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა და რომ რაზმი საჭიროა შეიარაღებისთვისო.

ამ საკითხის შესახებ დიდი თათბირი გაიმართა თავადაზნაურების დეპუტატთა საკრებულოში. თავმჯდომარეობდა თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) კამერ-იუნკერი გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი. მიხეილ მაჩაბელმა ის იყო დაამთავრა შავი რაზმის აპოლოგია, რომ უკანა რიგებში, სადაც „უცენზო" საზოგადოება შეჯგუფულიყო, ჩოჩქოლი დაიწყო. ხალხი ორად გაიყო და გზა დაუთმო ილია ჭავჭავაძეს, რომელიც დინჯად პირველ რიგებისკენ გაემართა და მძიმედ სავარძელში ჩაეშვა. ეხლაც დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მორიგ ორატორს. „უარს ვამბობ", გაისმა კუნჭულიდან. მიუბრუნდა მეორეს — „უარს ვაცხადებ", იყო პასუხი. ლაპარაკი აღარავინ მოისურვა, მაშინ სიტყვა ილია ჭავჭავაძემ ითხოვა...

მას შემდეგ ბევრჯელ ვცადე, მაგრამ ვერსად ამ სიტყვის ჩანაწერის კვალსაც კი ვერ მივაგნე. სიტყვა-კი საყურადღებო იყო. ამ სიტყვაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის დასრულებული, მთლიანი პიროვნება. „ოთარაანთ ქვრივი"-ს ავტორი და „ჩატეხილი ხიდი"-თ დასევდიანებული ილია აქ, ამ სიტყვაში, მთელი თავისი ინდივიდუალობით გამოჩნდა. სიტყვის სტენოგრაფიული სისწორით აღდგენა, რასაკვირველია, აღარ შემიძლიან, მაგრამ აზრისა და ზოგ შემთხვევაში ცალკე წინადადებათა სისწორეშიც სრულს პასუხს ვაგებ...

აი, რა სთქვა მაშინ ილიამ: „ბატონებო! რაც ჩვენში ხდება, ყველგან მომხდარა. არ არის მსოფლიოში არც ერთი ერი, არც ერთი სახელმწიფო, ასეთი რევოლუციები რომ არ

მომხდარიყოს. ქარტეხილი გაივლის და ცხოვრება ისევ კალაპოტში ჩადგება. თავადაზნაურობას ბევრი აქვს მოცემული, ვისაც მეტი აქვს, იმას მეტი მოეთხოვება, რაც სხვას ეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ... ისეთს ნურაფერს ჩაიდენთ, რომ, როდესაც ეს ამბავი გადაივლის და თქვენ სახლში დაბრუნდებით, მეზობელთან პირი გქონდეთ შერცხვენილი და თვალებში შეხედვას ვეღარ უბედავდეთ. უნდა მოითმინოთ, მეტი გზა არა გაქვთ. ვისაც მოთმინება ვერ შეუძლიან და ვისაც გულისთქმა იმორჩილებს, სჯობს სოფელს დროებით თავი გააცალოს. ცოტახნით გაჭირვება სჯობიან სამუდამოდ დაღუპვასა და საშვილიშვილო მტრობის ჩამოგდებას თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. რად გინდათ, ეგ იარაღი რომ აგისხიათ ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისთვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ, ვინც დაგირიგათ!".

„უცენზო" საზოგადოება სიტყვას ტაშით შეხვდა. „ცენზიანებს" გუნება გაუფუჭდათ, შავი რაზმის „იდეოლოგი" მიხეილ მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძის ძველი მეტოქე, სკამზე მოუსვენრად ტოკავდა, მაგრამ განაჩენი უკვე გამოტანილი იყო: ილია ჭავჭავაძის სიტყვის შემდეგ აბდუშელიშვილის რაზმმა ვეღარ იბოგინა...

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე გრიგოლ (გრიშა) 202, 230, 231, 393, 395, 399, 547.
აბაშიძე ვასილ (ვასო) 204, 205, 322, 323, 337.
აბაშიძე კიტა 121, 393, 547.
აბაშელი ალ. 220.
აბდუშელიშვილი 567, 568.
აგლაძე ილია 192, 202, 313, 483.
აგლაძე მარიამ 189, 191.
აგლაძე ოლღა 187.
ავალიშვილი დ. 92, 500.
ავალიშვილი ლევან 535.
ავთანდილოვი 66.
ათაბაგები 308.
ალ-აინი 171.
ალექსი-მესხიშვილი (მწიგნობარი) 55.
ალექსანდრა (ალისა) დედოფალი 325.
ალექსანდრე II 265.
ალექსანდრე III 196, 484.
ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე) 298, 398, 425, 548.
ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ 306.
ალიხანოვ-ავარსკი 263.
ამილახვარი ნიკო 284, 277.
ამირეჯიბი მაკინე 530, 534, 535.
ამირეჯიბი სარდიონ 530, 532, 538.
ანდრეევი ლეონიდ 324.
ანდრონიკაშვილი 450.
ანდრონიკაშვილი ლელო 224.
ანტონ მიტროპოლიტი 11, 117.
ანტონ კათალიკოსი 70.
აპოლონი 145, 149.
არაგვისპირელი შიო 288, 542, 543.

არაგვის ერისთავი ივანე 511.
არდაზიანი ლ. 127.
არღუთაშვილი მოსე 66.
არჩილ მეფე 174.
არწრუნი გრ. 204, 293, 436.
ასათიანი 383.
აფხაზი (აბხაზი) კონსტანტინე 31, 198, 237, 292, 464, 554.
აფხაზი (აბხაზი) კოხტა 29, 32, 39,41, 47, 48, 49, 181, 186.
აფხაზი (აბხაზი) ნიკოლოზ 30, 31, 554.
ალა-მაჰმადხანი 396.
დავით ალმაშენებელი 17, 171, 172, 173, 276, 503.
აღნიაშვილი ლადო 248, 452, 548.
ახალშენიშვილი ივანე 192, 313.
ახნაზაროვი არტემ 203, 212, 258, 323, 314, 322, 399, 404, 483.
ბ-ნი ა. ყ. 29.
ა . . . . შვილი 219.

ბ

დე-ბაი ბარონი 523.
ბაირონი 49, 351, 370.
ბაგრატიონი 273.
ბაგრატიონის ქალი 271.
ბაგრატიონ-დავითაშვილი 567.
ბალმონტი 448.
ბარათაშვილი ბაბალე 193, 195, 198.
ბარათაშვილი გ. 55, 56.
ბარათაშვილი დავით 348.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 48, 53, 183, 496, 546.
ბარნოვი ვასილ 221.
ბასტია 491.
ბატენბერგი ალექსანდრე 484.
ბატონიშვილები 25.
ბაქრაძე დიმ. 97, 161, 300, 305, 306, 409, 450, 451, 456.
ბაქრაძე „ბილო" 301.
ბაქრაძე სოსიკო 482.
ბაჩანა 106, 370, 377, 383, 483.
ბახტაძე ილია 206, 345, 363, 404, 405, 406, 483, 500.
ბებუთაშვილი ვ. ო. 66.

ბეკონი 394.
ბერტელიონი 367.
ბიზე 377.
ბილანიშვილი 202.
ბელინსკი 422.
ბრანდი (პროფესორი) 343.
ბოსკო (პროფესორი) 367.
ბოცო-ბასილი 308.
ბეასტი 426.
ბუსლაევი 222.
ბუტკოვი 24.
ბუქურაული 222.

გაბაშვილი გიგო (გაბაევი) 247, 343, 344, 379, 503.
გაბაშვილი ნადო 294, 295.
გაბუნია ნატო 322, 323, 324, 337, 350, 364, 441, 547.
გაბაშვილი ეკატერინე 227, 238, 348, 349.
გაბაშვილი რევაზ 236.
გაბრიელ ეპისკოპოსი 196, 197, 242, 284, 285, 286, 287, 491, 495.
გაბუნია თეიმურაზ 520.
გარიბალდი 39, 49, 183, 503.
დავით გარეჯელი 455.
გაუსარაშვილი 184.
გედევანიშვილი იოს. 173.
გელოვანი იასონ 287.
გვაზავა გიორგი 308.
გზირიშვილი სოსიკო 517.
გიორგი III, 173, 503.
გიორგი, თამარის ძე 172.
გლადსტონი 49, 183.
გოგებაშვილი იაკობ 19, 97, 262, 282, 283, 303, 308, 312, 315, 336, 337, 348, 349, 355, 356, 364, 387, 409, 433, 439, 440, 485, 486, 488.
გოკიჩაიშვილი ფილიპე 523, 551.

გოგოლი 51, 145, 146, 407.
გოეთე (გიოტე) 360, 370, 374, 378, 422, 503.
გოლიცინი 277, 278, 279, 280.
გონწაროვი 51.
გორგასალი ვ. 503.
გრიგოლ ეპისკოპოსი (დადიანი) 450, 490.
გორემიკინი 325, 326.
გრუზინსკი მიშა 304.
გრუზინსკი პეტრე 224.
გძელიშვილი 187, 190.
გრიბოედოვი 25.
გრიგოროვიჩი 51.
გუნია ვალერიან 274, 322, 323, 324, 329, 330, 337, 363, 547.
გურამიშვილი დ. 71, 390, 391, 507.
გურამიშვილი ეკატერინე 58, 232, 459.
გურამიშვილი თადეოზ 58, 59, 232, 234, 457, 458, 459, 461, 467.

დ

დადიანი-შერვაშიძე ალათი 520.
დადიანის ასული, ქ-ბ. დადიანისა 48, 183.
დადიანი დავით 25.
დადიანი ნიკოლოზ 96, 239, 240, 242, 311.
დადიანი შალვა 239.
დავითაშვილი 545.
დავითაშვილი იოს. 417, 418, 419.
დანკური 505.
დანტე 449.
დემენტიევის ასული 39, 44, 185.
დიასამიძე დავით 232.
დიასამიძე მარიამ 232.
დიასამიძე ნიკო. 268.
დობროლუბოვი 51, 407.
დოდაშვილი თამარ 228.
დოდაშვილი სოლომონ 190.
დონდუკოვ-კორსაკოვი 157, 268.
დოსტოევსკი 51, 407.

დრეპერი 165.
დურნოვი 325, 326.
დუტუ მეგრელი 492.

ე

ებერსი გეორგ 40.
ევდოშვილი ირ. 327, 399, 483, 542, 544.
ეკატერინე, იმპერატრიცა 24.
ე. ბ. 42.
ერეკლე ბატონიშვილი 491, 492, 497.
ერეკლე მეფე 24, 353, 396, 397, 503.
ერისთავი გიორგი 25, 27, 97, 496.
ერისთავი გრ. 404.
ერისთავი დ. 78, 83, 97, 104, 210, 211, 337, 338, 345, 351, 383, 403. 439.
ერისთავი დომინიკა (განდეგილი) 365.
ერისთავი კოლა 305—307, 395, 486, 500, 507, 547.
ერისთავი ნ. 71, 215, 431, 529, 531, 534, 536.
ერისთავი რაფიელ 78, 97, 202, 210, 296, 297, 316, 324, 346, 355, 363, 369, 377, 396, 397, 398, 399, 409, 429, 430, 431, 441, 450, 451, 547.
ერისთავი რევაზ 55, 56.

ვ

ვაგნერი, დოქტორი 556.
ვაჟა-ფშაველა 10, 19, 106, 138, 190, 210, 261, 330, 345, 355, 356, 369, 370, 377, 395, 417, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 427, 478, 483, 547.
ვაჩნაძე 184.
ველიჩკო 201, 367, 399, 400, 554.
ვენერა 145.
ვიტე გრაფი 278, 325.
ვოლსკი გრიგოლ (უმწიფარიძე) 220, 342, 345, 346, 348, 409, 429, 547.
ვოლტერი 25, 390.
ვორონცოვი 25, 26, 46, 64, 232, 277, 279, 281, 282, 402, 489.
ვოსტორგოვი 195, 407.

ზ

ზაუტამშვილი თეიმურაზ 560.
ზახაროვი 85.
ზდანოვიჩი გ. (მაიაშვილი) 210, 410, 547.
ზედაზნელი იოანე 455.
ზეზემანნ 274, 275.
ზურაბიშვილი ილია 327, 245.
ზურიაშვილი ნიკო 560.

თ

თამარ მეფე 17, 153, 172, 173, 276.
თარხნიშვილი გ. 94, 271, 272.
თაქთაქიშვილი ვასო 539.
თაყაიშვილი ექვთიმე 265, 310.
თაყაიშვილი კოწია 266.
თოიძე გიგო 465
თულაშვილი ივანე 464
თუმანიშვილი-წერეთელი ანასტასია 311, 348, 349, 350.
თუმანიშვილი გ. 71, 204.
თუმანოვი ვასილ 204, 238.
თუმანიშვილი მიხ. 66, 490.
თუმანიშვილი ტასო 228.
თუმანოვი კონსტანტინე 204.
თუმანოვი სულხან 58.

ი

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) 313, 483.
იანიშევსკი 37.
ი. მ. 73.
იანოვსკი 71, 72, 40, 407, 439, 459, 485.
იგნატიევი 182.
იესო 146.
ილიაშენკო (გამომძიებელი) 472.
იმედაშვილი იოსებ 313, 315, 319.
იმერლიშვილი ალექსი 560.
ინაშვილი ვანო 473.

ინგოროყვა პავლე 220, 320, 321.
ინწკირველი, პოლკ. 467.
იოსელიანი პლ. 27, 63, 490, 500.
ისარლოვი ლუკა 425.
ისარლიშვილი იაკობ 301.

კ

კაველინი 51.
კაზლოვი 56.
კალლოვიზი დიმიტრი ვიკენტიევიზ 222, 223.
კანდელაკი შაქრო 222, 223,
კასრაძე დავით 322.
კატკოვი 73, 439.
კერესელიძე ივ. 56.
კირიონი ეპისკოპოსი (სამაგლიშვილი) 196, 280, 281, 486.
კისელიოვი 51.
კლდიაშვილი სიმონ 194.
კოზმანაშვილი სოსიკო 248.
კოზმანაშვილები 247.
კოკორაშვილი იასე 560.
კონტი ოგიუსტ 505.
კონსტანტინე, კახეთის მეფე 24.
კოსტომაროვი 51.
კუტული 305.
კ . . . . შვილი 219.

ლ

ლაისტი არტურ 102, 104, 210, 322, 324, 328, 332, 349, 441, 447, 468, 477, 485, 547, 548, 554.
ლანსკოი 51.
ლასსიშვილი გიორგი 258, 259, 260, 313, 389.
ლეიდენი 316, 368, 525, 556, 557,
ლემან-ჰაუპტი კარლ 368, 372.
ლენცი ემილ 45.
ლეონიდე ეპისკოპოსი 281.
ლერმონტოვი მ. 51, 324, 407, 422, 463.

ლიუბატოვიჩი 416.
ლიუბატოვიჩის ქალი, ივ. ჯაბადარის მეუღლე 416.
ლოლაძე სალომე 32, 34, 40, 403, 476.
ლომიძე თედო 536, 537.
ლომთათიძე ჭოლა 542, 543,
ლომოური ნიკო 210, 486.
ლორის-მელიქოვი მიხ. 66.
ლორთქიფანიძე ალექსანდრე მერაბის ძე 295.
ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე 265.
ლორთქიფანიძე ვლ. 401.
ლორთქიფანიძე კირილე 197,
ლორთქიფანიძე ნიკო 265.
ლუარსაბ მეფე 173, 174, 503.
ლუბბოკი 177.

მ

მაისურაძე ანდრო 514, 560.
მარი ნიკო 281.
მამაცაშვილი კ. 27.
მამაცაშვილი ქრ. 82, 435, 491.
მამინაიშვილი 196.
მანსვეტაშვილი იაკობ 206, 255, 404, 483, 549.
მარკოვი ევგენი 204, 304.
მარტოდმყოფელი ანტონი 455.
მასლოვი დანიელი 463, 466.
მაღალაშვილი შაქრო 283, 284.
მაღალაშვილი მიხეილ 232.
მაღალაშვილი (მასწავლებელი) 467.
მაღალაშვილი ლ. 450.
მაყაშვილი ილო 478, 479.
მაყაშეილი ბარბარე 476.
მაყაშვილი პელაგია 476.
მაყაშვილი სანდრო 476, 477, 478, 480, 561.
მაყაშვილი ნინა 478.
მაჭავარიანი 199.
მაჭავარიანი პეტრე 529, 530.
მაჩაბელი ვას. 69, 97, 265, 266.

მაჩაბელი ივანე 79, 86, 90, 91, 92, 93, 94, 95, 98, 99, 104, 107, 204, 213, 215, 224, 225, 236, 237, 242, 251, 252, 253,–57, 270, 272–74, 276, 283, 299, 337, 339, 343, 347, 348, 351, 363, 355, 356, 382, 383, 399, 410, 429, 432, 433, 486, 499, 508, 526, 529, 530, 539, 554.

მაჩაბელი მიხეილ (მიშო) 224, 225, 237, 256, 271, 339, 527, 567, 568.

მაჩხანელი დიმ. 399.

მახარაძე ფილიპე 319.

მგალობლიშვილი 190, 210, 322, 323, 404, 419, 481.

მგელაძე ლავრ. 350.

მეზვრიშვილი გიგო 473.

მეგრელიშვილი თედო 545, 546.

მეზენცოვი 416.

მელანია, „ბნელოს" ავტორი 39, 138.

მელიქიშვილი დავით 278, 550, 551.

მელიქიშვილი ლევან 425, 438.

მელიქიშვილი რუსუდან 200.

მელიქიშვილი სოსიკო 93.

მემარნიშვილი 115.

მენდელეევი 411.

მერცბახერი გოტფრიდ 349.

მესხიშვილი 97.

მესხი ს. 92, 204, 289, 486.

მესხი კოტე 337, 365, 383, 400.

მეუნარგია ი. 97, 104, 210, 240, 363, 488, 500, 502.

მილიუტინი 51.

მინგრელსკი ნიკო დავითის ძე 240, 265, 302, 484.

მირიანაშვილი პეტრე 350, 540.

მიქელაძე დავით 191, 251, 258, 299, 313, 348, 392, 393, 485, 517, 529, 547.

მიქელაძე ვლადიმერ 304, 305, 363, 526.

მორფილი 104, 447.

მოძღვრიშვილი ილიკო 517.

მურმანიშვილი მოსე (მოურავი) 111, 217, 466, 473, 474, 475, 515.

მურილიო 503.

მუსხელიშვილი ნიკო 272.

მუსხელიშვილი დიმ. 107, 272, 273.
მდებრიშვილი ვანო 470.
მუხრანსკი გ. 438, 490.
მუხრან-ბატონი ივანე 82, 107, 435.
მუხრან-ბატონი ნინო 506.
მუხრანსკი კონსტანტინე 278, 340, 343, 396.
მუსხელიშვილი, გენერალი 224.
მუსხელიშვილი ალექსანდრე 272, 273.
მუსხელიშვილი გიორგი 272.

ნ

ნათაძე მოსე 229, 432, 433.
ნაკაშიძე ილია 289.
ნაკაშიძე პეტრე 289, 450.
ნაკაშიძე ნინო 330.
ნაკაშიძე (მასწავლებელი) 467.
ნანეიშვილი ალ. 210, 345, 414, 483.
ნებიერიძე 431, 432.
ნეიდგარდტი 38.
ნეკრასოვი 51.
ნინო წმ. 503.
ნინოშვილი ე. 138, 188.
ნიკიტინი საშა 187.
ნიკოლაი, ბარონი 25, 58, 60.
ნიკოლოზ I 267.
ნიკოლოზ II 281.
ნიკოლოზ იმპერატორი 26.
ნიკოლაძე რუსუდან 196.
ნიკოლაძე ნ. 71, 72, 98, 104, 105, 196, 197, 274, 275, 293, 301, 309, 320, 321, 390, 429, 430, 436, 437, 502, 507, 508, 519.

ო

ოვიდიუსი 145.
ოლდენბურგელი პეტრე 519.
ორბელიანი ნინო 399.
ორბელიანი მარიამ 312.

ორბელიანი გრიგოლ 25, 53, 67, 306, 411, 438, 489, 490, 491, 495, 496.
ორბელიანი საშიკო 277, 298.
ორბელიანი ალ. 119, 519.
ორბელიანი ვახტანგ 25, 210, 519.
ოქროიმჭედლიშვილი ილია 98, 99, 101, 108, 343, 380, 450, 456.

პ

პავლოვი 189.
პატიოიმკინი 24.
პატკანოვი 304, 305.
პასკალი 426.
დონ-პედრო (ბრაზილიის იმპ.) 498.
პერუჯინი 145.
პეპინოვი 37.
პეტრიაშვილი ვასილ 519.
პინპულაძე 229.
პიპინი 51.
პისარევი 51, 394, 405, 407.
პობედონოსცევი 439.
პოლივკა 297.
პოლტარაცკი ილია 294.
პოლტარაცკი ივ. 47, 232, 234, 267, 289, 290, 293, 294, 309, 310.
პრაქსიტელი 121.
პრუდონი 491.
პუშეჩნიკოვი 389.
პუშკინი 407, 422, 445.

ტ

ტირარდენი 505.
ტორდანია ნოე 292, 319.
ტორდანია ფ. 309, 310, 241.
ტურული გიორგი 303, 304, 529.

რაევსკი 37, 38.

რაზიკაშვილი თედო 377, 483.

რაზიკაშვილები ძმები 62.

რასპუტინი 325.

რატიშვილი ვანო 285.

რატილი 548.

რაფაელი 121, 145.

რეიტერი კონსტანტინე 509.

რენანი 68, 69, 70.

რიგოლეტო (ფსევდ.) 319.

როსტოვცევი 51.

რუსთაველი 53, 122, 130, 222, 276, 296, 339, 368, 415, 449, 485, 498, 503, 504.

რცხილაძე ვასო 467.

რცხილაძე გრიგოლ 483.

ს

საადი 25.

საკაძე გიორგი 173, 174.

საგინაშვილი გენერალი 31.

სავანელი ალ. 67.

სავარსამიძის ცოლი (ოლღას ბებია) 232.

სავიჩი 292.

სამარინები 51.

სარაჯიშვილი ეკატერინე 353, 368, 523.

სარაჯიშვილი ალ. 291, 347, 499, 551, 523.

სარაჯიშვილი დავით 73, 97, 278, 279, 280, 307, 344, 348, 352, 353, 368, 387, 388, 429, 430, 523.

საფაროვა 337.

სახოკია თედო 307, 308, 519.

სემიონოვი 51.

სერებრიაკოვი 502.

სიმბირსკი 71, 436, 507.

სიმონაშვილი 285.

სიუვარი მადამ 390.

სკაბიჩევსკი 415.
სპანდარიანი 204.
სპასოვიჩი 45, 50, 51.
სტაროსელსკი დიმ. 58, 85, 96, 454, 460, 467, 497.
სტაროსელსკი გივი 475.
სტასიულევიჩი 51.
სტაუბაიტი (პროვიზორი) 467.
სტოლიპინი 325.
სუმბათაშვილი გენ. 436, 437.
სუმბათაშვილი გიგო 491, 492.

ტ

ტარასაშვილი იაკობ 119, 468, 472, 475, 562, 559.
ტერ-ასატუროვის ქალი 39, 44, 185.
ტოლსტოი ლ. 51, 143, 407, 440.
ტოლსტოი (მინისტრი) 439.
ტომაშევსკი (მძებნელი) 472.
ტრეპოვი 325, 326.
ტურგენევი 51, 407.
ტყემალაძე 225, 226.

უ

უთურგაური გ. 70.
უნდილაშვილი ალექსი 515.
უნდილაშვილი მარტია 110, 219, 442, 443, 517, 518.
უმიკაშვილი პ. 68, 210, 339, 340, 348, 356, 363, 377, 378, 383, 409, 429, 431, 455, 456, 462, 499, 500, 523, 524, 547.
უორდროპი მარჯორი 102, 104, 105, 156, 447, 448, 449, 547.
უორდროპი (ძმა) 447, 547, 548.

ფ

ფალიაშვილი ზაქარია 297.
ფარნავაზ მეფე 175.
ფალავა მექი 498.
ფიდიუსი 412.

ფირდოუსი 370, 371.
ფირალოვი ა. 210.
ფირადაშვილი მიხა 517.
ფურცელაძე ანტონ 190, 210, 276, 277, 322, 328, 348, 351, 356, 394, 409, 486, 487, 524, 525, 536.
ფურცელაძე მარია მოისეევნა 394.
ფურცელაძე (საგურამოს ტექნ. დირ.) 468.
ფშავლიშვილი პავ. 473, 474, 475.

ქ

ქანანოვი ნ. დ. (ნ. დავითაშვილი) 71, 92.
ქართველიშვილი გიორგი 274, 275, 450.
ქარენაშვილი ადამო 560.
ქიქოძე ტიტე სიმონის ძე 553.
ქუთათელაძე არისტო 563.

ღ

ღამბაშიძე ვახტანგ 282.
ღამბაშიძე დავით 282.
ღვდლიევი მიხაკო 265.
ღვინიაშვილი ბაბალე 194.
ღვინიაშვილი ლევან 560.
ღონიაშვილი ლაზარე 476, 561.
ღონიაშვილი სოფიო 476.
ღოლობერიძე-მუსხელიშვილისა ანეტა 272, 273.
ღოლობერიძე ნ. 97, 272, 286, 287, 289, 300, 301, 302, 307, 348, 349, 350, 383.
ღოლობერიძე ბეს. 72, 183, 294, 301.
ღოლობერიძე სიმონ 273, 288.
ღულაძე ანდრია 285, 286, 363.
ღულაძე იაკობ 285.

ყ

ყაზბეგი ალ. 138, 238, 486.
ყაზბეგი 493, 494.
ყაზბეგი გიორგი 284, 289, 325, 326.
ყაზბეგი დიმიტრი 294.
ყარალაშვილი რეზიკო 247.
ყარალაშვილი (მომღ.) 547.
ყარანგოზიშვილი გიგო 451, 452.
ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე 58, 267, 268, 269, 289.
ყიფიანი დიმ. 25, 67, 81, 96, 98, 99, 262, 266, 267, 325, 484, 495, 498, 532, 533, 534, 537.
ყიფიანი ვ. 67.
ყიფიანი კ. 98, 267, 322, 530, 532.
ყიფიანი ლუარსაბ 529, 530.
ყიფიანი მიხ. ზ. 66, 487.
ყიფიანი ნინო 526, 534.
ყიფიანი პეტრე 529.
ყიფშიძე ალექსანდრე 210, 262, 363, 443, 483.
ყიფშიძე გრიგოლ 23, 187, 188, 190, 191, 206, 209, 262, 309, 311, 313, 314, 322, 345, 347, 355, 363, 383, 404, 419, 422, 483, 529, 551, 540, 547.

შ

შავთელი 55.
შალიკაშვილი ი. 71.
შალიკაშვილი ნინო 200.
შალიკაშვილი სოსიკო 507.
შანშიევი 66.
შარაძე მაქსიმე 213, 214, 315, 347, 393, 483, 484.
შერვაშიძე გიორგი 287, 288, 500, 520.
შერვაშიძე გუბერნატორი 276.
შერემეტიევი 271.
შექსპირი 145, 337, 370, 371, 379, 382, 394, 488, 503.
შვარცი 475.
შილერი 370, 379.
შიო მღვიმელი 315, 427, 455, 542, 543.

შოთნიაშვილი ალექსი 513.
შოპენი 121.
შრადერი 176.
შუხარდტი 104.
შხედრინი 405, 406.

ჩ

ჩაიკოვსკის ასული კომპ. ჩაიკოვსკის და 41, 42, 44, 185.
ჩახრუხაძე 55.
ჩარკვიანი გრიგოლ 540.
ჩერნიშევსკი 51, 407, 418.
ჩერქეზიშვილი ლიზა 190, 205, 322, 323, 324, 325, 526.
ჩიკვაიძე მიხაკო 291.
ჩიკვაიძე კონსტანტინე 241, 242.
ჩიტაძე შიო 565, 566.
ჩოდრიშვილი მიხა 391.
ჩოლოყაშვილი სანდრო (III დირექტორი) 271, 272.
ჩოლოყაევი ილია ზაალის ძე 50.
ჩოლოყაშვილი კიკო 247.
ჩოლოყაშვილი დიმიტრი 519.
ჩოლოყაშვილი ალ. 94, 431, 529, 537.
ჩუბინაშვილი დავით იესეს ძე 69, 230.
ჩხეიძე კარლო 399.

ც

ცაგარელი ალექსანდრე 69, 281.
ცაგარელი ავქსენტი (ასიკო) 450, 451, 452.
ციწაძე კობა 192.
ციცერონი 360.
ცხადაძე ნიკო 301, 302.
ცხვედაძე ნიკო 220, 293, 298, 300, 304, 312, 328, 329, 330, 335, 336, 348, 355, 364, 383, 387, 407, 433, 553, 554.

წ

წინამძღვრიშვილი ილია 56, 199, 200, 289, 295, 338, 339, 363, 450, 549, 550, 551.
წერეთელი აკაკი 5, 19, 29, 21, 22, 210, 221, 239, 245, 246. 247, 248,

261, 269, 274, 289, 286, 297, 307, 308, 310, 311, 329, 330, 356, 363, 366, 397, 398, 399, 348, 400, 402, 404, 410, 417, 427, 485, 486, 488, 502, 508, 519, 526, 547.

წერეთელი ბეჟან 272.

წერეთელი გიორგი 138, 339, 340, 348, 349, 350, 399, 404, 409, 486.

წერეთელი ელისაბედ 350.

წერეთელი ვას. 393.

წერეთელი სანდრო 350.

წულაძე აპ. 399.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 23, 24, 25, 28, 488, 535.

ჭავჭავაძე გარსევან 23, 24.

ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე 28, 29, 30, 34, 35, 185, 403. 488, 510, 511.

ჭავჭავაძე დავით 30.

ჭავჭავაძე ელისაბედ საგინაშვილისა 30, 31, 40, 195, 198, 213, 228, 273, 289, 291, 292, 347, 379, 414, 497, 502, 510, 512, 554.

ჭავჭავაძე ზალიკო 200, 475.

ჭავჭავაძე ზაქარია 277.

ჭავჭავაძე თეიმურაზ 510.

ჭავჭავაძე კონსტანტინე 30, 34, 403, 510, 511, 512.

ჭავჭავაძე მაკრინე, ივანე არაგვის ერისთავის ქვრივი 35, 40, 43, 186, 403, 511.

ჭავჭავაძე მარიამ (მაგდან ბებურიშვილი) 29, 30, 31, 488, 510.

ჭავჭავაძე მაქსი 277.

ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე 50.

ჭავჭავაძე აფხაზისა ნინო 30, 31, 37, 42, 56, 510, 511.

ჭავჭავაძე სვიმონ 30, 512.

ჭავჭავაძე სოლომონის ასული (ს. ჭ. ასული) 43, 44, 185.

ჭავჭავაძე სოლომონ 186.

ჭიჭინაძე ალექსი ბესარიონის ძე 266, 289, 299.
ჭიჭინაძე ზაქარია 542, 543, 544.
ჭონქაძე დ. 127, 128.
ჭყონია ალექსანდრე 276.
ჭყონია ილია 492.
ჭყონია ნადია 188.
ჭრელაშვილი სტ. 129, 190, 210, 348, 483, 404.

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 387, 519.
ხაჩატუროვები ძმები 204.
ხიზანიშვილი დავით 210.
ხიზანიშვილი ვახუშტი 322.
ხიზანიშვილი ნიკო 188, 190, 191, 205, 210, 261, 304, 305, 322, 325, 326, 339, 340, 341, 345, 348, 351, 352, 363, 377, 378, 394, 404, 441, 483, 524, 525, 529, 536, 547.
ხიზანიშვილი შალიკო 322.
ხეჩიაშვილი ეთერ 562.
ხეჩუაშვილი 540.
ხონელი ილია (ბახტაძე) 383.

ჯ

ჯაბადარი ალ. 267.
ჯაბადარი ელენე გიორგის ასული 289, 291, 292, 300.
ჯაბადარი ივ. 164, 165, 167, 172, 174, 175, 177, 410, 415, 416.
ჯაბადარი ნიკოლოზ 294.
ჯაბადარი სპირიდონ 289.
ჯავახიშვილი ივანე 161, 306.
ჯავახიშვილი მიხ. 545.
ჯამბაკურ-ორბელიანი თ. 30.
ჯამბაკურ-ორბელიანი მარიამ ვახტანგის ასული 298.
ჯანაშვილი მოსე 206.
ჯანდიერი ბაბულია 198.
ჯანდიერი გიორგი 197.
ჯანდიერი ეკატერინე 198, 199.

ჯანდიერი იასონ 198.
ჯანდიერი ლევან 197, 199, 247, 249, 286, 295, 296, 302, 348, 529, 530, 531, 534, 536, 537, 554.
ჯანდიერი მიხეილ 198.
ჯანდიერი ნიკო 553, 554, 555.
ჯანდიერი სალომე 199.
ჯაფარიძე ნოშრევან 559.
ჯაში დიმიტრი სოფრომის ძე (მოურავი) 470, 471, 475.
ჯაჯანაშვილი არჩილ 563.
ჯაჯანაშვილი (მასწ.) 299.
ჯიბოშვილი ფიდო 560.
ჯორჯაძე ბარბარე 65, 565.

ჰ

ჰაკკე 37, 38.
ჰერმესი 145, 149.
ჰიუგო ვიქტორ 404, 491, 498, 499, 510.
ჰომეროსი 449.

საძიებელი შეადგინა ლ. თურმანიძემ

სარჩევი

შემდგენლებისაგან 5

წერილები და სიტყვები

აკაკი წერეთელი — გამოსათხოვარი სიტყვა (ილიას სიკვდილი და დასაფლავება, კრებული, 1907 წ.). 9

ვაჟა-ფშაველა — ვერ მოკლესს სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე (თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V, 1961.). I 12

იაკობ გოგებაშვილი — შურის ძიება ისტორიისა 15

დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი 17

საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება (თხზულებანი, ტ. IV, 1955.). 20

გრიგოლ ყიფშიძე — ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფია). (ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ტ. I, 1914 წ. მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა.). 98

კიტა აბაშიძე — ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა). (1914 წ. გამოცემა). 121

ივანე ჯავახიშვილი — ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია (ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956). 161

მოგონებები

კოსტა აბხაზი — (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის). 181

ოლღა აგლაძე — (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 6, ნაკვეთი I, 1952). 187

არტემ ახნაზაროვი — (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939). 203

გასილ ბარნოვი — (თხზულებანი 10 ტომად, ტ. X). 221

ივანე ბუქურაული — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940 წ.) 222

ეკატერინე გაბაშვილი — (ლიტერატურული მატიანე. წიგნი 1—2, 1940 წ.) 227

რევაზ გაბაშვილი — (გურამ შარაძე „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე", 1986 წ.) 236

შალვა დადიანი — (შალვა დადიანი „ჩემი მარაო", 1948 წ.) 239

ილია ზურაბაშვილი — (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939 წ.) 245

ეკვთიმე თაყაიშვილი — (ეკ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968 წ). 265

ი ო ხ ე ბ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი — (ი. იმედაშვილი „ჩემი ცხოვრების წიგნი", 1978 წ). 313
დ ა ვ ი თ კ ა ს რ ა ძ ე — (ჟურნალი „ცისკარი" №5 1957). 322
ა რ ტ ურ ლ ა ი ს ტ ი — (არტურ ლაისტი „საქართველოს გული", 1963 წ) 332
გ ი ო რ გ ი ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი — (გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ). 389
ს ა ლ ო მ ე ლ ო ლ ა ძ ე — (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი 1, 1935 წ. მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის). 403
ი ა კ ო ბ მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი — (. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ.). 404
დ ა ნ ი ე ლ მ ა ს ლ ო ვ ი — (ლიტერატურული ნატიანე, წიგნი 1 — 2, 1940 წ.). 463
ბ ა რ ბ ა რ ე მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940 წ.) 476
ს ო ფ რ ო მ მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი — (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ.). 481
ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა — (ი. მეუნარგია, „ქართველი მწერლები", 1957 წ.). 488
ე ლ ი ს ა ბ ე დ ხ ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი — (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ.). 510
ს ა გ უ რ ა მ ო ე ლ ი ტ ლ ე ხ ე ბ ი — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940 წ.). 513
თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა — თ. სახოკია, „ჩემი საუკუნის ადამიანები", 1969 წ) 519
ნ ი ნ ო ყ ი ფ ი ა ნ ი — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940 წ.). 526
გ ი გ ო ხ ე ნ ტ ა შ ვ ი ლ ი — (ლიტერატურული მატიანე, № 7—8, 1982 წ). 540
მ ი ხ ე ი ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — (მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 6 ტომად, ტ. VI, 1980 წ.). 545
ნ ი კ ო ჯ ა ნ დ ი ე რ ი — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი მე-6, ნაკვეთი პირველი, 1952 წ.). 553
წ ო შ რ ე ვ ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე — (ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940 წ.) 559
ა რ ზ ი ლ ჯ ა ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი — (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო", 1936 წ 24 მაისი). 563
ს ა კ უ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ებ ე ლ ი 569

რედაქტორი ლ. თურმანიძე
მხატვარი ა. სარჩიმელიძე
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: გ. ფირცხალავა, ე. ნიკაბუა, ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. სავთასი

ს. ბ. — 3038

ჩაბარდა წარმოებას 11. 03. 87 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 12 05. 87 წ. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საწიგნე-საჟურნალო. გარნიტურა ოფსეტი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 31,08. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,2. პირობითი საღებავგატარება 31,08. ტირაჟი 60 000 ეგზ. შეკვ. № 623.

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება" რუსთაველის ბულ. 42, თბილისი 1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.